საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი

University of International Relations of Georgia

ზაურ ამილახვარი, გიორგი ამილახვარი,

ნინო წერეთელი

ბიზნესის სამართალი

(სახელმძღვანელო)

მეორე გამოცემა

BUSINESS LAW

(Textbook)

Second Edition

რეკომენდირებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს
საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის გადაწყვეტილებით

თბილისი
2010

UDC (უაკ) 346.26+338.22

სახელმძღვანელო მომზადდა დღეისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით. განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. ის დაეხმარება ასევე პედაგოგებს, ბიზნესმენებს და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სახელმძღვანელოში განხილულია ბიზნესის მრავალმიმართულებიანი ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ასევე სხვადასხვა ქვეყნების ამ სფეროს სამართლებრივი სისტემები.

სახელმძღვანელოს მომზადება და პირველი გამოცემა შესაძლებელი გახდა **USAID/Caucasus**- ის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი № 114-00-03-00057-00.

.

მთავარი რედაქტორები:

მარიამ მესხიშვილი, სამართლის დოქტორი;

კახაბერ ერაძე, ეკონომიკის დოქტორი.

რეცენზენტები:

გიორგი ლორია, სამართლის დოქტორი;

ზვიად როგავა, სამართლის დოქტორი;

დავით ჯალაღონია, ეკონომიკის დოქტორი;

ნუგზარ ხუჭუა, ეკონომიკის დოქტორი.

სახელმძღვანელო გამოიცა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის გადაწყვეტილებით.

© ზ. ამილახვარი, გიორგი ამილახვარი, ნინო წერეთელი.

ISBN 978-9941-0-2322-4

სარჩევი

წინასიტყვაობა 4
თავი 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებები 7
თავი 2. ბიზნესის ცნება და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა 31
თავი 3. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით 62
თავი 4. სამეწარმეო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება 87
თავი 5. ვაჭრობის როლი, მნიშვნელობა და მისი სამართლებრივი რეგულირება 119
თავი 6. საქართველოში საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის რეგულირების ძირითადი ასპექტები 143
თავი 7. საფინანსო სამართლისა და ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის ზოგადი დებულებები 215
თავი 8. მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება 249
თავი 9. დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება 262
თავი 10. გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება 272
თავი 11. მიწის საკუთრებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება 284
თავი 12. ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და განვითარების თანამედროვე ტენდენციები-290
თავი 13. ბიზნესის განვითარება და ბუნებრივი გარემოს დაცვა 298
თავი 14. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი რეგულირება 312
თავი 15. ინტელექტუალური საკუთრების ბიზნესი და მისი სამართლებრივი რეგულირება 326
თავი 16. აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი–342
თავი 17. საწარმოთა გადახდისუუნარობისა და იძულებითი აღსრულების სამართლებრივი რეგულირება 350
თავი 18. შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება 368
თავი 19. ბიზნესთან დაკავშირებული სამართლადარღვევათა ზოგადი დებულებანი 379
თავი 20. კერძო ხასიათის ქონებრივი დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ საქართველოში, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 402
დანართები 425

წინასიტყვაობა

„ქვეყანა იმით კი არაა უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცი არ ჰყავს.“
ილია ჭავჭავაძე

„ვინც სწავლას ანდომებს სიცოცხლეს, იგი არ კვდება.“
დეკარტი

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბიზნესის განვითარება შეუძლებელია, სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად ფუნქციას საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, აღებული ვალდებულებების განუხრელი შესრულება, შედეგად კი მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება წარმოადგენს. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, დაამყარა ურთიერთხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, გახდა მრავალი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის წევრი.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტენსიური განვითარება დააჩქარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებამ, საერთო სამართლებრივი და ორგანიზაციული პრინციპების გათვალისწინებით მოხდა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ორგანიზაციულ-ტექნიკური წესების და სახელმწიფოს მიერ საგარეო ეკონომიკური რეგულირების პრაქტიკის თავისებურების უნიფიკაცია. ამის საფუძველზე, მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო საგარეო ეკონომიკური სისტემის ფორმირება და ხორციელდება ერთიანი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ორგანიზაციულ-ტექნიკური სივრცის შექმნის ინტენსიური პროცესი, რომლის ფარგლებში არსებობენ და ვითარდებიან ცალკეული ქვეყნის საკორპორაციო და სავაჭრო სისტემები.

მსოფლიოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, შეუძლებელია ბიზნესის მრავალმხრივი მიმართულებისა და საქმიანობის წარმართვა, დახვეწილი სამართლებრივი ნორმებით რეგულირების გარეშე. ბიზნესთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით. ამავე დროს, ქვეყნის ორიენტირებამ საბაზრო ეკონომიკაზე, თავისთავად მოითხოვა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების უმრავლესობა პირდაპირ ეხება, ან ნაწილობრივ (არაპირდაპირ) არეგულირებს ბიზნესთან დაკავშირებულ რთულ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების ძალისხმევითა და მონაწილეობით მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების” და “პროკურატურის შესახებ”. კანონი “მეწარმეთა შესახებ”, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა საპროცესო კოდექსები, კანონები “ეროვნული ბანკისა” და “კომერციული ბანკების” შესახებ, კანონი “სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ”. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების მიერ მიღებულ იქნა ასევე მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, რომელთა ნორმები არეგულირებენ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, “საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ”. ამავე დროს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანოს შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციაში მოსაყვანად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბიზნესთან დაკავშირებული ამ მრავალმხრივი ურთიერთობების, როგორც სამართლებრივი, ასევე ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია მაღალკვალიფიციური, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომზადებული კადრების გარეშე. ბიზნესის სფეროს მენეჯერების მომზადებას, ამ დარგში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, შესაბამის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზასთან ერთად, ესაჭიროება ბიზნესის სამართლის

სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე ლიტერატურა. 2003 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ბიზნესის სამართლის კათედრის აკადემიური პერსონალის მიერ **USAID/CAUCASUS**-ის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № 114-00-02-00057-00) პირველად გამოიცა ბიზნესის სამართლის საფუძვლების სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ბოლო წლებში კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა მოითხოვა მისი გადამუშავება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ქართული და უცხო ქვეყნების მეცნიერული ნაშრომების, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების საფუძველზე, განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი დებულებანი, კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება, მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური უფლებები, ბიზნესისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, ბიზნესისა და ვაჭრობის ცნება, ბიზნესზე მოქმედი პირობები და ფაქტორები, ექსპორტ-იმპორტის სამართლებრივი რეგულირების საკითხები, ბიზნესის სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ძირითადი ასპექტები, საქართველოში საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საკითხები, საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობები, მონოპოლიური საქმიანობიას და სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ცნებები, ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების საკითხები, დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების, ბიზნესის განვითარებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის, ტურიზმის ორგანიზაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების, აგრარული სფეროს, საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულრიების, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები და მისი რეგულირების ძირითადი საკითხები, ბიზნესის სფეროში სამართალდარღვევების ზოგადი დებულებანი, ინტელექტუალური საკუთრების ბიზნესი, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, საწარმოთა გადახდისუუნარობისა და იძულებითი აღსრულების სამართლებრივი რეგულირება, კერძო ხასიათის ქონებრივი დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ საქართველოში, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ბუნებრივია, სახელმძღვანელო დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. ავტორთა კოლექტივი დიდი მადლიერებით მიიღებს ყველა სამართლიან და საყურადღებო შენიშვნასა და წინადადებას.

სრული პროფესორი ზაურ ამილახვარი

Introduction

Practice of world's developed countries and economic theory proved that development of business is impossible without legal norms regulating international economic relations. One of the main functions of any country is expansion of foreign political and economical relations, implementation of undertaken obligations and as a result to become a worthy member among world's nations. After gaining independence, Georgia established mutual political and business communications with many countries and became a member of leading international and regional organizations.

On modern stage, establishment of national foreign-economical systems within countries gave motivation for intensive development of international economic relations. Taking into consideration general legal and organizational principles, was committed unification of legal administrative and organizational technical rules. On this basis, is going on intensive process of formation and execution modern international foreign economic system and unified legal, administrative and organizational-technical space, were are existing and developing separate countries corporate and trade systems.

In the process of globalization, it is practically impossible to hold business activities, without improved legal regulations. Relations connected to business are regulated with dozens of international agreements and conventions. Besides, countries orientation on market economy, accordingly requested establishment of legal base. Legal normative acts adopted by parliament of Georgia directly or indirectly, regulate complex and multilateral business issues. Parliament of Georgia, with participation of scientists and lawyers in this process, adopted Georgian law's on: "Court System", "Prosecutor's Office", "Entrepreneur Law", "Civil, Administrative, Criminal, Tax and Customs codes", "Civil, Administrative and Criminal procedures codes", "Law on National Bank", "Law on Commercial Banks", "Law about privatization of state property". By legislative, executive branches and local governments were adopted a group of normative acts. Also by parliament of Georgia were ratified many international agreements and conventions, regulating issues and activities connected to business.

It has to be declared, article 6 of Georgian constitution underlines that Georgian legislation is in accordance with declared international norms and principles. Georgia's international agreement, if it does not resists with constitution, has superior legal right over internal laws. Also, with membership in international organizations, Georgia has taken obligation to harmonize its legislation with international legal norms and standards.

In terms of market economy, solving of problematic issues related to business, as of legal, also organizational-technical is impossible without highly qualified staff. Preparation of managers in business sphere requires business law text books and other additional relevant literature. In 2003, by academic personal of former business law department in Tbilisi State University, with financial support of USAID/CAUCASUS (grant #114-00-02-00057-00) first time was published business law text book in Georgian. Within last years, many changes were made in legislation, which required as a result publishing text book newly.

In the text book, on the basis of Georgian and foreign countries scientific works, also national and international laws and legal acts, is discussed following thematic issues: "Origination of commonwealth and judiciaries main aspects", "Conception of legality", "Constitutional right of fairness", "Legal regulation fundaments of business and trade", "Concept of business and trade", "Factors stressed on business", "Legal regulation of import-export issues", "Main aspects of legal relations connected to civil and entrepreneur law", "Main issues of tax and customs legal regulations", "Issues of financial law", "Monopoly activities and legal regulation", "Basis of legal aspects of valuable papers and financial market", "Legal regulations of insurance, protection of environment, organization of tourism, international and local conveyances", "Labor relations", "Main provisions of business law violations", "Business of intellectual property", "Legal regulations of audit activities and execution issues", "Discussion of private property litigations in Georgian arbitrage, international arbitrage court and World Trade Organization".

It is expected, that text book will include faults. Collective of authors will gratefully receive any fair-minded and interesting comments and sentences.

Full Professor, Zaur Amilakhvari

თავი 1

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებები

„ხალხი, რომელიც ბუნებით სიმართლეს არღვევს, საკუთარ სიმშვიდესა და კეთილდღეობას საძირკველს უთხრის.“
გრაციუსი

„სახელმწიფო იმისთვის კი არ იქმნება,რომ იცხოვრო, არამედ უპირატესად იმისათვის,რომ ბედნიერად იცხოვრო.“
არისტოტელე

წინამდებარე თავში მოკლედ განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ზოგადი ცნებები. იგი წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერ-იურისტების შრომების მიხედვით და საქართველოს საკანონმდებლო აქტების საფუძველზე შედგენილ კომპილირებულ ნაშრომს. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ცნებებთან ერთად, ამ თავში, ზოგადად, მიმოხილულია სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები, სახელმწიფოს ფორმა, ფუნქციები, მექანიზმი, პოლიტიკური რეჟიმი, ქართული სამართლის ძეგლები, სამართლებრივი ურთიერთობა, სამართლის სუბიექტები. ეს თავი ასევე ეხება სამართლის სუბიექტების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის, სამართლის ნორმის ცნების, განმარტებისა და პრეცედენტის, კანონისა და სამართლის ანალოგიის საკითხებს, კანონიერებისა და მართლწესრიგის, მართლზომიერი ქცევისა და სამართალდარღვევის ცნებებს. ამ თავში მოცემულია აგრეთვე ნორმატიული აქტის სახეები, იერარქია, მიღებისა და ძალაში შესვლის მექანიზმი, საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები,სახელმწიფოში სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი.

1. სახელმწიფოსა და სამართლის ცნება

სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათი წარმოშობის შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ერთ-ერთი უძველესი თეორიაა **თეოლოგიური ანუ თეოკრატიული**, რომლის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო შეიქმნა და არსებობს ღვთის ნებითა და გავლენით. მათი აზრით, ღვთიური წარმოშობისაა ასევე ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებსაც ყველა უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს. ეს თეორია ემსახურებოდა მონარქის ძალაუფლების განმტკიცებას.

განსაკუთრებით გავრცელებული იყო **ხელშეკრულების** თეორია, რომლის შესაბამისად სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა ურთიერთშეთანხმებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების დადების გზით, ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა ვალდებულება დაეცვა მათი ქონება, თავისუფლება და უსაფრთხოება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა სახელმწიფოს **წარმოშობის ძალმომრეობის ანუ დაპყრობის თეორია**, რომლის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო წარმოიშვა დაპყრობითი და თავდაცვითი ომების შედეგად. ამ თეორიის თანახმად, ძლიერი სახელმწიფოები იპყრობდნენ შედარებით სუსტ სახელმწიფოებს და აქცევდნენ თავიანთ მორჩილებად.

არსებობდა ასევე **პატრიარქალური თეორია**, რომლის თანახმად სახელმწიფო წარმოიშვა ოჯახის გაზრდისა და გაფართოების შედეგად. ადამიანებმა შექმნეს ოჯახები, რომელთა გაზრდის შედეგად შეიქმნა ერთიანი დიდი ოჯახი, სახელმწიფოს სახით და ოჯახის მეთაურის ხელისუფლება თანდათან გარდაიქმნა მონარქის ხელისუფლებად.

სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების საჯარო ხელისუფლება, რომელიც საჯარო ხელისუფლებისა და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით, ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს, საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას.დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

– მოსახლეობის დაყოფა **ტერიტორიული პრინციპის** მიხედვით. საჯარო სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მის ტერიტორიაზე მყოფ ყველა ადამიანზე;

– სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს ხელისუფლების გარეშე. **საჯარო ხელისუფლება** განსხვავებულია იმ საზოგადოებრივი ხელისუფლებისაგან, რომელიც არსებობდა პირველყოფილ თემურ წყობილებაში და რომელსაც მთელი საზოგადოება ახორციელებდა.

– სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია საჯარო ანუ პოლიტიკური ხელისუფლების არსებობა. ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ იგი მოქმედებს საზოგადოების სახელით. საჯარო ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით;

– სახელმწიფოს ერთ-ერთი თვისებაა ასევე **სუვერენიტეტი**, რაც გულისხმობს ქვეყნის უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას სხვა ორგანიზაციების ჩარევა თავის საქმიანობაში;

– სახელმწიფოს ამ ძირითად ნიშნებთან მჭიდრო კავშირშია **ლეგიტიმურობა**, რომელიც გულისხმობს მხოლოდ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ფარგლებში ხელისუფლების შექმნას და მისი უფლებამოსილების განხორციელებით სახელმწიფო ფუნქციების შესრულებას. ამასთან ერთად, დიდი და რთული აპარატის შესანახად, ასევე მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფო აწესებს **სავალდებულო გადასახადებს.**

სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები სამართალსაც ეხება. სამართლის წარმოშობის თეორიები და შეხედულებები ძველთაგანვე არსებობდა. მათ შორის გავრცელებულ თეორიას წარმოადგენს **ბუნებითი სამართლის თეორია**, რომლის მიმდევრები თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დაკანონებული სამართლის გარდა, არსებობს ბუნებითი სამართალი, რომელიც თვითონ ბუნების მიერაა ადამიანში შთანერგილი. ადამიანი ფაქტებსა და მოვლენებს მარტო ოფიციალურად დადგენილი სამართლის პოზიციებიდან კი არ ატარებს და აკონტროლებს თავის ქცევას, არამედ გამომდინარეობს თავად ადამიანის ბუნებიდან.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შეიქმნა **სამართლის ისტორიული სკოლა**. ამ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სამართალი იქმნება და ვითარდება ისტორიულად, სახელმწიფო ხელისუფლების ჩაურევლად და ვლინდება ჩვეულებებისა და კანონების სახით. კანონმდებელი მხოლოდ იმას ასახავს, რაც ხალხის ცხოვრების ისტორიული პირობების განვითარების შედეგად გამოვლინდა.

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა **სამართლის ფსიქოლოგიური სკოლა,** რომელიც სამართლის წარმოშობასა და მოქმედებას უკავშირებს ადამიანის ფსიქოლოგიას. ამ სკოლის მიმდევართა რწმენით, სამართალი წარმოიშობა და მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორების მეგავლენით.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **მარქსისტულ მოძღვრებაში**, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია ზოგიერთ ქვეყანაში. მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, პირველყოფილი თემური წყობილების დასასრულს, არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები. საწარმოო ძალთა განვითარების უაღრესად დაბალი დონისა და იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება, ისინი საერთო ძალით მოიპოვებდნენ და აწარმოებდნენ ყველაფერს.

საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, გაჩნდა კერძო საკუთრება, რასაც ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა დაიწყეს გარკვეული საქმის შესრულება (მესაქონლეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა). ამით იწყება თემური წყობილების დაშლა და საზოგადოების ფენებად დაყოფა – მდიდრებად და ღარიბებად, მონათმფლობელებად და მონებად.

ეკონომიკურად გაბატონებულმა უმცირესობამ შექმნა სახელმწიფო და სამართალი, თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისა და უმრავლესობის დამორჩილების მიზნით.

დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში, გაბატონებულია თეორიები, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას უკავშირებენ **წარმოების განვითარებას, შრომის დანაწილებასა და სხვა ფაქტორებს.**

სამართალი, როგორც ისტორიული ხასიათის საზოგადოებრივი მოვლენა, სახელმწიფოსთან ერთად წარმოიქმნა ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და საზოგადოება გაითიშა ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებად. სამართალი არა მარტო წარმოშობის მიზეზებით, არამედ შინაარსით, დანიშნულებითა და ისტორიული ბედით დაკავშირებულია სახელმწიფოსთან. სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ იგი უმრავლესობის ნებას გამოხატავს. ეს ნება კონკრეტულად გამოხატულია ადამიანთა ქცევის წესებში – სამართლის ნორმებში. სამართლის ნორმა დამტკიცებულია სახელმწიფოს მიერ, როგორც უმრავლესობისათვის მისაღები ქცევის წესი. სამართლის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ნებაყოფლობით ასრულებს სამართლის ნორმებს, იმის გამო, რომ შეგნებული აქვთ მათი სისწორე და მიზანშეწონილობა. ნაწილი კი ამ ნორმებს ასრულებს იმის შიშით, რომ არ დაისჯოს სახელმწიფოს მიერ. ამიტომ, იძულებითი ღონისძიებების რეალურად გამოყენება სახელმწიფოს უხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის ნორმები ირღვევა.

სამართალი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული ადამიანთა ქცევის წესების ანუ ნორმების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების წევრთა უმრავლესობის ნებას გამოხატავს. იგი სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი ან სანქციონირებული და მისი შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.

საკონტროლო კითხვები:

1.სახელმწიფოსა და სამართლის დახასიათება;
2.სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეორიები;
3.სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები: მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, საჯარო ხელისუფლება, სუვერენიტეტი, ლეგიტიმურობა.

1.2. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები

სახელმწიფომ და სამართალმა, წარმოქმნიდან დღემდე, ვრცელი გზა განვლო. ისტორიულად არსებობდა სხვდასახვა ტიპის სახელმწიფო და სამართალი.

ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში არსებულ სახელმწიფოებს საერთო დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ფორმაციაში არსებული სახელმწიფოებისაგან. ეს ნიშნებია: საერთო ეკონომიკური საფუძველი, საკუთრების გარკვეული ფორმა და ამ ფორმაციაში არსებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთი და იგივე სოციალური შინაარსი. ეს ფორმაციები თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს ისტორიაში. ასევე თანმიმდევრობით იცვლებოდა სახელმწიფო. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნებაში იგულისხმება ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში წარმოშობილი სახელმწიფოები, რომლებიც ერთნაირი სოციალური შინაარსით ხასიათდებიან და ერთი გარკვეული კლასის ან ფენის ინტერესებს იცავენ. ცნობილია სახელმწიფოს, ისევე როგორც სამართლის შემდეგი ისტორიული ტიპები: **მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური.** ამა თუ იმ ისტორიული ტიპის სამართალსაც გააჩნია საერთო ეკონომიკური საფუძველი, ერთი და იგივე სოციალური შინაარსი და შესაბამისი ისტორიული ტიპის სახელმწიფო.

ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელია და მარქსისტული მოძღვრების თეორიის თანახმად, სახელმწიფოს პირველი სამი ტიპი – მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური (ეს უკანასკნელი მისი განვითარების პირველ ეტაპზე) ითვლება სახელმწიფოს ექსპლუატატორულ ტიპებად. კაპიტალისტური სახელმწიფო მისი განვითარების შემდგომ აღარ შეიძლება მივაკუთვნოთ ექსპლუატატორულ სახელმწიფოს, ვინაიდან მოხდა პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაცია, განხორციელდა პროგრესული რეფორმები, დაინერგა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები და სხვ. რაც შეეხება სოციალისტურ სახელმწიფოს, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის იდეა განუხორციელებელი აღმოჩნდა. სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის, ჰუმანიზმის, მაღალდემოკრატიის ცნებებითა და დაპირებებით შექმნილმა სოციალისტურმა რეჟიმმა ვერ განახორციელა თავისი პროგრამა, ვერ დააკმაყოფილა ხალხის მოთხოვნები და მათი იდეები. არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც სოციალურად, არც სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის რეალური მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ყოფილი საბჭოთა და სხვა სახელმწიფოები სოციალიზმის იდეას არ ასახავდნენ და ამ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ ის უარყოფილი იქნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოთა აშკარად გამოხატული ისტორიული ტიპების გარდა, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთი ისტორიული ტიპიდან მეორეზე „გარდამავალი“ სახელმწიფოების თავისებური სისტემა. მარქსის-ტული თეორიის თანახმად, ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს ერთი ისტორიული ფორმიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ რევოლუციის გზით. „გარდამავალი“ სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც დროებითი ფორმა და უარყოფილი იყო მისი ევოლუციური განვითარების პერიოდი, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყნის დემოკრატიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა პროცესების აღმშენებლობის გათვალისწინებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ აირჩია სუვერენული განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებამდე, განისაზღვრება როგორც **გარდამავალი.** თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, ნაცვლად საბჭოთა კავშირის ცენტრის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა, შეიქმნა და იხვეწება ეროვნული სამართლებრივი ბაზა, რომლის მთავარი ამოცანაა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების პროცესების დაჩქარება.

საკონტროლო კითხვები:

1 სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპების დახასიათება;
2. „გარდამავალი“ სახელმწიფოს ცნება.

1.3. ქართული სამართლის ძეგლები

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც სამართლის წიგნები იწერებოდა. სამწუხაროდ, მე-9 საუკუნემდე დაწერილ სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ანტიკური ხანის საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანია ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის (I საუკუნე,

ძველი წელთაღრიცხვის 64 და ახალი წელთაღრიცხვის 24) ნაშრომი „გეოგრაფია“, რომელიც საქართველოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. სტრაბონის მიხედვით, იბერია ანუ აღმოსავლეთ საქართველო და კოლხეთი ანუ დასავლეთ საქართველო ცივილიზებულ ქვეყნადაა მიჩნეული. ის ქალაქებით და დაბებითაა დასახლებული, ასახელებს წიწამურს და არმაზციხეს, ფაზისს, დიოსკურიას, შორაპანს და ტრაპეზუნს. სტრაბონის ცნობით, სვანეთს მართავდა სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭო.

მოგვიანებით ბერძენი ისტორიკოსი აგათა სქოლასტიკოსი თავის ნაშრომში აღწერს კოლხეთის მეფის გუბაზის დროინდელი ეპოქის ისტორიული მოვლენის (მე-6 საუკუნის შუა პერიოდი). ისტორიკოსი ამ ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს იმდროინდელი ქართველი ხალხის სულიერი წინამძღოლის პიეტის, ფარტაზის და კოლხეთის მეფის - გუბაზის მკვლელობის თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესზე გამოსახული კოლხი სწავლული იურისტების ორატორულ ხელოვნებას, მათ განსაკუთრებულ გათვითცნობიერებას რომაული სასამართლოს სისტემაში, რომელსაც არაჩვეულებრივად უფარდებდნენ თავიანთ ზოგადსახელმწიფოებრივ ინტერესებს.[1]

ჩვენამდე მოღწეული ქართული სამართლის ძეგლებში ყველაზე ადრინდელია **ბაგრატ კურაპალატის** (ბაგრატ III) **სამართლის წიგნის** ფრაგმენტი (61 მუხლი), რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნშია ჩართული. ეს ფრაგმენტი თარიღდება მე-9 და მე-10 საუკუნეებით. მასში გაერთიანებულია სამართლისა და სამართალწარმოების ნორმები.

სამართლის წიგნით მკაცრად ისჯებოდა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქურდობა, ძარცვა, შეურაცხყოფა, სქესობრივი დანაშაული და სხვა. მასში მოცემული იყო აგრეთვე ნორმები, რომლებიც შეეხებოდა სასჯელს, როგორიცაა: სიკვდილით დასჯა, დასახიჩრება, დამნაშავის დაზარალებულისთვის გადაცემა, ქონებრივი საზღაური და სხვა. სასამართლო მტკიცებულებებიდან ძეგლში მოხსენებულია ფიცი და მოწმის ჩვენება.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში პირთა პასუხისმგებლობა განსაზღვრულია პიროვნების წოდებრივი, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისად.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ მე-14 საუკუნის ოცდაათიან წლებში არის დაწერილი. ეს ძეგლი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან იყო ცნობილი, მაგრამ უფრო ადრინდელი ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა. ძეგლის დიდი ნაწილი დაკარგულად ითვლება. იგი დაწერილია არა მთელი საქართველოსათვის, არამედ მხოლოდ არაგვის ხეობის მთიულეთისათვის. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ამ მხარეში ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა მკვლელობა, მიხდომა-აოხრება, მეკობრეობა და სხვ. გიორგი V-ს „ძეგლის დადებაში“ მოხსენებულია დარბაზი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც მეფესთან ერთად წყვეტდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს. მასში აღწერილია დარბაზობის, დიდი დღესასწაულების, საპატიო პირთა მიღების ცერემონიალი, განსაზღვრულია თანამდებობის პირთა უფლებები და მოვალეობები, ასევე სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების საკითხები.

სისხლის სამართლის ნორმით ისჯებოდა მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, ქურდობა, ძარცვა, მექრთამეობა, ქალის მოტაცება და სხვ. სამართლის წიგნში მოცემულია სასჯელის შემდეგი სახეები: სიკვდილით დასჯა, სისხლის საფასურის გადახდა, გაძევება, შეჩვენება, შერისხვა, დამნაშავის გადაცემა დაზარალებულზე, გამაწბილებელი სასჯელი და სხვა. სამოქალაქო სამართლიდან აღსანიშნავია ვალდებულებითი სამართალი, საკუთრების უფლება, ნასყიდობა, გირავნობა, მემკვიდრეობა, სესხი, ჩუქება, განქორწინება და სხვა.

ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლია ასევე მე 14 საუკუნის „ სახელმწიფოს კარის გარიგება“

მეფე ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი მე-18 საუკუნის დასაწყისში მეფის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის, სწავლულ კაცთა მიერ არის შედგენილი. სამართლის წიგნი 270 მუხლს შეიცავს. იგი თავიდან მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის იყო დაწერილი, მაგრამ მან გავრცელება ჰპოვა მთელ საქართველოში.

სამართლის წიგნში გაერთიანებულია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის ნორმები. მასში ვრცლად არის გადმოცემული ბატონყმური ურთიერთობები, მოსამართლის მოვალეობა, სასამართლო მტკიცებულება და სხვა.

ვახტანგ VI-ს კანონთა კრებული, მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნის გარდა, შეიცავს სხვა სამართლის წიგნებსაც: სომხურ სამართალს, ბერძნულ სამართალს, ებრაულ სამართალს, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებას“, ბექა-აღბუღას სამართალს და კათალიკოსთა სამართალს.

ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის იმ ნაწილმა, რომელიც სისხლის სამართალს ეხებოდა, არსებობა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმები კიდევ დიდხანს მოქმედებდა.

---

[1] ბ. ფორჩხიძე, ო. მინდაძე, სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი 2009

მეორე წიგნიც „**დასტურლამალი**“ ვახტანგ VI-ს მიერ არის შედგენილი მე-18 საუკუნეში. სახელწოდება სპარსულ-არაბულია და ქართულად დასტურს, მოქმედებას, გარიგებას ნიშნავს. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: მეფის დასტურლამალისა და დედოფლის დასტურლამალისაგან. ორივე ნაწილი 266 მუხლს შეიცავს. წიგნი განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსათვის.

„დასტურლამალი“ სახელმწიფო სამართლის ნორმებს შეიცავს. მასში მოცემულია სამეფო დარბაზობის წესი. ძეგლში დახასიათებულია გვიანფეოდალური მეფის ხელისუფლება, მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება და სხვ. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის აღწერისა და გადასახადების აკრეფის საკითხებს.

საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია „**მცირე სჯულის კანონი“,** რომელსაც საქართველოში სავალდებულო ძალა ჰქონდა. ძეგლი წარმოადგენს საეკლესიო სამართლის ნორმათა კრებულს, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებისა და ბერძნული კანონიკური მწერლობის წყაროების მიხედვითა და მიბაძვით არის შედგენილი. იგი შეადგინა, ქართულად თარგმნა და საკუთარი ნააზრევით საფუძვლიანად შეცვალა და შეავსო ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ ექვთიმე მწიგნობარმა. კრებული მე-11 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. მასში ქართული სინამდვილიდან შეტანილ იქნა ბევრი უმნიშვნელოვანესი დებულება: მაგალითად, ცნება ბრალის შესახებ, თანამონაწილეობის საკითხი და სხვა.

საქართველოში სასულიერო საკითხების გადასაწყვეტად, ძირითადად, მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები გამოიყენებოდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საეკლესიო კრებაც იღებდა კანონებს, რომელთაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ. მაგალითად, 1103 წელს დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მიიღო „**ძეგლის წერა“.** იგი 15 მუხლისაგან შედგებოდა და ემსახურებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ღვთის მსახურების სიწმინდის დაცვაში, არამედ ურჩ საეკლესიო მსახურთა ალაგმვაში.

კრების მომზადებასა და მუშაობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ არსენ იყალთოელმა და მწიგნობართუხუცესმა გიორგი ჭყონდიდელმა. ძეგლში მოწესრიგებული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: მექრთამეობა, საქორწინო ასაკი (არანაკლებ 12 წლისა). აკრძალული იყო ეკლესიის გარეშე ქორწინება, ასევე აიკრძალა მართლმადიდებლის ქორწინება წარმართზე და სხვა.

საკონტროლო კითხვები:

1. ბაგრატ კურაპალატის (ბაგრატ III) სამართლის წიგნის ფრაგმენტი.
2. გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“;
3. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი;
4. ხელმწიფის კარის გარიგება;
5. ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი;
6. დასტურლამალი;
7. მცირე სჯულის კანონი;
8. რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლის წერა.

1.4. სახელმწიფოს ფორმა

ცალკეული ისტორიული ტიპის სახელმწიფოებს, ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში, გააჩნიათ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა მიუხედავად კლასობრივი არსის იგივეობისა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის გამო შემოღებულია სახელმწიფოს ფორმის ცნება, რომლის მიხედვითაც ხდება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნებით ერთი და იმავე ისტორიული ტიპის სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფოს ფორმის ქვეშ იგულისხმება, როგორც მისი მართვა-გამგეობის ფორმა, ისე სახელმწიფო წყობილების ფორმა.

მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება.

მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოს ყოფენ მონარქიებად და რესპუბლიკებად. მონარქიის დროს სახელმწიფოს სათავეში დგას ერთი პიროვნება – მონარქი, რომლის ძალაუფლება მემკვიდრეობით გადადის. სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვაგვარად უწოდებენ (მეფე, იმპერატორი, შაჰი, სულთანი და სხვ). ისტორიულად არსებობდა როგორც აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია (მაგ., აღმოსავლეთის დესპოტიები, ფეოდალიზმის ეპოქის აბსოლუტური მონარქიები), ასევე შეზღუდული ანუ კონსტიტუციური მონარქიები (მაგ., კაპიტალიზმის ეპოქის მონარქიები დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ესპანეთში).

რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია (მაგ., საფრანგეთი, საქართველო, ბულგარეთი). რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორი სახის: საპრეზიდენტო და საპარლამენტო.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ხელში თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილება. სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტო მნიშვნელოვნად დამოკიდებელია ერთმანეთთან. პრეზიდენტი ირჩევა ხალხის მიერ, იგი ქმნის მთავრობას. საპარლამენტო რესპუბლიკაში გამოცხადებულია პარლამენტის უზენაესობა. არსებობს მინისტრთა კაბინეტი, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული თავისებურებანი, ის ურთიერთობა, რაც არსებობს სახელმწიფოს, როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის, ხელისუფლების ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით სახელმწიფოებს ყოფენ **მარტივ** ანუ **უნიტარულ** და **ფედერაციულ** ანუ **რთულ სახელმწიფოებად**. უნიტარულ სახელმწიფოში არსებობს მთელი ქვეყნისათვის საერთო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. სახელმწიფო იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (ოლქი, გუბერნია, რეგიონი, პროვინცია და ა.შ). ფედერაციაში შემავალ წევრ-სახელმწიფოს გააჩნია ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანო (მაგ., აშშ, კანადა, მექსიკა). არსებობს ასევე კონფედერაციის ცნებაც. კონფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოთა გაერთიანებას მათი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე დარგში (სავაჭრო, სამხედრო), რისთვისაც იქმნება საერთო ორგანოები და მუშავდება საერთო პოლიტიკა. კონფედერაცია არ არის მყარი და მუდმივი გაერთიანება. იგი ან ფედერაციაში გადაიზრდება ან ცალკეულ სახელმწიფოებად დაიშლება. ისტორიულად კონფედერაციას წარმოადგენდნენ აშშ, გერმანია, შვეიცარია.

სახელმწიფოს ფორმა ეწოდება საზოგადოების მმართველი ფენის ან მოსახლეობის უმრავლესობის მიერ თავისი ძალაუფლების განხორციელებისათვის დადგენილ ან ხალხის მიერ არჩეულ სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რაც გამოხატულებას პოულობს მმართველობის ფორმასა და სახელმწიფო წყობილების ფორმაში.

სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას, თავისი საქმიანობის პროცესში უხდება ამოცანების განხორციელება.

სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად და მთავარ მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახეებსა და მხარეებს, რაც მისი სოციალური შინაარსით, მის წინაშე მდგომი ამოცანებით განისაზღვრება, **სახელმწიფოს ფუნქციები** ეწოდება.

სახელმწიფოს საქმიანობა მეტად ფართოა და მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის საკითხებს, სამხედრო საქმეს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფას, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სხვ. ამიტომაც მისი ფუნქციები მრავალია. ზოგიერთი ფუნქცია უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას ემსახურება და სახელმწიფოში ძირითად ფუნქციებს შეადგენს. ზოგიერთი კი კონკრეტული სახის საქმიანობასთან არის დაკავშირებული და არაძირითად ფუნქციებს წარმოადგენს. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები იყოფა **საგარეო** და **საშინაო** ფუნქციებად. საშინაო ფუნქციები მოიცავს სახელმწიფოს საქმიანობას ქვეყნის შიგნით, საგარეო ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობაში.

თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის სახელმწიფო ქმნის აპარატს. იგი წარმოადგენს მეტად რთულ ორგანიზაციას და შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, მიუხედავად განსხვავებული კომპეტენციისა, ფუნქციებისა და საქმიანობის მეთოდებისა და ფორმებისა.

სახელმწიფოს მექანიზმი არის სხვადასხვა ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის საშინაო და საგარეო ფუნქციებს.

სახელმწიფოს მექანიზმია:

– სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც იქმნება მოსახლეობის მიერ, ამა თუ იმ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში ესენი არიან არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები. თავის მხრივ, ისინი იყოფა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად (მაგ., პარლამენტი, კონგრესი) და ადგილობრივ ორგანოებად (მაგ., საკრებულო).

– სახელმწიფოს მმართველობის ანუ აღმასრულებელი ორგანოები, რომელსაც, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან სხვადასხვა გზით. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები იყოფა: მმართველობის უმაღლეს ორგანოებად (მინისტრთა კაბინეტი, მინისტრთა საბჭო) და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებად (მერია, გამგეობა). ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტს ხალხი ირჩევს, პრეზიდენტი ქმნის მთავრობას (მაგ., აშშ, საქართველო).

– სამართალდამცავი ორგანოები, მათგან ცალკე უნდა გამოვყოთ სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო. სამართალდამცავ ორგანოებში შედის ასევე პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, უშიშროების ორგანოები, სასჯელაღმსრულების ორგანოები და სხვა.

– აღამიანთა შეიარაღებული ორგანოები (არმია, პოლიცია). შეიარაღებულ ძალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ძალაუფლების განხორციელების საქმეში, მაგრამ დემოკრატიულ სა-

ხელმწიფოში არმია არ უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის საშინაო საქმეების გადასაწყვეტად. არმია აუცილებელია საგარეო ფუნქციის შესასრულებლად. პოლიციის მეშვეობით ხდება ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. პოლიცია ატარებს ასევე სხვადასხვა სახის იძულებით ღონისძიებებს (დაპატიმრება, ჩხრეკა, დემონსტრაციის დაშლა). სახელმწიფო მექანიზმის ამავე ნაწილს მიეკუთვნება დაზვერვის ორგანოები.

ხელისუფლების ასეთი დანაწილების პრინციპი - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, მიღებულია დღევანდელი მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოში, უძველესი დროიდან ჯერ კიდევ პლატონი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო აპარატში მუშაობა უნდა ემყარებოდეს შრომის დანაწილების პრინციპს: „თითოეულს შეუძლია კარგად გააკეთოს მხოლოდ ერთი და არა მრავალი საქმე; თუ ვინმე შეეცდება ერთდროულად მრავალი საქმის კეთებას, იგი ვერაფერს მიაღწევს.“

პოლიტიკური სისტემის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სახელმწიფო მექანიზმის ცნება. მასში, გარდა სახელმწიფოს მექანიზმისა, შედიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პარტიები, კავშირები, მოძრაობები და სხვა), რომლებიც ასევე მონაწილეობენ სახელმწიფოს საქმეებში ან გავლენას ახდენენ სახელმწიფო ორგანოების ფორმირებასა და საქმიანობაზე.

სახელმწიფო ფორმასთან დაკავშირებულია პოლიტიკური რეჟიმის ცნება. ერთსა და იმავე მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების მქონე ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი.

პოლიტიკური რეჟიმი არის მმართველი ფენის მიერ თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრული ხერხების გამოყენების შედეგად სახელმწიფოში დამყარებული წესრიგი.

პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ანსხვავებენ ტოტალიტარულ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებს. **ტოტალიტარულ სახელმწიფოში** ხალხის როლი მთლიანად იგნორირებულია, ადამიანის პირად ცხოვრებაში მთავრობის ჩარევა შეუზღუდავია, ხელისუფლება მთლიანად დიქტატორისა და მისი გარემოცვის ხელშია.

ავტორიტარულ სახელმწიფოში, თუმცა შეზღუდულად, მაინც ფუნქციონირებს სამართლებრივი ინსტიტუტები, დაცულია კანონიერება და მასთან ერთად მართლწესრიგი. თუმცა, პირადი დიქტატურის ელემენტებიც საკმაოდ ძლიერად ხორციელდება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს კანონის უზენაესობა, ხალხი რეალურად მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, დადგენილი და გარანტირებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ როგორი პოლიტიკური რეჟიმია ქვეყანაში, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად მონაწილეობს მოსახლეობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნასა და საქმიანობაში, რამდენად სარგებლობენ უფლებებით სახელმწიფოში არსებული ავტონომიური ერთეულები, დაცულია თუ არა კანონიერების პრინციპი და ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და სხვა.

ფაშისტური რეჟიმის დროს, მართალია ფორმალურად არსებობდა ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მაგრამ მათ ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი მნიშვნელობა და მთელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო ფაშისტ-მეთაურთა ხელში.

სახელმწიფოს ფორმასა და პოლიტიკურ რეჟიმზე გავლენას ახდენს ასევე პოლიტიკური მდგომარეობა, მოსახლეობის კულტურის დონე, ტრადიციები და სხვა.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის ცნება;
2. სახელმწიფო წყობილების ფორმის დახასიათება;
3. სახელმწიფოს მექანიზმის დახასიათება;
4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება.

1.5. სამართლებრივი ურთიერთობები. სამართლის სუბიექტები

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. ადამიანები თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის პროცესში მრავალმხრივ ურთიერთობებს ამყარებენ. მათ ახასიათებთ სხვადასხვაგვარი ურთიერთობა ოჯახში, საზოგადოებაში, სამუშაო პროცესში და სხვა. სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართლის ნორმის საფუძველზე. სამართლის ნორმის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. ეს უფლებები და მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამება. ე.ი. თითოეული მხარის

უფლებას, განახორციელოს რაიმე ქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება, როგორც წესი, შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობას - დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება დაკავშირებულია გარკვეულ იურიდიულ ფაქტებთან.

იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას. სამართლის ნორმები თავისთავად არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, ამისათვის საჭიროა იურიდიული ფაქტის არსებობა.

სამართლებრივი ურთიერთობა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

სამართლებრივი სუბიექტი არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით და დაკისრებული აქვს გარკვეული მოვალეობები.

ყველა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს რამოდენიმე სამართლის სუბიექტი, მაგრამ არანაკლებ ორისა, ვინაიდან ეს არის ურთიერთობა მხარეებს შორის. როგორც წესი, სამართლის სუბიექტს ერთდროულად გააჩნია უფლებაც და მოვალეობაც. უფრო იშვიათად სამართლის სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უფლება ან დაეკისროს მხოლოდ მოვალეობა (მაგალითად, სესხის ხელშეკრულება). სამართლის სუბიექტის ცნებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა შინაარსი იყო ჩადებული. მონათმფლობელურ სახელმწიფოში სამართლის სუბიექტი იყო მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე. მონა არ სარგებლობდა არავითარი უფლებებით და განიხილებოდა, როგორც ნივთი. არც ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა თუნდაც ფორმალური თანასწორობა. ბატონს შეეძლო ყმა-გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მხოლოდ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გამოაცხადა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე და ყველა მოქალაქე და კანონით ნებადართული ორგანიზაცია სამართლის ობიექტად ჩათვალა.

მოქალაქე გამოდის მეტად მრავალრიცხოვან სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილედ. ეს ურთიერთობა შეიძლება წარმოიქმნას მოქალაქეებს შორის (მაგ., საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის (საარჩევნო სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანიზაციას შორის (შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალაქესა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის (პარტიის წევრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა).

მრავალფეროვანი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოიშობა ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის პროცესში. ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, დაწყებული ნედლეულის მოპოვებით, პროდუქციის დამზადებით, ხარისხის უზრუნველ-ყოფით, მისი რეალიზაციით, ტრანსპორტირებით, დამთავრებული სხვადასხვა მომსახურების გაწევით, ფინანსური ურთიერთობებით, საგადასახადო და სხვა ვალდებულებების შესრულებით, რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმებით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, პირი ვალდებულია ჩამოყალიბდეს კანონით დადგენილ ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (შპს, ინდივიდუალური მეწარმე, სააქციო საზოგადოება და სხვა), გაიაროს რეგისტრაცია, გატარდეს სამეწარმეო რეესტრში გადასახადის გადამხდელად. ყოველივე ამის შემდეგ პირი (იქნება ის ფიზიკური, თუ იურიდიული), უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც აკრძალული არ არის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით.

მრავალი სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ბიზნესთან დაკავშირებული მრავალმიმართულებიანი საქმიანობა. ამასთან, მთელი რიგი ურთიერთოები ეროვნულ სამართლებრივ ნორმებთან ერთად მოწესრიგებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოქმედებენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

საერთაშორისო ბიზნესი, მაგალითად საქონლის შეძენა საზღვარგარეთის ქვეყანაში (იმპორტი) ან საქართველოში წარმოებული საქონლის გატანა (ექსპორტი) რეგულირდება აგრეთვე სხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად. თუ საქართველოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა შეიძინა გერმანიაში ნებისმიერი საქონელი, პირველ რიგში გერმანიის ტერიტორიაზე ამ საქონლის შესყიდვა ხორციელდება იქ მოქმედი კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, როგორც მრავალმხრივი, ისე გერმანიასთან დადებული საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებებით. შემდეგ ხორციელდება შეძენილი საქონლის ტრანსპორტირება სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე (ტრანზიტით), რომლებიც აგრეთვე რეგულირდება ამ ქვეყნების კანონმდებლობითა და მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათლად არის წარმოდგენილი ის მრავალი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვის დროს. ამ სამართლებრივ ურთიერთობებში ერთის მხრივ მონაწილეობენ სახელმწიფო სუბიექტები (საჯარო სამართლის იურიდიული პირები), მეორეს მხრივ კერძო საწარმოები (კერძო სამართლის იურიდიული პირები, ასევე ფიზიკური პირები). ბიზნესი შეიძლება განხორციელდეს, როგორც ქვეყნის შიგნით ჩამოთვლილი სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების მონაწილეობით, ისე ქვეყნის გარეთ სხვა სახელმწიფოების სუბიექტებთან ურთიერთობებით ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

საკონტროლო კითხვები:

1. სამართლებრივი ურთიერთობების დახასიათება;
2. იურიდიული ფაქტის ცნება;
3. სამართლის სუბიექტის ცნება.
4. სამართლებრივი ურთიერთობები ბიზნესის სფეროში

1.6. სამართლის სუბიექტის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. სამართლის ნორმის ცნება, სამართლის წყარო, პრეცედენტი, კანონის განმარტება

სამართლებრივ ურთიერთობებში ყველა სამართლის სუბიექტის ძირითადი ნიშანია უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი ანუ იურიდიული შესაძლებლობა, იქონიოს გარკვეული უფლებები და მოვალეობები. ე.ი. იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ანუ სუბიექტი.

პიროვნების სამოქალაქო უფლებაუნარიანობა არის მისი შესაძლებლობა, ჰქონდეს სამოქალაქო ანუ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. ცალკეულ ურთიერთობებში ფიზიკური პირი შეიძლება ყოველთვის გამოდიოდეს, როგორც სუბიექტი ჩასახვიდან და დაბადებიდან გარდაცვალებამდე. მაგალითად, მემკვიდრეობის მიღება, სახელის უფლება, ქონების მესაკუთრედ ცნობა და სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ადამიანს, რომელიც სამოქალაქო უფლებაუნარიანობით სარგებლობს, **ფიზიკურ პირს** უწოდებენ.

მოქალაქის უფლებაუნარიანობის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, ვინაიდან ქონებრივი უფლებაუნარიანობის გარდა შეიცავს პოლიტიკურს, შრომით და პირად უფლებებს ისევე, როგორც მოვალეობებს. უფლებაუნარიანობა უმთავრესად შეზღუდულია პიროვნების ასაკით (მაგალითად, არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მოქალაქეს ეძლევა 18 წლის ასაკიდან. შრომით ურთიერთობაში მონაწილეობა შეუძლია 14 წლის ასაკიდან). ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ისპობა მის გარდაცვალებასთან ერთად. ჩვენს ქვეყანაში გარკვეულ ფარგლებში უფლებაუნარიანობით სარგებლობენ უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (ქონებრივი ხასიათის უფლებაუნარიანობა), რაც შეეხება პოლიტიკურ და ზოგიერთი სხვა სახის უფლებაუნარიანობას, უცხოელები არ შეიძლება გათანაბრებული იყვნენ ჩვენს მოქალაქეებთან.

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობა გააჩნია მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ასაკობრივი და ფსიქიკური მდგომარეობით შეუძლია შეგნებულად იმოქმედოს და შეაფასოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგი. ბავშვები 7 წლამდე მართალია უფლებაუნარიანები არიან, მაგრამ მათ არა აქვთ ქმედუნარიანობა. მათ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებენ მშობლები ან მეურვეები. კანონით დადგენილია შეზღუდული ქმედუნარიანობა შვიდიდან თვრამეტ წლამდე. ამ ასაკის ფარგლებში არასრულწლოვანს შეზღუდულად შეუძლია განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობა. მაგალითად 14 წლიდან დადოს შრომითი ხელშეკრულება, დახარჯოს მიღებული ხელფასი და სხვ. სრული ქმედუნარიანობა მოქალაქეს ენიჭება 18 წლის ასაკიდან. ზოგჯერ სრულწლოვანიც შეიძლება იყოს ქმედუუნარო, მაგალითად, სულით ავადმყოფი. მას შეუძლია ჰქონდეს ქონებრივი უფლებაუნარიანობა, მაგრამ არ შეეძლოს თავისი მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები. გარდა მოქალაქეებისა, სამართლის სუბიექტები არიან ასევე საწარმოო დაწესებულებები და ორგანიზაციები. სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფოც. იგი, ძირითადად, სამართლის სუბიექტად გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში.

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშნებია: გარკვეული ქონების არსებობა, რომლის ფარგლებში მას შეუძლია დამოუკიდებლად აგოს პასუხი ვალდებულების შესრულებაზე. იგი გამოდის საკუთარი სახელით სამართლებრივ ურთიერთობაში და სასამარ-

თლო პროცესში მონაწილეობს როგორც ერთ-ერთი მხარე. მას გააჩნია საკუთარი დებულება ან წესდება, აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის საფუძველზე გააჩნია გარკვეული უფლება-მოსილება.

საქართველოს კანონმდებლობით იურიდიული პირი არის ორი სახის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და კერძო სამართლის იურიდიული პირი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება კანონმდებლობის საფუძველზე და მათ მიეკუთვნება სახელმწიფო დაწესებულებები. კერძო სამართლის იურიდიული პირი არის კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევს ან არ მისდევს მეწარმეობას. ასეთ იურიდიულ პირებს განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და კოოპერატივი.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნება ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირები. კერძო სამართლის იურიდიული პირს (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო, ასევე არაკომერციულს) უფლება აქვს განახორციელოს კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

თითოეულ იურიდიულ პირს აქვს როგორც უფლებაუნარიანობა, ისე ქმედუნარიანობა. მას სპეციალურ უფლებაუნარიანობას უწოდებენ, ვინაიდან მისი მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული მიზნებით და ამოცანებით. თავისებურება ახასიათებს ასევე იურიდიული პირის ქმედუნარიანობას. იგი უშუალოდ არ მოქმედებს და თავის უფლებამოვალეობებს ახორციელებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს უფლება და მოვალეობა.

უფლება არის სამართლის სუბიექტის შესაძლებლობა, სამართლის ნორმის საფუძველზე, შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება. უფლება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი, განსხვავდება უფლებაუნარიანობისაგან. უფლებაუნარიანობა სამართლის ყველა სუბიექტს გააჩნია, ხოლო უფლებას სუბიექტი იძენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას. მოვალეობის შესრულების მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული პირის მიმართ ან პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ.

მოვალეობა ეწოდება სამართლის სუბიექტის ისეთ სავალდებულო ქცევას, რაც მან უნდა შეასრულოს სამართლის ნორმის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად. სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირებს გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობები და ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება. ცალკეულ შემთხვევაში პირს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ უფლება ან დაკისრებული ჰქონდეს მხოლოდ მოვალეობა, მაგალითად, სესხის ხელშეკრულება.

სამართლის ნორმა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესი, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.

სიტყვა „ნორმა“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს წესს, ნიმუშს, მოდელს ანუ ის ადამიანის მიერ შემოღებული გარკვეული ქცევის წესია. ნებისმიერი სამართლის ნორმა აწესრიგებს და განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა საქმიანობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამართლის ნორმა ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რა შეუძლია გააკეთოს და რაზე უნდა შეიკავოს თავი. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დადგენილია იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ უამრავი სამართლის ნორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, საზოგადოებრივი ცხოვრების თუ რომელ მხარეს, რას აწესრიგებენ ისინი. ამ საფუძვლით სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია დაკავშირებულია სამართლის სხვადასხვა დარგთან.

სამართლის დარგი წარმოადგენს სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე სფეროს. სამართლის ძირითადი დარგებია: სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, საბაჟო სამართალი და სხვ. მოქმედი სამართლის დარგები კი ქმნიან სამართლის ერთიან სისტემას სახელმწიფოში.

სამართლის ნორმა იყოფა სამ ნაწილად: **ჰიპოთეზა**, **დისპოზიცია** და **სანქცია**. ამ სამართლის ნორმების ერთობლიობას სამართლის ნორმის სტრუქტურა ეწოდება.

ჰიპოთეზა არის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია, თუ რა პირობებისა და გარემოებების არსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ნორმა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც

ადგენს უშუალოდ ქცევის წესს, წარმოადგენს **დისპოზიციას**. **სანქცია** კი განსაზღვრავს იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს, დისპოზიციით დადგენილი წესით დარღვევისათვის. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისათვის სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომლის დარღვევისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე. ამ ნორმაში ჰიპოთეზას წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დრო, დისპოზიციაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განზრახ დარღვევა, სანქცია კი თავისუფლების აღკვეთაა ათიდან თხუთმეტ წლამდე.

როგორც ცნობილია, სამართალი წარმოადგენს საზოგადოების წევრებისადმი მიმართულ მოთხოვნას იმის თაობაზე, თუ რა მოქმედება უნდა შეასრულონ მათ და რა მოქმედებისაგან უნდა შეიკავონ თავი. იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები სრულდებოდეს და სამართალდამრღვევის მიმართ სათანადო ზომები იქნეს გამოყენებული, საჭიროა ამ მოთხოვნების ჩამოყალიბება გარკვეულ ფორმაში და საზოგადოების წევრებისადმი მათი დაყვანა. სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით წინასწარ განსაზღვრავს ასეთ ფორმებს.

სამართლის წყარო არის ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმას

სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ყველა აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმას ანუ ზოგადი ხასიათის ქცევის წესს. ამიტომ ეს აქტები არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს. ასეთი აქტებით წყდება კონკრეტული ინდივიდუალური საკითხები. მაგალითად, პიროვნების დაჯილდოება. სამართლის წყაროს წარმოადგენს კანონი და სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. კანონს უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია, ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტის წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოცემული ყველა აქტი კანონს უნდა შეესაბამებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაუქმებულად ჩაითვლება.

კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საკანონმდებლო აქტები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა: **კონსტიტუციური კანონი; კოსტიტუციური შეთანხმება; ორგანული კანონი, საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.**

კონსტიტუციური კანონები აღგენენ ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საკითხებს, მოქალაქეობასა და მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საარჩევნო სისტემის პრინციპებს და სხვ. კონსტიტუციური კანონებია, რომლებსაც ცვლილებები და დამატებები შეაქვს კონსტიტუციაში. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღდგენილი იქნება მისი იურისდიქცია, კონსტიტუციური კანონის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა.

საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის საყოველთაო აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ორგანული კანონი მიიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვან და კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებზე. მისი მიღების წესი გართულებულია (მაგალითად, ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, სახალხო დამცველის შესახებ, პროკურატურის შესახებ და სხვ).

საქართველოს კანონი ანუ მიმდინარე კანონი გამოიცემა კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით წესრიგდება ქვეყანაში პარლამენტის საქმიანობა და საკანონმდებლო აქტების მიღების მექანიზმი.

ქვეყნები საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტს, რომელსაც აქვს კანონის ძალა.

გარდა კანონებისა, სამართლის წყაროს წარმოადგენს სხვ ნორმატიული აქტებიც, რომლებსაც **კანონქვემდებარე აქტებს** უწოდებენ. ასეთი აქტებია, მაგალითად, პარლამენტის დადგენილება, პრეზიდენტის ბრძანებულება, ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის გადაწყვეტილება, მერის, გამგებლის ბრძანება და სხვ.

სამართლის წყაროს წარმოადგენს ასევე ხელშეკრულება. საერთაშორისო სამართალში იგი სამართლის ძირითადი წყაროა. ქვეყნის შიგნით ხელშეკრულების მაგალითია კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც იდება მუშა-მოსამსახურეებსა და დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შორის.

ჩვეულებას, როგორც სამართლის წყაროს, უმნიშვნელო ადგილი უკავია. მოგჯერ სამართლის წყაროს წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანოს მიერ მიღებული აქტი. (მაგალითად, მისი წესდება), რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სასამართლო გადაწყვეტილება და, საერთოდ, სასამართლო პრაქტიკა არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. სასამართლოების მიერ კონკრეტულ საქმეზე, კონკრეტული ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიცავს ზოგადი ხასიათის სამართლებრივ ნორმას. იგი სავალდებულოა მხოლოდ ამ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ანალოგიური საქმეების განხილვისას სხვა სასამართლოები ვალდებული არ არიან იხელმძღვანელონ ამ გადაწყვეტილებით. აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, ბევრ ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკა სასამართლო პრეცედენტის სახით ფართოდ გამოიყენება, როგორც სამართლის წყარო. ის გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო გამოყენებას ანალოგიური საქმეების განხილვისას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ურთიერთობები არ რეგულირდება სამართლებრივი აქტით, მაგრამ თავისი იურიდიული ხასიათით საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. იურისპრუდენციაში ცნობილია ანალოგიის ორი სახე – კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია. კანონის ანალოგიის შეფარდების დროს გამოიყენება ყველაზე მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. სამართლის ანალოგიას კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი სამართლის მთელი სისტემის ზოგადი პრინციპების საფუძველზე. დღეისათვის საქართველოში ანალოგია სისხლის სამართალში არ გამოიყენება ნორმატიული აქტების სუბიექტური ინტერპრეტაციისა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის დაცვისა და ყოველგვარი თვითნებობის აღკვეთის მიზნით.

სამართლის ნორმის განმარტება. სამართლის ნორმის გამოყენებისას (შეფარდებისას) ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამართლის ნორმის განმარტება, რომელიც გულისხმობს მისი შინაარსის ლოგიკურ გააზრებას, იმის გარკვევას და დადგენას, თუ რას არეგულირებს მოცემული სამართლებრივი ნორმა, რა ამოცანების გადასაჭრელად არის მიღებული და რა აზრია მასში ჩადებული.

სამართლის ნორმის განმარტება ეს არის გარკვეული შემეცნებითი პროცესი, რომელსაც აღგილი აქვს მისი გამოყენების ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით კი კონკრეტული ნორმის შეფარდების პროცესში. სამართლის თეორიაში დამკვიდრებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ განმარტება ესაჭიროება ნებისმიერ ნორმატიულ აქტს. არსებობს ასევე საპირისპირო მოსაზრება, რომლის მიმდევრები თვლიან, რომ კანონი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს სხვადასხვა სუბიექტის მიერ, ის უნდა გამოიყენებოდეს იმ სახით, როგორც არის შედგენილი, ან განმარტება უნდა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი შედგენილია გაუგებრად, მისი ნორმები არის ურთიერთგამომრიცხავი. იმ შემთხვევაში, თუ კანონი წაკითხვისას გასაგებია და მისი შინაარსი არ იწვევს გაურკვევლობას, მაშინ არავითარი განმარტება თითქოს საჭირო არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმის განმარტება, ძირითადად, განპირობებულია გრამატიკული, ლოგიკური და საკანონმდებლო ტექნიკის არასრულყოფილებით. საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ნორმატიული აქტების მიმღები სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მაღალპროფესიულ და ეფექტიან საქმიანობასთან ერთად, საგრძნობლად შემცირდა საკანონმდებლო აქტების განმარტების საჭიროება.

იმის მიხედვით, თუ ვინ აწარმოებს სამართლის ნორმის განმარტებას (სუბიექტის მიხედვით), სამართლის თეორიაში ცნობილია **ოფიციალური** (ლეგალური) და **არაოფიციალური განმარტებები**.

ოფიციალური (ლეგალური) განმარტება იყოფა ავთენტიკურ და დელეგირებულ განმარტებად. **ავთენტიკურ** განმარტებას იძლევა სამართლის ნორმის მიმღები ორგანო. **დელეგირებული განმარტების** დროს სამართლის ნორმაში პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელ ორგანოს აქვს უფლება ან ევალება ამ ნორმატიული აქტის განმარტება.

სამართლის ნორმის არაოფიციალურ განმარტებას იძლევიან სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერები, ადვოკატები, იურისტკონსულტანტები და სხვა პრაქტიკოსი მუშაკები კანონის კომენტარებში, სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში, სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულების სტატიებსა და სხვა ნაშრომებში.

იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება განმარტების ხერხებსა და მეთოდებთან დაკავშირებით. მეცნიერთა უმრავლესობა მიუთითებს ენობრივ ანუ გრამატიკულ (ფილოლოგიურ), ლოგიკურ, სისტემატურ და ისტორიულ ანუ ისტორიულ-პოლიტიკურ მეთოდებზე.

ენობრივი ანუ გრამატიკული (ფილოლოგიური) **განმარტებისას**, ნორმის შინაარსი ირკვევა ნორმატიულ აქტში ან მუხლში სიტყვების, ტერმინების, ცნებებისა და გამონათქვამების მნიშვნელობის მიხედვით. სიტყვებსა და ტერმინებს ეძლევა ის მნიშვნელობა, რა აზრითაც ის იხმარება ლიტერატუ-

რაში, იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ამასთან, სხვადასხვა სიტყვებსა და ტერმინებს არ უნდა მიეცეს ერთი და იგივე მნიშვნელობა.

ლოგიკური განმარტება ხორციელდება ლოგიკური მეთოდების გამოყენებით. ლოგიკური ანალიზისა და გარდაქმნის საფუძველზე ხდება სამართლის ნორმის ტექსტის გააზრება მისი შინაარსის მნიშვნელობისა და შემადგენელი ნაწილების გარკვევით.

სისტემატური განმარტების დროს უპირველესად დგინდება **სამართლის ნორმის** ადგილი სამართლის მთლიან სისტემაში სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების მიხედვით. სხვა მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის ლოგიკური კავშირის დადგენით და მისი შინაარსის შედარებით, აზრობრივად გუსტდება იმ ნორმის შემადგენლობა, რომელიც ექვემდებარება განმარტებას.

ისტორიული (ისტორიულ-პოლიტიკური) **განმარტების** დანიშნულებაა, გაირკვეს ის ისტორიული ვითარება, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის დროსას მიღებული იქნა სამართლებრივი აქტი. ასევე უნდა გაირკვეს რა მიზანს და ამოცანებს ისახავდა მისი შემუშავება და მიღება. გასათვალისწინებელია ის, რომ ისტორიული ვითარების შესწავლა ყოველთვის არ არის საკმარისი სამართლის ნორმის შინაარსისა და მთლიანად მისი არსის გასარკვევად. გარკვეულ ისტორიულ პერიოდში შექმნილი კონკრეტული ურთიერთობა შეიძლება დარეგულირდეს კანონმდებლის მიერ სამართლებრივად სხვადასხვა მიდგომით. ნორმატიული აქტის მიღების დროს ისტორიული ვითარების შესწავლა მხოლოდ ააღვილებს ამ ნორმის შინაარსის გაგებას.

საკონტროლო კითხვები:

1. უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნება;
2. იურიდიული პირის ცნება;
3. უფლებისა და მოვალეობის ცნება;
4. სამართლის ნორმების სტრუქტურა;
5. სამართლის წყაროს ზოგადი ცნებები;
6. ნორმატიული აქტის სახეები;
7. სასამართლო პრეცედენტი, კანონისა და სამართლის ანალოგია;
8. სამართლის ნორმის განმარტების სახეები.

1.7. კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა. სამართალდარღვევათა სახეები და იურიდიული პასუხისმგებლობა

კანონიერების ცნებაში იგულისხმება ისეთი რეჟიმის არსებობა, რომლის დროსაც ადამიანის ქცევა გუსტად შეესაბამება ქვეყანაში მიღებულ კანონებს და სხვა კანონქვემდებარე აქტებში გამოხატულ სამართლის ნორმების მოთხოვნებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქმედებას კანონის ფარგლებში. დაუშვებლად ითვლება თვითნებობა და მკაცრად ისჯება კანონის დარღვევის ყველა შემთხვევა. ასეთი რეჟიმი არ არსებობდა არც მონათმფლობელურ და არც ფეოდალურ წყობილებაში. ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ცხოვრებაში კანონიერების პრინციპის გატარება.

კანონიერება არის სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ მოქმედი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები.

კანონიერება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ სამართლის ნორმებით დადგენილ ფარგლებში, იცავდნენ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. მეორე მხრივ, კანონიერება არის კანონების შესრულების მოვალეობა, რომელიც ეკისრება ყველა პირსა და ორგანიზაციას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. არავინ არ სარგებლობს კანონის დარღვევის უფლებით. შეუსრულებლობის შემთხვევაში, არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა და დამსახურება არ იძლევა საფუძველს პირის პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. ამასთან, ცხადია საზოგადოებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი საშუალებები, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება კანონიერების ცნების რეალურად მოქმედება. სახელდობრ, სათანადო ეკონომიკური სისტემა, დემოკრატიის მაღალი დონე, ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება და სხვ. სამართალდარღვევების თავიდან აცილების და დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად მთავარია, რომ მოქმედი კანონმდებლობა და სხვა სამართლის ნორმები შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. კანონიერების დაცვისა და განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, რითაც იგი იძლევა კანონიერების გატარების რეალურ გარანტიებს. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: იდეოლოგიური ხასიათის აღმზრდელობითი ღონისძიებები; ზედამხედველობისა და კონტროლის ზომები; იძულებითი ღონისძიებები.

აღმზრდელობით ღონისძიებაში იგულისხმება სათანადო მუშაობის ჩატარება მოსახლეობასა და თანამდებობის პირებთან, მათ შეგნებაში კანონიერების პრინციპის ჩამოყალიბების მიზნით.

ზედამხედველობისა და კონტროლის ზომებში იგულისხმება სახელმწიფოს სპეციალური ორგანოების ზედამხედველობა და კონტროლი სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ კანონიერების დაცვაზე. ეს ზომები ასევე გულისხმობს ზემდგომი ორგანოების კონტროლს, მათი ქვემდგომი ორგანოების საქმიანობაზე, რათა მათ შეასრულონ სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. კანონიერების დამრღვევი პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება გამოიხატება როგორც სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებაში, ასევე ადმინისტრაციული, დისციპლინარული და სამოქალაქო სანქციების გამოყენებაში, შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველი დარღვევისათვის. ამასთან, მოქალაქეებს უფლება ეძლევათ გაასაჩივრონ სასამართლოში თანამდებობის პირის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მათ მიმართ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილება.

კანონიერებასთან დაკავშირებულია მართლწესრიგის ცნება. **მართლწესრიგი** არის სამართლის ნორმებით რეგულირებული ის საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც მყარდება კანონიერების პრინციპის ცხოვრებაში გატარების შედეგად.

მართლწესრიგი და კანონიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მართლწესრიგის განმტკიცება კანონიერების განმტკიცებასაც გულისხმობს და, პირიქით, კანონიერების შესუსტება იწვევს ქვეყანაში მართლწესრიგის დარღვევის ფაქტებს.

კანონიერების მოთხოვნისა და მართლწესრიგის დაცვის აუცილებელ პირობას მოქმედი სამართლის ნორმების შესრულება წარმოადგენს.

მართლზომიერი ქცევა არის ადამიანის ისეთი ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმების მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე, **სამართალდარღვევა** არის ისეთი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმების ანუ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. მართლზომიერი მხოლოდ ის ქცევაა, რომელიც სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებშია მოწესრიგებული. ამიტომ, თუ იგი სამართლებრივი ნორმებით არ არის მოწესრიგებული, მართლზომიერს ვერ ვუწოდებთ, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს იგი.

სამართალდარღვევად უმეტესად ითვლება მოქმედება, მაგრამ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც, როდესაც პირს სამართლის ნორმით ევალებოდა რაიმე მოქმედების შესრულება და მან იგი არ შეასრულა. ადამიანის ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩამდენი პირი შეგნებულად მოქმედებდა და შეეძლო ანგარიში გაეწია საკუთარი ქცევისათვის. ამიტომ, ადამიანი უნდა იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული და შერაცხადი. გარდა ამისა, პირის ქცევა უნდა იყოს ბრალეული ანუ ჩადენილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. განზრახვას აქვს ორი სახე: პირდაპირი და არაპირდაპირი.

ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ქმედება არაპირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

გაუფრთხილებლობას აქვს ორი სახე: თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

სამართალდარღვევა რამდენიმე ჯგუფად იყოფა იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია ის საზოგადოებისათვის და რამდენად მნიშვნელოვანია ის ბიანი, რომელიც შეიძლება მან მიაყენოს პიროვნებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას და სახელმწიფოს. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით, განასხვავებენ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევას: სისხლის სამართლებრივ დარღვევას ანუ დანაშაულს, რომელიც ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, ასევე ადმინისტრაციულ, დისციპლინარულ და სამოქალაქო სამართალდარღვევებს.

დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ანუ გადაცდომად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

დისციპლინური სამართალდარღვევა არის საჯარო და კერძო საწარმოს მუშაკის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს.

სამოქალაქო სამართალდარღვევა არის პირის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც არღვევს ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს და ქონებრივ ზიანს აყენებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთ პირად ურთიერთობებს.

ყველა სამართალდარღვევა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს სამართალდარღვევათა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. სამართალდარღვევათა სახეების შესაბამისად, არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინარული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევის მიმართ ისეთ არახელსაყრელი და არასასურველი სხვადასხვა სახის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც სამართლის ნორმებშია დადგენილი სახელმწიფოს მიერ.

ამგვარი პასუხისმგებლობის დაწესება მიზნად ისახავს სამართალდამრღვევათა სათანადო დასჯას, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, შემდგომში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და, საერთოდ, სახელმწიფოში კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებას.

საკონტროლო კითხვები:

1. კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება;
2. მართლზომიერი ქცევისა და სამართალდარღვევის დახასიათება;
3. სამართალდარღვევათა სახეები და იურიდიული პასუხისმგებლობა.

1.8. ნორმატიული აქტების სახეები, იერარქია, მიღება და ძალაში შესვლა

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს. ამ კანონის თანახმად, სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი,რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ის მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.

საქართველოს ნორმატიული აქტებია: *საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, პრეზიდენტის დეკრეტი და ბრძანებულებები, პარლამენტის დადგენილება, მთავრობის დადგენილება, ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილება, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიეს ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება, საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება, ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება, საქართველოს მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვა-*

ნელთა ბრძანება, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილება, დადგენილება, ბრძანება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ნორმატიული აქტებია: მათი კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტი, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება, მთავრობის დადგენილება, მათი მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უწყებების ხელმძღვანელთა ბრძანება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებია: მათი წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო) გადაწყვეტილება და აღმასრულებელი ორგანოს (მერია, გამგეობა) ხელმძღვანელის ბრძანება.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: *კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, პრეზიდენტის დეკრეტი.*

კონსტიტუციური კანონი მიიღება პარლამენტის მიერ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას. კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხზე, რომელთა მოწესრიგება კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონებითაა გათვალისწინებული. საქართველოს კანონი მიიღება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის გათვალისწინებული ორგანული კანონით.

კოდექსი არის ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა სისტემატიზებული კანონი.

პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის არსებობისას იღებს დეკრეტს, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში უნდა გამოვყოთ: პარლამენტის დადგენილება და პრეზიდენტის ბრძანებულება. ნორმატიულია პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც ეხება რეგლამენტის მიღებას, გაუქმებას ან მასში ცვლილებების შეტანას. პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულება ნორმატიული აქტია. გამონაკლისია ბრძანებულება, მთავრობის წევრის – მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის ან გათავისუფლების შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ და სხვა საკითხებზე, რომლებიც ეხება კონკრეტულ პირებს.

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარო ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს მიერ ხელმოწერილი და ქვეყნის პარლამენტს რატიფიცირებული აქვს მრავალი საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება და შეთანხმება. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ**. აღნიშნულიდან გამომდინარე თუ ჩვენი ეროვნული საკანონმდებლო აქტების დებულებები ეწინააღმდეგება და არ შეესაბამება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონვენციებს და შეთანხმებებს ანუ აღგილი აქვს კოლიზიას, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

კანონს სახელმწიფოში უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტის წინაშე. კანონს იღებს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. ზოგიერთ ქვეყანაში კანონის მიღება ხდება ასევე საყოველთაო სახალხო კენჭისყრით ანუ რეფერენდუმით. კანონის წამყვანი ადგილი და მნიშვნელობა განაპირობებს მისი მიღების განსაკუთრებულ წესს. ეს წესი შეიძლება დადგენილ იქნეს კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით. კანონის მიღების წესი გულისხმობს რამოდენიმე საფეხურის თანმიმდევრობას, რომელიც ერთიანი საკანონმდებლო პროცესის სტადიებს წარმოადგენს. ეს სტადიებია: კანონპროექტის მომზადება, კანონპროექტის შეტანა, კანონპროექტის განხილვა, კანონპროექტის მიღება, კანონის გამოქვეყნება.

კანონპროექტის შეტანა დაკავშირებულია საკანონმდებლო ინიციატივასთან.საკანონმდებლო ინიციატივა ნიშნავს ამა თუ იმ ორგანოს ან ცალკეული პირის უფლებას – საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად შეიტანოს წინადადება კანონის მიღების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი უფლებებით სარგებლობენ: საქართველოს პრეზიდენტი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავრობა, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და არანაკლებ 30000 ამომრჩეველი. საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ორგანოთა და პირთა ზუსტად განსაზღვრა კანონით სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვას არა

აქვს უფლება, შეიტანოს წინადადება ამა თუ იმ კანონის მიღების შესახებ. ამგვარი წინადადების უშუალო განხილვა არ ხდება პარლამენტში. მას შეისწავლიან საკანონმდებლო ინიციატივის მქონე პირები ან ორგანოები და თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან, შეიტანენ პარლამენტში განსახილველად.

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი წესით ლობისტად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან მოქალაქეთა ორმოცდაათკაციან ჯგუფს უფლება აქვს ასევე ნორმატიული აქტის პროექტის ან ნორმატიულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტის წარდგენისა. კანონპროექტის განხილვა, ჩვეულებრივ, იწყება იმ ორგანოს წარმომადგენლის მოხსენებით, რომელსაც შეაქვს კანონპროექტი, ხოლო მომხსენებლად გამოდის სათანადო კომიტეტის ან მთავრობის წარმომადგენელი. კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია პარლამენტის ყველა წევრს და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ სპეციალისტებს. განხილვის სტადია მთავრდება მომხსენებლის საბოლოო სიტყვით. ესა თუ ის კანონპროექტი შეიძლება გამოტანილ იქნეს მოსახლეობის განსახილველად. კანონპროექტის მიღება საკანონმდებლო პროცესის შემდგომი სტადიაა. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სხვადასხვა სახის კანონის მისაღებად, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხმების სხვადასხვა რაოდენობაა საჭირო. კანონის გამოქვეყნება საკანონმდებლო პროცესის დამამთავრებელი სტადიაა. ვინაიდან კანონი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი ცნობილი გახდება მოსახლეობისათვის. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ხუთი დღის განმავლობაში გადაეცემა პრეზიდენტს. იგი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონპროექტს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. შენიშვნების მიღების ან მიუღებლობის შემთხვევაში, კანონპროექტი გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის განმავლობაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. კანონი უნდა გამოქვეყნდეს სპეციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში, აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

კანონი შეიძლება შეეფარდოს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან მისი გამოცემისა და ძალაში შესვლის შემდეგ. კანონის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და მოქმედების შეწყვეტის ფარგლებით. კანონი ძალას კარგავს ვადის გასვლის შემდეგ, მისი ოფიციალურად გაუქმების შემდეგ ან, კიდევ, იმავე საკითხებზე ახალი კანონის მიღების შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნული საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, ზოგიერთ შემთხვევაში კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა.

კანონის უკუძალად მიიჩნევა მისი მოქმედების გავრცელება იმ ურთიერთობებსა და ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ კანონის გამოსვლამდე. ეს მოთხოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციაში, რომელიც 42-ე მუხლის შესაბამისად: „არავინ არ აგებს პასუხს იმ მოქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. ცალკე უნდა განვიხილოთ საკითხი სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ. კონსტიტუციიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კანონს უკუძალა ეძლევა ორ შემთხვევაში:

- როდესაც სისხლის სამართლის ახალი კანონი აუქმებს ამა თუ იმ დასჯადობას;
- როდესაც ახალი კანონი ამსუბუქებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუძალა, თუ იგი დანაშაულად აცხადებს იმ მოქმედებას, რომელიც მანამდე სისხლის სამართლის წესით არ ისჯებოდა. როდესაც ახალი კანონი ადგენს სასჯელს ამა თუ იმ დანაშაულისათვის, კანონისათვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული ახალი კანონის ტექსტში. იშვიათ შემთხვევაში, კანონს უკუძალა შეიძლება მიეცეს მაშინაც, როდესაც ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ სპეციალური აქტით დაადგინა ამ კანონისათვის უკუძალის მიცემის შესახებ. ეს წესი ფაქტობრივად ვრცელდება აღმინისტრაციული და სხვა სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

ნორმატიული აქტების მოქმედება სივრცეში, განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომლის ფარგლებშიც მას აქვს სავალდებულო ძალა. ამისათვის უნდა დადგინდეს, თუ რომელი ორგანოს მიერ არის ესა თუ ის ნორმატიული აქტი გამოცემული. საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცემული აქტები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ადგილობრივი ორგანოს ნორმატიული აქტები შესაბამისად ამ ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე.

ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები ვრცელდება პირთა წრის მიმართ არა მარტო საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საქართველოს საკანონმდებლო აქტები შეიძლება გავრცელდეს საქართველოს იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს დანაშაული.

ნორმატიული აქტი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ ნორმატიულ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებული (გამოცემული) იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ამ აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო დადგენილი წესით არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ.

ნორმატიული აქტების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი, რომელშიც უნდა შევიდეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი. აღნიშნულ ნორმატიულ აქტების სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ანიჭებს მას სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდს.

ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ყველას აქვს უფლება გაეცნოს ნორმატიული აქტების სახელწიფო რეესტრში შეტანილ მონაცემებს, გარდა „საიდუმლო“ ნორმატიული აქტებისა. აკრძალულია დაწესდეს რაიმე სახის გადასახადი ან შეიქმნას სხვა სახის დაბრკოლება ნორმატიული აქტის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის გადახდევინების გარდა.

საკონტროლო კითხვები:

1. ნორმატიული აქტების სახეების დახასიათება;
2. კანონის მიღების წესი და სტადიები;
3. კანონის ძალაში შესვლა და უკუძალის ცნება;
4. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ;
5. ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი.

1.9. სამართალი და ეკონომიკა

სამართლის ზოგადი დანიშნულებაა მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება და მოწესრიგება. სამართლებრივი ნორმები მიიღება საზოგადოების მოთხოვნებიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. სამართლის ფუნქცია ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციას და თავისი ამოცანებითა და მიზნებით ისინი ერთმანეთთან პირდაპირ ურთიერთკავშირშია. *სამართლის ნორმებით (კონსტიტუციური ნორმებით) განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, მოქალაქეების ძირითადი უფლებები და გარანტიები. სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება სოციალური, სამეწარმეო, საგადასახადო, საბაჟო, ეკოლოგიური, სამართალდაცვითი და სხვა ურთიერთობები.*

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართალი და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. სამართლის ბუნება, მისი დანიშნულება განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებითა და სისტემებით. საბაზრო ეკონომიკის დროს, კერძო საკუთრების ძირითად და პრიორიტეტულ პირობებში, სამართალი უპირატესად გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს. ცნობილია, რომ სამართლებრივი ნორმა, რომელიც არ აკმაყოფილებს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რჩება მხოლოდ ქაღალდზე და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

სამართლებრივი ნორმებით სახელმწიფოში რეგულირდება ეკონომიკური საკითხები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მრავალმიმართულებიანი და მრავალდარგოვანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. საკანონმდებლო აქტებით დგინდება სახელმწიფოში საკუთრების ფორმა, რომელიც დღევანდელ დემოკრატიულ ქვეყნებში ეკონომიკის ძირითადი საფუძველია. სამართლებრივი ნორმებით არის მოწესრიგებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს), კომანდიტური საზოგადოების (კს), სააქციო საზოგადოების (სს), კოოპერატივისა და აგრეთვე არა იურიდიული პირების – სამეწარმეო ამხანაგობისა და ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობა, ზოგადად ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ფორმირება დამოკიდებულია საზოგადოების განვითარებაზე, სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკაზე, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთდამოკიდებულ და განმსაზღვრელ პროცესებზე.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს განვითარება და მათ შორის თანამედროვე ცივილური ბიზნესის წარმართვა შეუძლებელია სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების დაცვის გარეშე. ბიზნესის განვითარება შესაბამისად მოითხოვს სისტემურ სამართლებრივ ცვლილებებს და მის სრულყოფას. დახვეწილი, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გარეშე წარმოუდგენელია მრავალფეროვანი ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება კერძო ბიზნესის დაწყება (საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია სამეწარმეო ანუ კერძო ბიზნესის წარმართვა შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებისა და რეგისტრაცის გარეშე), ურთიერთობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან და სხვა კერძო სამართლის სუბიექტებთან, საკუთრების შეძენა და გასხვისება, მოგების მიღება და განაწილება, შრომითი ურთიერთობები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის და სხვა მრავალმიმართულებიანი საკითხები.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება სხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა. მაგალითად, საქონლის შეძენა ან გატანა სხვა ქვეყანაში, ფინანსური საკითხების მოგვარება, გადაზიდვების განხორციელება, დადგენილი სტანდარტებით საქონლის ხარისხის უზრუნველყოფა და სხვა მრავალი საქმიანობა.

სახელმწიფოს მხრიდან თანამედროვე ბიზნესის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების მიღება, მის აღსრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება პირდაპირ კავშირშია ხელსაყრელი ბიზნესის გარემოს შექმნასთან, შესაბამისად მისი მასშტაბების გაფართოებასთან, ინვესტიციების მოზიდვასთან და მთლიანობაში კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან. სამართლებრივი ნორმებით ასევე რეგულირდება სამეწარმეო საქმიანობის წამყვანი მიმართულებები დაწყებული ნედლეულის მოპოვებით, მისი გადამუშავებით, შემდეგ პროდუქციის გამოშვებით, ასევე ურთიერთდამოკიდებულება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, დამთავრებული ამ პროდუქციის ფასწარმოქმნით, სავაჭრო ობიექტებამდე ტრანსპორტირებითა და რეალიზაციით.

გარდა ამისა, *სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნით სახელმწიფო იცავს ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შიდა ბაზარს, ხელს უწყობს ქვეყნის შიდა ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირებას, ახორციელებს და წყვეტს ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მრავალ ამოცანას.*

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ პერიოდში სახელმწიფოში შექმნილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ღრმა მეცნიერულ პროგნოზირებაზე დაფუძნებული საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებაზე. ქვეყანაში შექმნილი ფაქტორების, მისი განვითარების დონის გათვალისწინებით შემუშავებული და მიღებული სამართლებრივი ნორმები ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამუხრუჭებს მას, რაც, ბუნებრივია, აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. თავისთავად, განვითარებული და ძლიერი ეკონომიკა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემების განვითარებისა და სტიმულირების საფუძველია.

სახელმწიფოში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, სამართალზე გავლენას ახდენს აგრეთვე მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ზნეობა და მორალი, კანონმორჩილება, კულტურული განვითარების დონე და სხვა. ადამიანთა შორის მყარდება მრავალგვარი ურთიერთობა ყოფაცხოვრებაში, ბიზნესის საქმიანობაში, ოჯახში, სწავლის პროცესში, პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სხვა ყოველდღიური საქმიანობის სხვადასხვა პროცესში. აქედან, ყველა მიმართულება, სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება. ნაწილი ურთიერთობებისა მოწესრიგებულია ჩვეულებითი, ზნეობრივი და მორალური ნორმებით. ზნეობა და მორალი შემუშავებულია ხალხის მიერ და ჩამოყალიბებულია საუკუნეების მანძილზე და ეს ნორმები იქმნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე. გარდა იმისა, რომ ჩვეულებები, ზნეობრივი და მორალური ნორმები სახელმწიფოს მიერ მისი სანქციით ხშირ შემთხვევაში გადაიქცევა სამართლის ნორმად (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისათვის, გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის), ისინი ასევე ხელს უწყობს სამართლის ნორმების შესრულებას საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ისეთი შეხედულებებისა და წარმოდგენების მეშვეობით, როგორიცაა: წესიერება, უწესობა, ბოროტება, სინდისი და პატიოსნება. სამართლის ნორმის დარღვევა მიუთითებს კანონმდებლობისა და კულტურის დაბალ დონეზე და განიხილება, როგორც უზნეო საქციელი, რომელიც საზოგადოების მხრიდან, იურიდიულ პასუხისმგებლობასთან ერთად, განკიცხვასაც იწვევს.

საქართველოში მიღებულია მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე წარმოშობილ სხვადასხვა ურთიერთობას. ქვეყნის ახალი კონსტიტუციით განსაზღვრულია დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელის შეწყობის პრინციპები. მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო კოდექსის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა საპროცესო, ზოგადი ადმინისტრაციული, საგადასახადო და საბაჟო კოდექსების, ანტიმონოპოლიური და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა ასევე რეგულირდება მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების დანიშნულებაა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ბიზნესის საქმიანობის მოწესრიგება, ამ სფეროში ქაოსის აღმოფხვრა და ყველა მონაწილე სუბიექტის უფლებების დაცვა.

საკონტროლო კითხვები:

1. სამართლისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირის ცნება;
2. სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება;

1.10. მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი საფუძვლები. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად: მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, მათი სისტემა და სამართლაწარმოების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოსამართლე დამოუკიდებლად იღებს და რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე და ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, დაუშვებელია და ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

კონსტიტუციის 85-ე მუხლით სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საქმის განხილვას ღია სხდომაზე აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებას საშუალება ეძლევა, დაესწროს სასამართლოს სხდომებს და თვალყური ადევნოს მართლმსაჯულების განხორციელებას. ამავე დროს, ხორციელდება ზოგადი პრევენციის პრინციპი.

კონსტიტუცია ითვალისწინებს გარკვეული საქმეების განხილვას დახურულ სხდომაზე. დახურული სხდომის ჩატარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქმის ღიად განხილვა ზიანს აყენებს ცალკეულ მოქალაქეს ან სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ღია სხდომაზე.

კონსტიტუციის ამავე მუხლით, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც სახელმწიფო ენა არ იციან, გამოეყოფათ თარჯიმანი. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საქმის ძირითადი მასალების გაცნობა მათთვის გასაგებ ენაზე.

მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპია აგრეთვე ის, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის შესაბამისად და კანონის წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის, აგრეთვე შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მეტად მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ასევე უდანაშაულობის პრეზუმფცია. უდანაშაულობის პრეზუმფცია უშუალოდ დაკავშირებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის უფლებების დაცვასთან. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს ანუ საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას. ბრალდების საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სასამართლო განხილვის დროს, დამცველის მონაწილეობა აუცილებელია, თუ საქმეში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალმდებელი. ასევე ჯგუფური დანაშაულის დროს, თუ არსებობს წინააღმდეგობა ბრალდებულთა ინტერესებს შორის და თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი. დაცვის უფლებაში შედის აგრეთვე ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება და სხვა პროცესუალურ მოქმედებაში მონაწილეობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებს საერთო სასამართლოები. საქართველოს საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სააპელაციო სასამართლოში იქმნება სამოქლაქო საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭო, რომელიც არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო შექმნილია სასამართლო რეფორმების გასატარებლად წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა

თანამდებობებიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესასრულებლად. იუსტიციის საბჭო შედგება თორმეტი წევრისაგან, მის შემადგენლობაში, თანამდებობის მიხედვით, შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. იუსტიციის საბჭოს ოთხ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ოთხ წევრს, რომელთაგან პარლამენტის წევრთა რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს, ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს საპარლამენტო უმრავლესობის ორზე მეტი წარმომადგენელი.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით მედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია საკასაციო საჩივრები, საქართველოს სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე. ასევე განიხილავენ საჩივრებს კანონით გათვალისწინებულ, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, ახორციელებენ გადასინჯვას განჩინებებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე და 89-ე მუხლების და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან აირჩევა თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და მდივანი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს–საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს – უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. ამ სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარმოდგენის საფუძველზე:

- იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმებების, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხზე;
- იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;
- იხილავს რეფერენდუმის, ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავებს;
- პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიულის აქტების კონსტიტუციორობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) აღიარებულ ძირითად უფლებებთან და თავისფლებებთან მიმართებთ;
- იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მომენტიდან

თუ საერთო სასამართლოში კონსტიტუციური საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც

უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

- ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას;
- ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;
- ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე, და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;
- კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას;
- სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, აგრეთვე წინასწარი ცნობით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობით, ამ ნივთის შეძენის ან გასაღებით მსჯავრდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია;

- კანონიერება;
- ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორის და პროკურატურის სხვა მუშაკის საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი დაქვემდებარება;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე. პროკურატურა დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. პროკურორი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და ამ საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას. ოპერატიული დამუშავების საქმე და ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო ნაწილი არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი. ოპერატიული დამუშავების საქმის, ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო მასალების გაცნობის უფლება აქვთ: იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს და მის მოადგილეებს, მთავარი პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების უფროსებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკების პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, საოლქო პროკურორებს და მათ მოადგილეებს, ქ. თბილისის პროკურორს და მის მოადგილეებს და რაიონულ პროკურორებს თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე იუსტიციის მინისტრის, მთავარი პროკურორის და მისი მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, საოლქო პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორისა და რაიონული პროკურორების მიერ განსაზღვრულ სხვა პროკურორებს.

პირთა უფლებების დაცვის და საპროცესო მოვალეობათა განხორციელების, დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებში პროკურორს უფლება აქვს:

- კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ჩაატაროს შემოწმებები დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს;
- აღნიშნულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებში შევიდეს ნებისმიერ დროს;
- გამოკითხოს დაკავებული, დაპატიმრებული, მსჯავრდებული და პირები, რომლებსაც შეფარდებული აქვთ იძულებითი ღონისძიებები;
- გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზედაც პირები დაკავებული, დაპატიმრებული არიან, იხდიან სასჯელს ან შეფარდებული აქვთ იძულებითი ღონისძიებები;
- დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებით ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად.

პროკურატურა კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის დროულად გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი დახასიათება;
2. უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება;
3. საერთო სასამართლოების სისტემა;
4. საკონსტიტუციო სასამართლო;
5. საქართველოს პროკურატურის სისტემა.

თავი 2

ბიზნესის ცნება და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა

„დაზოგვა დიდი შემოსავალია, ფულია ყველა მოქმედების სათავე და მიზეზი.“
ციცერონი.
„ჭეშმარიტი ქონების სიდიდე კი არ არის, არამედ მისი გამოყენება.“
ნაპოლეონ ბონაპარტი.
„სწრაფვა მოგებისაკენ ეს არის სწორედ ის, რაც რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.“
ჰაიეკი.

2.1. ბიზნესის ცნება და მისი მარეგულირებელი საქართველოს სამართლებრივი სისტემა

მოცემულ თავში განხილულია ბიზნესის ცნება, მისი მარეგულირებელი საქართველოსა და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა. შედარებით ვრცლადაა განხილული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობისა და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ და ასევე სამართლებრივი დახმარებისა, კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ცალკეა წარმოდგენილი ელექტრონული ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებისა და მისი განვითარების პერსპექტივები. ბიზნესის სამართლებრივი გარემოს, ბიზნესთან დაკავშირებული ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირებისა და სახელმწიფოს მიერ საქონლის ხარისხის რეგულირებისა და სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფის საკითხები

უძველესი დროიდან კაცობრიობის განვითარება, დაწყებული კვების პროდუქტებისა და მარტივი საყოფაცხოვრებო ნივთების ჯერ ნატურით გაცვლით, შემდგომ პერიოდში კი მისი რეალიზაციით, დამთავრებული კოსმოსური სივრცის ბიზნესის მიზნებისათვის ათვისებით, დაკავშირებულია ადამიანების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან, რომლის მთავარი მამოძრავებელ ძალასა და მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება, რომელიც ძირითადად კვლავ წარმოების დაფინანსებით ემსახურება ახალი პროდუქციისაა და სხვა პროგრესული ფასეულობების შექმნას, ისევ ადამიანების დინამიურად მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბიზნესის განვითარების გარეშე (რომლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ფიზიკური და კერძო საკუთრებაზე დაარსებული ფიზიკურ პირთა გაერთიანება - საწარმოები) შეუძლებელია ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და საერთოდ თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა. პოზიტიური გაგებით ბიზნესი ემსახურება და მის სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოების წევრთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ბოლო წლების მსოფლიო ქვეყნების განვითარების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას, კერძო ფიზიკური პირებისა და მათ კერძო საწარმოებში გაერთიანების, მათი თავისუფალი ინიციატივისა და შემოქმედების გარეშე, ფაქტიურად არ შეუძლია საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამის ნათელი მაგალითია სოციალისტურ - კომუნისტური სახელმწიფოები, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირი, სადაც ფაქტიურად იკრძალებოდა კერძო პირების მიერ დამოუკიდებლად პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაცია. კრიმინალიზებული იყო საერთოდ თავისუფალი მეწარმეობა და საქონლის ყიდვა – გაყიდვა -„სპეკულაცია“ ისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსით 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სოციალისტური იდეოლოგიების მიერ კრიტიკული თვალსაზრისით ბიზნესი განიხილებოდა, როგორც მაქსიმალური მოგებისა და შემოსავლების მიღება სხვა პირების ექსპლუატაციის ხარჯზე, რაც თითქოს ქმნიდა მუდმივ კონფლიქტურ გარემოს და საბოლოოდ კი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებზე მდგარი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ გააჩნდა განვითარების რეალური საფუძველი, თითქოს ისინი ვერ შეძლებენ განვითარებას და დაემხობოდნენ.

აღნიშნულმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ და ფილოსოფიამ დღეისათვის თავისი რესურსი ამოწურა, რისი მაგალითია საბჭოთა იმპერიის დაშლა და ყოფილი მოკავშირე ქვეყნების და სხვა სოციალისტური ქვეყნების გადასვლა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის პირობებზე. ნიშანდობლივია, რომ დღეისათვის არსებული ჩინეთის სახალხო დემოკრატიული სოციალისტური სახელმწიფო

„თავისი ჩინური განვითარების მოდელით“ ფაქტიურად გადასულია საბაზრო ეკონომიკის პირობებზე და რომელსაც მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

მთელ მსოფლიოში დღეისათვის საფუძვლიანადაა ჩამოყალიბებული ბიზნესის განვითარების პრაგმატული თეორია, რომლის თანახმად ბიზნესის განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების წევრთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ბიზნესის პროცესი თავისთავად წარმოშობს წინააღმდეგობებს, მაგრამ ჯანსაღი და სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი კონკურენციის ხელშეწყობის პირობებში ის ხელს უწყობს მთლიანობაში ეკონომიკის განვითარებას.

საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნებიდან გამომდინარე ბიზნესი იწარმოება მრავალი სახითა და მიმართულებით. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ბიზნესის სუბიექტებს ანუ კერძო მეწარმე ფიზიკურ პირებს, კოორპორაციების თანამფლობელებსა და ასევე ფირმების კაპიტალის (აქციების) მესაკუთრეებს უფლება აქვთ ეწეოდნენ ნებისმიერ საქმიანობას, რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით. მიუხედავად ბიზნესის მრავალსახეობისა მას გააჩნია საერთო ზოგადი ნიშნები, რომელიც ძირითადად მოიცავს:

- საქმიანობის წარმართვა მოგების მიღების მიზნით;
- ბიზნესის სუბექტების ინიციატივას, აქტივობას, საქმიანი ინტერესების დაკმაყოფილებას და ახალი ინოვაციური პროცესების განვითარებას;
- ბიზნესის საქმიანობის არაერთჯერადობას და სისტემატიურ ხასიათს;
- ბიზნესის წარმოებას დამოუკიდებლად და ორგანიზებულად;
- ბიზნესის წარმართვას საკუთარი რისკის საფუძველზე;
- პირადი და მთლიანად საზოგადოების პასუხისმგებლობას კრედიტორების წინაშე;
- სისტემატიურად არსებული კანონმდებლობით დაშვებული ყველა რესურსების გამოყენებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მენეჯმენტის ყოველდღიურ გაუმჯობესებას.

თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვან და ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკის შემუშავება, სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო და ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება და სტიმულირება, ამ მიმართებით საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ბაზის შექნა.

ამავე დროს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სპეციალისტების აზრით, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მკაცრი შეზღუდვებისა და აკრძალვებისაგან. სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს, გაატაროს პროტექციონისტური პოლიტიკა და სტიმულირება გაუწიოს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას, რომლის გარეშე ღია საბაზრო სისტემის პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის აღორძინება და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება. ქვეყნის სამეურნეო სუბიექტების განვითარებისათვის აუცილებელია ეროვნული წარმოებისა და გამოშვებული პროდუქციის ექსპორტის წახალისება. ამასთან გასატარებელია შიდა ბაზრისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომპლექსური ღონისძიებები სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენებით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უძველესი დროიდან სახელმწიფოთა შორის მრავალდარგოვან და მრავალფეროვან ურთიერთობებში, როგორც მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ და სოციალისტურ ისტორიულ-ეკონომიკური ფორმაციების არსებობის პერიოდში, ასევე დღევანდელი მსოფლიოს დემოკრატიზაციის პირობებში პოლიტიკურ, სოციალურ, დიპლომატიურ და სხვა საგარეო კავშირებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ფართო ურთიერთსარგებლიანობის სპექტრს, როგორიცაა საწარმოო, სავაჭრო, სატრანსპორტო, სამეცნიერო-ტექნიკური, სავალუტო-საფინანსო, საბაჟო და ა. შ. ეს ურთიერთობები ხორციელდება ერთობლივი, როგორც მცირე და საშუალო, ისე ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნით, ყიდვა-გაყიდვით (საქონლის ექსპორტ-იმპორტით), სამუშაოს შესრულების, ტექნიკური დახმარების გაწევის ფორმით, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვების განხორციელებით, საბანკო და სხვა საფინანსო კრედიტების გაცემით, ურთიერთხელსაყრელი საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებით.

ჩამოთვლილი ამ საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობა უძველესი დროიდან უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო მხოლოდ მოგების (შემოსავალი) მიღების მიზნით. ამ საქმიანობას ამერიკისა და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში ადრეული პერიოდიდან აღნიშნავენ ტერმინით “ბიზნესი“ (Business). მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები უნიფიცირებული

სახით წარმოდგენილია ისეთ საერთაშორისო სამართლის დარგად (ცალკეული ავტორები მოიხსენიებენ ქვედარგად), როგორიცაა ბიზნესის სამართლის დარგი (Business Law).[1]

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული და მიღებული "სავაჭრო ტერმინების განმარტებათა საერთაშორისო წესები"-სა (INCOTERMS) საგარეო ეკონოიკური ურთიერთობების მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინები: "ეკონომიკური სამართალი"; "კომერციული სამართალი"; "სავაჭრო სამართალი"; "კორპორაციული სამართალი"; "სამრეწველო სამართალი"; "ბიზნესის სამართალი; "სამეწარმეო სამართალი" და სხვა.

საქართველოს კანონდებლობაში და ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში აგრეთვე გამოიყენება ტერმინები: სამეწარმეო სამართალი; კომერციული სამართალი; სავაჭრო სამართალი; კორპორაციული სამართალი; ბიზნესის სამართალი და სხვა. ტერმინების ასეთი არაერთგვაროვანი გამოყენება, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ სამართლებრივ ნორმებში ართულებს მათი შესწავლის, განზოგადებისა და შედეგად პრაქტიკაში გამოყენების პროცესს.

დღეისათვის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში, საქართველოს კანონმდებლობაში, უცხოეთის ქვეყნებისა და ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში ძირითადად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: კორპორაციული ანუ იგივე სამეწარმეო სამართალი; კომერციული ანუ იგივე სავაჭრო სამართალი და ბიზნესის სამართალი. ასეთივე სხვადასხვა დასახელებით ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და ამ სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტებზე ისწავლება ჩამოთვლილი დარგები.

აღსანიშნავია, რომ "მეწარმეთა შესახებ" საქართველის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონში გამოყენებულია ტერმინი "მეწარმე" და არა "კორპორაცია". ეს ბოლო ტერმინი საქართველოს არცერთი საკანონმდებლო აქტით დადგენილი ან გამოყენებული არ არის.

სიტყვა "ბიზნესი" ამერიკული წარმოშობისაა და სხვა მრავალ ინგლისურენოვან ქვეყნებში იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ლინგვისტიკური გაგებით ტერმინი „ბიზნესი" მოიაზრება პროფესია საქმიანი ადამიანების, რომლებიც მოგების მიღების მიზნით ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ კი ნედლეულის მოპოვებას, პროდუქციის გამოშვებას, გადაზიდვას, ვაჭრობას, საქმიანობენ საბანკო, ტურიზმისა და მომსახურების სხვა სფეროში. იგი გამოიყენება პროფესიის, მეწარმეობის, გარიგებების, შემოსავლის და სხვა საქმიანობის აღსანიშნავად. უმეტეს შემთხვევაში ტერმინი "ბიზნესი" არის საქმიანი ურთიერთობების დამყარებით აქტიური და არაერთჯერადი, მართლზომიერი მოქმედება, რომლის მიზანია მოგების მიღება.

ბიზნესს შეიძლება ეწეოდეს, როგორც ფიზიკური პირი, აგრეთვე იურიდიული პირი. ბიზნესი შეიძლება იყოს წარმოების სფერო, პროდუქციის დამზადება, სამუშაოს შესრულება, მომსახურეობის გაწევა, ინფორმაციის მიწოდება. ბიზნესი აგრეთვე შეიძლება იყოს კომერციული საქმიანობა ანუ საქონლისა და ქონების, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების ყიდვა-გაყიდვა და მომსახურება, აგრეთვე საფინანსო სფეროში ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ბიზნესის ცნება თავისი მრავალმხრივი მიმართულების გათვალისწინებით უფრო ფართოა ვიდრე მეწარმეობის ცნება. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბიზნესის ცნება მოიცავს საქონლის დამზადებას, მის გადაზიდვას, გაყიდვას ანუ მიწოდებას მომხმარებლამდე და ამ პროცესებთან დაკავშირებულ მრავალ სხვადასხვა საქმიანობას, რომლებიც რეგულირდება უამრავი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებივი ნორმებით.

წარმატებული ბიზნესი შეუძლებელია საქმიანი ინიციატივის, ახალი ნოვატორული და გამართლებული გზების ძიებისა და დანერგვის, ასევე გამართლებული რისკის გაწევის, მომხმარებელთა მომსახურეობის დონის ამაღლების, კოლექტივში ურთიერთგაგებისა და თანამოაზრეთა კლიმატის შექმნის, დასახული მთავარი მიზნის – მაქსიმალური მოგების მისაღებად.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დიდი ყურადღება აქვს დათმობილი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის შექმნას, მის შემდგომ სრულყოფას და შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას. სუვერენული საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დღემდე მიღებულია ორმოცდასამი ათასზე მეტი ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებენ როგორც ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე ქვეყანაში სხვა საშინაო და საგარეო ურთიერთობებს.

---

[1] Шустер Пауль. Основы немецкого торгового и хозяйственного права. Москва 1995. стр. 81-86; Е. Василев. Гражданское и торговое право капиталистических стран. Москва 1996. стр. 17-28; James introduction to English Law. London 1996. p. 7-12.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, რომ საერთაშორისო სამართლის სისტემაში, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად შედის აგრეთვე ეროვნული სამართლებრივი ნორმები.[1] მათი არგუმენტით საერთაშორისო ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ითვლება იურიდიული ძალის არმქონედ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებაში (კონტრაქტში), როგორც წესი გათვალისწინებულია თუ რომელი მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება ამა თუ იმ წამოჭრილი რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად. დასაბუთებისათვის მოყვანილია ამერიკის შეერთებული შტატების 1962 წლის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი (საფრანგეთში პირველი სავაჭრო კოდექსი მიღებული იქნა 1807 წელს, გერმანიაში ზოგადი სავაჭრო კოდექსი 1861 წელს), რომლის შესაბამისად, როდესაც გარიგებას კავშირი აქვს სხვა ქვეყანათან, მხარეებს ეძლევათ უფლებამოსილება გამოიყენონ ნებისმიერი მონაწილე მხარის სამართლებრივი ნორმები. ფაქტიურად ანალოგიურად გადაწყვიტა მითითებული საკითხი საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონმა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომლის მე-4 მუხლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი. კანონის 27-ე მუხლი კი ითვალისწინებს გარიგების ძალაში შესვლის და ნამდვილობის განსაზღვრას იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ან მისი რომელიმე დებულების ნამდვილობისათვის.

საქართველოს ძირითადი კანონის – კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი, საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი, ფულის მოჭრა, საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა.

კონსტიტუციით აღიარებულია და უზრუნველყოფილია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. დაუშვებელია საკუთრების შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ უფლებათა შეზღუდვა კანონით დადგენილ შემთხვევაში. ხელშეუვალია ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლება (მუხლი 21, 23).

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

საქართველოს კონსტიტუციის 92-ე მუხლის შესაბამისად პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს. 94-ე მუხლის თანახმად სავალდებულო გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურის, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. გადასახადებისაგან განთავისუფლება, ასევე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყანაში ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯს მეღამხედველობს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები (მუხლი 95,97).

ქვეყანაში ქონებრივი უფლებების, ვალდებულებების შესრულების, სახელშეკრულებლო ურთიერთობების, გადაზიდვების, საბანკო-საკრედიტო საქმიანობის, დაზღვევის, ინტელექტუალური საკუთრების, მემკვიდრეობისა და სხვა სამოქალაქო ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია მეწარმეობის ცნება, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნებისა და რეგისტრაციის პირობები, პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, საწესდებო კაპიტალისა და საზოგადოების ქონების არსი, სამეწარმეო საქმიანობის შემოწმებისა და დავების რეგულირების საკითხები.[1]

---

[1] М. Зыкин. Договор по внешнеэкономической деятельности. Москва 1990. стр. 8-16; М. Богуславский. Международное частное право. Москва 2004. стр. 28-34.

[1] სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განხილული იქნება ცალკე თავში უფრო ვრცლად.

2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული იქნა რიგით მეორე კოდიფიცირებული საგადასახადო კოდექსი, რომლითაც დადგინდა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადის სახეები, გადასახადის აკრეფისა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა, კანონდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომერი ქმედებათა გასაჩივრების წესი და პირობები.

2006 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა რიგით მესამე საქართველოს საბაჟო კოდექსი, ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან. კოდექსმა განსაზღვრა საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პირობები. დაადგინა საბაჟო რეჟიმების სახეობები, საბაჟო გადასახდელების სახეები, საბაჟო შეღავათები, საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის პროცედურები, საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები და პასუხისმგებლობის საკითხები. საბაჟო კოდექსით აგრეთვე დადგენილია საბაჟო ორგანოების სისტემა და უფლება-მოვალეობანი.[2]

1998 წლის 18 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს კანონი საბაჟო მოსაკრებელის შესახებ. ამ კანონით დადგენილია საბაჟო პროცედურების ჩატარებისათვის და ლიცენზირების გადაცემისათვის მოსაკრებლების სახეები და განაკვეთები, მათი გადახდის წესი და ვადები.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 14 მაისს მიღებული იქნა კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ, რომლის თანახმად სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებული უფლება, განუსაზღვრელი ვადით განახორციელოს საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობა კანონით დადგენილი პირობების დაცვით. სამეწარმეო საქმიანობის ნებართვა უფლებას აძლევს პირს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე კანონით დადგენილი პირობების დაცვით ერთჯერადად ან/და გარკვეული ვადით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ ბოლო წლებში მიღებული იქნა 12 კანონი, მათ შორისაა: 2003 წლის 8 მაისის კანონი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ; 2003 წლის 20 ივნისის კანონი ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ; 2003 წლის 8 მაისის კანონი ეკოლოგიური საქმიანობის ლიცენზიების გაცემის შესახებ; 2003 წლის 7 მაისის კანონი სამყნობი, სათესლე, სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ; 2003 წლის 7 მაისის კანონი პესტიციდების წარმოებისა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეების წარმოების პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტზე ნებართვის გაცემის შესახებ; 2003 წლის 7 მაისის კანონი კვების პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ; 2005 წლის 24 ივნისს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ, 2003 წლის 12 აგვისტოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ, 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ და სხვა.

1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულია საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ინვესტირების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები. 2006 წელს მიღებული იქნა ასევე კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ.

1996 წლის 28 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი გრანტის შესახებ. ამ კანონით ხორციელდება გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პრინციპები.

როგორც ავღნიშნეთ, 1998 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესების უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით. გარდა ზემოთ მითითებულისა დადგინდა საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია შემდეგ შემთხვევებში:

- მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოშია;
- სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა;

[2] ქვეყანაში საბაჟო საქმიანობის რეგულირების საკითხები განხილული იქნება დეტალურად ცალკე თავში.

- დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენცია საქართველოშია;
- მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია;
- სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამემკვიდრეო ქონების გაყოფა და მემკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო საქართველოში ჰქონდა.

ამავე დროს კანონით დადგენილია საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენცია იმ სარჩელებზე, რომელც ეხება:

- უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;
- იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;
- საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირის რეგისტრაციას;
- პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;
- იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა;

კანონით ასევე დადგენილია საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია იმ შემთხვევებში, რომლებიც ეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას და გარდაცვლილად გამოცხადებას, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებსა და მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

მითითებული კანონით განსაზღვრულია აგრეთვე გარიგების ნამდვილობის, გარიგების ფორმის, სანივთო სამართლის, ვალდებულებითი სამართლის და სახელშეკრულებლო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, საოჯახო სამართლისა და საპროცესო ნორმებით რეგულირების საკითხები.

გარდა აღნიშნულისა, საქონლის ყიდვა-გაყიდვისას, სამუშაოს შესრულებისას და მომსახურეობის გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით 1996 წლის 20 მარტს მიღებულია კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. საზოგადოებრივი ინტერესების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილების, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად 1998 წლის 18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია ასევე კანონი რეკლამის შესახებ.

აღნიშნულთან ერთად მეწარმეთა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების, კანონიერების დადგენის და მთლიანობაში მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2001 წლის 8 ივნისს მიღებულია კანონი მეწარმეთა საქმიანობის კონტროლის შესახებ. ამ კანონის თანახმად სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, რომელიც შესაბამისი საფუძველის არსებობისას კონტროლს უწევს სამეწარმეო საქმიანობას. მას უფლება აქვს შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საწმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხი, ასევე საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც გაიცემა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. კანონით განსაზღვრულია ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელთაც გააჩნიათ სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების უფლებამოსილება მოსამართლის ბრძანების გარეშე.

1996 წელს მიღებული იქნა კანონი კომერციული ბანკების შესახებ, 1998 წელს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, 1997 წელს დაზღვევის შესახებ, 1997 წელს ქონების პრივატიზაციის შესახებ, 2002 წელს სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 2003 წელს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ, 2006 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, 2008 წელს გადახდისუუნარობის შესახებ და სხვა, რომლებითაც რეგულირდება ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა და რომელზედაც შედარებით ვრცლად გვექნება საუბარი ცალკე კონკრეტულ თავებში.

1995 წლის 15 ივნისს მიღებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესი. 1999 წლის 22 ივნისს მიღებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლითაც დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, განსაზღვრულია, თუ რომელი ქმედებაა

დანაშაულებრივი და დაწესებულია მათ ჩადენისათვის შესაბამისი სასჯელი და სხვა სახის სისხლის სამართლებრივი სანქციები.

ჯერ კიდევ 1985 წლის 1 ივნისიდან ძალაშია და დღესაც მოქმედებს შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლითაც განსაზღვრულია თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელითაც დადგენილია საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვის წესები. 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების წესებს. 1999 წლის 23 ივნისს მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც ადგენს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

ამასთან ერთად, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების მიერ მიღებული იქნა მრავალი ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში ქონებრივი და არაქონებრივი საკუთრების, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის, ტურიზმის, ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის, შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გადაზიდვების, საფინანსო-საბანკო საქმინობის, დაზღვევის, სამეწარმეო, საბაჟო და საგადასახადო და სხვა უამრავ ურთიერთობებს. ეს ნორმატიული აქტები პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მოგების მიღების მიზნით ბიზნესთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საქმიანობასთან.

საკონტროლო კითხვები:

1. ბიზნესის ცნება
2. ბიზნესის მარეგულირებელი საქართველოს სამართლებრივი სისტემის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.
3. ბიზნესის მარეგულირებელი ეროვნული სამართლებრივი ნორმების ზოგადი დახასიათება.

2.2. ბიზნესის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ცნება და სისტემა

პირველყოფილი თემური წყობილების ნგრევის შედეგად ჩამოყალიბებული ქვეყნები თავიდანვე ცდილობდნენ დაემყარებინათ ერთმანეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების გაუმჯობესების მიზნით. უძველესი დროიდან არსებული ეს საგარეო ურთიერთობები რეგულირდებოდა მიღწეული და სათანადო წესით გაფორმებული შეთანხმებებით, რომლებითაც დგინდებოდა გარკვეული უფლებები და მოვალეობები (ქცევის წესები) და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილი იყო ამ სახელმწიფოების ან სხვა სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

სწორედ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიქტების მიერ ხელშეკრულებებით (კონვენციებით, შეთანხმებებით) დადგენილი ქცევის წესები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა და ღრმავდებოდა საგარეო ურთიერთობები და შესაბამისად ამ ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართალს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:[1]

- მხოლოდ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. (ფიზიკურ და კერძო საერთაშორისო სამართლის იურიდიულ პირს ცალკეულ შემთხვევებში ენიჭება შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი.)[2]
- მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობათშორისი ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით.
- საერთაშორისო სამართლის ძირითად ობიექტად შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ სახელმწიფოს მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება და სახელმწიფო ტერიტორია.

ამრიგად, საერთაშორისო სამართალი არის სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა შეთანხმებების შედეგად დადგენილი ქცევის წესი, რომელთა შესრულება

[1] ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 1998., გვ. 3-7.

[2] М. Богуславский. Международное частное право. Москва 1994., стр. 3-5.

უზრუნველყოფილია ამ სახელმწიფოების ან სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

საერთაშორისო სამართლის წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბებული ქცევის წესები ანუ სამართლის ნორმები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია ამ სახელმწიფოების ან სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად საერთაშორისო სამართლის წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულება ანუ დაუწერელი ქცევის წესი, რომელიც ყალიბდება სახელმწიფოთაშორისი პრაქტიკის საფუძველზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში და რომელსაც სახელმწიფოები საგარეო ურთიერთობებში იყენებენ თავიანთი სურვილით "კეთილი ნების" გამოხატვით ან აცხადებენ ამის შესახებ ოფიციალურად დეკლარაციების და სხვა აქტების სახით.

საერთაშორისო სამართლის თეორიაში ცნობილია აგრეთვე საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროები, რომლებთაც მიეკუთვნება ის შიდა სახელმწიფოებრივი კანონები, რომელთაც აღიარებენ სხვა სახელმწიფოები. სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროებს მიაკუთვნებენ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებს, სასამართლო პრეცენდენტებსა და მეცნიერთა შრომებს.[3]

როგორც აღვნიშვეთ, საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის სამართალს, მხოლოდ სახელმწიფოებს გააჩნიათ იყვნენ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე, ანუ მხოლოდ ისინი არიან უფლებამოსილნი თვითონ შექმნან ეს ნორმები, ფლობდნენ ამ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს და უზრუნველყოფდნენ მათ შესრულებას. ე. ი. სახელმწიფოები არიან საერთაშორისო სამართლის მთავარი სუბიექტები.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად წარმოადგენს (მუხლი 1, § 2 და მუხლი 55) თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი და ხალხი, რომელთაც გააჩნიათ ამ ნორმების შესაბამისი თვითგამორკვევის უფლება.

განსაკუთრებული ადგილი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ეთმობა საერთაშორისო გაერთიანებებსა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო საფოსტო კავშირი, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საბაჟო კავშირი და სხვა) და რეგიონალურ (ევროპის გაერთიანება, ევროპის კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, არაბთა ლიგა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია - NATO და სხვა) საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საერთაშორისო სამართლის სპეციფიკური სუბიექტია ვატიკანი (ტერიტორია 0.44 კვ. კმ. მოსახლეობა 1 ათასი), რომელიც 1929 წლიდან იტალიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე არის აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ ხელშეკრულების თანახმად იტალია არ ერევა ვატიკანის საშინაო და საგარეო საქმეებში. ვატიკანი არის მთელი რიგი სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციის წევრი და ამავე დროს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო სამართლის თეორიაში სპეციალისტების მიერ გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს აგრეთვე ფიზიკური და საერთაშორისო კერძო სამართლის იურიდიული პირი, რასაც ასაბუთებენ ადამიანთა უფლებათა დაცვის მიზნით სხვა ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევის მცდელობითა და თანამედროვე მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ტრანს-ნაციონალური გიგანტური კორპორაციების შექმნით, რომელთაც დადებული აქვთ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები სახელმწიფოებთან თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიღების ყველა პროცედურების დაცვით. საერთაშორისო სამართლის თეორიის სპეციალისტთა უმრავლესობა საპირისპიროდ ასაბუთებს რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირს არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ისეთი ძირითადი ნიშანი, როგორიცაა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა ანუ საერთაშორისო სამართლის ნორმის შექმნისა და მისი აღსრულების მექანიზმი. ფიზიკური და საერთაშორისო კერძო სამართლის იურიდიული პირი მხოლოდ სარგებლობს სახელმწიფოების მიერ მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მისი უფლებების დაცვას

[3] Г. Игнатенко, О. Тиунов. Международное право. Москва 2000., стр. 6-20. М. Богуславский. Международное частное право. Москва 2004. стр. 5-104.

აწარმოებს არა თვითონ ფიზიკური და საერთაშორისო კერძო სამართლის იურიდიული პირი, არამედ სახელმწიფო.[1]

საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტები და ასევე საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის, საერთაშორისო კომერციული სამართალის, საერთაშორისო სამრეწველო სამართლის, საერთაშორისო საბაჟო სამართლის, საერთაშორისო ინტელექტუალური სამართლის სახელმძღვანელოების ავტორები ასაბუთებენ, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან აგრეთვე საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე იურიდიული პირები. აღნიშნული მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეკონომიკური განვითარების პირობებში, შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკა განვითარდეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების გარეშე მხოლოდ ერთი ქვეყნის შიგნით. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მულტინაციონალურ (მრავალნაციონალურ) ანუ, როგორც მას ხშირ შემთხვევაში უწოდებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. მათ შორისაა "ჯენერალს მოტორსი", "ფორდ მოტორსი", "ფოლკსვაგენი", "ფილიპსი", "სიმენსი", "ნესტლე" და სხვა კომპანიები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ რამოდენიმე ქვეყანაში, სადაც დაფუძნებულია მათ მიერ ე.წ. ქალიშვილი-კომპანიები.[1]

ამ იურიდიული პირების საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად აღიარების ავტორები[2] მიუთითებენ, რომ ეს კომპანიები თავიანთ საქმიანობას სხვადასხვა ქვეყნებში წარმართავენ, როგორც სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ასევე ამ ქვეყნების კანონმდებლობის საფუძველზე. ტრანსნაციონალური იურიდიული პირებისა და ორი ან მეტი ქვეყნის მონაწილეობით შექმნილ ერთობლივი სხვა სამეურნეო სუბიექტების საქმიანობა რეგულირდება, როგორც სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, აგრეთვე ამ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებილი სამართლებრივი ნორმებით. ასეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაკუთვნებენ გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას, საერთაშორისო სავაჭრო პალატას, გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიას, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციას, საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსს, საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციას, საინვესტიციო უთანხმოების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრსა და სხვა მუდმივმოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების დაწესებულებებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შემცველი დოკუმენტები და განმარტონ ისინი და მისცენ რეკომენდაციები ადრე მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით.

ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი სპეციალიზირებული დაწესებულებების მიერ მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილია საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ერთიანი წესები და სტანდარტები, მოთხოვნები ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ (მაგალითად ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით მოძრავი საქონლის განთავისუფლება საბაჟო გადასახადისაგან, ირიბი ანუ არაპირდაპირი გადასახადებით ორმაგი დაბეგვრისაგან თავის აცილება და სხვა), დავების საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ერთიანი წესები და სხვა მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

დღევანდელი მსოფლიოს ქვეყნებში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამ მიმართებით საერთაშორისო კავშირების გაფართოებას და სამართლებრივი ნორმების მოწესრიგებას. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ანუ როგორც სხვაგვარად მოიხსენებენ, საერთაშორისო "ზოგადი" სამართალი ან საერთაშორისო "საჯარო" სამართალი იყოფა შემდეგ დარგებად:

- საერთაშორისო სისხლის სამართალი;
- საერთაშორისო ცივილური (ჰუმანიტარული) სამართალი;
- საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი;
- საერთაშორისო კერძო სამართალი;
- საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი;

---

[1] ვ. ქარუმიძე. საერთაშორისო ორგანიზაციები. თბილისი 2003., გვ. 17-41, Г. Игнатенко, О. Тиунов. Международное право Москва 2005., стр. 44-48, М. Богуславский. Международное частное право. Москва 2004, стр. 3-104.

[2] М. Богуславский. Международное частное право. Москва 2004. стр. 3-104

- საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო სამართალი;
- საერთაშორისო საზღვაო სამართალი;
- საერთაშორისო საჰარეო სამართალი;
- საერთაშორისო კოსმოსური სამართალი და სხვა.[1]

საერთაშორისო სამართლის თეორეტიკოსების ჯგუფი აგრეთვე გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი (ნაწილი მიაკუთვნებს საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალს) იყოფა შემდეგ ქვედარგებად:

- საერთაშორისო სავაჭრო სამართალი;
- საერთაშორისო სამრეწველო სამართალი;
- საერთაშორისო სატრანსპორტო სამართალი;
- საერთაშორისო საბაჟო სამართალი;
- საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო სამართალი;
- საერთაშორისო ინტელექტუალური სამართალი.

ცალკეულ სახელმძღვანელოებში ავტორები ჩამოთვლილ დარგებს გამოყოფენ საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგებად.[2]

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემებია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც მიღების წესით და რეგულირების ობიექტით, ასევე მისი აღსრულების მექანიზმით. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები მიიღება სახელმწიფოს შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები კი დგინდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შედეგად. მიუხედავად მათი ავტონომიურობისა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები ურთიერთ-შეთანხმებულია და მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. უპირველესად მათი ურთიერთშეთანხმებულობა განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კონკრეტული სახელმწიფოს ნების გამოხატვის შედეგია იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებში გამოხატულია ორი ან მეტი სახელმწიფოს ნება-სურვილი, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები გამოხატავენ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნება-სურვილს.[3]

გარდა ამისა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ხშირ შემთხვევებში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები პირდაპირ გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ასე მაგალითად, საქართველოს მიერ მთელ რიგ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებას თუ საქონელი წარმოშობილია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხრის ტერიტორიაზე და განკუთვნილია მოსახმარებლად მეორე ხელშემკვრელი მხრის ტერიტორიაზე. საქართველოს კანონდებლობა ასეთ განთავისუფლებას არ ითვალისწინებს და შესაბამისად მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა ანუ ამ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულება "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ". საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი

მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობა.

აღნიშნულთან ერთად საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ

---

[1] Л. Шестаков. Понятие международного права. Москва 2003., стр. 61-74, М. Колесов, В. Кузнецов. Международное право. Москва 1998., стр. 22-29. Г. Вельяминов. Основы международного экономического права. Москва 1998. стр. 33-41

[2] ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 1998. გვ. 51-55.

[3] Г. Игнатенко, О. Тиунов. Международное право. Москва 2002. стр. 44-48, Г. Тункин. Международное право. Москва 1994. стр. 17-26, М. Богуславский. Международное частное право. Москва 1994. стр. 3-5, А. Шишаев. Регулирование международной торговли товарами. Москва 2004. стр. 21-34.

ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პრიმატს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და სხვა საკანონმდებლო აქტები. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სისხლის სამართლის “კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“. საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილია, რომ თუ საქართველოს მიერ დადებული და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით (ანუ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით) დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები. საბაჟო კოდექსის პირველი მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს, რომ საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ისწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციით დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნული კანონმდებლობის მიმართ და ეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განუხრელ ნაწილად. უკრაინის კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად უკრაინის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებულია უკრაინის უმაღლესი რადის მიერ, აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად. ესპანეთის კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებები გამოცხადებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად. იგივე დებულებაა დადგენილი გერმანიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ, როგორც სახელმწიფოთაშორის წარმოქმნილ ურთიერთობებს, ასევე გარკვეულ შემთხვევებში შიდასახელმწიფოებრივ სფეროს მრავალ მიმართულებებს. საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემები წარმოშობილი მრავალმიმართულებიანი ურთიერთობების დარეგულირების მიზნით გამოიყენება ურთიერთშეთანხმებულად და ერთობლივად.

ამავე დროს სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება თავისთავად პოულობს ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში. საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების განუხრელი შესრულება. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების პოზიცია დაფიქსირებულია ვენის 1969 წლის კონვენციაში “საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“, რომლის 27-ე მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოს არა აქვს უფლება მიუთითოს და დაეყრდნოს ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამართლებისათვის. იგივე მიდგომაა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ არეგულირებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ურთიერთობებს. ამ დროს შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, როგორც ზემოთ მივუთითეთ მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა.

ამასთან ერთად 1966 წელს საერთაშორისო პაქტი ადამიანის სამოქალქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს შექმნან ისეთი ეროვნული კანონმდებლობა, რომლითაც განხორციელდება ამ პაქტით ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. ღეისათვის აღიარებულია, რომ საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემების ურთიერთშეთანხმებულობა და ურთიერთკავშირი მყარი გარანტიაა აღებული საგარეო ვალდებულებების განუხრელი შესრულებისათვის.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ღევანდელ მსოფლიოში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებამ, სამრეწველო კაპიტალის გაერთიანებამ და გიგანტური ტრანსნაციონალური ერთობლივი კორპორაციების შექმნამ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ დარგებთან ერთად კოსმოსის ათვისებამ და მისი კომერციული მიზნით გამოყენებამ, კოსმოსური თანამგზავრისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით თავისუფლად ინფორმაციის მიღების შესაძლებლობამ საფუძველი ჩაუყარა

კონტინენტების დაახლოებასა და საერთო ადამიანური ურთიერთობების დამყარებას ცივილიზებული ფორმით. ეს მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩამოთვლილი ურთიერთობები რეგულირდება, როგორც საერთაშორისო საჯარო (ანუ ზოგადი საერთაშორისო სამართალი), ასევე კერძო საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ამასთან დომინირებული კონცეფციის თანახმად კერძო საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ყოველი სახელმწიფოს ეროვნულ სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს. კერძო საერთაშორისო სამათლის რეგულირების საგანს მიაკუთვნებენ სხვადასხვა სახელმწიფოების იურიდიული პირების და მოქალაქეების ურთიერთობებს, რომლებიც ცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს. საჯარო სამართლის რეგულირების საგანს კი მიაკუთვნებენ მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.[1]

სახელმწიფოები თავისი წარმოშობის დღიდან და შემდგომი განვითარების პერიოდში ისწრაფვოდნენ დაერეგულირებინათ საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა დადებული შეთანხმებებით. დღეისათვის საერთაშორისო სამართლის მთავარი სუბიექტის სახელმწიფოებისა და სხვა სუბიექტების მიერ მიღებულია და მოქმედებაშია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომლებიც არეგულირებენ ბიზნესთან დაკავშირებულ მრავალდარგოვან და მრავალფეროვან საქმიანობას.

საერთაშორისო ბიზნესის სამართალი არის იმ პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების ურთიერთობას ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელ უნივერსალურ სამართლებრივ ნორმას წარმოადგენს 1947 წელს მიღებული გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT), რომელიც ითვალისწინებდა ქცევის წესების კომპლექსურ ღონისძიებებს საერთაშორისო ვაჭრობაში. შემდგომი შეთანხმებების შედეგად, რომლებიც არეგულირებდა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებს საფუძველი ჩაეყარა 1994 წელს მუდმივმოქმედი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნას. ამავე დროს გენერალურმა შეთანხმებამ ტარიფებსა და ვაჭრობაზე შეინარჩუნა იურიდიული ძალა და მასში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები.

აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს საგარეო ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის დამკვიდრებას, ყველა მონაწილე ქვეყნის თანასწორობას და ერთგვაროვანი საგადასახადო რეჟიმის შექმნას, სატრანზიტო საქონლის თავისუფალ გადაადგილებას და საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებას, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადის შემოღებისაგან თავის არიდებას, საბაჟო მიზნებისათვის საქონლის შეფასების მეთოდიკას (საბაჟო ღირებულების განსაზღვრა), საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის წესს, კვოტირების და ლიცენზირების პრობლემებს (არასატარიფო რეგულირება), დავების გადაწყვეტის პროცედურებს საარბიტრაჟო სასამართლოში და საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებს შეადგენს:

- საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმებების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე ახალი მოლაპარაკებების ორგანიზება შეთანხმებების მიღების მიზნით;
- საგარეო ვაჭრობაში არსებული დავების გადაწყვეტაში ხელის შეწყობა;
- წევრი ქვეყნების ეროვნული სავაჭრო პოლიტიკაზე კონტროლის დაწესება;
- სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც მონაწილეობენ გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

დღეისათვის საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები რეგულირდება GATT - ისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 61 დოკუმენტით, რომელთა შორის 29 შეთანხმება ეხება კონკრეტულად ვაჭრობის საკითხებს. მათ შორის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ფუნქცია საგარეო ვაჭრობაში აკისრია შეთანხმებებს:

- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ;
- გადაზიდვისწინა ინსპექციის შესახებ;
- წარმოშობის წესების შესახებ;
- იმპორტის პროცედურების ლიცენზირების შესახებ;
- ვაჭრობაში საინვესტიციო ზომების შესახებ და ა.შ.

---

[1] · М. Богуславский. Международное частное право. Москва 1994., стр. 62-68; О. Садинов. Императивные нормы в международном частном праве. Москва 1992. стр.46-61.

საქართველო ამ შეთანხმებებს შეუერთდა 2000 წლის 20 აპრილს პარლამენტის № 265-11 დადგენილებით.

გარდა აღნიშნულისა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მიღებულია საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო, UN) მიერ. (გაერო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას 1945 წლის 24 ოქტომბერს 50 ქვეყნის მიერ, დღეისათვის მისი წევრი 180 სახელმწიფოა. საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს). მათ შორის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს 1974 წელს მიღებული კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხანდაზმულობის ვადის შესახებ, 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ, 1980 წლის კონვენცია შერეული საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ, 1978 წლის კონვენცია საზღვაო გადაზიდვების შესახებ, 1988 წლის კონვენცია საერთაშორისო გადარიცხვების და საერთაშორისო უბრალო ვექსილის შესახებ, 1983 წლის კონვენცია საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ და სხვა.

ამავე დროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში წამოჭრილი დავების გადაწყვეტის მიზნით 1958 წელს მიღებულია კონვენცია უცხოეთის ქვეყნების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი აღსრულების შესახებ, 1961 წლის ევროპის კონვენცია საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ, 1975 წლის კონვენცია ამერიკის კონტინენტის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, 1998 წელს მიღებული იქნა ტიპიური კანონი საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ.

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარებისა და ვაჭრობის კონფერენციას (UNKTAD), რომლის მეშვეობით შემუშავებულია და დამკვიდრებულია საერთაშორისო ვაჭრობის ისეთი რეჟიმები, როგორიცაა უპირატესი ხელშეწყობის, ეროვნული, არადისკრიმინაციული, ურთიერთმომგებიანი და პრეფერენციული რეჟიმები. ამ კონფერენციის ეგიდით ექსპორტის ხელშეწყობის და საერთაშორისო ბაზრის რეგულირების მიზნით მიღებულია საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმება (MTC). დღეისათვის ამ შეთანხმების თანახმად შექმნილია და ფუნქციონირებს საერთაშორისო სასაქონლო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაცია ყავის, ბამბის, ნატურალური კაუჩუკის, შაქრის, კაკაოს, ტროპიკული მერქნის, ხორბლის, ზეთის, ცინკის, ალუმინის, ნიკელის, რკინის მადნის და ა. შ. ამასთან ერთად გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მეშვეობით შექმნილია სამთავრობოთაშორისი მუშა ჯგუფები ბანანის, ციტრუსების, თევზის, ხორბლის, ტყავის, ხორცის, ცხიმის, ბრინჯის, ჩაის და სხვა.

ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების მიზნით შემუშავებულია და მიღებულია შესატყვისი სამართლებრივი ბაზა და წესდება შესაბამისი კონტროლი ამ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულებაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოთაშორის მრავალმხრივ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები რეგულირდება ასევე კონკრეტულად სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებით.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ეტაპზე გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წევრი.

საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორისი ისეთი ორმხრივი ხელშეკრულებები, როგორიცაა ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ, შემოსავლებისა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, თავისუფალი ზონების შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ, სატრანზიტო გადაზიდვების რეგულირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ჰუმანიტარული და ტექნიკურ ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის შესახებ და სხვა. [1]

საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების მიერ მიღებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გარანტირებულია ამ ურთიერთობებში ყველა მონაწილის თანასწორობა, საქმიანობაში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, წამოჭრილი დავების მოლაპარაკებების გზით გადაუწყვეტლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლო უზრუნველყოფის მექანიზმი.

[1] მითითებული და სხვა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტების ძირითადი პაკეტი საქართველოს მიერ ხელმოწერილია და შესაბამისი პროცედურები ჩატარების შემდეგ მიღებულია 1992-1996 წ.წ.)

საკონტროლო კითხვები:

1. საერთაშორისო კერძო და საჯარო სამართლის ცნება.
2. ბიზნესის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დახასიათება.

2.3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობისა და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეკონომიკის სოციალისტური ცენტრალური დაგეგმის პირობებში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდებოდა მხოლოდ საკავშირო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ. მოკავშირე რესპუბლიკები უფლებამოსილი არ იყვნენ, დამოუკიდებლად დაემყარებინათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან, თუნდაც უმნიშვნელო, სავაჭრო და სხვა ეკონომიკური კავშირები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნების ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ორიენტაციამ საფუძველი ჩაუყარა საგარეო–ეკონომიკური ურთიერობების განვითარებას. დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება და მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს დაამყაროს სხვა ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირები. ამ მიზნით იქმნება ისეთი სამართლებლივი ბაზა, რომელიც დააინტერესებს და სტიმულს მისცემს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს, დამოუკიდებლად ითანამშრომლონ უცხოეთის პარტნიორ საწარმოებთან.

ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის, მათ შორის მრავალმხრივი საგარეო–სავაჭრო ურთიერთობების თანასწორობისა და სავაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით, სუვერენული საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და ძალაში შესვლისათვის შესრულებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

ამ სახის ხელშეკრულებები დღეისათვის ხელმოწერილია აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის, მოლდოვას რესპუბლიკებთან, თურქმენისტანთან, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და თურქეთთან, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირის ქვეყნებთან ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

ყველა ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1993–1997 წ.წ. და როგორც იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მისი ნორმებით ხელმძღვანელობენ საბაჟო და სხვა სახელმწიფო უწყებები საქონლის იმპორტისა და ექსპორტის დროს.

ჩამოთვლილ ქვეყნებთან დადებული მითითებული ხელშეკრულებები თავისი იურიდიული შინაარსით ძირითადად ერთმანეთის მსგავსია და ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებას. ამ ნორმებით დადგენილია, რომ ხელშემკვრელი მხარეები არ გამოიყენებენ დისკრიმინაციულ ზომებს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სხვა ეკვივალენტური ღონისძიებებით. რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებიც არეგულირებს საგარეო ურთიერთობებს, ასევე სტატისტიკურ ინფორმაციას ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის, სატარიფო და არასატარიფო ხელშეკრულების შესახებ. ხელს შეუწყობენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე შეუზღუდავი და დაუბეგრავი სატრანზიტო ტვირთების გატარებას. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია აგრეთვე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ურთიერთხელსაყრელი საკითხები.

კერძოდ, 1994 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ", რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 2 აპრილის №177 დადგენილებით ითვალისწინებს, რომ ხელშემკვრელი მხარეები არ იყენებენ საექსპორტო და/ან საიმპორტო საბაჟო გადასახადებს, ასევე ბეგარებს და ანაკრებებს, რომლებსაც გააჩნიათ საბაჟო გადასახადების ეკვივალენტური მოქმედება იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოშობის ადგილი არის ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორია და განკუთვნილია მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მისაწოდებლად. ამასთანავე, ამ სავაჭრო რეჟიმის ფარგლებში შეთანხმებული საქონლის ნომენკლატურიდან გამონაკლისი ფორმდება დოკუმენტებით, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს, თუ ხელშემკვრელი მხარეები ამას საჭიროდ ჩათვლიან.

ხელშეკრულებაში ასევე მითითებულია, რომ მხარეები:

- პირდაპირ ან ირიბად არ დაბეგრავენ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილ საქონელს ქვეყნის შიდა გადასახადებით ან ანაკრებებით, რომლებიც აღემატება იმ შესაბამის გადასახადებს ან ანაკრებებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან მესამე ქვეყანაში წარმოებული საქონელი. მხარეები აგრეთვე არ გამოიყენებენ მეორე ხელშემ-

კვრელ ქვეყანაში წარმოებული საქონლის დასაწყობების, გადაზიდვის, შენახვის, აგრეთვე გადახდისა და გადარიცხვის მიმართ სხვაგვარ წესებს, ვიდრე ისეთს, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენება საკუთარი საქონლის, ან მესამე ქვეყნებში წარმოებული საქონლის მიმართ.

- ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთვაჭრობაში თავს შეიკავებენ დისკრიმინაციული ზომების გატარებისაგან, შეთანხმების ფარგლებში საქონლის ექსპორტის და/ან იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვების ან ეკვივალენტური ღონისძიებების გამოყენებისაგან.
- მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად დაადგინონ რაოდენობრივი ან სხვა სპეციალური შეზღუდვები გონივრულ ფარგლებში და მკაცრად განსაზღვრული ვადით. ნახსენები შეზღუდვები უნდა ატარებდეს განსაკუთრებულ ხასიათს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- ხელშემკვრელი მხარე, რომელიც გამოიყენებს რაოდენობრივ შეზღუდვებს, შესაძლებლობისდაგვარად, წინასწარ წარუდგენს მეორე ხელშემკვრელ მხარეს ამომწურავ ინფორმაციას აღნიშნული შეზღუდვების შემოღების ძირითადი მიზეზებისა და გამოყენების შესაძლო ვადების შესახებ, რის შემდეგაც ინიშნება კონსულტაციები.

ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარეების მიერ ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას: კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ მოღვაწეობასთან, მათ შორის ვაჭრობის საკითხებში, ინვესტიციებში, დაბეგვრაში, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობასა და სხვა ფინანსურ მომსახურებაში, სატრანსპორტო და საბაჟო საკითხებში, საბაჟო სტატისტიკის ჩათვლით. ხელშემკვრელი მხარეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია იმოქმედოს ამ შეთანხმების შესრულებაზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ტრანზიტის თავისუფლების პრინციპების დაცვა წარმოადგენს შეთანხმების მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობას. ამასთან დაკავშირებით, თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს მეორე ხელშემკვრელი მხარის და/ან მესამე ქვეყნების საბაჟო ტერიტორიაზე წარმოებული და მეორე ხელშემკვრელი მხარის ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიისათვის განკუთვნილი საქონლის შეუზღუდავ და დაუბეგრავ ტრანზიტს თავის ტერიტორიაზე, და ექსპორტიორებს, იმპორტიორებს უზრუნველყოფს თავის განკარგულებაში არსებული ტრანზიტისათვის აუცილებელი საშუალებებითა და მომსახურებით.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არ არის საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლება იმ ქვეყნებში წარმოშობილ და ჩვენთან იმპორტირებული საქონლისა, რომლებსაც ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები. მიუხედავად ამისა, ხეშეკრულებებით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის მე–6 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა თავისი იერარქიით უფრო მაღლა დგას ორგანულ კანონებთან და კანონებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლამდე გაურკვეველი მოტივით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საბაჟო გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდა ამ ქვეყნებში წარმოშობილი იმპორტული საქონელი, რის შედეგად იმპორტიორებს 1998–1999წწ. დაუბრუნდათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონოდ გადახდილი ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული საურავის სახით დაახლოებით თორმეტი მილიონი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს დადებული აქვს საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანასთან სამთავრობო ხელშეკრულებები საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტისას ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ.

ამ ხელშეკრულებების თანახმად:

- მხარეები ირიბი გადასახადებით არ დაბეგრავენ ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე ექსპორტირებულ საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას).
- ერთი მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი (სამუშაო, მომსახურება), რომელიც ექსპორტირებულია მეორე მხარის ტერიტორიიდან, იბეგრება ირიბი გადასახადებით იმპორტიორ ქვეყანაში მისი კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ ამ მხარის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოზიდვისას.
- იმპორტირებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დაბეგვრისას, რომელიც ექსპორტირებულია მეორე მხარის ტერიტორიიდან, მხარეები გამოიყენებენ გადასახადების განაკვეთების, შეღავათების და გადასახადის იმავე წესს, რომელიც დადგენილია მათ შიდა ბაზარზე წარმოებული (რეალიზებული) ანალოგიური საქონლისათვის (სამუშაოსათვის, მომსახურებისათვის).

საკონტროლო კითხვები:

1. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს სამთავრობო ხელშეკრულებების რეგულირების სფერო;
2. საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულებების არსი და მნიშვნელობა საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ.

2.4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები სამართლებლივი დახმარების, კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

ქვეყანაში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებამ, მიგრაციული და ემიგრაციული პროცესების გაღრმავებამ, ტრანსნაციონალური ტრანზიტული მარშრუტების ჩამოყალიბებამ, გარკვეულწილად, შექმნა ხელსაყრელი გარემო სხვადასხვა სამართალდარღვევის, მათ შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დანაშაულის ჩადენისათვის, რომელთა ზრდის ტენდენციამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში საგრძნობ მასშტაბებს მიაღწია.

გასულ წლებში აღურიცხავი პროდუქციის საქართველოში შემოდინებამ, ცალკეული საქონლის სახეობების მიხედვით, მისი საერთო რაოდენობის მოხმარების გათვალისწინებით 50–60 პროცენტს მიაღწია. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ერთმა რომელიმე ქვეყანამ, ურთიერთხელსაყრელი სამართლებლივი და სხვა დახმარების გარეშე, ებრძოლოს ამ სამართალდარღვევებს და მიაღწიოს სასურველ შედეგს. გაითვალისწინა რა ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა, საქართველომ ხელი მოაწერა ან შეუერთდა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას სამართლებრივი დახმარების შესახებ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. მათ შორის მნიშვნელოვანია მინსკის 1993 წლის მრავალმხრივი ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებზე, 2000 წლის 23 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს და დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შესაბამის სამსახურებს, მათი ქვეყნების ეკონომიკური, ფისკალური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, ხელმოწერილი აქვთ ურთიერთგაგების მემორანდუმი სამართლებრივი დახმარების შესახებ, რომელიც ძალაშია იმავე დღიდან.

ბევრ ქვეყანასთან საქართველოს დამყარებული აქვს ორმხრივი სამთავრობო ხელშეკრულება, კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ამ შეთანხმებების შესაბამისად, მონაწილე მხარეები მათ სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა და წესების დაცვით თანამშრომლობენ. კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით მხარეები გაცვლიან:

- ინფორმაციას მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესახებ;
- ინფორმაციას კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ, ბრძოლის მეთოდების შესახებ, აგრეთვე იმ მონაცემებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების გახსნას, აღკვეთას ან თავიდან აცილებას;
- კონტროლის ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების გამოყენების გამოცდილებას;
- პუბლიკაციებს, სამეცნიერო, პროფესიონალურ და სასწავლო შრომებს კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ინფორმაციას კონტრაბანდის სახეობებისა და მარშრუტების შესახებ;
- ინფორმაციას ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ახალი სახეობისა და წარმოების ადგილების, მათი უკანონოდ გადაზიდვის მარშრუტების, მათი იდენტიფიკაციისა და ლაბორატორიული ანალიზის შედეგების შესახებ.

ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია, რომ შეთანხმების მონაწილე მხარეებს, საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნით, შეუძლიათ ერთმანეთს წარუდგინონ ოპერატიული მონაცემები:

- იმ პირებზე, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი ეწევიან კონტრაბანდას ან ნარკოტიკებით არარეგულარულ ვაჭრობას, ან ეჭვმიტანილნი არიან ამგვარ ქმედებაში;
- სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთის და საფოსტო გზავნილების შესახებ, რომლებიც გამოიყენება კონტრაბანდის გადაზიდვისათვის;
- კონტრაბანდის საგნების აღმოჩენის ფაქტების შესახებ.

ხელშეკრულებებში აგრეთვე გათვალისწინებულია ინფორმაციის გაცვლა შემდეგ საკითხებზე:

- საბაჟო სამსახურის როლზე ეროვნულ ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;

- საბაჟო კონტროლის მეთოდების შესახებ საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ბარგის, საფოსტო გზავნილებებისა და სხვა ნივთების ამ ქვეყნების ტერიტორიაზე შეტანა-გამოტანის დროს;
- ჰარმონიზებული სისტემისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ;
- კონტრაბანდის ძირითად ფორმებზე, კონტრაბანდული საგნების დამალვის მეთოდებზე, კონტრაბანდის თავიდან აცილების მეთოდებსა და შედეგებზე;
- საბაჟო კანონებსა და წესებზე;
- საბაჟო მართვის მოდერნიზაციისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;
- საბაჟო საქმეში კომპიუტერებისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების თაობაზე;
- ახალი საბაჟოების შექმნის თაობაზე საბაჟო პერსონალის მომზადების შესახებ;
- საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და საერთაშორისო კონვენციების შესრულების თაობაზე;
- იმ სხვა საკითხებზე, რომლებიც შეთანხმების მონაწილე მხარეს დააინტერესებს.

ამასთან, ერთ-ერთი მხარის თხოვნით, მეორე მხარეს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში შეუძლია განსაზღვრული პერიოდით სპეციალური დაკვირვება:

- პირებზე, რომლებიც შემჩნეულნი არიან მთხოვნელი მხარის საბაჟო წესების დარღვევაში;
- განსაზღვრულ ტვირთებზე, რომელთა შესახებ მთხოვნელმა მხარემ განაცხადა მათი საბაჟო დარღვევის თაობაზე;
- სატრანსპორტო საშუალებებზე (ავიაცია, ავტომობილები და სხვ.), რომელთა შესახებ არსებობს ინფორმაცია, რომ მათ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისას იყენებენ.

შეთანხმების მონაწილე თითოეული მხარის საკუთარი თაოსნობით ან მეორე მონაწილე მხარის თხოვნით, შეუძლია მთხოვნელ მხარეს წარუდგინოს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას სხვადასხვა სახის საბაჟო წესების, განსაკუთრებით ისეთი დარღვევების, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან, იარაღთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან და საბრძოლო მასალებთან, მხატვრული, კულტურული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე საგნებთან. ამავე დროს, ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია, რომ მიღებული ნებისმიერი სადაზვერვო დაკვირვება, დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია შეთანხმების ფარგლებში განიხილება როგორც კონფიდენციალური და მხოლოდ შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება. მხარეები შეთანხმების ინტერპრეტაციის დროს წამოჭრილ სადავო საკითხებს მეგობრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე კონსულტაციების გზით გადაწყვეტენ.

საკონტროლო კითხვები:

1.საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამართლებრივი დახმარების შესახებ.

2.ეკონომიკური დანაშაულის, მათ შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. სამთავრობო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების არსი და მნიშვნელობა.

2.5. ელექტრონული ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება და მისი განვითრების პერსპექტივები

ბოლო წლებში ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მკვეთრმა გაფართოებამ და ერთიანი საინფორმაციო ქსელის ტექნოლოგიური პროცესების განვითრებამ, საფუძველი ჩაუყარა ელექტრონული ბიზნესისა და კომერციის ჩამოყალიბებასა და ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობაში მის პრაქტიკულ გამოყენებას.

კომპიუტერული ერთიანი საინფორმაციო ქსელი (WORLD WIDE WEB- WWW) შემუშავდა პირველად 1988 წელს. ინტერნეტ გვერდების განთავსება ამ ქსელის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პირადი დომენური სახელების მინიჭებასა და სერვისის პროვაიდერების მეშვეობით დაიწყო 1990 წელს, რომლის მომხმარებლები ყოველდღიურად ფართოვდება და დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით მათი რიცხვი ერთ მილიარდს აღემატება. ელექტრონული კომერციის მოცულობა ბოლო წლებში შეადგენს ასობით მილიონ დოლარს და საგრძნობია მისი მკვეთრი ზრდის ტენდენცია. მსოფლიოს დიდ ქალაქებში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს ელექტრონული მაღაზიები, რომელიც საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად, ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვის, დროის ეკონომიის, სამგზავრო და სხვა თანმდევი ხარჯების გარეშე, შეძენილი იქნეს სასურველი საქონელი.

ბიზნესის მრავალსახეობიდან გამომდინარე, კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს დღეისათვის საშუალება ეძლევათ ინტერნეტის მეშვეობით, მოიძიონ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია და მომსახურეობა, რომლებიც განთავსებულია ინტერნეტის საიტებზე, მონაწილეობა მიიღონ გამოცხადებულ ტენდერებში, მოახდინონ ანგარიშსწორება და მიიღონ შესყიდული საქონელი თუ მომსახურეობის პროდუქტი წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით, ხარისხითა და ფასებით. ამასთან ერთად, თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ქსელების ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა უსაფრთხოდ და საიმედოდ განხორციელდეს ელექტრონული ბიზნესის მრავალმიმართულებიანი საქმიანობა. მიუხედავად ელექტრონული ბიზნესის მრავალსახეობისა, ეს საქმიანობა შეიძლება დაიყოს შემდეგ მიმართულებებად:

- ინტერნეტის მეშვეობით სასურველი პროდუქციის მოძიება, შესაბამისი მომსახურეობის პროდუქტისა და ასევე სხვადასხვა გამოცხადებული ტენდერების პირობების გაცნობა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- შერჩეული პროდუქციისა, თუ სხვა საქმიანობის ფასებისა და სხვა პირობების შეთანხმება კონკრეტულად მის მწარმოებლებთან და გამყიდველებთან;
- კონტრაქტების დადება ინტერნეტის მეშვეობით ყველა მხარის მიერ უფლებამოსილი პირების ხელმოწერითა და ბეჭდის დამოწმებით;
- კონტრაქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების გადაზიდვისა და სხვა პირობების განხორციელება შესაბამისი მონაწილე მხარეების მიერ;
- ელექტრო აუქციონების გამართვა და მასში მონაწილეობის მიღება;
- სპეციალიზირებულ ელექტრონულ მაღაზიებში სასურველი პროდუქციის მოძიება და შეძენა;
- შესყიდული პროდუქციისა და მომსახურების პროდუქტის მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტით განსაზღვრულ ვადაში პრეტენზიების წარდგენა;

მიუხედავად ელექტრონული ბიზნესის წარმართვის გარკვეული თანმდევი რისკისა, მისი უსაფრთხოება და საიმედოობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლებრივი მოთხოვნებითა და პრაქტიკაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმებით. პირველ რიგში ყველა კომპანია თუ მეწარმე ფიზიკური პირი უფრთხილდება, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ბაზარზე თავის რეპუტაციასა და იმიჯს. საერთაშორისო საბანკო საკრედიტო ურთიერთობები მოწესრიგებულია სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც გარკვეულ გარანტიას იძლევიან ინტერნეტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების შესასრულებლად. ამასთან ერთად დარღვეულ უფლებების აღსადგენად ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავის განმხილველ ორგანოს, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებსა და საერთაშორისო სასამრთლოს მიყენებული პირდაპირი მატერიალური ზიანის, მოსალოდნელი და მისაღები თანხებისა და აგრეთვე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ბოლო წლებში მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული ბიზნესის წარმართვის მკვეთრმა გაფართოებამ მოითხოვა მისი სამართლებრივი რეგულირება. 1996 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე სინგაპურში ხელმოწერილი იქნა წევრი ქვეყნების მიერ დეკლარაცია „ინფორმაციული ტექნოლოგიების საქონლით ვაჭრობის შესახებ". მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიღებულია ეროვნული სამართლებრივი ნორმები ინტერნეტის საშუალებით ელექტრონული ბიზნესის განხორციელების მოსაწესრიგებლად. 1997 წელს გერმანიაში მიღებული იქნა პირველი კანონი „ციფრული ხელმოწერების შესახებ". აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიღებულია კანონმდებლობა საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შესრულების, ანგარიშსწორების უზრუნველყოფის, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების, საარბიტრაჟო და სხვა სასამართლოების მეშვეობით დაცვის გარანტიების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა 1980 წლის 11 აპრილის ვენის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ" (Convention on the International Sale of Goods-CISG), რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ ნორმას სხვადასხვა ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული სავაჭრო გარიგებების მოსაწესრიგებლად.

დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში ელექტრონული ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტების მიხედვით აღნიშნული ურთიერთობები დაყოფილია შემდეგ სახეებად:

ელექტრონული ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება კომპანიებს შორის (Business to Business C-Commerce), რომელსაც B2 B -ით აღნიშნავენ;

ელექტრონული ვაჭრობის განმახორციელებელ კომპანიასა და მომხმარებელს შორის წარმოებული ურთიერთობები (Business to consumer e-Commerce) შემოკლებით აღნიშნავენ C 2 C სახელწოდებით;

მომხმარებელს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მიხედვით (Consumer to consumer e- Commerce), რომელსაც შემოკლებით აღნიშნავენ C2 C

სახელწოდებით.

საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოში მიღებულია ელეტრონული ბიზნესის საქმიანობასთან და მის მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესატყვისი ნორმატიული აქტები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონით განსაზღვრულია სხვადასხვა საინფორმაციო სიგნალების ელექტრონული დამუშავების, და მისამართების (კომუტაციის) გატარებისა და გადაცემის სისტემა, რომელიც მოიცავს სხვა ტექნოლოგიურ საშუალებასთან ერთად ინტერნეტის საშუალებით სხვადსხვა სახის ინფორმაციის გადაცემას.

„ელექტრონული ხელმოწერებისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ" საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონით დადგენილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და მისი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. კანონით ელექტრონულ დოკუმენტებად მიჩნეულია ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშულებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობს ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს.

ელექტრონულ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ აღიარებულია ციფრული ხელმოწერები, რომლის უფლება აქვს სპეციალური სერტიფიკატის მქონე პირს. ამასთან ერთად კანონით დადგენილია, რომ ნებისმიერ საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილ ელექტრონულ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა, თუ სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის დადასტურებას ავტომატურ რეჟიმში.

აღნიშნულთან ერთად 2009 წლის საქართველოს კანონით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის საქმიანობის სფეროა, ინფორმაციული სისტემის შემუშავება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ციფრული ხელმოწერების სერტიფიკატის გამცემის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგი და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემასთან.

2006 წლის 28 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №398 ბრძანებულებით დამტკიცებული იქნა დებულება „ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების შესახებ", რომელიც გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივნისის №404 ბრძანებულებით და რომლითაც დამტკიცდა „დოკუმენტებით აპოსტილით დამოწმების წესი".

აღნიშნული წესი ვრცელდება იმ სახელმწიფოების მიერ აპოსტილით დამოწმებულ დოკუმენტებზე, რომლებიც არიან ჰააგის 1961 წლის 15 ოქტომბრის „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესხებ" კონვენციის წევრი. აღნიშნულთან ერთად აპოსტილით დამოწმებისას დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე შედგენილ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, ბეჭდის ან შტამპის აუთენტურობა.

აღნიშნული წესის თანახმად, აპოსტილით მოწმდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განთლებისა და მეცნიერების სამინისტროების, სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები და აგრეთვე სანოტარო აქტები.

დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების უფლებამოსილი ორგანოებია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ადმინისტრაციული ორგანოები მათ მიერ გაცემულ დოკუმენტებზე;

ელექტრონული საინფორმაციო ქსელების განვითარება, მისი ყოველდღიური ტექნოლოგიური სრულყოფა, მსოფლიო მოსახლეობის ინტერნეტით სარგებლობის ქსელის გაფართოება, დღეისათვის და ახლო მომავალში საკმაოდ მყარ საფუძველს წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის განვითარებისათვის. თანამედროვე მწარმოებელი და სხვადასხვა მომსახურეობის გამწევი კომპანიები საკუთარი ვებ გვერდებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აწარმოებენ თავიანთი საქმიანობის რეკლამას. განთავსებული აქვთ კომპიუტერულ საიტებზე გამოშვებული პროდუქციის ფოტომასალები, აღწერილია ამ პროდუქციის მახასიათებლები, შემადგენლობა და მოცემულია სხვა ტექნიკური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილზე პროდუქციის ფიზიკური დათვალიერების გარეშე, მის რეალურ შეფასებას, დაინტერესებული პირების მიერ. მსურველს აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ ტენდერებში საბირჟო ვაჭრობებში ყოველგვარი ბროკერების გარეშე.

ყველასათვის ხელმისაწვდომია აგრეთვე ინტერნეტის მეშვეობით სასურველი მომსახურეობის პირობების გაცნობა, სხვადასხვა გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება და ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის წარმართვა. ნაკლები დანახარჯებით შესაძლებელია სხვადასხვა ოპერაციების მოკლე დროში განხორციელება, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს გასაყიდი პროდუქციის ფასსა და შესაბამისად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებსა და ინტერესებს.

თანამედროვე ელექტრონული საინფორმაციო ქსელი საშუალებას იძლევა ინტერნეტის მეშვეობით ჩატარდეს მარკეტინგული კვლევა, მოძიებული იქნეს სასურველი ინფორმაცია და რაც მთავარია ინტერნეტის მეშვეობით უფასოდ მილიონობით დაინტერესებულ პირს მიეწოდოს ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია რეკლამიების მიზნით სხვადასხვა მრავალფეროვანი გამოსახულებებითა და ტექსტების სახით.

ფართოდაა გავრცელებული ბოლო წლებში ელექტრონული სწავლება, რომელიც საშუალებას იძლევა დისტანციურ კურსებზე სტუდენტებმა ონლაინში მიიღოს შესასწავლილი საკითხებში და შემდეგ ჩააბაროს გამოცდები. ყველა კრედიტის ათვისების შემდეგ სტუდენტზე გაიცემა დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატი ან დიპლომი.

ბოლო პერიოდში დასაქმების პრობლემების გადასაწყვეტად ფართოდ გავრცელდა სამუშაოს მოძიება ინტერნეტის მეშვეობითა და ასევე კონკრეტული სამუშაოს შესრულება და დამკვეთისათვის ამ შესრულებული სამუშაოსათვის შედეგების ჩაბარება.

ელექტრონული საინფორმაციო ქსელით ხორციელდება კრედიტორებთან ანგარიშსწორება, მომსახურე ბანკებთან ფინანსური ოპერაციები, სხვადასხვა კომუნალური გადასახადების გადახდა, გადამხდელების მიერ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა საგადასახადო ორგანოებში, სასურველი ინფორმაციის მიღება საჯარო და სამეწარმეო რეესტრებიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრიეს 2007 წლის 16 აგვისტოს № 1000 ბრძანებით დამტკიცდა ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების წესი, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელს უფლება მიეცა უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს საგადასახაო დეკლარაციების წარდგენა ელექტრონული ფორმით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინტერნეტ-მომსახურების პორტალის გამოყენებით, ონლაინ რეჟიმში. აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე გადამხდელის მიერ ელექტრონული ფორმით წარდგენილ დეკლარაციას გააჩნია ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დეკლარაციას.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ელექტრონული ბიზნესის განვითარების დადებითი მხარეებისა, მისი უსაფრთხოება, მოსალოდნელი სხვადასხვა რისკების თავიდან აცილება, მოითხოვს სამართლებრივი გარანტიებით მყარ და საიმედო უზრუნველყოფას, მისი პროცესების დეტალურ რეგლამენტირებას, როგორც საერთაშორისო ისე ეროვნული კანონმდებლობით.

საკონტროლო კითხვები:

1. ელექტრონული ბიზნესის მნიშვნელობა და მისი განვითრების პერსპექტივები;
2. ელექტრონული ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები;

2.6. ბიზნესის სამართლებრივი გარემო

ბიზნესის საქმიანობის განხორციელება, მისი სრულყოფა და განვითრება პირდაპირ კავშირშია იმ გარემოსთან, რომლებშიც ის ფუნქციონირებს და რომლებთანაც მას უხდება ურთიერთკავშირი ყოველდღიურ საქმიანობაში. ნებისმიერ სახელმწიფოში, მიუხედავად განვითრების დონისა, ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმისა, საშინაო და საგარეო ფუნქციის განხორციელება, მათ შორის ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულირდება და წესრიგდება კანონმდებლობით, რომელიც თანამედროვე ქვეყნების მიერ მიიღება, საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნითა და მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა განიცდის, როგორც შიდა ისე გარე ფაქტორების ზემოქმედებას. შიდა გარემოს მიეკუთვნება მატერიალური და ფინანსური რესურსები, ბიზნესის ადგილმდებარეობა, წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, ადამიანური რესურსები, მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხები და სხვა მრავალი.

გარე გარემოს მიეკუთვნება ყველა ის უამრავი ფაქტორი და გარემო, რომელშიც ბიზნესი ვითარდება და ურთიერთობაშია სისტემატურად. ქვეყნის ეკონომიკის განვითრებაში, ბიზნესის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა ხელისუფლება ცდილობს შექმნას მიმზიდველი და ხელსაყრელი გარემო, რომელიც ღია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში აძლიერებს და სტიმულს აძლევს კერძო ინიციატივის განვითრებას. ყოველივე კი მაქსიმალური მოგების მიღების

მიზნით, საფუძველს უქმნის კერძო სექტორს დაიწყონ და განავითარონ ნებისმიერი საქმიანობა, რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით. სახელმწიფომ უნდა უზრუველყოს, რომ ხელშეუხებელი და დაცული იქნას კერძო საკუთრება, ყოველთვის ხელმისაწვდომი გახდეს და გამარტივდეს საწარმოთა სარეგისტრაციო პირობები, შემოღებულ იქნას ლიბერალური საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, დაწესდეს სამართლიანი და ეფექტური სხვადასხვა შეღავათები, ხელი შეეწყოს კანონიერი კონკურენციის განვითრებას და გარანტირებულ იქნას კანონმდებლობით დადენილი უფლებამოსილების განხორციელება, დაცულ იქნას ბიზნესი კრიმინალური ზემოქმედებისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე პირობებში ბიზნესის განვითრება სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს, სახელმწიფოები შესატყვისი შიდა ეროვნული კანონმდებლობის მიღებასთან ერთად ცდილობენ დაამყარონ ერთმანეთთან ურთიერთხელსაყრელი კავშირები ხელშეკრულების საფუძველზე. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფოთაშორის ბიზნესის განვითარებას. ყოველივე აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ დღევანდელი ბიზნესის გარემო ყალიბდება არა მარტო ეროვნული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც მიიღება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების, შეთანხმებისა და კონვენციების სახით.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ღია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებზე ორიენტაციით, საქართველოში იქმნება ბიზნესის განვითრების ხელსაყრელი გარემო, ხელი ეწყობა კერძო ინიციატივის წახალისებას, სხვა ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობით იქმნება ერთობლივი კომპანიები, გარკვეული შეღავათები აქვს მინიჭებული უცხოურ ინვესტიციებს. ამასთან თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ, როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას ქვეყანაში.

სუვერენული საქართველოს გეგმიური ეკონომიკიდან ღია და თავისუფალ საბაზრო პირეობებზე ორიენტაციამ განაპირობა შესატყვისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა, მისი მრავალსახეობიდან გამომდინარე, რეგლამენტირებულია და რეგულირდება მთელი რიგი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. პირველივე წლებში იქნა მიღებული კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. შეიქმნა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა. მიღებულ იქნა ასევე მრავალი საკანონმდებლო აქტი სხვადასხვა მიმართულების ბიზნესის საქმიანობის განსახორციელებლად. ამევე დროს კანონმდებლობით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მიღებულია მრავალრიცხოვანი ბიზნესის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული კანონქვემდებარე აქტები.

დამოუკიდებელი საქართველო მიუერთდა და მრავალ ქვეყანასთან ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და კონვენციებს, რომლებიც აწესრიგებენ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას. ამასთან ერთად, ქვეყანა გაწევრიანდა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოთაშირისი ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარება და შესაბამისად ბიზნესის განვითარების შესაბამისი გარემოს შექმნა.

თანამედროვე ბიზნესის განვითრების, მისი სამართლებრივი გარემოს ჩამოსაყალიბებად საქართველოში მიღებული სამართლებრივი ნორმები, თავისი იერარქიის მიხედვით, სქემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა იყოფა ნორმატიული და არანორმატიული ხასიათის აქტებად. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ამ განმარტებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტი შეიცავს სამართლის ნორმებს და შესაბამისად ის სამართლის წყაროს წარმოადგენს.

არანორმატიული ანუ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია. ის მიიღება მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე. მისი დანიშნულებაა, რომელიმე კონკრეტული და ერთჯერადი საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებები და ბრძანებულებები უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებების, ასევე საპატიო წოდებების მინიჭების, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნის შესახებ. პრემიერ–მინისტრისა და მინისტრების ბრძანებები თანამდებობის პირების დანიშვნის და სხვა კონკრეტულ-ინდივიდუალური საკითხების ერთჯერადი გადაწყვეტის შესახებ.

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ჩამოთვლილი იერარქია, მათი ადგილი და მნიშვნელობა სამართლის წყაროებს შორის განპირობებულია მათი მიღების განსაკუთრებული წესით, რომელიც დადგენილია ქვეყნის კონსტიტუციით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კონსტიტუცია სახლმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის, კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

- პრეზიდენტს;
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
- არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიულ–სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპების საფუძველზე და კონსტიტუციის გადასინჯვისას.

ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა და კანონქვემდებარე აქტების მიმართ. ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. მაგალითად, კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს რომ საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით. კონსტიტუციის 43-ე მუხლით დადგენილია, რომ სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით, 83-ე მუხლის შესაბამისად საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით, კონსტიტუციის 91-ე მუხლის საფუძველზე პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. 95-ე მუხლი ადგენს, რომ ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით. დღეისათვის ყველა ამ საკითხზე მიღებულია ორგანული კანონები.

საქართველოს კონსტიტუციით აგრეთვე დადგენილია, რომ ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევაზე მეტი, ანუ 118 პარლამენტარი.

საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე დროს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია, რომ დაუშვებულია კანონით გადაწყდეს ისეთი საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არა ნაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს:

- საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონით ან კანონით არის გათვალისწინებული;
- ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობის და იძულების ზომების გამოყენების საკითხები;
- სამოქალაქო რეესტრში შესატანი მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა შექმნის პირობები და მათი საქმიანობის ზოგადი წესი;
- საქართველოში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები, სტრუქტურა, ოდენობა, მათი შემოღებისა და გადახდის წესი;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი სტატუსი;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევის წესი;
- სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო. ადმინისტრაციული, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს დეკრეტი, რომელიც კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია და გამოიცემა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია საგადასახადო დ საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი-დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს ამ დეკრეტს. კონსტიტუციის 93-ე მუხლით ასევე დადგენილია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, ასევე ორგანულ კანონს.

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლით დადგენილია, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, პარლამენტის წევრს, მთავრობას, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს. ამასთანავე საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით მის წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, მინისტრთა კაბინეტის დადგენილება და განკარგულება, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, მინისტრებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელის ბრძანებები, აგრეთვე საკრებულოს გადაწყვეტილება, გამგეობის, მერიის დადგენილება და გამგებლის (მერის) ბრძანებები წარმოადგენენ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ვინაიდან ისინი უნდა შეესაბამებოდნენ კანონს და მათი მიღება შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ის პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (სხვადასხვა დებულებები, ინსტრუქციები, წესები) წარმოადგენენ სამართლის წყაროს მნიშვნელოვან და შედარებით მრავალრიცხოვან სახეს ნებისმიერი ქვეყნის სამართლის სისტემაში.

კანონმდებლობით დადგენილია რომ კანონქვემდებარე აქტის პროექტი გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას, მისი საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ.

ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტი, რომელსაც უფლება აქვს დაუკვეთოს ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება სახელმწიფო და

არასახელმწიფო ორგანიზაციას, ცალკეულ სპეციალისტსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის უცხოელს).

საქართველოს პარლამენტი კანონპროექტის განხილვას იწყებს მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის დასკვნის არსებობისას. კომიტეტის უარყოფითი დასკვნა არ შეიძლება იყოს დაბრკოლება პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დაწყებისათვის.

საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე. კანონქვემდებარე აქტის მიღების თარიღად კი ითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე. საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ ამ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი კი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ ამ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

ყოველივე აღნიშნული სამართლებრივი ნორმები ქმნიან ქვეყნებში ბიზნესის განვითარების საფუძველს, მის სამართლებრივ გარემოს, რომლის სრულყოფა პირდაპირ კავშირშია მის მიმზიდველობასთან, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან, საბოლოოდ კი ყოველივე აღნიშნული განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებას.

გარდა ზემოთ მითითებული ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის სამათრლებრივი გარემოსი, მასზე მეგავლენას ახდენს:

- ბაზრის ისეთი სტიქიური ძალები, როგორიცაა საქონლის მოწოდებისა და მოხმარების თანაფარდობა;
- მწარმოებლებისა და სხვა მონაწილე პირების მიერ ბიზნესთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებების განუხრელი შესრულება, როგორც ქვეყნის შიგნით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, ისე სხვა ქვეყნების პარტნიორებთან ურთიერთობისას;
- ხელისუფლების მიერ ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გარკვეული შეღავათების მინიჭებითა და სხვადასხვა ბარიერების მოხსნით წაახალისებს ბიზნესის განვითრებას;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითრების დონე, მისი ბუნებრივი რესურსები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, ეკოლოგიური მდგომარეობა;
- მოსახლეობის დემოგრაფიული და რაოდენობრივი მახასიათებლები, სოციალური პირობები, მათი მყიდველობითი უნარიანობა;
- სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა წევრის მიერ, რომლითაც დაცული იქნება ბიზნესი სხვადასხვა კრიმინალური და სხვა არაკანონიერი ზემოქმედებისაგან;
- ბიზნესის ყველა მონაწილე სუბიექტის მიერ ღვეისათვის ცივილიზებულ სამყაროში ჩამოყალიბებული ეთიკურ-მორალური ნორმების დაცვა და სხვა მრავალი თანმდევი ფაქტორები და პირობები;
- რეგიონული და საერთაშორისო კონფლიქტების, საომარი მდგომარეობისა და სხვადასხვა პოლიტიკური დაპირისპირებების, შიდა არეულობებისა და მასიური საზოგადოებრივი წესრიგის დაუცველობა.

ბიზნესთან დაკავშირებულ გარემოს საქმიანობაზე მოქმედი ჩამოთვლილი და სხვა მრავალი ფაქტორები და პირობები განიცდიან მუდმივ ცვლილებას, რომლებიც შესაბამისად საჭიროებენ სისტემატურ და აღეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა გარეშე შეუძლებელია ბიზნესის შემდგომი განვითარება.

საკონტროლო კითხვები:

1. ბიზნესის სამართლებრივი გარემოს დახასიათება
2. ბიზნესის გარემოზე მოქმედი სხვა ფაქტორები და პირობები

2.7. ბიზნესთან დაკავშირებული ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ დაამყარონ ერთმანეთთან ურთიერმომგებიანი საგარეო ეკონომიკური კავშირები. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეიმუშავებენ გარკვეულ პოლიტიკას, ქმნიან თავისუფალ ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის აღეკვატურ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და ახორციელებენ სათანადო კონტროლს მათ შესრულებაზე.

სახელმწიფო თავისი ბუნებითა და დანიშნულებით აწესრიგებს საზოგადოებრივ და მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სხვა ქვეყნებთან კავშირების დამყარებით. სახელმწიფო არ შეიძლება თვითონ ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. საჯარო

სამართლის სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის სახელმწიფო მოხელეები არ ქმნიან კერძო საწარმოებს და არ უშვებენ პროდუქციას, არ ასრულებენ სამუშაოსა და არ ეწევიან მომსახურებას სისტემატურად მოგების მიღების მიზნით.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სპეციალისტების ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ თავისუფალი მეწარმეობა გამოხატავს სახელმწიფოს მაქსიმალურ ჩარევას ამ საქმიანობაში. ისინი თვლიან, რომ სამეწარმეო საქმიანობაზე ზემოქმედებას უნდა ახდენდეს არა პირდაპირ, არამედ ირიბად საკრედიტო-საფინანსო ბერკეტების გამოყენებით, რითაც უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება კერძო საკუთრებისა და მოგების ხელშეუხებლობის მყარი გარანტიით.[1]

სპეციალისტების მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა არეგულიროს ბაზარი, ვინაიდან სტიქიურ ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს ქვეყნის ეკონომიკა და შესაბამისად სახელმწიფომ უნდა დააწესოს პირდაპირი შეზღუდვები.[2] მოგვიანებით ამ მოსაზრებას სპეციალისტების მიერ ეწოდა ეკონომიკის დიდ ორგანიზმში, „ქირურგიული ჩარევის" თეორია, ვინაიდან ჯანსაღი, თავისუფალი, ღია საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას არ საჭიროებს.

დღეისათვის მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის მთავრობის ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ოპტიმალური პირობებისა და მოცულობის დადგენა. სახელმწიფომ თავისი შეზღუდვებით არ უნდა შეაფერხოს ეკონომიკური განვითარება, პირიქით უნდა წაახალისოს და სტიმული მისცეს კერძო ინტერესების გაღრმავებას, რისთვისაც საჭიროა შეიმუშავოს და მიიღოს შესატყვისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველო ცდილობს შექმნას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, განახორციელოს ინტეგრაცია მსოფლიო თანამეგობრობაში და რასაკვირველია უნდა დაიცვას ის წესები, რაც დამახასიათებელია მსოფლიო თავისუფალი, ღია საბაზრო ეკონომიკისათვის.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობები ცდილობენ განახორციელონ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია და საწარმოები გადასცენ კერძო სექტორს. მსოფლიო პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა, რომ კერძო საწარმოები აღწევენ ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, რომლებიც მოქალაქეებს უფრო იაფ და ხარისხიან პროდუქციას და შესაძლებლობას სთავაზობენ, სახელმწიფო კი თავისუფლდება ფინანსურად დიდი სუბსიდიებისაგან.

საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების დონე მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული საკანონმდებლო აქტებით, რომელთა მოთხოვნები განუხრელად უნდა შეასრულოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ და ყველა საჯარო თანამდებობის პირმა.

მსოფლიო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ყოველი დამოუკიდებელი სახემწიფო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დროს ახორციელებს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკის, მათ შორის ადგილობრივი წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის სტიმულირებასა და ატარებს შიდა ბაზრის დაცვის კომპლექსურ ღონისძიებებს.

ამ მიზნით და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო არეგულირებს იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებს, ატარებს შესაბამის ღინისძიებებს ქვეყანაში შემოტანილი და ქვეყნიდან გატანილი საქონლის ზუსტი ოდენობის დასადგენად, ისწრაფვის როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარზე სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ადგიობრივი წარმოების პროტექციონიზმის მიზნით აწესებს სხვადასხვა შეღავათებს და არეგულირებს გადასახადის განაკვეთებს, იცავს სახელმწიფო ეკონომიკრ საზღვრებს, ებრძვის აღურიცხავი (კონტრაბანდული) საქონლის სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებას, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის ოპერაციის განხორციელებისას.

ჩამოთვლილი ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის მისაღწევად დამოუკიდებლობის აღდგენის ღღიდან. სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულია მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც აწესრიგებენ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას ამვე დროს საქართველომ ხელი მოაწერა ან მიუერთდა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან კონვენციას, რომლითაც აგრეთვე რეგულირდება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ეს მნიშვნელოვანი მიმართულება.

საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 3) დადგენილია, რომ მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას განეკუთვნება ბიზნესთან

---

[1] M. Friedman. Carctalisin and Freedom. Chicago. 1992.p. 89

[2] Дм. Н. Кейнс. Теория занятости, процента и денег. Москва 1999.с. 455

დაკავშირებული ისეთი საქმიანობა როგორიცაა: საგარეო ვაჭრობა და სატარიფო რეჟიმები, სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი, ფულის მოჭრა, საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა, სტანდარტები და ეტალონები, სახელმწიფო სტატისტიკა, თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები, სასაზღვრო-სანიტარული კორდონი, ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა. კონსტიტუციით (მუხლი 21) ასევე განსაზღვრულია, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. მუხლი 23 ადგენს ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების და ამ საუკუთრების უფლების ხელშეუვალობას. 30-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. ის ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. კონსტიტუციით აგრეთვე დადგენილია ფინანსებისა და კონტროლის სისტემა, სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხები, ფულად-საკრედიტო სისტემა, ეროვნული ბანკისა და კონტროლის პალატის ფუნქციონირების საკითხები. 94-ე მუხლი ადგენს, რომ სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

ქვეყნის უმაღლესი კანონის ამ დებულების შესაბამისად სახელმწიფოში დამკვირებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერ, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, მიუხედავად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილებისა უფლება აქვთ ეწეოდნენ კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ ნებისმიერ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს, შესაბამისად უცხო ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს ქონებრივსა და პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს და აგრეთვე აღნიშნული ურთიერთობებიდან წამოჭრილი დავების სასამართლო გადაწყვეტის პროცესუალურ საკითხებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7, მე-8 და 115-ე მუხლების შესაბამისად კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდული პირი. ამასთან, ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების მიმართ. ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სამოქალაქო სამართლებრივი უფლება უნდა განახორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია ამ უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვა პირს.

სამოქალაქო კოდექსის ამ ზოგადი მოთხოვნიდან გამომდინარე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ნებისმიერი საქმიანობის ობიექტი შეიძლება იყოს, როგორც ქონებრივი (მატერიალური ანუ უძრავი და მოძრავი ქონება), ისე არაქონებრივი (არამატერიალური ანუ სხვადასხვა მომსახურეობის გაწევა, ინტელექტუალური საკუთრება და სხვა) სიკეთე, რომლებიც არ არის ბრუნვიდან დადგენილი წესით ამოღებული და ამ საქმიანობის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნისა და მოქალაქეობის არ მქონე ფიზიკური პირი და აგრეთვე იურიდიული პირი თანასწორი უფლება-მოვალეობით, რომლებიც კეთილსინდისიერად და მართლზომიერად ახორციელებენ კანონით ნებადართულ საქმიანობას.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათ დაფუძნების, რეგისტრაციის პირობები, საწარმოთა მართვისა და ხელმძღვანელობის კაპიტალის შექმნის, დაფინანსების, ფულადი და არაფულადი შენატანების, საწესდებო კაპიტალისა და საზოგადოების საქონების, სამეწარმეო საქმიანობის შემოწმებისა და დავების რეგულირების საკითხები.

ჩამოთვლილი ამ ძირითადი და სხვა შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით სახელმწიფო არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მათ შორის ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას შემდეგი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით:

- სამეწარმეო საქმიანობის რეგლამენტაცია და მისი სახელმწიფო რეგისტრაცია;

- სამეწარმეო საქმიანობის ცალკეული შეზღუდვების დაწესება, მათ შორის მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა, ცალკეულ საქმიანობის ლიცენზირება და სხვა;
- შიდა ბაზრის დაცვის ღონისძიებების განხორციელება, რომელიც გულისხმობს ყველა მეწარმე სუბიექტის, მათ შორის მცირე და მსხვილის საწარმოსათვის ერთნაირი კონკურენტუნარიანი პირობების შექმნას, ადგილობრივი საწარმოების მიმართ პროტექციონიზმის განხორციელებასა და საექსპერტო პროდუქციის დამზადების სტიმულირებას;
- გამოშვებული პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო რეგულირება;
- ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზება;
- სახელმწიიფო საბიუჯეტო გადასახადების სავალდებულობას;
- ბიზნესთან დაკავშირებით საბაჟო საქამიანობის რეგულირება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო შეიმუშავებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, მისი უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებებს, ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიღებით აწესრიგებს ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში;
2. ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ზოგადი დახასიათება.

2.8. სახელმწიფოს მიერ საქონლის ხარისხის რეგულირება და სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქონლის, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს, მომსახურების ხარისხს განსაზღვრავს ბაზარი, რომლის მოთხოვნაზეა დამოკიდებული საქონლის წარმოება, ხარისხი და ფასი. ბაზრის მოთხოვნა გემოქმედებას ახდენს მეწარმეების ინტერესებზე, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით აუცილებელია კონკურენტუნარიანი, ხარისხიანი პროდუქციის დამზადება და რაც შეიძლება დაბალი გასაყიდი ფასებით. პრაქტიკული საქმიანობით დადასტურებულია, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე გემოქმედება მეწარმეების პირადი ინტერესებიდან გამომდინარე უფრო ეფექტურია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ გატარებული მკაცრი ადმინისტრაციული ზომები და მეთოდები.

ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროდუქციის ხარისხი ძირითადად რეგულირდება და დგინდება ხელშეკრულების საფუძველზე. მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ადგენს სტანდარტებს, რომელიც განსაზღვრავს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ დღეისათვის შემუშავებულია პროდუქციის სტანდარტებისა, ტექნიკური შესაბამისობისა და შეფასების პროცედურების გამოქვეყნების ზოგადი წესები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებულია შეთანხმება „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ"[1], რომლითაც სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება შეიმუშაონ ისეთი ტექნიკური რეგლამენტი და სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის შესაბამისობას მოცემულ მოთხოვნებთან ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და უსაფრთხოების, ასევე ცხოველთა და მცენარეთა დაცვის მიზნით. ამავე დროს არ შეაფერხებენ და ხელს შეუწყობენ საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

ამ შეთანხმების თანახმად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ შეიქმნა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი. აღნიშნული კომიტეტი განიხილავს შეთანხმებას მონაწილე სახელმწიფოების მიერ შემუშავებულ ტექნიკურ რეგლამენტსა[2] და სტანდარტებს[3], რის საფუძველზე სახელმწიფოებს აძლევს შესაბამის წინადადებასა და რეკომენდაციებს საგარეო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

---

[1] საქართველო შეურთდა 2000 წლის 20 აპრილს, პარლამენტის №265-11ს დადგენილებით

[2] წესი, რომელიც დგინდება პროდუქციის და მასთან დაკავშირებული წარმოების შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან და რომლის დაცვა სავალდებულოა (შეფუთვა, მარკირება, ეტიკეტების მოთხოვნები და ა.შ.).

[3] დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს კომპეტენტური ორგანო და მოიცავს მრავალჯერადი საზოგადო გამოყენების წესებს, ან პროდუქციისა და მასთან დაკავშირებული წარმოების პროცედურებისა და მეთოდების დახასიათებებს, რომლებიც არის სარეკონდაციო და რომლის დაცვა სავალდებულო არ არის

საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის №265-11-ს დადგენილებით შეთანხმებებს „იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ" და „საქონლის წარმოშობის წესების შესახებ". ამ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები თავს შეიკავებენ საგარეო ვაჭრობაში სხვადასხვა შეზღუდვების შემოღებისაგან, არ შექმნიან უსარგებლო ბარიერებსა და ხელს შეუწყობენ საქმიანი კონტაქტების დამყარების საგარეო ვაჭრობაში. მონაწილე სუბიექტებს შორის.

ქვეყნის შიდა ბაზრისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის, იმპორტირებული საქონლის ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების და ამავე დროს საერთაშორისო ბიზნესში ხელოვნური დაბრკოლებებისა და შეზღუდვების აღმოფხვრის მიზნით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულია შეთანხმება „სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ", რომელსაც საქართველო მიუერთდა 2000 წლის 20 აპრილის პარლამენტის ზემოთ მითითებული დადგენილებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010 მუხლით დადგენილია, რომ პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქციისაგან. ამავე კოდექსის 1009 მუხლის შესაბამისად უხარისხო პროდუქციის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქციით გამოწვეული ზიანისათვის. მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან.

ზიანის ანაზღაურების პირობებში დადგენილია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით, რომლის თანახმად ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაშაულისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავ-ლისათვისაც. გამყიდველის მოვალეობას ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას ითვალისწინებს ამ კოდექსის 490-ე მუხლი, რომლის შესაბამისად თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამასთანავე გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.

საქართველოს 1999 წლის 25 ივლისის კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ" განსაზღვრავს პროდუქციის და გაწეული მომსახურების შეთავსებადობისა და ვარგისიანობას გარკვეულ პირობებში ერთობლივი გამოყენებისათვის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს და ისინი არ გამოიწვევენ არასასურველ ურთიერთმოქმედებას და შედეგს.

მითითებული კანონი ადგენს, რომ საქართველოში მოქმედი ეროვნული სტანდარტის და მეწარმე სუბიექტის სტანდარტისადმი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორსო სტანდარტებს, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. სტანდარტიზაციის მიზანს წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა – გარემოს, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა, ასევე ვაჭრობაში ტექნიკური დაბრკოლებების აღმოფხვრა, პროდუქციის ან მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მომხმარებელთა უფლებების გათვალისწინება საქართველოში სტანდარტთან პროდუქციის ან მომსახურეობის შესაბამისობა შეიძლება დადასტურდეს პროდუქციის და მომსახურების შესაბამისობის ნიშნით.

სტანდარტების დადგენაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს 2004 წლის 10 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №78 დადგენილებით ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ამ მიზნით 2002 წლის 14 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ". კანონით დადგენილია ლიცენზირებადი და სანებართვო საქმიანობის სახეების ამომწურავი ჩამონათვალი. ლიცენზია გაიცემა ორმოც სხვადასხვა საქმიანობაზე, ნებართვა კი ორმოცდაოთხ საქმიანობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 27 ივნისის № 313 ბრძანებულებით „საქართველოში სავალდებულო სერტიფიკაციიდან ნებაყოფლობით სერტიფიკაციაზე ეტაპობრივად გადასვლის ღონისძიებათა შესახებ" დამტკიცებულია საქართველოში სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურეობის სარეკომენდაციო ნუსხა. ამ ნუსხაში შეტანილია კვების პროდუქტები და სხვა საქონელი.

თანამედროვე პირობებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების გარემოში გამოფრქვევა, რომელიც განსაკუთრებით გავლენას ახდენენ საკვებ

პროდუქტებზე. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობაში ასობით ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის სხვადასხვა პერბიციდები, რომლებიც ხვდებიან კვების პროდუქტებში, რომლის ხარისხი წარმოადგენს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობა სავალდებულო წესით მოითხოვს პროდუქციის ეტიკეტზე მისი ქიმიური შემადგენლობის მითითებას. 2003 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი, იმპორტირებული კვების პროდუქტების ქართულ ენაზე მარკირების შესახებ.

ამასთან ერთად, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო კონტროლთან ერთად სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლის განხორციელებას. მიუხედავად აღნიშნულისა და არასრულყოფილი კონტროლის შედეგად ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქვეყანაში უხარისხო პროდუქციის იმპორტს, რომლებიც ხშირად საშიშროებას უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

სახელმწიფოს მიერ სასაქონლო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

დღევანდელი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში კანონმდებლობით აკრძალულია ბაზარზე ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა და მონოპოლიური საქმიანობა. ეკონომიკური თეორიის თანახმად ბაზარზე, რომელზედაც მოქმედებს ერთი გამყიდველი იწოდება მონოპოლისტად. ეს მონოპოლიური მდგომარეობა ამ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს წარმოება და პროდუქციის გამოშვება. ვინაიდან ამ სახის საქონელი ბაზარზე არ არსებობს საქონლის მწარმოებელი და გამყიდველი არ ცდილობენ პროდუქციის ხარისხის გაზრდაზე, მათ საშუალება ეძლევათ მაქსიმალურად გაზარდონ ფასები და მიიღონ დიდი მოგება. ყოველივე ეს მწარმოებლს სტიმულს უკარგავს საწარმოში დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, გაზარდოს მისი ეფექტურობა და იზრუნოს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებაზე. ყოველივე ამით ზარალდება მომხმარებელთა უფლებები. მონოპოლიური ბაზრის მაჩვენებლად მიიჩნევა:

- ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი;
- გამყიდველის პროდუქციის მსგავსი ან მისი შემცვლელი პროდუქცია ამ ბაზარზე არ არსებობს ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს სხვა რაიმე საქონლით;
- არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ჯანსაღი კონკურენცია სტიმულს აძლევს მეწარმეს იზრუნოს ხარისხიანი პროდუქციის გამოსაშვებად, დანერგოს საწარმოში ახალი ტექნოლოგიები, გაზარდოს საქონლის წარმოების მოცულობა და რაც მთავარია მიიღოს მაქსიმალური ზომები სარეალიზაციო ფასების შესამცირებლად. ყოველივე ეს კი განაპირობებს მომხმარებელთა დაინტერესების დაცვას.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის უმრავლეს ქვეყნებს სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით მიღებული აქვთ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფედერალურ დონეზე ჯერ კიდევ 1890 წელს მიიღეს პირველი ანტიმონოპოლიური სამართლებრივი აქტი „შერმანის აქტად" წოდებული. 1947 წელს იაპონიაში მიღებული იქნა კანონი „მონოპოლიების აკრძალვის შესახებ". ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებამ, დღის წესრიგში დააყენა ერთიანი ანტიმონოპოლიური შეზღუდვების შემოღების საკითხი. 1957 წელს ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ ხელი მოაწერა რომის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის ერთიანი ანტიმონოპოლიური წესების დამკვიდრებას.[4]

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული იქნა დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ".

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", რომლის მთავარ ამოცანად განისაზღვრა მეწარმეობის ხელშეწყობა, სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა[5] ამავე დროს 1996 წელს პარლამენტის მიერ ასევე მიღებული იქნა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები საქონლის გაყიდვისას, სამუშაოს შესრულებისას და მომსახურეობის გაწევისას. 1998 წელს მიღებული იქნა

---

[1] საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი. (ავტორთა კოლექტივი) თბილისი, 2003, გვ 174

1 აღნიშნული კანონი გაუქმებულია 2005 წლის 3 ივნისის №1550 კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ", რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სამართლებრივ ნორმას და აწესრიგებს რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მიზნით. 1998 წლის 22 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულებები „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ" და „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ". 2000 წლის 30 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება „საქართველოს სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აქტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ". საქართველოს მიერ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე დამტკიცდა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ შეტყობინებათა გაგზავნისა და ინფორმაციის გაცვლის წესი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის № 170 დადგენილებით დამოუკიდებელ საქართველოში სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაზე და დაცვაზე, აგრეთვე „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამთავრობო დაწესებულების სპეციალური საქვეუწყებო სამსახური. 2005 წლის 3 ივნისს მიღებული კანონის საფუძველზე, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სააგენტოში შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და რომლის ფუნქციონირებაში შედის მონოპოლიური მდგომარეობის აკრძალვა, დამრღვევების მიმართ შესაბამისი ზომების მიღება და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნა. სააგენტოს ძირითად ამოცანებს და მიმართულებებს ზემოთ მოყვანილი ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოადგენს:

- საქართველოს სასაქონლო და მომსახურეობის ბაზარზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებების შემუშავება და წინასწარი ღონისძიებების გატარება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

სხვა ამოცანების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო და სამომხმარებლო ბაზარზე მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის აღკვეთად და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან ასაცილებლად.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოს როლი პროდუქციის ხარისხის რეგულირებაში;
2. საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმები, რომლითაც რეგულირდება სასაქონლო ბაზარზე პროდუქციის ხარისხი;
3. ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ნორმების ზოგადი დახასიათება.

თავი 3

ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით

„ბიზნესი ის არის თამაში, უდიდესი თამაში-თუ იცით ამ თამაშის წესები.“
ოტსონი
„არაფერი ისე ცუდად არ ვიცით, რაც ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ.“
ბალზაკი
„ნახევარი ცოდნა ზოგჯერ უცოდინარობაზე უარესია.“
პასტერი

ბიზნესთან დაკავშირე-ბული მრავალი მიმართულებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსით.

ამ თავში განხილულია სამოქალაქო სამართლის ცნება, მისი მოქმედების სფერო, კერძო სამართლის სუბიექტები და ობიექტები, გარიგების სამართ-ლებრივი ბუნება, ხანდაზმუ-ლობის ვადები, ქონების, მფლო-ბელობისა და საკუთრების ზოგა-დი საკითხები, აღნაგობა, უზუ-ფრუქტი, სერვიტუტი, გირა-ვნობა და იპოთეკა სამოქალაქო სამართლში, სახელშეკრულებო სამართალი, ნასყიდობა, იჯარა, ლიზინგი, ქირავნობა, სესხი, შუამავლობის ინსტიტუტი და ბიზნესის საქმიანობის მარეგუ-ლირებელი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ეს თავი ეხება ასევე სასა-მართლო ინსტანციებში სამოქა-ლაქო დავების განხილვის ზოგად დებულებებს, საპროცესო ხარ-ჯებს, ვადებს, მხარეთა საპრო-ცესო უფლებებს, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხებს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს.

3.1. სამოქალაქო სამართლის ცნება, მისი რეგულირების სფერო, მეთოდი, სუბიექტები და ობიექტები.

სამოქალაქო სამართლის ნორმებით რეგულარ-დება კერძო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობები, რომელიც დამყარებულია მხარეთა უფლებრივი თანასწორობის პრინციპზე, მათ ქონებრივ დამოუკიდებლობაზე. ეს ურთიერთობები დაფუძნებულია პირადი ინიციატივის გამოჩენაზე, რაც თავისთავად ითვალისწინებს გარეშე პირთა ჩაურევ-ლობას მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაში და საერ-თოდ მათ საქმიანობაში. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ბიზნესთან დაკავშირებული მრავალი კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებშიც მონაწილეობენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი ანუ მატერიალური სიკეთე შეიძლება იყოს, როგორც ქონებრივი (შენობა – ნაგებობები, მიწა, ნივთები, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობები) და ქონებ-რივი უფლებები, აგრეთვე არამატერიალური ისეთი სიკეთე, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება (საავტორო უფლებები, სამრეწველო და საპატენტო, კომერციული აღნიშვნისა და სასაქონლო უფლებები, ნოუ-ჰაუ). არამატერიალურ სიკეთეს განეკუთვნება აგრეთვე პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მისი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და სხვა სიკეთე, რომლებიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუ-ციითა და სხვა საერთაშორისო და ეროვნული სამარ-თლებრივი ნორმებით.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექ-ტებად შეიძლება გამოდიოდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოში და მათ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობაში თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის განსახირციელებლად კანონმდებლობით გათვალის-წინებულია ფიზიკური პირის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრები (საგადასახადო ინსპექციები). 2010 წლის 1 იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ამ ურთიერთობებში მონაწილეობენ აგრეთვე იურიდიული პირები, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო (არაკომერციული), რომლებიც დადგენილი წესით შეიძლება იყვნენ რეგისტრირებული საქართველოში და ასევე სხვა ქვეყნებში. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები არიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილნი:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);

- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- სააქციო საზოგადოება (სს);
- კოოპერატივი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები იქმნება გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად, რომლებსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება დამატებით ეწეოდნენ ნებისმიერ სამეწარმეო საქმიანობას, რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით. ასეთმა იურიდულმა პირებმა მიღებული მოგება უნდა მოიხმაროს საზოგადოების დასახული მიზნების განვითარებას და დაუშვებელია ამ მოგების განაწილება დივიდენდების სახით დამფუძნებლებს შორის.

საკონტროლო კითხვები:

1. სამოქალაქო სამართლის ცნება, მისი მოქმედების სფერო;
2. სამოქალაქო სამართლის ობიექტები
3. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

3.2. გარიგებების სამართლებრივი ბუნება და ხანდაზმულობის ვადები

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც იწვევს იურიდიულ შედეგს ანუ სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას და რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სანქციის გამოყენებით. მაგალითად, გარკვეული თანხის გამსესხებელს ამ თანხის მსესხებელმა დადგენილ ვადაში თუ არ დაუბრუნა შესაბამისი თანხა, შეიძლება მას დაეკისროს გარკვეული პროცენტისა და საურავის გადახდა ან პირგასამტეხლო, აგრეთვე შესაძლებელია დადგენილი წესით გაიყიდოს იპოთეკით დატვირთული ქონება, თუ გარიგება ასეთს ითვალისწინებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგებები შეიძლება იყოს:

- ცალმხრივი;
- ორმხრივი;
- მრავალმხრივი.

ცალმხრივ გარიგებებში მონაწილეობს ერთი პირი, რომლის ნების გამოვლენით ხდება სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ასეთი გარიგების კლასიკურ ფორმას განეკუთვნება ანდერძით პირისათვის ქონების გადაცემა მინდობილობის (რწმუნების) გადაცემა და გარკვეული უფლებების მინიჭება წარმომადგენლისათვის, ცალმხრივად დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა.

ორმხრივი გარიგებები სამოქალაქო სამართალში შედარებით გავრცელებული ფორმაა ვიდრე ცალმხრივი და ის ითვალისწინებს თავისუფალ ნების გამოვლენას ორ პირს შორის, რომლებიც ამა თუ იმ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ. ორმხრივი გარიგების დროს ერთერთი მხარის ნების გამოვლენა ცალკე გარიგებას არ წარმოადგენს. ამ გარიგების დროს საჭიროა ორივე მხარის თანხმობა, მათი ნება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ შედგება და შესაბამისად, დადებულად არ ჩაითველბა. ორმხრივი გარიგების დროს, თითოეულ მხარეს გააჩნია კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, მაგალითად, მყიდველმა შეიძინა მიწის ნაკვეთი გამყიდველისაგან. მყიდველი მოვალეა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადასცეს გამყიდველს, გამყიდველი კი ვალდებულია სათანადო დოკუმენტების საფუძველზე მყიდველს გადასცეს მიწის ნაკვეთი, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.

მრავალმხრივი გარიგებების დროს, შესაძლებელია გარიგება მიღებული იყოს ყველა მხარის მონაწილეობით (კონსენსუსით) ან შეიძლება დადგენილი იყოს გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით. შესაძლებელია დადგენილი იყოს აგრეთვე გადაწყვეტილების მიღება წილის ოდენობის გათვალისწინებით.

გარიგებები ობიექტების მიხედვით შეიძლება იყოს სანივთო (ქონებრივი), ვალდებულებითი, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, საოჯახო, მემკვიდრეობითი და სხვა მრავალი მიმართულებით.

სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს გარიგების ზეპირ და წერილობით ფორმას. გარიგების ზეპირი ფორმის კლასიკური მაგალითია ფიზიკური პირის მგზავრობა საავტომობილო ტრანსპორტით, რომლის დროსაც პირი ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული თანხა, ხოლო გადამზიდველი (მძღოლი) ვალდებულია ეს პირი მიიყვანოს დანიშნულების ადგილზე.

როგორც წესი და უმეტეს შემთხვევებში მხარეები თვითონ ირჩევენ რა ფორმით დადონ გარიგებები. შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულებების ხელმოწერა მხარეების მიერ, ფაქსით ან ელექტროფოსტით გადაგზავნა. კანონმდებლობა ითვალისწინებს გარიგების დადების რთულ

ფორმებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69- ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ცალკეული გარიგებების სანოტარო დამოწმებას. მაგალითად, უძღავი ქონების შეძენა. ამავე კოდექსის 1106-ე მუხლი ითვალისწინებს ქორწინების რეგისტრაციას სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში. კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი გარიგების ფორმის შეცვლა იწვევს გაუქმებას (ბათილობას).

კანონმდებლობა ითვალისწინებს გარიგების დადებას წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსიდან ან ენიჭება სპეციალური დავალებით (მინდობილობით). გარიგების მხარე ხელშეკრულებას დებს არა პირადად (თავისი სახელით), არამედ წარმომადგენლის (სხვა პირის) სახელით. თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება გამომდინარეობს კანონიდან, მაშინ სახეზეა კანონიერი წარმომადგენელი, თუ ეს მხარის ნებაზეა დამოკიდებული, ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლობა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. წარმომადგენელი არის ორი სახის:

- პირდაპირი წარმომადგენელი;
- არაპირდაპირი წარმომადგენელი.

პირდაპირი წარმომადგენლობის დროს გარიგებაში მართალია უშუალოდ მონაწილეობს გარეგნულად წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობების შედეგი დგება მხოლოდ წარმომადგენელი პირის მიმართ.

არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს კი წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით. სამართლებრივი ურთიერთობების შედეგი ჯერ მის მიმართ დგება შემდეგ კი წარმოდგენილი პირის მიმართ.[1]

სამოქალაქო სამართლით დადგენილია დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომასთან. ერთ შემთხვევაში ამ ვადის დადგომის შემდეგ წარმოიშობა გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, მეორე შემთხვევაში ეს უფლებები და ვალდებულებები წყდება. თავიანთი დანიშნულებითა და საფუძველით ვადები იყოფა შემდეგ სახეებად:

- სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადები;
- სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები;
- სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები;
- საგარანტიო ვადები;
- საპრეტენზიო ვადები;
- ხანდაზმულობის (უფლების დაცვის) ვადები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ პირს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს იძულებით სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით დარღვეული უფლებების აღდგენა. ამასთან, კანონი არ ავრცელებს ხანდაზმულობის ისეთ მოთხოვნებზე, როგორიცაა პირადი არაქონებრივი უფლებები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხანდაზმულობის ვადები აგრეთვე არ ვრცელდება მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკს და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილ ანაბრებზე.

კანონით საერთო ხანდაზმულობის ვადა გათვალისწინებულია ათი წლით.

სამოქალაქო კოდექსით ათ წლიანი საერთო ხანდაზმულობის ვადის გარდა დადგენილია სპეციალური ვადები. სახელშეკრულებო მოთხოვნილების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულები მოთხოვნის ვადა კი შეადგენს ექვს წელს. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, შეადგენს სამ წელს. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა ვადებიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლით დადგენილია, რომ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს. ამა კოდექსის 968-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა საერთოდ არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კანონის იმპერატიული მოთხოვნით, მხარეთა შეთანხმებით ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა დაუშვებელია.

საკონტროლო კითხვები:

---

[1] ლ. ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი 1997 წ.

1. გარიგების ცნება;
2. გარიგების სახეები;
3. წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართალში;
4. ხანდაზმულობა სამოქალაქო კანონმდებლობით.

3.3. სანივთო (ქონებრივი) სამართალი, მფლობელობა და საკუთრება

ქონება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება დადგენილ ზნეობრივ ნორმებს.

სამოქალაქო ურთიერთობებში არსებული ყველა ნივთი არის მოძრავი და უძრავი, უძრავ ნივთს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, აგრეთვე შენობა-ნაგებობები, რომელიც მყარად დგას მიწაზე.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საამისოდ, რომ მათ მფლობელს შექმნას მატერიალური სარგებელი, ანუ მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე სარგებელი.

მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით და წყდება თუ მისი მფლობელი სამუდამოდ ფლობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს მასზე ფაქტობრივ ბატონობას.

მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც შეიძლება ახორციელებდეს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ მოქმედებდეს სხვა პირის სასარგებლოდ, რომლიდანაც უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით). უფლებამოსილია არ დაუშვას სხვა პირის მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ან ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, რომლითაც სხვა პირებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედებით უპირატესობა გაუმართლებელია.

სამოქალაქო სამართლის დადგენილია, როგორც პირადი საკუთრების, ასევე საერთო საკუთრების ფორმა.

საერთო (თანაბარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე, რომლის მოვლისა და შენახვის ხარჯები თანამესაკუთრეებს ეკისრებათ თანაბრად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში საერთო საკუთრებას წარმოადგენს კიბის უჯრედი, სახლის სახურავი, რომლის შენახვისა და რემონტის ხარჯები უნდა გადაიხადოს ყველა ბინის მესაკუთრემ წილობრივად მის მიერ დაკავებული ფართის შესაბამისად.

ყოველ თანამესაკუთრებს აქვს საერთო საკუთრების უპირატესი შესყიდვის უფლება.

უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველს წარმოადგენს ნოტარიულად ან სჯარო რეესტრის მიერ დამოწმებული საბუთი, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს სჯარო რეესტრში შემძენის ან გამსხვისებლის მიერ.

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნივთის გადაცემად კი ითვლება შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში.

საკონტროლო კითხვები:

1. ქონების ცნება;
2. მფლობელობის ცნება;
3. საერთო საკუთრება;
4. ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველი.

3.4. აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, გირავნობა და იპოთეკა სამოქალაქო სამართალში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა ითვალისწინებს ქონების გადაცემას აღნაგობით, უზუფრუქტითა და სერვიტუტით.

აღნაგობით ქონების გადაცემა ნიშნავს მიწის ნაკვეთის გადაცემას სხვა პირზე ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ მოცემული უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვებისა და გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ ის

არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდაცხრამეტ წელს. აღნაგობის უფლება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

უზუფრუქტის საფუძველზე, უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

სამოქალაქო სამართლის ნმორმებით დადგენილია უზუფრუქტის შემდეგი სახეები:

- სასყიდლიანი უზუფრუქტი;
- უსასყიდლო უზუფრუქტი;
- დროებითი უზუფრუქტი;
- უზუფრუქტი გაცემული მისი მიმღების სიცოცხლის მანძილზე;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, **სერვიტუტის** საფუძველზე, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნას გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით დადგენილია, რომ საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება შეიძლება გამოყენებული იქნას გირავნობისა და იპოთეკის სახით.

გირავნობის საფუძველზე, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირისათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ფულადი ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) ხარჯზე მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით.

გირავნობის სახეებია:

- მფლობელობითი გირავნობა;
- რეგისტრირებული გირავნობა.

მოძრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემის გზით. თუ ნივთი უკვე იმყოფება მოგირავნის ან მოგირავნის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის მფლობელობაში, გირავნობის წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთა შეთანხმება.

რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში მოძრავი ნივთის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის.

იპოთეკის დროს უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნას გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან.

იპოთეკა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სამომავლო ან პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუკი იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შეიძლება ამ მოთხოვნის განსაზღვრა. ასევე შეიძლება განისაზღვროს ის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს უძრავი ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეს თანხა განისაზღვრება საჯარო რეესტრში შეტანით. ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში.

იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების წარდგენით. მათში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა.

საკონტროლო კითხვები:

1.აღნაგობის ცნება

2.უზუფრუქტის ცნება და სახეები

3.სერვიტუტის ცნება
4. გირავნობისა და იპოთეკის ცნება

3.5. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ, დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. ხელშეკრულება შეიძლება იყოს:

- ზეპირი;
- წერილობითი.

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნას შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით. ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.

ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. საბოლოო ღირებულების გამოთვლისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას ამორტიზაციის ფაქტი. ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

- მთლიან ფასს;
- სალიზინგო საზღაურის თანხასა და გადახდის ვადებს;
- საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს.

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

მოიჯარეს არ აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე. მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისთვის, რომ ქვემოიჯარემ ან დამქირავებელმა ნივთი სხვანაირად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯაეის მიერ იყო ნებადართული. მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის ან დამქირავებლის მიერ ქონების ამგვარად გამოყენება.

ფრენშაიზინგი არის ინგლისური სიტყვა (Franchis), რომელიც შეღავათს, პრივილეგიას ნიშნავს. ეს ინსტიტუტი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა მე-19 საუკუნეში და შემდეგ გავრცელდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლის თანახმად, ფრენშაიზინგი არის გრძელვადიანი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, რომლითაც დამოკიდებული საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურეობის განხორციელებას.

ფრენშაიზის გამცემი ვალდებულია, ფრენშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების,შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის

კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომლიც საჭიროა გასაღებისათვის ხელშესაწყობად. ფრენშაიზის მიმცემი ასევე ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირთა ჩარევებისაგან, განუწყვეტლივ განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციების მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს.

ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრენშაიზის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრანჩაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალოდ კავშირშია ხელსეკრულების მიზანთან.

ფრენშაიზინგი საშუალებას იძლევა ბაზარზე დამკვიდრებული და მაღალი იმიჯის მქონე საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია თავისი სავაჭრო ნიშნით დამზადების ტექნოლოგიების პროცესის გათვალისწინებით, წარმოებული და რეალიზებული იქნას ერთი ქვეყნის სხვა რეგიონში ან სხვა ქვეყანაში

დღეისათვის მსოფლიოში დამკვიდრებულია ფრენშაიზინგის შემდეგი ფორმები:

- სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნით სარგებლობის ფრენშაიზინგი;
- მზა პროდუქციის გაყიდვის ფრენშაიზინგი;
- საქონლის წარმოების ფრენშაიზინგი;
- საქმიანობის სახეობის ფრენშაიზინგი; რომლის დროს ფრენშაიზინგის მიმღების მიერ გამოიყენება ფრენშაიზინგის გამცემი კომპანიის სახელწოდება მისი საქმიანობის გაგრძელებით.[1]

საკონტროლო კითხვები:

1. სახელშეკრულებო ურთიერთობათა ცნება;
2. ლიზინგის სამართლებრივი ბუნება;
3. იჯარის ცნება
4. ფრენშაიზინგის სამართლებრივი ბუნება

3.6. ნასყიდობის, ქირავნობის, სესხისა და შუამავლობის სამართლებრივი ბუნება და რეგულირების ობიექტები

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ნასყიდობის ინსტიტუტი. იგი თავისი მრავალი მიმართულებითა და რაოდენობრივი განზომილებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი უთიერთობაა ბიზნესის სფეროში და ფიზიკურ პირთა პირად საოჯახო საქმიანობაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშულებებზე.

გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები – მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნაკლს უთანაბრდება, თუ მყიდველი გადასცემს ნივთის მხოლდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით, ან თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე.

მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად. თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ

[1] თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2008

მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა, გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო მეტმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

თუ ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების დარღვევით, მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ. თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

ქირავნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობაა. ქირავნობის ხელშეკრულებით, გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა, გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. გამქირავებელი მოვალეა, გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისსათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი.

გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გავალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებელის თანხმობის გარეშე. დამქირავებელი მოვალეა, ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით.

დამქირავებელს არ აქვს უფლება, გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავნობა). მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები. დამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს მიაქირაოს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად ან მისი ნაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირაველისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს მისთვის არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი მეტმეტად გადაიტვირთა ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა.

ქირა გადახდილ უნდა იქნას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნას დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ. დამატებითი ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის საქმიანობის წარმატებას გარკვეულწილად განაპირობებს სესხთან დაკავშირებული ურთიერთობები. **სესხის ხელშეკრულებით**, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია. თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა

იქნას კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით. პროცენტები გადახდილ უნდა იქნას ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნას ვადის დადგომისას.

გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

დღევანდელ მსოფლიოში ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია **საბანკო ურთიერთობა**. ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში. შესაძლებელია, ანგარიშის მფლობელის მითითების საფუძველზე, იგივე ოპერაციები განხორციელდეს ნაღდი ფულით. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშის მფლობელს შეიძლება დაეკისროს მომსახურების ხარჯების გადახდა.

საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებათა შესახებ აწარმოოს საბუღალტრო წიგნი. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს ანგარიშის მფლობელს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ანგარიშის ამონაწერები); ხოლო ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა და კრედიტ-დებეტის საბუღალტრო ჩანაწერების შესახებ.

საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში. ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს გააუქმოს საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება, ვიდრე გადარიცხვა რეალურად არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა, შესრულებაზე უარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სათანადო პირებს. დავალების დროულად გაუქმების შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა კვლავ აღადგინოს თანხა მფლობელის ანგარიშზე. საკრედიტო დაწესებულება ასევე ვალდებულია, დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები. საკრედიტო დაწესებულების ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა, მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. თუ შეთანხმებით გათავლისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა შეეძლო კრედიტის გამცემს, იგი ვალდებულია, ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე, იგი ასევე მოვალეა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი. პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ განაკვეთს.

საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი. კრედიტის გამცემი მოვალეა, მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ. თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათავლისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ასევე ითვალისწინებს საბანკო დაწესებულებაში ანაბრის შეტანის პირობებს. ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია, ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნას გამოთხოვილი. ანაბრებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტები.

შუამავლის ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ მომსახურეობის გაწევასთან სათანადო ანაზღაურებით. პირი, რომელიც სხვას პირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია, გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ დადებული შეთანხმება ბათილია.

მაკლერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ მომსახურებისათვის, რომელიც არ შედის საშუამავლო საქმიანობაში, გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნას იმისგან დამოუკიდებლად, დაიდება თუ არა ხელშეკრულება. მაკლერს ხარჯები აუნაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეთანხმებული იყო. ამასთან, ბათილია შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებულია ანაზღაურება იმ ხარჯებისა, რომელბიც არ არის საჭირო საშუამავლო ხელშეკრულების განხორციელებისათვის.[1]

საკონტროლო კითხვები:

1. ნასყიდობის სამართლებრივი ბუნება
2. ქირავნობის ცნება
3. სესხის ცნება, საბანკო მომსახურება
4. შუამავლობის სამართლებრივი ბუნება
5.

3.7. ბიზნესის საქმიანობის სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული სხვა ცალკეული ინსტიტუტების ძირითადი ასპექტები

ა. ერთობლივი საქმიანობა. აღნიშნული საქმიანობის ხელშეკრულებით, ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს:

- მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს;
- მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;
- მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს;
- მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;
- მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;
- ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;
- საქმიანობის ხანგრძლივობას;
- ხელშეკრულების მოშლასა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნას როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მეასმე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

თუ ხელშეკრულება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით და არა შესატანის ოდენობით. თუ საქმეების მართვა ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს ერთობლივი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია ედავოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედავების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება.

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი 2009

თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს უარი თქვას საქმეების მართვაში მონაწილეობაზე. ასეთ პირს შეუძლია გამგეობას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს შემოსავლები მონაწილეთა შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება..

ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებული არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია:

- ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;
- მონაწილეთა გადაწყვეტილება;
- ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია აგრეთვე:

- ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
- ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- ხელშეკრულების მოშლა.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებული არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

ბ. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება დელიქტური ვალდებულებების საკითხები. პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს, მას ეს ზიანი. თუ პირი განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია, აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია. ამასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მშობელი ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან, აანაზღურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

თუ ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენებს ზიანს სხვა პირს, მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება.

დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავისი თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის გარეშე აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში.

პირი ვალდებულია აანაზღუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

მგზავრის გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვა) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხის-მგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებით დამდგარი ზიანისათვის. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახლშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ;
- საქმის გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;
- მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;
- პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს ანდა შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს.

პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ასევე გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.

პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო პროდუქტისაგან. პროდუქტი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. თუ ერთი და იმავე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

დ. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებითა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მოწესრიგებული ქონების გადაცემის საკითხები მემკვიდრეებზე.

გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

- კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი იბადებიან;
- ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომელბიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები;

ქორწინებისგარეშე ობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით. თუკი იგი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი ამ სამკვიდროდან, რომლებიც მათ მამას ეკუთვნოდა.

არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობლის პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

შვილების კანონით მემკვიდრეებად ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთმევათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისთვის არ არიან აღდგენილი ან უფლებებში. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. გარემოება, რომელიც უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს, დადგენილ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ იმ პირის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს.

სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად. სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის – სამკვიდროს ადგილსამყოფელი. სამკვიდროს გახსნის ადგილს საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც დროებით ცხოვრობდა საზღვარგარეთ და იქ გარადაიცვალა, წარმოადგენს საზღვარგარეთ გამგზავრებამდე საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ, სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

თუ მემკვიდრე რამდენიმეა, მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნას მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები. ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროს ღირებულებიდან ყველა სხვა, მათ შორის, იპოთეკისა და სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად. კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

- პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც დაიბადა მისი სიკვდილის შემდეგ, მეუღლე, მშობლები (შვილიშვილები);
- ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ;
- შვილისშვილები, შვილიშვილის შვილებისა და და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილისშვილები, შვილიშვილის შვილებისა და და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარადაცვალების შემდეგ.

- მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა;
- მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;
- მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები;
- მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ – მათი შვილები.

წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე, ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, საკურნალო, აღმზრდელობითი და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ - მათ საკუთრებაში. უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრითა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდროდან, ან მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მათგანის წილია განსაზღვრული, სხვებისა კი – არა, მაშინ უკანასკნელი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება აგრეთვე ბიზნესთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ურთიერთობები, როგორიცაა გადაზიდვები, დაზღვევა, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი და ინტელექტუალური საკუთრების, ტურისტული მომსახურეობის საკითხები, რომლებიც განხილული იქნება ცალკე თავებში.

საკონტროლო კითხვები:

1. ერთობლივი საქმიანობის ცნება
2. დელიქტური ვალდებულება;
3. მემკვიდრეობის სამართლებრივი ბუნება

3.8. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვის საშუალებები

სამოქალაქო უფლებების განხორციელება არის კანონმდებლობით ან ამ კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული შესაძლებლობების რეალიზაცია, რომელსაც პირი ახორციელებს თავისი შეხედულებით და დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი ეწევა ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას და ახორციელებს საქონლის ყიდვა-გაყიდვას, ის თვითონ დამოუკიდებლად ირჩევს თუ რა იყიდოს, ვისგან იყიდოს, შემდეგ გადამზიდველთან დადებული ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე სად მიიტანოს, დააზღვიოს თუ არა ეს ტვირთი სამოქალაქო კოდექსითა და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კონონით დადგენილი პირობებით, და ბოლოს, რა ფასში გაყიდოს ეს საქონელი. ამასთან, სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებსა და გარანტიებს, რომ ამ პირმა განახორციელოს მითითებული სამოქალაქო უფლებები.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია მინიჭებულ უფლებებთან ერთად გარკვეული მოვალეობების შესრულებაც. მოცემულ შემთხვევაში პირმა უნდა გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გარკვეული მოვალეობის შესრულებას, რომლის დარღვევისათვის შეიძლება დადგენილი იყო შესაბამისი სანქციები. მაგალითად, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს გადამზიდველისა და მიმღების პასუხისმგებლობა ერთი – ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ისეთი დარღვევისთვის, როგორიცაა ამ საქონლის წარუდგენლობა შეთანხმებულ დროსა და ადგილზე (სატრანსპორტო საშუალებების მოცდენა), თანხის არადროული გადახდა, მეორე მხარის მიერ განსაზღვრულ დროს სატრანსპორტო საშუალებების წარუდგენლობა ტვირთის დასატვირთად, საქონლის დაკარგვა, დაზიანება გადაზიდვის დროს და სხვა ხელშეკრულებით დადგენილი პირობები, რომლითაც შეიძლება ზიანი მიადგეს მონაწილე მხარეებს.

სამოქალაქო უფლებათა განხორციელების მთავარ საშუალებას წარმოადგენს პირის აქტიური მოქმედება, რომლის დროს პირი თვითონ თავისი აქტიური საქმიანობით ახორციელებს თავის უფლებას. ბინის მყიდველი თვითონ ირჩევს თავისი შეხედულებით სად და რა ფართის ბინა იყიდოს, შემდეგ თვითონ იცხოვროს ამ ბინაში, თუ იჯარით გასცეს ის, ან აჩუქოს სხვას. სხვა შემთხვევაში სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საკმარისი არ არის მარტო ერთი პირის (ერთი მხარის) მხოლოდ აქტიური მოქმედება, საჭიროა ასეთ მოქმედებასთან ერთად სხვა პირთა მოქმედებაც, მაგალითად ქორწინება ვერ განხორციელდება ერთი მხარის აქტიური მოქმედებით, ტვირთის გადაზიდვა ვერ განხორცილედება ერთი მხარის მოქმედებით და ა.შ[1]

სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმებია:

- იურისდიქციული;
- არაიურისდიქციული.

იურისდიქციული ფორმით პირის უფლებათა დაცვა გულისხმობს, რომ დარღვეული უფლებების აღსადგენად მას შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს ან სასამართლო ხელისუფლებას სასარჩელო მოთხოვნით.

არაიურისდიქციული ფორმით უფლებების დაცვის დროს პირი დარღვეული უფლებების აღსადგენად მიმართავს არა სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოებსა და ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს, არამედ თავისი მოქმედებით დამოუკიდებლად ხდება უფლებების დაცვა. ეს არის აუცილებელი მოგერიება, როდესაც პირი თავისი უფლებების დასაცავად აყენებს ზიანს სხვა პირს და თვითდახმარება, რომლის დროს თუ კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ იქნება აღმოჩენილი და არსებობს რეალური საფრთხე, რომ პირის უფლება ვერ განხორციელდება ან არსებითად გართულდება. მაგალითად, თანხის მსესხებელი, რომელიც არ უბრუნებს თანხას და ის აპირებს მიმალვას. მსესხებელ პირს შეუძლია ის დააკავოს და წარუდგინოს სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოებს.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია უფლებათა დაცვის შემდეგი სახეები:

- უფლების ცნობა;
- პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა;
- უფლების დარღვევის აღკვეთა;
- უფლების დაცვა ნატურით დაკისრებით;
- ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია;
- უფლებების დაცვა სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტით ან შეცვლით და სხვა.

სამოქალაქო კანონმდებლობით ხორციელდება, როგორც ზემოთ აღნიშნული მატერიალური სიკეთე, ისე არამატერიალური სიკეთის დაცვა. არამატერიალური სიკეთე შეიძლება იყოს:

- პირადი არაქონებრივი უფლება (სახელის, პატივის, ღირსების უფლება, საქმიანი რეპუტაცია და სხვა);
- პირადი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევა და სხვა);
- პირადი არაქონებრივი ისეთი უფლებები, როგორიცაა პირადი საიდუმლოება, ოჯახური საიდუმლოება, კომერციული საიდუმლოება, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა და სხვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას სახელის, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საიდუმლოების, საქმიანი რეპუტაციის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში. ამ ზიანისათვის მხარემ, რომელსაც მიადგა ზიანი შეიძლება მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება.

---

[1] ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი. წიგნი I, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001წ.

საკონტროლო კითხვები:

1. სამოქალაქო უფლების განხორციელების ცნება;
2. სამოქალაქო უფლებების დაცვის ფორმები;
3. სამოქალაქო უფლებათა დაცვის სახეები;
4. მორალური ზიანის ანაზღაურება.

3.9. სასამართლო ინსტანციებში სამოქალაქო დავების განხილვის ზოგადი დებულებანი

საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, რომელმაც საფუძველი შეუქმნა კერძო სუბიექტების ურთიერთობების მრავალმიმართულებიან გაფართოებას, წარმოშვა სხვადასხვა კონფლიქტები მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. დარღვეული უფლებების აღსადგენად მხარეს შეუძლია მიმართოს ისეთ სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებს, როგორიცაა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები, ნოტარიუსი, სპეციალურად შექმნილი სხვადასხვა კომისიები და სხვა, აგრეთვე საერთო სასამართლოებსა და საარბიტრაჟო სასამართლოს.

კანონმდებლობით და ხელშეკრულებით განსაზღვრული დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით, საჩივრით ან სარჩელით (მოსარჩელე) და მოითხოვოს დამრღვევი პირისაგან (მოპასუხე) მიღებული ზიანის ანაზღაურება. ნებისმიერ პირს აქვს კონსტიტუციური უფლება მიმართოს სასამართლოს თუ ის ჩათვლის, რომ მეორე მხარემ დაარღვია მისი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში მითითებულია, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე, რომლის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლებების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“.

სამოქალაქო საქმეების განხილვა საერთო სასამართლოებში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე მიმდინარეობს გარკვეული თანმიმდევრობით, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- საქმის აღძვრა სასამართლოში სარჩელის, საჩივრის ან განცხადების შეტანით. ამ სტადიაზე მოსამართლე განიხილავს და იღებს საქმეს წარმოებაში;
- მეორე სტადიას წარმოადგენს საქმის მასალების მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომლის მიზანია საქმის დროული განხილვა და გადაწყვეტა;
- მესამე სტადიაზე იწყება საქმის განხილვა სასამართლოს სხდომაზე, სადაც იხილება საქმე არსებითად და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება ან მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე ან კიდევ წარმოება საქმეზე შეჩერდება შესაბამისი საფუძველის არსებობის შემთხვევაში;
- შემდეგ სტადიაზე შესაძლებელია საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება, თუ საქმის სასამართლოში განხილვისას დარღვეული იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია საქმეში მონაწილე ყველა მხარეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო ანუ მეორე ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მესამე ინსტანციის საკასაციო ან თუ უზენაეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება არის საბოლოო და აღარ საჩივრდება;
- შემდეგ სტადიაზე ხორციელდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების საქმის განხილვა ახლად აღმოჩენილ ისეთ გარემოებათა გამო, რომელიც არ იყო ცნობილი სასამართლო განხილვის დროს;
- ბოლო სტადიას წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება ანუ სააღსრულებლო წარმოება, რომელიც რეგლამენტირებულია ასევე „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით.[1]

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოებში საქმის წარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრონციპის საფუძველზე, რომლის თანახმად, საქმის განხილვის საფუძველია მხოლოდ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა.

[1] ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2003 წელი.

მტკიცებულებათა შეგროვება ხორციელდება მხოლოდ მხარეების მიერ. სასამართლოს არა აქვს უფლება გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და გამოიკვლიოს ის ფაქტები და მტკიცებულებები, რაც არა აქვთ გაცხადებული მხარეებს.

საკონტროლო კითხვები:

1. საერთო სასამართლოებში დავების განხილვის ზოგადი წესი;
2. საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმის განხილვის თანმიმდევრობა (სტადიები);
3. სამოქალაქო საქმეების განხილვა შეჯიბრებათობის პრინციპით.

3.10. მხარეთა საპროცესო უფლებამოვალეობანი, საპროცესო ხარჯები და ვადები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია მხარეთა უფლებები და მოვალეობანი. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ წარდგენილ სარჩელში მოყვანილი გარემოებები, წარმოადგინოს მტკიცებულებანი და განახორციელოს სარჩელის განხილვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები. მოპასუხე უფლებამოსილია უარყოს წარდგენილი სარჩელი და დაასაბუთოს ამ მოთხოვნის უსაფუძვლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილია, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით, მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეების, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუადგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, ისარგებლონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.

სასამართლოში საქმის განხილვისას უფლებებთან ერთად მხარეებს ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია წარადგინოს მტკიცებულებანი, 102-ე მუხლი კი ავალდებულებს დაამტკიცონ გარემოებანი, რომელზედაც ის ამყარებს სარჩელს ან შესაგებელს. მხარეები ასევე ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ რეგლამენტს, თავის დროზე წარადგინონ დოკუმენტები დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში, გადაიხადონ საპროცესო ხარჯები და სხვა.

საპროცესო ვადები. საერთო სასამართლოებში საქმეების სრულად და დროულად განხილვის მიზნით დადგენილია კანონით ან თვითონ ადგენს სასამართლო დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაში თითოეულ მხარეს და ამავე დროს სასამართლოს ეკისრება ვალდებულება შეასრულოს გარკვეული საპროცესო მოქმედება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილია, რომ სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა. დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინების გასაჩივრების ვადის, რომელიც სააპელაციო საჩივარზე შეადგენს 14 დღეს და საკასაციო საჩივარზე 1 თვეს, გაგრძელება ან აღდგენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლით დადგენილია, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი უნდა იქნეს ერთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად. ამავე კოდექსის 183-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მოსამართლე ვალდებულია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, თუ აღნიშნულ ვადაში სასამართლო განჩინებას არ გამოიტანს, მაშინ სარჩელი მიღებულად ითვლება. სამოქალაქო კოდექსით დადგენილია სასამართლო პროცესის წარმოების სხვა ვადები, რომლებიც უნდა დაიცვას, როგორც სასამართლომ, ისე მხარეებმა.

საპროცესო ხარჯები. საპროცესო ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის ხარჯები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით უნდა გადაიხადოს მოსარჩელემ და ცალკეულ შემთხვევებში მოპასუხემ. სასამართლო ხარჯებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო ბაჟი, რომელიც დადგენილია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით;

- სასამართლოს განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, რომლებსაც განეკუთვნება მოწმეების, თარჯიმნების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები, ადგილობრივი დათვალიერების ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები და ადვოკატის მომსახურებისათვის ბიუჯეტთან გადახდილი თანხები.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, ამასთან ფიზიკური პირებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს და იურიდიული პირებისათვის 5000 ლარს;
- სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა, ამავე დროს ფიზიკური პირებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს და იურიდიული პირებისათვის 7000 ლარს;
- საკასაციო საჩივარზე დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს. დადგენილია თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირებისათვის 6000 ლარს და იურიდიული პირებისათვის 7000 ლარს.

საკონტროლო კითხვები:

1. მხარეთა საპროცესო უფლებები;
2. მხარეთა საპროცესო მოვალეობები;
3. საპროცესო ვადები;
4. საპროცესო ხარჯები.

3.11. სამოქალაქო საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეების აღძვრის საფუძველია ფიზიკური ან იურიდიული პირის სარჩელი, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში განცხადება. სარჩელი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა პასუხობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს.

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;
- მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, სარჩელში, შესაძლოა, მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;
- დავის საგანი;
- სარჩელის ფასი;
- კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს მოთხოვნებს;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;
- მოსარჩელის მოთხოვნა;
- სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.

არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები:

- სასამრთლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი და ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზედაც არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;
- სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები;
- ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- სხვა სახის შუამდგომლობები;
- სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი;

- მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

სარჩელს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოსარჩელე მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს სარჩელში საკუთარი, მოპასუხის, მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მისამართები.

სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე ვალდებულია, მოამზადოს საქმე მთავარ სხდომაზე განსახილველად. ამ სტადიაზე მოწმდება ის ყველა საკითხი, რომლითაც დგინდება საქმის არსებითად განხილვის საფუძვლიანობა. წარდგენილია თუ არა ყველა მტკიცებულება, ხომ არ არსებობს აცილების საფუძველი, შესაძლებელია თუ არა საქმის განხილვა იმ პირების მონაწილეობით, რომელთა მოწვევას უთითებს მოსამართლე. თუ საქმეს ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე საქმეს ამზადებს თვითონ, თუ იხილება საქმე კოლეგიალურად, მაშინ საქმეს ამზადებს სასამართლოს ერთ-ერთი წევრი. მოსამართლემ საქმის განხილვისათვის მომზადება შეიძლება დაავალოს თანაშემწეს.

საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მოსამართლეს შეუძლია:

- დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები და დოკუმენტები;
- გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;
- გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირების მიღებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;
- შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;
- ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;
- მისცეს სასამართლო დავალებები;
- მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;
- დანიშნოს ექსპერტიზა, გადაწყვიტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;
- გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;
- დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისთვის;

მოსამართლეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

საქმის არსებითად განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება, რის შემდეგაც მოსამართლე მოახსენებს სასამართლოს საქმის შესახებ, მოკლედ გადმოსცემს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მასალებს. მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოპასუხის შესაგებელს, ფაქტები, რომლებზედაც არ დავობენ და ის ფაქტებიც, რომლებიც სადავოა, აგრეთვე მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს. მოსამართლე საქმის მოხსენების შემდეგ ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.

მოსამართლის მოხსენების შემდეგ პირველად სასამართლო მოისმენს სარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, ხოლო შემდეგ – მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს.

მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიალურ სასამართლოს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არა

აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება. მოსამართლეებს უფლება არ აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნას გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნას თუ არა სარჩელი.

გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს მოსამართლე. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს მოსამართლეთა ხელმოწერების წინ.

სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. გადაწყვეტილება შედგება შესავალის, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

გადაწყვეტილბის შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომელბითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

უდავო წარმოება. უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

- იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;
- მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
- მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ;
- დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება);
- ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- შვილად აყვანის შესახებ;
- ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ;

საკონტროლო კითხვები:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის აღძვრის სამოქალაქო სასარჩელო ფორმა;
2. სასამართლოს მთავარი სხდომა;
3. სასამართლოს გადაწყვეტილება;
4. უდავო წარმოება.

3.12. სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრება სააპელაციო და საკასაციო წესით

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ის უფლებამოსილია, შეიტანოს საჩივარი მეორე – სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, რომელიც ვალდებულია, პირველი ინსტანციის სასამრთლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეამოწმოს არა მარტო არსებითად ანუ სამართლებრივად რამდენად კანონიერია ის, არამედ არსებითად იმ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევით, რომელიც ან არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ ან არასწორი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო საჩივრის შეტანა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებებზე შეუძლიათ მხარეებს, რომელიც წერილობითი ფორმით შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში 14 დღის ვადაში. პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია, მასალები საჩივართან ერთად გადაუგზავნოს სააპელაციო სასამართლოს.

კანონით დადგენილია წინაპირობა, რომლის გათვალისწინებით შეიტანება სააპელაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

- იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;
- იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;
- მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;
- მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- სააპელაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;
- მითითებას ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი ან წარმომადგენელი.

თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნას ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნას ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

- გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;
- სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- სააპელავციო საჩივრის შემომტანი პირის დასახელება;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

- სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას;
- საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთებას. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე

საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

- საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- სააპელაციო სასამართლოს გადწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან;
- სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
- გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- არასწორად განმარტა კანონი.

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

- იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;
- იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;
- მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება. გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტება იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი);
- მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;
- საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;
- საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის.

თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებანი, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკონტროლო კითხვები:

1. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა
2. საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა, მისი ფარგლები

3.13. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და რეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება სახელმწიფო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებით, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გაცემის საფუძველზე. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) ერთიან სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო.[1]

არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეესტრს საქართველოს სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო აქვეყნებს ოფიციალური ბეჭდვით ორგანოში თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როდესაც სარეგისტრაციო განაცხადი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო განაცხადის საფუძველზე, რომელიც მოწმდება სანოტარო წესით. სარეგისტრაციო განაცხადი წარედგინება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) მარეგისტრირებელ ორგანოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით გადაიხდევინება სრეგისტრაციო მოსაკრებელი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა უფლებამოსილმა ორგანომ გადაწყვეტილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ უნდა მიიღოს განაცხადის შეტანიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ფილიალი (წარმომადგენლობა) რეგისტრირებულად ჩაითვლება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ფილიალს (წარმომადგენლობას) მიანიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი და დაუყოვნებლივ გასცეს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის, ფილიალისათვის (წარმომადგენლობისათვის) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადენილი წესით.

რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადი უნდა შეიცავდეს:

- იმ მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელებას, რომელსაც უნდა წარედგინოს სარეგისტრაციო განაცხადი; სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის თარიღს;
- სარეგისტრაციო განაცხადის წარმდგენი პირის (პირების) ვინაობას;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას;
- მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანს;
- მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების

[1]. 2010 წლის 1 იანვრიდან აღნიშნულ რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

თარიღი, (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე);

- მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელ ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესსა და უფლებამოსილების ვადას;
- მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს), მისი არჩევის წესსა და უფლებამოსილების ვადას;
- მონაცემებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, სახოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გაცვლის და გარიცხვის წესს, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;
- რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელებასა და გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას;
- სარეგისტრაციო განაცხადისათვის დართული საბუთების ნუსხასა და ფურცლების რაოდენობას;
- იმ ნოტარიუსის ვინაობასა და მისამართს, რომელმაც დაამოწმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტები.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადს ხელს უნდა აწერდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი (დამფუძნებლები) და წარმომადგენლობაზე უფლობამოსილი პირი (პირები). სარეგისტრაციო განაცხადი მოწმდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით.

სარეგისტრაციო განაცხადს უნდა დაერთოს:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის სანოტარო წესით დამოწმებული აქტი (ოქმი);
- ეროვნული სპორტული ფედერაციების, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების ან პროფესიული კავშირების რეგისტრაციის შემთხვევაში - მათი სანოტარო წესით დამოწმებული წესდებები;
- სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში;
- ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი (წევრი) უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია თავისი ორგანიზაცია და სტრუქტურა მოაწესრიგოს წესდებით, რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას.

არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი.

წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას.

არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობაში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომელბიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით.

საკონტროლო კითხვები:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო რეგისტრაცია;
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები;
3. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება).

თავი4

სამეწარმეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

„ხელებს ნუ იკრეფ გულზედა, საქმეს ნუ აგდებ ღმეთზედა, თვით უპატრონეთ თავის თავს, საქმეს ნუ აგდებთ სხვებზედა.“

Vაჟა ფშაველა

„არ არის უკვდავება ეკონომიკური თავისუფლების გარეშე.“

ლიპსიცი

წინამდებარე თავში განხილულია, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, ქვეყანაში მიღებული სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის ცნება და მისი ნიშნები.

მოკლედ არის დახასიათებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები (სუბიექტები), მათი დაფუძნების, რეგისტრაციის პირობები, სამეწარმეო რეესტრის ცნება. იურიდიული პირების არსი.

თავი ასევე ეხება საწარმოთა მართვისა და ხელმძღვანელობის საკითხებს. პარტნიორთა უფლება-მოვალეობებს. საწარმოთა კაპიტალის შექმნის, დაფინანსების, ფულადი და არაფულადი შენატანის, საწესდებო კაპიტალისა და სამოგადოების ქონების ცნებებს. სამეწარმეო საქმიანობის შემოწმებისა და დავების რეგულირების საკითხებს. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირის ქმედ-უნარიანობას საზღვარგარეთ და უცხო ქვეყნის მოქალაქე-ებისა და იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს საქართველოში. ასევე, ერთპიროვნული საწარმოებისა და მეწარმეთა გაერთია-ნებების სამართლებრივ რე-გულირებას საზღვარგარე-თის ქვეყნებში.

4.1. სამეწარმეო საქმიანობის ცნება, მისი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები,

სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება და საწარმოთა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები (სუბიექტები), მათი დაფუძნება, რეგისტრაციის პირობები, პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, ასევე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მრავალი საკითხები ძირითადად, დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1994 წელს. კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, იგი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა მხოლოდ სამართლებრივ ფორმებს და არა სამეწარმეო საქმიანობაში წარმოშობილ ყველა ურთიერთობას. ამასთან, კანონის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობად ითვლება არა ნებისმიერი, არამედ მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნებია:

- მართლზომიერი საქმიანობა;
- არაერთჯერადი საქმიანობა;
- მოგების მიღება;
- საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად;
- საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა.

ზოგადად, სამართლის თეორიაში, მართლზომიერად მიიჩნევა ნებისმიერი საქმიანობა, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და ასევე, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ, საყოველთაოდ დამკვიდრებულ და აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ჩვეულებებსა და ტრადიციებს. საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული ცალკეული საქმიანობა, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად, დასჯადია პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება, 265-ე მუხლით კი ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა, მოყვანა ან კულტივირება და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართლზომიერია ნებისმიერი საქმიანობა, თუ ნორმატიული აქტით პირდაპირ არ არის აკრძალული.

კანონი აღგენს, რომ მეწარმეობად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც ატარებს არაერთჯერად ხასიათს, ანუ მეწარმეობა არის სისტემატურად და მიზანმიმართულად განხორციელებული საქმიანობა.

ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საწარმოს მიზანია წესდებით გათვალისწინებული და კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელება სისტემატურად და განუსაზღვრელი ვადით. რეგისტრაციის პროცესის დასრულება, ფაქტობრივად, ადასტურებს

საწარმოს დამფუძნებლების განზრახვას არაერთჯერადად ანუ სისტემატურად აწარმოონ თავიანთი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც იმავდროულად დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. ამასთან ერთად, სამეწარმეო საქმიანობად კანონმდებლობის შესაბამისად ასევე ჩაითვლება, მოგების მიღების მიზნით თუნდაც ერთხელ განხორციელებული კომერციული ან სხვა საქმიანობა. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270[5] მუხლის თანახმად, საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარების მიზნით 500 ლარამდე ღირებულების, საერთო წონით არაუმეტეს 30 კილოგრამისა კვების პროდუქტების იმპორტი. სხვა საქონელი კი 1000 ლარამდე ღირებულების (საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას 3000 ლარამე) და 50 კილოგრამამდე საერთო წონით. აღნიშნულის ზემოთ საქონლის შემოტანა განიხილება კომერციულ საქმიანობად და იბეგრება საერთო წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეწარმეო საქმიანობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია მოგების მიღება. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს თავისი სამეწარმეო საქმიანობისას განზრახული აქვს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება, ანუ შექმნას და დააგროვოს შესაბამისი კაპიტალი წარმოების განვითარებისათვის, სოციალური და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ფიზიკური თუ იურიდიული პირი ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს – მიიღოს მოგება, მათი მთავარი მიზანი და განზრახვა მოგების მიღებაა. ამ პროცესში სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლობა გულისხმობს არა ყოველმხრივ დამოუკიდებლობას, არამედ სამართლებრივ დამოუკიდებლობას. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი თვითონ იღებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ნებისმიერ გადაწყვეტილებას, შეზღუდული არ არის აირჩიოს თავისი საქმიანობის სახე და მიმართულება, შეადგინოს ბიზნეს გეგმები, თვითონ გადაწყვიტოს და შექმნას მმართველობითი ორგანოები, დანიშნოს დირექტორი და დამოუკიდებლად განახორციელოს სხვა საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელება გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის შესაბამისად ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებას, მმართველობითი ორგანოს შექმნას და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირის სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. რეგისტრაცია კი სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ჩამოთვლილი საქმიანობა განიხილება სამეწარმეო საქმიანობად. დღეისათვის სოლიდარული და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილია მრავალი საადვოკატო, არქიტექტურული, აუდიტორული, სამედიცინო საზოგადოებები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა, მიღებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. მათ შორის თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1991 წლის კანონმა „სამეწარმეო საფუძვლების შესახებ“, 1992 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებამ „ცალკეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის დროებითი წესის შესახებ“, 1993 წლის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებამ „საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, 1997 წლის პრეზიდენტის განკარგულებამ „საქართველოში მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, 2001 წლის კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, 2002 წლის კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულმა აქტებმა.

საკონტროლო კითხვები:

1. სამეწარმეო საქმიანობის ცნება.
2. სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნების დახასიათება.
3. სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.

4.2 საწარმოთა ორგანიზაცულ-სამართლებრივი ფორმები (სუბიექტები), მათი დაფუძნება, რეგისტრაცია. მართვა და ხელმძღვანელობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილია საწარმოთა შვიდი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სუბიექტები:

ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კორპორაცია და კოოპერატივი.

ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, საკასო და საბუღალტრო საქმე. სამეწარმეო ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე ანუ ფიზიკური პირი გამოდის საკუთარი სახელით, როგორც დამოუკიდებელი პირი. ის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმიანობას წყვეტს ერთპიროვნულად და კრედიტორების წინაშე პირადად არის პასუხისმგებელი თავისი ქონებით. ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილი საწარმოს მფლობელი და სარგებლობდეს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ იურიდიულ პირებს. ამასთან ერთად, უფლებამოსილია ეწეოდეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც აკრძალული არ არის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ერთი და იგივე უფლებამოვალეობანი გააჩნია, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, თუ ისინი დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, გაღასახადების ოდენობა და რეჟიმი, საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ასევე, ინდივიდუალურ საწარმოებსა და იურიდიულ პირებზე ერთნაირად ვრცელდება.

დღეისათვის მოქმედი კანონების შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრირებული უნდა იყოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს მიერ წარმოებულ სამეწარმეო რეესტრში. იგი ვალდებულია აწარმოოს განხორციელებული საქმიანობის აღრიცხვა, ანუ მოწესრიგებული ჰქონდეს საკასო და საბუღალტრო საქმე. ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი. თავის სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციისათვის არ გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) წარმოადგენს იურიდიულ პირს. კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეუძლია დააფუძნოს ორმა ან მეტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით სამეწარმეო საქმიანობის არაერთჯერადად და დამოუკიდებლად განხორციელების მიზნით. საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თითოეული პარტნიორი უშუალოდ, მთლიანად და პირდაპირ, შეუზღუდავად და სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით. ამასთან, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა წაუყენოს მთელ საზოგადოებას, გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში კი კონკრეტულ პარტნიორს. კრედიტორის ვალის გადახდა უზრუნველყოფილ, როგორც საზოგადოების, ასევე პარტნიორების ქონებით. კანონის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ პარტნიორს, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა ამ პარტნიორმა მონაწილეობა კრედიტორთან უშუალოდ სამეწარმეო გარიგებაში ან სხვა საქმიანობაში. ვალის გადახდის შემდეგ პარტნიორს უფლება აქვს შეგებებული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ იმ პარტნიორს, რომლის ქმედებითაც საზოგადოებაში წარმოიშვა ეს ვალი.

პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით). პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო

ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ.

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ კანონითა და საზოგადოების წესდებით. ნებისმიერ პარტნიორს (მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი. ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი. პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. თუ სპს-ის პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები. საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე. დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

კომანდიტური საზოგადოება *(კს)* არის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსი საზოგადოება. მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს კომანდიტურ საზოგადოებაში პარტნიორთა ორი კატეგორიის არსებობა – კომანდიტებისა და კომპლემენტარების – კომანდიტის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით. კომპლემენტარები პერსონალურად პასუხისმგებელი პირებია და მათი პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის.

კომანდიტური საზოგადოების ცნებიდან გამომდინარე, მისი დამფუძნებლები უნდა იყოს სულ ცოტა ერთი კომპლემენტარი ანუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი და ერთი კომანდიტი, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით.

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები). სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების, მასში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს). თუ სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოდან გადის ყველა შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი), ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

შეზღუდულ პარტნიორებს (კომანდიტებს) უფლება აქვთ, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით შეამოწმონ წლიური ანგარიშის სისწორე. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტების წარდგენა.

შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების (კომპლემენტარების) მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში. თუ ერთ-ერთ შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) საწარმოს წესდებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების მიხედვით.

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი. მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობის და განაწილების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს მხოლოდ თავისი შენატანით, ხოლო თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულად შეტანამდე, – ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც. თუ წესდებით ან ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია. შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო. შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება წესდებაში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია.

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. წილის დათმობისას საჭიროა ნოტარიალურად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება *(შპს)* არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, თუ მან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრი-ვი ფორმები ბოროტად არ გამოიყენა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ამ ცნებიდან გამომდინარე, იგი იქმნება პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად. შესატანი კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ქონება. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია და იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს პირადად არ აგებენ. საზოგადოების ვალების დაფარვაში პარტნიორების მონაწილეობა გამოიხატება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონებით.

საზოგადოება არის იურიდიული პირი, მისი დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, როგორც ერთი, ისე რამდენიმე ფიზიკური პირები, ასევე იურიდიული პირები. საზოგადოების დამფუძნებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოც.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით). წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს. საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წელიწადში ერთხელ მართვაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს ინფორმაციას (წინა წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით) საწარმოში პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს, სამეურნეო წლის ბოლოს, წილის პროპორციულად, მოგების მიღების უფლება აქვს. ამას თან, საზოგადოების წესდება შეიძლება

ითვალისწინებდეს, რომ მოგება პარტნიორებს შორის კი არ განაწილდება, არამედ შეიქმნება რეზერვები და მოხმარდება საზოგადოების განვითარებას.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის.

სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია, აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. იმ საწარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი აწარმოებს, ხდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია. გარდა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გამოშვებული იქნეს სხვა კლასის აქციებიც. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება. აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩაატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში.

ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს 1 თვისა. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს). ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ კრება არა უადრეს პირველი კრების მოწვევიდან 20 დღისა. ეს კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე. თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა. აქციონერს უფლება აქვს, საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას.

თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას

კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად. საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას – მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია ამ კანონით);
- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;
- დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას.

  თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი. დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ფასიანი ქაღალდების სახეები, აქციონერთა უფლებები და მოვალეობები, აქციათა გამოსყიდვის წესი, წლიური ანგარიში, მოგების გამოყენება, რევიზიის ჩატარების, კაპიტალის შეძენის პირობები და სააქციო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები უფრო ფართოდ განხილული იქნება სახელმძღვანელოს სხვა თავებში.

კოოპერატივი *არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.*

კანონის ამ ცნებიდან გამომდინარე, კოოპერატივის მთავარ ამოცანას წარმოადგენს წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ კოოპერატივს არა აქვს მოგების მიღების უფლება.

კოოპერატივები თავისი საქმიანობის საგნის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;
- სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);
- მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი რეალიზაციო კოოპერატივები;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;
- სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;
- სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივი თავის ვალდებულებებზე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. საზოგადოების ვალზე კოოპერატივის წევრები პასუხს არ აგებენ. კანონით დასაშვებია კოოპერატივისათვის წევრის მონაწილეობა სხვა კოოპერატივში, თუ ეს უკანასკნელი მოწოდებულია ემსახუროს პირველი კოოპერატივის წევრთა შემოსავლის მიღების ან მათი მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კანონის შესაბამისად კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც დამფუძნებლები, ასევე კოოპერატივის დაფუძნების შემდეგ დამატებით მიღებული პირები.კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივში წევრად მისაღებად აუცილებელია შესვლის მსურველის მიერ ხელმოწერილი განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე. განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით. ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. კოოპერატივიდან გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება წესდებითსაერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში. წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე უნდა გამოიკრას კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას, რათა წევრები გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის შესახებ მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამასთანავე, გადაწყვეტილება ნოტარიალურად უნდა იქნეს დამოწმებული. ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში სხვა რამ არ არის მითითებული):

- პაის გაზრდა;
- რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- დამატებითი შესატანის შეტანის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;
- რეზერვებში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება;
- პაის დაყოფა;

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებით

განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. წარმომადგენლები აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით; პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით.

წესდებით უნდა განისაზღვროს:

- რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- წარმომადგენლობის დრო.

სხვა, უფრო დაწვრილებითი დებულებები არჩევნების წესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად.

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება. წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

გარდა აღნიშნულისა, 1997 წლის 15 მაისს მიღებულ იქნა კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, რომლის თანახმად, სამომხმარებლო კოოპერატივები და მათი კავშირები ემყარებიან წევრობის ნებაყოფლობითობის, დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის, ურთიერთპასუხისმგებლობის, საზოგადოებაზე ზრუნვის პრინციპებს, წევრთა ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსის განურჩევლად.

სამომხმარებლო კოოპერატივისა და მათი კავშირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის კოოპერატივი. ისინი შექმნილად ითვლებიან სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის დღიდან. რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ახორციელებენ საცალო და საბითუმო ვაჭრობას, კვებითი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მომსახურებას, სახალხო მოხმარების საქონლის და სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოებას, ასევე აღნიშნული საქონლის შესყიდვას, გადამუშავებასა და რეალიზაციას.

სამომხმარებლო კოოპერაციები იქმნება ნებაყოფლობით პრინციპის გათვალისწინებით, წარმოადგენს მრავალდარგოვან სამომხმარებლო კოოპერატივებისა და მათი კავშირების ერთობლიობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას წარმართავს თავისი წევრებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

კანონის თანახმად, სამომხმარებლო კოოპერატივის წევრები - მეპაიეები შეიძლება იყვნენ, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები.

აღნიშნული კანონით სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა ძირითადად რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მსგავსად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლი ითვალისწინებს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) შექმნას. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი. წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ერთობლივი საქმიანობისათვის ამხანაგობის შექმნა. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან გეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს:

- მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს;
- მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;
- მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს;
- მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;
- მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;
- ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;
- საქმიანობის ხანგრძლივობას;
- ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით, და არა შესატანის ოდენობით.

თუ საქმეების მართვა ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს ერთობლივი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია შეედავოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედავების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება. თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია. თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის. თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ვეღარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან მღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;
- მონაწილეთა გადაწყვეტილება;
- ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია აგრეთვე:

- ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
- ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- ხელშეკრულების მოშლა.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებულნი არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

საკონტროლო კითხვები:

1. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების – ინდივიდუალური საწარმოს, სამეწარმეო ამხანაგობის, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის ცნება;
2. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) ერთობლივი საქმიანობის პირობები და სამიანობის განხორციელების წესი.

4.3. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი. უმრავლესობის კონტროლი და უმცირესობის უფლებების დაცვა

პარტნიორების მიერ ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, კანონით დადგენილია საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა შეზღუდვა, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისათვის გადაწყვეტილების მიღებისათვის საზოგადოების კრების ან სამეთვალყურეო ორგანოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

კანონით დადგენილია პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღების, კონტროლისა და შემოწმების მოთხოვნის უფლება, საზოგადოების წლიური ანგარიშის ასლის მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, როგორც უშუალოდ, ისე დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით. პარტნიორს ასევე უფლება აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე მოსთხოვოს შესაბამისი განმარტებები მის შესახებ. პარტნიორის კონტროლისა და შემოწმების უფლებების გაზრდა შესაძლებელია საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით. კანონი ასევე განსაზღვრავს პარტნიორის ვალდებულებებს. კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

პარტნიორს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილ სამეწარმეო საზოგადოებაში აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მათ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნონ საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს. სააქციო საზოგადოების აქციონერები თავიანთ უფლებებს – ხმის უფლებას, ინფორმაციის მიღების, კონტროლის, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გასაჩივრების უფლებას, ახორციელებენ საერთო კრებაზე. ამასთან, აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს განმარტება და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხი-

ლონ დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა დასაბუთდეს.

სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს თუ საერთო კრება ამგვარ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი. მათ ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. თუ დირექტორები მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ კრებას, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვს კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანის (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს).

იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია აქციონერს აუნაზღაუროს სარჩელთან დაკავშირებული კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობებისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის ანაზღაურება საზიანოა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

კანონით ასევე დადგენილია აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მან განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. ამ შემთხვევაში აქციონერმა დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

საკონტროლო კითხვები:

1. საზოგადოების მართვისა და ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები;
2. პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები;
3. საზოგადოების კონტროლის სისტემა.

4.4. საწარმოს კაპიტალი და დაფინანსება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით შექმნილ საწარმოში საწესდებო კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა დადგენილი არ არის, როგორც წესი, იგი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ მათი ფინანსური მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

კანონით დადგენილია, რომ ფულადი შენატანის დროს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ვალუტით, მაგრამ საზოგადოების საბუღალტრო წიგნში იგი აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეროვნული ვალუტით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. პარტნიორები ვალდებულნი არიან დროულად შეიტანონ შესატანი. ისინი არ შეიძლება განთავისუფლდნენ შესატანის შეტანისაგან. შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივებში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კანონით დადგენილია, რომ საწესდებო კაპიტალში შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ფულადი, ასევე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის სახით ანუ არაფულადი შესატანი. პარტნიორების მიერ, როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანი აღინიშნება საზოგადოების წესდებაში. არაფულადი შენატანისას აუცილებელია ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, სადაც უნდა მიეთითოს ამ ქონების სახეობა და მისი საბაზრო ღირებულება. ეს ქონება აუცილებლად უნდა გადავიდეს საზოგადოების რეალურ მფლობელობაში და წარმოადგენდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის საგანს იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობას შეეძლოს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

არაფულადი შენატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უძრავი და მოძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ. ასევე არამატერიალური აქტივები.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა. თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე. სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

საკონტროლო კითხვები:

1. საწესდებო კაპიტალის ცნება;
2. ფულადი და არაფულადი შენატანის ცნება;
3. პარტნიორების პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალის არადროულად შეტანის ან ნაწილობრივი შეტანისათვის;
4. საწესდებო კაპიტალის უკან დაბრუნების პირობები.

4.5. სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების პირობები და დავების რეგულირება

“მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საზოგადოების პარტნიორებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. კანონით დადგენილია, რომ საზოგადოების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და

სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები, ასევე მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია.

კანონი განსაზღვრავს ხანდაზმულობისა და გასაჩივრების ვადებს. პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა ხუთი წელია მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამავე დროს დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე მოითხოვოს ერთ-ერთი მოდავე მხარის საბუღალტრო წიგნები. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თანდასწრებით ამ წიგნების შინაარსის გაცნობა, თუ ისინი დავის საგანს შეეხება. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამონაწერების გაკეთება. საბუღალტრო წიგნების სხვა მონაცემები სასამართლოს შეიძლება წარედგინოს იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის სისწორის შესამოწმებლად. ქონებრივი დავის დროს, კერძოდ, მემკვიდრეობის, საზოგადოების ქონებრივი გაყოფის საქმეებზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნის წარდგენა, მათი სრული შინაარსის გაცნობის მიზნით. მხარეებს შეუძლიათ საკუთარი ხარჯებით წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტების აუდიო-ვიდეო და სხვა ტექნიკური საშუალებებით შესრულებული ჩანაწერები. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაიბეჭდოს ეს დოკუმენტები ან სასამართლოს წარედგინოს ისეთი რეპროდუქცია, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება.

გარდა აღნიშნულისა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად, ყველას აქვს უფლება თავისუფლად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. მისი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შეიძლება მხოლოდ კანონით.

ამ კანონის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციების დადება.

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ კანონის შესაბამისად უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის, შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხი ან საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც გაიცემა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მოსამართლე ბრძანებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო წარუდგენს მას შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მეწარმის შემოწმება არ განხორციელდება. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, მოსამართლის მიერ შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მეწარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა გაცემული ქონება თუ დოკუმენტი. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მეწარმეს მიეცემა სათანადო და სრული ანაზღაურება. ამასთან, კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს მეწარმე მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც არსებობს მოსამართლის ბრძანება.

კანონი ადგენს, თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ. მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია კონტროლის განხორციელებამდე მეწარმეს გადასცეს მისი უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.

მოსამართლის ბრძანება არ არის საჭირო:

- საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებზე;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;

- საქართველოს კონტროლის პალატის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქათველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიების კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობაზე;
- ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის დარგებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე.

ყველა მაკონტროლებელ ორგანოს ეკრძალება მეწარმეს მოსთხოვოს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. კონტროლის პალატა სხვა სახელმწიფო ორგანოთა შემოწმებისას უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოსაგან მოითხოვოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა, მათი კამერალური წესით შემოწმების მიზნით.

ამასთან ერთად დადგენილია, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებაზე. ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნით, შემოწმების უფლებას მოიპოვებს მოსამართლის ბრძანებით.

სასამართლოში შემოწმების შესახებ შუამდგომლობით შედის გამომძიების ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. მოსამართლე საკითხს იხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე.

მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანებების ოდენობისა და მოსამართლის ბრძანებების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მეწარმეთა შესახებ" და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონები აწესრიგებენ ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმილი საწარმოს პარტნიორებისა და სახელმწიფოს მიერ შემოწმების ფორმებსა და პროცესებს. საერთოდ, ყველა ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში ნორმატიული აქტების სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობის პროცესში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით და მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ როგორც არბიტრაჟს, ასევე საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებს. სასამართლოში სამეწარმეო საქმიანობასთან წარმოშობილი დავები რეგულირდება როგორც ეროვნული სამართლებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით საერთო წესითა და საფუძვლებით.

საკონტროლო კითხვები:

1. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად პარტნიორების უფლებები დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით;
2. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელების პირობები;
3. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავების გადაწყვეტის საერთო წესი.

4.6. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირის ქმედუნარიანობა საზღვარგარეთ და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი საქართველოში

კერძო სამართლის ნორმებით რეგულირდება როგორც ქონებრივი, ისე პირადი არაქონებრივი, საოჯახო, შრომით და სხვა ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. უცხოელთა ეს ურთიერთობები რეგულირდება, ერთის მხრივ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უცხო ქვეყნის მოქალაქე და მეორეს მხრივ თავისი ქვეყნის კანონმდებლობითა და აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. სწორედ სამართლებრივად ეს სამმაგი დაქვემდებარება განსაზღვრავს უცხოელის სამართლებრივ მდგომარეობას.

საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას საზღვარგარეთის ქვეყნებში არეგულირებს, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც საქართველოს მოქალაქე იმყოფება. საქართველოს მოქალაქის მდგომარეობა საზღვარგარეთ ასევე რეგულირდება ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით, რომლის მონაწილეც საქართველოა. საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება უცხო ქვეყნაში, ექცევა იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, მაგრამ მისი ურთიერთობა საქართველოსთან გრძელდება და ის ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით საქართველოს მოქალაქეს საზღვარგარეთ იცავს და მფარველობს სახელმწიფო. კერძოდ, კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა. ქვეყნის უმაღლესი კანონით მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება ასევე დაუშვებელია. აკრძალული და დაუშვებელია აგრეთვე, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის დაცვისა და მფარველობის საკითხები დადგენილია საქართველოს კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", რომლის მე-6 მუხლის თანახმად უცხოეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, როგორც თავის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ იცავს საქართველო.

საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების სამართლებრივი დაცვის საკითხები წესრიგდება აგრეთვე, საქართველოს კანონებით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებით გასვლას და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ", აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონებით „ემიგრაცის შესახებ" და „იმიგრაციის შესახებ".

ღღევანდელი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაფართოებამ განაპირობა ეროვნულ კანონმდებლობაში უცხოელების სამართლებრივი დაცვის საკითხების გათვალისწინება და მისი შემდგომი სრულყოფა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები განმტკიცებულია ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, როგორიცაა 1948 წლის დეკლარაცია „ადამიანის უფლებათა შესახებ". გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს მიღებული იქნა ორი პაქტი „მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ" და საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ". ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს ადგენს, ასევე ვენის 1963 წლის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" და ვენის 1963 წლის კონვენცია „საკონსულო ურთიერთობების შესახებ".

ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები განმტკიცებულია 1975 წელს ჰელსინკიში მოწვეული სრულიად ევროპის თათბირის დასკვნით აქტში, რომელსაც ხელი მოაწერა ევროპის 33 სახელმწიფომ, და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა.

საქართველოში ღია საბაზრო ეკონომიკური პრინციპების დამკვიდრებამ განაპირობა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება. დღეისათვის შეუძლებელია ნებისმიერი ერთი სახელმწიფოს საზღვრებში წარმატებული ბიზნესის განხორციელება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. მსოფლიო ქვეყნები სტიმულს აძლევენ აღგილობრივ საწარმოებს განავითარონ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ასახვას პოვებს, როგორც ეროვნულ, ისე ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში. ამ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დაცულია, როგორც უცხოელ მოქალაქეთა, ისე უცხო ქვეყნის იურიდიულ პირთა ქონებრივი, ფინანსური, საკუთრების, შრომის და სხვა ურთიერთობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ღღეისათვის უცხოური ფინასების გამოყენებით მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს ისეთი ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორიცაა „ჯენერალ მოტორსი", „ფორდ მოტორსი", „ზინგერი", „ფილიპსი", „სიმენსი", „ნესტლე" და სხვა გიგანტური საწარმოები.

საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" 21-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე მქალაქეობის არმქონე პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამ სამართლებრივ ნორმებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირები სარგებლობენ საქართველოში იმავე უფლებებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს კერძო სამართლის იურიდიული პირები. აღნიშნულიდან

გამომდინარე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ საქართველოს მოქალაქეებზე და კერძო სამართლის საქართველოს იურიდიულ პირებისთვის მინიჭებულზე მეტი უფლებები, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი ასე მაგალითად, „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით, „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" საქართველოს კანონით, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონით" და სხვა საქართველოს ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილია უცხოურ ინვესტორ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა, ასევე საქართველოში უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებათა, დიპლომატიურ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ დამატებითი შეღავათები.

საქართველოში მყოფი უცხოელების სამართლებრივი უფლებების გათანაბრება საქართველოს მოქალაქეებთან დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლით, რომლის თანახმად „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა".

აღნიშნულიდან და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, უცხოელები შეიძლება იყვნენ საქართველოში უძრავი და მოძრავი ქონების მესაკუთრენი, შექმნან „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად საწარმოები ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და ეწეოდნენ ნებისმიერ საქმიანობას, რაც აკრძალული არ არის საქართველოში, ამავე დროს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი გადასახელელების განაკვეთები, მისი გადახდის წესი ერთნაირად ვრცელდება, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე და მეწარმეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მათ მიერ უშუალოდ, ან მათი მონაწილეობით საქართველოში შექმნილ საწარმოებზე.

დღეისათვის საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებს უცხოურ კაპიტალთა და უცხოელების მონაწილეობით ისეთი საწარმოები, როგორიცაა: „კოკა-კოლა", „მაკდონალდსი", „მინერალური წყლების კომპანია", „კასტელი", „მადნეული", სხვა საბანკო და სადაზღვევო კომპანიები.

საკონტროლო კითხვები:

1.საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი საზღვარგარეთ;
2.უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში.

4.7. ერთპიროვნული საწარმოებისა და მეწარმეთა გაერთიანებების სამართლებრივი რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში

განვითარებული ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის შიგნით სამეწარმეო საქმიანობის და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, რომლებსაც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა ერთი ჯგუფი თვლის კერძო სამართლის ნაწილად, ხოლო სპეციალისტთა მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრვი ნორმები არის სამართლის ცალკე დარგი, რომელსაც უმრავლეს ქვეყანაში უწოდებენ ბიზნესის სამართალს (Business Law)[1]

მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას წარმართავენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ინდივიდუალური მეწარმის (რომელსაც საკუთრებაში შეიძლება გააჩნდეს ისეთი საწარმოები, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკით განეკუთვნებიან კერძო საწარმოებს, ასევე პარტნიორების სრული ამხანაგობები და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობები) და კორპორაციების მიერ. აშშ-ს ერთიანი სავაჭრო კოდექსი ბიზნესმენად (კომერსანტად) მიიჩნევს პირს, რომელიც ახორციელებს გარკვეული სახის საქონლის მიმართ სხვადასხვა ოპერაციებს და გააჩნია ამ საქმიანობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ცოდნა (უნარ-ჩვევები) ან ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევა აგენტების, ბროკერების ან პირადი წარმომადგენლის მეშვეობით, რომლებსაც გააჩნიათ ამ საქმიანობის წარმატებისათვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

[1] В. Попондопуло. (с другими авторами) Коммерческое право. Часть 1. Москва 2002. Стр. 61-84

ფიზიკურმა პირმა მეწარმე ბიზნესმენის სტატუსის მოსაპოვებლად საჭიროა მიმართოს რომელიმე შტატის ადგილობრივ ორგანოს ლიცენზიის მისაღებად, რომელიც იღებს ნებართვას აწარმოოს გარკვეული სახის ბიზნესი.

სრული ამხანაგობა (პარტნიორები) შეზღუდული პასუხისმგებლობით (Partnership) ეფუძნება დადებულ ხელშეკრულებას და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. დამფუძნებელი პარტნიორები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური პირები, ისე კორპორაციები. პარტნიორთა ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პირობებს:

- პარტნიორებს შორის მოგებისა და ზარალის განაწილებას თანაბრად;
- ბიზნესის ერთობლივ კონტროლს და ამხანაგობის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას;
- პარტნიორების თანაბარ პასუხისმგებლობას კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.

სრული ამხანაგობები შეზღუდული პასუხისმგებლობით, როგორც წესი იქმნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ იურიდიული, არქიტექტურული, საფინანსო-საბუღალტრო, სამედიცინო და მომსახურეობის სხვა სფეროში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის (LLG) პარტნიორები შეიძლება იყვნენ სრული პასუხისმგებლობით კრედიტორების წინაშე და ასევე შეიძლება მათი პასუხისმგებლობა და მონაწილეობა შემოიფარგლოს შეტანილი თანხის პროპორციულად. ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები ძირითადად იქმნება სამშენებლო-სამონტაჟო, ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და გამოყენების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და საქმიანობის სხვა სხფეროში. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია, რომ გადასახადებს იხდის არა საწარმო, არამედ პარტნიორები მიღებული შემოსავლის პროპორციულად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციების სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირედება კანონმდებლობით. მისი რეგისტრაციისათვის საჭიროა შტატის მდივანთან განცხადებისა და კოოპერატივის წესდების შეტანა. წესდებით კორპორაციის საგანსა და მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი საქმიანობა, რაც აკრძალული არ არის აშშ-ს კანონმდებლობით. წესდებით გათვალისწინებული უნდა იყოს კორპორაციის დასახელება (ასოციაცია, კომპანია, კორპორაცია, კლუბი, დაწესებულება, ფონდი, ინსტიტუტი, საზოგადოება, კავშირი, სინდიკატი და სხვა) წესდებაში აგრეთვე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული კორპორაციის ოფისის ზუსტი მისამართი, დამფუძნებლები და მათი საზოგადოების ადგილის მისამართი, აგრეთვე დირექტორები და მათი მისამართი. კორპორაცია, როგორც იურიდიული პირი შექმნილად ითვლება შტატის მდივანთან წესდების რეგისტრაციის შემდეგ. კორპორაციის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აქციების გამოშვება. ამ შემთხვევაში წესდებით დადგენილი უნდა იყოს აქციის კაპიტალის ოდენობა, აქციის კლასი და აქციის ნომინალური ღირებულება. წესდებით დგინდება აგრეთვე, დირექტორებისა და აქციონერების უფლებამოსილება. კორპორაციის წესდების საფუძველზე მუშავდება შინაგანაწესის რეგლამენტი, რომელშიც გათვალისწინებულია კორპორაციის საქმიანობასთან და მის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. კორპორაციის მართვას ახორციელებს საერთო კრება. დირექტორთა საბჭოში წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს კორპორაციის მმართველობის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე პირი აირჩევა საერთო კრების მიერ ან ინიშნება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის შესაბამისად ფიზიკურ პირებს შეუძლიათ აწარმოონ ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა ინდივიდუალურად ან გაერთიანდნენ სრულ ამხანაგობაში – პარტნიორობაში (Partnership). იმისათვის, რომ ფიზიკური პირი გახდეს ბიზნესმენი (კომერსანტი) ამისათვის არავითარი დამატებითი რეგისტრაცია საჭირო არ არის. თუ კანონმდებლობით, იმ საქმიანობისათვის, რომლის განხორციელება აქვს განზრახული ფიზიკურ პირს დადგენილია ლიცენზირება, ამ შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მიღება.

სრული ამხანაგობის შესახებ დიდ ბრიტანეთში მიღებულია სპეციელური კანონი (Partnership Act 1890). ბიზნესის ამ ფორმით წარმოება დაკავშირებული არ არის იურიდიული პირის სტატუსთან. სრული ამხანაგობა ინგლისის კანონმდებლობის თანახმად არ წარმოადგენს იურიდიული პირს და მისი დაფუძნებისათვის რაიმე სახით სახელმწიფო რეგისტრაცია საჭირო არ არის. ამხანაგობის საქმიანობა განისაზღვრება პარტნიორთა ხელშეკრულებით. კრედიტორთა წინაშე პარტნიორები პასუხს აგებენ სოლიდურად მთლიანი თანხის გაყოფით პარტნიორთა რაოდენობაზე.

ინგლისის კანონმდებლობა, კერძოდ კი (Limited Partnership Act 1907) ითვალისწინებს კომანდიტური ამხანაგობის (Limited Partnership) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

ყველაზე გავრცელებულ კერძო საწარმოს წარმოადგენენ კომპანიები. ინგლისის კანონმდებლობის საფუძველზე (Companies Act 1985) კომპანიები არის იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებლები შეიძლება იყოს არ ნაკლებ ორი პირისა, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი. კანონმდებლობით დადგენილია კომპანიების შემდეგი სახეობანი:

- შეზღუდული პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალით (A Company Limited by shares)
- შეზღუდული პასუხისმგებლობა საგარანტიო თანხით (A Company Limited by guarantee)
- შეზღუდული პასუხისმგებლობით (An Unlimited Company)
- საჯარო კომპანიები

ყველაზე გავრცელებულია საწესდებო კაპიტალით შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები, რომლებიც შემოკლებით იწერება „ LTD “ და თავისი იურიდიული ბუნებით იგივეა, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

საჯარო კომპანიებად ითვლება ისეთი კომპანიები, როდესაც მისი საჯაროების შესახებ პირდაპირ არის მითითებული სადამფუძნებლო დოკუმენტში – მემორანდუმში. ასეთ კომპანიებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ საწესდებო კაპიტალი და კრედიტორების წინაშე ისინი პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ამ საწესდებო კაპიტალით. კანონმდებლობით დადგენილია საწესდებო კაპიტალის ოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს 50 ათას ფუნტ სტერლინგზე ნაკლები. კერძო კომპანიებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს დაფუძნების დროს საწესდებო კაპიტალის არსებობა და არ არის განსაზღვრული აგრეთვე მისი შეტანის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა. ჩამოთვლილი კომპანიები, როგორც კერძო, ისე საჯარო არის იურიდიული პირი და როგორც წესი ისინი ეწევიან მცირე და საშუალო ბიზნესს.

ამ კომპანიების სადამფუძნებლო დოკუმენტს წარმოადგენს მემორანდუმი და შინაგანაწესის რეგლამენტი. მემორანდუმში მითითებულია კომპანიის სახელწოდება, ოფისის მისამართი და საქმიანობის საგანი. თუ კომპანიას გააჩნია საწესდებო კაპიტალი ამის შესახებ უნდა იყოს მითითებული რეგლამენტში თითოეული დამფუძნებლის წილის ოდენობის განსაზღვრით. შინაგანაწესის რეგლამენტით დადგენილია მართვის სისტემა. კომპანიების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციის ბიუროს ოფიციალური პირი – კომპანიის რეგისტრატორი. რეგისტრაციისათვის საჭიროა სარეგისტრციო და სიმბოლიკის (გერბის) მოსაკრებლის გადახდა. რეგისტრაციისათვის აუცილებელია, ასევე სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და დადგენილი ფორმის განცხადების წარდგენა, აგრეთვე მონაცემები იმ პირებისა, რომლებიც ინიშნებიან პირველ დირექტორებად და პირველ მდივნებად. რეგისტრაციის მომენტიდან კომპანია ითვლება იურიდიულ პირად და მასზე გაიცემა სპეციალური მოწმობა.

კომპანია ვალდებულია წესდებაში არანაკლებ ერთხელ მოიწვიოს კრება, რომელიც ითვლება კომპანიის უმაღლეს მმართველ ორგანოდ. კომპანიის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორთა საბჭო. დირექტორები საჯარო კომპანიებში არ უნდა იყოს ორზე ნაკლები. კანონმდებლობით დადგენილია, რომ დირექტორები შეიძლება იყვნენ, როგორც კერძო პირები, აგრეთვე იურიდიული პირებიც. დირექტორთა საბჭო ახორციელებს კომპანიის მართვას, აწარმოებს დირექტორების, მდივნების და კორპორაციის წევრების ჟურნალს. წარმართავს კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას, ადგენს მოგებისა და ზარალის ბალანსს. ყოველდღიურად ავსებს სავაჭრო ჟურნალს ფინანსების მოძრაობის, შესყიდული და რეალიზებული საქონლისა და ნაშთის შესახებ.

საფინანსო დოკუმენტები ინახება კომპანიის ოფისში. კერძო კომპანიებისათვის დადგენილია საფინანსო დოკუმენტების შენახვის ვადა 3 წელი, საჯარო კომპანიებისათვის კი 6 წელი.
ინგლისის კანონმდებლობით კომპანიებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ოფშორულ ცენტრებში (Offshore Centres) და საგადასახადო ჰავანებში (Tax Havens) გააჩნიათ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. ის კომპანიები, რომლებიც მხოლოდ დარეგისტრირდნენ ამ ოფშორულ ცენტრებში და საგადასახადო ჰავანებში და ამ ტერიტორიაზე არ ეწევიან ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას იხდიან მხოლოდ უმნიშვნელო ერთჯერად გადასახადს.

საფრანგეთის კანონმდებლლობით იურიდიული პირები (Pengonnes morales) იყოფიან კერძო სამართლის იურიდიულ პირებად და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან კომერციული (ბიზნესის) სამართლის იურიდიული პირები ანუ კომერსანტები. იმ შემთხვევაში თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეწევა კომერციულ საქმიანობას მათზე ვრცელდება კომერციული სამართლის ნორმები. იურიდიული პირისა და კომერსანტის ცნებები მოცემულია საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში, რომლის თანახმად კომერსანტი არის პირი, რომელის ძირითად პროფესიას წარმოადგენს სამეწარმეო (ბიზნესთან დაკავშირებული) საქმიანობა. ამ საქმიანობის განხორციელებისათვის პირი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და შეტანილი იქნეს სავაჭრო რეესტრში სავაჭრო მოსამართლის ან საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ. კომერსანტი შეიძლება იყოს კომანდიტური ამხანაგობის წევრი ან საკუთრებაში გააჩნდეს კერძო (ინდივიდუალური) საწარმო. (Centreprcse individuelle) კომერსანტი პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.

საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად უცხოელებს უფლება ეძლევათ ეწეოდნენ კომერციულ საქმიანობას, ამისათვის დამატებით საჭიროა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პოლიციიდან მიიღონ სპეციალური უცხოური კომერსანტის მოწმობა.

კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ძირითადად განსაზღვრულია საფრანგეთის 1966 წლის კანონით „სავაჭრო საზოგადოების შესახებ“ იმავე დასახელების 1967 წლის დეკრეტით. ამ ნორმატიულ აქტების საფუძველზე დადგენილია კერძო სამართლის იურიდიული პირების შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:

- მთლიანი (შეუზღუდავი პასუხისმგებლობის) საზოგადოება;
- კომანდიტური საზოგადოება;
- სააქციო კომანდიტი;
- შეზღუდული პასუხისმგებლბის საზოგადოება;
- სააქციო საზოგადოება

მთლიანი (შეუზღუდავი პასუხისმგებლობის) საზოგადოება (Societe en nom collectic) არის იურიდიული პირი. მისი წევრები პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე მთლიანი მოცულობით და სოლიდარულად არა მარტო საზოგადოების ფუნქციონირების პერიოდში, არამედ მისი ლიკვიდაციის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში. საზოგადოების შექმნისათვის მინიმალური კაპიტალის ოდენობა დადგენილი არ არის.

კომანდიტური საზოგადოების (Societe en commandete simple) დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, როგორც იურიდიული პირები, ასევე ინდივიდუალური კომერსანტები. კომანდიტები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ თავისი შენატანის პროპორციულად. კანონმდებლობა ითვალისწინებს საზოგადოების წევრთა სიების გამოქვეყნებას. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ამ საზოგადოებაშიც დადგენილი არ არის.

სააქციო კომანდიტი (societe e commandite pan action) არის იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებელი უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი კომერსანტისა და სამი აქციონერისა. სააქციო კომანდიტის იმ საზოგადოებაში, რომელიც არ ახორციელებს აქციებზე საჯარო ხელმოწერას, საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს არა ნაკლებ 250 ათასი ფრანკისა. საზოგადოება, რომელიც აწარმოებს აქციებზე საჯარო ხელმოწერას მინიმალური საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1,5 მილიონი ფრანკი.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Societe a responsadilite- SARL) კრედიტორების წინაშე პასუხიმგებელია თავისი ქონებით, მინიმალური საწესდებო კაპიტალი დადგენილი 50 ათასი ფრანკი. დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. თუ დამფუძნებელი ერთი პირია მას ეწოდება „შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთპიროვნული საწარმო“. დამფუძნებელთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50-ს, თუ დამფუძნებელთა რაოდენობა გახდა 50-ზე მეტი, მაშინ ორი წლის განმავლობაში ის უნდა გადაკეთდეს სააქციო საზოგადოებად. უმაღლესი მართვის ორგანოა დამფუძნებელთა კრება. თუ დამფუძნებელთა რაოდენობა აღემატება 20-ს, აუცილებელია ყოველწლიურად კრების მოწვევა და კოლეგიური ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით. საზოგადოების ყოველწლიურ საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი, რომელიც შეიძლება იყოს არჩეული საზოგადოების წევრისაგან, ან შეიძლება იყოს მოწვეული.

სააქციო საზოგადოება (Societe Anonyme - SA) უფლებამოსილია გამოუშვას ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები, მისი საწესდებო კაპიტალი იგივეა, რაც დადგენილია სააქციო კომანდიტის საზოგადოებისათვის. საერთო კრება არის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო. კრებებს შორის ფუნქციონირებს სამეთვალყურეო საბჭო ან ადმინისტრაციული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი ან გენერალური დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 3-დან 12 პირამდე საზოგადოების კაპიტალისა და საქმიანობის მოცულობის გათვალისწინებით. სააქციო საზოგადოება ვალდებულია გამოაქვეყნოს ბალანსი, მოგება, ზარალი და საზოგადოების საბოლოო წლიური შედეგები.

სახელმწიფო და კერძო შერეული საწარმოების ფორმას ითვალისწინებს საფრანგეთის კანონმდებლობა. სახელმწიფო საწარმოები იწოდება საჯარო საწარმოებად და მთლიანად ეკუთვნის სახელმწიფოს. მათ მართვას ახორციელებს ადმინისტრაციული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ამ საწარმოს მოსამსახურეები. გენერალური დირექტორი ინიშნება პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის მიერ. სახელმწიფო საწარმოების საქმიანობა რეგულირდება კომერციული სამართლის ნორმებით. შერეულ საწარმოებში სახელმწიფო კუთვნილება (წილი) შეადგენს არანაკლებ 51%. ასეთი საწაარმოების გენერალური დირექტორი ან პრეზიდენტი ინიშნება ქვეყნის პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის მიერ.

კოოპერატივი იქმნება სხვადასხვა წარმოების, რელიზააციის, მომარაგების, სოფლის მეურნეობის, ფულად-საკრედიტო, სამომხმარებლო და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ბიზნესისა და სხვა სფეროებში. საფრანგეთის კანონმდებლობით კოოპერატივებს მინიჭებული აქვთ სპეციალური სამართლებრივი სტატუსი.

საფრანგეთის კანონმდებლობით თავისუფალი პროფესიის საზოგადოება შეიძლება ეწოდოს სამეწარმეო საქმიანობას. ასეთი საზოგადოება შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ოთხი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; სააქციო კომანდიტები და საზოგადოებები შექმნილი ერთობლივი საქმიანობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებებს გააჩნიათ კომერციული საქმიანობის უფლება, მათი გაერთიანების

მთავარ მიმართულებას წაარმოადგენს პროფესიული საქმიანობის განვითარება. ასეთ პროფესიულ საზოგადოებას წარმოადგენს მსახიობთა, მხატვართა, იურისტთა, ექიმთა, არქიტექტორთა, მწერალთა და სხვა გაერთიანებები.

საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, კომერციული საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტს წარმოადგენს სადამფუძნებლო ხელშეკრულება და საზოგადოების წესდება. სადამფუძნებლო დოკუმენტები და საზოგადოების წესდება მიიღება საერთო კრებაზე, რომელშიც აღინიშნება საზოგადოების სახელწოდება, მისი ადგილსამყოფელი, მონაცემები ფილიალების შესახებ, საქმიანობის საგანი, მმართველობის ორგანოები, მონაცემები საწესდებო კაპიტალის შესახებ, აქციების რაოდენობა და მისი ნომინალური ღირებულება.

გადაწყვეტილება საზოგადოების შექმნის განზრახვით გამოქვეყნებული უნდა იქნეს ოფიციალურ გამოცემაში, რომელიც იგზავნება ყველა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამავე დროს დამფუძნებლებმა თავიანთი ხემოწერით უნდა დაადასტურონ, რომ ყველა მათი ქმედება ახალი საზოგადოების დაფუძნებისათვის შეესაბამება საფრანგეთის კანონმდებლობას. საზოგადოების დაფუძნების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტები წარედგინება სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომლის სათანადო პროცედურული შემოწმებების შემდეგ ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირი შეაქვს სავაჭრო რეესტრში, რომლის შემდეგ ხდება უფლებაუნარიანი და შეუძლია წარმართოს ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა.

ნებისმიერი ფორმით შექმნილი ყველა იურიდიული პირი და კომერსანტი ვალდებულია აწარმოოს სავაჭრო წიგნი, რომელის მონაცემები ითვლება კომერციულ საიდუმლოებად და მისი გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. დოკუმენტაციის შენახვის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა კავშირებად ან საზოგადოებად (Vemeine) და დაწესებულებებად (Stiftugen). დადგენილია საწარმოთა შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:

- სავაჭრო საზოგადოება (ამხანაგობა);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- სააქციო საზოგადოება;
- კოოპერატივი.

გერმანიის კანონმდებლობით სავაჭრო საზოგადოებები (ამხანაგობები) არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაგრამ მათ გააჩნიათ გარკვეული უფლებაუნარიანობა, ისინი შეიძლება გამოვიდნენ სასამართლოში მოსარჩელეებად და მოპასუხეებად. სამეწარმეო საქმიანობაში შეიძლება განახორციელონ ინდივიდუალურად, ისინი შეიძლება იყვნენ ერთპიროვნულად საწარმოს მფლობელები, როგორც წესი ეს საწარმოები არის მცირე და საშუალო. მათი საქმიანობა რეგულირდება გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობით. სავაჭრო საზოგადოებების (ამხანაგობების) სამართლებრივი ფორმა მსგავსია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940 მუხლებით დადგენილი ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ფორმისა. კერძოდ, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად, რომლებიც ვალდებულნი არიან საერთო მიზნების მისაღწევად შეიტანონ ხელშეკრულებით დადგენილი შენატანები. მიღებული შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.

გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი სახის სავაჭრო (სამეწარმეო) ამხანაგობებს: 1. სავაჭრო საზოგადოება (ამხანაგობა) მთელი მოცულობით და 2. კომანდიტური ამხანაგობა. სავაჭრო საზოგადოება (ამხანაგობები) არის ერთიანი მიზნის მისაღწევად შექმნილი ერთობლივი საწარმოები. დამფუძნებლების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდული არ არის, – ისინი პასუხისმგებლები არან საზოგადოების (ამხანაგობის) ყველა ვალზე მთლიანად და სოლიდარულად. საზოგადოების ქონება წარმოადგენს დამფუძნებელთა პირად საკუთრებას სოლიდარულად.

კომანდიტური საზოგადოება (ამხანაგობა) კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელნი არიან მთლიანი მოცულობით, მაგრამ კომანდიტები პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე მხოლოდ თავიანთი შენატანების პროპორციულად.

გერმანიის კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებს საჯარო (დახურული) საზოგადოებების (ამხანაგობის) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. იმ შემთხვევაში თუ ბიზნესში მონაწილეობს პირი მხოლოდ თავისი ქონებრივი და ფულადი შენატანებით, რომელიც ცნობილი არ არის მესამე პირისათვის და არ არის გამოცხადებული საჯაროდ, ასეთი საწარმო არის არა საჯარო, არამედ დახურული ფორმის. ბიზნესში, რომელშიც მონაწილეობს პირი არა საჯაროდ მას გააჩნია იგივე უფლებები, რაც საჯარო მონაწილეებს, ის პასუხისმგებელია კრედიტორების

წინაშე მთელი მოცულობით სოლიდარულად და აქვს მოგების და დივიდენდების მიღების უფლება თანაბარწილად.

შეზრღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა გერმანიაში რეგურდება ჯერ კიდევ 1892 წელს მიღებული კანონით შეზღუდული პასუხიმგებლობის შესახებ. ეს საზოგადოებები არის ყველაზე პოპულარული და გავრცელებული. გასული საუკუნის ბოლოს გერმანიაში რეგიტრირებული იყო ხუთასი ათასზე მეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მაშინ როდესაც სააქციო საზოგადოებები იყო მხოლოდ სამი ათასამდე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს და გააჩნია სრული უფებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

სადამფუძნებლო დოკუმენტს წარმოადგენს პარტნიორთა ხელშეკრულება, რომელიც საჭიროებს ნოტარიალურად დამოწმებას. მასში მითითებული უნდა იყოს საფირმო დასახელება, ადგილმდებარეობა საქმიანობის საგანი, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, თითოეული დამფუძნებელი პარტნიორების ფულადი შენატანი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყო ორმოცდაათი ათას გერმანულ მარკაზე ნაკლები. თავისუფალი დამფუძნებლების მიერ შეტანილი თანხა მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში და ის უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 500 გერმანულ მარკას. ყველა ეს ჩამოთვლილი მონაცემები შეიტანება საჯარო რეესტრში. საზოგადოების მართვის ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება და დირექტორატი. შესაძლებელია შეიქმნას აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭო, თუ ამის თაობაზე მითითებულია სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება 1965 წლის კანონით სააქციო საზოგადოების შესახებ. სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები. მისი საქმიანობის საგანი შეიძლება იყოს, როგორც ბიზნესი, ისე, ნებისმიერი სხვა სამოქალაქო საქმიანობა. სადამფუძნებლო დოკუმენტს წარმოადგენს სააქციო საზოგადოების წესდება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საფირმო დასახელება, საქმიანობის საგანი დამფუძნებლები და მისამართი.

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი არ უნდა შეადგენდეს ასი ათას გემანულ მარკაზე ნაკლებს. ამავე დროს ერთი აქციის მინიმალური ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს არა ნაკლებ 50 გერმანულ მარკას. აქციები არის სახელობითი და პრივილიგირებული, როგორც ხმის უფლებით, ისე ხმის უფლების გარეშე.

სააქციო საზოგადოების წესდებას ამტკიცებს აქციონერები და საჭიროებს ნოტარიულ დამოწმებას. წესდებაში მითითებულია აქციების რაოდენობა მისი სახეობების მიხედვით და ნომინალური ღირებულება, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, კონკრეტული საქმიანობის საგანი. სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია ხორციელდება სავაჭრო რეესტრში შეტანით, რომლის შემდეგ საზოგადოება იძენს უფლებაუნარიანობას და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

სააქციო საზოგადოების მართვას ახორციელებს აქციონერთა საერთო კრება, რომელთაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს ეს უკანასკნელი კი ქმნის გამგეობას და აკონტროლებს მის საქმიანობას. გამგეობა ახორციელებს ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას, წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს, როგორც სხვა იურიდიულ პირებთან, ასევე სახელმწიფსთან ურთიერთობაში. პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერების წინაშე.

სამეწარმეო კოოპერატივების საქმიანობა რეგულირდება 1989 წლის კანონით სამრეწველო და სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. კოოპერატივის წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის, მათ მიზანს წარმოადგენს საერთო ბიზნესის წარმართვა მოგების მიღების მიზნით. საქმიანობის საგნიდან გამომდინარე კანონმდებლობა ითვალისწინებს კოოპერატივის შემდეგ სახეს:

- საკრედიტო საფინანსო კავშირი;
- ნედლეულის მოპოვებისა და დამუშავების კავშირი;
- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელი კავშირი;
- საქონლის დამამზადებელი და რეალიზაციის კავშირი;
- საქონლის საბითუმო შემსყიდველი და მისი საცალო რეალიზაციის კავშირი;
- საცხოვრებელი ბინების სამშენებლო კავშირი.

კოოპერატივის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები. კოოპერატივის მართვის ორგანოს წარმოადგენს გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო. სადამფუძნებლო დოკუმენტი არის კოოპერატივის წესდება, რომელიც რეგისტრდება სასამართლოს მიერ კოოპერატივის რეესტრში.

რუსეთის ფედერაციაში სამეწარმეო საქმიანობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით, კომერციული საზოგადოების შესახებ ფედერალური კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით. სამოქალაქო კოდექსით დადგენილია მეწარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებირივი შემდეგი ფორმები:

- ინდივიდუალური მეწარმე;
- სრული და კომანდიტური ამხანაგობები;
- სამეურნეო საზოგადოებები (შეზღუდული პასუხისმგებლობის და დამატებითი პასუხისმგებლობის);
- სააქციო საზოგადოებები (ღია და დახურული);
- კოოპერატივი;
- სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოები.

რუსეთის ფედერაციაში ყველაზე მარტივ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც მოქმედებს ერთპიროვნულად და არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ის პირადად არის პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე მის საკუთრებაში არსებული მთელი თავისი ქონებით. კანონმდებლობით დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული ფორმა და საგადასახადო შეღავათები ინდივიდუალური მეწარმისთვის, რომლებიც იხდიან ინდივიდუალური საქმიანობის საპატენტო გადასახადს.

სრული ამხანაგობა არის რამოდენიმე მეწარმისა და კომერციული ორგანიზაციის გაერთიანება ერთ ფირმაში ერთობლივი საქმიანობის წარმართვის მიზნით. ისინი გამოდიან ამ ფირმის სახელით და პასუხისმგებლები არიან კრედიტორების წინაშე სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით. სრული ამხანაგობის დაფუძნებისათვის საჭიროა დამფუძნებელთა ხელშეკრულების შედგენა. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

კომანდიტური ამხანაგობა იქმნება რამოდენიმე პირისა და მათი კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე, რომელიც რეგისტრირდება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დამფუძნებლები კომენდატები, რომელთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება თავიანთი შენატანებით და სრული პარტნიორები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის სამეწარმეო საზოგადოებათა შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა, წარმოადგენს იურიდიულ პირს. მისი დამფუძნებლები შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირები. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგნოები არ შეიძლება იყვნენ ამ საზოგადოების დამფუძნებლები. მისი დამფუძნებელი შეიძლება იყოს ერთი ფიზიკური პირიც. დამფუძნებლები არ შეიძლება იყოს 50-ზე მეტი, თუ დამფუძნებელთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ ზღვარს, მაშინ ის უნდა გარდაიქმნას ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად ან სამეწარმეო კოოპერატივად. დამფუძნებელები პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე საზოგადოების ქონებით. სადამფუძნებლო დოკუმენტებს წარმოადგენს ხელშეკრულება და საზოგადოების წესდება.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ იყვნენ საზოგადოების დამფუძნებლები. თავისი იურიდიული ბუნებით დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება მსგავსია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ძირითადი და მკვეთრი განსხვავება გამოიხატება კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის საკითხებში. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დამფუძნებლები პასუხს აგებენ არა მარტო საზოგადოების ქონებით, არამედ მთელი თავისი ქონებით, რომელიც მოიცავს აგრეთვე პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას.

სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი და ფედერალური კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ. სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ორი სახის აქციებად: 1. ღია აქციები, რომლის შეძენა შეუძლია ნებისმიერ პირს და დახურული აქციები, რომლის შეძენა შეძლია მხოლოდ საზოგადოების დამფუძნებლებს.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ დახურულ სააქციო საზოგადოებაში დამფუძნებელ აქციონერთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდაათს. თუ ისინი გადააჭარბებენ ამ ციფრს, მაშინ უნდა გარდაიქმნან ღია სააქციო საზოგადოებად. აქციონერების პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მათ საკუთრებაში არსებული აქციების ღირებულებებით. სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ერთი პირის მიერ. სადამფუძნებლო დოკუნეტს წარმოადგენს საზოგადოების წესდება. დამფუძნებლები ასევე ადგენენ წერილობით ხელშეკრულებას, რომელითაც განიზაზღვრება საზოგადოების საქმიანობის საგანი, საწესდებო კაპიტალი, აქციების სახე და მისი ნომინალური ღირებულება.

სააქციო საზოგადოების უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში არა ნაკლებ ერთხელ. საზოგადოების მართვას ახორციელებს ასევე დირექტორთა საბჭო (ან გამგეობა) და სადამფუძნებლო საბჭო.

კოოპერატივი იქმნება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით. კოოპერატივის წევრები სამუშაო პროცესში იღებენ პირად მონაწილეობას და კოოპერატივში შეაქვთ საპაიო შენატანი. ამავე დროს ისინი არ ითვლებიან დაქირავებულ პირებად და მონაწილეობას იღებენ კოოპერატივის მართვაში. კანონმდებლობით დადგენილია, რომ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები. კოოპერატივის სადამფუძნებლო დოკუმენტს წარმოადგენს საზოგადობის წესდება, რომელიც მტკიცდება კოპერატივის წევრების მიერ. საზოგადოების მმართველობას ახორციელებს საერთო კრება და აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა.

სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები არ ფლობენ პირად საკუთრებაში ქონებას. ისინი ახორციელებენ გადაცემული ქონების ოპერატიულ მართვას. მფლობელის მიერ ქონების გადაცემა ხორციელდება წერილობით. ხელშეკრულებით, რომლის ვადა დადგენილია არა ნაკლებ სამი წელი. ქონების მფლობელი უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამტკიცებს საწარმოს წესდებას. გადაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და დაუშვებელია მისი გადაცემა ან განაწილება სხვა პირებზე მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის საქართველოში კერძო საწარმოთა და საერთოდ ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, საწარმოთა ფუნქციონირების, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, თითქმის შეესაბამება განხილული ქვეყნების კერძო სამართლის სუბიექტების მოწყობის ზოგად პრინციპებს, საქმიანობის საგანსა და ფორმებს. საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით განსხვავებულია ცალკეული საკითხების სამართლებრივი რეგულირების მეთოდები და პრქტიკული განხორციელების მიმართულებები.

საერთოდ ღია საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა კერძო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი იურიდიული ბუნება, საქმიანობის მიმართულება, დაფუძნებისა და კაპიტალის შენატანის პირობები, საფინანსო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესი, საწარმოთა მმართველობის ორგანოები, კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის საკითხები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, აღნიშნული მთავარი პრინციპები სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოკრატიული და სხვა ფასეულობების განვითარების გათვალისწინებით, უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასეთი იდენტური მიდგომა განპირობებულია ცივილიზებული მსოფლიო ქვეყნების ერთგვაროვანი ეკონომიკური და სოციალური პირბებითა და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პრიმატით შიდა სახელმწიფოებრვი ნორმატიული აქტების მიმართ.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პრაქტიკული საქმიანობით დამტკიცებულია, რომ წარმატებული ბიზნესისა და საერთოდ ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია, რომელიმე ერთი სახელმწიფოს შიგნით საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა, კერძოდ კი კაპიტალის გაერთიანებისა და რეგიონალური ეკონომიკის განვითარების გათვალისწინების გარეშე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით დღეისათვის მსოფლიოში ფუნქციონირებს სამოცი ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია, ორასი ათასამდე საზღვარგარეთული ფილიალით, რაც მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის შედეგია.

საკონტროლო კითხვები:

1. ერთპიროვნული საწარმოები და მეწარმეთა გაერთიანებების სამართლებრივი რეგულირება:

- ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- დიდ ბრიტანეთში;
- საფრანგეთში;
- გერმანიში;
- რუსეთის ფედერაციაში.

4.8. ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობა

ყველასათვის არის ცნობილი, რომ წარმატებული ბიზნესი დამყარებულია პირად საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. შესაბამისი ქონებისა და დაფინანსების გარეშე შეუძლებელია ყველაზე მარტივი საქმიანობის წარმართვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქონებრივი მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის საკითხებს.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი საზოგადოების დაფუძნებისას ითვალისწინებს საწესდებო კაპიტალის შენატანის აუცილებლობას ნებისმიერი ვალუტით. შესატანი შეიძლება ასევე ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის სახით, რომელსაც უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა. ამასთან ერთად შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნას წესდების ხელმოწერისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად, ქონება არის ყველა ნივთი (მოძრავი და უძრავი) და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (ინტელექტუალური საკუთრება და სხვა ქონებრივი სიკეთე, მაგ. კრედიტის გადაცემა მესამე პირზე, ვალის გადაკისრება, სხვადასხვა სახის გამოგონებები და სამეცნიერო აღმოჩენები, სასაქონლო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები და სხვა), რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვაც შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

კოდექსით დადგენილია, უძრავი ქონების სრული ჩამონათვალი, რომელსაც მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ქონება შეიძლება გააჩნდეს მფლობელობაში და საკუთრებაში. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით. ცალკეულ შემთხვევაში პირს ქონება შეიძლება გააჩნდეს განსაზღვრული ვადით (დროებით), ფლობდეს და იყენებდეს მას და არ იყოს მისი მესაკუთრე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირის მიერ ქონების სარგებლობა და განკარგვა. კოდექსით ასევე დადგენილია, უძრავი ნივთის (ქონების) შეძენის საფუძვლები, რომლისთვისაც აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“, რომლის შესაბამისად შემუშავებული და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულია „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების“ 2002-2005 წლების ერთიანი გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების პირობებს. ამ ნორმატიული აქტების შესაბამისად ნებისმიერი საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ასევე მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურ პირს და აგრეთვე იურიდიულ პირს, შეუძლია დადგენილი წესით შეიძინოს განუსაზღვრელი ღირებულების ქონება, რომელთა პრივატიზება საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს და კრძალავს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების რაიმე სახით გაუქმებას. ეს წესი ვრცელდება, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებზე, მოქალაქეობის არმქონე პირებზე და საქართველოსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების ფლობის უფლება. უძრავ ქონებას მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, რომელიც რეგულირდება სპეციალური კანონით (Land Law) საცხოვრებელი ბინა და სხვა.

მოძრავი ქონება იყოფა ორ ჯგუფად – ქონება მფლობელობით (Choses in possession), რომელსაც მიეკუთვნება მანქანები, ავეჯი, წიგნები და სხვა ყოველდღიური მოხმარების ნივთები და ქონება მოთხოვნით (Choses in action), ასეთ ნივთებს მიეკუთვნება პატენტი, ფირმის სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი, ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება. ქონების ამ სახეს განეკუთვნება ასევე სასაქონლო და ფინანსური ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო ვექსილები, რომლებზედაც ვრცელდება კანონი „ვექსილების შესახებ“.

ქონების მფლობელობის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს მინდობილობითი საკუთრება (Trust), რომელიც ფართოდ გამოიყენება ადვოკატსა და კლიენტთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, საქველმოქმედო ორგანიზაციებში, კორპორაციებისა და კოოპერატივების ურთიერთობებში, ფასიანი ქაღალდების ოპერაციების, ინვესტიციებისა და სხვა სამეწარმეო ურთიერთობებისას.

საფრანგეთში ქონებრივი საკითხების ინსტიტუტი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით, რომლითაც დადგენილია კერძო საკუთრებისა და სხვისი ქონების მფლობელობის ინსტიტუტი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 544 მუხლის თანახმად, საკუთრება არის ქონების გამოყენების და ფლობის ისეთი აბსოლუტური უფლება, რომლის დროსაც საკუთრების უფლება კანონით ან რეგლამენტით არ არის აკრძალული. საკუთრების უფლების მოპოვების (ქონების შეძენის) აუცილებელ წინაპირობად დადგენილია კანონიერი მფლობელის კეთილსინდისიერი, ღია, მშვიდობიანი და უწყვეტი ქონებრივი საკუთრების ფაქტის დადასტურება. უძრავი ქონების შეძენის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 30 წელს, მოძრავი ქონებისათვის მისი სახეობის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა დადგენილია 10-დან 20 წლამდე.

საფრანგეთში მფლობელობის ინსტიტუტი ფართოდ არის გავრცელებული, რომლის დროსაც პირს შეუძლია ქონების მესაკუთრის გარკვეული პირობების გათვალისწინებით განკარგოს მის მფლობელობაში არსებული ქონება, მაგალითად, არენდით აღებული შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი, სატრანსპორტო ექსპედიციისათვის მიღებული საქონელი და სხვა.

საფრანგეთის კანონმდებლობით უძრავი ქონების პირველ სახეს მიეკუთვნება ისეთი ქონება, რომელიც თავისი ბუნებით არის უძრავი, მიწის ნაკვეთი და რაც მასზეა განთავსებული. უძრავი ქონების მეორე სახეს კი მიეკუთვნება ქონება, რომელიც საჭიროა ამ ქონების ექსპლუატაციისათვის – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და დანადგარები, სამრეწველო მანქანა-დანადგარები, მომსახურეობის გაწევისათვის საჭირო ქონება (სატრანსპორტო მომსახურეობისათვის – სატრანსპორტო საშუალებები; მშენებლობისათვის – სამშენებლო ტექნიკა და სხვა) ქონების ამ სახეს მიეკუთვნება, ასევე შინაური პირუტყვი.

საკუთრების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრება. კანონმდებლობით დადგენილია ასევე სამრეწველო საკუთრება, რომელსაც მიეკუთვნება საფირმო სახელწოდება, სავაჭრო სახელი (უფლება), სამრეწველო ბიზნესი, სასაქონლო ნიშანი, პროდუქციის სახელწოდება და პროდუქციის წარმოშობის (დამზადების) ადგილი.

საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილია საწარმოთა განსაკუთრებული საკუთრების ფორმა, რომელიც მოიცავს არა მარტო მიწის ნაკვეთსა და მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებს, მანქანა დანადგარებსა და სხვა სამრეწველო საშუალებებს, ასევე ინტელექტუალურ საკუთრებას, კადრებს, ანუ პერსონალს (სპეციალისტებს) და ამ საწარმოს ჩამოყალიბებულ კლიენტებს (ნედლეულის მომწოდებლებს, გამოშვებული პროდუქციის მყიდველებს და სხვა დაკავშირებულ პირებს). წარმოების შეძენისას მხედველობაში მიიღება არა მარტო მისი შენობა-ნაგებობები მიწა და სვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ღირებულება, არამედ წარმოებისა და მისი პროდუქციის რეპუტაცია ბაზარზე, მოსამსახურეთა კვალიფიკაცია, მოგება და სხვა. მატერიალური და არამატერიალური ფაქტორები.

გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებულია ქონების საკუთრების უფლება, რომლის მფლობელი უფლებამოსილია განკარგოს ის თავისი შეხედულებით. მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის მთელი სივრცის ზემოთ და მიწის ქვეშ არსებული წიაღისეული. განსაკუთრებით დაცულია კანონმდებლობით საკუთრების უფლება.

არსებობს ქონების ფლობის ორი ფორმა. პირველი ჩემთვის (ჩემი ინტერესებისათვის) ანუ პირადი საკუთრება, და მეორე, სხვა პირისათვის. ამ შემთხვევაში ქონების მფლობელია სხვა პირი (იჯარით აღებული ქონება, საწარმოს ქონება, რომელსაც იყენებენ მოსამსახურეები და ა.შ.).

ქონების შესაძენად საჭიროა შეთანხმება მფლობელსა და მყიდველს შორის. ქონება შეძენილად ითვლება მისი გადაცემის მომენტიდან. უძრავი ქონების შეძენისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს. კერძოდ, შეძენილი უძრავი ქონების გატარების ე.წ. მიწის წიგნში, რომლის გარეშე ქონება არ ითვლება შესყიდულად.

დღევანდელი მსოფლიოს ღია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს იურიდიული და ფიზიკური პირების ქონების საკუთრების უფლება ძირითადად რეგულირდება ეროვნული (ნაციონალური) კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. ჩვენს მიერ საქართველოს, ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე განხილულია საკუთრების სამართლებრივი რეგულირების საკითხები, ქონების საკუთრების ფორმები, მისი შეძენისა და რეგისტრაციის წესი.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციების ქონება, რომელიც წარმოადგენს საელმწიფო საკუთრებას და რომელზედაც ვრცელდება ვენის 1961 წლის კონვენციით „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ და ვენის 1963 წლის კონვენციით „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ დადგენილი იმუნიტეტი. გარდა დიპლომატიური დაწესებულებების ქონებისა სახელმწიფოს საკუთრებაში შესაძლებელია გააჩნდეს ქონება სხვა ქვეყანაში, როგორც წესი, ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლებრივი

ნორმებით, სადაც ეს ქონება იმყოფება. იგივე წესი ვრცელდება ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირის ქონებაზე, რომლის ადგილსამყოფელია სხვა ქვეყნის ტერიტორია.

საქართველოს იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს გააჩნიათ უფლებამოსილება ნებისმიერ საზღვარგარეთის ქვეყანაში შეიძინოს ქონება, ფლობდეს მას, განკარგოს მთელი მოცულობით და თავისი შეხედულებით ქონების ადგილსამყოფელი ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად ფიზიკური პირის მოქალაქეობისა და იურიდიული პირების ამა თუ იმ ქვეყნის კუთვნილებას მნიშვნელობა არა აქვს. სანივთო (ქონებრივი) ურთიერთობები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელ ქვეყანაშიც ეს ნივთი (ქონება) იმყოფება. მაგალითად, საქართველოს მოქალაქის მიერ გერმანიაში მსუბუქი ავტომანქანის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურული საკითხი წყდება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად. ავტომანქანის საქართველოში შემოყვანის შემდეგ (საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან) მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

ქონების საკუთრების რეგულირების სამართლებრივ საკითხებს ეხება ჰააგის 1955 წლის კონვენცია მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ჰააგის 1958 წლის კონვენცია საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის საკუთრების უფლების განსაზღვრის სამართლებრივი ნორმების გამოყენების თაობაზე, საერთო ბაზარში შემავალი ქვეყნების მიერ 1980 წელს მიღებულია კონვენცია სახელშეკრულებო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ და ჰააგის 1985 წლის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, რომელთა შესაბამისად ქონების სამართლებრივი რეგულირება ხდება არა მარტო მისი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, არამედ იმ ქვეყნის სამართლებრივი ნორმებითაც, რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული და იყენებენ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილენი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონების შეძენასთან და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითები წესრიგდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელიც წინასწარ არის დადგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით.

საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ არეგულირებს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების საკითხებს. კანონის 32-ე პუნქტის შესაბამისად ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ამ კანონის მითითებული ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული. თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ, ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ეს ნივთი.

ეს კანონი აგრეთვე განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებების, გაყიდული და გადაზიდვაში მყოფი საქონლის სამართლებრივ მდგომარეობას. საჰაერო, წყლის და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებზე ვრცელდება იმ ქვეყნის სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ისინი ეკუთვნის. ამ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული გადასაზიდი საქონლის მიმართ გამოიყენება საბოლოო დანიშნულების ქვეყნის სამართალი, ანუ რომელიც ქვეყნის რეზიდენტსაც ეკუთვნის ეს საქონელი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულირდება ეროვნული (ნაციონალური) სამართლებრივი ნორმებით. 1982 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს, დაწესებულებებს და მოქალაქეებს უფლება ეძლევათ კავშირები დაამყარონ ჩინეთის საწარმოებთან, შექმნან ერთობლივი ან მთლიანი უცხოური კაპიტალის დაფინანსებით საწარმოები. რუსეთის ფედერაციის 1991 წლის კანონის თანახმად „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ უცხოური კაპიტალით შეიძლება შეიქმნას ერთობლივი საწარმოები რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობით ან შეიქმნას საწარმოები, რომლებიც მთლიანად იქნება დაფინანსებული უცხოური ინვესტიციებით (უცხოური საწარმოები). უცხოელებეს უფლება ეძლევათ შეიძინონ რუსეთის ფედერაციაში საწარმოები, ქონების კომპლექსი, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და განახორციელონ ინვესტიციებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რომელიც არ იკრძალება კანონმდებლობით.

1973 წელს მექსიკაში, მიღებული იქნა კანონი საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლითაც რეგულირდება უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების სტატუსი, ინვესტიციებით შეძენილი ქონებისა და მოგების ქვეყნიდან გატანის საკითხები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეკონომიკუაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემას. უცხოური ინვესტიციების რეგულირებასთან დაკავშირებით მიღებული იქნა კანონი 1992 წელს, შემდეგ 1995 წელს დღეისათვის მოქმედი კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ მიღებულია

1996 წელს, რომლითაც დადგენილია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების საფუძვლები, მათი დაცვის გარანტიები და ხელშემწყობი რეჟიმი.

კანონის თანახმად, ინვესტორად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი, ინტელექტუალური საკუთრება ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. უცხოელ ინვესტორად მიიჩნევა უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოში და საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ, აგრეთვე უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ინვესტიციები შეიძლება იყოს ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. ინვესტიციებით შეიძლება შეძენილი იქნას უძრავი ქონება, მათ შორის მიწა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა და უფლება. ინვესტორის უფლება და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ინვესტორს უფლება აქვს ქონება გადასცეს სხვა იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირს კანონით დადგენილი წესით და მოახდინოს მიღებული მოგების (შემოსავლის) შეუზღუდავი რეპატრიაცია საზღვარგარეთ.

საკონტროლო კითხვები:

1. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში.
2. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში.
3. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირების შესახებ.

4.9 საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობის კოლიზიისა და ნაციონალიზაციის საკითხები

თანამედროვე ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის, აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნების, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიული პირებს შორის მყარი ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება. ბიზნესთან დაკავშირებული მრავალმხრივი საქმიანობა, რომლის სუბიექტებად გამოდიან სხვადასხვა ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, რეგულირდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და ეროვნული (ნაციონალური) კანონმდებლობით. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ერთგვაროვანი საქმიანობის მოწესრიგება სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდება სამართლებრივად განსხვავებული მეთოდებით, ფორმითა და მიდგომით. მაგალითად, ფირმების რეგისტრაცია და ფილიალების დაარსება, საქონლისა და სხვა მოძრავ-უძრავი ქონების შესყიდვის, გაღაზიდვის, დაზღვევის პირობები, საგადასახადო განაკვეთების ოდენობა და გაღახდის წესი, საინვესტიციო და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა მრავალფეროვანი საქმიანობა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით რეგულირდება სხვადასხვაგვარად.

ერთიდაიგივე ანუ მსგავსი (ერთგვაროვანი ურთიერთობების) საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით განსხვავებულად რეგულირებას სამართლის თეორიაში კოლიზიას ანუ კონფლიქტს უწოდებენ. კოლიზიის შემთხვევაში ერთი და იგივე ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით, ან თუნდაც ერთი ქვეყნის კანონმდებლობით სხვადასხვანაირად წყდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშკარა წინააღმდეგობაში ან არსებით განსხვავებაში არიან ერთმანეთთან.

კოლიზია არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს „შეჯახებას“. საერთაშორისო კერძო სამართალში კოლიზიური სამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის კანომდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საქმიანობაში მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა იქნეს გამოყენებული მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად.

საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსხვავებული მიდგომაა იურიდიული პირის ცნების და მათი აღგილსამყოფელის ანუ, როგორც სხვაგვარად უწოდებენ ეროვნულობის განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ სხვადასხვა ქვეყნების საწარმოთა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა „სრული ამხანაგობა“ ბრიტანეთის კანონმდებლობით არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო საფრანგეთის კანონმდებლობით იგივე დასახელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის იურიდიული პირი. იმის დასადგენად არის თუ არა მეწარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმა „სრული ამხანაგობა“ იურიდიული პირი, პირველ რიგში უნდა გაირკვეს რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის. საერთაშორისო კერძო სამართალში იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრა, ანუ რომელ ქვეყანას ეკუთვნის იურიდიული პირი (მისი კუთვნილბის საკითხი), სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად იურიდიული პირი ეკუთვნის იმ ქვეყანას, სადაც ის დაფუძნდა, ანუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობით დაფუძნდა და სად განხორციელდა მისი წესდების რეგისტრაცია (ინკორპორაციის პრინციპი); კონტინენტური ევროპის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი) კანონმდებლობა იურიდიული პირის „ეროვნულობის“ განსაზღვრის კრიტერიუმად ითვლება მისი მმართველობის ორგანოს (გამგეობის) ადგილსამყოფელი, ანუ რომელ ქვეყანაში მდებარეობს იურიდიული პირის მმართველობის ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა, დირექტორატი, მთავარი ოფისი.

იტალიისა და უმეტესი განვითარებადი ქვეყნების კანონმდებლობა იურიდიული პირის „ეროვნულობის“ საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს იურიდიული პირის ფუნქციონირების ადგილის მიხედვით.

მიუხედავად აღნიშნული კრიტერიუმებისა, მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გაძნელებულია იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირი იქმნება ნაციონალური კანონმდებლობით, კონკრეტულ ქვეყანაში. მაგრამ მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება ერთი ქვეყნის ტერიტორიით. დღეისათვის მსოფლიოში შექმნილია 40 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია, რომელიც ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მათ მიერ შექმნილია 600 ათასამდე „ქალიშვილი კომპანიები“ და ფილიალები. ასეთ შემთხვევებში იურიდიული პირის „ეროვნულობის“ მისი უფლებაუნარიანობის და სამართალსუბიექტის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობას დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით.

საერთაშორისო კერძო სამართალში გარდა იურიდიული პირის ეროვნულობის საკითხისა (lex societatis), გამოიყენება ნივთის ადგილმდებარეობის კანონი (lex rei sitae), გარიგების ადგილის დადების კანონი (lex loci contractus), ხელშეკრულების დამდები პირის მიერ არჩეული კანონი (lex voluntatis) და აქტის შესრულების ანუ გარიგების დადების შესრულების ადგილის კანონი (lex loci actus)[1]

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განსაზღვრის დროის გამოყენება მოქალაქეობისა და საცხოვრებელი ადგილის პრინციპი.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, მოქალაქეობის შეძენა ძირითადად ხდება დაბადებით და ნატურალიზაციით.

დაბადებით მოქალაქეობის შეძენა ხდება „სისხლის უფლების“ პრინციპით, ანუ მნიშვნელობა არა აქვს რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაიბადა პირი, მას მოქალაქეობა ენიჭება მისი მშობლების მოქალაქეობის გათვალისწინებით და „ნიადაგის უფლების“ პრინციპით, რომლის დროს მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ახალშობილის მშობლები, მას ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომელ ქვეყანაშიც დაიბადა.[2]

ნატურალიზაციის დროს პირი იძენს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მისი განცხადებისა და თხოვნის საფუძველზე ამ ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მისაღებად სხვადასხვა ქვეყნის კანომდებლობით დაწესებულია გარკვეული პირობები.

გარდა აღნიშნულისა, განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობა გააჩნიათ მოქალაქეობის არმქონე პირებს (პაპატრიდები), ორი მოქალაქეობის მქონე პირებს (ბიპატრიდები) და საერთოდ მოქალაქეობის დაუდგენელ პირებს.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელსაც პირი ჩვეულებრივად ირჩევს მუდმივად საცხოვრებლად. მას შეუძლია გარკვეული პერიოდი იმყოფებოდეს სხვა ადგილას, რომელიც წარმოადგენს „ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. ამასთან პირს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე საცხოვრებელი ადგილი. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა, - მეურვის საცხოვრებელი ადგილი. პირის საცხოვრებელი ადგილი უქმდება, თუ იგი იძულებითი წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს. ამ კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი

---

[1] თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 35-40.

[2] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 186.

ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფები (იურიდიული მისამართი), იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და საგადასახადო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების თანახმად კერძო სამართლის იურიდიული პირის მისამართად ითვლება მისი ადგილსამყოფელის ადგილი, ანუ ოფისის მისამართის მიხედვით ის რეგისტრირდება დადგენილი წესით სასამართლოში და რეგისტრაციაში ტარდება იმავე რაიონის მომსახურე საგადასახადო ინსპექციაში.

ფიზიკური და იურიდიული პირის ადგილსამყოფელის, მის კუთვნილებასა და ეროვნულობის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოებში სამოქალაქო და სამართალწარმოების სხვა საქმეების განხილვის დროს. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამ კანონის შესაბამისად ფიზიკური პირის უფლებამუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ხოლო იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტიური ადგილსამყოფელი. ეს წესი ვრცელდება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

ამ კანონით მოწესრიგებულია აგრეთვე, ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის, კერძოდ კი, გარიგების, სანივთო და ვალდებულებითი სამართლის კოლიზიური ნორმების გამოყენების საფუძველი. გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული იყო კონკრეტული გარიგების დადების დროს. ნივთზე კი უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ ამ ნივთთან დაკავშირებული საკუთრებისა და სხვა უფლებრივი საკითხები წყდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც გადაიტანეს ნივთი. რაც შეეხება სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრას, კერძოდ ხელშეკრულებათა განმარტებას, მის შესრულებას, შეწყვეტას, აგრეთვე ბათილობის შედეგებს და ვალდებულებათა დარღვევას, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით. ამასთან არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც. თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, გამოიყენება იმ ქვეყნის კოლიზიური სამართლებრივი ნორმები, რომელთანაც სახელშეკრულებო ვალდებულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, ანუ ხელშეკრულების დადებისას იმ ქვეყანაში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

დელიქტური ვალდებულების წარმოშობისას ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება:

- დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს;
- იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზაღაურების მოთხოვნას;
- იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას, სადაც მოსარჩელესა და მოპასუხეს ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

საკონტროლო კითხვები:

1. სამართლებრივი კოლიზიის ცნება საერთაშორისო სამართალში;
2. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობის ნაციონალიზაციისა და ეროვნულობის განსაზღვრის საერთაშორისო სამართლებრივი წესები.
3. დავების შემთხვევაში კოლიზიური სამართლის გამოყენების წესები.

თავი 5

ვაჭრობის როლი, მნიშვნელობა და მისი სამართლებრივი რეგულირება

„არაფერია იმაზე შესაბრალისი, რომ ღირსეული ადამიანი უმოქმედოდ იყოს.“
გოეთე

„ითხოვეთ და მოგეცეთ, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, დააკაკუნეთ და გაგეღებათ.“
მათეს სახარება

წინამდებარე თავში მოცემულია ვაჭრობის ცნება და ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისათვის საჭირო პირობები, ჩამოყალიბებულია ვაჭრობის ძირითადი ფუნქცია, დახასიათებულია ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები და მათი მნიშვნელობა, გაშუქებულია კომერციული საქმიანობის არსი და კომერციული საბაზრო კავშირების ძირითადი ოპერაციები.

გაშუქებულია სავაჭრო გარიგების არსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებული ცნების თანახმად, მისი განხორციელებისათვის საჭირო პირობები, ხელშეკრულებების დადების წესები, კონტრაქტის სტრუქტურა, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის საფუძველი.

განხილულია ასევე ვაჭ-რობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT -47), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფუნქციები და ამოცანები ვაჭრობის გან-ვითარებასა და სამართლ-ებრივ უზრუნველყოფაში.

5.1. ვაჭრობის არსი და მნიშვნელობა[1]

ვაჭრობა ქვეყნის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი სფეროა. თანამედროვე ეტაპზე მისი შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიანი გამოყენების პირობებში.

ვაჭრობა გაცვლის პროცესია, რომელიც ხორციელდება ფულის მეშვეობით სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საფუძველზე. თავის მხრივ, გაცვლა გულისხმობს საქონლის გასხვისებას ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემას ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე.

გაცვლისათვის საჭიროა გარკვეული პირობები:

- მინიმუმ ორი მხარე;
- ყოველი მხარე უნდა ფლობდეს ისეთ რამეს, რაც მეორე მხარისათვის ფასეულობას წარმოადგენს;
- ყოველ მხარეს უნდა შეეძლოს კომუნიკაციისა და თავისი საქონლის მიწოდების ორგანიზაცია;
- ყოველი მხარე უნდა იყოს აბსოლუტურად თავისუფალი მეორე მხარის წინადადების მიღებაში ან უარყოფაში;
- ყოველი მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მეორე მხარესთან საქმის დაჭერის მიზანშეწონილობაში ან სასურველობაში.

მის გაცვლის განსახორციელებლად საჭიროა: 1. მყიდველის მოძებნა; 2. მასთან გარიგება – ხელშეკრულების დადება, რომელშიც დათქმული იქნება ყველა პირობა (საქონელი, მისი რაოდენობა, ხარისხი, ფასი და ა.შ.); 3. ხელშეკრულების შესრულება.

ვაჭრობა, თავისი არსით, საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებათა პროდუქტი და გამოვლენის ფორმაა. ყიდვა-გაყიდვის პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობანი მოიცავს საზოგადოების სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებს.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ვაჭრობის ძირითადი, მონისტიკური ფუნქციაა საქონელმიმოქცევა ანუ „საქონელი-ფული" და „ფული-საქონელი", ვინაიდან ამ შემთხვევაში ხდება არა მარტო საქონლის ღირებულებისა და მისი სარგებლიანობის რეალიზაცია, არამედ შესაძლებელია სავაჭრო საქმიანობის მთავარი მიზნის მიღწევა: მაქსიმალური მოგების მიღება.

[1] ლ. ყორღანაშვილი. ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2003, გვ.122-123

ვაჭრობის ყველა სხვა ფუნქცია მიმოქცევის ფუნქციიდან გამომდინარეობს. მაგალითად, გაცვლის პროცესში მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად ვაჭრობამ უნდა განახორციელოს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლის დაყვანის ფუნქცია. მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი ვაჭრობას აიძულებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირებასა და დაკმაყოფილებაში. ეს, თავის მხრივ, უშუალოდაა დაკავშირებული კაპიტალის დაგროვების პროცესის მომსახურების ფუნქციებთან.

მიღება ვაჭრობა, როგორც მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი, უზრუნველყოფს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლისა და მომსახურების დაყვანას. იგი მოიცავს ორ ორგანიზაციულ ფორმას: საბითუმო და საცალო ვაჭრობას. საბითუმო ვაჭრობა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა, აგრეთვე თვით სავაჭრო საწარმოთა დამაკავშირებელი შუალედური რგოლია. ყიდვა-გაყიდვის ობიექტია საქონლის მსხვილი პარტიები. საბითუმო საწარმოების, ფირმების, სექტორების ძირითადი ფუნქციაა საქონლის მსხვილი პარტიების ყიდვა საკუთარი ხარჯებით და, როგორც წესი, მისი შენახვა და იმ საწარმოებისათვის მიყიდვა, რომლებიც აწარმოებენ მის ხელახალ გაყიდვას, საწარმოო გადამუშავებას და საწარმოო მიზნით გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბითუმო ვაჭრობაში შედის გადაყიდვის ან პროფესიული გამოყენების მიზნით საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა.

საცალო ვაჭრობა საქონელმიმოქცევის ბოლო ფაზაა. იგი უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას მყიდველთა ფულად შემოსავლებზე გაცვლის გზით. საცალო ვაჭრობაში მყიდველები საქონელს ყიდულობენ საკუთარი საჭიროებისათვის და არა გადაყიდვისათვის.

ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. იგი ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას, მოთხოვნის ფორმირებას, წარმოების მასშტაბების ბრდას, ზემოქმედებს კაპიტალის დაგროვებაზე, აკავშირებს წარმოებისა და მოხმარების სფეროებს. ვაჭრობა მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის შექმნაში, მის განაწილებასა და მოხმარებაში. იგი უშუალო კავშირშია საკრედიტო სისტემასა და ფულის მიმოქცევასთან, აკავშირებს სოფელსა და ქალაქს, რეგიონებს და ა.შ.

სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისათვის მიმოქცევის სფეროში იქმნება სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ქსელი. მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება კანონით „მეწარმეთა შესახებ".

სავაჭრო საწარმოთა ფუნქციონირება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საჭიროებს მათი კომერციული საქმიანობის კარდინალურ გაუმჯობესებას: იგი მომხმარებლის ინტერესებზე ანუ ბაზრის პრიმატზე უნდა იყოს აგებული.

საკონტროლო კითხვები:

1. ვაჭრობის არსი და ფუნქციები;
2. ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკაში;

5.2. ვაჭრობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ზოგადი მიმოხილვა სახელმწიფოებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. უძველესი დროიდან სახელმწიფოები იწსრაფოდნენ დაემყარებინათ ერთმანეთთან ურთიერთმომგებიანი სავაჭრო კავშირები, რომელიც თავდაპირველად ხორციელდებოდა ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ძირითადად გეპირი გარიგების ფორმით. მოგვიანებით, ვაჭრობის მასშტაბების გაფართოებასთან ერთად ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის გახდა შედარებით ცივილიზებული და საქონლით ვაჭრობა ხორციელდებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით. ვაჭრობის მარეგულირებელი პირველი უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ხელშეკრულებების სახით მიღებული იქნა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნეში, მოითხოვა შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება საქონლის მიწოდების პირობების, ანგარიშსწორების, თავისუფალი სავაჭრო და საბაჟო ზონების შექმნის, საბაჟო კავშირების, ინვესტიციებისა და ერთიანი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და სხვა მიმართებით.[1]

დღეისათვის მოქმედი ვაჭრობის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ძირითადად მიღებულია მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, რომელთა შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის 1945 წელს 24 ოქტომბერს 50 სახელმწიფოს მიერ შექმნილ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.[2] სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით გენერალური ასამბლეის XXI სესიის მიერ 1966 წელს ჩამოყალიბდა გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNCITRAL), რომლის მთავარ მიზნად დაისახა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა. ამასთან საერთაშორისო სავაჭრო სამართალი განისაზღვრა, როგორც

კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა „რომელიც შეეხება სხვადასხვა ქვეყნებს”[3] ამ კომისიის ამოცანას შეადგენს ასევე საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების პროექტების შემუშავება, სახელმწიფოების მიერ ტიპიური და ერთგვაროვანი კანონების მისაღებად დახმარების გაწევა, საერთაშორისო სავაჭრო ტერმინებისა და დამკვიდრებული ჩვეულებების განმარტება, სავაჭრო სამართლის ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადოება. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან გამოყენებაზე დახმარების გაწევა[2]. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივ რეგულირებაში, მის განვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნების ერთგვაროვან მიდგომაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ასევე გაერთიანებული ერების კონფერენციის ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNKTAD), რომლის პირველ სესიაზე 1964 წელს განხილული იქნა საკითხი საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გამოყენების შესახებ. ამ სესიაზე მიღებული იქნა აგრეთვე დოკუმენტი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარების პრინციპების შესახებ, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განვითარდეს ეროვნული ურთიერთხელსაყრელი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ღონისძიებებისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა ერს.

გარდა გაეროს ამ სპეციალიზირებული ორგანოებისა „უნისტრალისა” და „უნკტადი”-სა საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივ რეგულირებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია[5] ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა (მდებარეობს პარიზში), კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტე (განთავსებულია რომში) და სხვა.

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართლის ეს დარგი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამართლებრივი სტატუსის, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, საერთაშორისო გარიგების ყიდვა-გაყიდვის, საერთაშორისო ფულად-საკრედიტო, საკუთრების მარეგულირებელ, გადაზიდვის, დაზღვევის, სავაჭრო არბიტრაჟისა და სხვა საკითხებს.

სპეციალისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის წყაროდ მიჩნეულია მხოლოდ ამ სფეროს მარეგულირებელი კონვენციები, და ტიპიური კანონები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად საერთაშორისო დონეზეა შემუშავებული და მიღებული, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული ჩვეულებები: აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სავაჭრო სამართალი მოიაზრება ტერმინებით „კომერციული სამართალი”, „ბიზნესის სამართალი”, „კორპორაციული სამართალი”, „სამეწარმეო სამართალი” და ა.შ. ამასთან, ცალკეულ ქვეყნებში სავაჭრო სამართალი მიიჩნევა საოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილად, სხვა ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და ა.შ.) დუალიზმიმს თეორიით მიჩნეულია სამართლის დამოუკიდებელ დარგად და ვითარდება სამოქალაქო და სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ერთად პარალელურად.

როგორც აღინიშნა, სავაჭრო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები. გასული საუკუნის სამოციანი წლების დასწყისიდან მიღებული იქნა საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი მთელი რიგი ნორმატიული აქტები.

1964 წელს ჰააგის კონფერენციის მიერ მიღებული იქნა ორი კონვენცია[6]

- მოდელური კანონი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (ULIS);
- მოდელური კანონი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (ULF).

1974 წელს ნიუ-იორკში მიღებული იქნა ასევე კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შესახებ. 1983 წელს მიღებული იქნა ასევე ქენევის კონვენცია - საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში წარმომადგენლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩამოთვლილმა კონვენციებმა მსოფლიო მასშტაბით ფართო გავრცელება ვერ შეძლო, ბოლო მითითებული ქენევის კონვენცია კი საერთოდ არ შესულა ძალაში, ვინაიდან ამისათვის თვითონ კონვენციის თანახმად საჭირო იყო 10 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირება ან მიერთება., ფაქტიურად კი მისი რატიფიცირება განახორციელა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ.

არ ამოქმედებულა აგრეთვე ჰააგის 1986 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოყენებული სამართლის შესახებ. იგივე

დასახელების 1955 წლის ჰააგის კონვენცია შევიდა ძალაში, მაგრამ მისი რატიფიცირება განახორციელა მხოლოდ შვიდმა სახელმწიფომ.[1]

საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და რეკომენდირებული საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სხვადასხვა პირობები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვის საერთო პირობები, სახელდობრ:

- ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონლისა და სხვა სერიული წარმოების ლითონის ნაკეთობების იმპორტისა და ექსპორტის ყიდვა-გაყიდვის საერთო პირობები;
- მანქანის დანადგარების ექსპორტის მოწოდების საერთო პირობები;
- ლითონის, საწვავის, ხის მასალის, ხორბლის და ციტრუსების ტიპიური ხელშეკრულება (კონტრაქტი).

საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების (კონტრაქტის) სტანდარტები შემუშავებულია ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ. საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე გამოიყენება ცალკეული ფირმების მიერ შემუშავებული ტიპიური ხელშეკრულებები (კონტრაქტები), რომლებიც სპეციალიზირებული არიან კონკრეტული სქონლის საერტაშორისო ყიდვა-გაყიდვით. ასეთი სახის ტიპური ხელშეკრულებები (კონტრაქტები) არ წარმოადგენენ სავალდებულო ფორმას, მათი გამოყენება შეიძლება, როგორც ამ სახის დოკუმენტის ნიმუში, იმ შემთხვევაში, თუ დამკვიდრებულ სავაჭრო პრაქტიკაში ისინი შეესაბამებიან საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებს, შეიძლება შეფასდეს, როგორც ჩვეულებითი ნორმა და ფართოდ იქნეს გამოყენებული.

საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი ჩამოთვლილი სამართლებრივი ნორმებისა და სარემენდაციო დოკუმენტების სიმრავლის მიუხედავად, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების „ცივი ომის" პირობებში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ისინი აღიარებული არ იქნა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები ძირითადად რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი, კოლიზიური სამართლებრივი ნორმებითა და საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში დამკვიდრებული ჩვეულებებით.

ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ვაჭრობის მარეგულირებელი ახალი უნივერსალური სამართლებრივი ნორმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების დაცვასა და ამავე დროს ხელს შეუწყობდა ვაჭრობის განვითარებას. 1980 წელს შემუშავებული და მიღებული იქნა გაეროს „უნისტრალის" კომისიის მიერ კონვენცია - საქონლის საერთაშორისო ნასყიდობათა ხელშეკრულების შესახებ (CIGS), რომელიც ხელმოწერილი იქნა 62 სახელმწიფოს მიერ და პრაქტიკაში სახელდება, როგორც ვენის ნასყიდობის კონვენცია.[7]

მითითებული კონვენცია შედგება 101 მუხლისაგან და აწესრიგებს საქონლის ყიდვა-გაყიდვასთანდაკავშირებულ მნიშვნელოვან ურთიერთობებს. მისი მიღებით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული მიდგომით საქონლის ვაჭრობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შედარებით ერთიან ჩარჩოში მოქცევა, ანუ საერთაშორისო ვაჭრობაში ერთგვაროვანი წესების გამოყენება.

კონვენციის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს საქონელი შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, მყიდველი კი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება და განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეწყობა.

კონვენციის პირველი მუხლის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა იყოს საერთაშორისო დამ ას კავშირი უნდა გააჩნდეს ხელმომწერ სახელმწიფოსთან, ანუ ხელშეკრულების სუბიექტები უნდა იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. და ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული უნდა იყოს ეს კონვენცია. ამასთან გარიგება უნდა

---

[1] В. Попондопуло, Международное коммерческое право. 2004, стр. 212-246.

[2] ლ. ალექსიძე თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2001, გვ. 98-106

[3] ი. შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები, 2000, გვ. 6-21

[4] Н. Васильев, Договорное право в международном обороте, 2002, стр. 32

[5] მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT-47), რომლებიც ქვემოთ ცალკე საკითხებად იქნება განხილული. Н. Васильев, Договорное право в международном обороте, 2002, стр. 32

დაიდოს მხარეებს შორის, რომელთა კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციაში არ არის განსაზღვრული „ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა" და „საქონლის" ცნება, პირველ შემთხვევაში ის გამომდინარეობს კონვენციის პირველ მუხლში მითითებული მყიდველისა და გამყიდველის ვალდებულებიდან (საქონლის გადაცემა და ღირებულების ანაზღაურება) და მეორე შემთხვევაში კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს საფონდო ქაღალდების, ბრუნვადი დოკუმენტების, საზღვაო და საჰაერო ხომალდების, საჰაერო ბალიშებზე მოქმედი ხომალდებისა და ელექტროენერგიის გაყიდვას, რის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ, რომ სხვა საქონლით ვაჭრობა, რომელიც აკრძალული არ არის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ამ კონვენციით. კონვენციის მოქმედების სფეროში არ შედის აგრეთვე საქონლის ბარტერი (გაცვლის ხელშეკრულებები, კონტრაქტები) საკომპენსაციო გარიგებებზე.

კონვენციის მე-2, მე-14, მე-16, მე-18 მუხლები ითვალისწინებენ ოფერტისა და აქცეპტის გამოყენებას საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს. მე-14 მუხლის თანახმად ოფერენტმა უნდა განსაზღვროს ადრესატი, ის უნდა იყოს მიმართული კონკრეტული პირისადმი. შინაარსი განზრახვისა გამოხატოს ნათლად და გასაგებად, მიეთითოს საქონლის სახეობა, სტანდარტები, რაოდენობა, ღირებულება. ოფერტში უნდა აღინიშნოს აქცეპტის გამოგზავნის ვადა, ასევე შესაძლებელია ტუ არა მისი გამოთხოვა. აქცეპტი, როგორც წესი, გამოიხატება ოფერტის მოთხოვნის ფორმის ფარგლებში. მე-5 მუხლით დადგენილია, რომ აქცეპტი შეიძლება გასცდეს მოთხოვნის ფორმის ფარგლებს და განხორციელდეს გარკვეული ისეთი მოქმედებები, როგორიცაა საქონლის გაგზავნა, თანხის გადახდა და ა.შ. კონვენციის 23-ე მუხლის საფუძველზე აქცეპტის ძალაში შესვლა ითვალისწინებს ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, დარეგულირებულია ასევე დავების გადაწყვეტა, როგორც საერთო, ისე საარბიტრაჟო სასამართლოებში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას მოლაპარაკებებისა და კონსესუსის გზით.

კონვენციით განსაზღვრულია საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულებით კონტრაქტის ტიპიური ფორმა, მისი სტრუქტურა, რომელიც იწყება შესავალი ნაწილით და გააჩნია შემდეგი შინაარსი.

- შესავალი (პრეამბულა) მხარეთა განსაზღვრა:
- ხელშეკრულების საგანი (საქონლის ასორტიმენტი, ხარისხი) მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
- ფასები და კონტრაქტის საერთო ღირებულება;
- ხელშეკრულების კონტრაქტის შესრულების ვადები და ადგილი, ღირებულების გადახდის პირობები;
- საქონლის რაოდენობა;
- საქონლის შეფუთვა და მარკირება;
- პრეტენზიების (რეკლამაციების) წაყენებისა და დავების განხილვის წესი, საჯარიმო სანქციების გამოყენება;
- დაუძლეველი ძალის გარემოებები ფორს-მაჟორი;
- ხელშეკრულების ძალაში შესვლა მისი შეცვლა და გაუქმების პირობები;
- მხარეთა ხელმოწერები;

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად მისი გამოყენება ხელშემკვრელი მხარისათვის ყოველთვის არ არის სავალდებულო. ასეთ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიეთითოს თუ რომელი კონკრეტული ქვეყნის კოლიზიური სამართალი იქნება გამოყენებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად და მისი დარღვევის შემთხვევაში, თუ რომელი სასამართლოს განხილვას დაექვემდებარება.

გარდა აღნიშნულისა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება აგრეთვე გაერთიანებუბული ერების 1978 წლის კონვენციით საზღვაო გადაზიდვების შესახებ, რომელიც სხვაგვარად პრაქტიკაში ჰამბურგის წესებით იხმარება და რომლითაც რეგულირდება საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვები და საერთაშორისო სასაქონლო დოკუმენტის კონოსამენტის გამოყენებისა და დანიშნულების პირობები. ვაჭრობის მარეგულირებელ მნიშვნელოვან სამართლებრივ ნორმას მიეკუთვნება აგრეთვე გაეროს მიერ შემუშავებული ნიუ-იორკის 1965 წლის კონვენცია იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ, რომლითაც არ აქვთ გასასვლელი ზღვაზე.[8] ამ კონვენციით აღიარებულია საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ტერიტორიიდან გასასვლელი ზღვაზე,

აგრეთვე ტრანზიტული რეჟიმით მოძრავი საქონლის თავისუფალი გადაადგილება და მისი გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადებისაგან.[2]

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ფინანსურ უზრუნველყოფასთან, რომელიც ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ღოგორც წესი, მყიდველი და გამყიდველი იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნებში, მყიდველი არაა გარანტირებული, რომ ის მთლიანად მიიღებს შესყიდულ იმავე საქონელს ხარისხისა და რაოდენობების გათვალისწინებით, და გამყიდველი ხშირ შემთხვევაში არ არის ბოლომდე გარანტირებული, რომ მთლიანად და დროულად მიიღებს საქონლის ღირებულებასა და გაწეულ სხვა ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით საერთაშორისო პრაქტიკაში სამარტლებრივად არის მოწესრიგებული ანგარიშსწორების საკითხები და შემოღებულია მთელი რიგი დამცავი მექანიზმები (სააკრედიტივო სისტემა, საერთაშორისო კონოსამენტი, თამასუქი და სხვა), რომელიც ჩვენს მიერ ცალკე იქნება განხილული.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებას საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF), რომელიც შეიქმნა 1994 წელს, ბრეტონ-ვუდსში. წესდების თანახმად სავალუტო ფონდი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებასა და საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული დაწესებულებაა აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), რომელიც შეიქმნა 1945 წელს ასევე ბრეტონ-ვუდსში. წესდების თანახმად ეს საერთაშორისო ბანკი ფინანსურ დახმარებას უწევს ქვეყნებს ეკონომიკის აღდგენაში, გასცემს გარანტიებს გრძელვადიან სესხებზე და ახალისებს უცხოურ კაპიტალდაბანდებებს. 1956 წელს შიქმნა საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFG), რომელიც წარმოადგენს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ფილიალს და რომლის ფუნქცია არის კერძო კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება უპირატესად განვითრებად ქვეყნებში. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება ეგრეთვე რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და მიღებული სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებითა და ნორმატიული აქტებით, რომლებიც შექმნილია როგორც ევროპის, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ მიუხედავად ვაჭრობის მარეგულირებელი მთელი რიგი სამართლებრივი ნორმებისა და სარეკომენდაციო დოკუმენტების მიღებისა, ამ მნიშვნელოვანი სფეროს გააქტიურება არ გამოუწვევია, რის შედეგად წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის დონე საგრძნობლად დაბალია და ყოველწლიურად შეიმჩნევა მისი შემცირების ტენდენცია, რაც ძირითადად განპირობებულია ეკონომიკის დაბალი დონითა და საექსპორტო პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობით.

დსთ-ს ქვეყნების მიერ 1992 წელს ქ. მინსკში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქონლის მიწოდების ზოგადი წესების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სამეურნეო საქმიანობის სუბიექტები (საწარმოები ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და ასევე ფიზიკური პირები, რომელთაც ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვთ მეწარმის სტატუსი) და საქონლის მიწოდების პირობები. შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მყიდველსა და გამყიდველს შორის დაიდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელშიც უნდა მიეთითოს საქონლის ასორტიმენტი, რაოდენობა, ხარისხი, მოწოდების ვადები და პირობები, საქონლის ღირებულება და საგადასახადო რეკვიზიტები. შეთანხმებით დადგენილია, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემდეგი პირობები:

- არასტანდარტული, უხარისხო, ტექნიკურად გაუმართავი საქონლის მიწოდება;
- ერთ-ერთი მხარის ბანკროტად გამოცხადება;
- ბაზარზე ფასების მომატება, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

შეთანხმებით განსაზღვრულია ასევე ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების დარღვევისათვის დავების გადაწყვეტა საარბიტრაჟო სასამართლოში მომწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით.[2]

დსთ-ს სახელმწიფოების მიერ (მონაწილეა საქართველო) 1994 წლის 15 აპრილს მიღებული იქნა შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ[3] რომელშიდაც შეტანილი იქნა ცვლილებები 1999 წლის 2 აპრილის ოქმით. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ მე-3 მუხლის თანახმად ხელშემკვრელი მხარეები არ იყენებენ ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახდელებსა და მოსაკრებლებს, აგრეთვე რაოდენობრივ შეზღუდვებს იმ საქონლის შემოტანასა

---

[6] დ. კერესელიძე, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის გამოყენების სფერო და პირობები. ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, მეორე-მესამე კვარტალი, 1998, გვ. 99-107

[7] საქართველო აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 1994 წლის 24 იანვარს, ამ საკითხზე პარლამენტის დადგენილება ძალაში შევიდა 1995 წლის პირველი სექტემბრიდან.

და/ან გატანაზე, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიისათვის. მოცემული საბაჟო რეჟიმიდან გამონაკლისი ფორმდება დოკუმენტებით, რომლებიც წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

ამავე ხელშეკრულებაში 1999 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთვაჭრობისას არ ბეგრავენ ირიბი გადასახადებით (დღგ, აქციზები) საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას), რომლებიც ექსპორტირებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე. ამასთან ხელშეკრულებაში დაზუსტებულია, რომ დღგ-სა და აქციზისაგან გათავისუფლება უნდა განხორციელდეს ექსპორტიორ ქვეყანაში.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს მიერ 1991-1994 წლებში დსთ-ს სივრცის წევრ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, თურქმენეთი), ხელმოწერილი აქვს ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლის თანახმად ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონელი თუ ის განკუთვნილია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოსახმარებლად გათავისუფლებულია საბაჟო და მასთან გათანაბრებული გადასახადებისაგან. საყურადღებოა, რომ 2000 წლის 30 ნოემბერს დსთ-ს მთავრობების საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი, თანხმად თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით დადგენილი შეღავათები საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ექსპორტსა და იმპორტს აწარმოებენ მხოლოდ ხელშემკვრელი მხარეების რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირები.

გარდა აღნიშნულისა, 1995 წლის 5 ნოემბერს დსთ-ს წევრი ქვეყნების მიერ (საქართველო არის ერთ-ერთი მონაწილე) ხელმოწერილი იქნა შეთანხმება – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ, რომელიც ემყარება 1983 წლის 14 ივნისის ბრიუსელის კონვენციას საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებული სისტემის თაობაზე.[1]

სასაქონლო ნომენკლატურის შექმნა განაპირობა ვაჭრობის მასშტაბების გაფართოებამ და საქონლის სახეების მრავალფეროვნებამ, რამაც ობიექტურად მოითხოვა ყველა სახის საქონლის კლასიფიცირება და დაყოფა ისეთ ჯგუფებად და ასევე მათი გარკვეული წესით კოდირება, რომელიც გასაგები და მისაღები იქნებოდა ყველა ქვეყნისათვის.ჰარმონიზირებულ სისტემაში საქონელის კლასიფიკაციის 6 დონეა.[2]

1) განყოფილება (კარი);
2) ჯგუფები
3) ქვეჯგუფები
4) სასაქონლო პოზიციები
5) სუბპოზიციები
6) ქვესუბპოზიციები

საქონლის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მისი მახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა საქონლის სახეობა, წარმოშობა, დანიშნულება, ქიმიური შემადგენლობა. კლასიფიკაციის უმაღლეს დონეს წარმოადგენს განყოფილებები და ჯგუფები. შამოქალაქო ბრუნვაში არსებული ყველა საქონელი დაყოფილია 21 განყოფილებად და 97 ჯგუფად, რომელთა განსაზღვრისათვის გამოყენებულია მათი დამზადების პრინციპი, თუ რომელი ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატიდან არის წარმოებული მზა პროდუქცია, მისი დამუშავების ხარისხი, სქონლის დანიშნულება, იმ მასალის სახეობა, რომლისგანაც ის დამზადებულია და აგრეთვე საქონლის დანიშნულება მსოფლიო ვაჭრობაში. ამ ნიშნებით კლასიფიცირდება საქონელი აგრეთვე სასაქონლო პოზიციების, სუბპოზიციებისა და ქვესუბპოზიციების მიხედვით.

შაქონლის კლასიფიკაცია ხორციელდება კოდირების მეშვეობით, რომელიც საშუალებას იძლევა მსოფლიო ბრუნვაში არსებული ყველა საქონლის რაიმე ნიშნის ან ნიშანთა ჯგუფის გათვალისწინებით დაყოფას. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში გამოყენებულია ციფრული აღნიშვნები, ამასთან განყოფილებები აღინიშნება რომაული ციფრებით, სხვა დონეები (ჯგუფები, ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები) კი არაბული ციფრებით.

ჰარმონიზირებული სისტემის სასაქონლო ნომენკლატურაში თითოეულ საქონელს მინიჭებული აქვს ცხრანიშნა ციფრული კოდი. აქედან პირველი ორი ციფრი მიუთითებს და აღნიშნავს სასაქონლო ჯგუფს, ოთხი ციფრი საქონლის ქვეჯგუფს, ექვსი ციფრი სასაქონლო პოზიციას, მე-7 და

მე-8 ციფრი მიუთითებს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კომბინირებულინომენკლატურის სასაქონლო კოდს, ხოლო მე-9 ციფრი განკუთვნილი ეროვნული კოდისათვის.[3]

ზემოთ მოყვანილისაერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნებს ეკრძალება შეცვალონ საქონლის კოდები პირველი ექვსი ციფრის ფარგლებში, ვინაიდან ის ერთგვაროვნად უნდა გამოიყენებოდეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რომელიც მონაწილეობას იღებს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურა კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

ლასიფიკაციის დონე	კოდი აღინიშნება	რაოდენობა
განყოფილება (კარი)	არაბული ციფრით	21
ჯგუფები	2 ციფრი	97
ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები	4	1241
სუბპოზიციები	6	5019
ქვესუბპოზიციები	9	9506

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენებას საერთაშორისო ვაჭრობაში აქვს დიდი სამართლებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა. სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ნიბისმიერ საქონელს მიენიჭება საკუთარი კოდური ნომერი ჰარმონიზირებული ნომენკლატყრის მიხედვით, რომელზედაც დამოკიდებულია საბაჟო გადასახადებისაგან სრული განთავისუფლებაც. ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის სწორი გამოყენება პირდაპირ კავშირშია ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ არასატარიფო ისეთ ღონისძიებებთან, როგორიცაა კვოტირება, ლიცენზირება ან საერთოდ კონკრეტულისაქონლის ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა.

ამავე დროს სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება ხელს უწყობს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკის ანალიზის წარმოებას და მის საფუძველზე საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებას.

---

[1] საქართველო მიუერთდა 1999 წლის პარლამენტის დადგენილებით, ძალაშია ამავე წლის 2 ივნისიდან.

[2] დსთ-ს წევრი ქვეყნების მიერ ასევე შექმნილია ეკონომიკური სასამართლო, რომელიც დღეისათვის ფაქტიურად არ ფუნქციონირებს.

[3] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 6 დეკემბრის № 1832 დადგენილებით. ხელმოწერილია ასევე დსთ-ს თორმეტივე წევრი ქვეყნის მიერ და დღეისათვის ყველა ქვეყანაში ძალაშია.

[1] ეს საერთაშორისო კონვენცია ძალაში შევიდა 1988 წლიდან;

[2] თ. ძეგლიგაშვილი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა და საბაჟო გადასახდელები. 2003., გვ. 3-15.

საკონტროლო კითხვები:

1. საგარეო ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა.

2. საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ზოგადი მიმოხილვა.

5.3. გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT -47), მისი როლი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ დარეგულირებაში

მსოფლიო ქვეყნები უძველესი დროიდან ცდილობდნენ დაემყარებინათ ერთმანეთთან ურტიერთხელსაყრელი და მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობები, რაც თავისთავად ხელს უეყობდა არამარტო მოსეხლეობის სოციალურ-ყოფითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, არამედ სახელმწიფოებების პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა.

ბოლო საუკუნეებში სახელმწიფოთაშორის განვითარებულმა საქონლით ვაჭრობის მასშტაბებმა მოითხოვა მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და გაზრდილი ურთიერთობების გათვალისწინებით შემდგომი ადეკვატური სრულყოფა. თავდაპირველად სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო ურთიერთობები ძირითადად მოწესრიგებული იყო ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებითაც განისაზღვრებოდა ვაჭრობაში მხარეთა ვალდებულებები და იხსნებოდა არსებული შეზღუდვები და ბარიერები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო სამართალი წარმოადგენს, როგორც ეროვნული ანუ კოლიზიური ნორმების, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, ვინაიდან საგარეო ვაჭრობასთან წარმოშობილი ურთიერთობები რეგულირდება, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო უნიფიცირებული მატერიალური ნორმებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული ანუ კოლიზიური სამართლებრივი ნორმები ხშირ შემთხვევაში შეიცავენ ურთიერთგამომრიცხავ წესებს, რაც საგრძნობლად ართულებს სახელმწიფოთაშორის სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებას და უარყოფითად მოქმედებს ამ სფეროს განვითარებაზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოებიდა საერთაშორისო ორგანიზაციები მთელი ძალისხმევითა და რუდუნებით ცდილობენ შიემუშავონ საერთაშორისო ვაჭრობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და განახორციელონ მათი მოთხოვნების განუხრელი შესრულება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI-ე სესიაზე 1996 წელს მიღებული იქნა № 2205 გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო ვაჭრობაში იწვევს ვაჭრობის განვითარების შეფერხებას.

მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელ უნივერსალურ კოდიფიცირებულ პირველ დოკუმეტს წარმოადგენს 1947 წელს ჟენევაში ხელმოწერილიშეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (GATT – 47 General Agreement of Tariffs and Trade), რომელმაც თავისი მოქმედები პერიოდში 1947-1994 წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა მოწესრიგებაში, კერძოდ ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და სავაჭრო პოლიტიკის ყველა სახელმწიფოსათვის მისაღებად წარმართვაში.[1]

მითითებული შეთანხმების მიღებას წინ უსწრებდა გასული საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო წამყვანი ქვეყნების მცდელობა შექმნილიყო მსოფლიო სავაჭრო სისტემა, რისთვისაც საჭიროდ თვლიდნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ITO) ჩამოყალიბებას, რომლის შექმნით სახელმწიფოებს სურდათ ხელი შეეწყოთ მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის, მოეხსნათ ან შეერბილებინათ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები და შეეცვალათ ვაჭრობაში არსებული პროტექციონისტური ზომები.[2]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტმა შეიმუშავა და წარმოადგინა წინადადებები „მსოფლიო ვაჭრობისა და დასაქმების გაფართოებისათვის". 1946 წლის თებერვლის თვეში გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა კონფერენცია ვაჭრობისა და დასაქმების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მიზნით, რომელიც დაიწყო 1948 წლის ნოემბერში და დასრულდა 1948 წლის მარტში. ამ კონფერენციაზე 54 სახელმწიფოს ხელმოწერით მიღებული იქნა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ჰავანის ქარტია, რომლის რატიფიცირება ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზების გამო არ განხორციელდა და ის ფაქტიურად არ ამოქმედებულა.

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა მსოფლიო ქვეყნების ინტენსიური მოლაპარაკებები, რომ სამართლებრივად მოეწესრიგებინათ საერთაშორისო ვაჭრობაში კოლიზიური ნორმებით შემოღებული სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები, გაეუქმებინათ ისინი ან შეემცირებინათ სპეციალური უნივერსალური საერთაშორისო შეთანხმებით. სწორედ ასეთი მცდელობის შედეგს წარმოადგენს ზემოთ მითითებული მრავალმხრივი საერთაშორისო გენერალური შეთანხმება

[4]ვაჭრობასა და ტარიფებზე (GATT -47), რომელსაც ხელი მოაწერა თავდაპირველად 23 სახელმწიფომ[3] 1947 წელს 30 ოქტომბერს ჟენევაში და რომელიც ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე მიიღეს, როგორც დროებითი გამოყენების სამართლებრივი ნორმა, რომლის შემდგომ უნდა ჩამოყალიბებულიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ეს შეთანხმება გახდებოდა მისი შემადგენელი სტრუქტურული ნაწილი. მიუხედავად ამისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის იდეა გაჭიანურდა 1994 წლამდე. ამ შედარებით ხანგრძლივ პერიოდში გენერალურმა შეთანხმებამ ვაჭრობასა და ტარიფებზე (GATT -47) დიდი პოზიტიური როლი შეასრულა მსოფლიო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოებასა და მის ერთგვაროვან წარმართვაში.

ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (GATT -47) მიღება მიზნად ისახავდა ქვეყნების ეკონომიკური დაპირისპირებების შერბილებას, საბაჟო და არასაბაჟო ღონისძიებების გაუქმებას ან ლიბერალიზაციას, გლობალური საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ფორმირებას ურთიერთშეთანხმებული და ყველასათვის მისაღები სამართლიანი წესების საფუძველზე.

ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების საქმიანობის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა:

- საგარეო ვაჭრობის ყველა მონაწილის თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დამკვიდრება;
- წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა არ დააწესონ ურთიერთმისაწოდებელ საქონელზე იმაზე დიდი საბაჟო ტარიფი, რომელიც დადგენილია მესამე ქვეყნის მიმართ. გამონაკლისი დაშვებულია განვითარებადი ქვეყნების მიმართ.
- საგარეო ვაჭრობის რეგულირების მიზნით აღიარებულია ლიბერალური საბაჟო ტარიფის დაწესება. არასაბაჟო ღონისძიებები უნდა ატარებდეს დროებით ხასიათს. ამასთან რეკომენდირებულია არაა ისეთი არასაბაჟო ღონისძიებების შემოღება, როგორიცაა კვოტირება, საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების გამოყენება და სხვა.

ამავე დროს ამ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეთანხმება ითვალისწინებს გამონაკლისის დაშვებას, რომელიც კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული შეთანხმების ტექსტში და ის ეხება რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. მიზანშეუწონლად არის ასევე მიჩნეული ადგილობრივი წარმოებისათვის პროტექციონიზმის გაწევა სახელმწიფოს მხრიდან, მათთვის საგადასახადო და სხვა შეღავათების მინიჭება, როდესაც ისინი იწვევენ სხვა მონაწილე ქვეყნის დისკრიმინაციას.

შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანა ვალდებულია არ განახორციელოს თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა ცალმხრივი მოქმედებების განხორციელებით. ყველა გადაწყვეტილების მიღება რეკომენდირებულია სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებით გამართულ ურთიერთმოლაპარაკების დროს.

ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მთავარი მიზანი მოცემულია პრეამბულაში, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობა ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მისი სტაბილურობა და განვითარება, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს სახელმწიფოების მიერ საბაჟო ტარიფების შემცირებით. შეთანხმებით ძირითად საქმიანობად განსაზღვრულია მრავალმხრივი მოლაპარაკება - რაუნდების ჩატარება საგარეო ვაჭრობის საკითხებზე. თავისი არსებობის მანძილზე სულ ჩატარებულია 8 მნიშვნელოვანი შეხვედრა - რაუნდი.:

- ჟენევის 1947 წლის მოლაპარაკება-რაუნდი საბაჟო ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით;
- ანესის (საფრანგეთის) 1949 წლის მოლაპარაკება - რაუნდი იგივე თემაზე;
- ჟენევის 1950 წლის მოლაპარაკება – რაუნდი იგივე საკითხებზე;
- ჟენევის 1956 წლის მოლაპარაკება – რაუნდი იგივე საკითხებზე;

[1]საბაჟო კანონმდებლობის კრებული, თბილისი 2002, წიგნი II, გვ. 143-157

[2]ა. ტუშური, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის – ისტორიის, სტრუქტურისა და გაწევრიანების პროცედურების მიმოხილვა. ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, მეორე-მესამე კვარტალი, 1998, გვ. 33-47.

[3]შემდეგ ხელშემკვრელთა რიცხვმა შეადგინა 128 სახელმწიფო.

- ჟენევის 1960-1961 წლის მოლაპარაკება – რაუნდი (დალონის რაუნდად წოდებული) იგივე საკითხებზე;
- ჟენევის 1964-1967 წლის მოლაპარაკება – რაუნდი (კენედი რაუნდად წოდებული) საბაჟო ტარიფის შემცირებასა და ანტიდემპინგური კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- ტოკიოს (მუშაობა მიმდინარეობდა ჟენევაში) 1973-1979 წლის მოლაპარაკება – რაუნდი (ტოკიოს რაუნდად წოდებული) ტარიფების შემცირებისა და კოდექსის შემუშავება GATT - ის კომპეტენციის გაფართოებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით არასატარიფო ღონისძიებების გამოყენების საკითხებზე.
- ჰუნტა-დელ-ესტეს 1983-1984 წლის მოლაპარაკება-რაუნდი (მუშაობა მიმდინარეობდა ჟენევაში, წოდებული როგორც ურუგვაის რაუნდი) ვაჭრობაში საბაჟო ბარიერების შესუსტებასთან დაკავშირებით, GATT - ის მექანიზმების სრულყოფასთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შეთანხმების საკითხებზე და მომსახურეობის ვაჭრობასთან დაკავშირებით გენერალური შეთანხმების მომზადების თაობაზე.

როგორც ამ მოლაპარაკება-რაუნდების შეხვედრებზე განხილული საკითხებიდან ჩანს, GATT -ის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საბაჟო ტარიფების შემცირება. ამ შეთანხმების მიღების პერიოდში 1945-1947 წლებში განვითარებული ქვეყნების ტარიფი შეადგენდა სავაჭრო საქონლის ღირებულების 40-60%-ს. ცალკეული სახეობის საქონელზე (ქიმიური მრეწველობის და სხვა) აღწევდა 70-90%-ს, მუდმივი მუშაობის შედეგად კი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ამ ქვეყნებში საბაჟო ტარიფი შეადგენდა 3-5%-ს.

ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალურ შეთანხმების GATT-ის ტექსტი შემდგება 4 შემადგენელი ნაწილისაგან და მოიცავს 38 მუხლს.

GATT -ის პირველი ნაწილი აღგენს საქონლით ვაჭრობისას უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის რეჟიმის განხორციელების დროს. განსაზღვრავს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საერთაშორისო საფინანსო ანგარიშსწორების საკითხებს. დადგენილია, რომ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების შეღავათები რომელიმე საქონლის მიმართ უპირობოდ უნდა მიენიჭოს GATT -ის ყველა წევრ ქვეყანას.

გენერალური შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებისმიერი მონაწილე მხარე უფლებამოსილია იმპორტირებულ საქონელზე დააწესოს:

- შიდა ბაჟის ექვივალენტური მოსაკრებელი, რომელიც დაწესებულია ადგილობრივი წარმოების მსგავს საქონელზე;
- ნებისმიერი ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადი, რომელიც დაწესებულია ადგილობრივ და სხვა მესამე ქვეყანაში წარმოებულ მსგავს საქონელზე;
- შენატანები და სხვა მოსაკრებლები, რომლებიც ტოლია გაწეული მომსახურებისა.

გენერალური შეთანხმების მეორე ნაწილი ეხება საბაჟო-სატარიფო პოლიტიკას, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს საბაჟო ტარიფის გამოყენების დროს; საბაჟო სატარიფო ურთიერთდათმობისა და ძირითადი მომწოდებლის განსაზღვრის პრინციპებს.

ამ ნაწილის მე-3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი შიდა გადასახდები და სხვა შიდა მოსაკრებლები არ უნდა იყოს ორიენტირებული შიდა ნაწარმის საქონლის დასაცავად იმპორტირებულ საქონელთან მიმართებით. შეთანხმების რომელიმე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი და ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან იმპორტირებული საქონელი შიდა გადასახადებითა და მოსაკრებლებით არ უნდა იბეგრებოდეს იმაზე მეტად, ვიდრე ადგილობრივი წარმოშობის მსგავსი საქონელი.

ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილ საქონელს, რომელიც იმპორტირებულია, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე უნდა მიენიჭოს არანაკლებ ხელშემწყობი რეჟიმი, რომელიც ენიჭება ადგილობრივი წარმოშობის მსგავს საქონელს ქვეყნის შიდა კანონმდებლობით.

GATT -ით დადგენილია საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით თავისუფალი ტრანზიტული მოძრაობის რეჟიმი. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ტრანზიტული მოძრაობა უნდა განხორციელდეს ყველაზე მოსახერხებელი გზით. ამასთან მხარეს შეუძლია მოითხოვოს ტრანზიტული საქონლის გადაადგილება კონკრეტული სასაზღვრო საბაჟო პუნქტის გავლით და მისი ტერიტორიაზე გადაადგილებისათვის დააწესოს კონკრეტული მარშრუტი. ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის ტერიტორიაზე ტრანზიტული რეჟიმის მოძრავი სატრანსპორტო საშუალება და საქონელი უნდა გათავისუფლდეს ყველა სახის საბაჟო-სატარიფო გადასახადისა, გარდა სატრანსპორტო და სხვა მიზანშეწონილი მოსაკრებელისა, რომელიც დაკავშირებულია

სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებასთან, ამასთან სატრანზიტო მოძრაობას უნდა მიენიჭოს არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ის აქვს მინიჭებული ნებისმიერი მესამე ქვეყნის სატრანზიტო მოძრაობას. ეს მოთხოვნები არ ეხება თვითმფრინავების სატრანზიტო მოძრაობას, საქონლის საჰაერო სატრანზიტო გადაზიდვებს, გარდა ბარგის გადაზიდვისა.

GATT -ის მე-6 მუხლით დადგენილია ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადის გამოყენების უსამართლობა. ემპინგის გამოყენება, რომლის დორსაც საქონელი ერთი ქვეყნიდან მეორეში გასაყიდად შედის საქონლის ჩვეულებრივ ღირებულებაზე უფრო დაბალი ფასით ჩაითვლება უსამართლოდ თუ ის მატერიალურ ზიანს აყენებს შეთანხმების მონაწილე მხარის მრეწველობას ან ქმნის ასეთი ზარალის გამოწვევის საფრთხეს ან/და არსებითად აფერხებს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების ნებისმიერი მონაწილე მხარის მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიიდან იმპორტირებულ ნებისმიერი საქონელზე დაწესებული საკომპენსაციო გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს გამოთვლილი დოტაციის ან სუბსიდიის ოდენობას, რომელიც როგორც დადგინდა პირდაპირ ან ირიბად მინიჭებული იყო ასეთი საქონლის წარმოების, დამზადების ექსპორტის ქვეყანაში, ცალკეული საქონლის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი სპეციალური სუბსიდიის ჩათვლით. ამასთან საკომპენსაციო გადასახადი გულისხმობს სპციალურ გადასახადს, რომელიც დაწესებულია პირდაპირ ან ირიბად რომელიმე საქონლის წარმოების, დამზადების ან ექსპორტისათვის მინიჭებული ნებისმიერი დოტაციის ან სუბსიდიის კომპენსაციისათვის.

რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებული ნებისმიერი საქონელი არ უნდა დაიბეგროს ანტიდემპინგური ან საკომპენსაციო გადასახადით იმ მიზნით, რომ ეს საქონელი გათავისუფლდეს ანალოგიურ საქონელზე დაწესებული საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლისაგან, როდესაც ის განკუთვნილია წარმოშობის ან ექსპორტის ქვეყანაში მოხმარებისათვის, ან/და ასეთი გადახდილი საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლის უკან დაბრუნების მიზნით.

GATT -ის მე-7 მუხლით დაწესებულია საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის. ს მუხლი 1994 წელს შეტანილი ცვლილებებით პრაქტიკაში ცნობილია, როგორც საბაჟო ღირებულების კოდექსი. შაქონლის საბაჟო ღირებულებად მიჩნეულია საქონლის ფასი, რომელიც წაროადგენს განსაზღვრულ დროსა და ადგილას საერთო კონკურენტული და ჩვეულებრივი პირობების დროს გასაყიდად შეთავაზებულ ღირებულებას. საბაჟო მიზნებისათვის განსაზღვრული იმპორტირებული საქონლის ფაქტობრივი ღირებულება უნდა ეფუძნებოდეს იმპორტირებული ან მსგავსი საქონლის ფაქტობრივ ღირებულებას, რომელიც არის გადასახადების დაბეგვრის ობიექტი და რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საბაჟო გადასახადის მოცულობა და არ უნდა დადგინდეს ადგილობრივი წარმოშობის საქონლის ღირებულების ანდა თვითნებური ან ფაქტობრივი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე შეთანხმების თანხმად საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უპირველეს საფუძველს წარმოადგენს „გარიგების ღირებულება", რომელიც ითვალისწინებს ნამდვილად გადახდილი ან გადასახდელი ფასის კორექტირებას იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს ეკისრება გარკვეული სპეციფიური ელემენტის გადახდა, რომელიც საბაჟო მიზნებისათვის შეადგენს ღირებულების ნაწილს, მაგრამ არ არის შეტანილი იმპორტირებული საქონლისათვის ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის გარიგების (საკონტრაქტო) ღირებულების დადგენა გამოიყენება საბაჟო ღირებულების დადგენის სხვა მეთოდები. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი ექვსი მეთოდი:[9]

- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების (საკონტრაქტო) ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის მიხედვით.
- GATT -ის მე-9 მუხლი ადგენს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახდელების დარიცხვის დროს, ვინაიდან სახელმწიფოთაშორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონელი თუ ის გათვალისწინებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის

ტერიტორიაზე მოსახმარებლად გათავისუფლებულია საბაჟო სატარიფო გადასახადებისაგან და არასატარიფო ღონისძიებების გატარებისაგან.[10] [5]

შეთანხმების მესამე ნაწილი ეხება საბაჟო ტარიფის დაწესებასა დამ ის დათმობას, საბაჟო ტარიფის შექმნას, თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბებას და სხვა პროცედურულ საკითხებს. შეთანხმების თანახმად ხელშემკვრელი მხარეები სასურველად მიიჩნევენ თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასა და გაფართოებას, ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით, რომლის მიზანია შეთანხმების მონაწილე მხარეების ეკონომიკის მჭიდრო გაერთიანება და ამასთან საბაჟო კავშირის ან თავისუფალი სავაჭრო ზონის მიზანია მათ შემადგენელ ტერიტორიებს შორის ვაჭრობის გაადვილება ისე, რომ არ შეიქმნას სავაჭრო ბარიერები სხვა მონაწილე მხარეებსა და ასეთ ტერიტორიებს შორის. სავაჭრო ზონად მიჩნეულია ორი ან მეტი საბაჟო ტერიტორიის ჯგუფი, რომლებშიც გადასახადები და ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა წესები არსებითად გაუქმებულია ამ ტერიტორიებს შორის იმ საქონლით ვაჭრობის სრული მოცულობის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ამ ტერიტორიაზე.

GATT -ის მეოთხე ნაწილი ეხება ვაჭრობის განვითარებას, რომელიც შეტანილ იქნა ვაჭრობისა და ტარიფის შესახებ გენერალურ შეთანხმებაში 1966 წელს. ამ დამატების საფუძველზე გათვალისწინებული იქნა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის წახალისება სავალუტო შემოსავლების გაზრდისა და ნედლეულზე ფასების გაზრდის მიზნით. კონომიკურად განვითარებული ქვეყნები ვალდებულია განვითარებად ქვეყნებზე გაავრცელონ ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმებით შექმნილია ამ სფეროს მაკორდინირებელი ოთხი დონის ხელმძღვანელი ორგანო:[11]

- მუდმივი ორგანოები;
- სახელმწიფოთაშორისი ორგანოები;
- მუშა ჯგუფები;
- სპეციალური ორგანოები, ექსპერტთა ჯგუფები.

ამ ორგანოების ამოცანას წარმოადგენს არსებული დავების შესწავლა და კომპრომისული გზების მოძებნა.

პირველ ჯგუფში მუდმივ ორგანოებში შედის GATT -ის სამდივნო გენერალუირი დირექტორის ხელმძღვანელობით, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. სამდივნოში შედის არასატარიფო ღონისძიებების განვითარების, ვაჭრობის პოლიტიკის, ტექნიკური თანამშრომლობისა და სპეციალური პროგრამების, ეკონომიკური კვლევებისა და ანალიზის, სოფლის მეურნეობის, საბაჟო შეზღუდვების, ვაჭრობაში ტექნიკური და სხვა ბარიერების განყოფილებები.

მეორე სახელმწიფოთაშორისო ჯგუფს მიეკუთვნება GATT-ის უმაღლესი ორგანო. ხელშემკვრელი ქვეყნების სესია, რომელიც წყვეტს ვაჭრობის და ტარიფის მნიშვნელოვან საკითხებს. სესია იკრიბება ყოველწლიურად. სახელმწიფოთაშორისო ორგანოებს მიეკუთვნება კომიტეტები:

- ვაჭრობისა და განვითარების;
- სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობის;
- ტექსტილის;
- რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სხვა არასატარიფო ღონისძიებების;
- სატარიფო დათმობის;
- საანგარიშგებო ბალანსის შეზღუდვის;
- საბიუჯეტო, საფინანსო და ადმინისტარციული საკითხების;
- ტოკიოს 1973-1979 წლების მოლაპარაკება-რაუნდების მიერ ჩამოყალიბდა მთელი რიგი კომიტეტები, რომელთა მოვალეობაში შევიდა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მეთვალყურეობის დაწესება. ეს კომიტეტებია:
- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ;
- სუბსიდიებისა და საკომპენსაციო გადასახადების;
- ანტიდემპინგური პრაქტიკის;
- საბაჟო ღირებულების დადგენის;
- სახელმწიფო შესყიდვების;
- საიმპორტო ლიცენზირების;
- სამოქალაქო ავიაციის ტექნიკის ვაჭრობის.

---

[9] გ. ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბილისი, 2001, გვ. 88-111.

[10] წარმოშობის ქვეყნის წესები უფრო ვრცლად იქნება განხილული მომდევნო პარაგრაფში.

[11] К. Борисов, Международное таможенное право, Москва, 2001, стр. 251-254.

მესამე მუშა ჯგუფში გაერთიანებულია მუდმივმოქმედი ორგანოები, რომლებიც ამზადებენ მონაწილე ქვეყნების ერთობლივად განსახილველ საკითხებს.
მეოთხე ჯგუფში გაერთიანებულია დამოუკიდებელი სპეციალისტები, რომლებიც იურიდიულად არ არიან GATT-ის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები.
ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს უპირატესი ხელშეწყობისა და ნაციონალური რეჟიმი. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი გულისხმობს, რომ ნებისმიერი შეღავათებიდა იმუნიტეტი, რომელიც ენიჭება ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი ქვეყანას ის უნდა გავრცელდეს სრულად სხვა მონაწილე ქვეყანაზეც. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ეს შეღავათები ქვეყნებს შორის დაწესებული იყო GATT-ის ძალაში შესვლამდე;
- ემსახურება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს;
- რამოდენიმე მონაწილე ქვეყნებმა ორმხრივი ხელშეკრულებით შექმნეს საბაჟო კავშირები ან თავისუფალი სავაჭრო ზონები. ასეტ შემთხვევებში GATT ამ ტერიტორიებს მიიჩნევს, როგორც ერთ ტერიტორიად.

გარდა აღნიშნულისა GATT -ის მთავარი პრინციპია ნაციონალური ეკონომიკის დაცვა საბაჟო ტარიფების გამოყენებით და არა რომელიმე სავაჭრო პოლიტიკის გატარებით. ღოგორც წესი, აკრძალულია იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესება. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ქვეყანა დააწესებს რომელიმე საქონლის იმპორტზე რაოდენობრივ შეზღუდვას, მაშინ ამას არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი, ანუ ის უნდა გავრცელდეს ყველა სხვა GATT -ის წევრ ქვეყნებზე. ამასთან, გენერალური შეთ ნხმების წევრი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას საერთაშორისო ვაჭრობაში არ მიმართონ პოლიტიკურ ზომებს და ყველა წამოჭრილი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკებებისა და ერთმანეთთან კონსულტაციების გზით.

როგორც აღვნიშნეთ, GATT -ის მოქმედების დროს ჩატარდა 8 ძირითადი მოლაპარაკება-რაუნდი, რომლის დროსაც წევრი ქვეყნების მიერ მიღებული იქნა საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. თოკიოს მოლაპარაკება-რაუნდი მიმდინარეობდა ექვსი წლის განმავლობაში, მასში მონაწილეობა აქვს მიღებული 99 სახელმწიფოს, რომელთაგან 26 არ იყო GATT-ის წევრი. ეს შეხვედრები პრაქტიკულად იყო ღია და მასში მონაწილეობა შეეძლო მიეღო ნებისმიერ მსურველ სახელმწიფოს.

ამ შეხვედრებზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ GATT -ი გასცდა ტარიფის მარეგულირებელ ფუნქციას და შემუშავებული იქნა საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის პრინციპები და ნორმები. ამ გადაწყვეტილებით წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება GATT -თან შესაბამისობაში მოიყვანონ ვაჭრობის სფეროს მომწესრიგებელი ნაციონალური ანუ კოლიზიური ნორმები, ფაქტიურად კი მიღებული შეთანხმებები ვრცელდებოდა ხელშემკვრელი ქვეყნების ტერიტორიაზე და ის ნაციონალური კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ტოკიოს მოლაპარაკება-რაუნდების დროს მიღებული იქნა 12 შეთანხმება საბაჟო ტარიფის შემცირებასთან და სხვა საქონლით (ხორცისა და რძის პროდუქტების, სამოქალაქო ავიაციის ტექნიკის) ვაჭრობასთან დაკავშირებით. მიღებულ შეთანხმებას ეწოდა კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა შემდეგ საკითხებზე:

- საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კოდექსი;
- ანტიდემპინგური კოდექსი;
- სუბსიდიებისა და საკომპენსაციო გადასახადის კოდექსი;
- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების – სტანდარტის კოდექსი;
- სახელმწიფო შესყიდვების კოდექსი.

ტოკიოს მალპარაკება-რაუნდებზე მიღებული იქნა ასევე შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების პროცედურების თაობაზე და სამოქალაქო ავიაციის ტექნიკით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

GATT-ის ახალი შეთანხმებების მიღებაში მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი ურუგვაის მოლაპარაკება-რაუნდზე, რომელიც მიმდინარეობდა 11 წელი (1983-1994 წლები) და მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 108 სახელმწიფომ. მ რაუნდზე მიღებულმა შეთანხმებებმა დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბების განვითარებაში, მის ლიბერალიზაციასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაში.

მ დიდი მნიშვნელობის შეთანხმებებს მიეკუთვნება ასევე შეთანხმება საბაჟო ბარიერების შესახებ, ტექსტილის საქონლისა და ტანსაცმლის, სასოფლო-სამეურნეოსაქონლით ვაჭრობის, საერთაშორისო ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და გადაბიდვის წინა ინსპექტირების შესახებ. მიღებული იქნა აგრეთვე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე.

საკონტროლო კითხვები:

1. GATT-47-ის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში.
2. საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.
3. GATT -47-ის ხელმძღვანელი ორგანოები და კომიტეტები, მათი ფუნქციები.

5.4. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ფუნქციები და ამოცანები საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასა და სამართლებრივ უზრუნველყოფაში

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მსოფლიოს ეკონომიკურად წამყვანი ქვეყნები ცდილობდნენ შეექმნათ სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის მარეგულირებელი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების საბოლოო შეთანხმება მოხდა GATT - ის ურუგვაის მერვე რაუნდზე, სადაც ხელი მოეწერა ახალ მოდიფიცირებულ გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომელიც მოიხსენიება, როგორც GATT -1994 ფაქტიურად GATT გადაიზარდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მისი ხელშემკვრელი მხარეები გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა 1994 წლის 8 დეკემბრის მარაკეშის დეკლარაციით, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგა 1995 წლის 1 იანვრიდან და ითვლება GATT -ის სამართალმემკვიდრედ. მისი ძირითადი მიზანია მსოფლიოში ღია, სამართლიან კონკურენციაზე დაყრდმობით, ლიბერალიზაციისა და გლობალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში კოოპერაციის გაზრდის გზით, მსოფლიო ეკონომიკის პროგნოზირებადი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რისთვისაც ის გედამხედველობას უწევს მისი წევრების ეროვნულ და საგარეო სავაჭრო პოლიტიკას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმების მე-34 მუხლით განსაზღვრულია მისი ძირითადი პრინციპები, რომელსაც მიეკუთვნება:

- ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ყველა წევრისათვის;
- ეროვნული რეჟიმი იმპორტისათვის;
- კეთილსინდიდერი, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა ვაჭრობაში ბარიერების შემცირების გზით;
- შეღავათების გავრცელება ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- საერთაშორისო ვაჭრობაში მოქმედი ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია და გამჭვირვალობა;
- საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამართლიანი გადაჭრა მის წევრებს შორის;

ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MEN), ანუ სხვაგვარად ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე ითვალისწინებს, რომ წევრ ქვეყნებში წარმოშობილ (დამზადებულ) პროდუქციას უნდა მიენიჭოს იგივე რეჟიმი, რაც მინიჭებული აქვს მესამე ქვეყანაშიწარმოშობილ პროდუქციას. ამასთან ერთად შემოტანილ საქონელს უნდა მიენიჭოს იგივე რეჟიმი, რაც გათვალისწინებულია ადგილობრივი წარმოშობის საქონლისათვის (ეროვნული რეჟიმი). ასეთივე დებულებები ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობაზე და მომსახურეობის გაწევაზე. ამავე დროს დაშვებულია გამონაკლისები, როდესაც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელება შერბილებულია ან არ ვრცელდება საერთოდ. სახელდობრ, სახელმწიფო შესყიდვებზე, განვითრებადი ეკონომიკის ქვეყნებზე დაწესებულ შეღავათებზე, თავისუფალი ვაჭრობის ზონებზე და ა. შ. რეკომენდირებულია აგრეთვე რომ ადგილობრივი წარმოების დაცვა ანუ სხვაგვარად მათთვის სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტური ღონისძიებების გაწევა დასაშვებია, მხოლოდ სატარიფო ზომების გამოყენებით, გადასახდების შემცირებით, გარკვეულ ზღვრამდე და არა სხვა არასატარიფო ბარიერების გამოყენებით.

გარდა აღნიშნულისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნის თანახმად წევრმა ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ ვაჭრობის განვითარებას, რისთვისაც უნდა შექმნან ხელსაყრელი გარემო, როგორც ინვესტორისათვის, ასევე დამქირავებლისა და დაქირავებულისათვის. ეს გარემოებრივი პირობები უნდა იყოს სტაბილური და პროგნოზირებადი, ხელს უნდა უწყობდეს ბაზარზე სტაბილური და შედარებით დაბალი ფასების გამყარებას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნი უფლებამოსილნი არიან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოფხვრის მიზნით დააწესონ საკომპენსაციო გადასახადები, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას.

GATT -ის დებულების შენარჩუნებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია განვითარებადი ქვეყნების მხარდასაჭერად, კერძოდ კი მათი ეკონომიკის რეფორმისა და განვითარების მიზნით ანიჭებს გარკვეულ შეღავათებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ვაჭრობაში ლიბერალური პოლიტიკის გატარება და წევრ სახელმწიფოთა მხრიდან თავიანთ საწარმოებზე გაწეული პროტექციონიზმის შემცირება და მომავალში მისი სრულად აღმოფხვრა. მ სფეროში

ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები გამოიხატება შემდეგში:

1. ლიბერალიზმი:
   - ხელშემწყობი ფაქტორი ჯანსაღი კონკურენციისათვის;
   - დადებითად მოქმედებს საქონლის ხარისხზე და ფასზე;
   - ხელსაყრელ პირობებს უქმნის საქონელს საგარეო ბაზარზე;
   - ზრდის უცხოური ინვესტიციების რაოდენობას;
   - ხელს უწყობს კვლავწარმოების გაშლილი ფორმის განვითარებას;
   - ხელს უწყობს რესურსების რაციონალურ გამოყენებას;
2. პროტექციონიზმი:
   - ზღუდავს ჯანსაღ კონკურენციას;
   - უარყოფითად მოქმედებს საქონლის ხარისხზე;
   - აწყდება საპასუხო შემზღუდავ ზომებს საგარეო ბაზარზე;
   - ზღუდავს უცხოურ ინვესტიციებს;
   - ხელს უწყობს რესურსების არარაციონალურ გამოყენებას;
   - ამცირებს მომხმარებლის მსყიდველობით უნარს, იწვევს საქონლეზე ფასის ზრდას;
   - ხელს უწყობს კვლავწარმოების მარტივი ფორმის შენარჩუნებას, თრგუნავს კვლავწარმოების გაშლილი ფორმის განვითარებას.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოწოდებულია წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოს მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც მიოცავს შემდეგ სფეროებს:

- საქონლით ვაჭრობას GATT ;
- მომსახურებით ვაჭრობა GATS ;
- ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობას TRIPS ;
- დავების გადაწყვეტის წესებისა და პროცედურებს;

მსოფლიო მასშტაბით ვაჭრობის მარეგულირებელი ძირითადი შეთანხმებებია:

- ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმება (GATT -94);
- შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ;
- შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ;
- შეთანხმება საფეიქრო ნაწარმისა და ტანსაცმლის შესახებ;
- შეთახმება ვაჭრობაშიტექნიკური ბარიერების შესახებ;
- შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომების შესახებ;
- გენერალური შეთანხმების მე-6 მუხლის განხორციელების შესახებ;
- შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ (საბაჟო ღირებულების (ანტიდემპინგური) კოდექსი);
- შეთანხმება ჩატვირთვისწინა ინსპექტირების შესახებ;
- შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესის შესახებ;
- შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების წესების შესახებ;
- შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ;
- გენერალური შეთანხმება მომსახურეობით ვაჭრობაზე (GATS);
- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS);
- შეთანხმება დავების დარეგულირების წესების და პროცედურების შესახებ;
- სავაჭრო პოლიოტიკის განზოგადების (გადასინჯვის) მექანიზმი;
- შეთანხმება ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ;
- შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- საერთაშორისო შეთანხმება რძის პროდუქტების შესახებ;
- საერთაშორისო შეთანხმება საქონლის ხორცზე.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ვაჭრობა რეგულირდება ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოს წევრი ქვეყნების მინისტრთა გადაწყვეტილებებითა და დეკლარაციები. ვაჭრობის მარეგულირებელი ამ მრავალი შეთანხმების ცხოვრებაში გატარების, მათ შესრულებაზე სათანადო მედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შექმნილია მთელი რიგი საბჭოები და კომიტეტები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტრუქტურა მოცემულია შემდეგ გვერდზე;

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი 1994 წლის 15 აპრილის მარაკეშის ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად უმაღლეს ორგანოს წარომადგენს მინისტრთა კონფერენცია, რომელიც შედგება ყველა წევრის წარმომადგენლებისაგან. მინისტრთა კონფერენციის სესია

იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ მაინც. ის ასრულებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფუნქციებს და ამ მიზნით იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და უწევს ცონტროლს მის განხორციელებას. წევრი ქვეყნების თხოვნის საფუძველზე მრავალმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე იღებს აგრეთვე შასაბამის გადაწყვეტილებებს.

მინისტრთა კონფერენციების სესიბს შორის პერიოდში მის ფუნქციებს ახორციელებს გენერალური საბჭო, რომელშიც შედის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ენერალური საბჭოს შეხვედრები იმართება საჭიროების შემთხვევაში. მის ფუნქციებში შედის დავების გადაწყვეტა. დავების გადამწყვეტ ორგანოს შეიძლება ჰყავდეს თავისი თავმჯდომარე, რომელიც ამტკიცებს დავების განხილვის პროცედურებს. გენერალური საბჭო ასრულებს ასევე სავაჭრო პოლიტიკის გადახედვის მექანიზმის ფუნქციას.

გენერალური საბჭოს ფუნქციებში შედის აგრეთვე საქონლით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის საბჭოების ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი შეთანხმებების შესრულებაზე მედამხედველობის გაწევა. ამ საბჭოების მიერ მომზადებული პირადი პროცედურული წესები ძლაში შედის მხოლოდ გენერალური საბჭოს მხარდაჭერის შემდეგ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შემავალი კომიტეტები მუშა ჯგუფები ახორციელებენ მუშაობას თავიანთი მიმართულებით, ისინი პასუხისმგებელნი არიან გენერალური საბჭოს წინაშე. გენერალური საბჭო ატარებს ქმედით ეფექტურ ღონისძიებებს. სხვა მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან საქმიანი თანმშრომლობის დასამყარებლად იმ საკითხების ფარგლებში, რომლებიც განეკუთვნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოქმედების სფეროს. გენერალური საბჭო ასევე აწარმოებს კონსულტაციებსა და თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საკითხებზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმების მე-6 მუხლის თანახმად, შექმნლია სამდივნო, რომლის გენერალური დირექტორი ინიშნება მინისტრთა კონფერენციის მიერ და ამტკიცებს მისი უფლებამოსილების წესებს, პირობებსა და სამსახურის ვადას. გენერალური დირექტორის ფუნქციები გამომდინარეობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობებიდან, მას არა აქვს უფლება გამოითხოვოს და იხელმძღვანელოს წევრი ქვეყნების მთავრობების მითითებით. მის მოვალეობაში შედის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და მოლაპარაკებების დროს ტექნიკური მხარდაჭერა და მრავალმხრივი შეთანხმებების ცხოვრებაში გატარება.[12]

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღება ხდება GATT -47,-ის დადგენილი წესით, წევრი სახელმწიფოების კონსენსუსის გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ვაჭრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. ყველა წევრ ქვეყანას აქვს მინიჭებული ერთი ხმის უფლება. კონსენსუსით ითვლება გადაწყვეტილება მიღებულად თუ მას დაუჭირა ყველა წევრმა ქვეყანამ და ფორმალურად თავი არ შეიკავა პროექტის მიღებაზე.

მინისტრთა კონფერენციას და გენერალურ საბჭოს აქვს მიღებული სახელმწიფოთაშორისი მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების განმარტების განსაკუთრებული კომპეტენცია, რომლის მისაღებად საჭიროა წევრი სახელმწიფოების სამი მეოთხედის ხმა. აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კონფერენციისა და გენერალური საბჭოს სხდომაზე ევროგაერთიანებას აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიც ჰყავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მხედველობაშია მიღებული, რომ ევროგაერთიანება ახორციელებს თავისი საქმიანობის კოორდინაციას და ამ შეხვედრებზე ევროკომისია გამოდის ყველა წევრის სახელით. ამავე წესით გამოდის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად გაერთიანებული ისეთი ქვეყნების ჯგუფებბი, როგორიცაა სამხრეთი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გაერთიანება, ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემა, აფრიკის, კარიბის ზღვის, წყნარი ოკეანისა და სხვა ჯგუფები.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მინისტრთა კონფერენცია უფლებამოსილია გაათავისუფლოს რომელიმე წევრი ქვეყანა ამა თუ იმ ვალდებულებისაგან თუ მას მხარი დაუჭირა ყველა წევრი სახელმწიფოების სამმა მეოთხედმა. წერილობითი მოთხოვნა მრავალმხრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ ეგზავნება მინისტრთა კონფერენციას დადგენილი ზოგადი კონსენსუსის მისაღებად. მინისტრთა კონფერენცია ნიშნავს თხოვნის განხილვის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. თუ ამ დროში თხოვნაზე გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული კონსენსუსის გზით, მაშინ ის მიიღება ყველა წევრი სახელმიფოების სამი მეოთხედი ხმით.

მინისტრთა კონფერენციის გადაწყვეტილება ამა თუ იმ წევრი ქვეყნის მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებებით დადგენილი ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ უნდა იყოს საკმაოდ საფუძვლიანად არგუმენტირებული, გათვაისუფლების პირობების ჩამოთვლით და უნდა მიეთითოს მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს, როგორც წესი ერთ წელს. ამ ვადის

[6]გაგრძელების შემთხვევაში აუცილებლად უნდა დადგინდეს ვალდებულების გათავისუფლების საფუძვლების არსებობა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი შეთანხმებებიდან მნიშვნელოვანია საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კოდექსი და შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საბაჟო საიმპორტო და საექსპორტო გადასახადის დარიცხვისა და მისი ოდენობის საფუძველს.

შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობის შესახებ 1994 წელს გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ ითვალისწინებს საბაჟო ღირებულების დადგენის შემდეგ 6 მეთოდს:[1]

1. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით. გარიგების ფასი ნიშნავს იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისათვის გადახდილ ან გადასახდელ ფასს, რომელშიც იგულისხმება ექსპორტიორისათვის ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) და ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი ან ჯერ კიდევ გადაუხდელი გარიგების ფასი. ანგარიშსწორების ფორმა შეიძლება იყოს ინკასოს, საბანკო გადარიცხვის, აკრედიტივის სახით. გადახდა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გადახდის გზით.

გარიგების ფასს ემატება შემდეგი ხარჯები (თუ ისინი გამყიდველის მიერ არ არის შეტანილი გარიგების ფასში);

- საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შეძენის საკომისიო ხარჯებისა (შეძენის საკომისიო ნიშნავს საფასურს, რომელსაც იმპორტიორი გაწეული მომსახურებისათვის უხდის მის აგენტს საზღვარგარეთ შესაფასებელი საქონლის ყიდვის დროს). აქ უნდა განვასხვაოთ საკომისიო და საბროკერო ხარჯები, რომელსაც უშუალოდ გამყიდველი ეწევა, რათა მოძებნოს საქონლის მყიდველი. ჩვეულებრივ ეს ხარჯები შედის საქონლის ფასში, მაგრამ შესაძლებელია, რომ იგი იყოს შეტანილი გარიგების ფასში. ამ შემთხვევაში შესაბამისი სგადამხდელო ანგარიშებისა და დოკუმენტების საფუძველზე მოცემული ხარჯები შეტანილ იქნა იქნას გარიგებს ფასში. საკომისიო ხარჯებში არ ჩაირთვება საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების საზღაური.
- კონტეინერების ღირებულება, რომელიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება შესაფასებელ საქონელთა ერთობლიობაში. ეს ის შემთხვევაა, როცა სპეციალური კონტეინერების გარეშე შეუძლებელია მოცემული საქონლის ტრანსპორტირება, ხოლო თუკი კონტეინერი მრავალჯერადი გამოყენებისაა და საქონელი ამ კონტეინერით შემოდის პარტიებად, მაშინ მისი ღირებულება შესაბამისი საქონლიოს პარტიებზე უნდა გადავიდეს ნაწილ-ნაწილ. ამასთან, ეს პირობები აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული კონტრაქტში ან სხვა სოკუმენტებში;
- შეფუთვის ღირებულება გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით;
- იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება საბაჟო საზღვრის გადაკვეთაზე ანუ სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე;
- დატვირთვის, გადმოტვირთვის და დამუშავების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში იმპორტირებული საქონლის იმპორტირების ადგილზე ტრანსპორტირებასთან („ იმპორტირების ადგილში” უნდა ვიგულისხმოთ სასაზღვრო საბაჟო ორგანო ან აეროპორტი).
- დაზღვევის ღირებულება (თუ დაზღვევის თანხა რეალურად არ არის გადახდილი ან გადასახდელი, მაშინ იგი არ შეიტანება საბაჟო ღირებულებაში, რადგანაც საქონელი შემოტანილია რისკფაქტორით);
- საქონლისა და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება, რომელიც მყიდველის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება უფასოდ ან ფასდაკლებით და რომელიც გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებისა და საექსპორტო გაყიდვასთან დაკავშირებით ისე, რომ ეს ღირებულება არ არის ჩათვლილი ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში. საქონელი ან მომსახურება, რომელიც უფასოდ ან ფასდაკლებით მიეწოდება მყიდველს გამყიდველის მიერ შეიძლება იყოს: მასალები, ნაწილები, კომპონენტები, ინსტრუმენტები, შტამპები, ფორმები, საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-სადიზაინერო საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, გეგმები და ესკიზები და სხვა. ამასთან, ამ საქონლის და მომსახურების ღირებულება, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში, უნდა განისაზღვროს იმ ფასით, რომლითაც იგი შეძენილია მყიდველის მიერ. თუ ეს საქონელი ნაწარმოებია თვით მყიდველის მიერ, მაშინ მისი ფასი განისაზღვრება მყიდველის

[12]მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დღეისათვის ჰყავს 500- ზე მეტი პერსონალი და მისი ბიუჯეტი წევრი სახელმწიფოების შენატანებით შეადგენს დაახლოებით 100 მილიონ აშშ დოლარს.

საბუღალტრო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქონელი ამორტიზებულია, მაშინ მისი ღირებულება განისაზღვრება ამორტიზაციის ხარისხის მიხედვით.

- შესაფასებელ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო გადასახადები (რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა), როგორც შესაფასებელი საქონლის გაყიდვის პირობა, თუ ეს გადასახადები არ ჩაითვლება გადახდილ ან გადასახდელ ფასში. მასში შედის გადასახადები პატენტებზე, სავაჭრო მარკებზე, საავტორო უფლებებზე, „ნოუ-ჰაუზე". ამასთან, სალიცენზიო და ინტელექტუალური საკუთრების გადასახდელები ჩაირთვება საბაჟო ღირებულებაში მაშინ, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების ნიმუშები განუყოფელ კავშირშია იმპორტირებულ საქონელთან და ეს პირობები დაფიქსირებულია კონტრაქტში. თუ მყიდველი სალიცენზიო გადასახადებს უხდის მეორე პირს, მაშინ ეს შეთანხმებული უნდა იქნეს გამყიდველთან.
- ნებისმიერი შემდგომი გაყიდვის მოგების ნაწილი იმპორტირებული საქონლის გადაცემა ან გამოყენება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს. თუ კონტრაქტში გათვალისწინებულია პირობა, რომლის მიხედვით, ვთქვათ, მყიდველმა გამყიდველს უნდა დაუბრუნოს (მისცეს) საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების 15%, მაშინ ეს თანხა უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში.

2. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით. საქონელი იდენტურია, თუ ისინი ერთნაირია ფიზიკური მახასიათებლების ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა პირველი მეთოდის – გარიგების ფასის მიხედვით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაყიდულ იქნა იმავე იმპორტიორ ქვეყანაში და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს ვიდრე შესაფასებელი საქონელი.[13] ამასთან შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად შეფასების ამ მეთოდის გამოყენებისას საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაიყიდა იმავე კომერციულ დონეზე და არსებითად იმავე რაოდენობით, რაც შესაფასებელი იდენტური საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაყიდვა არ განხორციელდა, გაოიყენება იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე და ან სხვა ოდენობით თუ ამ მეთოდის გამოყენებისას გამოვლინდა იდენტური საქონლის გარიგების ერთზე მეტი ღირებულება, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად გამოყენებული იქნება მათ შორის უმცირესი ღირებულება.

3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ზემოთ განხილული პირველი და მეორე მეთოდის მიხედვით, საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად გამოიყენება იმ მსგავსი საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც იმპორტირებული იქნა იმავე ან თითქმის იმავე დროს, რაც შესაფასებელი საქონელი. ამასთან საქონელი ვერ ჩაითვლება იდენტურ ან მსგავს საქონლად თუ იგი არ იყო წარმოებული იმავე ქვეყანაში, რაც შესაფასებელი საქონელი.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ერთეულის ფასის მიხედვით. ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით. საქონლის ერთეულის ფასი არის იმპორტირებული იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაზრო ფასი იმპორტის ქვეყანაში, რომელიც ყალიბდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ამ საქონლის მაქსიმალურად დიდ პარიტეტად მიყიდვის დროს. ამასთან, საქონელი უნდა იყოს იმპორტირებული იმავე, ან თითქმის იმავე დროს, როგორც შესაფასებელი საქონელი, მაგარმ შემოტანის თარიღიდან არაუმეტეს 90 დღის გასვლამდე.

5. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით.

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ერთეულის ფასის პარალელურად, ანუ იმპორტიორი უფლებამოსილია აირჩიოს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ერთეულის ფასი ან შედგენილი ღირებულება. შედგენილი ღირებულება შეადგენს შემდეგი პარამეტრების ჯამს:

- იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადებისა და სხვა სახის დამუშავების ფასი ან ღირებულება;
- გარიგებისა და სხვა საერთო ხარჯების რაოდენობა, რაც გამოისახება იმავე კატეგორიისა და კლასის საქონლის გაყიდვისას, რომლის დამზადება ხდება მწარმოებლის მიერ ექსპორტიორ ქვეყანაში იმპორტიორ ქვეყნაში გასატანად;
- საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა;
- იმ კონტეინერების ღირებულება, რომელიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება შესაფასებელ საქონელთან ერთობლიობაში;

- შეფუთვის ღირებულება შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით;[7]
- იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება;
- დატვირთვა, გადმოტვირთვისა და დამუშავების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია იმპორტირებული საქონლის იმპორტირების ადგილზე ტრანსპორტირებისთან;
- დაზღვევის ღირებულება;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების ღირებულების დამატებაც;
- იმ ელემენტების ღირებულება, რომელიც შესაძლებელია იმპორტის ქვეყანაში და რომელიც ნაზღაურდება მწარმოებლის მიერ ანუ აძვირებს მწარმოებლის (ექსპორტიორის) საქონელს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არც ერთი წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია შედგენილი ღირებულების დადგენის მეთოდის გამოყენება მოსთხოვოს იმ პირს, რომელიც არ არის მისი ტერიტორიის რეზიდენტი, ან აიძულოს იგი შესამოწმებლად წარადგინოს ნებისმიერი ანგარიში ან სხვა ჩანაწერი, ან მისი რომელიმე ანგარიში ხელმისაწვდომი გახადოს საბაჟოსათვის. მაგრამ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია საქონლის მწარმოებლის მიერ საბაჟო ღირებულების დასადგენად ამ მუხლის დებულებების მიხედვით, შეიძლება შემოწმებულ იქნეს იმპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მიერ სხვა ქვეყანაში, მწარმოებელთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ ისინი წინასწარ გაუგზავნიან შეტყობინებას დაინტერესებული ქვეყნის მთავრობას, ხოლო ეს უკანასკნელი არ იქნება ასეთი გამოკვლევის წინააღმდეგი.

6. საბაჟო ღიორებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ერთეულის ფასის შედგენილი ღირებულების მიხედვითგამოიყენება სარეზერვო მეთოდი, რომელიც ეფუძნება საქონლის ფასების სისტემის პრინციპს. ამ შემთხვევაში შესაძლოა, გამოყენებული იქნეს, როგორც მსოფლიო, ასევე ადგილობრივი ბაზრის ფასები, ამ მათოდით საქონლის საბაჟო ღირებულიბის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, სატრანსპორტო და საკომისიო ხარჯები, ფასდაკლებები, მოგება, გადასახადები, დაზღვევის, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები, სალიცენზიო და სხვა მოსაკრებლები.

სარეზერვო მეთოდით გამოყენების დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

- იმპორტიორ ქვეყანაში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდ ფასი;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად მიღებულია იმ საქონლის ფასები, რომელიც მიწოდებულია სხვა მესამე ქვეყანაში გასატანად, ანუ სხვა ქვეყნებში საექსპორტო საქონლის ფასი;
- საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე;
- წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის;
- სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი;
- მინიმალური საბაჟო ღირებულებები;
- თვითნებურად შერჩეული ან ფიქტიური ღირებულებები;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად მიღებულია ორ ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება.

საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის საბაჟო ღირებულების სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის ობიექტურ დადგენაზეა დამოკიდებულისაბაჟო გადასახდელების ოდენობა და შესაბამისად სახელმწიფოთაშორის ვაჭრობის მასშტაბების გაფართოება. მიუხედავად განხილული ამ ექვსი მეთოდისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზებით საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენა დროულად ვერ ხერხდება.

ასსეტ შემთხვევებში მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების მე-13 მუხლი ითვალისწინებს, რომ „თუ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას საჭირო ხდება ამგვარი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გადადება, იმპორტიორს ეძლევა საქონლის საბაჟოდან გატანის საშუალება, თუ მოთხოვნის შემთხვევაში იგი წარადგენს საკმარისგარანტიას თავდებობის, დეპოზიტის ან სხვა ნებისმიერ გარანტიას, რომელიც მოიცავს გაანგარიშებული მაქსიმალური საბაჟო ღირებულების საფუძველზე დაკისრებული ყველა სახის საბაჟო გადასახადის გადახდას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრის კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი სიტუაციების შესაბამის დებულებებს.”

[1] გ. ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა კითხვა-პასუხებში. თბილისი 2001, გვ. 90-108. 131-132.

ამ შეთანხმების თანახმად საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინწდბეს გასაჩივრების უფლების მინიჭებას იმპორტიორისათვის ან სხვა პირისათვის, რომელიც პასუხისმგებელია გადასახადის გადახდაზე. ამასთან არავითარი სანქცია არ უნდა იქნეს დაწესებული.

საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი მრავალმხრივი შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ გამოიყენება სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების დროს, ასევე წარმოშობის საერთიფიკატის გაცემისა და ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის საწარმოებლად. ტერმინი „ წარმოშობა” განსხვავდება „ წარმოებულისაგან”. ამ წესების თანახმად საქონელი შეიძლება საბოლოო სახით დამზადებული იყოს რომელიმე ქვეყანაში, მაგარამ ის არ იყოს წარმოშობილი ამ კონკრეტულ სახელმწიფოში.

საქონლის წარმოშობის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს ბევრ ქვეყანასთან დადებული აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, რომელთა თანახმად ამ ხელშემკვრელი ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქცია, თუ ის განკუთვნილია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოსახმარებლად თავისუფლდება საბაჟო გადსახადისაგან. ამასთან ერთად საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა გამოიყენება ისეთი არასტარიფო ღონისძიებების გატარების დროს, როგრიცაა რაოდენობრივი შეზღუდვა ანუ კვოტირება, ემბარგო და სხვა. საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა ხორციელდება შემდეგი წესით:

მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად ჩაითვლება საქონელი, რომელიც მთლიანად წარმოებული ან მოპოვებულია ამ ქვეყანაში, ან, როცა ამ საქონლის დამზადებაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ქვეყანა, ხოლო მოცემულ ქვეყანაში საქონელმა განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია.

საქონლის წარმოშობის კრიტერიუმებია:

- როცა ესა თუ ის საქონელი მთლიანად წარმოებულია მოცემულ ქვეყანაში, ანუ ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე დახარჯული ნედლეული, მასალები სამამულო წარმოებისაა და მათ დამზადებაზე არანაირი იმპორტირებული საქონელი არ მონაწილეობს. ამდენად, ადგილობრივ ნედლეულზე, მასალებზე, ნახევარფაბრიკატებზე შექმნილი საქონელი შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად მოცემულ ქვეყანაში წარმოებულად და შესაბამისად – წარმოშობილად;
- როცა საქონელი მთლიანად მოპოვებულია მოცემულ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში საქონელი ითვლება მოცემულ ქვეყანაში წარმოებულად. ეს დაკავშირებულია ძირითდად ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებთან. კერძოდ, მოცემულ ქვეყანაში მთლიანად მოპოვებულ საქონლად ითვლება ამ ქვეყანაში მოპოვებული მინერალური პროდუქტები, მოყვანილი მცენარეები, გაჩენილი და გაზრდილიცოცხალი ცხოველები, ცოცხალი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები, ნადირობისა და თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქტები. ამავე კლასიფიკაციაში განიხილება აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში რეგისტრირებული გემით (ან მასზე მიწერილი და მისი დროშით მოცურავე) ამავე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებს გარეთ მოპოვებული თევზი, სხვა პროდუქცია, ან ამ საქონლისაგან წარმოებული სხვა საქონელი. აქვე განიხილება ტერიტორიულ წყლებს გარეთ ზღვის ფსკერიდან ამორებული პროდუქცია, თუკი მოცემული საქმიანობა კანონიერია. შაქონლის ამავე კატეგორიას განეკუთვნება საწარმოო ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენები, ჯართი და გამოყენებული ნაწილები, თუ ის შეგროვილია მოცემულ ქვეყანაში და გამოიყენება მასალების გაუმჯობესების მიზნით.ზემოაღნიშნული საქონლის ნუსხაში გადის აგრეთვე ყველა ის ნაწარმიან საქონელი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისაგან ან მისგან მიღებული ნაწარმისაგან არის წარმოებული ამ წარმოების ნებისმიერ ეტაპზე;
- თუ საქონლის წარმოებაში ჩართული იყო ორი ან მეტი ქვეყანა, მაშინ საქონელი ჩაითვლება მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად, თუ მან ამ ქვეყანაში განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, ანუ მის დამზადებაზე გაწეული იქნა მეტი დანახარჯი.

საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან.[14] გაწევრიანებას წინ უსწრებდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ქრონოლოგიიდან:

- 1994 წელი – საქართველომ მიიღო ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების (GATT) დამკვირვებლის სტატუსი;
- 1996 წლის ივნისი – საქართველომ გააკეთა განაცხადი ემო-ში გაწევრიანების სურვილის თაობაზე და მოიპოვა დამკვირვებლის სტატუსი;

- 1996 წელი ივლისი – საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება გაწევრიანების პროცესზე პასუხისმგებელი კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე;[8]
- 1997 წელი მარტი – საქართველოს მთავრობამ ვმო-ს წარუდგინა მემორანდუმი საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ;
- 1998 წელი, მარტი – გაიმართა გაწევრიანების მუშა ჯგუფის მეორე შეხვედრა;
- 6-13 ოქტომბერი – გაიმართა გაწევრიანების მუშა ჯგუფის მეორე შეხვედრა;
- 16 დეკემბერი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ჩეხეთის რესპუბლიკასთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 1999 წლის 8-11 მარტი – გაიმართა გაწევრიანების მუშა ჯგუფის მესამე შეხვედრა;
- 11 მარტი - დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ჩეხეთის რესპუბლიკასთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 29 აპრილი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები თურქეთთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 18 მაისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები კანადასთან მომსახურებით ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 20 მაისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები მექსიკასთან საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 21 მაისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები კანადასთან საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 31 მაისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ევროკავშირთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 10 ივნისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები პოლონეთთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 16 ივნისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ინდოეთთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 21 ივნისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ყირგიზეთთან ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 21 ივნისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები ბულგარეთთან საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 2 ივლისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები შვეიცარიასთან მომსახურებით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 11 ივლისი – დასრულდა ორმხრივი მოლაპარაკებები შვეიცარიასთან საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობათა თაობაზე;
- 1999 წელი 28 ივლისი – გაიმართა საქართველოს ვმო-ში გაწევრიანების მუშა-ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა;
- 1999 წელი 6 ოქტომბერი – ხელი მოეწერა ვმო-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთების ოქმს;
- 2000 წელი 20 აპრილი – საქართველოს პრეზიდენტმა მოახდინა ვმო-ში გაწევრიანების ოქმის რატიფიკაცია და წარმართა მუშაობა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების ჩასატრებლად;
- 2000 წელი 14 ივნისიდან საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი;

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველომ აიღო მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა ნაწილი შესრულებულია და ცალკეულ საკითხებზე დღესაც მიმდინარეობს მუშაობა;

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება გულისხმობს მის შეთანხმებათა მთლიან პაკეტზე მიერთებას, რაც განსაზღვრავს საკმაოდ ფართო სპექტრის ვალდებულებებს წევრი ქვეყნებისათვის. ამ ვალდებულებებიდან აუცილებელია აღინიშნოს:

- საბაჟო-სატარიფო სისტემის ბმულ სატარიფო ცხრილებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- უპირატესი ხელშეწყობის და ეროვნული რეჟიმის პრინციპების დაცვა;
- სტანდარტიზაცია-სარტიფიკაციის სისტემის რეფორმირება;

---

[13] იმავე ან თითქმის იმავე დროს ნიშნავს, რომ იდენტური საქონელი იმპორტირებული უნდა იყოს არაუადრეს 90 დღისა, ვიდრე შესაფასებელი საქონელი.

[14] დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველივე 1991 წლიდან საქართველომ დაიწყო აქტიური მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. 1992 წლის 31 ივლისს საქართველო გახდა მსოფლიოს ერთა დიდი ოჯახის წევრი. ის 179-ე ქვეყანაა, რომელიც მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

- საექსპორტო და ვმო-ს ნორმებით აკრძალული სხვა სუბსიდიების არგამოყენება;
- ვაჭრობაზე გავლენის მქონე პროცედურათა (ლიცენზირება, საბაჟო შეფასება, სანიტარული, ფიტოსანიტარული ზომები და ა.შ.) ვმო-ს ნორმებთან შესაბამისობაში გამოყენება;
- ბაზრის დაცვის არასატარიფო მექანიზმების გამოყენებისაგან თავის შეკავება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- საკანონმდებლო ბაზის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირების და სამოდიფიკაციო მოთხოვნათა შესრულების გზით;

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგად საქართველომ მოახდინა თავისი ეკონომიკის ინტეგრაცია საერთაშორისო ვაჭრობაში. განხორციელდა საქართველოს საექსპორტო პროდუქციის შეღწევა საერთაშორისო ბაზარზე შეღავათიანი პირობებით. ქართველ მეწარმეებს საშუალება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე დაამყარონ საგარეო სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. შეიქმნა წამოჭრილი დავების სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის პირობები. საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში მოდის საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. ბევრ ქვეყნებთან დაიდო ვაჭრობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები. ყოველივე აღნიშნულმა გააუმჯობესა პირობები ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხელსაყრელ პირობებს უქმნის არა მარტო ზოგადად სახელმწიფოს, არამედ კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომლებიც ეწევიან მეწარმეობას და აგრეთვე მომხმარებლებს, რაც გამოიხატება შემდეგში:
- საერთაშორისო დონეზე აღიარება და მსოფლიო სისტემაში ინტეგრირება;
- ნორმატიული ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან;
- სავაჭრო ურთიერთობებში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი;
- დისკრიმინაციისაგან და ზეწოლისაგან დაცულობა;
- მსოფლიო ეკონომიკური განვითარების შესაბამისი, პროგნოზირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება, საერთაშორისო დახმარება მის განხორციელებაში;
- ინვესტიციების გაფართოვება და ეკონომიკური განვითარების დაჩქარება;
- ეკონომიკურ ურთიერთობათა დივერსიფიკაცია და განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- დავების სამართლიანად გადაჭრის გარანტია;
- მონაწილეობა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში;
- წარმოების განვითარება, დასაქმების ზრდა, შემოსავლების მატება;
- საბაზრო ეკონიმიკის პრინციპებზე და საერთაშორისო დემოკრატიულ ნორმებზე დამყარებული სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური განვითარება.

ყოველივე აღნიშნული ნათლად ჩანს მოყვანილი ცხრილიდან



ამასთან ერთად სახელმწიფოს ზოგად ინტერესებთან ერთად, როგორც მეწარმის, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების, ისე მომხმარებელთა ფართო მასის ინტერესებში შედის:

1. მეწარმის ინტერესები:
   - საგარეო ბაზარზე პირობების გაუმჯობესება;
   - ტარიფების შემცირება;
   - დისკრიმინაციისაგან დაცულობა;
   - ინვესტიციების მოზიდვა;
   - იაფი იმპორტი;
   - ნედლეული და მაკომპლექტებელი ნაწილები;
   - მოწყობილობები და ტექნოლოგიები;
   - საავტორო უფლებებისა და სავაჭრო ნიშნების დაცვა.
2. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები:
   - ვაჭრობის მოცულობის ზრდა;
   - დისკრიმინაციისაგან დაცულობა;
   - ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოვება;
   - ვაჭრობის წესების საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;
   - მომსახურებით ვაჭრობის სწრაფი განვითარება;
3. მომხმარებლის ინტერესები:
   - ფართო ასორტიმენტის ხარისხიანი და იაფი პროდუქცია;
   - ადგილობრივი საქონლის ხარისხის გაუმჯობესება;
   - დასაქმების ზრდა;
   - სახელმწიფო შემოსავლების ზრდის შედეგად სოციალური დაცულობის გაუმჯობესება. მთლიანობაში კი უზრუნველყოფილია:
   - წარმოების განვითარება;
   - მოგების ზრდა, დასაქმების და შემოსავლების ზრდა;
   - დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, საქართველოს გაწევრიანების ძირითად დადებით შედეგებად მიიჩნევა:

- საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვაჭრობაში ვმო-ს 147 წევრი ქვეყნისაგან;
- აშშ-მ მოუხსნა საქართველოს შეზღუდვები ვაჭრობაში (ე.წ. ჯექსონ-ვენიკის შესწორების მოქმედება) და მოგვანიჭა „პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის" შეღავათები, რომლებიც 2002 წლიდან მოგვანიჭეს აგრეთვე პოლონეთმა და თურქეთმა, ხოლო 2003 წლიდან ესტონეთმა;
- საქართველომ მიიღო უფლება აწარმოოს მოლაპარაკებები ვმო-ში შესვლის მსურველ ყველნედთან, რომელთა შორისაა ჩვენი ისეთი სავაჭრო პარტნიორები, როგორც რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, აზერბაიჯანი და ა.შ. რასაც საქართველო აქტიურად იყენებს აღნიშნული და სხვა ქვეყნების ბაზარზე ქართული პროდუქციისა და მომსახურებისათვის დაშვების კარგი პირობების უზრუნველსაყოფად;
- საქართველო აქტიურად ჩაერთო ვმო-ს ჩარჩოებში მიმდინარე მრავალმხრივ მოლაპარაკებათა ე.წ. „განვითარების რაუნდში", რომელიც გამოიმუშავებს შემდგომი ათწლეულების სავაჭრო პოლიტიკას სოფლის მეურნეობის, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სუბსიდიების, ინტელექტუალური საკუთრების, მომსახურებით ვაჭრობის და სხვა უმნიშვნელოვანეს სფეროებში. საქართველო ამ მოლაპარაკებებში ლიდერობს ახალგაწევრიანებული ქვეყნების კოალიციას შორის (ალბანეთი, ხორვატია, საქართველო, იორდანია, ლიტვა, მოლდოვა, ომანი და ყირგიზეთი), რომ შესაძლებელი გახდეს ამ ჯგუფის ქვეყნების ინტერესთა მაქსიმალურად წარმოჩენა და დაცვა.

საკონტროლო კითხვები:

1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ამოცანები და ფუნქციები.
2. საბაჟო ღირებულებისა და წარმოშობი ქვეყნის განსაზღვრის წესი.
3. საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, მისი ვალდებულებები და ინტერესები.

თავი 6

საქართველოში საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

„მიეცით ყველას რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი-ხარკი, ვისაც ბაჟი-ბაჟი, ვისაც შიში-შიში, ვისაც პატივი-პატივი.“

პავლე მოციქული

„გადასახადებს საფუძვლად უნდა ედოს თანასწორობა,სამართლიანობა,გარკვეულობა,მოხერხებულობა და ეფექტურობა.“

დამ სმიტი

„არაფერს სჭირდება იმდენი სიბრძნე და გონი, როგორც ხარკის იმ ნაწილის განსაზღვრას, რომელიც უნდა აიკრიფოს, რომელსაც ართმევენ ადამიანებს.“

შარლ მონტესკიე

„დაბეგვრა არის ხელოვნება გაპუტო ბატი ისე, რომ მისი მინიმალური წივილით მიიღო ბუმბულის მაქსიმუმი.“

ჟან ბატისტ კოლბერი

„გადასახადები არის ძარცვის ნებადართული ფორმა.“

თომა აქვინელი

„ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი- სიკვდილი და გადასახადები.“

ბენჟამინ ფრანკლინი

მოცემულ თავში განხილულია გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი, გადასახადების წარმოშობის ისტორია, საქართველოს საგადასახადო სისტემა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების სახეები, მსოფლიო ქვეყნების საგადასახადო სისტემები. განხილულია აგრეთვე, საქართველოში საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები და საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემები.

6.1. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი და საქართველოს საგადასახადო სისტემა

გადასახადების დაწესების ისტორია სახელმწიფოს წარმოშობასთან არის დაკავშირებული. მმართველი აპარატის შენახვას, სამხედრო ძალის განმტკიცებასა და გაძლიერებას ესაჭიროებოდა გარკვეული რესურსები, რომლის მობილიზებას გადასახადების შემოღებით ჯერ ნატურალური, შემდეგ კი ფულადი სახით ახორციელებდა.

გადასახადების წარმოშობა უკავშირდება ანტიკური ხანით საბერძნეთს. ძველ ათენში ათეული გამორჩეული მოქალაქე ათენის მოედანზე საჯაროდ წყვეტდა თუ რამდენი დაეწესებინათ გადასახადი ყოველწლიურად. ამოღებულ თანხას დადგენილი ოდენობით და გარკვეული დროისათვის უხდიდნენ სახელმწიფოს, ამ დაწესებული თანხის ზემოთ კი იყოფდნენ თვითონ გადასახადების მკრეფი პირები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ შეძლებდნენ სახელმწიფოსათვის დადგენილი თანხის გარკვეულ დროში გადახდას, სახელმწიფო აძლევდა მათ გარკვეული პერიოდით გადავადებას. თუ ამ გადავადების შემდეგაც ვერ შეძლებდნენ სახელმწიფოსათვის დაწესებული თანხის გადახდას, მაშინ მათ იჭერდნენ და სვამდნენ ციხეში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 და მე-2 ათასწლეულის ბღვარზე ძველ ასურეთში (სახელმწიფო აშური) დაწესებული იყო გადასახადები. ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში მთავრობას დაწესებული ჰქონდა გადასახადები.

მე-3 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კათარგენში ჰანიბალმა შეძლო გადასახადების აკრეფით დაეფარა ყველა სახელმწიფო ხარჯი და წარმატებით ეწარმოებინა ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ, მაგრამ გადასახადების მაღალმა განაკვეთებმა

აიძულა გადამხდელები სხვადასხვა დარღვევების ჩადენისაკენ, რამაც კათარგენი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩააგდო, შედეგად კი ის ისევ იქნა დაპყრობილი რომაელების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები დაწესებული იყო უძველესი დროიდან, მისი ოდენობა და მთლიანად საგადასახადო სისტემა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა იმ დროს არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს. სახელმწიფოებს არ გააჩნიათ გადასახადების აკრეფის ადმინისტრირების ჩამოყალიბებული მექანიზმი. გადასახადების აკრეფას აწრმოებდნენ, როგორც სპეციალურად მოწვეული სახელმწიფო მოსამსახურეები, ასევე რიგითი მოქალაქეები, რომელთაც არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

გადასახადების ამკრეფთა მიერ თავიანთი უფლებების გადამეტების გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 59 წელს კეისარმა მიიღო კანონი პროვინციებში გამომძალველთა საწინააღმდეგოდ, რაც მათ მიმართ სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა. უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა მორწმუნის მიერ მოძღვრის წინაშე ჩადენილი ცოდვა ანგარებით, მტაცებლობით (სხვისი ქონებისა) მითვისებით რაიმე კუთვნილისა, სიხარბით, სიმდიდრის ტრფიალით, ქრთამის მიცემ-მოცემით, ყალბი ვექსილის ფულის აღებით, ყალბობით (ყალბად მუშაობით), ძღვნის მოყვარულობით და ხელობის უსწავლელობით ჩადენილი ცოდვები.[1]

სახელმწიფოები ქვეყნის ხარჯების დასაფარავად ხშირად აწესებდნენ ისეთ გაუმართლებელ გადასახადებს, რომლებსაც უარყოფითი შედეგი მიჰქონდა, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის. ამის მაგალითია მე-17 საუკუნეში დიდ ბრიტანეთში დაწესებული გადასახადი ბინის ფანჯრებზე, რამაც აიძულა მოსახლეობა მაქსიმალურად შეემცირებინათ ფანჯრების რაოდენობა და დაებნელებინათ თავიანთი ბინები[2].

შედარებით მოგვიანებით მე-12 საუკუნიდან საფუძველი ჩაეყარა გადასახადების დაწესებისა და აკრეფის სახელმწიფო სისტემას, ჩამოყალიბდა გადასახადების ახალი თეორიები. ამ პერიოდის ცნობილი ფილოსოფოსი და რელიგიური მოღვაწე თომა აქვინელი (1226-1274) გადასახადებს განმარტავდა, როგორც „ქვეყნის ნებადართულ ძარცვას". ადამ სმიტი 1776 წელს თავის ნაშრომში „ხალხის სიმდიდრისა, ბრუნვისა და მიზეზების გამოკვლევა" აღნიშნავდა, რომ გადასახადებს საფუძვლად უნდა ედოს თანასწორობა, სამართლიანობა, გარკვეულობა, მოხერხებულობა და ეფექტურობა.[3]

გადასახადების ოდენობის, მისი სახეების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-ყოფითი პირობების, სამართლიანობის და ეფექტურობის გათვალისწინებით ყოველთვის წარმოადგენდა თავისი დროის ცნობილ მოღვაწეთა მსჯელობის თემას. მე-17 საუკუნის ცნობილი [9]ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი შარლ მონტესკიე მიუთითებდა რომ „არაფერს სჭირდება იმდენი სიბრძნედა გონი, როგორც ხარკის იმ ნაწილის განსაზღვრას, რომელიც უნდა აიკრიფოს, რომელსაც ართმევენ ადამიანებს და რომელიც უნდა აიკრიფოს".

გადასახადები საქართველოში უძველესი დროიდან არის დაწესებული. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნეებში გადასახადებს განაგებდა გვარის უფროსი მამასახლისი, რომელიც გადასახადებს (ბეგარას) უწესებდა მონებს ჭირნახულის სახით.

ფეოდალურ საქართველოში გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა ხარკი, ზუერი, ბაჟი, ქირა, ტვირთის ხარკი. ძუერი პირველად მოხსენებულია სახარების ქართულ თარგმანში, საგულისხმოა, რომ მებაჟე მოხსენიებულია ბიბლიაშიც. გადასახადების აკრეფას განაგებდა საგანგებო მოხელე – ბურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი. ქართულ წყაროებში გამოთქმა ბაჟი პირველად მე-11 საუკუნეში მოიხსენიება. ესაა გიორგი მეორის სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1072-1089).

გადასახადს აწესებდა ბატონი და ძირითადი გადამხდელები იყვნენ ყმები ქართულის სამართლის ძეგლის, - ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 258 მუხლის მიხედვით „ყმის ყველაფერი ბატონის არის". გადასახადები იყო აგრეთვე დაწესებული საქონლის შემოტანაზე, რომელიც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

გადასახადების მარეგულირებელი ქართული სამართლის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ტაშის-კარის ბაჟის ნუსხა, რომელიც თარიღდება 1753-1754 წლებით და შედგება ორი მცირე მოცულობის ერთი პირის მიერ დაწერილი საბუთისაგან.[4] ტაშის-კარი მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართლელ აბაშიძეთა სამფლობელოს შეადგენდა. ტაშის-კარის გამოვლით ვაჭრებს,

---

[1]ნ. ჩიხლაძე, ჩრდილოვანი ეკონომიკა, რეგიონალური ასპექტები. 2005, გვ. 9-10

[2]ნ. ჩიხლაძე საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. 2004, გვ. 4-103

[3]ე. მაღალაშვილი, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები და გადასახადების ფუნქციები. ჟურნალი საგადასახადო კონსულტანტი, №4 (21), ნოემბერი, 2005

[4]ტაშის-კარი სოფელია ხაშურის რაიონში, ქვიშხეთის მახლობლად, ლიხის მთის აღმოსავლეთ კალთაზე მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს.

რომლებსაც ოსმალეთიდან შემოჰქონდათ საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში პაატა და ნიკოლოზ აბაშიძეებს დაწესებული ჰქონდათ გადასახადები, რომლის ამოღება დავალებული ქონდა ერთგულ და სანდო პიროვნებას ბეჟან ნახუცრიშვილს.

ტექსტში მითითებულია, რომ „აბაშიძის პაატას და აბაშიძის ბიკოლოზის ღვთის წყალობავ და მამის მსგავსად პატივცემულობ ჩვენგან ბატონო ბეჟან ნახუცრიშვილო, მერმე როგორც კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან გებარა ტაშის-კარის კოშკი და ბაჟი, ისე მიგვიბოძრებია. ნუსხაც იმას ბრძანებაზე გაგვიცია, რომ ასრე აიღე ბაჟი, ხათრს ნურავის შეუნახავ. ღვთის წუნაშე ამ განწესებულებაზე მეტს ნუ აიღებ. ღაც მოგვივიდეს, შენთვის წყალობა გვიქმნია. ეს ორი კაცი ჩვენი დააყენე. ამით ანგარიშს შენ გამოართმევ, ჩვენსას მოგვართმევდე და შენ საათაოს შენ აიღებდე და ჩვენ ანგარიშს შენ მოგვცემდე. სამართალი, რაც სამართალი იყო, ისე აიღონ ამ ბიჭებმა. მეტს ნუ აიღებენ. განაჩენის მეფეთა და ჩუენდა წყალობა ასე არის”;

ფარჩის საპალნეზედ ერთი აბაზი ხუთი;
აბრეშუმის საპალნეზედ ერთი აბაზი ექვს;
ბანგის საპალნეზედ შაური ათი;
საპალნე საყათზე რომ საწვრიმალნო არის, აბაზი ხუთი, ქაღალდიც იქნებ;
საპალნე მარილზე ნახევარი ჩარექი;
ზურგზე მარილზე ნახევარი ჩარექი;
ზურგით ბანგა ვისაც მოქონდეს ერთი აბაზი;
ზურგით ფარჩა ვისაც მოქონდეს ორი აბაზი;
ზურგით სამოსელიც ვისაც მიქონდეს ერთი აბაზი;
საირსა, მაულსა და ლანდრზე საპალნე ერთი ლიტრი;
ბრინჯზედ საპალნეზედ – ერთი ლიტრი;

ძმაო ბეჟან, ამ ჩვენს კაცსა და შენს კაცს ამ რიგით ააღებინე ეს ბაჟი.[5]

ადრეულ ფეოდალურ საქართველოში გადასახადებს თვითონ ფეოდალები აწესებდნენ, რომლებიც იყო მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი. მოგვიანებით კი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში შეტანილი ქართული სამართლის ძეგლით „დასტურლამალი”-თ აიკრძალა ფეოდალების მიერ გადასახადების დაწესება და ამ წიგნის 362 მუხლით ცალკე გამოიყო სახელმწიფო გადასახადები, რომელსაც მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ბეგარა, კოდის პური[6], საბალახე[7], ნადირობის[8], საურავი და სხვა.

გარდა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებისა არსებობდა ასევე ადგილობრივი გადასახადებიც. ასსეტ გადასახადს მიეკუთვნებოდა მასრაფი[9], რომელიც ხმარდებოდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას და მაზრის უფროსის ხელფასსა და სხვა ხარჯებს.

ადრეული პერიოდისა და თანამედროვე საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გავაანალიზოთ და გავერკვიოთ გადასახადების ევოლუციის, მისი კანონზომიერების და განვითარებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებაში, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით შემუშავდეს ქვეყანაში სამართლიანი და მისაღები საგადასახადო პოლიტიკა.

გადასახადების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანებისა და ფუნქციის შესრულება. სახელმწიფო ფინანსების 90 პროცენტზე მეტს შეადგენს საგადასახადო შემოსავლები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკონომიკის ორიენტაციამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებზე თავისთავად მოითხოვა შესატყვისი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება. დღეისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, საგადასახადო სისტემა მოიცავს:

- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;
- გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;
- გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.

გადასახადის გადამხდელი პირი ვალდებულია გადაიხადოს კანონმდებლობით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. დაუშვებელია კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გათვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე გადასახადის გადახდევინება დადგენილ ვადაზე ადრე. საგადასახადო კოდექსის მიხედვით დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე,

რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს გადახდილი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს უფლება აქვთ შემოიღონ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოში მოქმედებს:

- საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები;
- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ადგილობრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- აქციზი;
- საბაჟო გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ქონების გადასახადი;

საშემოსავლო გადასახადი გადამხდელია:

- რეზიდენტი ფიზიკური პირი;
- არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.[10]

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

- რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- როიალტით მიღებული შემოსავლები;
- ამ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

გადასახადის განაკვეთი ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 15%-ით.

მოგების გადასახადი გადამხდელია:

- საქართველოს საწარმო;
- უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი მოგების გადასახადს გადაიხდიან მათი წილის შესაბამისად. საქართველოს საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია

---

[5] ნუსხის დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Hd -11265)

[6] სახელმწიფო გადასახადი ხორბლით ან ქერით (წელიწადში კომლზე 4 კოდი (10 ლიტრი 1 კოდი პური)

[7] გადასახადი ცხვრით. 100 ცხვარზე 1 ცხვარი. დაბეგვრის სუბიექტი საქონლის პატრონი

[8] ნადირის მორეკვა, ღამით დარაჯობა.

[9] ფულადი გადასახადი 14 შაქრის ოდენობით.

დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. უცხოური საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით.

საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი უცხოური საწარმოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, დასაბეგრი მოგება განისაზღვრება საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის მიხედვით, რომელიც იყოფა მის მიერ საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ (მთლიან) შემოსავალზე და მრავლდება მის მიერ მიღებულ დასაბეგრ მოგებაზე.

უცხოური საწარმო, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

- რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- როიალტით მიღებული შემოსავლები;
- უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი;
- სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15%-ით, გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10-პროცენტიანი განაკვეთით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე. არარეზიდენტი, რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, დღგ-ის გადამხდელად ითვლება ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას

პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ:

- ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის;
- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდებისა), იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე;
- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან/და ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს. პირი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მიწოდების განხორციელებამდე.

დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, მისი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო წესით არარეგისტრირებული პირის გამოვლენისას საგადასახადო ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს ამ პირის რეგისტრაციას დღგ-ის გადამხდელად. რეორგანიზაციისას, თუ პირი ან რეორგანიზაციის ერთი მხარე მაინც არის დღგ-ის გადამხდელი, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა. საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში დღგ-ის გადამხდელის მიერ შენატანის საქონლის ან/და მომსახურების ფორმით განხორციელებისას აღნიშნული საწარმო ვალდებულია რეგისტრაციაში გატარდეს დღგ-ის გადამხდელად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა. პირს, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, შეუძლია ნებაყოფლობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით.

პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება მის მიერ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში დაფიქსირებული თარიღიდან, მაგრამ არა უადრეს ნებაყოფლობით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღისა.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

- დასაბეგრი ოპერაცია.
- დასაბეგრი იმპორტი.
- დასაბეგრი დროებით შემოტანა.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

- საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება, მათ შორის, უსასყიდლოდ (გარდა, საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებული მიწოდებისა);
- დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა;
- გადამხდელის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება თავისი თანამშრომლებისათვის კომპენსაციით ან მის გარეშე;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული ან მისაღები აქვს ჩათვლა, განიხილება როგორც დღგ-ის დასაბეგრი მიწოდება;
- საქონლის ექსპორტი.
- ამხანაგობაში ქონებაზე უფლების (წილის) სანაცვლოდ ქონების რეგისტრაცია. აღნიშნულ შემთხვევაში ქონების რეგისტრაცია ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად.

დასაბეგრ ოპერაციად არ ჩაითვლება:

- აქტივების მიწოდება საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში;
- აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში;

საბრუნავი (მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული) დასაბრუნებელი ტარის ღირებულება არ შეიტანება გადასახადით დასაბეგრ თანხაში, გარდა საცალო ვაჭრობისა, სადაც დასაბეგრი ბრუნვა მცირდება იმ თანხით, რომელსაც გამყიდველი უხდის მომხმარებელს ტარის დაბრუნების დროს. თუ აღნიშნული ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი რეალიზებულად ჩაითვლება და დაიბეგრება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

დღგ-ის გადამხდელის მიერ საწარმოს ყველა აქტივის ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის არ ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ სახის პროდუქციის დამოუკიდებლად გამოშვების ან მომსახურების გაწევის საშუალებას იძლევა და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობა არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე.

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს.

დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ჯამი.

დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხული დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელი დღგ-ის თანხებს შორის.

აქციზის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში – თავის მიერ წარმოებულ საქონელზე;
- ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ იმპორტზე;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს – თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე;
- ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის – ასეთ მიწოდებაზე.
- ახორციელებს აქციზური საქონლის დროებით შემოტანას საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ დროებით შემოტანაზე.

დამკვეთის ნებლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

აქციზურ საქონელს განეკუთვნება:

- სპირტიანი სასმელები;
- ღუდი
- თამბაქოს ნაწარმი;
- მსუბუქი ავტომობილები;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსანტი და ბუნებრივი აირი, გარდა მილსადენისა;
- ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები;
- ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები;
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები;
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნებლის გარდა;
- მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი;
- საპოხი მასალები და საშუალებები;
- შავი ან/და ფერადი ლითონის ჯართის ექსპორტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:

- მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანა;
- მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნებლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;
- საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის;
- აქციზური საქონლის ექსპორტი;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის.

აქციზური საქონელი იბეგრება სხვადასხვა განაკვეთებით:

- სპირტიანი სასმელები 1 ლიტრი 1,30 ლარიდან 2,50 ლარამდე;
- ღუდი 1 ლიტრი 0,20 ლარი;
- თამბაქოს ნაწარმის იმპორტი: სიგარეტები - ერთი ღერი 0,20 ლარიდან 1 ლარამდე, ფილტრიანი სიგარეტი 1 კოლოფი - 20 ღერი - 0,60 ლარი, უფილტრო 1 კოლოფი - 20 ღერი - 0,15 ლარი და ა.შ;
- მსუბუქი ავტომობილები ძრავის მოცულობისა და წლოვანების მიხედვით 0,5 ლარიდან 1,5 ლარამდე;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსანტი და ბუნებრივი აირი 1000$მ^3$- 80 ლარი
- ნავთობის დისტილატები მსუბუქი - 1 ტონა 250 ლარი, საშუალო 1 ტონა220 ლარი, მძიმე 1 ტონა 150 ლარი;
- ზეთები და ქვანახშირის ფისისაგან მიღებული პროდუქტები 1 ტონა - 350 ლარი;
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 1 ტონა 120 ლარი;
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები, საპოხი მასალები და საშუალებები, 1 ტონა - 400 ლარი;
- შავი და ფერადი ჯართის ექსპორტი - 1 ტონა 80 ლარი.

საბაჟო გადასახადი. პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გააადგილებს საქონელს ითვლება საბაჟო გადასახადის გადამხდელად. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება1, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ის კანონმდებლობით არ არის გათავისუფლებული ამ გადასახადისაგან. საბაჟო გადასახადის 12 პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება 219 დასახელების საქონელი, ძირითადად კვების პროდუქტები, სხვადასხვა სამშენებლო მასალები და ტანსაცმელი. საბაჟო გადასახადის 5 პროცენტიანი განაკვეთით

იბეგრება 7 დასახელების საკვები პროდუქტები, - ხორცი ღორის, ახალი, გაცივებული ან გაყინული, ასევე ყველი და ხაჭო.
სპირტიანი სასმელები საბაჟო გადასახადით იბეგრება ერთი ჰექტოლიტრი (100 ლიტრი euro% vol / HL), რომლის თანახმად, დადგენილი საბაჟო გადასახადი ამ სასმელების მიხედვით არის 0,2 ევროდან 5 ევრომდე, რომელიც უნდა გამრავლდეს მოცემული საქონლის ალკოჰოლის პროცენტულ შემცველობაზე. მაგალითად, თუ ვისკის ალკოჰოლის შემცველობა არის
40 პროცენტი და საბაჟო გადასახადი დადგენილია 5 ევრო (40X5=200:100(1 ჰექტოლიტრი)= 2 ევროს 1 ლიტრზე).

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით იმპორტირებული საქონელი იბეგრება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე საბაჟო გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელის გადაიხდევინებოდა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტის) გაშვებისას.

საბაჟო გადასახადით მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი 2011 წლის 1 იანვრამდე იბეგრება საბაჟო გადასახადის 0,05 ლარი ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლოატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის. მაგალითად, თუ იმპორტირებული ავტომობილის ძრავის მოცულობა შეადგენს 3000 კუბურ სანტიმეტრს და ავტომობილი არის 10 წლის, საბაჟო გადასახადი შეადგენს 3000X 0,05=150 ლარი, რომლის 5 პროცენტი არის 7,5 ლარი, რომელიც უნდა გამრავლდეს 10 წელზე = 75 ლარს.

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში არა კომერციული დანიშნულებით შემოტანილი 500 ლარამდე ღირებულების კვების პროდუქტები, საერთო წონით არა უმეტეს 30 კგ-ისა. სხვა საქონელის 1000 ლარამდე ღირებულების (საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას 3000 ლარამდე) 50 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი. ასევე 200 ღერი სიგარეტის, 50 ცალი სიგარის, 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმისა და 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი. თუ პირი უცხოეთში იმყოფებოდა 6 თვეზე მეტი ხნით ეს თანხა იზრდება 15 000 ლარამდე. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელ პირს უფლება აქვს შემოიტანოს განუსაზღვრელი ოდენობისა და ღირებულების არა კომერციული დანიშნულების საქონელი, მათ შორის ავეჯი და ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება ოჯახზე.

ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

- საკუთრებაში ან ლიზინგით აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;
- კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა);
- ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს საწარმოსთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა და საქართველოს რეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

უცხოური საწარმოსთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ქონება (მათ შორის, იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება).

ორგანიზაციისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ფიზიკური პირისთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში (გარდა ლიზინგით გაცემულისა) არსებული ან ლიზინგით აღებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), დაუმთავრებელი მშენებლობა ან/და იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები.

ფიზიკური პირისთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), დაუმთავრებელი მშენებლობა ან/და იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები, აგრეთვე არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება ან/და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა და საქართველოს რეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული

საქართველოს ან უცხოური საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის ან/და ფიზიკური პირისთვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- საკუთრებაში არსებული მიწა;
- კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

დაბეგვრის ობიექტად განიხილება ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შესაბამისი ქონება.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

- 2000 წლამდე შესყიდულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე შესყიდულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- 2004 წელს შესყიდულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა შესყიდვის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – 3-ჯერ საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად მიიჩნევა აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, ხოლო გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ საბაზრო ფასის ოდენობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით. თუ დადგინდა, რომ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას, პირი ვალდებულია გადაიხადოს მოცემულ სხვაობაზე დარიცხული ქონების გადასახადი; ამასთანავე, პირს სხვაობაზე დარიცხული ქონების გადასახადის აღიარებამდე ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება და იგი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

ფიზიკური პირისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;
- 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის) ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშეით, 8 ლარიდან 57 ლარამდე, ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის 2 ლარიდან 8 ლარამდე

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის

გათვალისწინებით, განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით. ამასთანავე, ამ განაკვეთების ოდენობა შეიძლება იყოს შესაბამის საბაზისო განაკვეთზე არანაკლებ 50 პროცენტისა და არა უმეტეს 150 პროცენტისა.

თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს, აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაიბეგრება სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების შემთხვევაში კარგი ხარისხის მიწის ნაკვეთებისათვის, ხოლო ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების შემთხვევაში გაკულტურებული მიწის ნაკვეთებისათვის განსაზღვრული ქონების გადასახადის განაკვეთებით.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტებზე. ამასთანავე, ეს ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი, ხოლო სხვა დასაბეგრ ქონებაზე – საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

საგადასახადო კოდექსით დადგენილ ექვსივე სახის გადასახადზე დაწესებულია სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება შესაბამისი გადასახადისაგან.

საკონტროლო კითხვები:

1. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი;
2. საქართველოს საგადასახადო სისტემა;
3. საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის სახეები.

6.2. მსოფლიო ქვეყნების საგადასახადო სისტემები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია საგადასახადო სისტემის არსებობა. გადასახადები ყველა ქვეყანაში წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს. გადასახადების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ თავისი ფისკალური ფუნქციებისა და სხვა მიზნების და ამოცანების შესრულება.

საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სახელმწიფო აწესებს ეკონომიკის განვითარების დონის, მოსახლეობის სოციალურ-ყოფითი პირობების გათვალისწინებით გადასახადების სახეებს და განსაზღვარავს მის ოდენობას. ბევრი ქვეყანა გადასახადების რეგულირებით ქმნის ბიზნესში კონკურენტულ გარემოს, იცავს საზოგადოების საშუალო ფენის ინტერესებს, ახდენს საგადასახადო ტვირთის სამართლიან გადანაწილებას საშუალო და მცირე ბიზნესზე. სხვადასხვა სახის გადასახადებს აწესებს ფიზიკური პირებისათვის და კერძო კომპანიებისათვის. ბევრ ქვეყანაში შემოღებულია სამი დონის გადასახადები: - ცენტრალური (ფედერაციული), რეგიონალური და ადგილობრივი, რომლის მიხედვით დაწესებულია შესაბამისი დონის გადასახადის სახეები და განსაზღვრულია მისი ოდენობა.

სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს განსაზღვროს და დააწესოს ისეთი გადასახადები, რომლებიც იქნება სამართლიანი საზოგადოების ყველა ფენისათვის და ამავე დროს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ ფუნქციას. სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემის შესწავლა და შედარებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს სრულყოფილი გახდეს საქართველოს საგადასახადო სისტემა, რითაც დაცული იქნება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოების ინტერესები.[1]

დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემა. ამ ქვეყანაში დღესათვის არსებული საგადასახადო სისტემა ძირითადად ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში. შემდეგ რეფორმები განხორციელდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში (1965, 1973 და 1990-იან წლებში).

ქვეყანაში დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივი და დაგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც არის დიფერენცირებული და 2500 გირვანქა სტერლინგამდე შემოსავალის გადასახადი შეადგენს 20%-ს, 2500-დან 23700-მდე 25%-ს და 23700 გირვანქა სტერლინგზე ზევით 40%-ს.

სახელმწიფო შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს აგრეთვე კორპორაციათა მოგების გადასახადი, რომელიც წელიწადში 250000 გირვანქა სტერლინგამდე მოგებით შეადგენს 25%-ს და ამ თანხაზე მეტი მოგებით კი 33%-ს. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება აგრეთვე გადასახადები მემკვიდრეობისათვის, რომელიც გათავისუფლებულია და არ იბეგრება 150000 გირვანქა სტერლინგამდე, ამ თანხის ზევით კი გადასახადი შეადგენს 40%-ს.

ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადები – დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადი. დღგ ბრიტანეთში შეადგენს 17,5%-ს. ამასთან ცალკეული სახის მომსახურეობა ან ცალკეული სახის საქონლის იმპორტი იბეგრება შეღარებით დღგ-ის დაბალი განაკვეთებით. აქციზის გადასახადით იბეგრება ალკოჰოლიანი სასმელები, საწვავი, თამბაქოს ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები. ამ სახის გადასახადი დიფერენცირებულია და შეადგენს საქონლის სახეობის მიხედვით 10%-დან 30%-მდე. არაპირდაპირ გადასახადს მიეკუთვნება აგრეთვე საგერბო მოსაკრებელი, რომელიც გადაიხდევინება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმებისას და მისი ოდენობა შეადგენს 0,5%-დან 27%-მდე.

ადგილობრივი გადასახადის ძირითად სახეს წარმოადგენს ქონების გადასახადი, სულადობრივი გადასახადი და სხვა სახის გადასახადები, რომელთა სახესა და მათ განაკვეთებს ადგენენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით და ის განსხვავდება სხვადასხვა საგრაფოებში და ქალაქებში.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემები. პირველად მსოფლიოში დამატებული ღირებულების გადასახადი შემოღებული იქნა საფრანგეთში 1954 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს საგადასახადო შემოსავლები. დანარჩენი 9,85% კი მოდის არასაგადასახადო შემოსავლებზე. საგადასახადო სისტემა საფრანგეთში რეგულირდება საგადასახადო კოდექსით, რომლის თანახმად ცენტრალურ ანუ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება დამატებული ღირებულების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი საწარმოებიდან, აქციზი და გადასახადები ნავთობპროდუქტებზე. დამატებული ღირებულების გადასახადი საფრანგეთში დიფერენცირებულია, ძირითადი სტანდარტული განაკვეთია 18,6%, ავტომობილები, თამბაქოს ნაწარმი, ძვერფასი ბეწვეული, კინო-ფოტო საქონელი და პარფიუმერული ნაწარმი იბეგრება 22%-ით გაზრდილი დღგ-ს განაკვეთით. დაბალი 7% და 5,5%-იანი განაკვეთით იბეგრება წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და პირველადი მოხმარების საქონელი, მათ შორის სანახაობრივი ღონისძიებები, სადილები საწარმოს მუშაკებისათვის, კვების პროდუქტები, გარდა შოკოლადისა და სპირტიანი სასმელებისა. დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ცალკეული საქმიანობა და ასევე ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა წინა საფინანსო წელს არ აღემატებოდა 70 ათას ფრანკს.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტია ოჯახი. შემოსავლებში შედის ხელფასი, პრემია, ჯილდოები, პენსია, შემოსავალი მოძრავი ქონებიდან, მიწის სარგებლობის, კომერციული და არაკომერციული საქმიანობიდან და სხვა. იზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დიფერენცირებულია. 22210 ფრანკამდე შემოსავალი არ იბეგრება. 22210-დან 48570-მდე იბეგრება 12%-იანი განაკვეთით, 48751-დან 85480-მდეიბეგრება 25 პროცენტით, 85481-დან 138410-მდე იბეგრება 35%-ით, 138411-დან 225210-მდე იბეგრება 45%-ით. 225211-დან 277730-მდე იბეგრება 50%-ით. ამ თანხის ზემოთ კი 56,8%-ით.[11]

საფარანგეთის კანონმდებლობის თანახმად საწარმოთა გადასახადით იბეგრება მხოლოდ სააქციო საზოგადოებები, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული საწარმოები იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით იმ წესით, რომელიც დადგენილია ფიზიკური პირებისათვის. საწარმოთა გადასახადის განაკვეთი შეადგენს 8,5%-ს დამოკიდებულია წლიური მოგების გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში თუ მოგება გამოიყენება საწარმოს განვითარებისათვის იბეგრება 39%-იანი განაკვეთით, ხოლო თუ საწარმოს მოგება გაიცემა დივიდენდების სახით, მაშინ ის იბეგრება 42%-ით. ამავე დროს პირველი ორი წლის მანძილზე საწარმო გათავისუფლებულია ამ სახის გადასახადისაგან, მესამე წელს იბეგრება მოგების 25%-იანი განაკვეთით, მეოთხე წელს იბეგრება 50%-ით, მეხუთე წელს 75%-ით და მხოლოდ მეექვსე წლიდან იბეგრება 100%-იანი განაკვეთით.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ღუდი, მინერალური წყლები, საავტომობილო ტრანსპორტი, საფრენი აპარატები და სხვა. აქციზის განაკვეთები არის დიფერენცირებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან შემოსავლებს წარმოადგენს ასევე ნავთობპროდუქტების გადასახადი და საკუთრების გადასახადი, მათ შორის მოძრავი და უძრავი ქონებისა. შაწარმოები და კომპანიები აგრეთვე იხდიან ავტოსატრანსპორტო საშუალებების

[11] ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე. – საგადასახადო საქმე, თბილისი 2007 წელი

გადასახადს, რაც დამოკიდებულია ავტომობილების რიცხოვნებაზე და ძრავის სიმძლავრეზე. დამქირავებლები ასევე იხდიან სოციალურ გადასახადს, რომელიც 35900 ფრანკამდე შეადგენს 4,5%-ს, 35901-დან 7170-მდე 8,5%-ს და ამ თანხის ზევით 13,6%.

ადგილობრივ გადასახადებში შედის სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი, შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადი და პროფესიული გადასახადი, რომელთაც ადგენენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ფარგლებში.

ადგილობრივი ამ გადასახდების გარდა ადგილობრივ ორგანოებს – გენერალურ და მუნიციპალურ საბჭოებს შეუძლიათ დაადგინონ სხვა სახის გადასახადებიც, მაგალითად დასუფთავების, წიაღისეულის მოპოვებაზე, მშენებლობისა და სხვა სახის.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილია საჯარიმო სანქციების გამოყენება. დარღვევის გამოვლენის პირველ შემთხვევაში გადამხდელს წერილობით აფრთხილებენ და უწესებენ 30 დღეს გადაუხდელი გადასახადის გადასახდელად. თუ ამ დადგენილ ვადაში ეს თანხა არ იქნა გადახდილი კიდევ აძლევენ დამატებით 30 დღეს. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი იყენებენ მკაცრ სანქციებს. დეკლარაციაში შემოსავლების განზრახ შემცირებისათვის დაწესებულია გადასახადის გადახდა და ჯარიმა იმავე ოდენობით.

ამერიკის შეერთებული შტატების გადასახადები. შაგადასახადო სისტემის ფორმირებას აშშ-ში საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნეში. გასული საუკუნის 80-იან წლებში გატარებული რეფორმის შედეგად მოხდა გადასახადების ლებერალიზაცია. საგადასახადო სისტემა აშშ-ში არის სამსაფეხურიანი და შედგება ფედერალური გადასახადებისაგან, შტატებისა და ადგილობრივი გადასახადებისაგან.

ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 41% მოდის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებზე, რომელიც ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 980 მილიარდზე მეტ დოლლარს. იზიკური პირები იხდიან სამივე დონის ე.წ. პარალელურ საშემოსავლო გადასახდს, როგორც ფედერალურ, ასევე შტატებისა და ადგილობრივ ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადები დიფერენცირებულია და პროგრესული შკალა მოქმედებს. ოჯახის შემადგენლობის მმიხედვით დაწესებულია შემდეგი საგადასახადო განაკვეთი.

- შეუღლებული წყვილის ერთობლივ შემოსავლებზე;
- შეუღლებული წყვილის ცალკე აღებულ შემოსავლებზე;
- მარტოხელა პირის შემოსავლებზე.

ფიზიკური პირი რომელ ჩამოთვლილ კატეგორიას ეკუთვნის და იმის მიხედვით, თუ რა ოდენობის შემოსავალს იღებს, დადგენილია 4 სახის განაკვეთი 1, 28, 33 და 38 პროცენტი. დაუბეგრავი საშემოსავლო მინიმუმი ცვალებადია და ბოლო წლებში 20000 დოლარის ფარგლებში მერყეობს.
ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია გადასახადებს სოციალური დაზღვევის ფონდებში ანუ სოციალურ ანარიცხებს, რომელსაც სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იხდიან, როგორც დამქირავებლები, ასევე დაქირავებულებიც თითქმის თანაბარწილად. შოციალური ანარიცხების ოდენობა იცვლება ყოველწლიურად ბიუჯეტის ფორმირებისას და შეადგენს ხელფასის ფონდის 12-15%-ს. შემოსული თანხები ირიცხება ფედერალურ საპენსიო ფონდში და უმუშევრობის ფედერალურ-საშტატო სადაზღვევო ფონდში.

კორპორაციათა მოგების გადასახადი ასევე დიფერენცირებულია და მოგების მიხედვით პროგრესიულ ხასიათს ატარებს, დადგენილია შემოსავლების მიხედვით 15, 25 და 34 პროცენტიანი განაკვეთები. კორპორაციათა მოგების გადასახადი გადაიხდევინება, როგორც ფედერალურ, ასევე შტატებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

აქციზის გადასახადი დაწესებულია სამივე დონის გადასახადზე და მისი გადახდა ხდება თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლიან სასმელებზე, ნავთობპროდუქტებზე, საიუველირო ნაწარმზე, ბეწვეულზე, გადაზიდვების მომსახურეობაზე, ძვირფას ავტომობილებზე, კერძო თვითმფრინავებზე და სხვა საქონელსა და მომსახურეობაზე. აქციზის გადასახადი არის როგორც ფიქსირებული, მაგალითად 12,5 დოლარი 1 გალონ სპირტიან სასმელზე, ლუდზე ერთ ბარელზე 9 დოლარი, ბენზინზე 9 ცენტი გალონზე, სიგარეტზე ხარისხის გათვალისწინებით 8 ან 10,8 დოლარი 1000 ღერზე, ასევე დადგენილია პროცენტებით გადასახადები მომსახურეობის თანხაზე – სატელეფონო მომსახურეობაზე 3%, სამგზავრო ავიახაზებზე მომსახურეობის ღირებულების 8% და ა.შ.

აშშ-ის კანონმდებლობით აგრეთვე დაწესებულია გადასახადები მემკვიდრეობისა და ქონების ჩუქებისათვის. მემკვიდრეობის ნათესაური კავშირისა და ქონების ღირებულების გათვალისწინებით იბეგრება პროგრესული მეთოდით და შეადგენს 18-დან 50 პროცენტს. დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს 10 ათას დოლარს. თუ მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება შეადგენს 2,5 მილიონ დოლარზე მეტს, იბეგრება 50%-იანი განაკვეთით.

გარდა ჩამოთვლილი გადასახდის სახეებისა შტატების გადასახადს მიეკუთვნება გაყიდვიდან გადასახადი, ავტოსატრანსპორტო მესაკუთრეთა გადასახადი და ქონების გადასახადი, რომლის

განაკვეთები ყველა შტატში განსხვავებულია, მაგალითად ნიუ-იორკში გაყიდვის გადასახადი შეადგენს 8,25%-ს, სხვა შტატებში კი 3-დან 7%-მდე მერყეობს.

ადგილობრივი გადასახადები დაწესებულია ქალაქებში, მათ შორისაა სასტუმროთა ბრუნვის გადასახადი, რომელიც შეადგენს 5%-ს. კომუნალური მომსახურეობის (დენი, გაზი, ტელეფონი) 3%, გარიგებაზე ანუ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე 0,25%. ზოგიერთ ქალაქებში დაწესებულია აგრეთვე ეკოლოგიის, საქმიანი აქტივობის გადასახადები და სხვა.

იაპონიის საგადასახადო სისტემები. საგადასახადო რეფორმა იაპონიაში განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სხვა ქვეყნებთან შედარებით ის მრავალსახეობით ხასიათდება. ქვეყანაში დაწესებულია 25 საერთო-სახელმწიფოებრივი და 30 ადგილობრივი გადასახადები, რომლებიც დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად:

- ფიზიკური და იურიდიული პირების პირდაპირი საშემოსავლო გადასახადები;
- პირდაპირი გადასახადები;
- პირდაპირი და ირიბი სამომხმარებლო გადასახადები.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 56% შეადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პირდაპირი საშემოსავლო გადასახადი. ყველა საწარმო და ორგანიზაცია თავისი მოგების დაახლოებით 40%-ს იხდიან, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე პრეფექტურისა და საქალაქო, რაიონულ, სადაბო ბიუჯეტში. მცირე საწარმოებისათვის, რომელთა მოგება არ აღემატება 8 მილიონ იენს მოქმედებს შეღავათიანი რეჟიმი და განაკვეთი შეადგენს 28%-ს.

ფიზიკური პირებისათვის დაწესებულია დიფერენცირებული და პროგრესული სისტემის ხუთგანაკვეთიანი – 10, 20, 30, 40, და 50%-იანი გადასახდი, რომელიც ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამავე დროს დადგენილია აგრეთვე პრეფექტურის საშემოსავლო 5, 10 და 15%-იანი გადასახადი. დაწესებულია აგრეთვე ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც იხდის ყველა ფიზიკური პირი 3200 იენის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლებების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის ქონების გადასახადზე, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ის ერთიანი და შეადგენს ქონების ღირებულების 1,4%-ს. ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უძრავი ქონება მიწის ჩათვლით, ფასიანი ქაღალდები, პროცენტები საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლები და საკუთრებაში არსებული სხვა ქონება. გადასახადის შემდეგ სახეს წარმოადგენს სამომხმარებლო საქონლის გაყიდვის გადასახადი, რომლის განაკვეთი შეადგენს 3%-ს. მნიშვნელოვან საბიუჯეტო შემოსავლებს განეკუთვნება აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებზე, ბუნებრივ აირზე და თხევად გაზე, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურეობაზე, სპირტიან სასმელებზე და ლუდზე. გადასახადების სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი აქვს დათმობილი ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი იაპონიაში შემოღებული იქნა 1989 წელს, რომლის დაბეგვრის ობიექტს შეადგენს საქონლის რეალიზაცია და მომსახურების გაწევა. დღგ-ს განაკვეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია და შეადგენს 5%-ს. დღგ-საგან განთავისუფლებულია მიწის რეალიზაცია და სხვადასხვა მომსახურების გაწევა.

ჩინეთის საგადასახადო სისტემა. ღოგორც ცნობილია, სხვა ქვეყნებისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ვითარდება ჩინეთის ეკონომიკა.

1999 წელს ქვეყნის უმაღლეს კანონში – კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით ეკონომიკურ ურთიერთობებში დაინერგა საბაზრო მექანიზმები. ნიშანდობლივია, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში დაკანონდა კერძო სექტორი და ქვეყანაში გამოცხადდა – საბაზრო ურთიერთობების სოციალიზმის მშენებლობა ჩინური სპეციფიკით, რაც ითვალისწინებს კერძო საწარმოთა განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ერთობლივი საწარმოების დაფუძნებას, სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნას და ღია საბაზრო ეკონომიკის სხვა ელემენტების დამკვიდრებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაწესებულია 21 სახის სხვადასხვა გადასახადები და ანარიცხები, რომელიც შედის სხვადასხვა ფონდებში.

გადასახადის მნიშვნელოვან სახეს განეკუთვნება საწარმოთა მოგების გადასახადი, რომელიც ირიცხება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე ადგილობრივ ბიუჯეტში. საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 30%-ს, ადგილობრივი კი საგრძნობლად დაბალია და შეადგენს 3%-ს. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში, რომელიც შექმნილია 3 პროვინციასა და 14 ქალაქში ცენტარლური ბიუჯეტის საწარმოთა მოგების გადასახადი შემცირებულია 50%-ით და შეადგენს 15%-ს.

საგადასახადო შეღავათებია დაწესებული აგრეთვე უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ სანაპირო და ღია ეკონომიკურ რეგიონებში. მათთვის დაწესებულია საწარმოთა მოგების გადასახადის 24%-იანი განაკვეთი.

ფიზიკურ პირთა შემოსავალი დიფერენცირებული და პროგრესირებულია. ის საკმაოდ რთულია და შედგება 9 დონისაგან. შემოსავლების ოდენობის მიხედვით დადგენილია გადასახადის განაკვეთები 5-დან 34%-მდე.

დამატებული ღირებულების გადასახადი ქვეყანაში შედარებით დაბალია და შეადგენს 17%-ს, მაგრამ დაბეგვრის ობიექტს შეადგენს წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპი, რაც ფაქტიურად აკანონებს ირიბი, არაპირდაპირი გადასახადებით ორმაგ დაბეგვრას და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილ მსოფლიო პრაქტიკასთან.

აქციზის გადასახადი დიფერენცირებულია და დადგენილია 3-დან 50%-მდე. აქციზურ საქონელს მიეკუთვნება ნავთობპროდუქტები, თამბაქოს ნაწარმი, საიუველირო ნაკეთობანი, ალკოჰოლური სასმელები, კოსმეტიკა, მსუბუქი ავტომობილები და ფუფუნების სხვა საქონელი.

ისეთი არასამეწარმეო საქმიანობა , როგორიცაა დაზღვევა, კულტურული, სპორტული, სასტუმროები, რესტორნები, გასართობი ღონისძიებები, ტურიზმი, საფოსტო მომსახურეობა, ფინანსური ოპერაციები, უძრავი ქონების რეალიზაცია და სხვა მომსახურეობის სფეროები იბეგრება სამეწარმეო საქმიანობის გადასახადით, რომლის დონეობა შეადგენს 5-დან 20%-მდე.

განსაკუთრებით მკაცრია სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობა საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. სანქციები შეადგენს გადასახდელი თანხის ხუთმაგ ოდენობას, ლიცენზიის ჩამორთმევას, კონფისკაციას. განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის დამალვისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რომელიც ბოლო წლებში გამოყენებული იქნა განაჩენის სისრულეში მოყვანით რამოდენიმე ათეული პირის მიმართ.

გერმანიის საგადასახადო სისტემები. ამ ქვეყნის საგადასახადო სისტემა შედარებით რთულია და შედგება 38 სახის ძირითადი გადასახადისაგან. ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად დაწესებულია ფედერალური გადასახადები, ფედერალური მიწის გადასახადები და ადგილობრივი გადასახადები.

საშემოსავლო გადასახადი გერმანიაში დიფერენცირებულია და პროგრესულად 19-დან 53%-მდე იზრდება შემოსავლების მიხედვით. ყოველთვიურად დაუბეგრავი მინიმუმ მარტოხელა გადამხდელისათვის შეადგენს 1536 ევროს, ოჯახური წყვილისათვის კი 3072 ევროს. 64 წლის ასაკს მიღწეული პირისათვის დაწესებულია შეღავათი და დაუბეგრავი მინიმუმ მათთვის გაზრდილია და ყოველთვიურად შეადგენს 3700 ევროს. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ყველა სახის შემოსავლები, ხელფასი, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, მათ შორის დივიდენდები, კაპიტალიდან მიღებული პროცენტები, ასევე ფულადი ანაბრებიდან, სადაზღვევო კომპანიებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლები, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმიანობიდან, ქონების გაქირავებიდან და სხვა სახის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

კორპორაციათა მოგების გადასახადი ასევე დიფერენცირებულია. იმ შემთხვევაში, თუ მოგება გაიცემა დივიდენდების სახით გადასახადის განაკვეთი შეადგენს 36%-ს, ხოლო თუ არ ნაწილდება 50%-ს. დივიდენდი ასევე იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. დაწესებულია ასევე სარეწაო გადასახადი, რომლის გადამხდელებია ფიზიკური და იურიდიული პირები, ამხანაგობები, რომლებიც ეწევიან სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სახის საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. სარეწაო საგადასახადო შემოსავლები ირიცხება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ბიუჯეტში და წარმოადგენს მისი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს. სარეწაო გადასახადების ოდენობა დგინდება ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებისა და კომპანიის კაპიტალის ანუ ძირითადი ფონდების გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთების და მასზე განლაგებული უძრავი ქონების, შენობა-ნაგებობების გადასახადი ირიცხება აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტში. გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია ფერმერის ფინანსურ შედეგებსა დამ ის მიერ მიღებულ შემოსავლებზე, სტანდარტული განაკვეთი შეადგენს 1,2%-ს.

ფიზიკური პირების პირად საკუთრებაში არსებული და კომპანიების უძრავი ქონება ასევე იბეგრება ქონების გადასახადით. ქონების გადასახადი სხვადასხვა ქონების ღირებულებიდან გამომდინარე, საწარმოთა ქონების გადასახადის განაკვეთი კი შეადგენს 0,6%-ს. ქონების გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს 70000 ევროს, ოჯახური წყვილისათვის ორჯერ მეტია და შესაბამისად არის 14000 ევრო. ამასთან ყოველ ბავშვზე გათვალისწინებულია შეღავათები 70000 ევროს ოდენობით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის სტანდარტული განაკვეთი შეადგენს 16%-ს, ამავე დროს დღგ-ს შეღავათიანი 7%-იანი განაკვეთით იბეგრება წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და კვების პროდუქტები. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს საქონლის, სამუშაოს და მომსახურეობის რეალიზაცია ყველა სტადიაზე საბოლოო მომხმარებლამდე. დღგ-ს გადასახადისაგან თავისუფლდებიან ის მეწარმეები, რომელთა გასული წლის წლიური ბრუნვა არ აღემატებოდა 20

ათას ევროს და მიმდინარე წელს არ აჭარბებს 100 ათას ევროს, ასეთი პირები დღგ-ს ნაცვლად იხდიან საშემოსავლო გადასახადს.

ცენტრალური ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აქციზის გადასახდი მმინერალურ ზეთებზე, თამბაქოს ნაწარმზე და სხვა აქციზურ საქონელზე. გამონაკლისს წარმოადგენს ლუდზე დაწესებული აქციზის გადასახადი, რომელიც ირიცხება ადგილობრივ, მიწის ბიუჯეტში.

მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული ქონებაზე გადასახდების ოდენობა დადგენილია 3%-დან 70%-მდე. ის დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მიღებული ქონების ღირებულებაზე.

სოციალური ანარიცხები შეადგენს სახელფასო ფონდის 6,8%-ს, რომელსაც თანაბარწილად იხდიან დამქირავებლები და დაქირავებულები ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების გაცემისთანავე.

რუსეთის ფედერაციის საგადასახადო სისტემები. გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას რუსეთის ფედერაციაში საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. 1991 წელს მიღებული იქნა კანონები ბიუჯეტის საფუძვლების მოწყობუსა და საბიუჯეტო პროცესების შესახებ, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ, დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებითაც დაწესებული იქნა სხვადასხვა სახის გადასახადები, მათი განაკვეთები, გადახდისა და ადმინისტრირების წესები.[10]

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან გადაიხადონ კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები. საგადასახადო კანონმდებლობა შედგება ფედერალური ნორმატიული აქტების, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ნორმატიული აქტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული საგადასახადო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისაგან.

რუსეთის ფედერაციაში დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიღებულია ნაწილ-ნაწილ თავების მიხედვით 1998-1999 წლებში. 1998 წლის 31 ივლისს მიღებული იქნა საგადასახადო კოდექსის პირველი ზოგადი ნაწილი, რომელიც ამოქმედდა1999 წლის 1 იანვრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საგადასახადო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სიმრავლისა, ისინი ხასიათდებიან გარკვეული სტაბილურობით. რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსის თანახმად ფედერალური კანონი, რომელიც აწესებს ახალ გადასახადებს და მოსაკრებლებს ძალაში შედის მხოლოდ მომავალი წლის 1 იანვრიდან და არა უადრეს 1 თვისა მისი გამოქვეყნების დღიდან. რუსეთის ფედერაციაში საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებულია 16 ფედერალური გადასახადი და მოსაკრებელი, 7 რეგიონალური (ფედერაციის სუბიექტების) და 5 ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები.[12]

[10] 1991-1998 წლებში რუსეთის ფედერაციაში მიღებული იქნა 1000-ზე მეტი გადასახადების მარეგულირებელი ნორმატიული აქტი. მათ შორისაა მხოლოდ 20 კანონი, 100-ზე მეტი პრეზიდენტის ბრძანებულება, 100-ზე მეტი მთავრობის დადგენილება და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

რუსეთის ფედერაციის საგადასახადო სისტემა[11]

ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები	რეგიონალური გადასახადები და მოსაკრებლები	დგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები
1. დამატებული ღირებულების გადასახადი 2. აქციზი 3. ორგანიზაციების მოგების (შემოსავალი) გადასახადი 4. მოგების გადასახადი კაპიტალზე 5. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი 6. შენატანი სახელმწიფო სოციალურ არასაბიუჯეტო ფონდში 7. სახელმწიფო ბაჟი 8. საბაჟო ბაჟი და მოსაკრებელი 9. ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი 10. მინერალური ნედლეულის გადასახადი 11. ნახშირწყალბადების მოპოვების დამატებული შემოსავლის გადასახადი 12. გარეული ცხოველების სამყაროსა და წყლის ბიოლოგიური რესურსების გამოყენების უფლების მოსაკრებელი 13. ტყის გადასახადი 14. წყლის გადასახადი 15. ეკოლოგიური გადასახადი 16. ფედერალური სალიცენზიო მოსაკრებელი	1. საწარმოთა ქონების გადასახადი 2. უძრავი ქონების გადასახადი 3. საგზაო გადასახადი 4. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი 5. მიწოდების (რეალიზაციის) გადასახადი 6. სათამაშო ბიზნესის გადასახადი 7. რეგიონალური სალიცენზიო მოსაკრებელი	1. მიწის გადასახადი 2. ფიზიკური პირის ქონების გადასახადი 3. რეკლამის გადასახადი 4. მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი 5. ადგილობრივი სალიცენზიო მოსაკრებელი

გადამხდელების მიხედვით გადასახადები პირობითად დაყოფილია სამ ჯგუფად:

- გადასახადები, რომლის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები;
- გადასახადები, რომელსაც იხდიან იურიდიული პირები;
- გადასახადები, რომლებსაც იხდიან, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები;

ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი ერთიანია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. შემოსავლების წყაროსა და ოდენობის მიხედვით დადგენილია 13%-იანი, 30%-იანი და 35%-იანიგანაკვეთები. კანონმდებლობით გადასახადებისაგან გათავისუფლებულია ისეთი შემოსავლები, რომლითაც დაფინანსდა თვითონ გადამხდელის განათლება და მისი ბავშვის განათლება სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე წამლებისა და მკურნალობის, როგორც პირადი ხარჯები, აგრეთვე ოჯახის წევრების მკურნალობის ხარჯები და [13]სხვაშემოსავლები რეალიზაციიდან, მათ შორის უძრავი ქონებიდან, საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ხარჯები და ა.შ.

ფიზიკური პირის ქონება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი, ბინები მრავალსართულიან სახლებში, აგარაკი, ავტოფარეხი, ავტომობილები, ნავები იბეგრებიან გადასახადით მათი ღირებულებისა და ფიზიკური პირის ისეთი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორიცაა ინვალიდობა, საპენსიო ასაკი, განსაკუთრებული დამსახურება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

გადასახადებით იბეგრება აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული ქონება. გათავისუფლებულია მემკვიდრეობით მიღებული ქონება, თუ მისი ღირებულება არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 850 მინიმალურ შრომის ანაზღაურებას და 80 მინიმალურ შრომის ანაზღაურებას ქონების ჩუქებისას. გადასახადების ოდენობა დამოკიდებულია მემკვიდრეობის რიგზე.

იურიდიული პირებისათვის დადგენილია მოგების გადასახადი, ორგანიზაციის ქონების გადასახადი და გადასახადი ფასიანი ქაღალდების ოპერაციებისათვის.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის დაწესებული დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზის გადასახადი, საგზაო გადასახადი, ქონების რეალიზაციის გადასახადი, მიწის გადასახადი, სოციალური გადასახადი, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებების გადასახადი და სხვა ცხრილშიმოყვანილი ფედერალური, რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგადასახადო სისტემები. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიღებულია 2000 წლის 11 ივლისს. კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად ქვეყნის საგადასახადო სისტემა არის სამდონიანნი და შედგება სახელმწიფო გადასახადისაგან, ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადისაგან და ადგილობრივი (მუნიციპალური) გადასახადებისაგან.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი;
- იურიდიული პირების მოგების გადასახადი გარდა იმ იურიდიული პირებისა, რომლებიც შედიან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- იურიდიული პირების ქონების გადასახადი;
- იურიდიული პირის მიწის გადასახადი;
- საგზაო გადასახადი;
- სარეწაო გადასახადი;
- გამარტივებული გადასახადი.

ყველა ჩამოთვლილი სახელმწიფო გადასახადი, რომელიც იკრიბება ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, წარმოადგენს მეორე დონის, ანუ ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადს.

ადგილობრივი მუნიციპალური გადასახადია:

- ფიზიკური პირის მიწის გადასახადი;
- ფიზიკური პირის ქონების გადასახადი;
- ადგილობრივი დანიშნულების (წარმოშობის) სამშენებლო მასალების სარეწაო გადასახადი;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორგანიზაციების მოგების გადასახადი.

[11] ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 476-539

ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან, რეზიდენტები და არარეზიდენტები. ღეზიდენტების შემოსავლები იბეგრება, რომლებიც მიღებულია, როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ასევე საზღვარგარეთ. არარეზიდენტები კი იბეგრებიან მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიღებული შემოსავლებიდან.

ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი დამოკიდებულია შემოსავლის ოდენობაზე. იზიკური პირის ყოველთვიური შემოსავლები ათასი აზერბაიჯანის მანათამდე შეადგენს 14%-ით, ამ თანხის ზემოთ კი 140 მანათს პლიუს 35%. იზიკური პირის ყოველწლიური შემოსავლები თორმეტი ათას მანათზე ნაკლები თანხით 14%-ით იბეგრება. ამ თანხის ზემოთ კი 1680 მანათს პლიუს 35%.

საგადასახადო კოდექსით დადაგენილია ფიზიკური პირის 70-მდე სხვადასხვა შემოსავლების გათავისუფლება ან შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გამოყენება. მათ შორის საშემოსავლო გადასახადებით გათავისუფლებულია იმ პირების მეუღლეებსა და შვილების შემოსავლები, რომლებიც დაიღუპნენ 1990 წლის 30 იანვარს საბჭოთა კავშირის ჯარების შემოსევისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის დროს, აგრეთვე ავღანეთისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებში მონაწილე პირების შემოსავლები. მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ აგრეთვე სამსედრო მოსამსახურეები.

იურიდიული პირების მოგების გადასახადი იბეგრება 22%-იანი განაკვეთით. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებია მეწარმე სუბიექტები, რომელთა წინა სამი თვის ღღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია აღემატება 22500 პირობითი ფინანსური ერთეულის ოდენობას. ღღგ-ს განაკვეთი ერთიანია და შეადგენს 18%-ს.

აქციზურ საქონელს მიეკუთვნება ლუდი, სასმელი სპირტი და სხვა სპირტიანი სასმელები, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმი და ნავთობპროდუქტები. ყოველ ლიტრ სპირტიან სასმელებზე დაწესებულია სხვადასხვა ფიქსირებული გადასახადი. თამბაოქოს ნაწარმი იბეგრება აქციზის 12,5%-იანი განაკვეთით.

კანონის თანახმად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული ნავთობპროდუქტების აქციზის განაკვეთები დგინდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

ქონებისა და მიწის გადასახადი დიფერენცირებულია და სხვადასხვა ქონების ღირებულების, მიწის ფართობისა და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. საგზაო გადასახადის ოდენობა აგრეთვე დამოკიდებულია ავტომობილის დანიშნულებაზე (სამგზავრო, სატვირთო) ავტომობილის ტვირთამწეობაზე მგზავრების ადგილის რაოდენობაზე და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების ყოფნის დროზე.

სარეწაო გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია სასარგებლო წიაღისეულის სახეზე. მაგალითად ნედლ ნავთობზე დადგენილია მისი ღირებულების 26%, ბუნებრივ გაზე 20%, მიწისქვეშა სასარგებლო წიაღისეულზე (მეტალი) 3% და ა.შ.

ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობის იურიდიული პირის ჩამოუყალიბებლად და ასევე იურიდიული პირები, რომელთა წინა სამი თვის შემოსავლები არ აღემატება 12500 პირობით ფინანსურ ერთეულს, იხდიან დამატებული ღირებულების გამარტივებულ გადასახადს, რომელიც გადაიხდევინება წერილობითი დეკლარაციის წარდგენით წელიწადში ერთხელ მომდევნო წლის 20 აპრილამდე.

კანონმდებლობით აკრძალულია ცალკეულ საქმიანობაზე (აქციზური საქონლის წარმოება, საკრედიტო, სადაზღვევო ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და სხვა) გამარტივებული გადასახადების გამოყენება.

უკრაინის საგადასახადო სისტემები. უკრაინის რესპუბლიკაში დაწესებულია 17 საერთო-სახელმწიფოებრივი და 16 ადგილობრივი გადასახადი.[12]

საერთო-სახელმწიფო ღონის გადასახადებს მიეკუთვნება:

- დამატებული ღირებულების გადასახადი (ღღგ);
- აქციზური მოსაკრებელი;
- საწარმოთა მოგების გადასახადი;
- ფიზიკური პირის შემოსავალზე გადასახადი;
- საბაჟო გადასახადი;
- სახელმწიფო ბაჟი;
- გადასახადი უძრავ ქონებაზე;
- მიწის გადასახადი;
- სარემონტო გადასახდელი;
- ტრანსპორტის მესაკუთრეთა გადასახადი;
- სარეწაო გადასახადი;

- მოსაკრებელი გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებზე, რომელიც სრულდება ბიუჯეტის სახსრებით;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სპეციალურ გამოყენებაზე;
- მოსაკრებელი გარემოს დაბინძურებაზე;
- მოსაკრებელი სავალდებულო სპეციალურ დაზღვევაზე;
- მოსაკრებელი სახელმწიფო საინოვაციო ფონდში;

ადგილობრივ გადასახდებს და მოსაკრებლებს მიეკუთვნება:

- რეკლამის გადასახადი;
- კომუნალური გადასახადი;
- სასტუმროს გადასახადი;
- მოსაკრებელი ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის;
- საბაზრო მოსაკრებელი;
- საკურორტო მოსაკრებელი;[14]
- მოსაკრებელი იპოდრომზე რბოლებში მონაწილეობისათვის;[15]
- მოსაკრებელი იპოდრომზე რბოლებში გამარჯვებისათვის;
- მოსაკრებელი იმ პირებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ იპოდრომზე სატოტალიზატორო თამაშში.
- მოსაკრებელი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;
- მოსაკრებელი ადგილობრივი აუქციონის, საკონკურსო გაყიდვების და ლატარიის ჩატარებისათვის;
- მოსაკრებელი სასაზღვრო ტერიტორიაზე უცხოეთში მომავალი ავტოტრანსპორტის მიმოსვლისათვის;
- მოსაკრებელი ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტების განთავსების ნებართვის გაცემისათვის;
- მოსაკრებელი ძაღლის მფლობელებზე.

ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი, საწარმოთა მოგების გადასახადი და აქციზური მოსაკრებელი აქციზურ საქონელზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი უკრაინაში შემოღებული იქნა 1992 წელს, რომლის დაბეგვრის ობიექტია საქონლის რეალიზაციასთან, სამუშაოსა და მომსახურეობის შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლებიც ახორციელებენ დასაბეგრ ოპერაციებს ვალდებულია გატარდეს დღგ-ს გადამხდელად თუ მისი წლიური შემოსავალი (გაყიდული საქონლის, სამუშაოს, მომსახურეობის მოცულობა) აღემატება 3600 აშშ დოლარს. კანონმდებლობით დადგენილია ასევე ნებაყოფლობითი რეგისტრაცია. იმ შემთხვევაშიც თუ პირის წლიური შემოსავალი ნაკლებია მითითებულ თანხაზე. დღგ-ს განაკვეთი უკრაინაში შეადგენს 20%-ს. საგადასახადო შემოსავლებში ამ სახის გადასახადის ხვედრითი წილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და შეადგენს დაახლოებით 60%-ს.

არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით უკრაინაში შემოღებულია საგადასახადო ანგარიშფაქტურების სისტემა, რომლის გამოწერა აუცილებელია დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას, თუ მისი ღირებულება აღემატება 20 გრივნას. კანონმდებლობით დადგენილია მთელი რიგი ოპერაციების განხორციელება, რომლებიც გათავისუფლებულია დღგ-საგან.

უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, ყველა იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ნებისმიერ კანონიერ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, ითვლება საწარმოთა მოგების გადასახადის გადამხდელად, რომლის ოდენობა შეადგენს 30%-ს.

საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გათავისუფლება მოგების გადასახადისაგან, როგორიცაა არამომგებიანი ორგანიზაციები, საპენსიო ფონდი, საკრედიტო კავშირები, რელიგიური, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის ორგანიზაციები, საქველმოქმედო ფონდი, ინვალიდთა საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ა.შ.

[12] ი. მესხია, ო.ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, 2002, გვ. 241-246.

სააქციზო მოსაკრებელი დადგენილია აქციზურ საქონელზე, რომელსაც მიეკუთვნება სპირტიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ლუდი და ნავთობპროდუქტები. აქციზის მოსაკრებლის ოდენობა სხვადასხვა საქონელზე დიფერენცირებულია და შეადგენს:

- სიგარა - 20 გრივნა;
- სიგარეტი ფილტრიანი და უფილტრო – 10 გრივნა;
- ღვინო ერთი ლიტრი – 0,8 გრივნა;
- ლუდი ერთი ლიტრი – 0,14 გრივნა;
- შამპანური ერთი ლიტრი – 1,6 გრივნა;
- ეთილის სპირტი, არაყი და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელები – 16 გრივნა;
- ყველა სახის საავტომობილო ბენზინი ერთი ტონა – 40 ევრო;
- საავიაციო საწვავი ერთი ტონა – 20 ევრო.

ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კომუნალური გადასახადი, საბაზრო მოსაკრებელი, სასტუმროს მოსაკრებელი, მოსაკრებელი სასაზღვრო ტერიტორიაზე უცხოეთში მიმავალი ავტოტრანსპორტის მიმოსვლისათვის, რეკლამის გადასახადი, ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტის განთავსების ნებართვის გაცემისათვის მოსაკრებელი და ა.შ.

საკონტროლო კითხვები:

1. მსოფლიო ქვეყნების გადასახადების თეორიისა და პრაქტიკის ისტორიული ასპექტები.
2. დიდი ბრიტანეთის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანისა და უკრაინის საგადასახადო სისტემები.

6.3. საბაჟო კანონმდებლობის ცნება. სამართლებრივი ურთიერთობები საბაჟო საქმიანობის სფეროში და სუბიექტების ცნება. საბაჟო პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები

საბაჟო კანონმდებლობის ცნება. საქართველოს გეოპოლიტიკურმა პირობებმა უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ აღრე ფეოდალურ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა საბაჟო საქმიანობის განვითარებას. საქართველო წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდს, რომელზედაც გადიოდა დიდი საქარავნო, აბრეშუმის გზად ცნობილი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი ამ ორ კონტინენტს შორის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე–2 საუკუნეში ჩინეთიდან დაიწყო და ფუნქციონირებდა მე–18 საუკუნის ბოლომდე.

ამ შემაერთებელი საქარავნო სატრანსპორტო მაგისტრალის შესახებ ცნობები გადმოცემულია უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლებში. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა" რომლის შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფდა დიდი აბრეშუმის საქარავნო გზის სრულყოფას, უცხოელი ვაჭრების ქონებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვას. ამ ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა სპეციალურად შექმნილ რაზმს, რომელსაც ქარავანბაში ეწოდებოდა და რომლის მეთაურად განსაკუთრებული დამსახურებისა და გავლენის მქონე პირი ინიშნებოდა. პირველად სიტყვა "ბაჟი"ქართულ ისტორიულ წყაროებში მეთერთმეტე საუკუნეში 1072 წელს მეფე გიორგი მეორეს სიგელში შიო მღვიმის მონასტრისადმი მოიხსენიება. აღსანიშნავია ასევე მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძი 1123 წელს შიო მღვიმის მონასტრისადმი, სადაც ასევე ტერმინი ბაჟი მოიხსენება. საბაჟო გადასახადების შესახებ ცნობები მოიპოვება მეფე ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულში შეტანილ დასტურლამალში, რომელშიც დასახელებულია ხიდის ბაჟი, ტივის ბაჟი, მწვანილის ბაჟი და სხვა.

დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე საქართველოში შეიქმნა საბაჟო სამსახური, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა საბაჟო საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებას.

1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი "საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოების შესახებ". 1992 წლის 15 თებერვალს მიღებული იქნა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება "საქართველოს საბაჟო სახელმწიფო კომიტეტის შესახებ", 1992 წლის 21 ოქტომბერს მიღებული იქნა პირველი საბაჟო კოდექსი და დეკრეტი "საბაჟო ტარიფების შესახებ", 1996 წელს მიღებული იქნა პირველი კანონი საბაჟო გადასახადების შესახებ. ამ ჩამოთვლილმა ნორმატიულმა აქტებმა შექმნეს ქვეყანაში საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლები. განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებანი და პრობლემები. დადგინდა, რომ საბაჟო საქმეს შეადგენს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესი, საბაჟო რეჟიმები, საბაჟო გადასახადები, გაფორმება, კონტროლი, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება, ბრძოლა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სხვა საშუალებანი. 1997 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა

მიიღო საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან. 1998 წლის მარტში მიღებულია კანონი საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ. 1998 წლის 3 მარტს მიღებულია კანონი "საბაჟო მოსაკრებლების" შესახებ.

2006 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა, რიგით მესამე საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვარს. ამავე დროს მიღებულია მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო საქმიანობას. ამასთან ერთად ხელმოწერილია მრავალი საერთაშორისო კონვენცია, შეთანხმება და ხელშეკრულება, რომლებიც ასევე არეგულირებენ საბაჟო საქმიანობას და ხშირ შემთხვევაში აწესებენ შესაბამის ქვეყნებთან საბაჟო შეღავათებს. ამ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ძალაში შესული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კოდექსის, საბაჟო საქმის ორგანიზების მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტივებისაგან და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაჟო კოდექსს და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება საბაჟო კოდექსის ან შესაბამისი კანონის დებულებები. კოდექსით განსაზრვრულია, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ საბაჟო ტერიტორიაზე, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. მითითებული საკანონმდებლო აქტის მოთხოვნით ცალსახად და ნათლადაა დადგენილი, რომ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა ქვეყანაში საბაჟო საქმიანობის რეგულირება.

საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი აღსრულების მიზნით საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისად გამოსცემენ დადგენილებებსა და ბრძანებებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. საბაჟო ორგანოები საქართველოს საბაჟო კანონ-მდებლობის აღსრულებისას ხელმძღვანელობენ ამ აქტებით.

საბაჟო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამასთან ერთად კანონის მიხედვით საბაჟო ურთიერთობების სფეროში გამოიყენება საბაჟო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებენ საქონლის მესაკუთრის ან მფლობელის სრულ განკარგულებაში გადაცემის დღისათვის.

კოდექსით აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იმ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენს. საბაჟო კანონმდებლობის აქტებს უკუქცევითი ძალა არა აქვთ, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამართლებრივი ურთიერთობები საბაჟო საქმიანობის სფეროში და სუბიექტის ცნება.

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. ადამიანები თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის პროცესში მრავალმხრივ ურთიერთობებს ამყარებენ. მათ ახასიათებთ სხვადასხვაგვარი ურთიერთობა ოჯახში, საზოგადოებაში, სამუშაო პროცესში და სხვა. სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართლის ნორმის საფუძველზე. სამართლის ნორმის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი ფულებები და მოვალეობები. ეს უფლებები და მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამება. ე.ი. თითოეული მხარის უფლებას, განახორციელოს რაიმე ქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება, როგორც წესი, შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობას-დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება დაკავშირებულია გარკვეული იურიდიულ ფაქტებთან. იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას. სამართლის ნორმები თავისთავად არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, ამისათვის საჭიროა იურიდიული ფაქტის არსებობა.

სამართლებრივი ურთიერთობა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

სამართლებრივი სუბიექტი არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით და დაკისრებული აქვს გარკვეული მოვალეობები. ყველა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს რამოდენიმე სამართლის სუბიექტი, მაგრამ არანაკლებ ორისა, ვინაიდან ე სარის ურთიერთობა მხარეებს შორის. როგორც წესი, სამართლის სუბიექტს ერთდროულად გააჩნია უფლებაც და მოვალეობაც. უფრო იშვიათად სამართლის სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უფლება ან დაეკისროს მხოლოდ მოვალეობა (მაგალითად სესხის ხელშეკრულება). სამართლის სუბიექტის ცნებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა შინაარსი იყო ჩადებული. მონათმფლობელურ სახელმწიფოში სამართლის სუბიექტი იყო მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე. მონა არ სარგებლობდა არავითარი უფლებებით და განიხილებოდა, როგორც ნივთი. არც ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა თუნდაც ფორმალური თანასწორობა. ბატონს შეეძლო ყმა-გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მხოლოდ დემოკრატიულმა რევოლუციებმა გამოაცხადეს ყველას თანასწორობა კანონის წინაშე და ყველა მოქალაქე და კანონით ნებადართული ორგანიზაცია სამართლის სუბიექტად ჩათვალა.

მოქალაქე გამოდის მეტად მრავალრიცხოვან სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილედ. ეს ურთიერთობა შეიძლება წარმოიქმნას მოქალაქეებს შორის (მაგ. შაოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა) მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის (საარჩევნო სამართლებრივი ურთიერთობა) მოქალაქესა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის (პარტიის წევრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა) და სხვა.

სამართლებრივი ურთიერთობები საბაჟო საქმიანობის სფეროში ხასიათდება სირთულითა და მრავალფეროვნებით, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახდელების გამოყენების პირობებთან და საგარეო ვაჭრობის სხვა ღონისძიებებთან, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებთან, საქონლით საბაჟო საზღვრის დატოვებასთან, საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებასთან, საბაჟო ვალდებულებებთან, საბაჟო დავებთან, საბაჟო სამართალდარღვევებთან და პასუხისმგებლობის დაკისრებასთან.

საბაჟო საქმიანობის სფეროში წარმოშობილი ჩამოთვლილი ყველა ურთიერთობები რეგულირდება, როგორც საბაჟო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, რომელსა მონაწილეა საქართველო და მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შწორედ ეს განაპირობებს საბაჟო საქმიანობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების სპეციფიკურობას, ვინაიდან ის მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე, მათი მკაცრად რეგლამენტირებული მოთხოვნების განხორციელების შედეგია, ანუ სხვაგვარად საბაჟო საქმიანობის სფეროში არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ნორმის გარეშე. საბაჟო სფეროში სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი (სუბიექტები) გამოდიან სამართლის ნორმებით დადგენილი უფლებითა და მოვალეობათა მატარებლად.

საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი სარგებლობს თანაბარი უფლებებით შეუზღუდავად შემოიატანოს და გაიტანოს საქართველოდან კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესით შეზღუდავი რაოდენობის პროდუქცია და სხვა ფასეულობები, რომელთა შემოტანა და/ან გატანა აკრძალული არ არის. ამასთან ერთად, მითითებული ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია საზღვრის გადაკვეთისას სასაზღვრო საბაჟო ორგანოს წარუდგინოს საბაჟო ზედამხედველობის და კონტროლის განსახორციელებლად საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე თანმხლები დოკუმენტაცია. საბაჟო ორგანოს მითითებით საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საბაჟო კონტროლის მიზნით საქონლის გადმოტვირთვა, დაესწროს საბაჟო საბაჟო კონტროლის პროცედურებს, უზრუნველყოს საბაჟო გაფორმება და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პროცედურები. შესაბამისი უფლებები და მოვალეობები გააჩნია ასევე საბაჟო სისტემის სახელმწიფო მოხელეებს.

სამართლებრივი ურთიერთობა საბაჟო სფეროში არის სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების, ფიზიკური და იურიდიული პირების (სამართლის სუბიექტის) სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულება, რომლებიც წარმოიშობიან საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც ავღნიშნეთ მონაწილეობს ერთის მხრივ ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორიცაა პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები, ფინანსური პოლიცია, გენერალური ინსპექცია და ამ სამინისტროსა და სხვა სამთავრობო

დაწესებულებების სტრუქტურული დანაყოფები, ასევე საქართველოს და სხვა ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით. მ ურთიერთობების მონაწილეები წარმოადგენენ საბაჟო სამართლის სუბიექტებს.

ზოგადად საბაჟო სამართლის სუბიექტი არის სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე, რომელიც საბაჟო სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით, ან ეკისრება რაიმე მოვალეობის შესრულება.

როგორც წესი, საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ორი (მაგალითად საბაჟო გამშვები და ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლებიც გადააადგილებენ საბაჟო საზღვარზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს) ან რამდენიმე (მაგალითად საბაჟო გამშვები პუნქტი, საზღვრის დაცვის პოლიცია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლებიც კონკრეტული საქონელის შემოტანა და/ან გატანაზე გასცემენ შესაბამის ნებართვებს და ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი), ვინაიდან ე სარის ურთიერთობა მხარეებს შორის.

ამასთან ერთად, საბაჟო სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის თითოეულ მონაწილეს ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გააჩნდეს მარტო უფლებები, (მაგალითად საბაჟო გამშვები პუნქტის სახელმწიფო მოხელეებს განახორციელოს საბაჟო კონტროლი და ჩაატაროს სხვა საბაჟო პროცედურები, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა გასცეს ნებართვა მედიკამენტების იმპორტზე და ა.შ.) და მარტო მოვალეობები (მაგალითად ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას წარადგინოს საბაჟო ორგანოში საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები კონტროლისათვის, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდელები და ა.შ.). უმრავლეს შემთხვევაში ამ სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს გააჩნიათ როგორც გარკვეული უფლებები, ასევე მოვალეობები. ასე მაგალითად, საბაჟო გამშვები პუნქტის სახელმწიფო მოხელეს კანონმდებლობით ენიჭება უფლება განახორციელოს საბაჟო კონტროლი, მის მოვალეობაში შედის აღირიცხოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება. იმპორტიორი ვალდებულია განახორციელოს საქონლის საბაჟო გაფორმება. მას უფლება აქვს აიღოს საქონლის სინჯები და ნიმუშები შესაბამისი გამოკვლევების ჩასატარებლად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოითხოვოს საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების დასრულება და ა.შ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბაჟო საქმიანობა ქვეყანაში რეგულირდება მკაცრად და კონკრეტულად რეგლამენტირებული სამართლებრივი ნორმებით. ზოგადად სამართლებრივი ნორმა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესი, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.

სიტყვა „ნორმა“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს წესს, ნიმუშს, მოდელს ანუ ის ადამიანის მიერ შემოღებული გარკვეული ქცევის წესია. ნებისმიერი სამართლის ნორმა აწესრიგებს და განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა საქმიანობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამართლის ნორმა ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რა შეუძლია გააკეთოს და რაზე უნდა შეიკავოს თავი. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დადგენილია იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ უამრავი სამართლის ნორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, საზოგადოებრივი ცხოვრების თუ რომელ მხარეს, რას აწესრიგებენ ისინი. ამ საფუძვლით სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია დაკავშირებულია სამართლის სხვადასხვა დარგთან.

სამართლის დარგი წარმოადგენს სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე სფეროს. სამართლის ძირითადი დარგებია: სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, საბაჟო სამართალი და სხვ. მოქმედი სამართლის დარგები კი ქმნიან სამართლის ერთიან სისტემას სახელმწიფოში.

საბაჟო პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები. საბაჟო კოდექსის მეოთხე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა და რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ფართო გაგებით საბაჟო პოლიტიკა არის ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტიმულირება, საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება.

სიტყვა პოლიტიკა ბერძნული წარმოშობისაა (ოლიცყ, ოლიტიკა) და ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმის მართვის წესებს, რომლებიც გამოიხატება სხვადასხვა სფეროს საქმიანობის ფორმების, ამოცანებისა და შინაარსის განსაზღვრითა და შემდგომ მათზე ზემოქმედებით სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფოები შეიმუშავებენ თავიანთი განვითარების მთავარ პოლიტიკას, რომლებიც აღეკვატურია მათი ისტორიული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა. ამ მთავარი, გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე მუშავდება ცალკეული მიმართულებებისა და სფეროების შესატყვისი პოლიტიკა, რომლებიც საზოგადოების განვითარების, კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განიცდის მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფას.

თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკა ასახვას პოულობს ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში, ამ ქვეყნის მონაწილეობით მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში და ეროვნულ კანონმდებლობაში.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საბაჟო პოლიტიკის გატარება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, საგადასახადო კანონმდებლობა, ასევე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სხვა მასშტაბური და გლობალური საკითხები.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის უმთავრესი მიზნებია:

- საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცავა;
- საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება;
- შიდა ბაზრის დაცვა;
- ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება;
- საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება.

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას. დინამიურად განვითარებადი, საკუთარ და იმპორტირებულ ალტერნატიულ რესურსებზე, ჯანსაღი კონკურენციის პირობებზე ორიენტირებული ეკონომიკა, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობის მთავარი საფუძველია. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს შესაძლებლობა მიეცა გამხდარიყო მსოფლიო თანამეგობრობის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრი. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს თავისუფალ, ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებზე ორიენტირებულ ქვეყანას, თვითონ განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა. ყოველგვარი ჩარევის, დისკრიმინაციის და შეზღუდვების გარეშე დამყარების. სხვა ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის დაცვა, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის, მათ შორის ვალუტის, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა ფასეულობების სრულ აღრიცხვასა და მასზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებას, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დარიცხვას და სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებას, აგრეთვე ეკონომიკურ პროცესებში არაკეთილმოსურნე გარე ძალების ჩაურევლობის უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება. ქვეყნის სტაბილურობის, მოსახლეობის სოციალურ-ყოფითი პირობების დაკამყოფილებისა სა მთლიანობაში ეკონომიკური სიძლიერისა და წინსვლის მყარი საფუძველია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკოპნომიკა ორიენტირებულია ღია და თავისუფალი ბაზრის პირობებზე, ქვეყანაში შექმნილია საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი სამართლებრივი ბაზა. ქვეყნის კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებიტ გარანტირებულია და ხელშეუხებელია პირადი საკუთრება, შეღავათიანი პირობებია დაწესებული ინვესტიციებზე, აკრძალულია მონოპოლიური მდგომარეობის დაკავება და გარანტირებულია ჯანსაღი კონკურენცია, შექმნილია ღიბერალური და გამარტივებული საგადასახადო გარემო.ქვეყანაში ტარდება სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის სტიმულირებას.

შიდა ბაზრის დაცვა სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელოვან ფუნქციას განეკუთვნება. უპირველეს ყოვლისა სრულად უნდა აღმოიფხვრას ქვეყანაში აღურიცხავი, კონტრაბანდული გზით შემოტანილი საქონლის ბაზარზე მოხვედრა, რაც პირველ რიგში არღვევს ჯანსაღი კონკურენციისა

და სამართლიანობის პირობებს. ამასთან ერთად გადასახადების რეგულირებით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შიდა ბაზრის დაცვა, დააწესოს სეზონური გადასახადები და შედარებით მაღალი განაკვეთები ისეთი პროდუქციის იმპორტზე, რომლებიც იწარმოება ქვეყანაში, ანუ გაუწიოს პროტექციონიზმი ადგილობრივ საწარმოებს.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება თანამედროვე მსოფლიო სახელმწიფოების მთავარი ამოცანაა. დღეისათვის წარმოუდგენელია სუვერენული ქვეყნის არსებობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად შემოტანილი ნედლეული გათავისუფლებულია საიმპორტო გადასახადებისაგან. ექსპორტი კი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, რაც ნიშნავს არა მარტო საექსპორტო პროდუქციის გათავისუფლებას გადასახადებისაგან, არამედ ამ პროდუქციის დამზადების დროს გადახდილი გადასახადები ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ან ჩათვლას მომავალ გადასახადებში.

გარდა ამისა, როგორც ავღნიშნეთ, საქართველოში დაწესებულია გარკვეული შეღავათები ინვესტიციებისათვის, კანონმდებლობით მათთვის შექმნილია ხელსაყრელი გარემო, გარანტირებულია მათი საკუთრების ხელშეუხებლობა და ქონების უკან გატანის შეუზღუდავი უფლება. სამწუხაროდ, მიუხედავად გატარებული ამ ღონისძიებებისა საქართველოს დღეისათვის გააჩნია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი, იმპორტისა და ექსპორტის ბალანსი შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 70 და 30 პროცენტს.

საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება ქვეყნის სტაბილური განვითარების, მისი ეკონომიკური წინსვლისა და აღმავლობის საფუძველია. მსოფლიო პრაქტიკამ ნათლად დაადასტურა, რომ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ღია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა – მაქსიმალური მასტიმულირებელი ფაქტორებია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა, რომლის ხელშემწყობია სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, კანონის უზენაესობა, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ენერგეტიკული საკითხების გადაჭრა, კომუნიკაციების განვითარება, სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გამოყენებით ადგილობრივი წარმოებისათვის პროტექციონიზმის გაწევა და სხვა გატარებული საშინაო და საგარეო ეკონომიკური ღონისძიებები, ყოველივე ეს კი, ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორებია.

საბაჟო კოდექსის მეოთხე მუხლის თანახმად საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საერთაშორისო სამართლის წესებით გათვალისწინებული პრინციპების, ნორმებისა და სტნდარტების გამოყენებით საბაჟო საქმის ორგანიზების სრულყოფას. ქვეყანაში ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებაზე მიუთითებს ის, რომ საქართველოს ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედებს და საბაჟო საქმიანობა რეგულირდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული საბაჟო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამთავრობო დაწესებულებების მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ საბაჟო საქმიანობა და მიიღონ ამ სფეროს მომწესრიგებელი ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც რეგულირდება საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა, საბაჟო რეჟიმები, საბაჟო გადასახდელები, შეღავათების მინიჭება, საბაჟო გაფორმება, კონტროლი და სხვა საკითხები. მათ კანონმდებლობით ევალებათ დაეხმარონ საბაჟო ორგანოებს მხოლოდ მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში.

საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან, რომლებითაც დადგენილია ამ საქმიანობის ზოგადი პრინციპები, ნორმები და სტანდარტები. საბაჟო კოდექსის მეორე მუხლით განსაზღვრულია, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა გარდა ეროვნული სამართლებრივი ნორმებისა, შედგება საერთაშორისო ნორმატიული აქტებისაგან, რომლებიც ხელმოწერილია და კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაშია შესული.

საბაჟო პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებას ქვეყანაში უზრუნველყოფს, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, გარკვეულწილად აგრეთვე სასამართლოს ხელისუფლებაც. ამ პოლიტიკის რეალიზაციაში მონაწილეობენ საბაჟო სამსახურები, სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირები.

საბაჟო სამართლის სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონკრეტული სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა განპირობებულია ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის, ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული და სხვა სისტემებითა და პირობებით, რომლის მთავარი მიზანია საშინაო და საგარეო ეკონომიკური ინტერესების დაცვა და რეალიზაცია. აღნიშნულის

გათვალისწინებით მათ მიერ საბაჟო პოლიტიკა განმარტებულია განსხვავებულად. ჩვენ მიგვაჩნია, **რომ საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა ფართომასშტაბიან კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემას, რომლის ამოცანაა ქვეყნის შიდა და საგარეო ეკონომიკური ინტერესების დაცვა და რეალიზაცია.**

ამრიგად საბაჟო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მისი აღსრულების უზრუნველყოფა, რაც საფუძველია ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სტიმულირების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მთლიანად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის, ადგილობრივი საწარმოებისათვის პროტექციონისტული პოლიტიკის დაწესების, შიდა ბაზრის დაცვისა და საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელების მთავარი საფუძველია.

საკონტროლო კითხვები:

1.საბაჟო კანონმდებლობის ცნება.

2სამართლებრივი ურთიერთობები საბაჟო საქმიანობის სფეროში და სუბიექტების ცნება.

3. საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

6.4. საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციები, საბაჟო რეჟიმების სახეობანი

საბაჟო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს საბაჟო რეჟიმები. საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად საქონელთა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხორციელდება საბაჟო რეჟიმების შესაბამისად. ***საბაჟო რეჟიმი არის იმ დებულებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტების კომპლექსურ გამოყენებას საბაჟო საზღვრის გადამკვეთი საქონელისა და სატრანსპორტო საშუალებებზე გარკვეული სტატუსის მინიჭების მიზნით.***

საბაჟო რეჟიმი განსაზღვრავს ამ რეჟიმისათვის დამახასიათებელი პროცედურების სტანდარტულ ფორმებსა და თანმიმდევრობას, ასევე საბაჟო საზღვრებზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის მოხმარების შესაძლებლობას ან მოხმარების აკრძალვის პირობებს, კონკრეტულ საბაჟო რეჟიმში ყოფნის ხანგრძლივობას, თითოეული პირის (საქონლის მფლობელის, საბაჟო გადამზიდველის, საბაჟო ბროკერის ან სხვა რწმუნებულის) უფლებებსა და მოთხოვნებს მათ მიმართ.

საბაჟო რეჟიმში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოქცევა, თავისთავად გულისხმობს საბაჟო პროცედურების ერთობლიობას, რომელიც გამოყენებულია მოცემული საქონლის მიმართ და დადგენილია საქართველოს საზღვარზე საქონლის გადაადგილების მიზნისა და ხასიათის გათვალისწინებით. ძირითადად საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საბაჟო ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს საზღვრის გადამკვეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან და რომლის გარეშეც დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილია საბაჟო რეგულირების მიზნით საქონლისა და სატრანსპრტო საშუალებების მიმართ საბაჟო რეჟიმის შვიდი სახეობა:

- საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
- საქონლის ტრანზიტი;
- საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;
- საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება;
- საქონლის დროებითი შემოტანა;
- საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება;
- საქონლის ექსპორტი;

კანონი ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი ან შეიცვალოს იგი მეორით, საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ხასიათის, რაოდენობის, მწარმოებელი ან დანიშნულების ქვეყნის მიუხედავად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საბაჟო კოდექსითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის ზოგადი ცნებით საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, ანუ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (შემოტანა

ან/და გატანა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დადგენილი 7 საბაჟო რეჟიმიდან ერთ-ერთში მოქცევა, აგრეთვე, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, ან გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

საბაჟო პროცედურებს კი განეკუთვნება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა და დათვალიერება, სათანადო დოკუმენტების არსებობის დადგენა, ზოგადი დეკლარირება, სატვირთო-საბაჟო და სხვა სახის დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია, საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების შემოწმება, საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება, დარიცხვა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა, საქონლის სატრანსპორტო საშუალებებისა და მგზავრის პირადი ნივთების შემოწმება, აგრეთვე, საბაჟო ორგანოებისა ან მათი უფლებამოსილი პირების ოფიციალური მოთხოვნისა ან/და ქმედების შესრულება, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაჟო დამუშავების ოპერაცია და საბაჟო პროცედურები მოიცავს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოქცევას საბაჟო კოდექსით დადგენილ ერთ-ერთ საბაჟო რეჟიმში, ან საბაჟო დამუშავების ოპერაციის სხვა სახით განსაზღვრას (თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალი საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსებას, საქონლის რეექსპორტს, განადგურებას ან გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებაში მოქცევას), საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენას, შემოწმებას, საბაჟო გადასახდელების დარიცხვასა და სახელმწიფო ბიუჯეტში მის აკუმულირებას, მასზე საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებას საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 62-ე მუხლის საფუძველზე საქონლის სახეობის, რაოდენობის, მისი წარმოშობის, გამგზავნი და მიმღები ქვეყნის მიუხედავად, საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე (ანუ საბაჟო რეჟიმი და საბაჟო დამუშავების ოპერაციის სხვა სახე) შეიძლება განისაზღვროს საბაჟო პროცედურების განხორციელების ნებისმიერ დროს საბაჟო კანონმდებლობის დადგენილი პირობების შესაბამისად.

საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები ან/და აკრძალვები. საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა აკრძალულია, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი საბაჟო ტერიტორიიდან, თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შეუძლებელია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის დაუყოვნებლივ გატანა, იგი უნდა მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის სხვა ზონაში. ამგვარი საქონლის გატანის ვალდებულება და დროებითი შენახვის ხარჯები სოლიდარულად ეკისრებათ საქონლის მიმღებსა და საქონლის მფლობელს. ასეთ შემთხვევაში შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 კალენდარულ დღეს, რომლის გასვლის შემდეგაც საქონლის განკარგვა მოხდება საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამნისტროების ერთობლივი ბრძანებით შეიძლება განისაზღვრონ ის სასაზღვრო საბაჟო ორგანოები, რომელთა გავლითაც არ უნდა მოხდეს სანიტარულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარულ სასაზღვრო-საკარანტინო, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის ანდა სხვა სახელმწიფო კონტრონლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა. სახელმწიფო არ ანაზღაურებს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვების ანდა შეზღუდვების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანაზე ანდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და სერთიფიკატებისა გაცემის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დელეგირებულ იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტრის საბაჟო დეპარტამენტზე.

- საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო პროცედურები ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონებში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1766 ბრძანებით დამტკიცებულია, ინსტრუქცია– საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილის განსაზღვრის შესახებ. ამ ინსტრუქციის თანახმად, საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი და

მონიშნული ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება;

- საბაჟო კონტროლის ზონა მოიცავს საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილს და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა–ნაგებობების ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცედურების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოყო საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით, თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი;
- საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა- გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო პროცედურების განხორციელებამდე საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანა. საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებისათვის საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების დაშვება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს განსაზღვრავს საბაჟო ორგანო;
- საბაჟო კონტროლის ზონები შეიძლება შეიქმნას საქართველოს საბაჟო საზღვრის გასწვრივ, აგრეთვე საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისა და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების დაცვით შესაბამის ადგილებში;
- საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონლის მიმართ საბაჟო პროცე-დურების განხორციელების, საბაჟო დამუშავების ოპერაციების გამოყენების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განლაგებული საბაჟო გამშვები პუნქტებისა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილებში;
- ელექტროსადგურების, ქვესადგურების, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მაგისტრალური მილსადენების, სატუმბი, საკომპრესორო, საზომი სადგურების და სხვა მოწყობილობების განლაგების ადგილებში, რომლებიც გამოიყენება ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისთავის;
- სასაზღვრო სარკინიგზო სადგურებისა და იმ სარკინიგზო სადგურების ტერიტორიებზე, საიდანაც ხორციელდება საერთაშორისო მიმოსვლა;
- საბაჟო საწყობების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო საწყობის, დროებითი დასაწყობებისათვის საქონლის შენახვის სხვა ადგილების, უბაჟო ვაჭრობის პუნქტების, თავისუფალი ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე და ნაგებობებში;
- საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი აეროპორტებისა და საზღვაო პორტების შემოფარგლულ ტერიტორიებზე;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის მატარებელში;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სტრუქტურულ დანაყოფებთან (სამმართველოები, სახაზო განყოფილებები) განთავსებული საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორცი-ელების ადგილებში;
- საერთაშორისო საფოსტო მომსახურების ადგილებში;
- ამავე დროს საბაჟო კონტროლის ზონების სტატუსს ღებულობს ის ტერიტორიები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის საჰაერო და საზღვაო ხომალდები, სარკინიგზო შემადგენლობები), სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები და მათი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების პერიოდში;

საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების შექმნა მოიცავს:

- საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრების განსაზღვრას, მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ ზონის გადაკვეთის ადგილების მითითებით;
- საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიის აღმნიშვნელი ნიშნების გამოკვრას და ზონის მონიშვნებს;
- შესაბამისი ორგანოების შეტყობინებას საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე;

- საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე ფინანსთა მინისტრის ბრძანებას თან ერთვის გრაფიკული ნახაზი (გეგმა ან რუკა) საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიის ფარგლების, გასასვლელებისა და მონიშვნების შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ საბაჟო გამშვებ პუნქტებში (საბაჟო საგუშაგოებში) საბაჟო კონტროლის ზონების შექმნა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. საბაჟო კონტროლის ზონა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს შემოღობილი და დაცული, ისე, რომ ამ ზონაში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესვლა და აქედან გასვლა შეუძლებელი იყოს საბაჟო ორგანოს გვერდის ავლით და გამორიცხული უნდა იყოს უცხო პირების მიერ მათი ხელყოფა;
- საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ. ამიტომ იგი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საბაჟო ორგანოს საშუალება ჰქონდეს თვალყური ადევნოს საბაჟო კონტროლის ზონის მთელ ტერიტორიას, მიიღოს ინფორმაცია პირების ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, რათა გამოავლინოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლისა და პირადი ნივთების გადამალვა, სხვა პირებზე გადაცემა, ნავსადგურის, აეროპორტის, რკინიგზის თანამშრომელთა, მტვირთავების უსაფუძვლო დაინტერესება საქონლით, ბარგით, კონტეინერებით, სატრანსპორტო საშუ-ალებებით და სხვა;
- საბაჟო კონტროლის ზონის ხედი საზღვაო ნავსადგურებში, ტერიტორიულ და შიდა წყლებში უნდა იძლეოდეს ვიზუალური დაკვირვების შესაძლებლობას, რომელიც გამორიცხავს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ გემებთან უცხო მცურავი საშუალებების მიდგომას, რაიმეს გემზე ატანას ან გემიდან ჩამოტანას.

საბაჟო კონტროლის ზონები აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- საერთაშორისო აეროპორტებში - მოფრენისა და გაფრენის ზონებს და სექტორებს;
- საზღვაო ნავსადგურებში - სამგზავრო დარბაზებს;
- რკინიგზისა და საავტომობილო ვაგზლებში - მგზავრების კომპლექტაციის ადგილებს და საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლის სათავსებს.

1. საბაჟო კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილია აგრეთვე, რომ საქონელზე, რომლის მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს საბაჟო რეჟიმი, ან საბაჟო დამუშავების ოპერაციის სხვა სახე, სავალდებულოა, წარდგენილ იქნას საბაჟო დეკლარაცია, ანუ დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განზრახვას.
2. საბაჟო კოდექსის მე-14 თავით გათვალისწინებულია საბაჟო დეკლარაციის ფორმა, სახეები, წარდგინების საშუალებები, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის, მისი შეცვლის, ბათილად ცნობის, შემოწმებისა და საქონლის დეკლარირებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები. ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის № 1776 ბრძანებით დამტკიცებულია ინსტრუქციები - საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის, რეგისტრაციისა და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესის შესახებ ინსტრუქციებისა და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე.

ამ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებულია ინსტრუქცია – საბაჟო რეჟიმების (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისა) აგრეთვე რეექსპორტის შესაბამისად გაცხადებულ საქონელზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმის, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის და რეგისტრაციის წესის შესახებ, რომლის თანახმად, დეკლარაციის წარდგენა ხდება იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საბაჟო დამუშავების ოპერაცია. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საბაჟო ორგანოს დეკლარაციის შევსების თაობაზე:

- მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის დროს;
- საფოსტო გზავნილების იმპორტის ან ექსპორტის დროს (თუ კანონმდებლობით საქონელი ექვემდებარება დეკლარირებას სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით);
- გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით საქონლის დეკლარირების დროს;
- ფიზიკური პირის მიერ დაბეგვრას დაქვემდებარებული 20 კგ-სა და 0,5მ^3-ზე ნაკლები საქონლის იმპორტის დროს.

ერთი დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ საქონლის ერთი პარტია. დეკლარაციის ძირითადი ფურცლით შეიძლება გაცხადდეს ცნობები მხოლოდ ერთი დასახელების,

სახეობის და მარკის საქონელზე, რომელიც საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში (შემდგომში – სეს ესნ) კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყანაში.

დეკლარაციის ერთ დამატებით ფურცელში შეიძლება გაცხადდეს ცნობები სამი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელზე და რომელთაგან თითოეული მათგანი სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყანაში.

სასაქონლო პარტიის ერთ დეკლარაციაში დეკლარირებისას მის ძირითად ფურცელს შეიძლება დაერთოს არა უმეტეს 33 დამატებითი ფურცლისა და ერთი დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს არაუმეტეს 99 დასახელების საქონელი. იმ შემთხვევაში თუ სასაქონლო პარტია შედგება 99-ზე მეტი დასახელების საქონლისაგან, მაშინ დეკლარაცია ივსება ყოველ 99 საქონელზე.

დეკლარაცია ივსება ქართულ ენაზე კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაიბეჭდოს ცისფერი ეგზემპლარი დამატებით სხვა ენაზეც. დასაშვებია დეკლარაციის უკანა გვერდის გამოყენება სხვდასხვა მაკონტროლებელი ორგანოების აღნიშვნებისა და დამღებისათვის. დეკლარაციების კომპლექტი შედგება 4 სხვადასხვა ფერის (ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ორი თეთრი, ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ერთი ყვითელი, ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ერთი ცისფერი ფურცლისაგან (ფურცლებისაგან) და ნაწილდება შემდეგნაირად:

- პირველი თეთრი გერბიანი ფურცელი რჩება საბაჟო დამუშავების საბაჟო ორგანოში;
- მეორე თეთრი გერბიანი ფურცელი საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის შემთხვევაში რჩება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში, ხოლო საქონლის შემოტანის შემთხვევაში ინახება საბაჟო დამუშავების საბაჟო ორგანოში;
- ყვითელი ფურცელი ეგზავნება საბაჟო დეპარტამენტს;
- ცისფერი ფურცელი უბრუნდება დეკლარანტს.

დეკლარაციის დამატებითი ფურცლების გრაფების შევსების წესი იგივეა, რაც ძირითადი ფურცლის შესაბამისი გრაფებისა. დეკლარაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (მიმღები), დადგენილი წესით იღებს დეკლარანტისაგან დეკლარაციას და მისი რეგისტარაციისათვის ამოწმებს წარდგენილი დეკლარაციის დადგენილ ფორმასთან შესაბამისობას. დეკლარაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების მექანიზმების სწორად გამოყენებისათვის, საბაჟო სტატისტიკის წარმოებისა და საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისათვის, მათ შორის, შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მოხოვნების განხორციელებისათვის. დეკლარაციას უნდა დაერთოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო რეჟიმის (ან რეექსპორტის) პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურებისათვის.

საბაჟო ორგანო დაუყონებლივ ახორციელებს წარდგენილი დეკლარაციის რეგისტრაციას, თუ უზრუნველყოფილია დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში. თუ დარღვეულია დეკლარაციის ფორმა და შევსების წესი, თანმხლები დოკუმენტები შესაბამის დარღვევაზე მითითებით დაუყონებლივ უბრუნდება დეკლარანტს.

– საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივად დატოვებას ამ ტერიტორიაზე, მისი გადატანის ვალდებულების გარეშე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცვაში გაშვება (იმპორტი) ითვალისწინებს:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელების გადახდას;
- ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვას;
- მოქმდი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემოტანილი ანუ იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადელებით დაბეგვრას, რომელიც ერიცხება საქონლის საბაჟო ღირებულებას. საბაჟო ღირებულებაში კი შედის საქონლის ტრანსპორტირების ღირებულების ხარჯი, დაზღვევის თანხის, შეფუთვის, მარკირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის გაწეული ხარჯების ჯამი.

გადასახადები დაწესებულია უძველესი დროიდან, მისი ისტორია სახელმწიფოს წარმოშობასთან არის დაკავშირებული, ხელისუფლების მმართველი აპარატის შენახვას, სამხედრო ძალის განმტკიცებასა და გაძლიერებას ესაჭიროებოდა გარკვეული რესურსები, რომლის მოზიდვებს გადასახადების შემოღებით ჯერ ნატურალური, შემდეგ კი ფულადი სახით ხორციელდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულოა, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადი გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია, რომ საბაჟო ტარიფი განისაზღვრება მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობით, რომელიც შედგება:

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურისაგან;
- განაკვეთებისაგან ან შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემული საქონლის მიმართ;
- საქართველო პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სატარიფო შეღავათებისაგან (პრეფერენციებისაგან).

სატარიფო შეღავათები (პრეფერენციები) გამოიყენება საბაჟო ტარიფის ჩვეულებრივი განაკვეთის ნაცვლად, თუ საქონელი აკმაყოფილებს ამ შეღავათით (პრეფერენციებით) სარგებლობისათვის დადგენილ პირობებს. სატარიფო ღონისძიებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელები.

გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270[I] და 270[II] მუხლების თანახმად, საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს. ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველო საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი იმპორტი, ამავე კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში. ამასთან ერთად, საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონით საქონლის საბაჟო დათვალიერების ან/და გაფორმებისათვის გადაიხდევინება საბაჟო მოსაკრებელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საბაჟო გადასახდელებში შედის გადასახადები, რომლებიც არის სამი სახის:

- საბაჟო გადასახდი, რომლის განაკვეთია 0%, 5% და 12% საქონლის სახეობის მიხედვით;
- აქციზის გადასახადი, რომელიც არის დიფერენცირებული და დაწესებულია აქციზურ საქონელზე სხვადასხვა განაკვეთებით;
- დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ერთიანია და შეადგენს 18%-ს.

საბაჟო გადასახდელებში შედის ასევე საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც ზემოთ მითითებული საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად არის ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის. ამ საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარებენ ამ საშუალებებს. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის გარდა საქონლის დროებითი შემოტანისა ან/და გატანისათვის გადაიხდევინება შემდეგი სახის საბაჟო მოსაკრებლები:

- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ (გარდა ფიზიკური პირის მიერ 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე ექსპორტის საქონლისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ექვივალენტი ლარებში;
- ფიზიკური პირის მიერ (გარდა ფიზიკური პირის მიერ 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე ექსპორტის საქონლისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო გაფორმების პროცედურებისათვის ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ექვივალენტი ლარებში.

საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანისათვის ან/და ამ ტერიტორიიდან მისი დროებითი გატანისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთებია:

- 10 000კილოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 1 თეთრი;
- 10 000 კილოგრამზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;
- საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე 2,5 თეთრი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საბაჟო გადასახდელები საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით ერიცხებათ შემდეგი თანმიმდევრობით და ზემოთ მითითებული განაკვეთებით:

- საბაჟო მოსაკრებლები საქონლის საბაჟო დათვალიერებისა ან/და გაფორმებისათვის;
- საბაჟო გადასახადი;

- აქციზი აქციზურ საქონელზე;
- დამატებული ღირებულების გადასახადი.

– საქონლისა და\ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლისა და\ან სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმწიფოთა (ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს) შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქონლისა და\ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მიმოქცევისათვის განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

- დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით და არ უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სხვა მიზნით, ტრანზიტის გარდა;
- მიეწოდოს გასასვლელ საბაჟო ორგანოს შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების, დასახული მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოში შემოტანილი ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟო კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში ან საქართველოდან გატანა აკრძალულია. საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

2007 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობის სხვა ნორმატიული აქტები განასხვავებენ საბაჟო საწყობს, როგორც ობიექტს, რომელიც გარკვეული პირობების გათვალისწინებით შეიძლება დაარსდეს ქვეყანის საბაჟო ტერიტორიის ნებისმიერ ადგილზე და თავისუფალ საწყობს, რომელიც განთავსებულია თავისუფალი საბაჟო ზონის ტერიტორიაზე, აგრეთვე დროებითი შენახვის საბაჟო საწყობს, რომელშიც დროებით თავსდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. სამივე სახის საბაჟო საწყობს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაჟო საწყობს, როგორც საბაჟო რეჟიმსა და უბაჟო ვაჭრობის პუნქტს, რომელიც იხსნება საბაჟო კონტროლის ზონაში და განკუთვნილია ქვეყნიდან გამსვლელი მგზავრების მომსახურებისათვის.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის ზონაში მდებარე და მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილ უბაჟო ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონერების პირობები რეგულირდება საბაჟო კოდექსის მე-17 თავის 103-114-ე მუხლებით. ამ კოდექსით დადგენილია, რომ საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში შენახვის მიზნით მოთავსდეს:

- უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლების) გაღახდისა და და არასატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე;
- საქართველოს საქონელი, თუ საბაჟო საწყობში მისი შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანა.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვასლისწინებულ შემთხვევებში საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი შესაძლებელია შენახულ იქნეს საბაჟო საწყობის გარეთ სხვა ადგილას.

საბაჟო საწყობი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, შეიძლება მოთავსდეს საქონელი და რომლის საქმიანობისათვის სავალდებულოა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა.

საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს ღია, დროებითი შენახვის ღია, დახურული ან დროებითი შენახვის დახურული; კერძოდ, საბაჟო საწყობი:

- ღიაა–სადაც საქმიანობას ახორციელებს ნებისმიერი პირი, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;
- დროებითი შენახვის ღიაა– სადაც საქმიანობას ახორციელებს ნებისმიერი პირი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დროებით შესანახად;
- დახურულია–სადაც საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ნებართვის მფლობელი ან მხოლოდ ერთი პირი, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;

- დროებითი შენახვის დახურულია–სადაც საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ნებართვის მფლობელი ან მხოლოდ ერთი პირი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დროებით შესანახად.

საბაჟო საწყობის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. მომთავსებელი არის პირი, რომელიც საქონელს ინახავს საბაჟო საწყობში და რომელსაც დაეკისრა შესაბამისი ვალდებულებები, ან რომელსაც გადაეცა შესაბამისი დეკლარირების განმახორციელებელი პირის უფლებები და ვალდებულებები.

საბაჟო საწობის სამიანობის ნებართვას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. თუ შემოსავლების სამსახური თვითონ არის საბაჟო საწყობის მფლობელი, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა საჭირო არ არის. საბაჟო საწყობისათვის გათვალისწინებულ, ტერიტორიულად განცალკევებულ თითოეულ შენობაზე ან/და ტერიტორიულად განცალკევებულ თითოეულ ღია მოედანზე გაიცემა ცალკე ნებართვა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. საბაჟო საქმიანობის ნებართვის მისაღებად „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირობების გარდა, საჭიროა:

- საბაჟო საწყობი აკმაყოფილებდეს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში ან არანაკლებ 3 წლის ვადით დადებული საიჯარო ხელშეკრულებით მის მფლობელობაში არსებობდეს საბაჟო საწყობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა;
- წარდგენილ იქნეს საბაჟო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;
- ნებართვის მაძიებელს არ ჰქონდეს საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება.

მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა (უბაჟო საცალო ვაჭრობა მგზავრებისათვის, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას) საბაჟო კონტროლის ზონაში (აეროპორტში,ნავსადგურსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის) ნებადართულია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე. უბაჟო ვაჭრობის პუნქტში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია.

საქონელი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტში, მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ საქართველოს საწარმოზე ან მეწარმე ფიზიკურ პირზე.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მისაღებად, „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირობების გარდა საჭიროა:

- ნებართვის მაძიებელს არ ჰქონდეს საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება;
- ნებართვის მაძიებელმა წარადგინოს გარანტია, რომლის თანხა არ უნდა იყოს 50 000 ევროს ექვივალენტ ლარზე ნაკლები;
- ნებართვის მაძიებელმა წარადგინოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის საკუთრების ან შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი საბუთები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

- აწარმოოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის ჟურნალი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს იგი საბაჟო ორგანოს;
- განახორციელოს ყოველკვარტლური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში საბაჟო ორგანოს წარუდგენს ანგარიშს აღნიშნულ პერიოდში უბაჟო ვაჭრობის პუნქტში წარმოებული ყველა ოპერაციის შესახებ;
- განახორციელოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა თავისი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

- შეასრულოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები;

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით – უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესის შესახებ, რომლის თანახმად, უბაჟო ვაჭრობის პუნქტი არის იმ მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი ობიექტი, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორას, ახორციელებენ მხოლოდ საცალო ვაჭრობას, სადაც შეტანილი საქონელი გათავისუფლებულია საქონლის იმპორტის დროს მოცემულ საქონელზე საწესებული საბაჟო გადასახდელებისაგან. პუნქტის საქმიანობა შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებში. პუნქტის ტერიტორია წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, სადაც შეძენილი საქონელი ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანას. პასუხისმგებლობა პუნქტის საქმიანობაში საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე ეკისრება პუნქტის მფლობელს. პუნქტში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, რომელიც მგზავრის პირადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი, გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია. პუნქტის საქმიანობის ნებართვის მაძიებელს (მფლობელს) უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი ფართობები, რომლების უზრუნველყოფენ ამ პუნქტის ნორმალურ ფუნქციონირებას დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად და განკუთვნილია:

- სავაჭრო დარბაზისათვის (დარბაზებისათვის);
- პუნქტის საწყობებისათვის, ნებართვის მაძიებლისათვის (მფლობელის) სურვილის შემთხვევაში, დამხმარე სათავსოებისათვის.

პუნქტის სავაჭრო დარბაზების (დამხმარე სათავსოების) და საწყობის მოწყობა უნდა გამორიცხავდეს საბაჟო კონტროლის გარეშე გადაადგილების შესაძლებლობას, უზრუნველყოფდეს ამ სათავსოებში განლაგებული საქონლის დაცვას და საქონლის შეტანას. პუნქტის სავაჭრო დარბაზები განლაგებული უნდა იქნეს საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებში, რომლის განლაგება უნდა გამორიცხვდეს მასში იმ პირების მოხვედრას, რომლებმაც შესაძლებელია გადაკვეთონ საბაჟო საზღვარი სათანადო პროცედურების გავლის გარეშე. პუნქტის სავაჭრო დარბაზები, სათავსოები და საწყობები უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი სიგნალიზაციით. აუცილებლობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მოთხოვნის თანახმად, პუნქტის მფლობელი ვალდებულია, მათ პასუხისმგებელ პირებს უსასყიდლოდ გამოუყოს კავშირგაბმულობის საშუალებები, საბაჟო კონტროლისათვის საჭირო აუცილებელი სათავსო და შეუქმნას სათანადო პირობები საბაჟო კონტრილის საწარმოებლად. პუნქტში მოთავსებულ საქონელზე საბაჟო პროცედურის ჩატარების ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ ომ პუნქტის საწყობი, რომელშიც გათვალისწინებულია ასეთი საქონლის დასაწყობება. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შემოტანის ადგილი დროებითი შენახვის საწყობია, ასეთი საქონელი ექვემდებარება პუნქტის საწყობში გადატანას საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით. პუნქტის საწყობში საქონლის მოთავსება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირების თანდასწრებით, პუნქტში დაუშვებელია შემდეგი საქონლის მოთავსება:

- საქონლის, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე ან მისი გატანა საქართველოს ტერიტორიიდან აკრძალულია;
- საქონლის,რომელიც ექვემდებარება სხვა სახელმწიფოების კონტროლს, ამ ორგანოების ნებართვის უქონლობის შემთხვევაში საქონლის, რომლის რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია;
- საწარმო–ტექნიკური დანიშნულების და სხვა საქონლის, რომელიც აშკარად არა არის გამიზნული პირადი სარგებლობისათვიოს ან ფიზიკური პირების მიერ მოხმარებისათვის;
- მძიმეწონიანი (20 კგ-ზე მეტი) და დიდგაბარიტიანი (სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ჯამი 200სმ-ზე მეტი) საქონლის;
- სამამულო წარმოების საქონლის, რომლის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა იბეგრება საბაჟო ტარიფით, წარმოდგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სანედლეულო საქონელს ან ექვემდებარება ლიცენზირებას.

პუნქტისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, თუ ეს საქონელი მოითხოვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებას უბაჟო ვაჭრობის პუნქტამდე მისატანად, წარმოდგენილი იქნება შესაბამისი გარანტია და საბაჟო ორგანოს მიერ ივსება მოწმობა, რომელიც კონტროლიდან მოიხსნება დადგენილი წესით. დაუშვებელია პუნქტის სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსოებისა და საწყობის გამოყენება იმ საქონლის შესანახად და სარეალიზაციოდ, რომელიც არ გაცხადებულა პუნქტში მოსათავსებლად.

პუნქტი აწარმოებს სქონლის საცალო გაყიდვას, საქართველოს საბაჟო ტერიტოორიდან გამსვლელ ფიზიკურ პირებზე, ხოლო აეროპორტებში საერთაშორისო რეისებზე ავიაბილეთის

საფუძველზე. პუნქტში საქონლის გაყიდვა წარმოებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საკრედიტო ბარათებით. პუნქტში საქონლის გაყიდვა ბითუმად, მათ შორის მცირე ბითუმად არ დაიშვება. დაუშვებელია ასევე საქონლის გაყიდვა წინასწარი შეკვეთების, ადგილზე მიტანის, განვადებით გადახდის სახით, ასევე დამატებითი მომსახურეობის გაწევა. საქონელი , რომლის რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია, შეიძლება რეალიზებულ იქნეს პუნქტიდან ხოლო იმ პირობით თუ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. პუნქტის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანიტარული წესები, საქონლის განთავსების ნორმები, შენახვის რეჟიმი, სახელმწიფოს სტანდარტების აუცილებელი მოთხოვნები, შეასრულოს ვაჭრობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები და პირობები. საქონლის შენახვისთვის ოპერაციები ტარდება პუნქტის საწყობში, ხოლო გაყიდვისათვის მოსამზადებელი საწყობში ან დამხმარე სათავსოებში. აღნიშნული ოპერაციები ტარდება საბაჟო კონტროლის ქვეშ. კონტროლს პუნქტში შეძენილი საქონლის ფაქტობრივ გატანაზე ახოციელებს ის საბაჟო ორგანო, რომლის მოქმედების რეგიონშიც არის განთავსებული პუნქტი. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ პუნქტში ნაყიდი საქონელი, თუ არ გაიტანება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ასეთი საქონელი დაიბეგრება საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად (გარდა სამამულო საქონლისა). პუნქტში მოთავსებული საქონლის გაყიდვისას იმ პირებზე, რომელთაც არ ჰქონდათ მათი შეძენის ან მისი სხვა საბაჟო რეჟიმით გამოყენების უფლება, აგრეთვე მისი დაკარგვის ან დანაკლისის შემთხვევაში, პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის საბაჟო გადასახდელი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა შესაბამისად, მათი თავისუფალი მიმოქცევის ან ექსპორტით საბაჟო რეჟიმით გაშვებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონელი დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო აღმოჩნდება მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული ან დაკარგული, ან გაფუჭებული და შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება. პუნქტში დაუძლეველი ძალის შედეგად საქონლის განადგურების დროს პუნქტის მფლობელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საბაჟო ორგანო ვალდებულია შეადგინოს განადგურების ოქმი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადასამუშავებლად, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების შედეგად მიღებული საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით.

საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავენ:

- საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას;
- საქონლის შეკეთებას, კერძოდ, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას;
- იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან ააღვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება ხორციელდება საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებართვით, რომელიც ეძლევა საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს იმ პირობით, თუ:

- შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტების იდენტიფიკაცია;
- გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საშუალებას;
- შესრულებულია საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მოთხოვნები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში. ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავებისა და გადამუშავების პროდუქტის ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას.

საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოთავსებული საქონელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დროებითი მოხმარებისათვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის გადასახადებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით. ამ რეჟიმში მოთავსებული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციის ცვეთით, ტრანსპორტირებითა და შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

- საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის ნებისმიერი საქონლის (გარდა იმ სქონლისა, რომლის საქართველოში დროებითი შემოტანა აკრძალულია) მოქცევის შესაძლებლობა;
- დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:
- – დროებით შემოტანილი საქონლის უკან გატანის ვალდებულების შესახებ;
- – საქონლის დროებითი შემოტანის ვადების შესახებ;
- – იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას დეკლარანტის მიერ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელების შესაბამისი გარანტიის წარდგენა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულიად გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოექცეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ საქონელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე უგრძელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა).

- ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის თევზები);
- ბაზრობისათვის, გამოფენისათვის,სხვადასხვა სახის შეხვედრისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი. გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშეღებებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა.);
- კინემატოგრაფიისათვის, პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებისათვის საჭირო პროფესიული მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის უცხოურ საწარმოსათვის ორგანიზაციას ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა უცხოური კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიული მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა იმ უცხოური საწარმოსათვის/ ორგანიზაციისათვის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას.
- სხვა მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია გამოცდის, მონტაჟის, გაზომვის, ტექნიკური კონტროლისათვის და ა.შ.
- საგანმანათლებლო,სამეცნიერო, და კულტურული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტის ფიზიკური პირის საკუთრებაში);
- საქონელი,რომელიც სახელმწიფო ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურების, ავარიის, კატასტროფისა და ეპიდემიის შედეგების სალიკვიდაციოდ;
- სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, შეკვეთების ან დაყალიბებისათვის.
- სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლების განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, შეკვეთების ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევიან სასწავლო მიზნებისათვის;
- სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, გემი და საფრენი საშუალება), თუ რეგისტრირებული უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ან/და რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
- საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

- კომერციულ ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი კონტეინერი, ქვესადგამი, შეფუთვა, ნიმუში, სარეკლამო ფილმი და სხვა საქონელი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1757 ბრძანებით დამტკიცებულია ინსტრუქცია – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესის შესახებ. ამ ინსტრუქციის თანახმად, აქციზური საქონელი, საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად (გარდა მსუბუქი ავტომობილებისა (სეს ესხ-ის კოდი – 8703) და გამოფენების, საჩვენებლად და გამოსაცდელად, სარეკლამო, სასწავლო, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის შეხვედრების და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თამბაქოსა და ალკოჰოლური ნაწარმისა).

მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწილები (გარდა გამოფენების, საჩვენებლად და გამოსაცდელად, სარეკლამო, სასწავლო, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის შეხვედრების და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონლისა).

აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახლებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშნულზე უფლების დარღვევით წარმოებული ან/და კონტრაფაქციული საქონელი. სახიფათო (მათ შორის ტოქსიკური) და რადიაქტიური, სამრე-წველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით დადგენილი ნარჩენების განთავსების ოპერაციების ჩათვლით). არასახიფათო (მათ შორის არატოქსიკური) და არარადიაქტიური სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები.

საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების უკანონო ასლი, ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებები. პესტიციდები და აგროქიმიკატები.

სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალა ან შეფუთვა. ფუტკრის ოჯახი, დედა ფუტკარი, ფუტკრის ამონაყარი, ფუტკრის სპერმა, ფუტკრის ჭია და კვერცხი. ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამრეწველო დანიშნულების დენთი და პიროტექნიკური ნაკეთობები უტილიზებული საბრძოლო მასალები, მათი წარმოების ნარჩენები; „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები.

ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები. შეზღუდულად ბრუნვადი მასალები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურება ხდება საბაჟო საწყობის მიერ მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა), სადაც მიეთითება წარდგენის თარიღი და დრო, ხოლო სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში-რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედდებულზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო), რაც საბაჟო ორგანოს წარედგინება მოწმობასთან ერთად. დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, ხოლო სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – საქონლის მფლობელს იმავე ან მეორე სამუშაო დღის 12 საათამდე. საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც საბაჟო-გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან გადაადგილდება დანიშნულების ადგილამდე (დროებითი შენახვის საწყობი), მაშინ ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

- დროებითი შენახვის საწყობში საქონლის წარდგენისთანავე საბაჟო საწყობის მფლობელი აკეთებს სათანადო აღნიშვნას მოწმობის უკანა გვერდზე, თარიღის, დროისა და ხელმოწერის მითითებით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში - ბეჭდის დასმით). აღნიშნული ქმედება ითვლება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენად;
- აღნიშნული პროცედურის შემდეგ უფლებამოსილი საბაჟო მოხელის მიერ ხორციელდება მოწმობის კონტროლიდან მოხსნა საქონლის წარდგენიდან არაუგვიანეს ორი დღისა, კანონმდებლობით დადგენილი “განაცხადის" საფუძველზე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდის დასმით, აგრეთვე დამოწმების თარიღისა და დროის მითითებით.

იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა

ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება მოწმობაში საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდის დასმით, აგრეთვე დამოწმების თარიღისა და დროის მითითებით. მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საქონლის გატანასა და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად მისი გადამუშავების შემდეგ მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელების დაბრუნება ან საბაჟო გადასახდელებისაგან განთავისუფლება;
- თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტის) საბაჟო გადასახდელებისაგან სრული განთავისუფლებით;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას გარეთ საქონლის გადამუშავება ხდება საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ:

- გადამუშავების პროდუქტების საქართველოში შემოტანისას შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ისინი ნამდვილად მიღებულია გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება არ აყენებს ზიანს საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს.
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავების პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას.

– საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე. ექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოცემული საქონელი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, გარდა შავი და ფერადი ლითონის ჯართისა, რომელიც იბეგრება 1 ტონა აქციზის 25 ლარის განაკვეთით.

გარდა მითითებული შვიდი საბაჟო რეჟიმისა საბაჟო კოდექსით დადგენილია საბაჟო დამუშავების ოპერაციები:

- საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი;
- საქონლის განადგურება საბაჟო კონტროლის ქვეშ;
- საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში;

აღნიშნული საბაჟო დამუშავების ოპერაციების განსახორციელებლად საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით დადგენილია შესაბამისი წესები, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები და პირობები.

საკონტროლო კითხვები:

1. საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციები.
2. საბაჟო რეჟიმების სახეობანი

6.5. საბაჟო გადასახდელების ცნება და მნიშვნელობა. საქართველოს საბაჟო ტარიფები და საქონლის სატარიფო ღონისძიებები

გადასახადები დაწესებულია უძველესი დროიდან, მისი ისტორია სახელმწიფოს წარმოშობასთან არის დაკავშირებული, ხელისუფლების მმართველი აპარატის შენახვას, სამხედრო

ძალის განმტკიცებასა და გაძლიერებას ესაჭიროებოდა გარკვეული რესურსები, რომლის მოზიდვებს გადასახადების შემოღებით ჯერ ნატურალური, შემდეგ კი ფულადი სახით ხორციელდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულოა, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადი გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია, რომ საბაჟო ტარიფი განისაზღვრება მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობით, რომელიც შედგება:

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურისაგან;
- განაკვეთებისაგან ან შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემული საქონლის მიმართ;
- საქართველო პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სატარიფო შეღავათებისაგან (პრეფერენციებისაგან);

სატარიფო შეღავათები (პრეფერენციები) გამოიყენება საბაჟო ტარიფის ჩვეულებრივი განაკვეთის ნაცვლად, თუ საქონელი აკმაყოფილებს ამ შეღავათით (პრეფერენციებით) სარგებლობისათვის დადგენილ პირობებს. სატარიფო ღონისძიებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელები.

გარდა ამისა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270^{I} და 270^{II} მუხლების თანახმად, საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს. ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველო საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი იმპორტი, ამავე კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში. ამასთან ერთად, საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონით საქონლის საბაჟო დათვალიერების ან/და გაფორმებისათვის გადაიხდევინება საბაჟო მოსაკრებელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საბაჟო გადასახდელებში შედის გადასახადები, რომლებიც არის სამი სახის:

- საბაჟო გადასახდი, რომლის განაკვეთია 0%, 5% და 12% საქონლის სახეობის მიხედვით;
- აქციზის გადასახადი, რომელიც არის დიფერენცირებული და დაწესებულია აქციზურ საქონელზე სხვადასხვა განაკვეთებით;
- დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ერთიანია და შეადგენს 18%-ს.

საბაჟო გადასახდელებში შედის ასევე საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც ზემოთ მითითებული საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად არის ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის. ამ საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარებენ ამ საშუალებებს. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის გარდა საქონლის დროებითი შემოტანისა ან/და გატანისათვის გადაიხდევინება შემდეგი სახის საბაჟო მოსაკრებლები:

- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ (გარდა ფიზიკური პირის მიერ 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე ექსპორტის საქონლისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ექვივალენტი ლარებში;
- ფიზიკური პირის მიერ (გარდა ფიზიკური პირის მიერ 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე ექსპორტის საქონლისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო გაფორმების პროცედურებისათვის ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ექვივალენტი ლარებში.

საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანისათვის ან/და ამ ტერიტორიიდან მისი დროებითი გატანისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთებია:

- 10 000კილოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 1 თეთრი;

- 10 000 კილოგრამზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;
- საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე 2,5 თეთრი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საბაჟო გადასახდელები საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით ერიცხებათ შემდეგი თანმიმდევრობით და ზემოთ მითითებული განაკვეთებით:

- საბაჟო მოსაკრებლები საქონლის საბაჟო დათვალიერებისა ან/და გაფორმებისათვის;
- საბაჟო გადასახადი;
- აქციზი აქციზურ საქონელზე;
- დამატებული ღირებულების გადასახადი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბაჟო გადასახდელების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანია და მიახლოებით შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 40-45%-ს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2%-დან 15%-ის ფარგლებში მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის დაცვა უკონტროლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებიდან, ცნობილი მიზეზების გამო გაძნელებულია საბაჟო გადასახდელების სახელმწიფო საბიუჯეტო შენატანების დინამიკა, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში ხასიათდება დაღებითი მზარდი ტენდენციებით.

2006 წლის დეკემბერში შეტანილი იქნა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო კოდექსს დაემატა XXXIX[1] თავის 270[1] - 270[5] მუხლები, რომელთა თანახმად, 219 დასახელების საქონელი (შინაური ფრინველი, ხორცი, კვერცხი, ბოსტნეული, ხილი, ძეხვები, თამბაქო, ცალკეული სამშენებლო მასალები, ტანსაცმელი და ა.შ) იბეგრება საბაჟო ღირებულების 12%-იანი განაკვეთით და 7 დასახელების საქონელი. საბაჟო გადასახადით იბეგრება საქონლის საბაჟო ღირებულების 5%-იანი განაკვეთით. სხვა დანარჩენი საქონელი კი საბაჟო გადასახადით არ იბეგრება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2007 წლიდან საბაჟო გადასახდელების შემცირებამ თავისთავად იმოქმედა საბიუჯეტო შემოსავლებზე. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საბაჟოგადასახდელების ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას, მთლიანობაში კი ეკონომიკის გაჯანსაღებას, რამაც საბოლოოდ გაზარდა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები. ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის, რომ საბაჟო გადასახდელების შემცირება იმპორტირებულ საქონელზე თავისთავად მძიმე პირობებში აყენებს ანალოგიური საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს.

სპირტიანი სასმელები იბეგრება განაკვეთით (euro/% volHL), რომელიც ნიშნავს, რომ 1 ჰექტალიტრზე (100 ლიტრზე) გადასახდელი საბაჟო გადასახადის თანხა შეადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემული საქონლის ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება საბაჟო გადასახადის იმ თანხის 3%-ით, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს. გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს საბაჟო გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

2009 წლის 1 იანვრამდე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტისას საბაჟო გადასახადი განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5% ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათის.

საბაჟო გადასახადი დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით, ხოლო გადახდა – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად. საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- საქონლის ექსპორტი;

- საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;
- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;
- უცხოური საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას; საბაჟო საწყობებიდან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იგი იბეგრება დადგენილი წესით, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში – სათანადო რეჟიმის შესაბამისად;
- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტების შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
- საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტების ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც არანაკლებ 25%-ის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;
- საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათი ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების იმპორტი, აგრეთვე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი;
- საქონლის დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად იმპორტის გადასახადის გადახდისაგან სრული გათავისუფლებით (გარდა იმ საქონლისა, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა), გემების, საჰაერო საფრენი საშუალებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქონლის საქართველოში დროებით შემოტანა. იმ საქონლის დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებითი შემოტანა;
- თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანის, საბაჟო მეღამხელველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ამ რეჟიმის შესაბამისად. საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, საზღვაო თევზჭერის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის შემოტანა, რომელზედაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას და რომლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

გზავნილების შემთხვევაში, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:

- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისად ჯამური თანხით 200

ლარამდე ღირებულების, მაგრამ საერთო წონით არაუმეტეს 5 კგ-სა, კვების პროდუქტების იმპორტი;

- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას – 1500 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;
- 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი (გარდა 18 წლამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულის);
- უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული პირის მიერ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 7500 ლარამდე ღირებულების, არაერთგვაროვანი პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ხოლო უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;
- საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის(მათ შორის ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპრტო საშუალების იმპორტი);
- ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის. რენტგენის, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;
- საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავი და საპოხი საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოების მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება გარანტია;
- მივლინებიდან განოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირებისათვის დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე ერთი სატრანსპორტო
- „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა–დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;
- უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;
- 2008 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის ან/და ნედლეულის („ტრაპზონის" ჯიშის თამბაქოს გარდა) იმპორტი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1775 ბრძანებით, დამტკიცებულია ინსტრუქცია-დებულება ვალდებული პირის მიერ გადახდილი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხული და გადახდილი თანხების აღრიცხვის წესის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში კონკრეტული პერიოდისათვის ვალდებული პირის პირადი აღრიცხვის ბარათში ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვის წესს. ვალდებული პირის პირადი აღრიცხვის ბარათი (შემდგომში – ბარათი), წარმოადგენს ტერიტორიული საბაჟო ორგანოს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტს, რომელშიც აისახება ვალდებული პირის მიერ საბაჟო დეკლარირების განხორციელებისას გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხები, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, გადასახდელად დარიცხული ან შემცირებული თანხები, მეღმეტად გადახდილი, უკან დაბრუნებული ან სხვა გადასახდელების გადახდის ანგარიშებში გადატანილი თანხები, ვადაგადაცილებული დავალიანებები, საბაჟო სანქციის თანხები.

ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაციის თანახმად.

ტერიტორიული საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებს ვალდებული პირის მიერ გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხული და გადახდილი თანხების აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების სისწორეზე. აგრეთვე მეღმეტად

გადახდილი ან შეცდომით ჩარიცხული თანხების ბიუჯეტიდან დაბრუნების ან გადასახდელის ერთი სახიდან მეორეში გადატანის სისწორეზე და აღრიცხვის დოკუმენტების დაცულობაზე.

ბარათის წარმოებასთან დაკავშირებით ტერიტორიული საბაჟო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდება ფუნქციების განაწილება ტერიტორიული საბაჟო ორგანოს მუშაკებზე.

ტერიტორიული საბაჟო ორგანოს უფროსი/მოადგილე პასუხისმგებელია საბაჟო გადასახდელების აღრიცხვის მდგომარეობაზე და ამ მხრივ მუშაობის სწორად წარმართვაზე.

ტერიტორიულ საბაჟო ორგანოებში ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხდება მთელი საინფორმაციო ბაზის დაარქივება მაგნიტურ მატარებელზე. დგება აქტი „მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მონაცემთა ბაზის დაარქივების შესახებ", რომელსაც ხელს აწერენ საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი/მოადგილე და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი. დაარქივებული მონაცემები ინახება 6 წლის განმავლობაში. ასევე, მიმდინარე წლის განმავლობაში ყოველი თვის პირველ რიცხვში ხდება მთელი საინფორმაციო ბაზის დაარქივება და შენახვა საიმედოდ დაცულ ადგილზე.

ბარათის კომპიუტერული დამუშავების დროს პროგრამულად უზრუნველყოფილია მონაცემთა ბაზასთან დაშვების უფლების მქონე მომხმარებელთა განსაზღვრა, მათი შემოწმება და იდენტიფიცირება სისტემაში ყოველი შესვლის დროს, პაროლების განსაზღვრა და მათი ცვლილება. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის სათანადო ნებართვის გარეშე გასული თარიღით მონაცემთა ბაზაში ყოველგვარი ცვლილებისა და ჩანაწერის გაკეთება დაუშვებელია. ბარათი შეიცავს ვალდებული პირის შესახებ საიდუმლო მონაცემებს. საბაჟო ორგანოები, მათი თანამდებობის პირები, მოწვეული სპეციალისტები ან/და ექსპერტები ვალდებული არიან დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ვალდებული პირის შესახებ მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და იმოქმედონ კანონით განსაზღვრული წესით.

კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ბარათის ამონაბეჭდები მოსამართლის ბრძანების საფუძველზე შეიძლება მიწოდებულ იქნეს სამართალდამცავი ორგანოებისათვის იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდევნებიან საბაჟო სამართალდარღვევათა ჩადენისათვის. აგრეთვე სასამართლოებისათვის – ვალდებული პირის საბაჟო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით; სხვა სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს – საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად; სასამართლო აღმასრულებლებს – სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. ბარათის ამონაბეჭდების მიწოდება ნებადართულია მემდგომი საბაჟო ორგანოს თანამშრომლებზე, საბაჟო ორგანოს საქმიანობის შემოწმების პერიოდში, აგრეთვე საბაჟო ორგანოს იმ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო კონტროლს დაქვემდებურებული საქმიანობის შემოწმებას. ამონაბეჭდი ხელმოწერილ უნდა იქნეს საბაჟო ორგანოს უფროსის/მოადგილის და ამ საქმით დაკავებული უფლებამოსილი პირის მიერ.

ვალდებული პირის მიერ საბაჟო ვალდებულებების შესრულების აღრიცხვის წარმოების მიზნით ტერიტორიულ საბაჟო ორგანოებში იხსნება ვალდებული პირის პირადი აღრიცხვის ბარათი. ბარათის გახსნის საფუძველს წარმოადგენს ვალდებული პირის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მონაცემები. ბარათი იხსნება ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე მათ მიმართ საბაჟო ვალდებულებების წარმოშობისთანავე. მოქმედი ვალდებული პირისათვის ბარათი იხსნება ყოველი წლის დასაწყისში. ბარათი იხსნება საბაჟო გადასახდელების მიხედვით. გადასახადის მიზნებისათვის აქციზის გადასახადში იხსნება ორი ბარათი. აქციზური მარკების შესაძენად გადახდილი თანხები აისახება „აქციზური მარკები"-ს ბარათზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე მარკირებას დაუქვემდებარებელ საქონელზე გადახდილი აქციზის თანხების აღრიცხვისათვის გამოიყენება „აქციზი" -ს ბარათი.

ბარათზე ჯარიმის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე ტერიტორიული საბაჟო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილება. ვალდებული პირის პირადი აღრიცხვის ბარათში საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დარიცხვა გულისხმობს საბაჟო ორგანოებში კონკრეტული პერიოდისათვის ვალდებული პირის მიერ გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის აღრიცხვას მონაცემების ელექტრონული დამუშავების საშუალებებით. დარიცხვა მოიცავს შესწორებით დარიცხვასა და სავარაუდო დარიცხვას. ამასთან, შესწორებითი დარიცხვის შემთხვევაში უქმდება სავარაუდო დარიცხვა.

ბარათში ჩანაწერები ხორციელდება საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაციების, დაზუსტებული დეკლარაციების, უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოების შემოწმების მასალების და სხვა სათანადო ინფორმაციის, არსებული წესის შესაბამისად გაფორმებული დასკვნების, გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

გადაწყვეტილებების, სახელმწიფო ხაზინიდან და საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ამონაწერებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე. „საგადასახადო მოთხოვნის (საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხვის შესახებ) და „გადასახდელის გადამხდელის მოთხოვნის (ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების ჩათვლის ან დაბრუნების შესახებ) წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი. ბარათში ყველა ჩანაწერი წარმოებს თავისდროულად და ქრონოლოგიური წესით, ჩანაწერის გაკეთების თარიღისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის სისწორის დადგენით. ბარათებში ჩანაწერები კეთდება შესაბამისად, „დარიცხულია", „შემცირებულია", „გადახდილია" და „ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებულია ან გადატანილია" გრაფების მიხედვით. ყოველი ჩანაწერის შემდეგ გამოიყვანება სალდო გადასახდელის, ჯარიმისა და საურავის თანხების მიხედვით.

სახელმწიფო ხაზინიდან საბაჟო ორგანოში საგადასახდელო შემოსავლების შესახებ ყოველდღიური ამონაწერები შეიძლება წარდგენილი იქნას დამოწმებული სახით, როგორც ქაღალდზე, ისე ელექტრონული ფორმით. საგადასახდელო შემოსავლების ამონაწერების ელექტრონული ფორმით მიღების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ მოწმდება ვალდებული პირის რეკვიზიტები და სახაზინო კოდთან საგადასახდელო დავალების ველის – „გადახდის დანიშნულების" შესაბამისობა. საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი ახორციელებს ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციას საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ჟურნალში და შესაბამის პროგრამაში, თუ უზრუნველყოფილია დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში.

საბაჟო შემოწმებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით დარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში და შესაბამის პროგრამაში.

პირადი აღრიცხვის ბარათებზე გადასახდელების მიხედვით ბიუჯეტის დავალიანებების არსებობის შემთხვევაში მათი დაფარვა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- გადასახდელის ძირითადი თანხის გადახდა;
- საბაჟო სანქციის სახით დარიცხული ჯარიმის თანხის გადახდა;
- დარიცხული საურავის თანხის გადახდა.

ბარათზე დარიცხული და გადახდილი გადასახდელის თანხების შესახებ ჩანაწერები წარმოებს დამრგვალებული წესით ერთ ლარამდე. დამრგვალების დროს 50 თეთრამდე თანხები ანგარიშში არ მიიღება, ხოლო 50 თეთრი და მეტი მიიღება, როგორც ერთი ლარი. ასეთივე წესი გამოიყენება აგრეთვე გადასახადების შემცირებისას. ვალდებული პირის ადგილსამყოფელის შეცვლის, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, გადამხდელის გაკოტრებულად ცნობის, სასამართლოს მიერ ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ხელმძღვანელობენ იმ უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული დოკუმენტებით, რომლებიც ახორციელებენ:

- იურიდიული პირების რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას და ლიკვიდაციას;
- დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვას და/ან რეგისტრაციას;
- ლიცენზიების, მოწმობების ან სხვა სანებართვო ან სარეგისტრაციო ხასიათის დოკუმენტების გაცემას;
- საქართველოში ფიზიკური პირების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციას;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას;
- სანოტარო მოქმედებებს;
- მეურვეობის და მზრუნველობის შესახებ დოკუმენტების გაცემას;
- სასამართლო ორგანოების საქმიანობას.

მიღებული დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას ბარათზე შესაბამისი ოპერაციის გასატარებლად.

ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №241-ე ბრძანებით დამტკიცდა ინსტრუქცია - მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მომიქცევაში გაშვებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის წესის შესახებ, რომლითაც დადგენილია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას. საბაჟო ორგანო ახორციელებს ასეთი საქონლის, მასთან დაკავშირებული პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მისი თანმხლები დოკუმენტების საბაჟო კონტროლს შესაბამისი საბაჟო პროცედურების დაცვით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით და გრანტების შესახებ ხელშეკრულებით შემოტანილ საქონელს ჰუმანიტარული დახმარების სტატუსს და გრანტის სტატუსს ანიჭებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პრერზიდენტის 2001 წლის 13

აგვისტოს №326 ბრძანებულებით დამტკიცებული „ საქართველოში საიმპორტო საქონლისათვის გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების, მისი აღრიცხვისა და გამოყენების შესახებ" დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისათვის საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე შეღავათების გამოყენების პირობას წარმოადგენს:

- ჰუმანიტარული დახმარების სტატუსისა და გრანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა;
- სხვა შემთხვევებში:
- - უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების იმპორტის დროს – დიპლომატიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- - „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტის დროს – აღნიშნული კანონის მიხედვით საოპერაციო კომპანიის (ინვესტორის) მიერ გაცემული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- - „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტის დროს- აღნიშნული კანონის მიხედვით საოპერაციო კომპანიის (ინვესტორის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- - „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტის დროს – აღნიშნული კანონის მიხედვით საოპერაციო კომპანიის (ინვესტორის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- - საერთაშორისო საავიაციო ან/და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტის დროს – ბორტზე ფაქტობრივად მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იქნება თითოეული რეისის განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების რაოდენობა და ღირებულება;
- - საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტის დროს- საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს გადაცემის დამადასტურებელი, ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- - განძეულობის, ჩამორთმეული ან/და უპატრონო საქონლის იმპორტის დროს- აღნიშნული საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში შეტანის დამადასტურებელი სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- - ელექტროენერგიის წარმოებისათვის ბუნებრივი აირის იმპორტის დროს – თბოელექტროსადგურების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- -მისართების, გამხსნელების, ანტიდეტონატორების იმპორტის დროს, როდესაც ისინი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტი;

ინსტრუქციით დადგენილია საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული გამონაკლისები, თუ საქონელი მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში, იგი რჩება საბაჟო მეღამხედველობის ქვეშ. საბაჟო მეღამხედველობა დასრულდება, თუ:

- შესრულდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა;
- საქონელი დეკლარირებული იქნება ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გამოსაყენებლად;
- საქონელი განადგურდება საბაჟო მეღამხედველობის ქვეშ;
- საქონელი გამოყენებული იქნება სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოტანილი საქონლის

ქვეყნის შიდა სივრცეში მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მასვე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარედგინება ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშები და შესაბამისი განმარტებები საქონლის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე.

უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ- ტექნიკური პერსონალის (მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით), პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების, „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების, „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, „ ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების მიზნობრივი გამოყენების ცონტროლს ქვეყნის სივრცეში ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის XV და XVI თავების შესაბამისად.

საქონლის მიზნობრივად გამოყენების დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე საბაჟო ორგანოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წერილობითი შეტყობინებების მიღების დღიდან მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი ითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან გასულად.

საერთაშორისო საავიაციო ან/და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების; საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს; განძეულობის, ჩამორთმეული ან/და უპატრონო საქონლის. ელექტროენერგიის წარმოებისათვის ბუნებრივი აირის. მისართების, გამხსნელების, ანტიდეტონატორების მიზნობრივი გამოყენების ცონტროლს ახორციელებს და ამ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის დასრულების საკითხს წყვეტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული საბაჟო ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (170-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში დაუშვებელია მიზნობრივი დანიოშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის სხვა მიზნით გასხვისება, დაგირავება, გასესხება ან სხვა დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მისი გადაცემა, აგრეთვე სხვა პირის სარგებლობაში გადაცემა ან გამოყენება. იმპორტის გადასახდელების გადახდის შემთხვევაში ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

თუ მიზნობირვი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნული შესაბამის საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ დამოწმებული საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები. შხვა შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქონლისათვის მიზნობრივი სტატუსის (ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი, გრანტის სტატუსი) გაუქმებას წერილობით აცნობებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. თუ არ შესრულდება და შეიცვლება საბაჟო – საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის მიზნობრივი გამოყენების პირობები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი შესაბამის წერილობით შეტყობინებას უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საქონლის მიზნობრივად გამოყენების პირობების შეუსრულებლობის თაობაზე იღებს საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაციის განხორციელების ზომებს.

გარდა აღნიშნულისა საქართველოს საბაჟო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად საქონლის კლასიფიკაციისას დეკლარანტი საქონლის კოდს განსაზღვრავს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით საქართველოს კანონმდებლოის მოთხოვნების შესაბამისად.

თუ საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარირებული საქონლის კოდს, იგი ამის შესახებ აცნობებს დეკლარანტს და საქონლის კოდი განისაზღვრება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საქონლის კლასიფიკაციის ზოგადი წესებით.

საბაჟო კოდექსის ეს მოთხოვნები გულისხმობს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელს მიენიჭება საკუთარი კოდური (ციფრული) ნომერი ჰარმონიზებული ნომენკლატურის საფუძველზე, რომლის მიხედვით ხორციელდება საბაჟო გადასახდელების დარიცხვა, ან კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების მინიჭება. ამავე დროს საქონლის კოდირებით დგინდება აგრეთვე ისეთი არასატარიფო ღონისძიებების გამოყენების საკითხი, როგორიცაა საქონლის ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა. ამ კოდექსის საშუალებით ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკის წარმართვა საგარეო ვაჭრობის, საქონელბრუნვის, საგადამხდელო ბალანსისა და სხვა მიმართულებებით.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 აგვისტოს 163-ე დადგენილებით დამტკიცდა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა“ (სეს ესნ)[1], რომელიც ეფუძნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 1996 წლის გამოცემასა და საერთაშორისო სტანდარტებში „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა“-ს[2].

მითითებული დადგენილების თანახმად, „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა” (სეს ესნ) გამოიყენება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა განსახორციელებლად. სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვისათვის და სტატისტიკური ინფორმაციის დაცვის სრულყოფისათვის აღნიშნული ნომენკლატურა დეტალიზებულია 11 ნიშნით ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.[3]

2009 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცდა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სესეენ)“, რომელიც ძალაშია 2009 წლის 1 ნოემბრიდან.

საკონტროლო კითხვები:

1.საბაჟო გადასახდელების, საბაჟო ტარიფის ცნება და მნიშვნელობა;

2.ვალდებული პირის მიერ გადახდილი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხული და გადახდილი თანხის აღრიცხვის წესის შესახებ, ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნები;

3.მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის წესის შესახებ ინსრტუქციით განსაზღვრული მოთხოვნები და პირობები;

4. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ცნება, მისი გამოყენება და მნიშვნელობა.

6.6. საბაჟო ტერიტორიისა და საბაჟო საზღვრის ცნება. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და წარდგენა საბაჟო ორგანოში

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისაგან, მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს საბაჟო ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებულ დანადგარებს, ნაგებობებსა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაში შედის ქვეყნის მთელი საბაჟო ტერიტორია, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, ანუ სრულად ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობა და კონტროლი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ქვეყანაში შემოტანასა და გატანაზე, აგრეთვე მგზავრებისა და მათი ხელბარგის გადაადგილებაზე.[1] საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და

---

[1] ამ დადგენილებაში ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს მთავრობის 2006 წლი 6 ნოემბრის № 203-ე დადგენილებით

[2] დღეისათვის ეს საერთაშორისო სტანდარტები მოქმედებს 2002 წელს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

[3] საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საკითხები შედარებით ვრცლადაა განხილული სახელმძღვანელოს შემდეგ თავში.

[1] რომლებიც დროებით ვერ ხორციელდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარირებულ ტერიტორიებზე.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ტერიტორიული წყლები მოიცავს შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიას, ზღვის უმეტესი მიქცევის ადგილიდან 12 საზღვაო მილის ფარგლებში.[2]

განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში საქართველოს დღეისათვის ხელოვნური კუნძულები, დანადგარები და ნაგებობები არ გააჩნია.

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონი განმარტავს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებას, რომელიც მოიცავს:

- სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს.
- საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და სხვა არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესებს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესებს.

კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი შეადგენს:

- პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა და მათი შემოწმების წესს;
- სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანას, ცხოველთა გადაყვანის წესს;
- საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ შიდა წყლებში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და ყოფნის, აგრეთვე იქიდან გამოსვლის წესს.
- სასაზღვრო გამტარ პუნქტებში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შეტანა-გამოტანის წესს;
- საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს
- სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესს ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 20 დეკემბრის №676 ბრძანებით დამტკიცებულია „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის და დაცვის წესი“, რომლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო საზღვარი აღინიშნება სასაზღვრო ნიშნებით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, მითითებული წესის თანახმად, ხდება პირის მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში.

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის პირობები და საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ასევე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, კონვენციითა და შეთანხმებით, რომლის საფუძველზე საქართველოში მიღებულია მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ განმარტავს, რომ სასაზღვრო გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილია, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დაღგენილი სხვა სახის კონტროლი.

„სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის“ წესის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებიც დაღგენილია საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებში წასვლისას საქართველოს მოქალაქეები საზღვარს კვეთენ საქართველოს მოქალაქის პასპორტით (სამსახურეობრივი და დიპლომატიური), საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის პირადობის მოწმობით, მეზღვაურის პასპორტით, მატარებლის ბრიგადის წევრების პირადობის მოწმობით და სამხედრო მოსამსახურის პირადობის მოწმობით ამ პირების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები საქართველოს საზღვარს კვეთენ ეროვნული პასპორტებით (საზღვარგარეთის პასპორტი) და საქართველოს ვიზით, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული უვიზოდ შემოსვლის წესი. უცხოეთის მოქალაქეები, რომლებიც, მიემგზავრებიან საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყანაში, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებითაც შემოვიდნენ საქართველოში.

---

[2] ერთი საზღვაო მილი (ინგლისურად mile, ლათინურად milia passuum– ათასი ორმაგი რომაული ნაბიჯი, სიგრძის ერთეული), უდრის 1853 მეტრს, სახმელეთო 1600 მეტრს, დაღგენილია 1929 წლის საერთაშორისო ჰიდროგრაფიული კონფერენციის მიერ.

არასრულწლოვანი პირები (შესაბამისი სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით) სახელმწიფო საზღვარს კვეთენ დაბადების მოწმობისა და მათი თანმხლები პირების საბუთებში ჩაწერის საფუძველზე. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლის შემთხვევაში მოწმდება იმ საბუთების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლას (საქართველოს სატრანზიტო ვიზა), თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში იმ საბუთებში, რომლებიც უფლებას აძლევს პირს შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე, ისმება თარიღის შტამპი აღნიშვნით „შემოსვლა“ ან „გასვლა“.

საავტომობილო მიმოსვლის სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მგზავრთა შემოწმება, რომლებიც მგზავრობენ საერთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით, როგორც წესი, ტარდება ავტობუსის სალონში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოძრაობის ხაზზე, პასპორტის კონტროლის ჯიხურში. პირთა უკანონო გადაყვანის გამოვლენის მიზნით ხდება სამალავების დათვალიერება.

დალუქული ტვირთების გახსნა და შემოწმება ხდება კომისიურად საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, მძღოლისა და თანმხლები პირების თანდასწრებით. შემოწმების შედეგებზე ფორმდება სათანადო აქტი.

საჰაერო ხომალდებისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხდება სპეციალურად ფრენისათვის გამოყოფილ დერეფანში, რომლის კოორდინატები ქვეყნდება ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულში. საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილი საჰაერო ხომალდების სასაზღვრო კონტროლი ტარდება საერთაშორისო აეროპორტებში, სადაც გახსნილია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

სასაზღვრო კონტროლს ექვემდებარება ყველა ქართული და უცხოური ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდი, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენას.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი, ნებისმიერი საჰაერო ხომალდის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ საჰაერო დერეფნის გაუვლელად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის ნებართვას ათანხმებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და ინფორმაციას აწვდის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს.

რკინიგზის ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას, სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება სპეციალურად გამოყოფის ადგილებში, რომლის მოწყობასაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს რკინიგზის ადმინისტრაცია.

საქართველოში მომავალ მგზავრთა საბუთები, როგორც წესი, მოწმდება მატარებლის მოძრაობისას, სახელმწიფო საზღვართან სასაზღვრო რკინიგზის სადგურამდე და პირიქით. შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, სასაზღვო ძალები უფლებამოსილნი არიან საბაჟოს, რკინიგზის წარმომადგენლისა და ტვირთის თანმხლები პირის თანდასწრებით შესამოწმებლად გახსნან დალუქული ვაგონი (კონტეინერი).

საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი უცხოეთისა და საქართველოს გემების სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება მისადგომებთან ან საჭიროების შემთხვევაში – რეიდზე. საზღვარგარეთიდან მომავალი სამგზავრო გემების სასაზღვრო კონტროლი შეიძლება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემის ნავსადგურში შესვლამდე. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული ზღვის დათქმულ ადგილზე ან საქართველოს შიდა წყლებში გემებს ხვდება კომისია. ნავსადგურში გემის შემოსვლისას (რეიდზე ან ნავსადგურში).

სახელმწიფო სანიტარულ-საკარანტინო სამსახურის ექიმი მესაზღვრეებთან ერთად ადის გემზე და ამოწმებს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, რომლის შემდეგ ამ სატრანსპოტო საშუალებას ეძლევა ნავსადგურიდან თავისუფალი ურთიერთობის უფლება.

სანაოსნოს, საბაჟოს, ნავსადგურის, სასაზღვრო გამტარი პუნქტის უფროსებსა და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ ავიდნენ ნავსადგურში მყოფ საზღვარგარეთის გემზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს, საშვის გარეშე, თავიანთი სამსახურეობრივი დოკუმენტებით. გემებიდან მგზავრთა გადმოსვლისას საბუთები მოწმდება ტრაპთან ან სატრანსპორტო კონტროლის ჯიხურში ეროვნული პასპორტებისა და სიების მიხედვით. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილება, დგომა, ადგილის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და საბაჟო ორგანოების ნებართვით.

სამეურნეო, სარეწი და სხვა სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან და ეხება საქართველოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს ინტერესებს, ახორციელებენ საქართველოსა და ამ სახელმწიფოს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (მათ შორის ერთობლივად) უშუალოდ სახალმწიფო საზღვარზე ან მის ახლოს. აღნიშნულმა საქმიანობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს

მოსახლეობის ჯანმრთელობას, საქართველოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს ეკოლოგიურ და სხვა სახის უსაფრთხოებას, ასევე სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობას.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-4 კარის, VII-XII თავების 44-ე – 61-ე მუხლებით რეგულირდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა, მისი ამ ტერიტორიაზე გადაადგილება, წარდგენა საბაჟო ორგანოში, დროებითი დასაწყობება და საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად განხორციელებული საბაჟო და ასევე სხვა პროცედურები.

ამ კოდექსის 44-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას[16] რომელიც ძირითადად ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მიზნით. საბაჟო ზედამხედველობა იმ საქონელზე, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საბაჟო საზღვარი ხორციელდება საბაჟო რეჟიმის სრულ დასრულებამდე. მაგალითად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით შემოტანილ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობა ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურების დასრულებამდე, საბაჟო გადასახდელების დარიცხვისა და გადახდის ჩათვლითა და საქონლის „გაშვების“ ანუ მფლობელისათვის სრულ განკარგვაში გადაცემამდე. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობა ხორციელდება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთიდან ამ საქონლით საბაჟო ტერიტორიის დატოვებამდე ანუ საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე.

საბაჟო კანონმდებლობით დადგენილია საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება საბაჟო რეჟიმის დასრულების შემდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი შემოტანილია მიზნობრივი დანიშნულებით და მასზე გავრცელებულია საიმპორტო გადასახდელების შეღავათები. საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 კალენდარული წლის განმავლობაში დაუშვებულია მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის სხვა მიზნით გასხვისება, დაგირავება, გასესხება ან სხვა დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მისი გადაცემა, აგრეთვე სხვა პირის სარგებლობაში გადაცემა ან გამოყენება. ამ მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი საქონლის შემოტანიდან 3 წლის განმავლობაში მასზე ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობა. იმპორტის გადასახდელების გადახდის შემთხვევაში ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება და საქონლის „გაშვების“ მომენტიდან მასზე საბაჟო ზედამხედველობა მოიხსნება.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერ ფიზიკური და იურიდიული პირს, იქნება ის საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუ საერთოდ მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებული თუ სხვა ქვეყნის იურიდიული პირი, აქვს თანაბარი უფლება საქართველოში დადგენილი წესით გადაკვეთოს საქართველოს საბაჟო საზღვარი, შემოიტანოს და გაიტანოს ნებისმიერი საქონლი, რომელთა შემოტანა და გატანა არ არის აკრძალული. საბაჟო საზღვარზე საქონლის გატანისა და შემოტანის აკრძალვის საფუძველი შეიძლება იყოს სახელმწიფო უშიშრიების მოსაზრება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჭიროება, ადამინის ზნეობრივი ნორმების გამორიცხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ბუნებრივი გარემოს დაცვა, ცხოველებისა და მცენარეების დაცვა, საქართველოს მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების დაცვა, პირადი საკუთრების, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სხვა.[17]

საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონდ გასვლის შემთხვევაში, ან თუ საბაჟო ორგანოს წარმოეშვა საფუძვლიანი ეჭვი საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონო გასვლაზე და დეკლარანტს, საქონლის მესაკუთრეს ან მფლობელს არ შეუძლიათ საბაჟო ორგანოს დაუმტკიცონ ამ საქონლის საბაჟო ზედამხედველობის გასვლის კანონიერება, ეს პირები ვალდებულნი არიან დარღვევის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება ანუ გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდელები.

საბაჟო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმპერატიულად არის განსაზღვრული, რომ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. აკრძალულია საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ღუქების და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა, საქონლის განკარგვა და ა.შ.

---

[16] საბაჟო ზედამხედველობა არის საბაჟო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან სხვა პირობების დაცვა.

[17] საბაჟო კოდექსის კომენტარები. თბილისი 1998. გვ.28

საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლით დადგენილია საქონლის გადაადგილებისა და საბაჟო ორგანოში წარდგენის ვალდებულება. პირს, რომელსაც საქონელი შემოაქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ვალდებულია საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება მხოლოდ იმ საქონელზე, რომლის დანიშნულების ქვეყანა არ არის საქართველო და რომელიც გადაიზიდება საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც კვეთს საქართველოს ტერიტორიულ წყლებს და საჰაერო სივრცეს, აგრეთვე გადაიზიდება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე მოტანისთანავე წარედგინება მიმღებ საბაჟო ორგანოს. ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს, საგანგებო ან განსაკუთრებული პირობების დადგომისას, რომლებიც შეუძლებელს ხდის საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესრულებას და რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემომტან პირზე (სტიქიური უბედურებები, რომლებშიც შედის მიწისძვრა, წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი და სხვა, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, მასობრივი არეულობა და გაფიცვა, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები), საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენლობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ. ან უნდა შეასრულოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის მოხელის ყველა მითითება. ის აგრეთვე ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის შესახებ. კერძოდ არ იქნეს დაზიანებული პლომბები, დამღები და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, არ განადგურდეს და არ დაიკარგოს საქონელი.

ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საქონლის შემომტან პირს ან მის წარმომადგენელს ევალება უზრუნველყოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გატანა უახლოეს საბაჟო ორგანოში. ამასთან სახელმწიფო არ აანაზღაურებს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს. საბაჟო ორგანოს ევალება გაატაროს ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია აღნიშნულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის განსახორციელებლად.

საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენის შემდგომ საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევის მიზნითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯის ან ნიმუშის აღება და მისი ანალიზი ან გამოკვლევა.

გარდა საბაჟო კოდექსისა საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო ორგანოში წარდგენა რეგულირდება მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. 2006 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №242 დადგენილება – სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, სამუშაო დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომლის თანახმად:

სასაზღვრო საბაჟო ორგანოების (წითელი ხიდი, სადახლო, გარდაბანი, ახკერპი, გუგუთი, მტკვარი, ლაგოდეხი, სამთაწყარო, ყაზბეგი, ვალე, ნინოწმინდა, თბილისის აეროპორტი, სარფი, ბათუმის აეროპორტი, ქუთაისის აეროპორტი, სენაკის აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთის პორტი,) სამუშაო დრო განისაზღვროს 00 საათიდან 24 საათამდე.

სასაზღვრო საბაჟო ორგანოების გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი, რომლის შემოტანა ან/და გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალული არ არის.

თამბაქოს ნაწარმის, ნავთობის დისტილატებისა და ალკოჰოლიანი სასმელების გადაადგილება ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახით საბაჟო საზღვარზე განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში – თბილისის აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთის პორტი, წითელი ხიდი, სადახლო, გარდაბანი, ყაზბეგი, ვალე, სარფი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯართის შემოტანა და ამ ტერიტორიიდან გატანა განხორციელდეს მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, შესაბამისი სასაზღვრო საბაჟო ორგანოების განთავსების ადგილებში.

აუცილებლობის შემთხვევაში ახალი სასაზღვრო საბაჟო ორგანოები გაიხსნას საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა დაცვით და სასაზღვრო (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) და საბაჟო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) ორგანოების ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1765 ბრძანებით – საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების დროისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ, დადგინდა საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ადგილები, სადაც ხორციელდება საქონლის წარდგენა, დათვალიერება,

საბაჟო დოკუმენტების შემოწმება, ზოგადი დეკლარირება და სხვა ქმედებების განხორციელება (გარდა საბაჟო პროცედურების დასრულებისა) საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით. ასეთ ადგილებად მიჩნეულია – 18 სასაზღვრო - საბაჟო გამშვები პუნქტები.

ამ ბრძანებით აგრეთვე განსაზღვრულია საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად საქონლის წარდგენის, საბაჟო დეკლარირებასთან და დათვალიერებასთან, საბაჟო გადასახდელების გადახდასთან, სატრანსპორტო საშუალებებისა და პირადი ნივთების შემოწმებასთან, საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ჩატარებისას საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილები (სხვაგვარად საბაჟო გაფორმების ადგილები) საქართველოს მთელ საბაჟო ტერიტორიაზე.

ამავე ბრძანებით დადგინდა, რომ ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 700 ლარამდე ღირებულების საქონელი, ამ პირის თხოვნის საფუძველზე ექვემდებარება საბაჟო დამუშავების ოპერაციას იმ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში, სადაც მის მიერ ხორციელდება საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო დამუშავების სხვა ადგილზე.

საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრა საბაჟო ორგანოსათვის 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე. ამასთან, დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით საბაჟო დამუშავების ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს არასამუშაო დროსაც. სასაზღვრო საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო დამუშავების ოპერაციის დროდ განსაზღვრულია – 00 საათიდან 24 საათამდე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის № 1771 ბრძანებით დამტკიცდა – „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის შემოტანის წესისი შესახებ“ ინსტრუქცია, რომლის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში.

ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემით.

განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;
- განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;
- მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);
- განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრციული აქტის გამოცემას.

ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო ორგანო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის მედამხედველობა და გაცილება.

საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს.

საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიისა და საბაჟო საზღვრის ცნება;
2. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნება;
3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის პირობები.

6.7. საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები)

საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები)[1] არის კანონმდებლობით მინიჭებული გარკვეული უპირატესობა ცალკეული კატეგორიის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლის თანახმად საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული კონკრეტული საქონელი თავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ საბაჟო გადასახადებისგან, აგრეთვე თავისუფლდებიან საბაჟო კონტროლისგან საქართველოსა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული პირები, მათ მიერ შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

ახალი საბაჟო კოდექსის VII-ე კარით დადგენილია საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები). ამ კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, საბაჟო გადასახადებისგან საქონლის გათავისუფლების შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, "საბაჟო ტარიფის შესახებ" და "საბაჟო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონებით.

უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა, დიპლომატიურ და და ადმინისტრაციულ – ტექნიკურ პერსონალის, მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით და მათი ბარგის საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო კონტროლისგან გათავისუფლების პირობები განსაზღვრულია 1961 წლის კონვენციით - დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ და ვენის 1963 წლის კონვენციით - საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, რომლებსაც საქართველო მიუერთდა შესაბამისად 1993 წლის 13 მაისისა და 8 ივნისის პარლამენტის დადგენილებებით. დიპლომატიური ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებია ასევე 1969 წლის კონვენცია - სპეციალური მისიების შესახებ, 1973 წლის კონვენცია– საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულის აცილებისა და დასჯის შესახებ, 1974 წლის კონვენცია–სახელმწიფოების წარმომადგენლობის ურთიერთობის შესახებ-უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებულია იმ საქონლის იმპორტი ან/და დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოური დიპლომატიური და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა.

ამ გადასახადისაგან გათავისუფლებულია ასევე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი. პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ქონების იმპორტი და დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა - ძიებისა და მოპოვების საშუალებებში დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისასთვის.

ამავე კოდექსის 265-ე მუხლით აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლებულია იმ მსუბუქი ავტომანქანების დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და

[1] პრეფერენცია (preference) ნიშნავს უპირატესობის მიკუთვნებას, შეღავათების გაწევას

მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიცალური სარგებ-ლობისთვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლებულია ასევე იმ მსუბუქი ავტომანქანების დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა–ძიებისა და მოპოვების სამუშაოებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო - თბილისი-ერზრუმის მილსადენის მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის.

ნიშანდობლივია, რომ გარდა მსუბუქი ავტომანქანების დროებითი საბაჟო რეჟიმით შემოტანისა, სხვა აქციზური საქონელის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოური დიპლომატიური და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აქციზის გადასახადისგან გათავისუფლებული არ არის.

ამავე დროს საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში დაუშვებელია იმ საქონლის, რომელიც შემოტანილია მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობით და გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისგან სხვა მიზნით გასხვისება, დაგირავება, გასესხება ან სხვა დავალიანების უზრუნველსაყოფად გადაცემა, აგრეთვე სხვა პირის სარგებლობაში გადაცემა ან გამოყენება. ასეთი საქონლის იმპორტის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების) საბაჟო რეჟიმში გადაყვანის შემთხვევაში დადგენილი ამ 3 წლიანი ვადის მიმდინარეობა წყდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270^5-ე მუხლით დადგენილია სატარიფო შეღავათები (სატარიფო პრეფრენციები), რომელიც გულისხმობს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლისათვის ცალმხრივი ან ორმხრივი შეღავათების მინიჭებას. სატარიფო შეღავათების სახეებს განეკუთვნება:

- საბაჟო გადასახადის გადასახდისგან გათავისუფლება
- გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება

საგადასახადო კოდექსის 270^5-ე მუხლის თ) მუხლის თანახმად, საბაჟო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებულია იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობის დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის. ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე პირადი მოხმარების საგნები და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის.

საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე საბაჟო მოსაკრებლისაგან გათავისუფლებულია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი. კანონის ამ დეფინიციიდან გამომდინარე, საბაჟო მოსაკრებელისაგან გათავისუფლებულია არა მარტო საქონლის შემოტანა მითითებული პირობით, არამედ სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელიც.

საბაჟო გადასახდელებისაგან, კერძოდ კი საბაჟო მოსაკრებლის, საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, გათავისუფლებულია ასევე საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სხვა საქონელი, რომლებზედაც უფრო დეტალურად შევჩერდებით შესაბამისი თემის განხილვის დროს.

საბაჟო შეღავათები დიპლომატებისათვის და მათთან გათანაბრებული პირებისთვის

საბაჟო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთისას საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები პირადი ბარგის ჩათვლით.

საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის კანონის "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" მე-12 მუხლის შესაბამისად, მთავრობა შედგება

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან, მათ შორის სახელმწიფო მინისტრებისაგან. ამავე კანონის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია საქართველოს სამინისტროები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 13-ს. ამავე დროს, მთავრობის შემადგენლობაში შედის 3 სახელმწიფო მინისტრი.

კონსტიტუციის 48-ე და 49-ე მუხლების თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისგან.

საბაჟო კონტროლისგან თავისუფლდება ასევე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები და მათი ბარგი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობის წესი განსაზღვრულია ვენის 1961 წლის სექტემბრის საერთაშორისო კონვენციით "დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ", რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 1993 წლის 13 მაისს. ამ კონვენციის შესაბამისად, დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, უპირველეს ყოვლისა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, პარლამენტისა და მთავრობის დელეგაციათა წევრები, აგრეთვე, ნაცვალგების საფუძველზე, უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების თანამშრომლები, რომლებიც ჩამოსული არიან საქართველოში სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებებში, საერთაშორისო მოლაპარაკებებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირში მონაწილეობის მისაღებად, ან სხვა ოფიციალური დავალებით. მათთან ერთად დიპლომატიური ხელშეუხებლობა ვრცელდება აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებზეც, თუ ეს უკანასკნელნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები არ არიან.

დიპლომატიური იმუნიტეტით, ასევე, სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაური (ელჩი, დესპანი, საქმეთა რწმუნებული) და წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალი (მრჩეველი, სავაჭრო წარმომადგენელი, სამხედრო, სამხედრო - საზღვაო, და სამხედრო-საჰაერო ატაშე, პირველი, მეორე და მესამე მდივანი – არქივისტი, სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე). პირადი ხელშეუხებლობა და იმუნიტეტი ვრცელდება ზემოჩამოთვლილ პირთა ოჯახის წევრებზეც, თუ ეს უკანასკნელნი მათთან ერთად ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

პირადი ხელშეუხებლობით და იმუნიტეტით სარგებლობენ, აგრეთვე, ნაცვალგების საფუძველზე, დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები არ არიან, ან საქართველოში მუდმივად არ ცხოვრობენ. ასეთივე იმუნიტეტი, უცხო სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება გავრცელდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის თანამშრომლებზე და მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები არ არიან, ან საქართველოში არ ცხოვრობენ.

თავისი მოვალეობის შესრულებისას დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს დიპლომატიური კურიერი, აგრეთვე დროებითი დიპლომატიური კურიერი, რომელსაც დავალებული აქვს მხოლოდ განსაზღვრული დიპლომატიური ფოსტის გადაზიდვა.

ვენის 1963 წლის კონსტიტუციით,საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, რომელსაც საქართველო მიუერთდა 1993 წლის 8 ივნისის პარლამენტის დადგენილებით, ითვალისწინებს უცხო ქვეყნის კონსულებისათვის საბაჟო შეღავათებს.

უცხოეთის კონსულები (საკონსულო წარმომადგენლობის მეთაური, გენერალური კონსული, ვიცე კონსული, საკონსულოს აგენტი) სარგებლობენ იმუნიტეტით საქართველოს იურისდიქციისაგან იმ მოქმედებათა მიმართ, რაც მათ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან არის დაკავშირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ამ პირთა სამსახურებრივი საქმიანობა იმ სახელმწიფოს შინაგანი საქმეა, რომელსაც ისინი ემსახურებიან. უცხო სახელწიფოსთან სპეციალური შეთანხმებით და ნაცვალგების საფუძველზე უცხოეთის კონსულებზე შეიძლება გავრცელდეს სხვა სახის იმუნიტეტიც, რაც დიპლომატიური პერსონალის წევრებს ეძლევათ.

დიპლომატიური იმუნიტეტი არ გულისხმობს სრულ უპასუხისმგებლობას. თუ ასეთი იმუნიტეტით აღჭურვილმა პირმა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, საკითხი მისი პასუხისმგებლობის შესახებ დიპლომატიური გზებით გადაწყდება. ცხადია, საქართველოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ასეთი პირი დაუყოვნებლივ გაწვეულ იქნას საქართველოდან, როგორც არასასურველი პირი (პერსონა ნონ გრატა). საქართველოს იურისდიქციას იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაექვემდებაროს, თუ ამის შესახებ არსებობს ნათლად გამოთქმული თანხმობა იმ სახელმწიფოსი, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

საბაჟო კოდექსის 174-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, საბაჟო შეღავათებით სარგებლობენ და საბაჟო კონტროლისგან გათავისუფლებული არიან საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და აღსმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი ბარგი;

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, დიპლომატიური დაწესებულებები და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობები იყოფიან მუდმივ და დროებით სუბიექტებად.

მუდმივი სუბიექტებია დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები და მუდმივი წარმომადგენლობები საერთაშორისო ორგანიზაციებში. დროებით დიპლომატიურ წარმომადგენლობებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახელმწიფო დელეგაციები, კონგრესებსა და კონფერენციებზე სპეციალურ კომისიებში მოსალაპარაკებლად გაგზავნილნი, ასევე სხვა სპეციალური მისიებით მივლინებულნი.

უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის სამართლებრივ პრივილეგიებს და იმუნიტეტს განსაზღვრავენ საერთაშორისო კონვენციები, საქართველოს კონსტიტუცია, საბაჟო კოდექსი, კანონმდებლობის სხვა აქტები.

ვენის 1961 წლის კონვენციის თანახმად, "დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ", ზემოთ აღნიშნულ პირებს მინიჭებული აქვთ დიპლომატიური იმუნიტეტი და დამატებითი პრივილეგიები, მათ შორის საბაჟო შეღავათები. კონვენციის 26-ე მუხლში მითითებულია, რომ ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ თავისი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლის თავისუფალი მიმოსვლა. ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გადახდისა და მოსაკრებლისაგან თავისუფლდება იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ასევე დიპლომატიური და აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის.

1961 წლის ვენის კონვენციის 38-ე მუხლის თანახმად, "სახელმწიფო, სადაც იმყოფება წარმომადგენლობა მის მიერ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, შეზიდვის ნებას რთავს და ათავისუფლებს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ პირებს ყველა სახის ბაჟის, გადასახადისა და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისგან."

საერათაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ პირებს, ოჯახის წევრთა ჩათვლით, (დიპლომატის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები და მის კმაყოფაზე მყოფი მშობლები) შეუძლიათ შემოიტანონ და გაიტანონ ოფიციალური და პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საგნები, ავეჯი, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, კვების პროდუქტები და სხვა თავდაპირველი მოწყობის საგნები. ამასთან თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადებისგან და მოსაკრებლებისგან, გარდა საბაჟოს განლაგების ფარგლებს გარეთ, ან საბაჟოსთვის დადგენილი სამუშაო დროს შემდეგ გაფორმებისა, საქონლის საბაჟო საწყობში შენახვისა და სხვა დამატებითი მომსახურების გაწევისა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარებან ასევე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები, საპარლამენტო და სამოქალაქო დელეგაციის, აგრეთვე ნაცვალგების საფუძველზე უცხო სახლმწიფოთა დელეგაციის ის წევრები, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად, ან სხვა ოფიციალური დავალებით. საბაჟო კონტროლისგან გათავისუფლება ვრცელდება ასევე მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე აღნიშნული პირების საბაჟო კონტროლის, საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი ბარგი თავისუფლდება საბაჟო კონტროლისგან, თუ არ არის სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ იგი შეიცავს საგნებს, რომლებიც განკუთვნილი არ არის ოფიციალური და პირადი სარგებლობისათვის, ან ისეთ საგნებს, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, ან რეგულირდება მედიკო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და სხვა სპეციალური წესებით.

საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური და აღმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი ქონების იმპორტი.

საბაჟო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური ფოს-ტა და საკონსულო ვალიზა, რომლებიც კვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს, არ შეიძლება გახსნილი ან დაკავებული იქნას, თუ არ არის სერიოზული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საკონსულო ვალიზა შეიცავს სხვა საგნებს, რომლებიც განკუთვნილი არ არის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა სარგებლობისათვის, ან შეიცავს ისეთ საგნებს, რომელთა შემოტანა და გატანა აკრძალულია. ასეთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ საკონსულო ვალიზა (სპეციალური დალუქული ტომარა) გახსნან უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლობის, უფლებამოსილმა პირმა, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა თანდასწრებით. საკონსულო ვალიზის გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი ბრუნდება გამოგზავნის ადგილზე.

დიპლომატიური ფოსტის ყველა გზავნილს უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მათ ხასიათს. მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისთვის.

დიპლომატიური ფოსტა შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დიპლომატიურ საბუთებს და ოფიციალური სარგებლობისთვის გათვალისწინებულსაქონელს, ხოლო საკონსულო ვალიზა-მხოლოდ ოფიციალურ კორესპოდენციას, საბუთებს, ან ოფიციალური სარგებლობისთვის გათვალისწინებულ საქონელს.

სხვა შემთხვევაში, წარმომადგენლის ოფიციალურ კორესპოდენციად იგულისხმება, მთელი ის კორესპოდენცია, რომელიც წარმომადგენლობას და მის ფუნქციებს ეხება. ამასთან, დიპლომატიური ფოსტის შეყოვნება არ შეიძლება.

უცხოელ დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებს მინიჭებული აქვთ საბაჟო შეღავათები. მათ შეუძლიათ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს ორ ქვეყანას შორის არსებული საერათაშორისო ხელშეკრულებიდან და შეთანხმებიდან, საბაჟო კონტროლის გარეშე და საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან გათავისუფლებით, გარდა საბაჟოს განლაგების ფარგლებს გარეთ, ან საბაჟოსთვის დადგენილი დროის შემდგომ გაფორმების, საბაჟო საწყობში შენახვისა და დამატებითი მომსახურების გაწევისათვის.

კოდექსის 174-ე მუხლის საფუძველზე უცხოელ დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებს შეუძლიათ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან და შეთანხმებიდან საბაჟო კონტროლის გარეშე და საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით.

ვენის კონვენციის თანახმად, დიპლომატიურ კურიერს, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის გზავნილის რიცხვის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. მისი პიროვნება ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება რაიმე ფორმით.

მაკრედიტებელ სახელმწიფოს ან წარმომადგენლობას შეუძლიათ (ად ჰოც) დანიშნონ სპეციალური დიპლომატიური კურიერი. ასეთ შემთხვევაში მინიჭებული იმუნიტეტი წყდება მაშინვე, როგორც კი ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ ჩააბარებს დავალებულ დიპლომატიურ ფოსტას.

დიპლომატიური ფოსტა შეიძლება მიენდოს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს, რომელიც მოფრინავს აეროპორტში, სადაც ჩაფრენა ნებადართულია. მეთაურს თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი ფოსტის გზავნილის რიცხვის მითითებით, მაგრამ იგი დიპლომარიურ კურიერად არ ჩაითვლება. წარმომადგენლობას შეუძლია აეროპორტში გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩაიბარებს თვითმფრინავის მეთაურიდან დიპლომატიურ ფოსტას.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობის დიპლომატიურ პერსონალსა და საკონსულო თანამდებობის პირებზე, მათი ოჯახის წევრებზე, უცხო სახელმწიფოს საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის წევრებზე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებზე, რომლებიც ტრანზიტით მგზავრობენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, ვრცელდება ამ კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები.

ვენის კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, თუ დიპლომატიური ტერიტორიის გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუ ასეთი რამ საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება თავისი თანამდებობის დასაკავებლად, ან ბრუნდება ამ თანამდებობაზე, ან თავის ქვეყანაში, ეს მესამე სახელმწიფო ანიჭებს ხელშეუხებლობას და სხვა ისეთ იმუნიტეტებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი მგზავრობის, ან უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად, ეს ეხება აგრეთვე მისი

ოჯახის ყველა წევრს, ვინც პრივილეგიებით ან იმუნიტეტით სარგებლობს და ახლავს დიპლომატიურ წარმომადგენელს ან ცალკე მგზავრობს, რათა შეუერთდეს მას, ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მესამე სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მათ ტერიტორიაზე წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური ან მომსახურე წევრთა და მათი ოჯახის წევრთა გავლას.

მესამე სახელმწიფოებმა ტრანზიტად გამავალ ოფიციალურ კორესპოდენციებს და სხვა ოფიციალურ ცნობებს, მათ შორის კოდირებულ და დაშიფრულ დეპეშებს, უნდა მიანიჭონ იგივე თავისუფლება და დაცვა, როგორსაც ანიჭებს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. მათ უნდა მიანიჭონ დიპლომატიურ კურიერებს, რომლებსაც მიეცათ ვიზა, თუ ასეთი რამ საჭიროა და ტრანზიტად გამავალ დიპლომატიურ ფოსტას ისეთივე ხელშეუხებლობა და დაცვა, როგორსაც ვალდებულია ანიჭებდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფო.

გათვალისწინებული ვალდებულებანი ეხება აგრეთვე ნახსენებ პირებს, ოფიციალურ ცნობებსა და დიპლომატიურ ფოსტას, რომელთა არსებობა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეულია გარდაუვალი გარემოებებით.

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) ცნება. საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.
2. საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა შეღავათების (პრეფერენციების) შესახებ.
3. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საბაჟო კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათები უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ პირებზე.
4. საბაჟო შერავათები დიპლომატიური კურიერებისათვის. შეღავათები დიპლომატიური ფოსტით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

6.8. საბაჟო ურთიერთობათა საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება და საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემები

თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობა, დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით ისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციისა და სავაჭრო თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობა, დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით ისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციისა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მიმართებით. ამ მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად სუვერენული სახელმწიფოები ქმნიან სავაჭრო და საბაჟო კავშირებს, თავისუფალ ეკონომიკურ, ოფშორულ და საბაჟო ზონებს. ურთიერთ ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ახორციელებენ საქონლის, სამუშაო ძალის, მომსახურების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას. ამ მეტად საჭირო პროცესების ერთგვაროვნად მოწესრიგების მიზნით ერთობლივად შეიმუშავებენ და იღებენ მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად და უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს მისი ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა, რომელშიც იგულისხმება:

- სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის დაცვა უცხოური კაპიტალისა და შემოტანილი საქონლის, პროდუქციის ზემოქმედებისაგან;
- საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, მისი ცხოვრებაში გატარება და სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრის დაცვა;
- აღგილობრივი და უცხოური საწარმოების მიერ განხორციელებული საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება;
- საქონლისა და მგზავრთა საერთაშორისო გადაზიდვების აღრიცხვა და კონტროლი;
- კონტროლის განხორციელება საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე მსოფლიო საფოსტო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების და სხვა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე;
- სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული საქონლის კონტროლი და აღრიცხვა;
- სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული ვალუტის, სავალუტო ფასეულობების, სანგარიშსწორებო დოკუმენტების, ფულადი ნიშნების კონტროლი და დადგენილი წესით აღრიცხვა;
- საბაჟო ტარიფის, საბაჟო გადასახადისა და საბაჟო მოსაკრებლის დადგენა ეროვნული საწარმოების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით;

- საბაჟო წესების დარღვევებზე პასუხისმგებლობის დაწესება და დამრღვევების მიმართ მათი გამოყენება;
- სახელმწიფო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას სამედიცინო სანიტარული, ვეტერინალური, ფიტოსანიტარული, ტექნიკურ სტანდარტებთან ხარისხის შესაბამისობის და სხვა სახის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ორგანიზება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა საფუძველზე;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დარიცხვა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის ორგანიზება.
- შემოსატან და გასატან საქონელზე არასატარიფო ღონისძიებების – ლიცენზიების, კვოტების და სხვა შემზღუდავი წესების დაცვის ორგანიზება;
- საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული სახელმწიფო-ებისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ კულტურულ ფასეულობებზე კონტროლის ორგანიზება;
- საბაჟო სტატისტიკის წარმოება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების სტიმულირებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულება.[18]

ქვეყნის უმაღლეს ორგანოთა მიერ განსაზღვრული ამ ამოცანების შესასრულებლად მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოებში შექმნილია საბაჟო ინსტიტუტები[19], რომლებიც ახორციელებენ საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელ, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს, რომელიც მოიცავს:

- ქვეყნის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების, საქონლისა და ფიზიკური პირების აღრიცხვას;
- საბაჟო საზღვრის გადამკვეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ერთ-ერთ საბაჟო რეჟიმში მოქცევას ბენეფიციის გადაწყვეტილებით და ამ კონკრეტული რეჟიმის დასრულებამდე შესაბამისი საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
- საბაჟო გაფორმების პროცედურების განხორციელებას;
- კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვასა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის ორგანიზებას;
- საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულებას;

სუვერენული სახელმწიფოების საბაჟო ინსტიტუტები თავიანთი ფუნქციების შესრულების თავისებურებების გათვალისწინებით მჭიდროდ თანამშრომლობენ, როგორც სხვა ქვეყნების ნაციონალურ სტრუქტურებთან, ასევე ამ სფეროს მაკოორდინირებელ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით. ჯერ კიდევ 1865 წელს შეიქმნა საბაჟო კავშირი საფრანგეთსა და მონაკოს შორის, 1924 წელს შვეიცარიასა და ლიხტენშტეინს შორის, 1948 წელს ბენილუქსის ქვეყნებმა - ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბაჟო კავშირის შექმნის თაობაზე.

1950 წლის 15 დეკემბერს მსოფლიოს წამყვან 30 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი და მიღებულ იქნა კონვენცია - საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ. დამფუძნებელი კონვენციით ახლადშექმნილი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ფუნქციები განისაზღვრება:

- საბაჟო მიზნებისათვის სასაქონლო ნომენკლატურის კლასიფიკაციის შესახებ – კონვენციისა და საბაჟო მიზნებისათვის საქონლის შეფასების შესახებ[20] – კონვენციით დადგენილ მოთხოვნებზე განმარტებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- სადამფუძნებლო და მითითებული ამ ორი კონვენციებით დადგენილი ფუნქციების შესრულება;

---

[18] Борисов К.Г. Международно таможенное право. Москва, 2001, стр. 29-68.

[19] საბაჟო ზედამხედველობა არის საბაჟო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან სხვა პირობების დაცვა.

[20] იმავდროულად ხელმოწერილი და მიღებულ იქნა კონვენცია – საბაჟო მიზნებისათვის სასაქონლო ნომენკლატურის კლასიფიკაციის შესახებ და კონვენცია – საბაჟო მიზნებისათვის საქონლის შეფასების შესახებ

- ამ კონვენციების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადაწყვეტა, აგრეთვე სხვადასხვა სუვერენული სახელმწიფოების საბაჟო სამსახურების თანამშრომლობის ფორმებისა და სტანდარტების შემუშავება;
- დამოუკიდებელი ქვეყნების ეროვნული საბაჟო სისტემების ფორმების შესწავლა და განახლება მათი ურთიერთთანამშრომლობის მიახლოვებისა და კოდიფიკაციის მიზნით;
- კონვენციებისა და რეკომენდაციების პროექტების მომზადება;
- საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაციის მომზადება;
- მონაწილე ქვეყნებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი თანამშრომლობის სახელმწიფოების საბაჟო ინფრასტრუქტურის შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტა საბაჟო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

თავისი არსებობის პერიოდში (1995 წლამდე) საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ შემუშავებულია და მიღებულია საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებით 18 საერთაშორისო კონვენცია, 11 საერთაშორისო სამართლებრივი ნორმატიული აქტი და 50-მდე რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტი.[21]

საქართველო საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრად მიღებულ იქნა 1994 წელს.

1995 წელს საბაჟო თანამშრომლობის საბჭო გარდაიქმნა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციად. [რგანისატიონ ონდიალე დეს ოუანეს ( ); ჭორლდ ჩუსტომს რგანისატიონ (ჭჩ)]

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ძირითად და მთავარ ამოცანას წარმოადგენს მონაწილე ქვეყნების საბაჟო სისტემების შედარებით მაღალი დონის ჰარმონიზაცია და უნიფიკაცია, ასევე იმ პრობლემების შესწავლა, რომლებიც წარმოიშობიან საბაჟო ტექნოლოგიების და კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფასთან დაკავშირებით.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ძირითად სამუშაო ენებად დადგენილია ინგლისური და ფრანგული. ორგანიზაციის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია მონაწილე სახელმწიფოთა საწევრო შენატანებით, რომლის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 14 მილიონ აშშ დოლარს. 28 იანვარი დადგენილია საბაჟო სამსახურის საერთაშორისო დღედ.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანო არის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა წევრი სახელმწიფო. საბჭო ყოველწლიურად იკრიბება სესიაზე, რომელსაც ესწრება ყველა წევრი სახელმწიფოს საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელები, რომლებიც განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს და იღებენ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს საბაჟო საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

სესიაზე აირჩევა მსოფლო საბაჟო ორგანიზაციის თავმჯდომარე და ექვსი მოადგილე რეგიონალური პრინციპით. ორგანიზაციის მუშა ორგანოა:

- პოლიტიკური კომისია;
- საფინანსო კომიტეტი;
- კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი;
- საბაჟო ღირებულებების შეფასების კომიტეტი;
- საბაჟო ღირებულებების ტექნიკური შეფასების კომიტეტი;
- ნომენკლატურის კომიტეტი;
- ჰარმონიზირებული სისტემის კომიტეტი;
- სხვადასხვა მიმართულების ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია ასრულებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის ტექნიკურ ფუნქციებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის საკითხებში.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია დახმარებას უწევს ეროვნულ საბაჟო სამსახურებს პროფესიული კადრების მომზადებასა და გადამზადების საკითხებში, სასწავლო მეთოდური ცენტრების ჩამოყალიბებასა და აღჭურვაში, შესაბამისი სასწავლო მოდულებისა და პროგრამების მომზადებაში, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და კადრების მომზადების ეფექტურობის დონის განსაზღვრაში.

საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ საბაჟო ორგანიზაციები. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის 1957 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ზოგადი პრინციპები საერთო ბაზრის ჩამოყალიბებისა, საბაჟო გადასახდელების გაუქმების, საქონლის იმპორტისა და ექსპორტზე წევრ სახელმწიფოებს შორის რაოდენობრივი შეზღუდვების გამოუყენებლობისა და საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა

[21] Б. Габричидэе. Таможенное право Москва 2001 стр. 397-417

ურთიერთმომგებიანი საკითხების მოწესრიგება. ამ ხელშეკრულებით შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომლის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს:

- წევრი-სახელმწიფოების სავაჭრო ურთიერთობებში იმპორტისა და ექსპორტის ოპერაციების განხორციელების საბაჟო ტარიფისა და მსგავსი გადასახადების გამოყენების შეზღუდვა, ხოლო საბაჟო სატარიფო გადასახადების შემოღებისაგან თავის შეკავება და ურთიერთ სავაჭრო ურთიერთობებში უკვე არსებული ამ სახის გადასახადის გაზრდის აკრძალვა;
- წევრი-სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დააწესონ საერთო საბაჟო სატარიფო გადასახადი მესამე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში. მესამე ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქცია, რომელზედაც უკვე გადახდილია საიმპორტო გადასახადი განიხილება, როგორც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული;
- ფისკალური ხასიათის გადასახადები წევრი-სახელმწიფოების მიერ უნდა შემცირდეს პერიოდულად. ამ ქვეყნებს უფლება აქვთ გაზარდონ შემცირებული საბაჟო გადასახადების ხარჯზე შიდა სახელმწიფოებრივი გადასახადები;
- წევრი სახელმწიფოების მიერ მესამე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში გამოიყენება ერთიანი საბაჟო ტარიფი, რომელიც ქვეყნდება ყოველწლიურად. ევროკავშირის სივრცეში დაწესებულია ერთიანი სატარიფო პრინციპი, სალიცენზიო სისტემა და სატარიფო კვოტა. ევროსაბჭოს 69 ქვეყანასთან დაწესებული აქვს სატარიფო პრეფერენციული შეღავათები, მათ შორის ბულგარეთი, რუმინეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები.

ევროკავშირის სივრცეში საბაჟო სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების კოდიფიცირებული ნორმატიული აქტია – თანამეგობრობის საბაჟო კოდექსი, რომლითაც რეგულირდება საბაჟო გაფორმების, იმპორტ-ექსპორტის ოპერაციების, თანამეგობრობის ქვეყნების საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების, საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ეკონომიკური და საბაჟო თანამშრომლობის რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციას (1960წ.), შენგენის ხელშეკრულებით შექმნილ ბენილუქსის ეკონომიკურ კავშირს (1960წ.), ბალტიის ქვეყნების კავშირს (1991წ.), ჩრდილოეთის თანამშრომლობის ორგანიზაციას (1952წ.), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (1992წ.), დასავლეთ აფრიკის საბაჟო კავშირს (1966წ.), დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის ორგანიზაციას (1975წ.), აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (1991წ.), სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოებას (1992წ.), მაგრიბის ქვეყნების რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (1964წ.), ლათინო ამერიკული რეგიონალური სისტემის ორგანიზაციას (1975წ.), ინტეგრაციის ლათინო ამერიკულ ასოციაციას (1980წ.), კარიბის თანამეგობრობისა და კარიბის საერთო ბაზრის ორგანიზაციას (1973წ.), აფრიკისა და კარიბის ჯგუფი ქვეყნებისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ორგანიზაციას (1964წ.), აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (1989წ.), სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების ასოციაციას (1976წ.), არაბეთის ეკონომიკური ერთიანობის კავშირს (1964წ.), ბალტიის ზღვის ქვეყნების კავშირს (1992წ.) და სხვა რეგიონალურ ორგანიზციებს.

1983 წლის 21 იანვარს ხელმოწერილ იქნა კონვენცია თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ლათინური ამერიკის ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციებს შორის რომლის თანახმად შეიქმნა ეროვნული საბაჟო სამსახურების დირექცია. კონვენციის მონაწილე ქვეყნებია: არგენტინა, გაიტი, მექსიკა, პარაგვაი, დომინიკის რესპუბლიკა, ურუგვაი, ბრაზილია, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, სალვადორი, გონდურასი, ნიკარაგუა, პანამა, ესპანეთი და პორტუგალია. ეროვნული საბაჟო ადმინისტრაციების მიერ შემუშავებულია ერთიანი საბაჟო თანამშრომლობისა და საქმიანობის სტანდარტები 14 პროგრამის სახით, რომელიც ითვალისწინებს ერთიან საზღვარზე საბაჟო კონტროლს, ინფორმაციის მოწოდებას საბაჟო საქმიანობის საკითხებზე, საბაჟო სამართალდარღვევებზე თანამშრომლობის სტანდარტებს, შეღავათების მინიჭებასა და სხვა საკითხებს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში წევრი-ქვეყნების მიერ მიღებულია საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი მრავალმხრივი შეთანხმებები. საქართველოს მიერ დსთ-ს მიერ წევრ ქვეყნებთან და სხვა სახელმწიფოებთან ასევე ხელმოწერილია მრავალი ორმხრივი შეთანხმება საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით.

1992 წელს დსთ-ს ქვეყნების მიერ ხელმოწერილი და მიღებულია შეთანხმება – საბაჟო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა. ამ შეთანხმებით შეიქმნა დსთ-ს წევრი ქვეყნების საბაჟო კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებას, საბაჟო სამსახურების ურთიერთობის კორდინაციას, საბაჟო სტატისტიკის შეგროვებასა და ანალიზს.

დსთ-ს ქვეყნების საბაჟო კავშირის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საბაჟო საბჭო, რომლის დებულება დამტკიცდა მითითებული ამავე 1992 წლის შეთანხმებით. საბჭოს ფუნქციებში შედის წევრი ქვეყნების საბაჟო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე წინადადებების შემუშავება, განხილვა და მიღება, საერთო საბაჟო ტარიფის შემუშავება, საბაჟო გადასახადის შემოღების წესის შემუშავება და მისი შეცვლისა და გაუქმების, სატარიფო შეღავათებისა და პრეფერენციების დაწესების საკითხები, საბაჟო კავშირის ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება.

დსთ-ს ქვეყნების წევრი სახელმწიფოების მიერ 1994წელს მიღებულია ასევე შეთანხმება – თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ.[1] 2000 წელს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები, 1995წლის შეთანხმება – დსთ-ს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ, 1994წლის შეთანხმება – უკანონოდ გატანილი და შემოტანილი კულტურული ფასეულობების დაკავებასა და დაბრუნების საკითხებზე საბაჟო სამსახურების თანამშრომლობის თაობაზე, 1994წლის შეთანხმება – საქონლის რექსპორტზე და რექსპორტზე ნებართვის გაცემის წესის შესახებ, 1999 წლის შეთანხმება დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიაზე ტრანზიტის წესების შესახებ და სხვა საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.[2]

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან საბაჟო საქმიანობის სფეროში დადებული აქვთ ორმხრივი შეთანხმებები და ურთიერთგაგების მემორანდუმი მრავალ ქვეყანასთან.

მათ შორის მნიშვნელოვანია მრავალ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი შეთანხმებები:

- საბაჟო სამსახურებს შორის საბაჟო საქმის საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ;
- მეზობელ ქვეყნებთან დადებული შეთანხმება – საბაჟო საზღვრებზე გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ;
- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
- სტანდარტული გადაზიდვების რეგულირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- ჰუმანიტარული, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე;
- საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისას და იმპორტისას ირიბი გადასახადების ამოღების პრინციპების შესახებ;
- ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- სატრანზიტო ტვირთებისა და მოქალაქეთა ბარგის გაფორმების შესახებ;
- კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- უკანონოდ გატანილი და შემოტანილი კულტურული ფასეულობების დაკავებისა და დაბრუნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო უზრუნველყოფის ურთიერთცნობის შესახებ;
- მძიმე დანაშაულთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და საერთო ინტერესის მსგავს საკითხებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

ჩამოთვლილი ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ეხება საბაჟო საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებებს, რომელთა შესრულებაზეა დამოკიდებული დასახული ამოცანებისა და დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვანი შესრულება.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემები. ამ ქვეყნების საბაჟო სისტემის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავერკვიოთ საბაჟო ორგანოების მოწყობის, ფუნქციონირების, საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთის, საბაჟო კონტროლის განხორციელების, საბაჟო გაფორმების, საბაჟო საგადასახადო- სატარიფო პოლიტიკის, საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების წინააღმდაგ ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, აგრეთვე გავითვალისწინოთ საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ნაციონალური საბაჟო ადმინისტრაციების გამოცდილება.

ევროკავშირის ქვეყნებში საბაჟო-სატარიფო რეგულირება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ევროკავშირის წევრ 25 სუვერენული სახელმწიფოს მიერ შექმნილია ერთიანი საბაჟო კავშირი და მიღებული აქვთ თანამეგობრობის საბაჟო კოდექსი, რომლითაც რეგულირდება ამ ქვეყნებში საბაჟო

[1] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002წელს.

[2] სხვა ყველა ჩამოთვლილი შეთანხმება ძალაშია შეთანხმების დღიდან.

საქმიანობასთან წარმოშობილი ძირითადი ურთიერთობები. ევროპის კავშირის სახელმწიფოების ტერიტორიებზე მოქმედებს ერთიანი საბაჟო სისტემა, თუმცა ამ სფეროში ცალკეული საკითხების მოწესრიგება განსხვავებულია და რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. ამგვარად ევროკავშირის ქვეყნები საბაჟო საქმიანობის ცალკეულ საკითხებში მოქმედებენ თანამეგობრობის - ევროკავშირის სახელით და სხვა ბოგიერთ ურთიერთობებში ასევე თავისი ქვეყნის სახელით. ჯერ კიდევ 1468 წელს ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრებმა ბელგიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა და გერმანიამ გააუქმეს ურთიერთშორისი საბაჟო დაბეგვრა და კვოტები, დაადგინეს ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის მიმართ. 1993 წლიდან კი მთლიანად გააუქმეს საბაჟო კონტროლი ურთიერთვაჭრობაში, რითაც დადგინდა, რომ ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის გაფორმება, თავისთავად გულისხმობს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საბაჟო გაფორმებისათვის საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე მათ მიერ გაცემული ლიცენზიები მოქმედებენ თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საწარმოთა ძირითად საშუალებაზე დადგენილია ერთიანი ევროსტანდარტები, სხვა სახის საქონელზე კი მოქმედებაშია ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ურთიერთაღიარება.

ევროკავშირის ქვეყნების საბაჟო გადასახადების განაკვეთები განსხვავებულია და ის დგინდება ეროვნული კანონმდებლობით. ბოლო წლებში წევრი ქვეყნების ძალისხმევით ეს განსხვავება საკმაოდ შემცირებულია. ევროპის ქვეყნებში საბაჟო გადასახადების განაკვეთები დიფერენცირებულია და საქონლის სახეობის მიხედვით დაწესებულია 4-დან 25%-ის ფარგლებში. ცალკეული საქონლის სახეობებზე დადგენილია შედარებით მაღალი განაკვეთები, მაგალითად ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 29%, შაქარზე-80%, თამბაქოს ნაწარმზე 180% და ა. შ. უნდა აღინიშნოს რომ საბაჟო გადასახადის ხვედრითი წილი ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოსთან შედარებით საკმაოდ დაბალია და მერყეობს წევრი ქვეყნების მიხედვით დაახლოებით 2-დან 12%-მდე.

ევროკავშირს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაწესებული აქვს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ამ ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე დაწესებულია საბაჟო შეღავათები. სახელდობრ, კვების პროდუქტები და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმი, რომელიც იმპორტირებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან ევროკავშირის ქვეყნების საბაჟო ტერიტორიაზე იბეგრება 10-დან 30%-მდე შემცირებული საბაჟო გადასახადის განაკვეთით.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირი დადებულ მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე დიდ პერსპექტივებს ანიჭებს განვითარებად ქვეყნებში წარმოშობილ სამრეწველო საწარმოსა და ნახევარფაბრიკატებს, გარდა ცალკეული უმნიშვნელო გამონაკლისისა, როგორიცაა შავი ლითონი და ტრიკოტაჟის საქონელი. მთლიანობაში კი საბაჟო გადასახადის განაკვეთები ევროკავშირში საკმაოდ ლიბერალურია და მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა მის კიდევ უფრო შემცირებაზე.

ევროკავშირის მიერ დაწესებულია აკრძალვები ცალკეული სახის საქონლის მიმართ, ასეთს განეკუთვნება სპილოს ძვალი, სხვადასხვა ცხოველების ტყავისაგან შეკერილი ნაწარმი და სხვა. თუ რომელიმე ქვეყანაში დაფიქსირდა რაიმე ცხოველური ეპიდემია, სასწრაფოდ იკრძალება ამ ქვეყნიდან შესაბამისი პროდუქციის შემოტანა. ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებს ბოგიერთი სახის საქონლის შემოტანაზე დაწესებული აქვს სახელმწიფო მონოპოლია. მაგალითად საფრანგეთსა და საბერძნეთში ასანთის იმპორტზე დაწესებულია სახელმწიფო მონოპოლია, სხვა იურიდიულ პირებს გარდა სახელმწიფოსა მისი შემოტანა კატეგორიულად ეკრძალებათ.

საბაჟო გაფორმება ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებს საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელ ერთგვაროვანი უნიფიცირებული დოკუმენტების საფუძველზე. წევრი ქვეყნების მიერ აღიარებულია ერთმანეთის საბაჟო დოკუმენტები და საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები (ლუქები, ბეჭდები, შტამპები და საქონელზე სხვა ოფიციალური მარკირება და ნიშნები). საბაჟო გაფორმება ხორციელდება საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის გამოყენებით.

საბაჟო სატარიფო რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ-ში საბაჟო ტარიფი დადგენილ იქნა 1930 წელს, რომლის საფუძველზე მოქმედებაშია ორსვეტიანი სისტემა. სხვა ქვეყნებთან შეთანხმების გარეშე ამერიკის შეერთებულ შტატებში შედგენილია სიები, რომლის საფუძველზე ცალკეულ ქვეყნებს მინიჭებული აქვს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და ასეთი რეჟიმი ბოგიერთ ქვეყნებზე არ ვრცელდება. ამ ბოლო ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე დადგენილია საბაჟო გადასახადის განაკვეთები 25-დან 60%-მდე, განსაკუთრებით დიდი საბაჟო გადასახადია 90%-მდე დაწესებული ასეთი ქვეყნებიდან იმპორტირებულ ქსოვილებზე.

იმ ქვეყნებიდან შემოტანილი ძირითადი სახეობის საქონელზე, რომლებიც შეტანილია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სიაში[1], საბაჟო გადასახადის განაკვეთი დაწესებულია 3-დან 20%-მდე. ცალკეული სახეობის საქონელზე დადგენილია საკმაოდ მაღალი გადასახადები, სახელდობრ სიგარეტზე 1775%, კაკაოსა და მათგან დამზადებულ პროდუქციაზე 338%, საათებზე 151% და ა.შ. 1995 წლის 1 ივლისიდან ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ზოგიერთი სახეობის კვოტის ზემოთ იმპორტირებულ საქონელზე დაწესდა ყველა საბაჟო გადასახადების ნაცვლად ე. წ. ნაერთი ანუ კონსოლიდირებული გადასახადი. სახელდობრ, ხორცზე 31,1%, ნაღების კარაქზე 138%, შაქარზე 216%. კვოტის ფარგლებში შემოტანილ საქონელზე კი საბაჟო გადასახადის განაკვეთები შეადგენს დაახლოებით 70-75%-ს.

შიდა ბაზრის დაცვისა და ადგილობრივი საწარმოებისათვის პროტექციონიზმის გაწევის მიზნით აშშ-ს კანონმდებლობით დადგენილია, რომ ქვეყანაში წარმოებული მსგავსი პროდუქციის შემოტანის შემთხვევაში, წესდება შედარებით მაღალი საგადასახადო განაკვეთები სეზონური გადასახადების დაწესებით. ამავე დროს სისტემატურად ხორციელდება დაკვირვება და ანალიზი ქვეყნის ბაზარზე. რომელიმე სახის საქონლით ბაზრის გაჯერების დროს ხორციელდება საქონლის გადასახადის გაზრდა და მისი პირიქით ნაკლებობის შემთხვევაში ხდება საბაჟო გადასახადის განაკვეთის დაწევა.

აშშ-ში ფართოდ გამოიყენება ისეთი არასატარიფო ღონისძიებები, როგორიცაა ლიცენზირება და კვოტირება. სხვადასხვა სახის საქონელზე ლიცენზიებს (მათ შორის გენერალურ ლიცენზიას) გასცემს შესაბაამისი სამინისტროები, ბიუროები და კომისიები. ცალკეული სახეობის საქონელზე (კარაქი, საკონდიტრო ნაწარმი, რძე, შოკოლადი, წვენები და სხვა) დაწესებულია კვოტები.

იმპორტირებულ საქონელზე ქვეყნის შესაბამისი სამინისტროებისა და სამსახურების მიერ დაწესებულია ტექნიკური სტანდარტები საქონლის სახეობის მაჩვენებლების მიხედვით, რომლის კონტროლს ახორციელებს საბაჟო სამსახური. ზოგიერთი სახეობის საქონელზე დადგენილია, აგრეთვე საქონლის შეფუთვის სტანდარტები და მარკირების განსაკუთრებული მოთხოვნები. იმპორტირებულ საქონელს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ინგლისურ ენაზე მითითება მისი წარმოშობის ქვეყნის შესახებ, კვების პროდუქტებზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული კალორიულობა, ცხიმის, ქოლესტერინისა და ნატრიუმის შემცველობა. იმპორტირებულ პესტიციდების საქონელზე უნდა იყოს მითითებული მოხმარების ნორმა, დაცვისა და უსაფრთხოებების პირობები.

განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პრეფერენციების სისტემა, რომელიც შეღავათებს ითვალისწინებს ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

130-ზე მეტი ქვეყნიდან იმპორტირებულ საქონელზე დაწესებულია შეღავათები, მათ შორისაა 30-ზე მეტი ეკონომიურად განუვითარებელი ქვეყანა. ნიშანდობლივია, რომ თუ რომელიმე ამ ქვეყნებიდან მიაღწევს გარკვეულ დონეს პროდუქციის წარმოებაში, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის შესაბამის რაოდენობასა და გარკვეულ დონემდე გაზრდას საგარეო ვაჭრობას, მაშინ ასეთ ქვეყანას ეხსნება დაწესებული პრეფენციები. ამასთან ერთად ზოგიერთი ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი საერთოდ არის გათავისუფლებული საიმპორტო გადასახადისაგან. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ზონის ქვეყნები (ნაფტა), კარიბის აუზის 24 ქვეყანა, აგრეთვე ისრაელი, ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ (ანდების ქვეყნები). საქონლის იმპორტზე გარდა საბაჟო გადასახადისა დაწესებულია ასევე საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო პროცედურებისათვის, რომლის ოდენობა შეადგენს საქონლის საბაჟო ღირებულების 0,17%-ს, მაგრამ არა ნაკლებ 21 დოლარისა და არა უმეტეს 400 დოლარისა. დაწესებულია ასევე ნავსადგურის მოსაკრებელი საქონლის საბაჟო ღირებულების 0,124%, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეყვანის მოსაკრებელი - საბაჟო ღირებულების 25% და ა. შ. დადგენილია აგრეთვე აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, ლუდზე, თამბაქოს ნაწარმზე, პარფიუმერიაზე, ავტომობილებზე, სპორტულ და სასეირნო ნავებზე, თვითმფრინავებზე და ნატურალური ბეწვისაგან დამზადებულ საქონელზე.

საბაჟო გაფორმებისათვის დადგენილია საბაჟო სატვირთო დეკლარაციის ან შეტანის დოკუმენტის წარმოდგენა, საქონლის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის – ანგარიშ-გაქტურის (ინვოისის), ლიცენზიების, ხარისხის, შესაბამისობის სერტიფიკატის , საქონლის წარმოშობის ქვეყნის, ფიტო და ვეტერინარული სერტიფიკატისა და სხვა დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც იძლევა უფლებას ამერიკის შეერთებულ შტატებში საქონლის შეტანისა და ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად. აუცილებელია ასევე კანონმდებლობით დადგენილი

[1] უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სიაში შეტანილია საქართველოც.

გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტების ან აშშ-ს რეზიდენტის გარანტია საბაჟო გადასახადის გადახდის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის საბაჟო და სატარიფო სისტემა. რუსეთის ფედერაციაში კანონმდებლობის თანახმად საბაჟო საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური სამსახური და რომლის შემადგენლობაში შედის რეგიონალური საბაჟო სამმართველოები და სხვა დაქვემდებარებული ორგანოები და ორგანიზაციები.

საბაჟო კოდექსის თანახმად რუსეთის ფედერაციის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აუცილებელია ეს საქონელი და სატრანსპორტო საშუალება მოექცეს დადგენილი 15 საბაჟო რეჟიმიდან ერთ-ერთ საბაჟო რეჟიმში. ეს რეჟიმებია:

- იმპორტი ანუ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება;
- რეიმპორტი;
- ტრანზიტი;
- საბაჟო საწყობი;
- უბაჟო ვაჭრობის მაღაზია;
- საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
- საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ;
- დროებითი შემოტანა და/ან გატანა;
- თავისუფალი საბაჟო ზონა;
- თავისუფალი საბაჟო საწყობი;
- ექსპორტი;
- რეექსპორტი;
- განადგურება;
- სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა;

რუსეთის ფედერაციის საბაჟო კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე პირი, რომელიც აწარმოებს საქონლის გადაადგილებას საბაჟო საზღვარზე შეუძლია ნებისმიერ დროს აირჩიოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საბაჟო რეჟიმი, ან შეცვალოს იგი მეორით.

საბაჟო გაფორმება ითვალისწინებს წინასწარი ოპერაციების ჩატარებას, რომელშიც იგულისხმება ყველა წინასწარი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ძირითად საბაჟო გაფორმებას და ტარდება მანამდე. საბაჟო გაფორმება მოიცავს ასევე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებასა და საქონლის დროებით შენახვას.

საბაჟო კონტროლი მოიცავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების და თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას, პირად გასინჯვას და სხვა ოპერაციების ჩატარებას, რომელიც იწყება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას და ხორციელდება მის დასრულებამდე.

საბაჟო სატარიფო სისტემა დადგენილია კანონით „საბაჟო ტარიფის შესახებ", რომლის თანახმად დაწესებულია სამი სახის საბაჟო გადასახადი:

- ადვალური, რომელიც დგინდება პროცენტულად საბაჟო ღირებულებიდან;
- სპეციფიკური, რომელიც დაწესებულია ფულადი ოდენობითი გამოსახულებით დასაბეგრი საქონლის ერთეულზე;
- კომბინირებული, რომელიც აერთიანებს დაბეგვრის, როგორც ადვალურის ისე სპეციფიკურ სახეს.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი რუსეთის კანონმდებლობის თანახმად იბეგრება თვით საბაჟო გადასახადით, დამატებული ღირებულების გადასახადითა და აქციზური საქონელი აქციზის გადასახადით, აგრეთვე საბაჟო მოსაკრებლებით საბაჟო დათვალიერებისა და პროცედურების ჩატარებისათვის.

კანონომდებლობით გათვალისწინებულია საბაჟო შეღავათების გამოყენება, რომელიც გულისხმობს საბაჟო გადასახადებისაგან სრულ გათავისუფლებას ან განაკვეთების შემცირებას.

ლიტვის რესპუბლიკის საბაჟო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება. ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შედის საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც შედგება ტერიტორიული საბაჟო ორგანოებისა და სპეციალიზირებული საბაჟოების, საბაჟო საგუშაგოებისა და საბაჟო გამშვები პუნქტებისაგან. საბაჟო საქმიანობა რეგულირდება საბაჟო კოდექსით, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან.

საბაჟო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში საბაჟო საქმიანობის პრინციპის მოწესრიგება, საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის დაწესება, საბაჟო

პროცედურების განხორციელება, საბაჟო გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩრიცხვის უზრუნველყოფა, საბაჟო ორგანოების თანამშრომლობის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დაწესებულებებთან, ევროკავშირთან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან.

საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად საბაჟო კანონმდებლობა ემყარება ლიტვიის რესპუბლიკის კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელ ქვეყნის სხვა ნორმატიულ აქტებს.

საბაჟო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც შეიმუშავებს საბაჟოს მთავარ მიმართულებებს, საბაჟო ორგანოების ფუნქციებს, კოორდინაციას და კონტროლს უწევს საბაჟო ადმინისტრაციის საქმიანობას.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების მიზნით საბაჟო კოდექსით დადგენილია 7 საბაჟო რეჟიმი:

- თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
- ექსპორტი;
- ტრანზიტი;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
- დროებითი შემოტანა;
- საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა.

საქონლის გადამუშავების ოპერაციაში შედის საქონლის რეიმპორი, რეექსპორტი, საქონლის მოთავსება თავისუფალ საბაჟო საწყობში, საქონლის განადგურება და სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა.

საბაჟო კოდექსით დადგენილია, რომ თავისუფალი საბაჟო ზონის შექმნა დაკავშირებულია თავისუფალი ეკონომიკური ზონის მარეგულირებელ ისეთ საკანონმდებლო აქტებთან, როგორიცაა ლიტვიის რესპუბლიკის კანონები ვლაიპედის საზღვაო პორტის ეკონომიკური ზონის შესახებ და თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ.

უბაჟო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება ქვეყნის საერთაშორისო აეროპორტებში, საზღვაო პორტებში, სასაზღვრო სახმელეთო გამშვები პუნქტების კონტროლის ზონაში ქვეყნიდან გამსვლელი მგზავრებისათვის, საცალო ვაჭრობის სახით გაერთიანებულია საბაჟო საწყობის რეჟიმთან[1]. საქონლის დროებითი გატანა და მისი ქვეყანაში დაბრუნება დარეგულირებულია საბაჟო კოდექსის საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) დებულებებით, რომლის თანახმად დროებით გატანილი საქონელი დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში (სამი წელი, შეიძლება კიდევ გაგრძელდეს ერთი წლით) გათავისუფლებულია საიმპორტო გადასახადებისაგან.

ლიტვიის რესპუბლიკაში საბაჟო გადასახადების სახეები და განაკვეთები დარეგულირებულია არა საბაჟო კანონმდებლობით, არამედ საგადასახადო კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საბაჟო კოდექსის მე-4, მე-5 თავებით დადგენილია საბაჟო ორგანოთა ფუნქციები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, სამართლებრივი და სოციალური დაცვა, დაუშვებელია საბაჟოს ფუნქციების შესრულება სხვა არაუფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ. საბაჟოს სახელმწიფო მოხელეებს უფლება აქვთ ატარონ ცეცხლსასროლი ტაბელური იარაღი მოქალაქეებისა და პირადი სიცოცხლის დასაცავად. საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის სუბიექტებს. საბაჟოს სახელმწიფო მოხელეები უფლებამოსილნი არიან აგრეთვე გამოიყენონ ხელკეტები, ავტომანქანების იძულებითი გაჩერება და სხვა სპეციალური საშუალებები კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

საბაჟო კოდექსის მე-6 თავით დეტალურად არის დარეგულირებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები მათი იმპორტისა და ექსპორტის დროს.

საბაჟო კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად ფიზიკური და იურიდიული პირები საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთისას ვალდებულნი არიან წარადგინონ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მიერ დადგენილ ადგილსა და დროს. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მთავრობის დადგენილებითა და ევროგაერთიანების საბაჟო კოდექსის 38-ე მუხლის 45-ე პუნქტით დადგენილ შემთხვევაში.

საბაჟო კოდექსით დადგენილია საქონლის დროებით შენახვის, საბაჟო ღირებულების, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები, ზოგადი დეკლარაციის ფორმის წარდგენის პირობები, საბაჟო დეკლარაციის სახეები, საბაჟო სატვირთო დეკლარაციის წარდგენა

[1] უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმი ბევრი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით მიჩნეულია დამოკიდებულ საბაჟო რეჟიმად.

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოება..

კოდექსით დადგენილია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები და მოვალეობები, დეკლარანტის აუცილებელი რეგისტრაცია საბაჟო ორგანოში, დეკლარანტის წარმომადგენლის უფლებამოვალეობანი, აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება ათი დღის ვადაში.

კოდექსით შემოღებულია საბაჟო ორგანოს მიერ ლიცენზირებული საბაჟო გადამზიდველისა და საბაჟო ბროკერის ინსტიტუტები. მხოლოდ მათ ენიჭებათ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვა და გაფორმება საბაჟო ორგანოში. ლიცენზიის მისაღებად გათვალისწინებულია ფინანსური გარანტიის წარდგენა, რომელიც უნდა იყოს ლიტვიის რესპუბლიკაში დაწესებული მინიმალური ცხოვრების დონის არანაკლებ 500 ერთეულისა.

მე-8 თავით დადგენილია პასუხისმგებლობა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის. დაწესებულია მკაცრი საჯარიმო სანქციები და სამართალდარღვევის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონფისკაცია. დადგენილია ასევე სამართალდარღვევებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცესუალური წესი.

ლიტვიის რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის თანახმად საბაჟო საქმიანობა ქვეყანაში რეგულირდება ძირითადად მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება უზბეკეთის რესპუბლიკაში. ამ ქვეყნის ძირითად კანონი – კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მაჟისის განსაკუთრებულ გამგეობას განეკუთვნება საბაჟო სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, სავალუტო და საკრედიტო საქმიანობა.

უზბეკეთის რესპუბლიკის საბაჟო კოდექსით დადგენილია, რომ საბაჟო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ქვეყნის პრეზიდენტი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუზღუდავად გადაადგილდნენ სახელმწიფო საზღვარზე, აგრეთვე გაიტანონ და შემოიტანონ საქონელი, რომელთა შემოტანა და გატანა აკრძალული არ არის კანონმდებლობით. საბაჟო კოდექსით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების მიზნით დადგენილია შემდეგი 15 საბაჟო რეჟიმი:

- თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
- რეიმპორტი;
- ტრანზიტი;
- საბაჟო საწყობი;
- უბაჟო ვაჭრობის მაღაზია;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
- გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ;
- დროებითი (შემოტანა) გატანა;
- თავისუფალი საბაჟო ზონა;
- თავისუფალი საბაჟო საწყობი;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
- ექსპორტი;
- რეექსპორტი;
- განადგურება;
- სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა.

საბაჟო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად საქონლის განადგურება არის საბაჟო რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟო ორგანოს ნებართვით და კონტროლით, საბაჟო გადასახადების, მოსაკრებლებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენების გარეშე.

საქონლის განადგურება ხორციელდება იმპორტიორის ხარჯით. განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები უნდა მოექცეს შესაბამის რეჟიმში, როგორც უცხოური საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო კონტროლის ქვეშ. საქონლის განადგურებაზე უარის თქმის შემთხვევაში ის გადაიტანება უზბეკეთის რესპუბლიკიდან შემომტანი პირის ხარჯით.

უზბეკეთის რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის თანახმად, სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა არის რეჟიმი, როდესაც ფიზიკური ან იურიდიული პირი უარს ამბობს შემოტანილ საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელსაც არ ერიცხება საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები და

მის მიმართ არ გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ხარჯებს არ იწვევს.

საბაჟო კოდექსის 32-ე მუხლით რეგულირდება უზბეკეთის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი საბაჟო კონტროლის ქვეშ, რომელიც ნიშნავს შემოტანილი უცხოური საქონლის გადამუშავებას საბაჟო კონტროლით, გადასახადებისაგან გათავისუფლებით და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენების გარეშე, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მოქცევას თავისუფალი მიმოქცევის (იმპორტის) ან სხვა საბაჟო რეჟიმში.

უზბეკეთის საბაჟო კოდექსით საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დადგენილია შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები:

- საბაჟო გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- სალიცენზიო მოსაკრებელი;
- საბაჟო გაფორმების სპეციალისტის ატესტაციის მოსაკრებელი;
- საბაჟო გაფორმების მოსაკრებელი;
- საქონლის შენახვის საბაჟო მოსაკრებელი;
- საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გაცილებისათვის;
- ინფორმირებისა და კონსულტირების საფასური;
- წინასწარი ოპერაციების მოსაკრებელი;
- საბაჟო აუქციონის მოსაკრებელი;
- სხვა გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც გათვალისწინებულია უზბეკეთის კანონმდებლობით.

უზბეკეთის რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის განხორციელების პირობებსა და მეთოდებს, აგრეთვე შეღავათების გავრცელების, საბაჟო სამართალდარღვევების სახეებსა და საბაჟო ორგანოების უფლებამოსილებას ამ დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად. კოდექსით ასევე დადგენილია საბაჟო ორგანოების სტრუქტურული მოწყობის, მოსამსახურეთა უფლებამოვალეობანი და პასუხისმგებლობის საკითხები.

სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო სისტემის სამართლებრივი რეგულირება. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან შედარებით სრულიად განსხვავებულად რეგულირდება, როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო სისტემები სომხეთის რესპუბლიკაში, სადაც მიღებული არ არის ამ სფეროების მარეგულირებელი კოდიფიცირებული სამართლებრივი ნორმები.

საბაჟო და საგადასახადო სისტემები რეგულირდება სომხეთის რესპუბლიკაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით, პრეზიდენტის, მთავრობის სხვა სამთავრობო დაწესებულებების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. მთავრობის შემადგენლობაში შედის საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, რომელიც კოორდინაციას უწევს საგადასახადო ორგანოების საქმიანობას.

საბაჟო სამსახური დამოუკიდებელ სახელმწიფო სამმართველოს სახით ექვემდებარება უშუალოდ მთავრობას.

საბაჟო კანონმდებლობით დადგენილია 13 საბაჟო რეჟიმი:

- საქონლის იმპორტი;
- საქონლის ექსპორტი;
- ტრანზიტი;
- საქონლის დროებითი იმპორტი (დროებითი შემოტანა);
- საქონლის დროებითი ექსპორტი (დროებითი გატანა);
- საქონლის განმეორებითი იმპორტი (რეიმპორტი);
- საქონლის განმეორებითი ექსპორტი (რეექსპორტი);
- საქონლის იმპორტი თავისუფალ საბაჟო საწყობში;
- საქონლის იმპორტი თავისუფალ საბაჟო ზონაში;
- საქონლის დროებითი იმპორტი გადასამუშავებლად საბაჟო ტერიტორიაზე;
- საქონლის დროებითი ექსპორტი გადასამუშავებლად საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
- საქონლის განადგურება;
- უბაჟო ვაჭრობის მაღაზია.

საბაჟო გადასახადები რეგულირდება საბაჟო მოსაკრებლების შესახებ კანონით, საბაჟო გადასახადების შესახებ კანონოთ, ბუნების დაცვითი (ეკოლოგიური) გადასახადის შესახებ კანონით

და გადასახადების შესახებ მიღებული სხვა კანონებით, რომელთა შორისაა სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული გადასახადების მარეგულირებელი შემდეგი კანონები:

- გადასახადების შესახებ;
- მოგების გადასახადების შესახებ;
- დამატებული ღირებულების შესახებ;
- აქციზის გადასახადების შესახებ;
- ქონების გადასახადის შესახებ;
- მიწის გადასახადის შესახებ;
- გამარტივებული გადასახადის შესახებ;
- ფიქსირებული გადასახადის შესახებ;
- ბენზინზე და დიზელის საწვავზე ფიქსირებული გადასახადის შესახებ;
- თამბაქოს ნაწარმზე ფიქსირებული გადასახადის შესახებ;
- სოციალური დაზღვევის გადასახადის შესახებ.

საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დაწესებულია შემდეგი საბაჟო გადასახდელები:

- საბაჟო მოსაკრებელი არის დიფერენცირებული და ნებისმიერი სახით და რაოდენობით საქონლის საბაჟო სახღვარზე გადაადგილებისას შეადგენს 35 ათას დრამს[1], საბაჟო დათვალიერებისათვის 1 საბაჟო სატვირთო დეკლარაციაზე 1000 დრამს. ელექტრო გადამცემი ხაზებითა და მილსადენებით საქონლის გადაადგილებისათვის საბაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად 50 ათას დრამს. დადგენილია აგრეთვე საბაჟო მოსაკრებლის გადახდა სხვადასხვა საბაჟო დოკუმენტების გაცემისათვის საბაჟო ორგანოების მიერ და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გაცილებისათვის – ყოველ 100 კმ-ზე 10 ათასი დრამის ოდენობით;
- საბაჟო გადასახადები დადგენილია საქონლის ექსპორტზე და იმპორტზე, გათვალისწინებულია აგრეთვე სეზონური საბაჟო გადასახადი;
- საქონლის ექსპორტი და იმპორტი აგრეთვე იბეგრება დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადით აქციზურ საქონელზე;
- ნავთობპროდუქტებზე და თამბაქოს ნაწარმზე გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახადი;
- საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საგზაო გადასახადის აკრეფას, რომლის ოდენობა სამგზავრო ტრანსპორტზე ადგილების გათვალისწინებით შეადგენს 10-ათასიდან 40-ათას დრამს, სატვირთო ტრანპორტზე კი ტვირთამწეობის გათვალისწინებით 15-ათასიდან 50-ათას დრამამდე;
- საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ ხორციელდება ბუნების დაცვითი (ეკოლოგიური) გადასახადის გადახდევინება, რომელიც შეადგენს მსუბუქ ავტომობილებზე 2500 დრამს, სატვირთო ავტომობილებზე კი 5 ათასიდან 15 ათას დრამს.

საბაჟო კანონმდებლობით დადგენილია იმ საქონლის ნუსხა, რომლის იმპორტი და ექსპორტი არის აკრძალული ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას და ლიცენზიებს. სპეციალურ საიმპორტო ნებართვას ექვემდებარება იარაღი, სამხედრო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკა და სხვა საშუალებები, მცენარეთა დაცვის ნივთიერებები, ცოცხალი ცხოველები და სხვა საქონელი. ლიცენზირებას საჭიროებს ასევე ქვეყნიდან ტექსტილის ექსპორტი. კანონმდელობით აკრძალულია ქვეყნიდან 10 ათას აშშ დოლარზე მეტი ვალუტის ექსპორტი.

სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობით დადგენილია სხვადასხვა შეღავათები საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. ფიზიკური პირების მიერ 50კგ-მდე წონისა და 500 აშშ დოლარის ღირებულების პირადი მოხმარების საქონლის იმპორტი და ექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისაგან. გათვალისწინებულია ასევე საბაჟო გადასახადებისაგან 20კგ-მდე და 100 აშშ დოლარის ღირებულების საფოსტო გზავნილები, 10კგ ხორცის პროდუქტების, 10კგ თევზის პროდუქტების, 10კგ რძის პროდუქტების და 0,5კგ ხიზილალის იმპორტი და ექსპორტი. გათვისუფლებულია ასევე საბაჟო გადასახადებისაგან სხვა ქვეყანაში წარმოშობილი საქონელი. ეს ქვეყნებია: რუსეთის ფედერაცია; ყირგიზეთი; თურქეთი; ყაზახეთი; უკრაინა; ბელორუსია; ტაჯიკეთი; საქართველო.

[1] ბოლო წლებში სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი კურსით 1 აშშ დოლარი ექვივალენტურია 445-450 სომხური დრამისა.

სომხეთის რესპუბლიკას ხელი აქვს აგრეთვე მოწერილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად დსთ-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქცია, თუ ამ ქვეყნების რეზიდენტების მიერ შეტანილი იქნება ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მოსახმარებლად თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. შეღავათებია აგრეთვე დაწესებული ჰუმანიტარულ დახმარებასა და გრანტით შემოტანილ საქონელზე, ასევე იმპორტირებულ სამედიცინო ტექნიკაზე, დონორის სისხლზე, გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის იმპორტზე.

საგზაო და ბუნების დაცვითი ეკოლოგიური გადასახადისაგან არის გათავისუფლებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები, საბიუჯეტო დაწესებულებები, ცენტრალური ბანკი, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილები და საქონლის ტრანზიტი.

საბაჟო კანონმდებლობით დადგენილია საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის ინსტიტუტები, საბაჟო გაფორმების სპეციალისტის სერტიფიცირების პირობები, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების პროცედურები სპეციალური პროგრამის „ასიკუდას“ გამოყენებით.

საბაჟო კანონმდებლობით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საბაჟო წესების ისეთი დარღვევისათვის, როგორიცაა საბაჟო მოხელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა და წინააღმდეგობის გაწევა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოში წარუდგენლობა და ვადების დარღვევით წარდგენა, სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობა, საიდენტიფიკაციო საშუალებების თვითნებურად მოხსნა ან შეცვლა, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანაზე და სხვა საბაჟო წესების დარღვევაზე. ადმინისტრაციული გადაცდომის მიხედვით დაწესებულია ჯარიმები 10 ათასიდან 200 ათას დრამამდე. ამასთან დადგენილ ვადაში საბაჟო გადასახადების გადაუხდელობაზე გათვალისწინებულია საურავის გადახდა სხვადასხვა გადასახადების მიხედვით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-დან 0.25%-მდე.

საკონტროლო კითხვები:

1. საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემების ზოგადი დახასიათება.
2. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია.
3. საბაჟო სისტემები ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, რუსეთის ფედერაციაში, ლიტვიის რესპუბლიკაში, უზბეკეთის რესპუბლიკაში და სომხეთის რესპუბლიკაში.

თავი7

საფინანსო სამართლისა და ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის ზოგადი დებულებები

„ადამიანები მდიდრები ხდებიან არამარტო იმის გადიდსებით, რაც აქვთ, არამედ ხარჯების შემცირების გზითაც.“
რისტოტელე
„ასი ათასსა აჯობებს თუ გამორჩებით მქნელია.“
შოთა რუსთაველი

მოცემულ თავში განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფინანსების სამართლებრივი რეგულირების არსი და მნიშვნელობა, საფინანსო სამართლის ნორმების ცნება, მათი სახეები, სტრუქტურა. აგრეთვე საბიუჯეტო სამართლის არსი, სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების სამართლებრივი რეგულირების ცნება, სახელმწიფო კრედიტის სახეები, საშინაო და საგარეო ვალის სახეები და ფორმები, შემნახველი ბანკების არსი და მისი სამართლებრივი რეგულირება. საერთაშორისო ფინანსუ-რი ურთიერთობები და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

7.1. საფინანსო სამართლის ცნება და რეგულირების სფერო

თანამედროვე სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობა დაფუძნებულია ღია თავისუფალ საბაზრო სისტემაზე, რომელიც იყენებს ისეთ ძირითად ეკონომიკურ ბერკეტებს, როგორიცაა: ფული, კრედიტი, ფინანსები და სხვ. სახელმწიფო განსაზღვრულ სამართლებრივ ბაზაზე ორგანიზებას უკეთებს თავის საფინანსო ორგანოების საქმიანობას და უზრუნველყოფს ამ პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას.

ღია საბაზრო სისტემის პირობებში სახელმწიფოს, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო საწარმოსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს შორის ფინანსური რესურსების შექმნისა და გამოყენების პროცესში წარმოიშობა ფინანსური ურთიერთობები. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის სხვადასხვა პირობებში წარმოიშობა ფინანსური რესურსების შექმნისა და გამოყენების რეგულირების აუცილებლობა. კერძო საწარმოებში წარმოიქმნება ფინანსები, რომელიც ცალკეულ სუბიექტთა საქმიანობის შედეგის მაჩვენებელია. აქ წარმოშობილი ფინანსები წარმოადგენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის წყაროს და გვეველინება სახელმწიფო ფინანსების ჩამოყალიბების საფუძვლად.

სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ერთობლიობაა. იგი მთელი ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. საფინანსო სამართლის საგნის საფუძველია სახელმწიფო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ფინანსური ურთიერთობა. საფინანსო სამართლის საგანი ემყარება საფინანსო სისტემას, რომლითაც წარმოებს ფულადი ფონდების წარმოქმნა და გამოყენება.

საფინანსო სისტემა ქვეყნებში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ 2003 წლის 24 აპრილის კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით, ასევე კანონით „საბიუჯეტო სისტემის შესახებ”. სახელმწიფო საფინანსო სისტემაში მნიშვნელოვანია საბანკო სისტემა, რომელიც ეფუძნება ორგანულ კანონს „ეროვნული ბანკის შესახებ”[1] და კანონს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.”[2]

---

[1] პირველი ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ მიღებულ იქნა 1995 წლის 23 ივნისს, რომელიც გაუქმდა და დღეისათვის ძალაშია 2009 წლის 24 სექტემბრისორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“

[2] აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 2009 წლის 24 სექტემბრის კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საფინანსო სამართლის სფერო მრავალმხრივია. ამიტომ საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენებასთან ერთად წარმოიშობა სამართლის სხვა დარგების ნორმებით რეგულირების აუცილებლობაც. მაგალითად, საფინანსო სამართლის საგადასახადო ურთიერთობათა რეგულირების დროს საჭიროა ადმინისტრაციული სამართლის ნორმების გამოყენებაც.

საფინანსო ურთიერთობა რამდენიმე სახით წარმოიშობა:

- ფინანსების სფეროში – ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასავლების გამიჯვნის სახით. ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა საქართველოს სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის;
- სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შეტანის, ფულადი თანხების გამოყენებისა და საანგარიშსწორებო წესების დაცვის სახით, ასევე საფინანსო და საკრედიტო ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობით;
- ბიუჯეტის საკასო შესრულების, საბიუჯეტო ასიგნებათა ბანკებში გადარიცხვის სახით;
- საქართველოს სახელმწიფოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის საფინანსო-სავალუტო ურთიერთობით.

საფინანსო ურთიერთობის რეგულირებისათვის სახელმწიფო ადგენს სამართლის ნორმებს. ამ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა ქმნის საფინანსო სამართლის დარგს.

საფინანსო სამართლის დარგია იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენებით სახელმწიფო აკუმულირებას უკეთებს და გამოიყენებს ფულად სახსრებს, ანაწილებს მათ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ცალკეულ რეგიონებსა და მეურნეობის დარგებს შორის; ასევე საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენება ხელს უწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა ვალდებულებების შესრულებას, მატერიალური და ფულადი ფონდების მიზნობრივად გამოყენებას, შესაბამისი ფულადი ერთეულით მათი კონტროლის განხორციელებას.

საფინანსო სამართალი ემყარება განსაზღვრულ პრინციპებს, რომლითაც ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება. იგი ასახვას პოულობს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებში.

საფინანსო სამართლის პრინციპებია:

- გეგმურობა;
- ანგარიშიანობა;
- დემოკრატიულობისა;
- კანონმდებლობის დაცვა;

კონსტიტუციის ცალკეული მუხლი ადგენს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას ბიუჯეტის, გადასახადების, შემოსავლების, სახელმწიფო კრედიტის და სხვა სფეროში. ეს ზოგადი პრინციპები დაკონკრეტებულია საფინანსო სამართლის მიერ ცალკეულ საფინანსო-სამართლებრივ ხასიათის ნორმატიულ აქტებში.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმების თავისებურება არის მათი იმპერატიულობა და დისპოზიციურობა. დადგენილი მოთხოვნები **იმპერატიულ** ნორმაში მოცემულია მბრძანებლური ფორმით, კონკრეტულად და მუსტად. ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავისი შეხედულებისამებრ შეცვალონ, შეწყვიტონ ან გააფართოვონ მოთხოვნები. **დისპოზიციური** ნორმები მხარეებს შესაძლებლობას აძლევს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში თავად განსაზღვრონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის იმპერატიული და დისპოზიციური ხასიათი საფინანსო-სამართლებრივი ნორმის შემდეგ სახეებში გამოიხატება: მავალებელი, ამკრძალავი და აღმჭურველი.

მავალებელი ნორმა მოიცავს იმ მოქმედების შესრულების მოთხოვნას, რომელიც სახელმწიფო ფულადი სახსრების მობილიზაციასა და გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ასეთი ნორმები, ძირითადად, ურთიერთობებს არეგულირებს საფინანსო დაგეგმვის, გადასახადებისა და სხვათა სფეროში, მაგალითად, გადასახადების სისტემა ერთიანია და სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმებისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად.

ამკრძალავი ნორმები შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომელიც კრძალავს იმ მოქმედებას, რაც საფინანსო დისციპლინის დარღვევას გამოიწვევს. საფინანსო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს იმ მართლზომიერ მოქმედებას, რომელიც უნდა აიკრძალოს. მაგალითად, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გამოყენება.

აღმჭურველი ნორმისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ მოქმედების შესრულების უფლებამოსილება. საფინანსო სამართლებრივ ურთიერთობებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყოველთვის არეგულირებს სახელმწიფო საფინანსო ორგანო. აღმჭურველი ნორმების გამოყენების მაგალი-

თია საბიუჯეტო ასიგნებათა გადატანის უფლებამოსილება ბიუჯეტის ერთი რგოლიდან მეორეში. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო სამართლებრივ ნორმებით დადგენილი გადასახადების გარდა, აღგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს უფლება ეძლევა მისდამი აღმინისტრაციულად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დააწესოს დამატებითი გადასახადები.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სტრუქტურას საერთო აქვს სამართლის სხვა დარგების ნორმის სტრუქტურასთან, მაგრამ საფინანსო სამართლის რეგულირების საგნის თავისებურება მაინც საშუალებას იძლევა განსხვავებულად გამოხატოს საფინანსო სამართლის ნორმა ჰიპოთეზაში, დისპოზიციასა და სანქციაში.

საფინანსო სამართლის სუბიექტებს შორის საფინანსო-საზოგადოებრივი ნორმის ფარგლებში ფულადი სახსრების გამოყენების პროცესში უფლებებისა და მოვალეობის განაწილების დროს წარმოიშობა საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც შემდეგი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება:

- საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობანი დაკავშირებულია ქვეყნის საფინანსო საქმიანობასთან და ფულად ხასიათს ატარებს;
- საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტად ყოველთვის გამოდის უშუალოდ სახელმწიფო ან მისი რომელიმე უფლებამოსილი ორგანო, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით მისივე სახელით ახორციელებს ფულადი სახსრების შეგროვებისა და გამოყენებისათვის საჭირო მართლზომიერ მოქმედებებს;
- საფინანსო–სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა ყოველთვის ხორციელდება კანონით, ან სხვა ნორმატიული აქტით. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ წარმოშვან, შეცვალონ ან შეწყვიტონ სამართლებრივი ურთიერთობები, რადგან ამას თვითონ სახელმწიფო აკეთებს ცალკეული სუბიექტისათვის.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები მბრძანებლურ-ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებია. აქ ერთმანეთთან შერწყმულია მბრძანებლური ანუ სახელისუფლო და ორგანიზაციულ-ქონებრივი ურთიერთობები. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების მბრძანებლური ხასიათი ისაა, რომ სახელმწიფო ორგანო საფინანსო საქმიანობის განხორციელების დროს აღჭურვილია უფლებამოსილებით საწარმოსათვის მიიღოს სავალდებულო იურიდიული გადაწყვეტილება, გამოიყენოს სანქციები საფინანსო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. საფინანსო საქმიანობის ორგანიზაციულ-ქონებრივი ხასიათი დაკავშირებულია ფულად ურთიერთობებთან და მის მონაწილე მხარეებს წარმოეშობათ ქონებრივი უფლებები ფულადი სახსრების გაცემის, მიღებისა და დამოუკიდებლად განკარგვის სფეროში. მაგალითად, ავტონომიურ რესპუბლიკებს შეუძლიათ საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლებიდან და გადასახადებიდან მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები გამოიყენონ თავისი ქონებრივი უფლებამოსილების შესაბამისად.

რეგულირების შინაარსის მიხედვით საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობანი იყოფა: საბიუჯეტო, საგადასახადო, სადაზღვევო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო პროცესში, ასევე სახელმწიფო გასავლების, ფულის მიმოქცევის, სავალუტო ოპერაციების სფეროში წარმოშობილი და სხვა ურთიერთობანი.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საფინანსო-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ისეთი ფაქტები, რომლებიც იწვევს ასეთ შეცვლას. მაგალითად, სახსრების გადახდა განსაზღვრულ დროში, ასევე, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ამა თუ იმ სუბიექტის მთლიანად განთავისუფლება გადასახადებისაგან სტიქიური უბედურების შემთხვევის გამო და სხვ.

საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებია: სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ქალაქები და რაიონები, საწარმოები, ორგანიზაციები, მოქალაქეები.

სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ გამოდის მაშინ, როცა ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა, ერთ მხრივ, თვით სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, საფინანსო–სამართლებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე. სახელმწიფო ასევე მონაწილეობს საერთაშორისო საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, ან ქვეყნის შიგნით წარმოშობილ საკრედიტო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელმწიფო საკრედიტო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს საბანკო დაწესებულებების საშუალებით. ეს უკანასკნელნი კონტაქტს ამყარებენ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან სახელმწიფოს სახელით, თუ სახელმწიფო ორგანო (საფინანსო, საკრედიტო და სხვ.) სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის არა საკუთარი ქონების საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს უშუალო გამგებლობაში არსებული ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს წარმოშობილი უფლება-მოვალეობები სახელმწიფოს ეკუთვნის და არა ამ ორგანოს.

სახელმწიფო საფინანსო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობა განპირობებულია საფინანსო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა შესრულების ხარისხით. ამ მოთხოვნათა შესრულება ეყრდნობა ეკონომიკური სტიმულირების მეთოდს. საფინანსო-სამართლებრივი ნორმების უმეტესობა შეიცავს არა სანქციებს, არამედ წახალისებას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო და საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საგადასახადო დისციპლინის დაცვისათვის. ამასთან, მხოლოდ სტიმულირება ვერ ჩაითვლება საკმარისად და ამიტომ გამოიყენება იძულების მეთოდიც, რაც ხელს უწყობს საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვას.

სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის მიზნით ადმინისტრაციული და სასამართლო წესი არსებობს.

ადმინისტრაციული წესი გამოიყენება საფინანსო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების მიმართ, როდესაც ხდება საფინანსო და საკრედიტო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა საფინანსო კანონმდებლობის დარღვევისათვის საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების შელახვისათვის; სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების შეტანის ვადის დარღვევის შემთხვევასა და სხვა ვითარებაში.

საფინანსო უფლებათა დაცვის ადმინისტრაციული წესი ძირითადია. იგი გამოიყენება ფულადი სახსრების აკუმულირების, დაფინანსებისა და სხვა დროს. მაგალითად, იძულებითი წესი გამოიყენება სახსრების გადახდევინების დროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ბიუჯეტში სახსრებს ნებაყოფლობით არ შეიტანენ. ასეთ შემთხვევაში ბანკი საფინანსო ორგანოს მითითებით გადახდა – ვალდებული ორგანიზაციის ანგარიშიდან აღნიშნულ თანხას ჩამოწერს და გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

უფლებათა დაცვის **სასამართლო წესი** საფინანსო სამართალში შეზღუდულად ხორციელდება. იგი ვრცელდება გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში. საფინანსო სამართალში გამოიყენება საჩივრის ინსტიტუტი. იგი არის სუბიექტის უფლება. მათ შეუძლიათ სახელმწიფო საფინანსო ორგანოების არაკანონიერი ქმედება გაასაჩივრონ. მაგალითად, გადასახადის თანხის არასწორი გაანგარიშება ან რაიმე თანხის უკანონოდ დაკისრება და ა.შ.

კანონმდებლობით განსაზღვრულია გასაჩივრების ვადები, საჩივრის განხილვისა და მის შესახებ პასუხის გაცემის წესი. საჩივრების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებანი უნდა იყოს მოტივირებული და კონკრეტული.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო ფინანსების არსი და მისი მნიშვნელობა.
2. საფინანსო სამართლის ნორმების ცნება და მისი სახეები.
3. საფინანსო სამართლის ნორმების სტრუქტურა.

7.2. საბიუჯეტო სამართალი, სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის რეგულირების საფუძვლები

ბიუჯეტი არის სახელმწიფოს ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდის წარმოქმნისა და გამოყენების ძირითადი საფინანსო გეგმა.

ბიუჯეტი მოიცავს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობების, ასევე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის გასაწევ გადასახდელების ნუსხას, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

ცენტრალური ბიუჯეტი არის ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი. იგი შედგება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებისა და გადასახდელებისაგან.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ერთობლიობისაგან. სპეციალური სახელმწიფო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული და განსაკუთრებული მიზნებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები არის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი. იგი აერთიანებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, რაიონი, ქალაქი) რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობასი ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს.

ადგილობრივი ბიუჯეტი არის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი, მათი შემოსულობებისა და გადასახდელების ჯამი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საფუძველია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა.

დღეისათვის ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა წარიმართება 2009 წლის 19 დეკემბერს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. იგი საფუძვლად უდევს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებისა და კონტროლის რეგულირებას, აგრეთვე ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალური სახელმწიფო ფონდების საბიუჯეტო ურთიერთობას და პასუხისმგებლობას. ამავე კანონით ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა არის ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესის ერთობლიობა.

საბიუჯეტო სისტემა ეყრდნობა პრინციპებს, რომლის დაცვა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ევალება საბიუჯეტო სისტემის მონაწილეებს. ეს პრინციპებია: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალურობა და კონსოლიდაცია.

ყოვლისმომცველობა ნიშნავს შესაბამის ბიუჯეტებში ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვას.

გამჭვირვალობა – გულისხმობს ბიუჯეტების პროექტების განხილვის პროცედურების გამოქვეყნებას, საჯაროობას.

ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე პირების პასუხისმგებლობაა ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

დამოუკიდებლობა – განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესის ყველა მონაწილე პირის მიერ დამოუკიდებულ მართვას.

ერთიანობა – ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ ერთიანი პრინციპებით მართვის ხელმძღვანელობაა.

უნივერსალობა – ბიუჯეტის შემოსულობათა მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად.

კონსოლიდირება – გულისხმობს სახელმწიფო შემოსულობებით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნას და, აქედან, ხარჯების გაწევას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბიუჯეტო სისტემის ნაწილია საბიუჯეტო პროცესი, რომელიც საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობაა. საბიუჯეტო პროცესის სტადიებია: ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებსა და დადგენილებებს. სპეციალური დადგენილების საფუძველზე ბიუჯეტის შედგენის შესახებ პროექტს ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტრო. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მისი კლასიფიკაციის მიხედვით მოსალოდნელ შესრულებას.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების სისტემური დაჯგუფება. საბიჯეტო კლასიფიკაციას ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

საბიუჯეტო სისტემის ყველა შემადგენელი რგოლი, ყოველი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფულადი სახსრების ოდენობის შემოსულობებითა და გასავლებით. ეს მოითხოვს შემოსავლებისა და გასავლების გამიჯვნის სამართლებრივი ნორმების დადგენას.

შემოსავლების გამიჯვნის საფუძველია თითოეული ბიუჯეტის უზრუნველყოფა აუცილებელი საფინანსო ბაზით; ცალკეულ საბიუჯეტო ელემენტს შორის სახსრები თანაბრად უნდა განაწილდეს; უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების თანაბარზომიერება.

საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულია საბიუჯეტო ასიგნებანი. იგი არის ფისკალური ანუ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული ხარჯების გაწევის უფლებამოსილება, რომელიც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტით იქმნება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს ფიქსირებული ასიგნების საერთო ოდენობის 2 პროცენტზე მეტი. პრეზიდენტის ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებისათვის. კერძოდ, ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფების და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებების საჭიროებისათვის.

ბიუჯეტის შესრულება შეიძლება გამოისახოს პროფიციტით ან დეფიციტით. **ბიუჯეტის პროფიციტი** არის, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა, ხოლო უარყოფითი სხვაობა **ბიუჯეტის დეფიციტია**. სხვაგვარად, თუ ბიუჯეტის შემოსავლების თანხები ჭარბობს გასავლებს, მაშინ ადგილი აქვს პროფიციტს და პირიქით.

სახელმწიფო ბიუჯეტი იურიდიული დოკუმენტია. იგი შედგება ორი ნაწილისაგან – შემოსავლებისა და გასავლებისაგან.

ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა:

- გადასახადებიდან შემოსავლები;
- არასაგადასახადო შემოსავლები.

ბიუჯეტის ხარჯებია:

- ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების დაფინანსება;
- თავდაცვის ხარჯები;
- საერთო–სახელმწიფოებრივი ხარჯები;
- სატრანსფერო გადასახდელები.

მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს ძირითადად გამოყოფს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან მოსახლეობის განსაზღვრული ფენების დასახმარებლად – სოციალური დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფის, ომის ვეტერანებისა და უმუშევრებისათვის დახმარების სახით.

სატრანსფერო გადასახდელებს იხდიან სახელმწიფო ორგანოები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით, აგრეთვე საწარმოები და კერძო პირები საქველმოქმედო შენატანების სახით. ტრანსფერული გადასახდელი საწარმოო საქმიანობას არ უკავშირდება.

ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლის მთავარი წყაროა გადასახადებიდან შემოსავალი. იგი ეფუძნება ქვეყნის საგადასახადო კოდექსს.

გადასახადი არის განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული სავალდებულო მოსაკრებელი, რომელიც გადაირიცხება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად.

გადასახადები ძირითადად ორი სახისაა:

- პირდაპირი გადასახადები;
- არაპირდაპირი გადასახადები.

პირდაპირია გადასახადი, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები უხდიან სახელმწიფოს შემოსავლების ყველა სახიდან და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით. პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ და პირად გადასახადებად. რეალური გადასახადებით იბეგრება ქონება. მაგალითად, ქონების გადასახადი და სხვა. პირად გადასახადებს ახდევინებენ ფიზიკურ პირებს. ასეთია, საშემოსავლო გადასახადი და სხვ.

საქართველოში პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: მოგების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, და სხვ.

არაპირდაპირია გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელს. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) და სხვ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ეყრდნობა სამართლებრივ საფუძვლებს და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ითვალისწინებს. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფულადი რესურსების თავმოყრა სახელმწიფო ბიუჯეტში.

საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოქმედ გადასახადებს, გადასახადით დაბეგვრის სუბიექტებსა და ობიექტებს, დაბეგვრაში შეღავათების მინიჭების საერთო წესს, საზღვრავს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობასა და გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის საკითხების გადაწყვეტის წესს. ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები შეიტანება ქვეყნის ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის რგოლებში. გადასახადები ერთიანია და სავალდებულოა ყველა იურიდიული პირისათვის საკუთრების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად, ასევე ფიზიკური პირებისათვის.

გადასახადის თითოეული სახის დროულ და სწორად მობილიზაციაზე ზედამხედველობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და მისი სტრუქტურული ერთეულები. მათი უფლებაა, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დასვან საკითხი დამრღვევთა ადმინისტრაციულ სამოქალაქო-სამართლებრივ და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევად ითვლება იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოგების ან დაბეგვრის სხვა ობიექტის დამალვა ან მისი შემცირებული ჩვენება, აგრეთვე გადასახადის გაანგარიშებისათვის სავალდებულო მონაცემების წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა; გადასახადების გადახდის დაღგენილი ვადების დაუცველობა; შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენაზე უარის თქმა და სხვ.

ქვეყნის საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესებს და ასევე იცავს საერთაშორისო სამართლებრივ და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის აღიარებულ ნორმებს.

ფულადი სახსრების განსაზღვრული ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გზით. არასაგადასახადო შემოსავლები საგადასახადო კოდექსით არაა გათვალისწინებული. არასაგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, გრანტები და სხვ.

არასაგადასახადო შემოსავლებს, საგადასახადო შემოსავლების მსგავსად, ადგენს ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

არასაგადასახადო შემოსავლების გადამხდელებად გამოდიან როგორც ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები, ისე მოქალაქეებიც. თუ გადასახადის ყველა სახე ვრცელდება იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ გამონაკლისები და შეღავათები, არასაგადასახადო შემოსავლებს იხდიან მხოლოდ ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები ან მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ ამა თუ იმ სახელმწიფო ქონებით, მიმართავენ სახელმწიფო ორგანოებს რომელიმე იურიდიული მოქმედების შესასრულებლად, რომლისთვისაც გარკვეული საზღაურია დაწესებული ე.ი. მათ მიერ არასაგადასახადო შემოსავლების გადახდა დაკავშირებულია განსაზღვრული პირობების არსებობასთან. თუ ასეთი პირობები არ არსებობს, მაშინ გადახდევინება არ წარმოებს.

არასაგადასახადო შემოსავლებს მოქალაქეები იხდიან თავიანთი ნების გამოვლინების საფუძველზე, როცა მიმართავენ სახელმწიფო ორგანოებს საზღაურიანი მოქმედების შესასრულებლად ან ყიდულობენ ლატარიის ბილეთებს, თუმცა, ზოგჯერ სავალდებულო წესითაც ხდებიან გადამხდელები, მაგალითად, სათანადო ორგანოებიდან პასპორტის მიღების დროს.

არასაგადასახადო შემოსავლების ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ნორმებით და იგი დიფერენცირებულია შემოსავლის სხვადასხვა სახისა და შინაარსის მიხედვით.

საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯვის პროცესში წარმოიშობა მრავალი სახის ურთიერთობა. ისინი დაკავშირებულია ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასავლების განაწილების, ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, ასევე ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშისა და კონტროლის პროცესთან. საბიუჯეტო ურთიერთობანი წარმოიშობა: სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და გასავლების განაწილების, მათი ბიუჯეტების მოცულობის განსაზღვრასა და ბიუჯეტის პროცესის ცალკეულ სტადიასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობისა და მათი შემოსავლებისა და გასავლების ცალკეული სახეების განსაზღვრის დროს, საფინანსო ორგანოებსა და საბანკო დაწესებულებებს შორის ბიუჯეტის საკასო შესრულებასთან დაკავშირებით, საფინანსო ორგანოებსა და ცალკეულ წარმოებადაწესებულებას შორის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში. აღნიშნული ურთიერთობები რეგულირდება საფინანსო სამართლის შესატყვისი ნორმებით ანუ საბიუჯეტო სამართლით.

საბიუჯეტო სამართალი არის იმ საფინანსო სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, ცალკეული ბიუჯეტის მოცულობას, მათ შორის სახსრების განაწილების წესსა და საბიუჯეტო პროცესს.

საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები მრავალმხრივია, მათ შორის ძირითადია კონსტიტუციური ნორმები. საბიუჯეტო ურთიერთობათა ცალკეული სახის სამართლებრივი რეგულირებისათვის გამოიყენება სპეციალური სამართლებრივი ნორმები.

საბიუჯეტო ურთიერთობათა რეგულირებაში ძირითადია სახელმწიფოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სპეციალური კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, ცენტრალური საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები.

საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებული ნორმატიული აქტები არსებითად განსხვავდებიან მატერიალური და პროცესუალური ხასიათის ნორმებით. მატერიალური ნორმებით განისაზღვრება ბიუჯეტის შინაარსი. მათი საშუალებით დგინდება ბიუჯეტების შემოსავლის წყაროები და ოდენობა, გასავლების სახეები და მიზნობრიობა, შემოსავლებისა და გასავლების საერთო ოდენობა და სხვ. პროცესუალური ნორმებით კი წარმოებს ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცების შესრულების შესახებ ანგარიშგებისა და კონტროლის წესის განსაზღვრა.

ბიუჯეტის მიღება ხდება ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის და მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა წრე შეზღუდულია, ვინაიდან ამ ურთიერთობათა სუბიექტები მონაწილეობენ ბიუჯეტებს შორის სახსრების განაწილებაში ან წარმოადგენს მხარეს საბიუჯეტო პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე. საბიუჯეტო-სამართლებრივ სუბიექტებად არ ჩაითვლებიან კერძო და კოოპერაციული საწარმოები, მოქალაქეები, რადგან ისინი არ მონაწილეობენ ბიუჯეტის

სახსრების განაწილებაში, არ იღებენ ბიუჯეტიდან სახსრებს და არ გამოდიან ბიუჯეტის პროცესის მხარედ.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობების სუბიექტებია: სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. ისინი საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებად. საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებია ასევე საფინანსო და საკრედიტო ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, დეპარტამენტები, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და პროფესიული კავშირები.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში აქვთ საბიუჯეტო უფლებები, რაც მათი უფლებამოსილებაა ბიუჯეტის სფეროში. კერძოდ, ესაა საბიუჯეტო სახსრების მიღებისა და მათი განკარგვის უფლება.

კონსტიტუციით განსაზღვრულია ძირითადი საბიუჯეტო უფლებები, რომელიც ასახულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში.

საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას, განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების საერთო ოდენობას მთლიანად, აგრეთვე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და გასავლების საერთო ოდენობას. ასევე პარლამენტი ადგენს გადასახადებსა და სხვა შემოსავლებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის, განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი სახსრებიდან ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემი თანხების ოდენობას, ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და გასავლების წესს და ამტკიცებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. პარლამენტი იღებს ასევე საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებელ აქტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენას ხელმძღვანელობს მთავრობა. იგი ყოველწლიურად გამოსცემს დადგენილებას ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ,

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხიმგებელია ფინანსთა სამინისტრო.

ბიუჯეტის პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვის შემდეგ გამოქვეყნდება.

ბიუჯეტის შესრულება ნიშნავს მოსალოდნელი შემოსავლების დადგენილ დროში მობილიზაციას და გათვალისწინებული ხარჯების გაწევას.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თითოეულ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელია ხარჯებისა და შემოსავლების მართვაზე.

ფინანსთა სამინისტრო გედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და კონტროლის პალატასთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს სააღრიცხვო კონტროლს და შიდა აუდიტს. ყოველივე ამისათვის გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის პროცესი შეესაბამება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ეფუძნება ყოველთვიურ ოპერატიულ გეგმას. ბიუჯეტის გასავლების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულება, რომლის საფუძველია საბიუჯეტო კრედიტების გამოყოფა.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოეშობა საბიუჯეტო სახსრების განკარგვის უფლება, მათთვის კრედიტების გახსნის შემდეგ.

საბიუჯეტო კრედიტის გახსნა არის საფინანსო ორგანოების მიერ ბანკისათვის უფლებამოსილების მინიჭება შესატყვისი ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გაცემის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით კრედიტებს ხსნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით – შესაბამისი ფინანსთა სამინისტროები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის – ადგილობრივი საფინანსო ორგანოები. კრედიტები ეხსნება დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელებს. ამ ხელმძღვანელებს ეწოდება კრედიტის განმკარგულებლები, რომლებსაც უფლება ეძლევათ დაწესებულებებისა და უწყებების ხარჯთნუსხების მიხედვით განკარგონ საბიუჯეტო ასიგნებანი. კრედიტების გახსნა ხდება მისი განმკარგულებელ პირთა მიერ შედგენილი განრიგებით.

სახელმწიფო ხაზინა მხარჯავ დაწესებულებებს აცნობებს ყოველთვიურ საფინანსო გეგმას, სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სრულ და სწორ აღრიცხვაზე, წარმართავს სახელმწიფო ერთიან ანგარიშს და აქვს ამ ანგარიშიდან თანხების მოხსნის ნებართვის გაცემის უფლება. სახელმწიფო ხაზინის თანხები ეროვნულ ბანკში ინა-

ხება. ცენტრალური ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით.

სახელმწიფო შემოსავლები არის ფულადი სახსრები, რომელიც თავს იყრის სახელმწიფოს ხელში მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების პროცესში.

სახელმწიფო შემოსავლები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საბიუჯეტო შემოსავლები. სახელმწიფო შემოსავლებში საბიუჯეტო შემოსავლებთან ერთად შედის ბიუჯეტგარეშე ფულადი სახსრებიც, როგორიცაა: სახელმწიფო დაზღვევა, სახელმწიფო კრედიტი და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს მიერ საფინანსო სამართლის სფეროში გამოცემული აქტები.

სახელმწიფო ხარჯების გაწევა წარმოებს ბიუჯეტიდან სახელმწიფო ფულადი სახსრების სახით. სახელმწიფო ხარჯების ოდენობა განისაზღვრება მისი მოთხოვნებითა და ამოცანებით, რომლებიც გამოსახულია მიზნობრივი და სახელმწიფო პროგრამებით.

სახელმწიფო ხარჯების ცნება ფართოა. იგი მოიცავს როგორც ყველა დონის ბიუჯეტის ხარჯებს ან ცენტრალიზებულ სახელმწიფო ხარჯებს, ისე სხვა სახელმწიფო წარმონაქმნების ხარჯებს.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რის შედეგადაც მათ საკუთარი შემოსავლები წარმოექმნებათ და მათი დაფინანსების დამატებითი წყაროა. ამ სახსრებს არასაბიუჯეტო სახსრები ანუ სპეციალური სახსრები ეწოდება. მისი გამოყენება ხდება სპეციალური სახსრების ხარჯვის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულებების და ორგანიზაციების საჭიროებისათვის.

საკონტროლო კითხვები.

1. საბიუჯეტო სამართლის ცნება;
2. სახელმწიფო შემოსავლები;
3. სახელმწიფო გასავლები;

7.3. სახელმწიფო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფო კრედიტი ეწოდება საფინანსო ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელშიც მსესხებლად გამოდის სახელმწიფო და თვითონ ადგენს ფულადი სახსრების მობილიზაციის წესსა და პირობებს, ხოლო კრედიტორია მოსახლეობა და სხვადასხვა ორგანიზაცია.

სახელმწიფო კრედიტი საკრედიტო სისტემის ერთი შემადგენელი ნაწილია. მეორე ნაწილია–საბანკო კრედიტი, ორივე კრედიტის საფუძველია თავისუფალი სახსრების გამოყენება. საბანკო კრედიტის დროს კრედიტორია – სახელმწიფო, ხოლო დებიტორები ცალკეული საწარმო და მოქალაქეები არიან. სახელმწიფო კრედიტის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო ქონებით.

სახელმწიფო კრედიტის კონკრეტული ფორმებია: სახელმწიფო სესხების ობლიგაცია, სახაზინო თამასუქი, ფულად-ნივთობრივი ლატარიის გამოშვება და ა.შ. ასევე შემნახველ ბანკებში ანაბრების მოზიდვა.

სახელმწიფო კრედიტი მოიცავს საშინაო და საგარეო სესხებს, სახელმწიფო კრედიტში შედის სახელმწიფოს მიერ გაცემული გარანტიებიც. სახელმწიფო ვალდებულია გადაიხადოს ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული ვალები.

სახელმწიფო ვალი არის ის ფულადი სახსრები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის აღებული და მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის.

სახელმწიფო ვალისაგან განსხვავდება **ეროვნული ვალი**, რომელიც უფრო ფართო ცნებაა და სახელმწიფო ვალთან ერთად მოიცავს ქვეყნის ყველა სახის–ბანკების, ფიზიკური პირების, მეურნეობის ცალკეული დარგისა და სხვა დავალიანებას.

სახელმწიფო შიდა ვალი არის მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალი არის მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციებისაგან აღებული სესხი და გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის წინაშე.

სახელმწიფო სესხი არის ნებაყოფლობითი და იძულებითი, ამჟამად სახელმწიფო სესხი, ძირითადად, ნებაყოფლობითია. სესხი ასევე შეიძლება იყოს ფულადი და ნატურალური, ვადიანი და უვადო და სხვ. საგარეო სესხის გავრცელებული ფორმა არის სამთავრობათაშორისი სესხები. ამ დროს სპეციალური შეთანხმების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მთავრობა სესხს აძლევს მეორე სახელმწიფოს მთავრობას.

საბიუჯეტო ხარჯების დასაფარავად უმეტესად გამოიყენება სახელმწიფო სესხი, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო თამასუქების ფორმით. სახაზინო ვალდებულება მოკლევადიანი ობ-

ლიგაციის სახით არის, ხოლო სახაზინო თამასუქი სახელმწიფოს სავალო ვალდებულებაა, რომლის პროცენტები ჩართულია თამასუქის თანხაში.

სახელმწიფო კრედიტის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირება ხდება საფინანსო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად ადმინისტრაციული სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტის მარეგულირებელი ნორმები ერთიანობაში კომპლექსურია და ამიტომ იგი შეისწავლება როგორც საფინანსო, ისე სამოქალაქო სამართალშიც.

სახელმწიფო კრედიტის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების არსი ისაა, რომ ეს სახსრები სახელმწიფოს საკუთრება არ არის და მოსახლეობას გარკვეული დროის შემდეგ სარგებელთან ერთად უნდა დაუბრუნდეს. იგი სახელმწიფო ვალს წარმოადგენს.

საქართველოს **კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ**" 1998 წლის 27 მარტიდან ამოქმედდა. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. ამასთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონით *საქართველოს სახელმწიფო ვალი არის საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი გარანტიით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის ჯამური თანხა.*

საქართველოს კონსტიტუციის უფლებამოსილებით საქართველოს პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანოებთან ან სხვა სახელმწიფო ორგანოებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, ფინანსთა სამინისტროს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უფლება აქვს: დადოს ხელშეკრულება ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ; საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები; გამოუშვას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვთ სესხი აიღონ საქართველოს ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ან მისი ნებართვით.

პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის, საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების ლიმიტებს მოცემული წლისათვის.

სახელმწიფო ვალი დაფარულად ითვლება კრედიტორებისათვის პროცენტების გადახდისა და ძირითადი თანხის დაბრუნებისთანავე.

საშიანაო ვალის ფორმებია: *სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეზიდენტ დაწესებულებებიდან აღებული კრედიტები; სხვა სავალო ვალდებულებები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული იქნება.*

საგარეო ვალის ფორმებია: სხვა სახელმწიფოებიდან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებიდან, საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და სხვ.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა განვითარებადი ქვეყნების დავალიანების ზრდა. ამ ქვეყნების საგარეო ვალმა 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ბევრ ქვეყანაში გაჩნდა ახალი მწვავე პრობლემა. აღებული სესხები ხმარდება არა ამ ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, არამედ აღებული სესხების დაფარვას.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით საკმაოდ დიდია საგარეო ვალის მოცულობა, რომელიც ბოლო წლებში ხასიათდება ზრდის ტენდენციით. თუ 2006 წელს საქართველოს საგარეო ვალი ნაკლები იყო სამ მილიარდ ლარზე, 2007 წელს გადააჭარბა მას, 2008 წელს შეადგინა ოთხი მილიარდ 407.4 მილიონი, 2009 წელს კი 5 მილიარდ 173.4 მილიონი ლარი.[1]

საბიუჯეტო დეფიციტის ქრონიკული ხასიათის დროს სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას საგარეო ან საშინაო ვალის გადახდაზე. აშკარად აღიარებული უარი ნიშნავს სახელმწიფოს გაკოტრებას, რის გამოც მიმართავენ სესხის პროცენტების გადახდის შეწყვეტას და თანხის დაუბრუნებლობას. მსოფლიოში გამოიყენება ვალის მართვის ნეაპოლის პირობები, ჰიუსტონის პირობები, ბრეიდის გეგმა და სხვ. ვალის მართვის ამ მექანიზმებით წარმოებს სახელმწიფო ვალის გადავადებისა და მისი დაფარვის პირობების შეცვლის დადგენა.

[1] ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, № 12(145), 2009 წელი, გვ.12-15

სახელმწიფო სესხის ანულირება სახელმწიფოს გაკოტრების გარეშეც შეუძლია. ასეთ პირობებში ხდება ყველა სახის ობლიგაციის შესყიდვა ან ანულირებული სესხის ნაცვლად ახალი სასესხო ვალდებულების გაფორმება. ქვეყანაში, როცა ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად საკმარისი არაა გადასახადები და სესხები, მაშინ წარმოებს ფულის ემისია. ემისიის უფლება წარმოადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას. იგი სამართლებრივი ნორმებით ადგენს ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვების წესს.

მოსახლეობის დროებით თავისუფალი სახსრების მობილიზაცია ხდება სახელმწიფო კომერციული ბანკის დაწესებულებების მეშვეობით. შემნახველი ბანკების ყველაზე გავრცელებული ოპერაცია არის მოქალაქეთაგან ანაბრების მიღება და გაცემა. ანაბრების მოზიდვა შემნახველ ბანკებში წარმოებს ნებაყოფლობის, უკან დაბრუნებისა და ანაზღაურების საწყისებზე. ანაბრების დიდი ოდენობით მოზიდვა ხელს უწყობს ფულადი მიმოქცევის განმტკიცებას. მეანაბრე შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელიც, ასევე სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირი.

შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები სხვადასხვა სახისაა: მოთხოვნამდე, ვადიანი, პირობითი, მომგებიანი და მიმდინარე ანგარიშზე.

მოთხოვნამდე ანაბარი შემნახველ ბანკში შეიტანება შენახვის ვადის განუსაზღვრელად. ე.ი. ანაბარი გაიცემა მოთხოვნისამებრ, ნებისმიერ დროს. მოთხოვნამდე ანაბარი არის:

- სახელობითი – ანუ ანაბარს მიიღებს ის პირი, ვის სახელზედაცაა გაცემული საანაბრო დოკუმენტი;
- წარმომადგენლობითი – მისი არსი ისაა, რომ ფულს მიიღებს ყველა, ვინც კი საანაბრო დოკუმენტს წარადგენს.

ვადიანი ანაბარი – შეიტანება განსაზღვრული ვადით. თუ მეანაბრე ვადიან ანაბარს გაიტანს დაწესებულ ვადაზე ადრე, მაშინ სარგებლის სახით მას დაერიცხება მოთხოვნამდე ანაბრის პროცენტი.

პირობითი ანაბარი შეიტანება ერთი პირის მიერ მეორის სახელზე განსაზღვრული პირობის დაღგომის ვადით. მეანაბრემ ფულადი სახსრების მისაღებად შემნახველ ბანკს უნდა წარუდგინოს პირობის შესრულების ან აღნიშნული გარემოს დადგომის დამადასტურებელი საბუთი.

მომგებიანი ანაბარი ისეთი ანაბარია, რომელზეც მეანაბრე იღებს პროცენტებთან ერთად სარგებელსაც. მეანაბრეს დანაზოგი შეტანილი აქვს მომგებიან ანაბარზე და ტირაჟი ტარდება პერიოდულად. მოგების ოდენობა განისაზღვრება ანაბრის ოდენობისა და შენახვის ვადით.

ანაბარი მიმდინარე ანგარიშზე შეაქვთ მოქალაქეებს და ცალკეულ ორგანიზაციებს. მეანაბრეს ეძლევა საანგარიშო და საჩეკო წიგნაკი და არა შემნახველი წიგნაკი, როგორც ეს ანაბრის სხვა სახეობის დროს ხდება.

ანაბარი შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს კანონის მიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. მეანაბრეს შეუძლია წერილობითი განკარგულება მისცეს შემნახველ ბანკს, სიკვდილის შემთხვევაში, განკარგულებაში მითითებული ნებისმიერ პირზე ან სახელმწიფოზე ანაბრის გაცემის შესახებ, რომელიც დამოწმდება სანოტარო წერილით. ანაბარი არ შედის სამემკვიდრო მასაში და იგი მეანაბრის სიკვდილის შემდეგ გადადის იმ პირის ხელში, ვინც არის საანდერძო განკარგულებაში აღნიშნული. საანდერძო განკარგულების დროს შემნახველ ბანკში შეტანილ ანაბარზე არ ვრცელდება საერთო დებულებები მემკვიდრეობის შესახებ. თუ საანდერძო განკარგულებაში მითითებული პირი მეანაბრეზე ადრე გარდაიცვალა, მაშინ ანაბარი ჩაირთვება საერთო სამემკვიდრო მასაში და გადავა საერთო წესით მემკვიდრეზე, თუ სხვა განკარგულება არ იქნება გაცემული. არასრულწლოვანის სახელზე შეტანილ ანაბარს განკარგავს მშობლები ან მეურვეები. თუ ანაბარი შეტანილია არასრულწლოვანის მიერ, მისი განკარგვისათვის საჭირო არ არის სხვა პირის თანხმობა.

სახელმწიფო იცავს ანაბრების საიდუმლოებას. ცნობები ანაბრების შესახებ გაიცემა კანონით განსაზღვრულ ორგანოებზე. კერძოდ, წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოს ორგანოებზე. სახელმწიფო იცავს მეანაბრის ხელშეუხებლობას. მეანაბრის ნებართვის გარეშე, მისი ანაბრის თანხების მიმართ ოპერაცია არ მოხდება. გაღახდევინება ანაბარზე შეიძლება სასამართლოს განაჩენით ან გაღაწყვეტილებით.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო კრედიტის ცნება და სახეები;
2. სახელმწიფო ვალისა და ეროვნული ვალის არსი;
3. საშინაო ვალისა და საგარეო ვალის არსი და ფორმები;
4. შემნახველი ბანკის არსი და ანაბრების სახეები.

7.4. სახელმწიფოს როლი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციების საკითხებში

ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის წარმატებისა და მისი განვითარების მშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ობიექტური და სრული ინფორმაციის არსებობა საწარმოსა და ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობაზე და მის შედეგებზე. პირველ რიგში ასეთი ინფორმაციის წყაროს განეკუთვნება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, რომლის ობიექტურობაზე და უტყუარობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული წარმატების მიღწევა ბიზნესში.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საწარმო, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე დასახული მიზნის შესასრულებლად გარკვეულ საქმიანობას ახორციელებს, იძენს ნედლეულს, მასალას, საქონელს, რის შედეგად მცირდება საწარმოს ფულადი საშუალებები, სამაგიეროდ საწარმოს საწყობში იზრდება ნედლეულის, მასალებისა და საქონლის ოდენობა. ამ საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების ფიქსირება, გარკვეული საზომებით რიცხობრივი აღრიცხვა და მისი თვისობრივი დახასიათება შემდგომი შესწავლის, გამოყენებისა და კონტროლის მიზნით წარმოადგენს ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას[1].

ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგება[2] არის მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის დამუშავებისა და გადაცემის სისტემა, რომელიც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში და გამოიყენება ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობაში ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა საწარმოების მოდერნიზაცია და აღჭურვა ახალი თანამედროვე დანადგარებით. ნედლეულის შესაძენა და გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანი საქონლის შეძენა, ახალი ბაზრის ათვისება, ფასების კორექტირება, დაქირავებული მუშა-მოსამსახურეთა დანახარჯების გაზრდა, საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, საკრედიტო მოთხოვნების დაკმაყოფილება და სხვა მრავალრიცხოვან მიმართულებებზე ფინასური შესაძლებლობების ფარგლებში ზემოქმედების განხორციელება.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საწარმოთა საქმიანობაში მომხდარი ცვლილებებით დადგენილი წესით გაფორმებული დოკუმენტების შედგენით, რომელშიც უწყვეტად აისახება აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითადი დამახასიათებელი თვისება მისი უტყუარობა და სისწორე, ყოველგვარი ცვლილებების დროული ასახვა, რომელიც უნდა დადასტურდეს სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტებით.

ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგებას და უტყუარი ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე სწორი და ადეკვატური ბიზნეს გეგმების განხორციელებას.

საფინანსო საბუღალტრო აღრიცხვის შემადგენელი ნაწილია სამეურნეო წლის განმავლობაში წარმოებული საწარმოო პროცესების მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო წლის ბოლოსათვის წლიური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს საკუთრივ ბალანსს, მოგებისა და ზარალის გაანგარიშებას.[3]

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლი აწესრიგებს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითად პრინციპებს, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების წესები თანაბრად ვრცელდება ყველა საწარმოზე, გარდა მცირე საწარმოთა მიმართ, რომლებთანაც გამოიყენება ბუღალტული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული წესები.

კანონი ავალდებულებს და პასუხისმგებლობას აკისრებს საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომ საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აგებული და უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასა და წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან.

საწარმოთა ხელმძღვანელობა ვალდებულნი არიან აგრეთვე საწარმოს საქმიანობის დაწყებისა და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრების საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეიტანონ მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ნაღდი ფულის ოდენობის, ძირითადი საშუალებებისა და ყველა სხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. ამასთან, ცალკეული მატერიალური ფასეულობები ასახული უნდა იყოს მინიმალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და გაკეთდეს ქონებისა და ვალდებულებების თანდათანობითი ჯამი (ბალანსი), ხოლო მცირე საწარმოებში – ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი. საზოგადოების ხელმძღვანელებმა სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა

---

[1] ე. ხარაბაძე, ბუღალტრულ აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2002. გვ. 3-18

[2] ანგარიშგება ანუ სხვაგვარად ანგარიშწარმოება არის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, ოპერაციათა რეგისტრაციის ინფორმაციის შენახვის მრავალგზის განმეორებადი პროცესი და შედის ბუღალტრულ აღრიცხვაში.

[3] ი. მესხია, ნ. ვაშაკიძე, ლ. მაღლაკელიძე, გ. ტაბუცაძე. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი 1999, გვ. 248-259

შეადგინონ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში. მცირე საწარმოების ხელმძღვანებმა უნდა შეადგინონ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და შემოსავალ-გასავლის ანგარიში (ბალანსის სტრუქტურა დადგენილია კანონით).

კანონით დადგენილია, რომ სამეურნეო წლის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს. საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ შემდეგი დოკუმენტები:

- საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;
- მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;
- სამეურნეო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

დავის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე მოითხოვოს ერთ-ერთი მოდავე მხარის საბუღალტრო წიგნები და გაეცნოს მათ შინაარსს მხარეთა თანდასწრებით.

მთლიანობაში „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ 1994 წლის 28 დეკემბერს, სპეციალისტების მიერ აღიარებულია კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციის გაგრძელებად. ამ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც არეგულირებს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანარიშგების პრინციპებს წარმოადგენს წინაპირობას და საფუძველს ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გასასვლელად.

ამასთან ერთად, საქართველოში ღია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებამ, მთლიანობაში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა პარტნიორებზე მისაწვდომი ფინანსური ინფორმაციის ერთიანი მოთხოვნების შემუშავება, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს ბუღალტრული აღირცხვის საერთაშორისო სტანდარტებში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც დანერგილია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (ბასს) შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ნორმების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ის გამოიყენება როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე, ისე ცალკეული საწარმოების მიერ.

1973 წელს ბუღალტერთა პროფესიული კავშირების შეთანხმების შედეგად შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ), 1977 წელს კი შეიქმნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ), რომელთა მიზანს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მათი პოპულარიზაცია, გავრცელება და დანერგვა, აგრეთვე, მსოფლიო მასშტაბით ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლება, რომელსაც შეეძლება მუდმივად მაღალი ხარისხის მომსახურეობის გაწევა საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასსკ, დანართი № 1), როგორც წესი სახელმწიფოები იღებენ საფუძვლად ნიმუშის სახით, ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ეროვნული ნორმების დამუშავებისათვის.

ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 1999 წლის 5 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", რომლის თანახმად საქართველომ აღიარა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. კანონის მოთხოვნის შესაბამისად სააქციო საზოგადოებები ვალდებულნი არიან 2000 წლის 1 იანვრიდან წარმოადგინონ ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის, კომანდიტური საზოგადოებისათვის და კოოპერატივებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა დადგენილია 2001 წლის 1 იანვრიდან. რაც შეეხება ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე საწარმოსა და არაკომერციულ იურიდიულ პირებს მათ უფლება მიეცათ ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია აწარმოოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ ოპერაციებზე რომლებიც წარმოშობს:

- აღნიშნული პირის საგადასახადო ვალდებულებას;
- აღნიშნული პირის მიერ გადასახადის დაკავების ვალდებულებას;

- აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას.

ზემოთ ჩამოთვლილი პირები ვალდებულნი არიან შეინახონ სააღრიცხვო დოკუმენტაცია იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად საგადასახადო დეკლარაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წერილობით ანგარიშგებას მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახადო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადების თანხის ან/და გადასახადის გამოანგარიშებისა და გადასახადთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ.

საგადასახადო დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენის, გადასახადის შემცირების, საგადასახადო ორგანოსათვის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობის, გადასახადის არასწორი ჩათვლა და დაბრუნება წარმოადგენს სამართალდარღვევას, რომლისთვისაც დადგენილია სისხლის-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საკონტროლო კითხვები:

1. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ცნება და საწარმოში მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები;
2. საგადასახადო ანგარიშგება ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად.

7.5. საქართველოში საფინანსო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

კონსტიტუციის 51 მუხლის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს პრეზიდენტი.

მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას,

პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ - თავისი საქმიანობის ანგარიშს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-910 მუხლებით რეგულირდება საბანკო მომსახურების, კრედიტის, საბანკო ანაბრების, დოკუმენტური აკრედიტივის, ინკასოს, საბანკო გარანტიის, თაღებობისა და ფინანსური ურთიერთობების სხვა საკითხები, როგორც ფიზიკურ პირებს, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის.

2009 წლის 18 დეკემბერს მიღებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლის თანახმად, ეს ნორმატიული აქტი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა.

კანონის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გაღასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;
- გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
- ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;
- დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებთან, გადასახდელებთან და ნაშთის ცვლილებასთან დაკავშირებული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

- ერთიანობა – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;
- უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია;
- კონსოლიდირება – ყველა სახელმწიფო შემოსულობის ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

საბიუჯეტო შემოსულობებს შეადგენს:

- შემოსავლები, მათ შორის:

- გადასახადები;
- გრანტები;
- სხვა შემოსავლები;

- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს:

- ხარჯები, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება;
- საქონელი და მომსახურება;
- სუბსიდიები;
- პროცენტი;
- გრანტები;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- სხვა ხარჯები;

- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მიმართული სახსრები)

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორებიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო გადასახდელების დასაფინანსებლად. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა, წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს შესაბამისად პრეზიდენტის და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მინისტრი.

აღნიშნული კანონით დადგენილია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის პროექტის მომზადების და წარდგენის პროცედურები,ვადები, მისი დაგეგმის წესი წლიური საბიუჯეტო კანონის მიღებისა და მისი შესრულების პროცედურები და მექანიზმი, აგრეთვე სახელმწიფო სესხის გაცემის, მისი გარანტიების უზრუნველყოფის წესი და საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

1998 წლის 5 მარტს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, რომლითაც მოწესრიგებულია საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და

საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, დადგენილია სახელმწიფო ვალის ძირითადი პრინციპები. კანონის თანახმად, სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმებია:

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- სხვა სავალო ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

სახელმწიფო საშინაო ვალიდან შემოსული, ეროვნული ვალუტით გამოსახული ფულადი სახსრები გამოიყენება:

- ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის დასაფარავად.

სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმებია:

- სხვა სახელმწიფოებისგან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებისგან აღებული ვალი;
- უცხო ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალი;
- ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალებზე შეთანხმების ხელმოწერა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო გარანტიის გასაცემად დაინტერესებულ ეკონომიკურ აგრენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეაქვს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს:

- ბოლო ორი წლის სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო ბალანსს (აუდიტორული დასკვნით);
- ინფორმაციას ეკონომიკური აგენტის დავალიანების შესახებ ბიუჯეტის, საფინანსო და სხვა დაწესებულების მიმართ;
- საინვესტიციო პროექტების საბუთების ასლებს;
- მოგების პროგნოზირებას და მის განაწილებას საგარანტიო პერიოდში;
- ეკონომიკურ აგენტსა და საფინანსო დაწესებულებას შორის საკრედიტო ხელშეკრულების პროექტს;
- ინფორმაციას ეკონომიკური აგენტის აქტივების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაგირავდეს და გამოყენებულ იქნეს დავალიანების დასაფარავად;
- ინფორმაციას გადაუხდელ ვალებზე, კრედიტორების ვინაობისა და მისამართების, აგრეთვე ვალების გადახდის მდგომარეობის მითითებით.

კანონით აკრძალულია კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემა:

- იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც აღებული აქვთ და არ დაუბრუნებიათ (ვადაში ან ვადის გადაცილებით) ნებისმიერი სხვა კრედიტი;
- იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც აქვთ საგადასახადო დავალიანება;
- ახლად რესტრუქტურირებულ საწარმოებს (საგადასახადო და სხვა დავალიანებებთან დაკავშირებით).

1999 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია:

- საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროების განსაზღვრა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
- ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა.

საქართველოს მიერ აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებისა და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების, მითითებების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიასთან და ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან.

კერძო სამართლის სუბიექტებისათვის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვითრეგულირებას ახორციელებენ ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციები და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია.

ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნება:

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების შემუშავება;
- ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შემუშავება;
- ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული სერტიფიცირება.

საქართველოს პარლამენტთან იქმნება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია, რომელიც აერთიანებს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების, ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროს წარმომადგენლებს. კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის თითო წარმომადგენელი, განისაზღვრება 9 წევრით.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის წევრებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგინებით, 3 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ბიურო. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის ფუნქციებია:

- ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტა-ციების სამოქმედოდ შემოღება;
- ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების დამტკიცება;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცება.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია თავისი ფუნქციების განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან და ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან.

კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე საწარმოსა და არაკომერციულ იურიდიულ პირს უფლება აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებულია დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“[1], რომლის პირველი მუხლის თანახმად, ეს ნორმატიული აქტი განსაზღვრავს, რომ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთო მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იგი შეიმუშავებს და ამტკიცებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ ნორმატიულ აქტებს და მეთოდურ მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მეთოდურ მითითებებს, დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში შეიმუშავებენ და ამტკიცებენ დარგობრივი სამინისტროები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

საწარმო, ორგანიზაცია თავისი ქონებისა და სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად ფულად გამოსახულებაში, მათი განუწყვეტელი, დოკუმენტური და ურთიერთდაკავშირებული ასახვის გზით.

ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანებია:

- საწარმოს, ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება,რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად

[1] აღნიშნულ დებულებაში შეტანილია ცვლილებების საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 15 აპრილის №189 ბრძანებულებით

ინვესტორების, მიმწოდებლების, მყიდველების, კრედიტორების, საფინანსო, საგადასახადო და სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული საწარმოებისა და პირების მიერ;

- საწარმოს, დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფა;
- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება.

საწარმო, ორგანიზაცია ბუღალტრული აღრიცხვისას დამოუკიდებლად განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციულ ფორმას,აგრეთვე ანგარიშწარმოების ფორმასა და სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიას, საწარმოს (დაწესებულების) სახისა და მეურნეობრიობის პირობებიდან გამომდინარე საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. შეიმუშავებს შიდა საწარმოო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის სისტემას.

საწარმო, ორგანიზაცია სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ორმაგი ჩაწერის ხერხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული უღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს ბუღალტრული ანგარიშების ბრუნვებისა და ნაშთების ყოველთვიურად გამოყვანას და სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობას ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის, შემოსავლებისა და ხარჯების საანგარიშო პერიოდისათვის მიკუთვნების სისწორეს, კაპიტალური დაბანდებებისა და წარმოების მიმდინარე ხარჯების აღრიცხვის გამიჯვნას.

საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღნუსხავენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს.

პირველად საბუთებში უნდა აღინიშნოს შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის(ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, განზომილება (რაოდენობრივ და ღირებულებით გამოსახულებაში), სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები,რომლებიც გამომდინარეობს ოპერაციის შინაარსიდან და მონაცემების ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებიდან.

პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, - უშუალოდ ოპერაციის დამთავრებისთანავე. პირველადი დოკუმენტების დროული შედგენა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს საწარმოს მიერ განსაზღვრულ ვადებში

პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემაში მოდის სააღრიცხვო რეგისტრებში (ან ინფორმაციის მანქანურ მატარებლებში), რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ბუღალტრული დოკუმენტები ათი წლის განმავლობაში შეინახონ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ხორციელდება ამ სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი კანონებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნით საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები, ხარჯები და გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები. ამავე კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია აწარმოოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს:

- აღნიშნული პირის საგადასახადო ვალდებულებას;
- აღნიშნული პირის მიერ გადასახადის დაკავების ვალდებულებას;
- აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას.

პირველად საგადასახადო დოკუმენტად მიიჩნევა წერილობითი საბუთი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

- დოკუმენტის დასახელება;
- დოკუმენტის შედგენის თარიღი;
- დოკუმენტის ნომერი, რომლის განმეორება აკრძალულია;
- სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელება და მისი გაცემის თარიღი; სხვა პირის შემთხვევაში – პირის სრული დასახელება, მისი მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი);

- სამეურნეო ოპერაციის შინაარსი;
- გადაცემული საქონლის/მომსახურების დასახელება (სრული ჩამონათვალი), მისი ოდენობა და ზომის ერთეული (თუ შესაძლებელია მისი ოდენობისა და ზომის განსაზღვრა);
- გადაცემული საქონლის/მომსახურების ღირებულება (ჩამონათვალის მიხედვით);
- აქციზისა და დღგ-ის თანხა (აქციზურ საქონელზე);
- დღგ-ის თანხა (დღგ-ით დასაბეგრ არააქციზურ საქონელზე/მომსახურებაზე);
- სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების სახელი, გვარი და ხელმოწერა.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება პირს, რომელმაც შეადგინა და გასცა აღნიშნული დოკუმენტი, ხოლო მეორე გადაეცემა და ინახება იმ პირთან, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს დოკუმენტი.

თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სააღრიცხვო და სხვა დოკუმენტები შედგენილია უცხოურ ენაზე და ისინი გაუგებარია საგადასახადო ორგანოსათვის, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მათი თარგმნა სახელმწიფო ენაზე.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი სააღრიცხვო დოკუმენტაციას აწარმოებს ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, იგი ვალდებულია, საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს სააღრიცხვო დოკუმენტის ქაღალდზე ამობეჭდილი ასლი.

გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია შეინახოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

საწარმოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვის მოუწესრიგებლობა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 204[1] მუხლის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის განმახორციელებელი პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შემცველი საბუღალტრო დოკუმენტის შექმნა, გამოყენება ან საგადასახადო დოკუმენტის აღრიცხვა, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების, ზეგავლენის, ვაჭრობის ან ასეთი საქმიანობის დაფარვის მიზნით, იწვევს ჯარიმას ან იგივე ქმედების არაერთგზიანობა ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება უთვალისწინებს თავისუფლების აღკვთას ერთ წლამდე ვადით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სამეურნეო ოპერაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხავი საქონლის გამოვლენის შემთხვევაში. დამრღვევ პირს ეკისრება აღურიცხავი საქონლის საბაზრო ღირებულება.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში საფინანსო ურთიერთობების მარეგულირებალი ნორმატიული აქტები;
2. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები;
3. პასუხისმეგბლობა ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების დარღვევისათვის.

7.6. ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები

დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ნებისმიერი პირი იქნება ეს საქართველოს მოქალაქე, სხვა ქვეყნის მოქალაქე, თუ მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, აგრეთვე იურიდიული პირი შეუძლია, შექმნას „მეწამეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საწარმო და დაიწყოს ყოველგვარი შეზღუდვისა და სხვა პირობების გარეშე მისთვის სასურველი საქმიანობა, რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით შედარებით გამარტივებულია და ლიბერალურია ბიზნესის დაწყება ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შერთებულ შტატების კანონმდებლობით ბიზნესის დამწყებმა პირმა რეგისტრაციისათვის უნდა დაამტკიცოს თავისი კომპეტენტურობა, შესაბამისი უნარ-ჩვევების ფლობა იმ საქმიანობაში, რომლის დაწყებაც მას აქვს განზრახული და დაგეგმილი.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილია და შემუშავებულია ბიზნესის დაწყების გეგმა საჭიროა შესაბამისი თანხის მოძიება, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთრი, - დამფუძნებლებისა და აქციონერების, აგრევე კოოპერატივის პაის მფლობელების მიერ შენატანები და საბანკო კრედიტები. დამფუძნებლებისა და აქციონერების პირადი თანხებით ბიზნესის დაწყება შედარებით ხელსაყრელი და საიმედოა. ის საშუალებას აძლევს შედარებით დროის მცირე მონაკვეთში რენტაბელური გახდეს წარმოება, რაც მყარ საფუძველს წარმოადგენს მოგების მისაღებად.

გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული საბანკო კრედიტის მიღება, როგორც წესი, ბანკები ერიდებიან ახალდაფუძნებულ საწარმოებზე კრედიტის გაცემას. საკრედიტო პროცენტი შედარებით მაღალია ამ ახლად დაფუძნებული საწარმოებისათვის, ვიდრე მოქმედი და გარკვეული იმიჯის მქონე საწარმოებისათვის. ამ ახალი საწარმოებისათვის ბანკები ითხოვენ მყარ გარანტიას უძრავი და მოძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვით ან პირადი თავდებობით, მაშინ როდესაც მოქმედ და გამართულ საწარმოებზე სესხი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ფინანსური ბალანსის ანალიზის საფუძველზე.

მთელ მსოფლიოში მიღებულ ფორმას წარმოადგენს საქონლის და ასევე ძირითადი საშუალებებისა და ნედლეულის მიწოდება ავანსად, შემდგომი გადახდის პირობით, რაც საშუალებას იძლევა მისი განვითრებისათვის, შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

საბანკო კრედიტის მისაღებად შეისწავლება და ანალიზი უკეთდება საწარმოს ბალანსში და მოგება-ზარალის უწყისში არსებულ მონაცემებს. პირველ რიგში დგინდება წარმოების, მომსახურების კონკურენტუნარიანობა, მისი განვითარების პერსპექტივები, მენეჯმენტის ხარისხი, შეესაბამება თუ არა ბუღალტრული აღრიცხვა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რა დონეზეა კრედიტორებთან ურთიერთობის საკითხი, საგადასახადო ვალდებულების შესრულება, საწარმოს რეპუტაცია და სხვა ზოგადი მონაცემები, რომლებიც იძლევა საშუალებას მოთხოვნილი კრედიტის რეალობაში და მისი დაბრუნების შესაძლებლობაში მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით.

აღნიშნულის დოკუმენტურად შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დგინდება კრედიტის მოცულობა და მისი დაბრუნების ვადები. პრაქტიკაში გავრცელებულია შემდხეგი სახის კრედიტები:

- მოკლევადიანი – ერთ წლამდე ნაკლები ვადით, რომელიც ძირითადად გამოიყენება სასაქონლო მატერიალური მარაგის შესაძგენად და სხვა სამეურნეო ოპერაციების განსახორციელებლად, რომელიც უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას შედარებით მოკლე ვადაში;
- საშუალო ვადიანი – ხუთ წლამდე ვადით კრედიტი გაიცემა სხვადასხვა ოპერაციების განსახორცილებლად;
- გრძელვადიანი ხუთ წელზე მეტი ვადით. ამ სახის კრედიტით ფინანსდება ძირითადად, როგორც წესი ბიზნესის გაფართოება, მისი მოდერნიზაცია, როგორც წესი კრედიტის დაფარვა ხდება მიღებული მოგებიდან.

პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე კომერციული (სავაჭრო) კრედიტები, რომლის საფუძველზე მყიდველს საქონელი მიეწოდება შემდგომი გადახდით.ამ შემთხვევაში გაცილებით რისკიანია საქონლის მომწოდებლის მდგომარეობა, ვიდრე მიმღების, ვინაიდან მას გააჩნია დამატებით ის უპირატესობა, რომ თუ საქონელი არ გაიყიდა, მას შეუძლია დაუბრუნოს ის უკან გამყიდველს.

სააქციო საზოგადოებებში ბიზნესის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აქციების გამოშვებისა და შემდგომ მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, რომლითაც ხდება ფულადი რესურსების ინვესტირება საწარმოში აქციონერთა წილის სახით. აქციონერებს ამ თანხაზე სასესხო პროცენტი არ ერიცხებათ, ისინი იღებენ მხოლოდ წლიურ მოგებას დივიდენდების სახით.

გარდა საბანკო სესხისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სესხის გაცემას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ, თანხის ოდენობისა და სესხის ვადის შეუზღუდავად.

ამ სახის ხელშეკრულებით სრული თავისუფლება ენიჭება, როგორც გამსესხებელს ისე მსესხებელს, შეთანხმდენენ სესხის სარგებლის ოდენობაზე, მისი გადახდის პროცედურებზე. გარიგების საფუხძველზე, სესხი შეიძლება იყოს უპროცენტო ან შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით, მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების თანახმად, სასესხო პროცენტი არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საშუალო წლიური სასესხო საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები. სხვა ყველა შემთხვევაში, მათ შორის სესხის უპროცენტო სარგებლის გაცემის დროსაც გამოიყენება სასესხო პროცენტის საშუალო საბაზრო ფასი და გამსესხებელი მიღებული შემოსავლით დაიბეგრება ამ საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

ბიზნესის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ასევე საქართველოს 2006 წლის 18 ივლისს მიღებული კანონი „მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ“ რომლის თანახმად, შექმნილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას წარმოადგენს:

- იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა;
- ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში;
- ფულადი გზავნილების განხორციელება;
- სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;
- მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
- იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის, მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, რეგისტრაციის შემდეგ, რომლის წესსა და პირობებს ადგენს ეროვნული ბანკი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს დაფინანსების წყაროს სწორი განსაზღვრა, საჭირო სესხის მოცულობის დადგენა, ფულადი ბიუჯეტის პროგნოზი, სესხის დაბრუნების გრაფიკის შესაბამისობა მოსალოდნელ მოგებასთან და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. სწორედ განსაზღვრული სხვადასხვა ფაქტორების გათვალისიწნებითა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებული ბიზნეს-გეგმა, მისაღები და წარმოებისათვის აღეკვატური დაფინანსების წყაროს მოძიება, გამართული მენეჯმენტის არსებობა რეალური საფუძველია, ბიზნესში წარმატების მისაღწევად.

საკონტროლი კითხვები:

1. ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები;
2. კრედიტის სახეები.

7.7. ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებისათვის

სახელმწიფოს აღმოცენების დღიდან საჭირო გახდა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა. შემდგომ პერიოდში ეკონომიკის განვითარებამ მოითხოვა შედარებით უფრო დეტალურად ფინანსური ოპერაციების დაჯგუფება და მისი დაანგარიშება. დღეისათვის წარმოუდგენელია თანამედროვე ბიზნესის წარმართვა დეტალური ფინანსური აღრიცხვის გარეშე. ამ მონაცემების საფუძველზე, მიიღება საწარმოს განვითარების გადაწყვეტილებები დაწყებული ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოებით, დამთავრებული პროდუქციის გამოშვებით, ძირითადი საშუალებების მოდერნიზაციითა და სხვა მნიშვნელოვანი პერსპექტიული ბიზნეს-გეგმის განხორციელებით.

ბუღალტრული ინფორმაციის ობიექტურობაზე, საწარმოში განხორციელებული ყველა ფინანსური ოპერაციების სრულად ასხვაზე, მის სწორ ანალიზზე და შევსებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოს განვთარების პერსპექტივები. ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:

- კომპანიის შიდა მოხმარების ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც იყენებენ მენეჯერები და საწარმოს სხვა ხელმძღვანელები ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით ასეთი ინფორმაცია კომპანიის ყველა თანამშრომლისათვის არის ხელმისაწვდომი და მისი გამოყენება თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ დასაქმებულს;
- ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობაში ფინანსურ ინფორმაციას იყენებენ გარე მომხმარებელები კრედიტების გაცემის, ინვესტიციების განხორციელების, აქციებისა და წილების შეძენისა და სხვა მრავალი გადაწყვეტილებების მისაღებად;

- ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები არიან აგრეთვე ისეთი სახელმწიფო ორგანოები, როგორიცაა საგადასახადო სამსახური, სტატისტიკური დაგეგმვის, ფინანსური კონტროლისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები საწარმოში ჯგუფდება შემდეგი სახით:

- საოპერაციო შემოსავლები, რომელშიც შედის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, მომსახურების გაწევა, იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია);
- არასაოპერაციო (არასარეალიზაციო) შემოსავლები (თანხის გასესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები, ლიზინგით, იჯარით გაცემული ქონების შემოსავლები და სხვა);
- განსაკუთრებული არასაოპერაციო შემოსავლები (გრანტებით, ქველმოქმედებით მიღებული თანხები და სხვა).[1]

შემოსავლებად ითვლება ყველა სარგებელი ფულადი და ნატურალური ფორმით, რომელიც აღირიცხება. ხარჯებად კი ითვლება დოკუმენტურად დადასტურებული და განხორციელებული დანახარჯები.

საწარმოში კანონმდებლობით დადგენილი წესით შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტი აღრიცხვა საშუალებას იძლევა მიღებული იქნეს საფუძვლიანი და სწორი მენეჯერული გადაწყვეტილება, რაც საშუალებას იძლევა ბიზნესის აღმავლობისა და განვითარებისათვის, რომლითაც მიღწეული იქნება ძირითადი მიზანი მაქსიმალური მოგების მისაღებად.

სამართლებრივი ნორმებითაა მოწესრიგებული ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი მრავალმიმართულებიანი საქმიანობა, მათ შორის საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები.

საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი მრავალი სამართლებრივი ნორმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- 1997 წლის 1 აპრილს ფინანსთა მისნისტრის №84 ბრძანებით დამტკიცებული იქნა „საწარმოების (ორგანიზაციების) ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების წესის შესახებ“ ინსტრუქცია, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის №822 ბრძანებით;
- 1998 წლის 6 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული იქნა „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულება, რომელიც შეტანილია ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 15 აპრილის №189 ბრძანებულებით;
- 1999 წლის 5 თებერვალს მიღებული იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“[2] , რომლის პირველი მუხლის თანახმად, მისი მიზანია:

- საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროების განსაზღვრა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
- ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა.

კანონის მე-10 მუხლის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე საწარმოსა და არაკომერციულ იურიდიულ პირს უფლება აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

2005 წლის 6 აპრილს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის (№11 დადგენილებით) მიერ მიღებული იქნა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და მათი ინტერპრეტაციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დადგენილება, რომლითაც საქართველოში შემოღებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან და მათ ინტერპრეტაციებთან ერთად.

ამავე კომისიის მიერ 2005 წლის 5 აპრილს მიღებული იქნა დადგენილება (№9) „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებით) სტანდარტების დამტკიცების

---

[1] ნ. ტერაშვილი, დ. ჯალაღონია, ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის აქტუალური საკითხები. თბილისი 2008

[2] აღნიშნულ კანონში შეტანილია ცვლილება 2000 წლის 11 თებერვლის №141 საქართველოს კანონით

შესახებ,“ რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან. ამ ნორმატიული აქტით მცირე საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ბალანსს;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- ანგარიშგებას საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებს;

ამავე კომისიის 2000 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა დადგენილება „ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“, რომლის თანახმად, შემოღებული იქნა სამოქმედოდ ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი საერთაშორისო სტანდარტები:

- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 4 - "ცვეთის ბუღალტერული აღრიცხვა".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 - "ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიგება".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 14 - "ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 15 - "ფასების ცვლილებით გამოწვეული შედეგების ამსახველი ინფორმაცია".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 19 - "დაქირავებული მომუშავეთა გასამრჯელოები".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 22 - "საწარმოთა გაერთიანება".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24 - " დაკავშირებულ მხარეთა ახსნა-განმარტებები".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 26 - "საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტერული აღრიცხვა და ანგარიშგება".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 29 - "ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 30 - "ბანკებისა და ანალოგიური საფინანსო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 32 - "ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტება და წარდგენა".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 33 - "შემოსავალი ერთ აქციაზე".
- ბუღალტერული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 34 - "შუალედური ფინანსური ანგარიშგება".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნით აღრიცხოს შემოსავლები, ხარჯები და გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება). გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მეთოდი, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. ამასთან, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულად და გარკვევით უნდა იყოს ასახული სამეურნეო ოპერაციის შიანაარსი, საგანი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეების დასახელება. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სავალდებულოა სასაქონლო ზედნადები გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია. დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) უნდა განისაზღვროს იმავე მეთოდით, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ამასთან, შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება მხოლოდ ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. თუ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და კოდექსით დადგენილი ზღვრული ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაშინ დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრის მიზნით

პირმა უნდა უზრუნველყოს გამოქვითვების საგადასახადო აღრიცხვა. გადასახადის გადამხდელმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით, იმ პირობით, რომ იგი ერთ მეთოდს გამოიყენებს საგადასახადო წლის განმავლობაში. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, შემოსავლების მიღების მომენტად ჩაითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი. ფიზიკურ პირს უფლება აქვს აწარმოოს დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის მიხედვით.

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის მეთოდის ნებისმიერი ასპექტის შეცვლისას დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) კორექტირება უნდა მოხდეს ასეთი შეცვლის წელს, იმის გათვალისწინებით, რომ დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნება გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული. თუ გადასახადის გადამხდელი არაფულადი ფორმით იღებს შემოსავლებს ან ეწევა ხარჯებს, ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ხორციელდება ამ სფეროს მარეულირებელი შესაბამისი კანონმდებლობით. ამასთან ერთად, საწარმოს დამფუძნებლებს, აციონერებს, კოოპერატივის პაის მფლობელებს უფლება აქვთ გაეცნონ საზოგადოების საქმეებს, შეამოწმონ საზოგადოების წიგნები და საბუთები, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და სხვა ფინანსური დოკუმენტები;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240[1] მუხლით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის წესების დარღვევისათვის და 206 მუხლით საბუღალტრო წიგნის წარმოების წესების დარღვევისათვის გადახდისუუნარობისას. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილია ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის არასრულად წარმოებისათვის. ეკონომიკური საქმიანობისათვის საქონლის (გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე – სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციისა, აგრეთვე რეგულარული ან უწყვეტი წესით მიწოდებული საქონლისა (ელექტრო- ან თბოენერგია, გაზი, წყალი) სასაქონლო ზედნადების (შესაბამის შემთხვევებში – გამარტივებული ზედნადების) გარეშე ტრანსპორტირებისას, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებისას, პირი ჯარიმდება შესაბამისად სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის საბაზრო ღირებულებით დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზური საქონლის შემთხვევაში – აქციზისა და დღგ-ის გარეშე). ამასთანავე, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადონ აღნიშნულ საქონელს. ყადაღის დადების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. სამეურნეო ოპერაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხველი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის, ხოლო სხვა ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, პირს გადახდება ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხველი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოვლენილი საქონლის საბაზრო ღირებულებით დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზური საქონლის შემთხვევაში – აქციზისა და დღგ-ის გარეშე). აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხველ საქონელზე არსებობს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

აღნიშნული სანქციები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული:

- დოკუმენტის შედგენის თარიღი და ნომერი;
- სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (მისი არსებობის შემთხვევაში), ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი;
- საქონლის დასახელება და რაოდენობა.

საქონლის დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასებით (აქციზისა და დღგ-ის გარეშე) განხორციელებულ მიწოდებად და გადასახადებით დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელება საშუალებას იძლევა არა მარტო სწორი და საფუძვლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც

პერსპექტიული განვითარების საფუძველია, არამედ, სრულად შესრულდება საგადასახადო ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტში კუთვნილი თანხების გარიცხვით.

საკონტროლო კითხვები:

1. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებისათვის;
2. ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

7.8. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები და მისი სამართლებრივი რეგულირება

მსოფლიოში დღეისათვის მიმდინარე საგარეო ვაჭრობის გაღრმავების ტენდენციამ, თავისთავად საფუძველი ჩაუყარა და მოითხოვა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გაფართოება, რომლის გარეშე თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ნებისმიერი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება.

საგარეო საფინანსო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ძირითადად აწესრიგებს საგარეო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობას. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის შიდა საფინანსო ოპერაციებისგან განსხვავებით, საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობები დაკავშირებულია ასევე ეროვნული ვალუტის სხვა ქვეყნის უცხოურ ვალუტის გაცვლასთან და სხვა რთულ პროცესებთან.

საგარეო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებისას ანგარიშსწორების დროს იმპორტიორს უნდა გააჩნდეს მყარი გარანტია იმისა, რომ განუხრელად იქნება დაცული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული პირობები, (კერძოდ საქონლის სახეობა, ხარისხი, რაოდენობა და ა.შ.) ექსპორტიორი თავისთავად უფლებამოსილია მოითხოვოს საფუძვლიანი გარანტია იმისა, რომ ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით დროულად და მთლიანი თანხით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ როგორც წესი ექსპორტიორი და იმპორტიორი იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნებში, ერთმანეთთან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ მანძილზე და იმპორტ-ექსპორტის ოპერაციების განხორციელება დაკავშირებულია გადამზიდველის, საბანკო, სადაზღვევო და სხვა მესამე კომპანიების ჩართვასთან. ასეთ რთულ ტექნოლოგიურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული ბიზნესის განხორციელებასთან წარმოშობილი საქმიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ და მიიღონ ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დაარეგულირებენ ამ რთულ და მრავალფეროვან მენეჯმენტის, მარკეტინგის ტექნოლოგიურ, ფინანსურ და სხვა ინსტიტუტებს.

დღეისათვის მოქმედი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მომწესრიგებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები მიღებული გასული საუკუნის 30-იან წლებში და მეორე ნახევრის 80-იან წლებში, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- 1930 წელს ჟენევის კონფერენციაზე მიღებული იქნა – კონვენცია სავექსილო სამართლის უნიფიკაციის შესახებ;
- 1930 წელს ასეცე დადებული იქნა ჟენევის მეორე კონვენცია – უბრალო ვექსილის გადაგზავნისას კოლიზიური საკითხების გადაწყვეტის შესახებ;
- საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1930-1931 წლებში მიღ ბული იქნა უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტარული აკრედიტივებისათვის, ასევე უნიფიცირებული წესები სავაჭრო დოკუმენტების ინკასირებისთვის;
- 1978 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ აგრეთვე მიღებული იქნა რეკომენდაციული ხასიათის უნიფიცირებული წესები ინკასოსთან დაკავშირებით.

ჩამოთვლილი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად საგარეო ანგარიშსწორების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნებს შორის ხორციელდება ისეთი ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობა, როგორიცაა საგარეო ვაჭრობა, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, დიპლომატიური, კულტურული, ტურისტული და სხვა საერთაშორისო კავშირები. ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის, საკრედიტო და სხვა ფინანსური გარიგებების დროს მხარეები წინასწარ ირჩევენ და ადგენენ თუ რომელი ქვეყნის ვალუტით უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორება.

საგარეო ვაჭრობაში დამკვიდრებულია ანგარიშსწორების შემდეგი ფორმები და სახეები.:

- ავანსური გადასახადები, რომლებიც როგორც წესი, გზავნილების სახით ხორციელდება;

- გადასახადები საქონლის მიწოდების ან მის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც უპირატესად აკრედიტივების ან ინკასოს საშუალებით ხორციელდება
- გადასახადები საქონლის შემოსავლისა და ანგარიშების გამო, რომელიც გზავნილების სახით ხორციელდება.
- გადასახადები, გადახდის ვადის დადგომის გამო, როცა მოთხოვნილებას არა აქვს უზრუნველყოფა, ამ შემთხვევაში აგრეთვე გამოიყენება გზავნილები[1].

როგორც ავღნიშნეთ საერთაშორისო საფინანსო ანგარიშსწორება იყოფა ორ ძირითად სავაჭრო და არასავაჭრო ჯგუფებად. სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად საგარეო სავაჭრო ანგარიშსწორება მოიცავს საფინანსო ოპერაციებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია კრედიტის აღებასთან, საბანკო გადარიცხვასთან, საინკასო დავალების წარდგენასთან, საგადასახადო მოთხოვნა-დავალებით გადარიცხვასთან, სააკრედიტივო ფორმის გამოყენებასთან, ჩეკებითა და პლასტიკური ბარათებით („პლასტიკური ფულის“) ანგარიშსწორებასთან.

საერთაშორისო საფინანსო ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება დაკავ-შირებულია რთული საფინანსო და იურიდიული ფორმების განხორციელებასთან. ეს ანგარიშსწორება ხორციელდება სხვადასხვა მესამე პირების – შუამავლების მეშვეობით, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან ერთმანეთთან და მათზე ვრცელდება სხვადასხვა სუვერენული ქვეყნის იურისდიქცია. ანგარიშსწორება ნებისმიერი კონკრეტული ფორმით ხორციელდება სახელმწიფოში დადგენილი წესით რეგისტრირებული ბანკის მეშვეობით, ან ამ საანგარიშსწორებო ქვეყანაში შექმნილი უცხოური ბანკის ფილიალის გამოყენებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმის შერჩევა დაკავშირებულია ისეთ სპეციფიკურ ფაქტორებთან, როგორიცაა მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთ-დამოკიდებულება, მათი საერთაშორისო იმიჯი და გადახდისუნარიანობა, ორივე მხარისათვის ამ სავაჭრო ოპერაციის მნიშვნელობა (საბაზრო კონიუქტურა, მონაწილე მხარის ქვეყნებში არსებული რისკის ფაქტორები) და მოწოდებული პროდუქციის სახეობასთან (სიგარეტი, ნავთობპროდუქტი თუ კვების პროდუქტები, მაგალითად ფქვილი, მაკარონი და სხვა), საანგარიშსწორებო გადარიცხვების შეზღუდვასთან, საბაჟო სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვებთან და სხვა მრავალ ფაქტორებთან. საგარეო ვაჭრობაში არსებული რისკების შემცირების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწოდების პირობებს, რომელიც ფიქსირდება სავაჭრო პარტნიორების მიერ ხელშეკრულებაში და რომლითაც განსაზღვრულია საქონლის მიწოდების ანგარიშსწორებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. ყოველივე ამ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით მხარეები ირჩევენ ანგარიშსწორების სხვადასხვა ფორმებს.

ფინანსური ოპერაციების ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კრედიტი[2], რომელიც ხორციელდება ფულადი, სავალუტო ან სასაქონლო რესურსების გარკვეული ვადის გაცემით, სარგებლის გადახდისა და გაცემული მთლიანი თანხის უკან დაბრუნების პირობით. კრედიტი დაფარვის ვადის მიხედვით იყოფა:

- მოთხოვნამდე (ონკოლური) ანუ იფარება გამსესხებლის მოთხოვნისთანავე;
- მოკლევადიანი (ერთ წლამდე);
- საშუალოვადიანი (ერთიდან ხუთ წლამდე); გრძელვადიანი (ხუთ წელზე მეტი ხანგრძლივობით).[3]
- დაფარვის ხასიათის მიხედვით ვალის ერთბაშად დაფარვის და სესხის დაფარვით განვადების წესით;

სარგებლის დარიცხვის მეთოდის მიხედვით კრედიტი არის შემდეგი სახის:

- სარგებლის დარიცხვა სესხის გადაცემის მომენტში;
- სარგებლის დარიცხვა კრედიტის დაფარვის მომენტში;
- სესხით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში თანაბარზომიერი შენატანებით;

მცოცავი საპროცენტო განაკვეთი- საპროცენტო განაკვეთი საშუალო ვადიან და გრძელვადიან კრედიტებზე, რომლის სიდიდე არ ფიქსირდება კრედიტის მთელი პერიოდისათვის, არამედ წარმოებს მათი გადახედვა კრედიტორს და მსესხებელს შორის შეთანხმებული დროის შუალედში შესაბამის საკრედტო ბაზარზე სიტუაციის ცვლილებასთან დაკავშირებით;

---

[1] ერვინ როდე. ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, თარგმანი რამაზ ნამიჭეიშვილის, ქუთაისი, 1998, გვ. 233-359.

[2] კრედიტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვალს.

[3] В. Попондопуло. Международное коммерческое право. Москва, 2004 стр.364-393

უზრუნველყოფის მიხედვით:

- სესხი უზრუნველყოფის გარეშე (საბლანკო);
- სესხი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებით (ფასიანი ქაღალდებით, უძრავი ქონებით და სხვა ფასეულობებით თამასუქით, ოქროთი, სასაქონლო დოკუმენტებით) უზრუნველყოფით[1].
- კრედიტი არის ორი სახის სახელმწიფო და კომერციული კრედიტი. სახელმწიფო კრედიტს იღებს ობლიგაციების და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან სესხის სახით. საერთაშორისო კრედიტი დანიშნულების მიხედვით იყოფა:
- კომერციული კრედიტი, რომელიც წარმოადგენს შესყიდვისა და სხვა ხარჯების დასაფარავად გაცემულ სესხს;
- ფინანსური კრედიტი არის სესხი, რომელიც გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების შესაძენად, დავალიანებით. დასაფარავად, ინვესტიციების განსახორციელებლად და სხვა;
- შუალედური კრედიტი – სესხი, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც საგარეო სავაჭრო მომსახურებასთან, ასევე საფინანსო ოპერაციების განხორციელებასთან.

კრედიტორების მიხედვით კრედიტები დაყოფილია:

- კერძო კრედიტები, რომელსაც გასცემენ ფირმები, ბანკები, ცალკეულ შემთხვევებში ბროკერები;
- მთავრობის კრედიტები;
- შერეული კრედიტები – მათ გაცემაში მონაწილეობენ როგორც კერძო საწარმოები, ასევე სახელმწიფოც;
- საერთაშორისო და რეგიონული სავალუტო-საკრედტო და საფინანსო ორგანიზაციების კრედიტები. მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ბუფერული“ კრედიტები – გაიცემა სანედლეულო საქონლის „ბუფერული“ მარაგების შესაქმნელად და მიზნად ისახავს მათი ფასების სტაბილიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული მარაგები იქმნება საერთაშორისო სასაქონლო შეთანმხების საფუძველზე.

სახეობების მიხედვით:

- სასაქონლო კრედიტი, რომელსაც ძირითადად ექსპორტიორები აძლევენ თავიანთ მყიდველებს საქონლის ფორმით;
- სავალუტო კრედიტი, რომელსაც გასცემენ ბანკები ფულადი ფორმით.

სესხის ვალუტის მიხედვით კრედიტი დაყოფილია შემდეგ სახეებად:

- სესხი მოვალის ქვეყნის ვალუტით;
- სესხი კრედიტორის ქვეყნის ვალუტით;
- მესამე ქვეყნის ვალუტით;
- სესხი საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულით, რომელიც ემყარება სავალუტო „კალათას“ (შ ღ, ჩ და სხვ.).

ვადების მიხედვით კრედიტი არის:

- მოკლევადიანი – ერთ წლამდე ვადით;
- ზემოკლევადიანი – სამ თვემდე ვადით;
- ერთდღიანი;
- ერთკვირიანი;

საშუალოვადიანი – ერთიდან ხუთ წლამდე ვადით;
გრძელვადიანი – ხუთ წლამდე მეტი ხანგრძლივობით.
უზრუნველყოფის მიხედვით კრედიტი დაყოფილია შემდეგ სახეებად:
ა) სასაქონლო უზრუნველყოფით;
ბ) ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით;
გ) სათამასუქო უზრუნველყოფით;
ღ) უძრავი ქონებითა და სხვა ფასეულობით უზრუნველყოფილი კრედიტები;
ე) ოქროს უზრუნველყოფით;
ვ) სასაქონლო დოკუმენტების უზრუნველყოფით.

- საბლანკო კრედიტები – კრედიტები, რომლებიც გაიცემა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის გარეშე. ასეთი სესხით ძირითადად სარგებლობენ ის კლიენტები, რომელთაც ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ ბანკთან და გააჩნიათ მაღალი გადახდისუნარიანობა. საბლანკო კრედიტი გაიცემა მოვალის

[1] ლ. ღუდუშაური. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თბილისი, 2002, გვ. 10-15.

ვალდებულების საფუძვთელზე, რომელიც ფორმდება სოლო თამასუქით (მსესხებლის ერთი ხელმოწერით).

- კონტოკორენტი – ერთიანი ანგარიში, რომელზეც აღინიშნება ბანკის ყველა ოპერაცია კლიენტებთან. კონტოკორენტი ეხსნება ყველაზე მსხვილ ფირმებს მიმდინარე საწარმოო საქმიანობის დასაკრედიტებლად დაკრედიტების ლიმიტი (ე.წ. საკრედიტო ხაზი) განისაზღვრება კლიენტის საკუთარი კაპიტალის მოცულობის, მისი საქმიანობის მასშტაბისა და ბანკთან ურთიერთბათა სტაბილურობის მიხედვით;
- ოვერდრაფტი – კონტოკორენტის განსაკუთრებული ფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი კლიენტს ნებას რთავს ჰქონდეს სადებეტო სალდო ანგარიშსწორების ანგარიშზე მცირე ხნის განმავლობაში. ოვერდრაფტის დროს დავალიანების დასაფარავად მიმართულია კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული მთელი თანხა, ამიტომ კრედიტის მოცულობა იცვლება ანგარიშზე საშუალებების შემოსვლასთან ერთად, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი სესხისაგან.

სესხის გაცემის ტექნიკის მიხედვით კრედიტი არის:

- ნაღდი კრედიტები – მოვალის ანგარიშზე ჩარიცხული სესხები;
- აქცეპტური კრედიტი;
- სადეპოზიტო სერთიფიკატი – საკრედიტო დაწესებულების წერილობითი მოწმობა ფულადი საშუალებების დეპონირებაზე, რომელიც ადასტურებს მეანაბრის უფლებას დეპოზიტისა და სარგებლის მიღებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. არსებობს ვადიანი და მოთხოვნამდე სერთიფიკატები;
- ობლიგაციური სესხი – ობლიგაციების გავრცელების გზით მიღებული კრედიტი;
- კონსორციული კრედიტი – სესხი, რომელიც გაიცემა კონსორციუმის ბანკ-წევრების რესურსების გაერთიანების ხარჯზე, რითაც იზღუდება დანაკარგების რისკი თითოეული ბანკისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში;
- საექსპორტო კრედიტი – კრედიტი, რომელსაც ექსპორტიორი აძლევს უცხოურ საწარმოებსა და სახელმწიფოს კრედიტორ ქვეყანაში საქონლის შესაძენად. იგი ხელს უწყობს საქონლის ექსპორტს, გასაღების საგარეო ბაზრების ათვისებას, რაც თავის მხრივ, აჩქარებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტემპებს;
- აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი – წარმოადგენს მესამე ქვეყნის ბანკის მიერ ექსპორტიორის თამასუქის აქცეპტისა და იმპორტიორის მიერ ბანკი-აქცეპტანტისათვის თამასუქის თანხის გადაგზავნის რამბურსის შეხამებას;
- ბროკერის კრედიტი – საბანკო და საფირმო კრედიტებს შორის შუალედური ფორმა. მას კავშირი აქვს სასაქონლო გარიგებებთან და ამავე დროს შეიცავს საბანკო კრედიტის ელემენტებსაც, ვინაიდან ბროკერები, ჩვეულებრივ, თანხებს კომერციული ბანკებიდან სესხულობენ, ბროკერის საკომისიო გასამრჯელო შეადგენს გარიგების თანხის 1/50-1/32. ბროკერის კრედიტის როლი თანამედროვე პირობებში საგრძნობლად შესუსტდა.
- კრედიტი მყიდველებს – ექსპორტის დაკრედიტების ფორმა, რომელიც ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ შემთხვევაშგი ბანკი აკრედიტებს არა ეროვნულ ექსპორტიორს, არამედ მყიდველს, ე.ი. ქვეყანა იმპორტიორის ბანკებსა და ფირმებს. როგორც წესი,მისი ვადაა 5-7 წელი, ზოგიერთ შემთხვევაში გაიცემა უფრო ხანგრძლივი ვადითაც.
- კრედიტი საკომპენსაციო გარიგებებზე – თანატოლი ღირებულების, მაგრამ განსხვავებული სახის საქონელთა ურთიერთმიწოდება ხნგრძლივი (8-15წ) ვადით. ერთი ქვეყანა სესხად აძლევს მეორეს მანქანებს, მოწყობილობას და ა.შ. ახალი საწარმოების ასაშენებლად ან მათი რეკონსტრუქციისათვის. სამაგიეროდ ქვეყანა-მსესხებელი კრედიტორს აწვდის აშენებულ ან მშენებარე საწარმოების იმავე ღირებულების საქონელს, რითაც ფარავს კრედიტს;
- ლიზინგი (ინგლ. ლეასე- იჯარა, რაიმეს იჯარით გაცემა) – მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების გრძელვადიანი იჯარით გაცემა (3-20 წლამდე და მეტი ხანგრძლივობით);
- ფაქტორინგი (ინგლ. ფაცტორ – აგენტი, შუამავალი) – ბანკის მიერ საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან ანგარიშფაქტურათა (საგადასახადო მოთხოვნათა) შეძენა, მათზე რისკის აღება და ინკასაცია;
- ფორფეტირება (ფრანგ. ფორფაიტ – მთლიანად, მთლიანი თანხით) ბანკისათვის დავალიანების მოთხოვნის უფლების გადაცემა (დათმობა) ბანკის მიერ შესაბამისი თანხის დაუყოვნებლივი გადახდის სანაცვლოდ. ფორფეტირების დროს ბანკის იძენს თამასუქს ან სხვა სავალო ვალდებულებებს მთლიანი თანხითა და სრული ვადით, რითაც თავის თავზე იღებს ყველა კომერციულ რისკს და ვალდებულებათა უკან დაბრუნების – რეგრესის უფლების გარეშე;

- სახელმწიფოთაშორისი გრძელვადიანი კრედიტი – ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიერ სხვა სახელმწიფოს მთავრობისათვის გაცემული გრძელვადიანი (10-15 და მეტი წლით) სესხი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე;
- შერეული კრედიტები – ექსპორტის და დაკრედიტების ჩვეულებრივი ფორმების შეხამება „დახმარებასთან“ (მთავრობის მიერ გაცემული სუბსიდიები, საჩუქრები, შეღავათიანი კრედიტები, ტექნიკური დახმარება და სხვა.);
- „სტენდ-ბაი“ (ინგლ. სტანდ-ბყ- სარეზერვო) – ბანკი იღებს ვალდებულებას მსესხებელს მისცეს წინასწარ დადგენილი თანხა მთელი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც დაყოფილია ხანმოკლე პერიოდებად (3, 6, 9, 12 თვე) თითოეული მათგანისათვის დგინდება სარგებლის მცოცავი განაკვეთი საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. ეს ბანკს საშუალებას აძლევს მოკლევადიანი რესურსების გამოყენებით გასცეს საშუალო და გრძელვადიანი კრედიტი;
- როლოვერ კრედიტი – განახლებადი საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის სახესხვაობა, რომელიც გაიცემა მცოცავი საპროცენტო განაკვეთით სასესხო კაპიტალების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- საერთაშორისო კონსორციული კრედიტები – რომელშიც მონაწილეობს ორიდან 40 სხვადასხვა ქვეყნის ბანკი.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საბანკო გადარიცხვა საგადასახადო დავალებით, რომლის საფუძველზე ერთი ბანკი ავალებს მეორე ბანკს – ბანკ კორესპონდენტს[1] გადასცეს გარკვეული თანხა მიმღებს დავალებაში მითითებული ვალუტით.

საბანკო გადარიცხვა წარმოადგენს საანგარიშსწორებო საბანკო ოპერაციას, რომელსაც ახორციელებენ ტელეგრაფით ან სხვა ელექტროგადამცემი საშუალებებით და ასევე ფოსტით გადამხდელის ბანკი, რომლის დავალებით მეორე ბანკ-კორესპონდენტი მიმღებ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე გასცემს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ მითითებულ თანხას.

საგადასახადო დავალების ოპერატიულად გადაცემის, (რაც საგრძნობლად გაადვილდა საეროთაშორისო ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებით) და ასევე მონაცემების ელექტრონული დამუშავების მიზნით 1973 წელს მსოფლიოს 15 წამყვანი ქვეყნის 239 ბანკმა დააწესა საზოგადოება „შჭI თ“-იI, რომლითაც დღეისათვის სარგებლობს ათასზე მეტი ბანკი. ამ სისტემის ამოქმედებამ ტელეკომუნიკაციების მეშვეობით დააჩქარა უდოკუმენტო ბანკთაშორისი კავშირები და საგადასახადო ბრუნვა, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საგადასახადო რისკი.

ამასთან ერთად საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების სრულყოფის მიზნით შემუშავებულია სპეციალური საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც სისტემატიზაციას და ერთგვაროვან მოთხოვნებს უყენებენ ნაციონალური ბანკების მიერ გამოყენებულ საბანკო ოპერაციების დოკუმენტებს.

საზღვარგარეთის ბანკ-კორესპონდენტებმა, რომ განახორციელონ საგადასახადო დავალების აღსრულება საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

- ბანკში მომსახურე პირების არსებობა, რომელთაც უფლება აქვთ ხელი მოაწერონ ბანკის დოკუმენტებს;
- ტელეგრაფიული შიფრების დადგენა[1],
- განსაკუთრებულ ჩამონათვალში საკომისიო გადასახადებისა მოსაკრებლების პირობების დადგენა;
- ფონდების არსებობა, რომელშიც გაგებულია კრედიტული ლიმიტების ურთიერთგადაცემა და რომელიც დამოკიდებულია ბანკის გადახდის უნარიანობაზე.

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება საბანკო საგადასახადო დავალებებით თავის დადებით მხარეებთან ერთად ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, რაც დაკავშირებულია ექსპორტიორისა და იმპორტიორის გარკვეულ რისკთან ანუ გამყიდველისა და მყიდველის მიერ გარანტირებული არ არის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების სრული და დროული შესრულების უზრუნველყოფა, რის შედეგად ანგარიშსწორების ეს ფორმა საერთაშორისო პრაქტიკაში შედარებით ნაკლებად გამოიყენება.

---

[1] ბანკ-კორესპოდენტია ის საზღვარგარეთული ბანკი, რომელიც მუდმივ ფინანსურ კავშირში იმყოფება მოცემულ ბანკთან.

[1] საგადასახადო დავალებების დროულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბანკები ერთმანეთს უთანხმდებიან განსაკუთრებული შიფრების (უნიფიცირებული ფორმულა) გამოყენებაზე.

საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოიყენება ასევე ანგარიშსწორების საინკასო ფორმა, რომელიც რეგულირდება 1995 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული საერთაშორისო წესებით, რომლითაც დადგენილია ინკასოს სახე, ანგარიშსწორებისათვის დოკუმენტების წარდგენის ფორმა და წესი, ანგარიშსწორების განხორციელება, აქცეპტი, გადარიცხვის შესრულების შეტყობინების წესი, უარი გადარიცხვაზე, მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

საინკასო დოკუმენტები შეიძლება იყოს ფინანსური და კომერციული. ფინანსური დოკუმენტებია:

- გადარიცხვადი ვექსილი;
- უბრალო ვექსილი;
- ჩეკი ან სხვა მსგავსი დოკუმენტი,რომელიც გამოიყენება თანხის მისაღებად.

კომერციული დოკუმენტებია:

- ანგარიშები;
- სატრანსპორტო დოკუმენტები;
- საქონლის განმკარგავი და სხვა ნებისმიტერი დოკუმენტი, რომელიც არ არის ფინანსური.

იმის მიხედვით, თუ რომელი სახის დოკუმენტები გამოიყენება, ინკასო იყოფა:

- სუფთა ინკასო – ანუ საფინანსო დოკუმენტების ინკასო. ამ შემთხვევაში თანხის მისაღებად გამოიყენება ვექსილი, ჩეკი და თანხის მიღების (ანგარიშსწორების) ხელწერილი.
- დოკუმენტური ინკასო, ანუ კომერციული დოკუმენტების ინკასო. ანგარიშსწორების ასეთი ფორმა დამატებით გარანტიებს აძლევს იმპორტიორს, რომ მის მიერ შეძენილი საქონელი დროულად იყოს გადატვირთული და ის ანგარიშსწორებას ახდენს მიღებული საქონლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ბანკი ასრულებს შუამავლის როლს მხარეებთს შორის ანგარიშსწორების წარმოებისას. ეს ფორმა გარანტიას აძლევს ექსპორტიორს და ის კონტროლს ახორციელებს თავის საქონელზე სანამ მასზე არ განხორციელდება ანგარიშსწორება.
- საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ გარიგებებში ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აკრედიტივი, რომელიც არის აკრედიტივის გამხსნელი ბანკის ვალდებულება კლიენტის ანუ აკრედიტივის დავალების მიმღების თხოვნითა და განკარგულებით მითითებული დოკუმენტების საფუძველზე გადაუხადოს მესამე პირს ანუ რემიტენტს ფულადი თანხა იმპორტიორისა და ექსპორტიორს შორის მიღწეული შეთანხმების პირობებით. (იხ. დანართი №)

აკრედიტივის ძირითადი სახეობებია:

- ფულადი – სახელობითი დოკუმენტი, გაცემული ბანკის მიერ პირისათვის, რომელმაც ბანკში შეიტანა გარკვეული თანხა და სურვილი აქვს მიიღოს იგი მოცემული ქვეყნის სხვა ქალაქში ან საზღვარგარეთ;
- დოკუმენტური (სასაქონლო) – გამოიყენება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის საქონლის ბითუმად შესყიდვის დროს. მყიდველი აკრედიტივს ხსნის გამყიდველის ბანკში და აძლევს მას დავალებას გაანაღდოს ანგარიშები საქონლის გადაზიდვის შემდეგ გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში. აკრედიტივი შეიძლება განაღდდეს იმ ბანკში, სადაც გახსნილია აკრედიტივი, ტრატა და სხვა თანმხლები სასაქონლო დოკუმენტები (ანგარიშ-ფაქტურა, კონოსამენტი, სადაზღვევო პოლისი და ა.შ.).
- გამოთხოვითი – აკრედიტივი, რომლის პირობების შეცვლა ან ანულირება შესაძლებელია ბანკი-ემიტენტის მიერ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ეს ფორმა შედარებით იშვიათად გამოიყენება.
- გამოუთხოვარი – აკრედიტივი, რომლის ანულირება არ ხდება და ბანკი იღებს ვალდებულებას აკრედიტივის განაღდებაზე მისი ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში.
- დაფარული – (დეპონირებული) – ბანკი-ემიტენტის მიერ გადამხდელის საკუთარი სახსრების ან მისთვის გაცემული კრედიტის ბანკი-მიმწოდებლისათვის (შემსრულებელი ბანკისათვის) გადარიცხვა.
- დაუფარავი (გარანტირებული) – იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც კლიენტების მომსახურე ბანკებს ერთმანეთთან საკორესპონდენტო ანგარიშები აქვთ გახსნილი. ასეთ შემთხვევაში აკრედიტივი იხსნება შემსრულებელ ბანკში და მას ბანკი-ემიტენტის ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის უფლება ეძლევა.
- რევოლვერული – პერიოდულად განახლებადი (აღდგენადი) აკრედიტივი. მისი აღდგენა ხდება ავტომატურად, აკრედიტივის ვადის გასვლის შესაბამისად.

ჩეკებით ანგარიშსწორება წარმოადგენს ჩეკის გამცემის დავალებას ბანკისადმი მისი ანგარიშიდან მითითებული თანხის გადარიცხვის, ჩეკის წარმოდგენის ანგარიშზე. ჟენევის 1931 წლის კონვენციამ დაამტკიცა „ჩეკებზე ერთგვაროვანი კანონი“ რომელმაც დაადგინა ჩეკის ფორმა, წარდგენის პირობები, ანგარიშსწორების განხორციელების, გაუქმებისა და სხვა საკითხები.

ბოლო პერიოდში ელექტრონული ტექნიკის განვითარებამ ანგარიშსწორების ფართოდ გავრცელებულ ფორმად ჩამოაყალიბა პლასტიკური ბარათებით ანუ „პლასტიკური ფულით“ ანგარიშსწორების სისტემა. პლასტიკურ ბარათზე ამოტვიფრულია კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები ან შესრულებია მიკროსქემით, რომელთა საშუალებით მფლობელს გააჩნია სპეციალური საბანკო საბარათე ანგარიშის გამოყენების უფლება.

საგარეო ვაჭრობაში ანგარიშსწორების დროს გამოიყენება ასევე ავანსის ფორმა ღია ანგარიშის დახმარებით. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია 15-30% ავანსის გადახდა საქონლის გადატვირთამდე, რაც ფაქტიურად ნიშნავს ექსპორტის დაფინანსებას. ანგარიშსწორების საავანსო ფორმა დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ანგარიშსწორება სხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ყოველთვის არის დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის არსის დადგენასთან, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ექსპორტ-იმპორტის გაფართოებით სახელმწიფოების მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა. 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას და დაფუძნდა მსოფლიო სავალუტო ფონდი, რომლის ეგიდით შეიქმნა ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემა და შემუშავდა კეთილსინდისიერი სავალუტო ქცევის კოდექსი, ასევე სუვერენული სახელმწიფოების სავალუტო შეზღუდვის მოთხოვნები.

ამ ახალი სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავალუტო ანგარიშსწორების დარეგულირების მნიშვნელოვან პრობლემას. სახელმწიფოების მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები ამ საკითხებზე ფაქტიურად გახდა მეორეხარისხოვანი, რადგან მიღებული იქნა კომპლექსური მრავალმხრივი ქცევის წესები. ყოველივე ამან ფაქტიურად აღმოფხვრა საერთაშორისო სავალუტო დისკრიმინაცია. ძირითადი სამრეწველო და სავაჭრო სახელმწიფოებისა და მათ შორის იაპონიის ვალუტა 1961 წლიდან გახდა ოფიციალურად კონვერტირებადი და თავისუფლად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სავალუტო გაცვლისას.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი სავალუტო სისტემის მთავარი მიზანი იყო ვალუტის გაცვლის კურსის მოწესრიგება სახელმწიფოებს შორის. შეთანხმების თანახმად მსოფლიო სავალუტო ფონდის კონტროლი ხორციელდებოდა ეროვნული ვალუტის (თანაფარდობის) ოქროს გარკვეულ რაოდენობაში გამოსახვის შეცვლა[1] ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებული იყო გაეცხადებინათ თავიანთი ეროვნული ვალუტის პრიორიტეტი ოქროში გამოსახვით და შეენარჩუნებინა მისი სტაბილურობა. გადახრა გამოცხადებული ოფიციალური პრიორიტეტიდან დასაშვები იყო 1-4.5%-მდე.

შემდგომ წლებში საგადასახადო ბალანსის უარყოფითი სალდოს – დეფიციტის შეღეგად სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ შეეჩერებინათ ეროვნული ვალუტის ოქროთი კონვერტირება და 1976 წელს ქ. კინგსტონში (იამაიკა) გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად ვალუტის კურსი განისაზღვრა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კინგსტონის შეთანხმების თანახმად წევრი ქვეყნებისაგან ყოველწლიურად იღებს ინფორმაციას სავალუტო კურსის დადგენის წესის შესახებ და ქვეყნებს ანიჭებს სხვადასხვა კატეგორიებს, რომელიც იყოფა 3 ჯგუფად:

- ქვეყნები, რომელთა ვალუტის კურსები მიბმულია ერთ ან რამდენიმე ვალუტასთან;
- ქვეყნები, რომელთა ვალუტების კურსები ერთ ან რამდენიმე ვალუტასთან შედარებით გარკვეული შეზღუდული მოქნილობით ხასიათდებიან;
- ქვეყნები, რომელთა ვალუტის კურსები არის თავისთავად მცურავი.

დღეისათვის საქართველოში სავალუტო კურსი დგინდება ყოველდღიურად, ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის საფუძველზე მისი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

საკონტროლო კითხვები:

1. საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების ცნება და მნიშვნელობა;

[1] პრიორიტეტი (თანაფარდობა) არის სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის ოქროს გარკვეულ რაოდენობაში გამოსახვა, რომელსაც ეწოდა „ოქროს სტანდარტი“. შემოღებულ იქნა პირველად 1821 წელს ბრიტანეთის იმპერიის მიერ, რომელმაც 1 ფუნტი სტერლინგი შეუსაბამა 7.322385 გრამ ოქროს. შემდეგ „ოქროს სტანდარტი“ დადგინდა აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში და რუსეთში.

2. საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმები;
3. საგარეო ვაჭრობაში დამკვიდრებული ანგარიშსწორების ფორმები და სახეები;
4. საბანკო გადარიცხვის, ანგარიშსწორების საინკასო ფორმის, აკრედიტივის, ავანსის, „პლასტიკური ფულის“ ცნება, ფორმები და სახეები.

თემა 8

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება

„სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ.“
მათეს სახარება
„წესრიგი ბევრის შეკავშირებაა ერთი წესის მიხედვით.“
კანტი
„ბეჯითობა ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს.“
ლეონარდო და ვინჩი

წინამდებარე თავში განსაზღვრულია კონკურენციის განვითარების როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასაბუთებულია მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის, სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა. დასაბუთებულია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნის ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები.

წარმოდგენილია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გენეზისი საქართველოში და ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროებში სახელმწიფოს ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კანონმდებლობათა აღსრულებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მოკლე დახასიათება.[1]

8.1. მონოპოლიური მდგომარეობის ცნება

საბაზრო ურთიერობათა რეგულირება, რომლის ფორმირებაც ხდება დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება როგორც სტიქიურად, ისე მიზანმიმართულად. სტიქიური რეგულირება (ანუ თვითრეგულირება) ეფუძნება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, პირველ რიგში კი მოთხოვნა-მიწოდების კანონს. აღიარებულია, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით ამ კანონების ზემოქმედებას ყოველთვის არ მოყვება სასურველი დადებითი ეფექტი. ამიტომ საბაზრო სისტემის ნეგატიურ გამოვლინებათა შემცირების მიზნით აუცილებელია თვითრეგულირების კორექტირება და მისი მიზანმიმართული ზემოქმედების ზომებით შევსება. ასეთი ზეგავლენა ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სამართლებრივი ანტიმონოპოლიური რეგულირება. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კონკურენციის სტიმულირება, ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა მხრიდან კონკურენტული ბრძოლის მექანიზმის ხელმყოფი სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილება და აღკვეთა. მიზეზს, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური რეგულირების ზომების რეალიზებას, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა კონკურენტული საფუძვლების მხარდაჭერის აუცილებლობისადმი საჯარო ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ აგენტთა შორის არსებული კონკურენცია ობიექტურად ქმნის მონოპოლიის განვითარების წინაპირობებს. ამგვარი პარადოქსალური ურთიერთკავშირი შემჩნეულია ჯერ კიდევ ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მონოპოლიის ნიშნებით ტრესტების უმრავლესობა იქმნებოდა დამოუკიდებელ საწარმოთა შეერთების გზით. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ არამარტო ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერ კონკურენციას, არამედ აღკვეთოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია მონოპოლიზირებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაში გამოიხატება მონოპოლიის ნეგატიური თვისებები და რა ზომები უნდა იქნეს გატარებული, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია.

ბაზარი, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი, იწოდება მონოპოლიად. მონოპოლიური ძალაუფლება ასეთ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს წარმოება და პროდუქციის

[1] მ. გოგიაშვილი- ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილისი 2003, გვ 173-185

გამოშვება, აამაღლოს ფასი და ამით მოახდინოს მოგების მაქსიმიზება. მონოპოლისტის ამგვარი მოქმედება განაპირობებს სიმდიდრის გადატანას მომხმარებლისაგან გამყიდველისაკენ, ამცირებს ამ უკანასკნელის მოტივაციას დანერგოს სიახლე წარმოებაში ან გაადიდოს მისი ეფექტიანობა. მონოპოლიური ბაზარი ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

- ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი;
- გამყიდველის პროდუქცია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს რაიმე სხვა მსგავსი საქონლით;

არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ასევე გაძნელებულია ამ ბაზრის დატოვება (გამოსვლა).

ამ პირობების ცოდნა მნიშვნელოვანია გამყიდველის მონოპოლიური ქცევის ალბათობის პროგნოზირებისას. თუმცა თავისთავად ისინი არ განსაზღვრავენ /არ ადასტურებენ/ იმას, რომ აუცილებელად ექნება ადგილი მონოპოლიურ ქცევას შესაბამისი შედეგებით.

თუ მონოპოლისტი არ იყენებს ფასობრივი დისკრიმინაციის მეთოდს, რაც თავის მხრივ აკრძალულია უმრავლესი ქვეყნების ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, მაშინ პროდუქციის რაოდენობის გადიდებისას, იგი იძულებული იქნება შედარებით დაბალი ფასი დააწესოს არა მხოლოდ დამატებით გამოშვებულ პროდუქციაზე, არამედ გასაყიდი საქონლის მთლიან რაოდენობაზე. ანუ მონოპოლისტს დამატებითი გაყიდვა შეუძლია განახორციელოს ფასების შემცირებით მთელ გამოშვებულ პროდუქციაზე.

მონოპოლისტი დგება არჩევანის წინაშე: ან გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, ანდა გამოუშვას საქონლის შედარებით ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად. ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა განსაზღვრავს მის გადაწყვეტილებასაც. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის შედეგების საპირისპიროდ, როგორც წესი, მოგების მაქსიმიზებას ახდენს პროდუქციის რაოდენობის შეზღუდვის და ფასების ზღვრულ დანახარჯებზე ზემოთ დადგენის საშუალებით. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზება ფასების ზრდის საშუალებით არაეფექტურია, რადგან მომხმარებელი შეიძენს პროდუქციის შედარებით ნაკლებ რაოდენობას და შედეგად ჯამური მოგება შემცირდება. მეორეს მხრივ, მონოპოლისტი საქონლის გამოშვებას ადიდებს მხოლოდ იმ დონემდე, სანამ ხდება მისი მოგების ზრდა.

ეკონომიკურ თეორიაში ამ დებულებას მივყავართ ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე. როგორი ძალაც არ უნდა გააჩნდეს მონოპოლისტს ბაზარზე, მისი შესაძლებლობები ფასების გაზრდის თვალსაზრისით შეზღუდულია რეალური მოთხოვნის სიდიდით; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონოპოლიას არ შეუძლია დააწესოს იმაზე მაღალი ფასი, ვიდრე ამ საქონელზე შეუძლია გადაიხადოს მომხმარებელმა. ამდენად, თვით ტოტალურ მონოპოლიურ ძალაუფლებასაც კი არ შეუძლია დიდხანს იარსებოს, რადგან გრძელვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის გამოჩნდება ამ საქონლის რაიმე ეფექტური შემცვლელი და მომხმარებელი გადაერთვება მის მოხმარებაზე. ამგვარად, ეკონომიკურ თეორიაში ხაზგასმულია, რომ მონოპოლიური ძალაუფლება აბსოლუტურს არ წარმოადგენს და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მისი დონისა და ხარისხის შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეისათვის რეალური ბაზრები იმყოფებიან ორ უკიდურესობას, ანუ სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას შორის. ეკონომიკურსა და იურიდიულ ლიტერატურაში "მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა" გამოიყენება ფირმის, გაერთიანების ან ორგანიზაციის ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობის მიმართ, კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე /დათრგუნოს კონკურენცია, არეგულიროს მიწოდებათა მოცულობა და პირობები, განსაზღვროს ფიქსირებული ფასები, რითაც ზიანს აყენებს მომხმარებელს ან გაართულოს ამ ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შეღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ აგენტს მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა უკავია, თუ მას ამ საქონლის ბაზარზე შეუძლია იმოქმედოს, ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად, ანუ თუ მას გააჩნია "ძალაუფლება" ბაზარზე.

მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებია მნიშვნელოვანი საბაზრო წილი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები და მოწინააღმდეგეთა შესაძლო რეაქცია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა, ანდა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა არ განიხილება და არც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეტნაკლებად ამბიციური ეკონომიკური აგენტის ბუნებრივი სწრაფვა წარმოების მასშტაბების ზრდისა და მოგების მაქსიმიზებისაკენ, წარმატების შემთხვევაში იწვევს მათ მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას ბაზარზე. მით უმეტეს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც უმრავლეს კაპიტალ-

ტევად სამრეწველო ხასიათის დარგებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკურენციის ჯეროვანი განვითარება.

როგორც ევროპული, ისე ამერიკული კანონმდებლობით მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა თავისთავად არ ითვლება უკანონოდ. სამართლებრივი ზემოქმედების საგანია მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენება, კერძოდ:

- მონოპოლიურად მაღალი ან მონოპოლიურად დაბალი ფასების დაწესება, კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის განაწილების გზით;
- ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის შეზღუდვა სხვადასხვა ბარიერის გამოყენებით და სხვ.

საქართველოში, ისევე როგორც უმრავლეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კატეგორიულად იკრძალება ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური საქმიანობა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს კანონის "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" შესაბამისად ისეთი საქმიანობაა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშენაცვლებადი /კონკურენტული/ საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია. შევნიშნავთ, რომ მონოპოლიური საქმიანობის სახეები ჩამოთვლილია ზემოთ აღნიშნული კანონის მე-10 და მე-13 მუხლებში. სხვაგვარად, მონოპოლიურ საქმიანობად ითვლება ეკონომიკური აგენტის (მეურნე სუბიექტის), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საწინააღმდეგო ისეთი ქმედება (უმოქმედობა), რომელიც იწვევს (შეუძლია გამოიწვიოს) კონკურენციის აღკვეთა ან შეზღუდვა.

რადგან მონოპოლიური საქმიანობის პოტენციური შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ისინი ანტიმონოპოლიური ორგანოების განსაკუთრებული ინტერესის სფეროში იმყოფებიან და მათი საქმიანობა მუდმივი მონიტორინგის საგანს წარმოადგენს, რათა არ მოხდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ განხორციელდეს მონოპოლიური საქმიანობა კონკურენციის აღკვეთის ან შეზღუდვის ხარჯზე.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ისეთი ბაზარი, სადაც არ არსებობს კონკურენცია და არც შეიძლება არსებობდეს. ესენია ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიები, ანუ "სასაქონლო ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე /წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით/ უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე , სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებებზე." არაკონკურენტულ სფეროებში მომხმარებელთა უფლებებისა და სხვა კონკურენტული დარგების ეკონომიკურ აგენტთა უფლებების დაცვის მიზნით ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტები იმყოფებიან დარგობრივი ეროვნული მარეგულირებელი კომისიებისა და ანტიმონოპოლიური სამსახურის მუდმივი ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ, რომლებიც ახორციელებენ უპირველეს ყოვლისა კოორდინირებულ სატარიფო პოლიტიკას.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ძირითადი მაჩვენებლები ახასიათებს მონოპოლიურ ბაზარს?
2. რატომ დგება მონოპოლიტსი არჩევანის წინაშე - გააღიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, თუ გამოუშვას საქონლის ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად?
3. რას ნიშნავს ეკონომიკური აგნტის მონოპოლიური/დომინირებული/ მდგომარეობა და რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ მას?
4. როგორ განისაზღვრება მონოპოლიური საქმიანობა და რატომ იკრძალება იგი კატეგორიულად, ხოლო მონოპოლიური მდგომარეობა კი - არა?

8.2. კონკურენტული გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა

ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების ჯეროვანი დაცვისათვის აუცილებელია სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება და შემდგომი სრულყოფა საბაზრო რეფორმების შესაბამისად.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში, სადაც 1890 წელს მიიღეს პირველი ანტიმონოპოლიური აქტი ფედერალურ დონეზე შერმანის აქტის სახით (მანამდე უკვე არსებობდა ანტიმონოპოლიური აქტები ზოგიერთი შტატის დონეზე). მისი შექმნა მოამზადა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. ეკონომიკური თვალსაზრისით ანტიმონოპოლიური /აშშ-ში

– ანტიტრესტული, ხოლო ევროპაში –კონკურენტული/ კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ – თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლიით შეცვლამ. მონოპოლიური გაერთიანებების – ტრესტების შექმნისა და საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა მათი დამანგრეველი ზემოქმედება როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოების პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კანონი აშშ-ის კონგრესმა მიიღო ამერიკული საზოგადოებრიობის და უპირველეს ყოვლისა ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ძლიერი დაწოლის შედეგად, რომელთაც გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში კომპანიათა მცირე ჯგუფის ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის გაძლიერების მიმართ, რაშიც ხედავდნენ საფრთხეს მეწარმეობისა და საერთოდ დემოკრატიისათვის.

კანონმდებლობის წარმოშობის მეორე ძირითადი მიზეზი აიხსნება ზოგადი სამოქალაქო სამართლის გარკვეული შეზღუდულობით და იმ ფაქტით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები აშკარად არაადექვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენტული სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე.

განვლილი 113 წლის განმავლობაში თვით აშშ-ში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ხარისხობრივად შეიცვალა, იგი უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახდა და შეიძინა სისტემური ხასიათი. უმრავლეს ქვეყნებში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსს, რომელიც მიღებულია ანტიმონოპოლიური (კონკურენტული) პოლიტიკის გატარების მიზნით. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არის ურთიერთდაკავშირებული ზომების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მონოპოლიზმის შეზღუდვის, კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა დაცვის მიზნით.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მოიცავს მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების სამ ძირითად ზომას /პროცედურას/: შემზღუდავს, გამაფრთხილებელს და აღმკვეთს. იგი, ძირითადად, ხორციელდება სამი მიმართულებით:

- ანტიკონკურენტული შეთანხმებები;
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია.

აშშ-ის შემდეგ სხვადასხვა დროს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მიღებულ იქნა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. იაპონიაში ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ინიციატივით შემუშავებული კანონი კერძო მონოპოლიების აკრძალვის შესახებ მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ 1947 წელს. მისი მიღება იაპონური "ეკონომიკური სასწაულის" მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის უმრავლეს ქვეყნებს აქვთ თავიანთი ანტიმონოპოლიური წესები: დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში ისინი გაერთიანებულია ცნებაში "კონკურენტული სამართალი", აშშ-ში გამოიყენება ანტიტრესტული, ხოლო საქართველოსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში – ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ეროვნული მოდელები განსხვავდებიან არა მარტო ტერმინოლოგიით, არამედ თავისი მიმართულებით, შინაარსით, პროცესუალური და სხვა ასპექტებით.

ჩვეულებრივ, ანსხვავებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. პირველი მათგანი /მისი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა აშშ-ის ანტიტრესტული კანონმდებლობა/ გამოდის რა ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ, თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავებამდე) მკაცრ კონტროლს აწესებს ამ პროცესზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე დარგში ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ/. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ასევე ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

აღიარებულია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზებისას ჩამოყალიბდა პროცედურების ორი ჯგუფი – ადმინისტრაციული და სასამართლოს მეშვეობით. ადმინისტრაციული პროცედურების ჩარჩოებში, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოქმნილ დავებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომპეტენტური ორგანო, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასა-

ჩივრდეს სასამართლოში, ხოლო ისეთ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი), სადაც უპირატესპბა ენიჭება სასამართლო პროცედურებს, გადაწყვეტილებებს იღებენ სასამართლოები. ადმინისტრაციული ორგანოები იხილავენ საჩივრებს, დამრღვევ მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოსთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღძრავენ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განახორციელონ მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განვითარება მიდის დაახლოებისა და უნიფიცირების გზით როგორც ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, ასევე განსხვავებათა წაშლის გზით საკუთრივ ამ ორ მოდელს შორის.

ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დგება ანტიმონოპოლიური წესების, კონკურენტული პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში; კერძოდ, 1957 წლის რომის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის ერთიანი ანტიმონოპოლიური წესები, შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციული საფუძვლები მათი რეალიზებისათვის. საერთო ევროპულ დონეზე კონკურენციის წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ევროპულ გაერთიანებათა კომისიას, კერძოდ, მის ერთ-ერთ ქვედანაყოფს (დირექტორატე გენერალ-IV ოფეც), რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანების წევრი ქვეყნების ანტიმონოპოლიურ ორგანოებთან. გარდა ამისა, იგი მეთოდურ და საკონულტაციო დახმარებას უწევს ყველა სხვა ქვეყნის შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსაც.

საქართველოში ანტიმონოპოლიურ რეგულირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას პრაქტიკულად სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ "მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" დეკრეტის მიღებით.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ"[1], რომელიც კონკურენტული პოლიტიკის სფეროში ძირითად საკანონმდებლო აქტს /სხვაგვარად ჩარჩო კანონს/ წარმოადგენდა და რომლის მიზნად განსაზღვრული იყო სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ცნობილია, რომ კონკურეციის განვითარება და დაცვა, მასზე ზრუნვა უპირველეს ყოვლისა ემსახურება მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და მათი ინტერესების წინა პლანზე დაყენებას. ეს დაფიქსირებულია 2005 წლის 3 ივნისის კანონში "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესხებ".

აღნიშნული კანონი ვრცელდება:

- იმ ურთიერთობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული ან/და ფიზიკური პირები ან/და სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა ან/და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) კონკურენტულ გარემოზე და თავისუფალ ვაჭრობაზე.

ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება:

- დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას;
- აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა;
- საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

[1] ძალადაკარგულია საქართველოს 2005 წლის 6 მარტის № 1550 კანონით

- მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ბღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა.

იმავდროულად, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს მეტად ფართო და სოციალური თვალსაზრისით უაღრესად საპასუხისმგებლო სფეროს, 1996 წელს მიღებულია ცალკე კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ საფუძვლებს. ეს კანონი და მის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტები განსაზღვრავენ მომხმარებელთა უფლებებს და მათი დაცვის წესებს საქონლის გაყიდვისას, სამუშაოთა შესრულებისას და მომსახურების გაწევისას. კანონის შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კანონის თანახმად, საქართველოს ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს:

- საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო, და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი;
- პროდუქციის უსაფრთხოება;
- სათანადო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე; არასათანადო ხარისხის მქონე და ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრელობისათვის, აგრეთვე მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოსა და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ;
- მომხმარებელთა კავშირებში და საზოგადობებში გაერთიანება.

გამყიდველი (დამამზადებელი, შემსრულებელი) ვალდებულია მიჰყიდოს მომხმარებელს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების, ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე პროდუქციის შესახებ გამყიდველის (დამამზადებლის, შემსრულებლის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისი ხარისხის პროდუქცია. დამამზადებელი (შემსრულებელი) ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მის მიერ დადგენილ, ან მომხმარებელთან შეთანხმებულ ვადაში.

სტანდარტით განისაზღვრება სავალდებულო მოთხოვნები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს უსაფრთხოება, აგრეთვე მომხმარებლის ქონებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებელი პირობები. პროდუქციის ცალკეული ჯგუფების მიხედვით მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით. პროდუქციის უსაფრთხოებისადმი სავალდებულო მოთხოვნების შემცველი სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში პროდუქციის იმ სახეობათა მიმართ, რომელთა გამოყენებამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს გარემოს, მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, აგრეთვე მის ქონებას, სახელმწიფო მმართველობის შეაბამისი ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ასეთი სტანდარტების დაუყოვნებლივ შემუშავება და ამოქმედება, აუცილებლობის შემთხვევაში კი შეაჩერონ პროდუქციის რეალიზაცია.

პროდუქციაზე, რომლის გამოყენებაც გარკვეული ვადის გავლის შემდეგ საფრთხეს უქმნის მომხმარებელს ან საზიანოა მისი ქონებისათვის, უნდა დაწესდეს ვარგისიანობის ვადები. ამასთან,მომხმარებელი გაფრთხილებული უნდა იყოს ამ ვადების ამოწურვის შემდეგ აუცილებელ ღონისძიებაზე და მათი განუხორციელობლობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე. დამამზადებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება მისი ვარგისიანობის დადგენილი ვადის განმავლობაში. ამ მოთხოვნის დარღვევის შემდეგ მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად.

იკრძალება საქონლის (მათ შორის იმპორტულის) რეალიზება, სამუშაოთა შესრულება და მომსახურების გაწევა მითითიებული მოთხოვნების შესაბამისობის დამადსტურებელი სერთიფიკაციის გარეშე. საქართველოს ტერიტოსიაზე საქონლის შემოსატანად ნებართვის საფუძველია საბაჟო ორგანოებში წარდგენილი სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს ან ცნობს საქართველოს სათანადო რწმუნების მქონე ორგანო. პასუხისმგებლობა პროდუქციის უსაფრთხოების ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის,აგრეთვე სერთიფიკატის დასაბუთებული გაცემისათვის განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ დადგენილია, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების ან გამოყენების წესების დაცვის შემთხვევაში ისინი აყენებენ ან შეუძლიათ მიაყენონ ზიანი გარემოს,მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კუთვნილ ქონებას, დამამზადებელი (შემსრულებელი,გამყიდველი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს მათი წარმოება (რეალიზება) მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, საჭიროების შემთხვევაში კი მიიღოს ზომები მათი

ხმარებიდან ამოღებისა და მომხმარებლისაგან გამოთხოვისათვის. თუ ზემოჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა შეუძლებელია, დამამზადებელი (შემსრულებლი) ვალდებულია შეწყვიტოს აღნიშნული პროდუქციის წარმოება.დამამზადებლის მხრიდან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პროდუქცია ხმარებიდან ამოიღება პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განკარგულების საფუძველზე. პროდუქციის მომხმარებლისაგან გამოთხოვასთან დაკავშირებულ ზარალს სრული მოცულობით ანაზღაურებს დამამზადებელი (შემსრულებელი).

საქონლის გაყიდვისას ან მომსახურების გაწევისას გამყიდველი (დამამზადებელი) ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნისამებრ მიაწოდოს ინფორმაცია რეალიზებად საქონელზე და მომსახურებაზე. ყალბი ინფორმაციის მიწოდებისათვის გამყიდველი (დამამზადებელი) პასუხს აგებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

დამამზადებელი ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია თავისი საწარმოს ადგილმდებარეობის ან სრული დასახელების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს საფირმო ნიშანში, ან წარედგინოს მომხმარებელს სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საშუალებებით. სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების საწრმოები ვალდებულნი არიან:

- ჰქონდეთ მათი საქმიანობის პროფილისა და ორგანიზაციის ფორმების,საფირმო სახელწოდების და მუშაობის რეჟიმზე ინფორმაციის შემცველი აბრა;
- მიაწოდონ მომხმარებელს ინფორმაცია პროდუქციის რეალიზების მათ მიერ გამოყენებული წესების შესახებ.

აღნიშნული წესები გამოიყენება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების განხორციელებისას დროებით სათავსოებში ბაზრობებზე, ჯიხურებში, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ვაჭრობა და მომსახურება ხდება სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების საწარმოს მუდმივი ადგილის გარეთ.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად განიხილება 1998 წლის კანონი "რეკლამის შესახებ", რომლის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება /რაც თავისთავად საერთოდ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს/, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას მიეკუთვნებიან სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსის, ასევე, ცალკეული კანონების ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კონკურენციის სფეროს.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, საქართველოში კონკურენტული გარემოს ფორმირება და დაცვა, სარეკლამო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მომხარებელთა უფლებების დაცვა ევალება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებულ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, რომელიც უფლებამოსილია:

- წარუდგინოს ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიწერილობა მის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე;
- მოსთხოვოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- წარდგენილ მიწერილობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;
- დააყენოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს აგენტს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე აგენტის მიერ ანალიზის განხორციელების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;
- მოსთხოვოს აგენტს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მიმართოს სასამართლოს აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციი სააგენტოს ჩამოყალიბებამდე კერძოდ 1992 წლის თებერვალში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვის მიზნით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მეწარმეობის მხარდაჭერის სამმართველო, რომელსაც დაეკისრა ქვეყნის ანტიმონოპოლიური ორგანოს ფუნქციები. შემდგომში ამ ორგანოს ფუნქციონალური დატვირთვის ზრდის შესაბამისად 1995 წელს იგი გადაკეთდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ, ხოლო უფრო მოგვიანებით 1996წ, ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად, რომელმაც იარსება 2005 წლამდე.

საკონტროლო კითხვები:

1. რა მიზეზებმა განაპირობა ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) კანონმდებლობის ფორმირება?
2. როგორ დაახასიათებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს და მათი შექმნის ისტორიას?
3. რა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა უდევს საქართველოში საფუძვლად ანტიმონოპოლიურ რეგულირებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას?

8.3. კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის განვითარებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები ბაზრის განაწილების, ფასების დაფიქსირების და სხვა მიმართულებით, რითაც ერთის მხრივ იზღუდება კონკურენცია და მეორეს მხრივ ზარალდება მომხმარებელი.

ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები შეიძლება ატარებდნენ ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხასიათს.

ბაზარზე შესაძლებელია ისეთი სიტუაციის არსებობა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ინარჩუნებენ თავიანთ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ათანხმებენ რა ერთმანეთთან თავიანთ მოქმედებას, მათი საბაზრო ქცევა ფაქტობრივად ემსგავსება ერთი ეკონომიკური აგენტის მოქმედებას. ცხადია, ან შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები იძენენ სერიოზულ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიკონკურენტული მიზნების მისაღწევად. ამგვარი სიტუაცია დაკავშირებულია ჰორიზონტალური შეზღუდვების, ანუ ჰორიზონტალური შეთანხმებების არსებობასთან.

ამგვარად, ჰორიზონტალური შეთანხმება წარმოადგენს ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების (გამყიდველების ან მყიდველების) შეთანხმებას, რომლის შედეგად იზღუდება ან შეიძლება შეიზღუდოს კონკურენცია. ჰორიზონტალური შეთანხმების გარკვეული სახეები, კერძოდ კარტელური შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთა მიზანია ფასების დაფიქსირება და ბაზრების განაწილება მომხმარებლის კატეგორიების ან ტერიტორიული ნიშნით, წარმოადგენს კონკურენციისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს და უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის აშშ-შიც ითვლება უპირობოდ კანონსაწინააღმდეგოდ (პერ სე ილლეგელ) და მათი გამოვლენის შემთხვევაში ისჯება კიდეც განხილვის გარეშე. თუმცა, არსებობს ჰორიზონტალური შეთანხმებების გარკვეული სახეობები, რომელთა გავლენის შეფასებაც კონკურენციაზე იხილება „გონივრულობის წესით“ (რულე ოფ რეასონ) მათი დადებითი და უარყოფითი ეფექტების შესაფასებლად.

არსებობს შეთანხმების მეორე სახეც, ე.წ. ვერტიკალური შეთანხმება. ვერტიკალური შეთანხმების მონაწილენი ჰორიზონტალურისგან განსხვავებით არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. ამ შეთანხმების მონაწილენი, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა სტადიაზე ფუნქციონირებადი ეკონომიკური აგენტები არიან. აქ შეიძლება, მაგალითად ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ ეკონომიკურ აგენტს პროდუქციას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. მაგრამ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (რომელიმეს ცალკე ან ერთად აღებულთ) უკავიათ მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება. შესაბამისად, მათი ქმედება ამ შემთხვევაში იკრძალება კანონმდებლობით და იგი ექცევა ანტომონოპოლიური ორგანოს ზედამხედველობისა და რეგულირების არეალში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად; ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და

აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვები, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაეღობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაჯეროვნად (ბოროტად) გამოყენებას და ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არაა ისე ცხადად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობისა, უკავშირდება კონკურენციის "ხარისხის" გაუარესებას და როგორც შედეგი ეფექტიანობის შემცირებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომლის დანიშნულებაა ურთიერთობათა დარეგულირება კონკურენციის სფეროში და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, ფაქტობრივად აიძულებს საქონელმწარმოებლებს რათა მომხმარებელთა მოთხოვნები დააკმაყოფილონ მაქსიმალურად დაბალი ფასებით (ზღვრული დანახარჯების დონეზე) რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიანი გამოყენების პირობებში. იგი მოწოდებულია კონკურენციის იდეალებთან რეალური სამეწარმეო პრაქტიკის და მართვის მეთოდების დაახლოებისთვის. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა "სტაჟი" გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენტულ კანონმდებლობათა რეალიზაცია.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდებისა და მათი გვერდის ავლისა.

ეკონომიკურ კონკურენციაში "არბიტრის" ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ "თამაშის წესებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენტული კანონმდებლობების და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ამდენად, ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა ძეიძლება იქნეს განხილული "არაკეთილსინდისიერი"-ს და როგორი "კეთილსინდისიერი"-ს რანგში. არაკე-

თილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დადგენილია სააგენტოს მოვალეობები, რომელსიც შედის:

- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული ქმედებების, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიებისა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისი მიწერილობის შემუშავება;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:
- სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიიღება;
- სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების დაცვა და გაუვრცელებლობა;
- საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;
- ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის:
- სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე;
- რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ნორმატიული აქტია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ეწოდება ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები და რა შემთხვევაში კრძალავს მათ კანონმდებლობა?
2. რას ნიშნავს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და როგორ გავლენას ახდენს იგი სასაქონლო ბაზარზე?
3. როდის ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად? რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს ამგვარ ქმედებას?
4. რა ითვლება რაკეთილსინდისიერი კონკურენცის გამოვლინებად? ჩამოთვალეთ 3-4 დასახელება?

8.4. საქართველოს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის ამოცანები, მისი განმახორციელებელი სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ გამოყენებულ იქნეს მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილ მასშტაბიანი ეკონომიკის უპირატესობები, ხოლო მეორეს მხრივ განხორციელდეს კონკურენციის განვითარებაზე მისი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის განეიტრალება.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეადგენს კონკურენციის სტიმულირება და კონკურენტული გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში სწორი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება ეკისრება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოდგენილია სამინისტროების, კომიტეტების, კომისიების, საბჭოების თუ სააგენტოების სახით. საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია ევალება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს.

2005 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითრების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დებულება, რომლის თანახმად, სააგენტო ახორციელებს კონტროლს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ის ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. სააგენტოს უფროსი ინიშნება საქართველოს პრემიერ - მინისტრის მიერ. აღნიშნული დებულებით სააგენტოს ძირითადი ამოცანებია:

- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა;
- კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელის შემშლელი დისკრიმინაციული და ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა;
- გამოვლენა და აღკვეთა სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ისეთი ქმედებისა, რომლებსაც შეუძლია:
- დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ მას და იწვევენ კონკურენციის შეზღუდვას;
- აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა (გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა);
- საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას;
- გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭება, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას (გარდა კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა).
- სახელმწიფო დახმარებების გამოვლენა და აღკვეთა, რომლებიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით (შემდეგომში – კანონი) გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- მიზნობრივი პროგრამების გამოვლენა და აღკვეთა, რომლებიც ნებისმიერი ფორმით აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამების შეთანხმება (თანახმად მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგადი წესისა);
- განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ქსელში დაშვებაზე უარის თქმის კანონთან შესაბამისობის ანალიზი და განსაზღვრა;
- რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ეკონომიკური აგენტების, აგრეთვე ინფრასტრუქტურის სფეროებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების საქმიანობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გამოქვეყნება;
- საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა და ამ მიზნით დაუსაბუთებელ და არასამართლიან ფასებთან (ტარიფებთან) დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფ-ლების ორგანოების მიერ ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების აღების დაუშვებლობა, რომლებიც შეაფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნის შიგნით და გარეთ;

სააგენტო ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს და შესაბამის რეკომენდაციებს უდგენს საქართველოს მთავრობას. დებულებით განსაზღვრულია სააგენტოს უფლებამოსილებანი:

- მოითხოვოს და მიიღოს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში არსებულ ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ანალიზისათვის საჭირო ინფორმაცია;
- დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში ეკონომიკური აგენტის მიერ ანალიზის განხორციელების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;
- მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მიმართოს სასამართლოს ეკონომიკურ აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე;

- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონმდებლობათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სასამართლოებში წარმოებულ საქმეთა განხილვაში;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების ანტიტრესტულ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- წარუდგინოს ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიწერილობა მის მიერ მიღებულ კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე;
- მოსთხოვოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ქმედების ამ კანონით განსაზღვრული დებულებებთან წინააღმდეგობის გამოვლენის ან მათი არასწორი გამოყენების რისკის არსებობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დასაბუთება შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსაგან;
- წარდგენილ მიწერილობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;
- დააყენოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა, როგორც ეკონომიკური აგენტისთვის, ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

ბაზარზე კონკურენტული სამართლის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ყველა არ იქნება მზად ამ ნორმების შესასრულებლად. იმ შემთხვევებში, როცა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება, მის დაცვას უზრუნველყოფს იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს. ამ მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილია რიგი ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ (მუხლები 153, 158, 158^1, 159, 159^1, 159^2, 159^3, 159^4 და 173^5) შესაბამის სასჯელს (დაჯარიმებას) მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლისათვის.

2006 წლის 6 თებერვალს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცებულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საქართველოს ადმინისტრაციულ - სამართალდარღვევის ოქმის და მიწერილობის ფორმები.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელებისათვის და ფალსიფიკაციისათვის.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში კანონმდებლობათა დარღვევისას ავსებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ხოლო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კანონდამრღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე. სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს პროკურატურას და უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად სხვა სამართალდამცავ ორგანოებს კომპეტენციის სფეროში დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა? ჩამოთვალეთ მისი განხორციელების ძირითადი მიმართულებები.
2. რომელი სახელმწიფო ორგანო ატარებს ანტიმონოპოლიურ საქმიანობას საქართველოში? დაახასიათეთ მისი შექმნის ისტორია და სტრუქტურა.
3. რა ძირითადი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს?
4. რა უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაკისრებულო მოვალეობათა შესრულებისათვის?
5. როგორაა გამიჯნული კომპეტენციები სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალურ აპარატსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის?

თავი 9

სადაზღვევო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, დაზღვევის ფორმები

„დანახვა ადვილია, ძნელია განსჯა.“
ბ.ფრანკლინი

მოცემულ თავში განხილულია დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძვლები, დაზღვევის ფორმები, დაზღვევის ურთიერთობების მონაწილენი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციები, დაზღვევის ობიექტის, სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო რისკის ცნებები. განხილულია აგრეთვე, დაზღვევის ხელშეკრულების არსი და დაზღვევის ზოგადი პირობები, საქართველოში გავრცელებული დაზღვევის ფორმები, დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები, აგრეთვე ორმაგი დაზღვევის არსი და მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობები.

9.1. დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, დაზღვევის ფორმები

მსოფლიო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ წარმატებული კომერციული საქმიანობა შეუძლებელია მყარი სადაზღვევო გარანტიების გარეშე. ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა დაწყებული პროდუქციის გამოშვებით, მომხმარებლის ადგილამდე ტრანსპორტირებითა და შემდეგ რეალიზაციით, ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეულ ისეთ რისკ-ფაქტორებთან, როგორიცაა ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული სტიქიური უბედურებები (მიწისძვრები, წყალდიდობები, გვალვები, ქარიშხლები და სხვა.), არასასურველი ფიზიკური ზემოქმედებების შედეგად გამოწვეული დანაკარგები (ხანძარი, ქურდობა, განზრახ განადგურება, ავარიები და ა.შ). რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობითა და მასიური არეულობების შედეგად მიღებული დანაკარგები და სხვა.

ყოველივე ამ არასასურველი, მნიშვნელოვანი და უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით საგარეო კომერციულ ურთიერთობებში ფართოდ გამოიყენება სადაზღვევო გარანტიები, რომლის საფუძველზე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკის დადგომის შემთხვევაში საქონლის მფლობელს ან სხვა დაზღვეულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო კომპანიისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

საქონლის, საზღვაო და სხვა გადაზიდვების, მომსახურეობის, სამუშაოს შესრულებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სფეროებში, აგრეთვე ცხოველებისა და ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა რეგულირდება მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 1994 წლის შეთანხმება;
- 1994 წლის გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე;
- სეულის კონვენცია ინვესტიციების დაცვის გარანტიების შესახებ;
- კონვენცია საერთაშორისო სადაზღვევო ზედამხედველობის ასოციაციის შექმნის შესახებ;
- საერთაშორისო კონვენციები საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში;[1]
- ევროკავშირის, დსთ-სა და სხვა რეგიონალური ორგანიზაციების სამართლებრივი ნორმები და დირექტივები სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით.[2]

დაზღვევა არის ფიზიკური და იურიდიული პირის პირადი ან ქონებრივი ინტერესების დასაცავად სხვადასხვა ფულადი ფონდებისა და წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებებისა და შემთხვევების დადგომისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად,

---

[1] 1960 წლის 29 ივნისის კონვენცია მესამე პირის წინაშე ბირთვული იარაღის სფეროში პასუხისმგებლობის შესახებ, 1952 წლის კონვენცია – უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის შესახებ. კონვენციები და სხვა ნორმები ტვირთების დაზღვევის შესახებ და სხვა.

[2] ევროკავშირის 1973 წლის 24 ივნისის, 1992 წლის 18 ივნისის დირექტივები სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვა. წიგნში ვ. პოპანდოპულო, საერთაშორისო კომერციული სამართალი. მოსკოვი, 2004, გვ. 428-444.

მყარად დადგენილი (შეთანხმებული სადაზღვევო თანხის ოდენობით და არა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით) სადაზღვევო თანხით.

სადაზღვევო ურთიერთობები გავრცელდა და მომდინარეობს უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინათ ბაბილონის მეფე ხამურაპის კანონში შეტანილია სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. სადაზღვევო ურთიერთობები არსებობდა მრავალ ქვეყანაში სავაჭრო ქარავნით გადაადგილებული საქონლის დასაცავად, საზღვაო ტრანსპორტზე მომხდარი შემთხვევების დროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და შემდეგ გავრცელება ჰპოვა სხვა სფეროებში.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში დაზღვევის ინსტიტუტს აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქცია, განსაკუთრებით კი ბიზნესის სფეროში. სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე საწარმოს უფლება აქვს მთელ საწარმოო პროცესში (დაწყებული ნედლეულის მოპოვებით, მისი ტრანსპორტირებით გადამამუშავებელ საწარმომდე, პროდუქციის გამოშვებითა და შემდეგ მისი გადაზიდვით და მიწოდებით მომხმარებლამდე), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დადგომისას, ზიანის ანაზღაურების მიღებაზე. მთლიანობაში ნებისმიერ საწარმოს, როგორც მცირესა და საშუალოს, ასევე ტრანსნაციონალურ გიგანტებს ესაჭიროება გარკვეული ფინანსები ბუნების სტიქიური თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური უარყოფითი ფაქტორებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად.

საქართველოში 1990 წლიდან დღემდე მიღებულია მრავალი ნორმატიული აქტი. მათ შორის მნიშვნელოვანია სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, რომლებიც შეტანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 თავის 799-858 მუხლებში, აგრეთვე მიღებულია ამ სფეროს მარეგულირებელი შვიდი სპეციალური კანონი: 1) 1995 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი "სახელმწიფო სავალდებულო" დაზღვევის შესატანების შესახებ"; 2) 1997 წლის 18 აპრილის კანონი "სამედიცინო დაზღვევის შესახებ"; 3) 1997 წლის 3 მაისის კანონი "დაზღვევის შესახებ"; 4) 1997 წლის 27 ივნისის კანონი "ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ"; 5) 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი "სახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ"; 6) 1999 წლის 3 თებერვლის კანონი "სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ"; 7) 1999 წლის 24 ივნისის კანონი "პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ".

„დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ***დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.*** ზოგადად, სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, დაკავშირებული დამზღვევისა და გადამზღვევის ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებასთან. ამ კანონის თანახმად დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის:

- დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);
- დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა);
- დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

კანონი ასევე განსაზღვრავს დაზღვევის სახეობებს, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით.

ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნებაყოფლობით დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულება დადოს დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს დამზღვევს შესთავაზოს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები. სავალდებულო დაზღვევას ახორციელებს აგრეთვე საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

კანონით დადგენილია დაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი. **დამზღვევი** არის პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება. დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ქონე-

ბასთან დაკავშირებული დაზღვევის ხელშეკრულებები, გარდა გადაზღვევის ხელშეკრულებებისა, შეუძლიათ დადონ მხოლოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებთან. ამავე დროს, საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის ხელშეკრულებები შეუძლიათ დადონ მხოლოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებთან.

მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით. კანონის შესაბამისად სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. ამასთან ერთად, საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლად ყოფნა. სადაზღვევო ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სადაზღვევო ურთიერთობებში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ მოსარგებლე (სარგებლის მიმღები), სადაზღვევო აგენტი და სადაზღვევო ბროკერი.

მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. მოსარგებლე შეიძლება დადგინდეს როგორც პირადი, ისე ქონების დაზღვევისას. სავალდებულო დაზღვევისას მოსარგებლის განსაზღვრა ხდება დაზღვევის მოცემული სახეობის მარეგულირებელი კანონმდებლობით – "ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ", "სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონებით, ხოლო ნებაყოფლობითი დაზღვევისას მოსარგებლეს ადგენს დამზღვევი. დაზღვეული არის მოსარგებლე, თუ სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით ან დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საკუთრების დაზღვევის ხელშეკრულება მოსარგებლის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს მოსარგებლის სახელის ან სახელწოდების მიუთითებლად. ასეთი ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს ეძლევა დაზღვევის მოწმობა (პოლისი, სერტიფიკატი და ა.შ.) წარმდგენზე. ამ შემთხვევაში სარგებლის მიმღებია ის, ვინც მზღვეველს წარუდგენს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს. მოსარგებლის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება დამზღვევს არ ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მზღვეველს შეუძლია განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა სადაზღვევო აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით. **სადაზღვევო აგენტი** არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სადაზღვევო ბროკერი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას. სადაზღვევო ბროკერის ურთიერთობა მზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. აკრძალულია მზღვეველის, სადაზღვევო აგენტის ან სადაზღვევო ბროკერის მიერ უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის სახელით დაზღვევის ხელშეკრულების დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ. სადაზღვევო ბროკერი და სადაზღვევო აგენტი ვალდებულნი არიან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინონ მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისათვის.

"დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს დაზღვევის სფეროში უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე. უცხოელი მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალით შექმნილი იურიდიული პირი, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი და წარმომადგენლობა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე, აწარმოებენ დაზღვევას საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მითითებულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის სფეროში აქვთ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რაც საქართველოს მოქალაქეებს და იურიდიულ პი-

რებს. ამავე დროს უცხოელ ფიზიკურ პირს, მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხოურ იურიდიულ პირს (უცხოეთის სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების ჩათვლით) უფლება აქვს იყოს საქართველოს დაზღვევის და გადაზღვევის ორგანიზაციების დამფუძნებელი. ამასთან ერთად, უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის, როგორც უშუალო მზღვეველის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება უცხოეთის ერთ ან რამდენიმე გადამზღვეველთან უშუალოდ. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური იურიდიული პირის მიერ სადაზღვევო ბროკერის ფუნქციების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციისათვის, მის მიერ აღებული რისკის უცხოეთში გადაზღვევის სფეროში. საქართველოს უცხოური იურიდიული პირი სადაზღვევო ბროკერის საქმიანობას ახორციელებს ფილიალის ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც რეგისტრირებულია სათანადო წესით, ან უშუალოდ საქართველოს იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას თავისი რისკის უცხოეთში გადაზღვევასთან დაკავშირებით შეუძლია უშუალოდ ისარგებლოს უცხოური საბროკერო ორგანიზაციის მომსახურებით.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 აგვისტოს № 433 ბრძანებულებით დამტკიცებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულება. დებულების თანახმად, ეს სამსახური არის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო რეგულირების მიზნით. სამსახურის ძირითად ამოცანად დებულებით განსაზღვრულია დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება, სადაზღვევო მექანიზმის სრულყოფა, სადაზღვევო ბაზრის რეგულირება და სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა. სამსახურის ფუნქციებია:

- სადაზღვევო, მათ შორის, დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობის ლიცენზირება;
- მზღვეველის, დაზღვევის ბროკერის, არაკომერციული დაზღვევის ორგანიზაციათა (ურთიერთდაზღვევის საზოგადოება) რეესტრის წარმოება;
- ლიცენზირების წესების შემუშავება, დადგენა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით და გამოცემა;
- ლიცენზიის ასაღებად აუცილებელი შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დაწესება (მათ შორის ფულადი ფორმით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მზღვეველის მიერ გამოყენებული სადაზღვევო ტარიფების გამოთვლის მეთოდიკის შემუშავება და მათი გამოყენებისადმი ზედამხედველობის განხორციელება;
- მზღვეველთა გაღახდისუნარიანობის კონტროლი;
- სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხის განსაზღვრა, მათი შექმნის, განთავსებისა და ინვესტირების წესების დადგენა და გამოცემა;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სადაზღვევო ოპერაციების მაჩვენებლებისა და ფორმების, მზღვეველის ანგარიშგებისა და მისი წარდგენის ვადების დადგენა და გამოცემა;
- მზღვეველის აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკის შემუშავება და ნორმატიული მოცულობის დადგენა და გამოცემა;
- მზღვეველის მიერ მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის დადგენა და გამოცემა;
- ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტაციის გამოცემა სადაზღვევო საქმიანობის იმ საკითხებზე, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება სამსახურის კომპეტენციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი სახის დაზღვევის ფორმას. პირველი არის **სავალდებულო**, მეორე კი **ნებაყოფლობითი დაზღვევა**. სავალდებულო დაზღვევის ფორმას განეკუთვნება ქონების სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. დაზღვევის დანარჩენი სახეობები არის ნებაყოფლობითი. ანუ ფიზიკურ პირს შეუძლია დააზღვიოს როგორც ქონება, ასევე თავისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე, სხვა უბედურ შემთხვევათა (ტრავმის მიყენება, შემთხვევითი მოწამვლა, მოტეხილობა და სხვ.), იურიდიულ პირს კი უფლება აქვს დააზღვიოს ბალანსზე არსებული ქონება, ნებისმიერი მომსახურება, ფასეულობათა გადაზიდვები და სხვა მატერიალური სიკეთე.

ამრიგად, კანონმდებლობის შესაბამისად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებ-

თან, აგრეთვე ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან. ამავე დროს კანონმდებლობით დადგენილია სავალდებულო დაზღვევის ფორმები, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ გაფორმებას. "სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ვალდებულია, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის უქონლობის გამოვლენის შემთხვევაში, გამოიყენოს "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში კი მითითებულია, რომ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ორგანოებმა არ უნდა მიიღონ გაანგარიშებები ქონების გადასახადის შესახებ და არ უნდა ჩაიბარონ ბუღალტრული ანგარიშები (ბალანსი) საწარმოსაგან, რომელიც არ წარმოადგენს ამ კანონით განსაზღვრულ სადაზღვევო პოლისს (მოწმობას). დაზღვევის ამ ფორმით გათვალისწინებულია ხანძრის, აფეთქების, მეხის დაცემით საწარმოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საწარმომ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების 0.4% (სადაზღვევო პრემიის განაკვეთი). იმ შემთხვევაში, თუ დადგა სადაზღვევო შემთხვევა ანუ ხანძარმა, აფეთქებამ და მეხის დაცემამ დააზიანა დაზღვეულის ქონება სადაზღვევო ანაზღაურება ხორციელდება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ანუ ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების მიხედვით.

"ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ავტოტრანსპორტის მფლობელი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ყოველ ავტოტრანსპორტზე. ამავე დროს, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია იმპერატიული ნორმა, რომლის თანახმად საგზაო პოლიციის ორგანოები მოვალენი არიან ტექნიკურ დათვალიერებაზე არ გაატარონ ის ავტოტრანსპორტი, რომლის მფლობელსაც გაფორმებული არა აქვს შესაბამისი დაზღვევა. კანონის ეს კატეგორიული მოთხოვნა გამყარებულია 21-ე მუხლით, რომლის შესაბამისად პირი, რომელიც ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციას ახორციელებს სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაუზღვევლად, პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური დათვალიერება დადგენილი წესით, ან ასეთი სატრანსპორტო საშუალებების სამართავად გადაცემისათვის. ამ ნორმის დარღვევისათვის კი გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელის დადება სამიდან რვა ლარამდე ოდენობით.

ამავე დროს "დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია სავალდებულო დაზღვევის წესების დარღვევის შედეგები.

თუ პირი, დაზღვეული არ არის, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება. თუ დამზღვევმა არ დადო დაზღვევის ხელშეკრულება ან დადო ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით, დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ ოდენობით, რომელსაც დაზღვეული მიიღებდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში. დამზღვევს უფლება აქვს სასამართლო წესით მზღვეველს მოსთხოვოს ხელშეკრულების დადება კანონით განსაზღვრული პირობით. მზღვეველს ამავე დროს უფლება აქვს დამზღვევს შესთავაზოს კანონით უფრო ხელსაყრელი პირობები.

მითითებული სავალდებულო ფორმის სადაზღვევო რისკი რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტის მძღოლმა მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგად დაზიანდა ფიზიკური პირი. სადაზღვევო ანაზღაურება ცვალებადია და განისაზღვრება სხეულის დაზიანების ხარისხის შესაბამისად.

საქართველოს კანონი "პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" ითვალისწინებს პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით.

"სამედიცინო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს დაზღვევას როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობით ფორმას. ამ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის პროგრამას შეიმუშავებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიასა და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით. პროგრამას საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მუხლში გათვალისწინებულია პირის მოვალეობა – გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება. კერძოდ, 245-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ

უძრავი ნივთის უზურფრუქტის დროს უზურფრუქტარი ვალდებულია უზურფრუქტის არსებობის მანძილზე დააზღვიოს ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 691-ე მუხლის შესაბამისად, გამგზავნის მიერ საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნისას ის ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი დააზღვიოს ტვირთი. ასევე, ამ კოდექსის 734-ე მუხლი ითვალისწინებს ტვირთის დაზღვევის მოვალეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექსპედიტორი ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას. განსაკუთრებული მითითების არარსებობისას, ექსპედიტორი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობით.

სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და სადაზღვევო შემთხვევის არსებობისას, ანუ სადაზღვევო რისკის – იმ საფრთხის დადგომის შედეგად, რომლისგანაც დაზღვეულია პიროვნება ან ქონება. "დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ი) პუნქტის შესაბამისად, სადაზღვევო რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. ამ ნორმებიდან გამომდინარე, დაზღვევის რისკი, რომელიც კონკრეტულად უნდა მიეთითოს სადაზღვევო ხელშეკრულებაში, შესაძლოა დადგეს მომავალში და ის წინასწარ არ არის ცნობილი. სადაზღვევო ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ მომავალში ამ შესაძლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ დამზღვევმა დროულად გადაიხადა სადაზღვევო პრემია, დადგენილი ვადის გასვლის შედეგად სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება ისე გაუქმდეს, რომ სადაზღვევო შემთხვევა არც კი დადგეს.

კანონით გათვალისწინებულია რისკების დაზღვევის ცნება, რომელიც გულისხმობს სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო რისკების გადაზღვევას, რისთვისაც სადაზღვევო კომპანია გადამზღვევ კომპანიას უხდის წინასწარ შეთანხმებულ საკომისიოს შესაბამისი რისკების ოდენობის ლიმიტებში გადაზღვევისათვის. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გადამზღვევი კომპანია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს შეთანხმებული თანხა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს გადამზღვევი კომპანიები და მზღვეველები ახორციელებენ რისკის გადაზღვევას საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე.

ამრიგად, საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით დადგენილია სავალდებულო დაზღვევა, რომლის საფუძველზე დამზღვევისათვის დაზღვევის ხელშეკრულების მოვალეობის დაკისრება საჯარო-სამართლებრივ ხასიათზე მიუთითებს. ყველა სხვა შემთხვევაში, დაზღვევა არის ნებაყოფლობითი, რის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები არის კერძო სამართლებრივი. ამასთან ერთად, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ამ შემთხვევაში კი დამზღვევს უფლება აქვს ერთი და იმავე დაზღვევის ობიექტი დააზღვიოს, როგორც სავალდებულო დაზღვევით, ისე ნებაყოფლობითი ფორმითაც.

9.2. დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და დაზღვევის ზოგადი პირობები

დაზღვევის ხელშეკრულების ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლში, რომლის თანახმად დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა დამზღვევს (ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან) აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული მიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით. დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი კი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა (პრემია).

სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლით დადგენილია მზღვეველის მოვალეობა დამზღვევს ჩააბაროს ხელმოწერილი საბუთი, სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), ხელშეკრულების დადების შესახებ. სადაზღვევო პოლისის ცნება განმარტებულია კანონში "დაზღვევის შესახებ". **სადაზღვევო პოლისი** არის მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს და დამზღვევს უფლება აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო თანხა. სადაზღვევო პოლისი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ხელშეკრულების მხარეების ვინაობასა და მათ ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს);
- დაზღვევის საგნისა და დაზღვეული პირის დასახელებას;
- სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;
- დაზღვევის დასაწყისს და ხანგრძლივობას;
- სადაზღვევო თანხის ოდენობას;
- სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე. ამასთან, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია ხუთ წელზე მეტი ვადით, ამ შემთხვევაში თოთოეულ მხარეს, ანუ მზღვეველსა და დამზღვევს, შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის შესახებ გაფრთხილებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე, ანუ იურიდიული ფაქტის დადგომისას, რომლის საფუძველზე სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, დამზღვევი მოვალეა ამის შესახებ აცნობოს მზღვეველს. ამასთან, კანონმდებლობით მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევს მოსთხოვოს იურიდიული ფაქტის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) დადასტურების ცნობები. მზღვეველი ვალდებულია სრულად გაეცნოს შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, მყარად დადგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი იხდის სადაზღვევო თანხას ან ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მოქმედებას.

საქართველოში სადაზღვევო საწარმოების (კომპანიების) მუშაობის ანალიზით დადგენილია, რომ გარდა სავალდებულო დაზღვევისა, ნებაყოფლობითი სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება, ძირითადად, ხორციელდება დაზღვევის შემდეგ ობიექტებზე:

- ავტოტრანსპორტის ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც გულისხმობს ავტოტრანსპორტის მფლობელის მიერ მის საკუთრებაში მყოფი ავტოტრანსპორტის ნებაყოფლობით დაზღვევას – მანქანის ფიზიკურ ზიანსა თუ გატაცებაზე ან მოპარვაზე. ხელშეკრულებით დაზღვევის ამ პროდუქტს შეიძლება თან დაერთოს მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, ეს ზიანი მიადგა სხვა პირის ქონებას, თუ ჯანმრთელობას. ამ სახის დაზღვევისას დგება შესაბამისი სადაზღვევო ლიმიტები, რომელსაც ირჩევს დამზღვევი პიროვნება.
- დაზღვევის ხელშეკრულებით ტვირთების დაზღვევა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი პიროვნების ან იურიდიული პირის უფლებამოსილებას, დააზღვიოს ის ტვირთი, რომელსაც აგზავნის ან იღებს. დაზღვევა ხდება ყველა რისკისაგან ანუ ის ფიზიკური ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დამზღვევის მიერ დაზღვეულ ტვირთს, ასევე ტვირთის მოპარვისას მიღებული ზიანიც.
- ჯანმრთელობის დაზღვევა. დაზღვეულმა პიროვნებამ შეიძლება აირჩიოს მისთვის სასურველი სადაზღვევო პროდუქტი. სადაზღვევო პროდუქტები განირჩევა ერთმანეთისაგან სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებით და მომსახურების არეალით. არსებობს იაფფასიანი სადაზღვევო პროდუქტები, რომელიც გულისხმობს მხოლოდ გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ხარჯების ანაზღაურებას და ძვირადღირებული სადაზღვევო პროდუქტები, რომელიც გულისხმობს სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.
- სამოგზაურო დაზღვევა. გულისხმობს სამოგზაუროდ წასული პირის საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას. ამ სახის დაზღვევა ასევე გულისხმობს რეპატრიაციის ხარჯებსაც, ანუ პიროვნების საზღვარგარეთ გარდაცვალების შემთხვევაში მისი ჩამოსვენების ხარჯების ანაზღაურებას.
- ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც გულისხმობს იურიდიული თუ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული ქონების დაზღვევას იმ რისკებზე, რომელიც მათ სურთ. სადაზღვევო თანხის დადგენა ხდება საბაზრო ან აღდგენითი ღირებულებიდან დამზღვევსა და მზღვეველს შორის ურთიერთშეთანხმებით.
- სამშენებლო რისკების დაზღვევა, რომელიც შეიცავს სამშენებლო ობიექტზე არსებული მანქანა – დანადგარებისა და სამშენებლო მასალების მარაგის დაზღვევას ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან, ამ პროდუქტს თან ერთვის ხოლმე მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა, როდესაც კონკრეტული მშენებლობის მიმდინარეობისას დაზიანდა მესამე მხარის ქონება ან ფიზიკური ზიანი მიადგა კერძო პირს. ეს პროდუქტი არის ნებაყოფლობითი სახის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დამკვეთი ორგანიზაციები ითხოვენ თავისი კონტრაქტორისაგან ამ სახის დაზღვევის არსებობას.
- გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს დაზღვევა გულისხმობს გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევას დამკვეთის წინაშე, ანუ ტვირთის მფლობელის წინაშე. როგორც წესი, გადამზიდველი წლის დასაწყისში ირჩევს პასუხისმგებლობის იმ ლიმიტებს, რაზეც უნდა დაეზღვიოს და იხდის შესაბამის წლიურ სადაზღვევო პრემიას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის თანახმად, დამზღვევს ეკისრება სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება. ამასთან, დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის – სადაზღვევო ხელშეკრულების, სადაზღვევო პოლისის მიღების შემდეგ. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შერულებისაგან, თუ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანი დროულად არ იქნა გადახდილი. იმ შემთხვევაში,

როდესაც სადაზღვევო შესატანი დამზღვევის მიერ დროულად არ არის გადახდილი, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან უნდა მიუთითოს იმ შედეგზე, რომელიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან დადგენილი პროცენტის გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან.

სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდისათვის ხელშეკრულების მოშლის პირობებს. ამ ნორმით დადგენილია, რომ თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანის თანხა, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და თუ ამ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მზღვეველის მიერ არ იქნა გადახდილი, დამზღვევს შეუძლია მოშალოს იგი.

ამავე დროს, კანონი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვევა, რომ მზღვეველის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ არსებობს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობის რეალური საფრთხე, ანუ მას არ შეეძლება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.

სადაზღვევო თანხის ოდენობის დადგენა ხდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად. როგორც წესი, ქონების დაზღვევისას სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს პირად საკუთრებაში არსებული ქონების დაზღვევისას მის საბაზრო ღირებულებას, იურიდიული პირის ქონების დაზღვევისას კი მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით დაზღვეული ქონება გასხვისდა, მაშინ დამზღვევის უფლებები და მოვალეობები იგივე სადაზღვევო თანხის გათვალისწინებით გადადის შემძენზე და ფაქტობრივად ის ხდება ამ ქონების მზღვეველი. კანონით განსაზღვრულია, რომ მზღვეველს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. თუ შემძენმა ან გამსხვისებელმა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან (თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც ხელშეკრულების შესაბამისად მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა).

კანონით განსაზღვრულია ასევე დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები ქონების გასხვისებისას. მზღვეველს უფლება აქვს სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს სადაზღვევო ურთიერთობა შემძენელთან. ამასთან, მზღვეველი კარგავს ხელშეკრულების მოშლის უფლებას, თუ გასულია ერთთვიანი ვადა იმ მომენტიდან, როცა მას შეატყობინეს ქონების გასხვისების შესახებ.

შემძენს უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება. ამის უფლება მას აქვს მხოლოდ დაუყოვნებლივ ქონების შეძენისას ან დაზღვევის მიმდინარე პერიოდის დამთავრებისას. ეს უფლება წყდება თუ შემძენი შეძენიდან ერთი თვის ვადაში არ ისარგებლებს ამ უფლებით. იმ შემთხვევაში თუ შემძენისათვის ცნობილი არ იყო შეძენილი ქონების დაზღვევის შესახებ, მაშინ ხელშეკრულების მოშლის უფლება ძალაშია ერთი თვის გასვლამდე იმ მომენტიდან, როცა ქონების შემძენმა შეიტყო ამ სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ. ამავე დროს, თუ დამზღვევის ხელშეკრულება მოიშალა ამ წესის შესაბამისად, მაშინ გამსხვისებელი მოვალეა მზღვეველს გადაუხადოს სადაზღვევო შესატანი, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც დაზღვევის პერიოდში უნდა გადაეხადა, ხელშეკრულების მოშლის მომენტის ჩათვლით. ამ შემთხვევაში მზღვეველი პასუხს არ აგებს სადაზღვევო შესატანის გადახდაზე.

კანონმდებლობის შესაბამისად, პირადი დაზღვევისას სადაზღვევო თანხის ოდენობა არ არის შეზღუდული და იგი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით გონივრულ ფარგლებში, დამზღვევის ასაკისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

კანონით დადგენილია, რომ თუ სადაზღვევო თანხა მნიშვნელოვნად აღემატება დაზღვეული ინტერესის ანუ ობიექტის ღირებულებას (სადაზღვევო ღირებულება), მაშინ როგორც დამზღვევს, ისე მზღვეველს გადაჭარბებული დაზღვევის თავიდან აცილების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ სადაზღვევო თანხის შემცირება სადაზღვევო შესატანის (პრემიის) დაუყოვნებლივ პროპორციულად შემცირებით. ასევე გათვალისწინებულია, რომ თუ დამზღვევი მართლსაწინააღმდეგო შემოსავლების მიღების მიზნით, წინასწარი განზრახვით დებს ხელშეკრულებას დაზღვევის გაზრდის თვალსაზრისით, მაშინ ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ხელშეკრულების ბათილობამდე მზღვეველისათვის გადახდილი შენატანები მას რჩება, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მზღვეველის წინასწარი განზრახვა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლების მიღების მიზნით ცნობილი არ იყო. კანონი აგრეთვე ადგენს, რომ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თუ დამზღვევმა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

კანონი ადგენს, რომ მზღვეველი ვიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ის არ არის ვალდებული დამზღვევს გადაუხადოს წარმოშობილ ვიანზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას. ამავე დროს, თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

დამზღვევმა, რომელმაც დაზღვევის ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლად აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული დაზღვევის ობიექტი ერთი და იმავე სადაზღვევო რისკისაგან რამოდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას და მთელ ვიანს აჭარბებს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველები მოვალენი არიან დაზღვევის წინაშე – როგორც სოლიდარული მოვალეები – იმ თანხის ფარგლებში, რაც დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს უფლება არა აქვს მიიღოს ჯამში რეალურ ვიანზე მეტი თანხა. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ დამზღვევმა გააფორმა ორმაგი დაზღვევის ხელშეკრულება მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ბათილად ჩაითვლება.

შესაძლებელია დაზღვევის ხელშეკრულების დადება სხვა პირის სასარგებლოდ. დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ ისე, რომ ამ პირის დასახელება სავალდებულო არ არის. ამ შემთხვევაში უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, ეკუთვნის აღნიშნულ პირს. ამასთან, სადაზღვევო მოწმობის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ დამზღვევს. დაზღვეულ პირს შეუძლია თავისი უფლებებით ისარგებლოს დამზღვევთან შეთანხმების გარეშე და თავისი უფლებების დაცვა და განხორციელება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო მოწმობა მის ხელთაა.

კანონმდებლობით აგრეთვე დადგენილია მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობები. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საფუძველია მისი საწესდებო კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. მზღვეველი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:

- სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის ფულადი ფორმით);
- სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების შექმნის წესი;
- სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესი;
- აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;
- მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა.

ამავე დროს, აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად, მზღვეველი სადაზღვევო შენატანების საფუძველზე ქმნის მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელ რეზერვებს. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხასა და მათი შექმნის წესს ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო რეზერვები, რომლებსაც ქმნის მზღვეველი, არ იბეგრება. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ინვესტირების წესს განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

მზღვეველი, თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ვალდებულია დაიცვას ნორმატიული თანაფარდობა აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის. ამ თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკას და ნორმატიულ მოცულობას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მზღვეველის მიერ სადაზღვევო რეზერვების განთავსება უნდა განხორციელდეს დივერსიფიკაციის (საწარმოს განვითარების), დაბრუნებადობის, სარგებლიანობისა და ლიკვიდურობის პირობებით. რეზერვების განთავსების დროს აუცილებელ თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

საკონტროლო კითხვები:

1. დაზღვევის ხელშეკრულების არსი;
2. სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო რისკის ცნება;
3. საქართველოში დაზღვევის გავრცელებული ფორმები;
4. დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის პირობები;
5. ორმაგი დაზღვევის არსი;
6. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობები.

თემა 10

გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება

„ისწავლეთ თუთიყუშის ორი სიტყვა- მოთხოვნა და მიწოდება და თქვენს წინაშე ეკონომისტია“ ნიცშე

ამ თავში განხილულია გადაზიდვების ცნება და სამართ-ლებრივი რეგული-რების ზოგადი დებუ-ლებები. სატრან-სპორტო სახეობების მიხედვით გადაზიდვების რაოდენობრივი მაჩვენე-ბლები და მისი განვითა-რების პერსპექტივები. განხილულია ასევე საერთაშორისო გადა-ზიდვის თავისებურებანი და მათი მარეგული-რებელი ძირითადი საერ-თაშორისო კონვენციები.

10.1. გადაზიდვების ცნება და გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება

მსოფლიო მასშტაბით საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებამ, ფიზიკური და იურიდიული პირების საერთაშორისო კავშირების გაღრმავებამ საფუძველი შეუქმნა და მოითხოვა სატრანსპორტო სფეროს განვითარება. დღეისათვის წარმოუდგენელია ცივილიზებული საზოგადოების არსებობა ტრანსპორტის გარეშე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და გლობალიზაციის პროცესების შედეგად გაზრდილი გადაზიდვა-გადაყვანა სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს, რაც მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

სატრანსპორტო საერთაშორისო გადაზიდვები ორ და მეტ ქვეყანას შორის გარდა საქართველოს კანონმდებლობისა, რეგულირდება ასევე მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციებით, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

საერთაშორისო გადაზიდვებში უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის საზღვაო ტრანსპორტზე, რომელიც დღეისათვის შეადგენს მთლიანი გადაზიდვების 80-ზე მეტ პროცენტს. საერთაშორისო საზღვაო ტვირთბრუნვისა და გადაყვანის სფეროში მოქმედებს მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც აწესრიგებენ ამ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. მათ შორის აღსანიშნავია 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია, კონოსამენტის ზოგიერთი წესების უნიფიკაციის შესახებ (პრაქტიკაში იწოდება „ჰააგა-ვიზბას წესებად“), რომელიც ძალაში შევიდა 1931 წლის 2 ივლისიდან. ეს კონვენცია გამოიყენება ყველა სახის კონოსამენტების მიმართ, რომლებითაც ხორციელდება საზღვაო გადაზიდვები ორ და მეტ სხვადასხვა სახელმწიფოთა საზღვაო პორტებს შორის. ეს კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს.

საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვების სამართლებრივ მარეგულირებელ ნორმებს შორის მნიშვნელოვანია ასევე 1978 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია – ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ, ე.წ. „ჰამბურგის წესები“, რომელიც ძალაში შევიდა 1992 წელს და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1995 წელს. ამ კონვენციით რეგულირდება საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები, გადაზიდვის ხელშეკრულების პირობები, გემის მთლიანი დაქორავების ანუ ტაიმ-ჩარტერისა და უეკიპაჟოდ გემის დაქირავების ანუ ბერბოუტ-ჩარტერის ხელშეკრულების მოთხოვნები.

1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა კონვენცია – ტვირთების საერთაშორისო შერეული გადაზიდვების შესახებ.

საზღვაო სამართლის წყაროს წარმოადგენს 1982 წლი კონვენცია – საზღვაო სამართლის შესახებ და 1992 წლის კონვენცია გემების რეგისტრაციის შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის საზღვაო გადაყვანას არეგულირებს 1974 წლის ათენის კონვენცია, რომელიც ძალაშია 1987 წლიდან და რომლის მონაწილეც არის ყოფილი საბჭოთა კავშირი. საზღვაო გადაზიდვები აგრეთვე რეგულირდება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის[1]

[1] საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) დაფუძნებულია 1958 წელს, რომელიც აერთიანებს 129 სახელმწიფოს.

მიერ მიღებული დოკუმენტებით, რომელსაც შემუშავებული აქვს ორმოცზე მეტი კონვენცია, რომლებიც ეხება ზღვის დაბინძურების, ტვირთების გადაზიდვის უსაფრთხოებისა და სხვა განსაკუთრებულ საკითხებს.

სატრანსპორტო გადაზიდვებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებს. ბოლო 40 წლის განმავლობაში საერთაშირისო საჰაერო ხაზებზე მგზავრების გადაყვანა გაიზარდა 42-ჯერ, ხოლო ტვირთბრუნვა 120-ჯერ.

ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა არ დაუშვას თავისი ქვეყნის საჰაერო სივრცეში საფრენი აპარატები თუ არ არსებობს რაიმე საერთაშორისო შეთანხმება. 1944 წელს მიღებული იქნა ჩიკაგოს კონვენცია – საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, რომლის მიზანია საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლებში სახელმწიფოების თანამშრომლობის ორგანიზება და კოორდინირება. ამ კონვენციის თანახმად შეიქმნა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (Iჩ), რომელიც შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ის საქმიანობას შეუდგა 1947 წელს 26 ქვეყნის მიერ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ. დღეისათვის ამ ორგანიზაციის წევრია 185 სახელმწიფო. საქართველო მისი წევრია 1993 წლიდან. შტაბბინა მდებარეობს მონრეალში. ეს ორგანიზაცია სწავლობს საჰაერო მიმოსვლის პრობლემებს, შეიმუშავებს საჰაერო ფრენის წესებს, რეკომენდაციებსა და სტანდარტებს. მის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი დოკუმენტები საჰაერო მიმოსვლის საკითხებზე.

1946 წელს სამოქალაქო ავიაციის ხაზით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც წარმოადგენდა 1944 წლის ჩიკაგოს შეკრების გაგრძელებას. ამ ორივე შეხვედრის მთავარი მიზანი იყო საჰაერო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება, თვითმფრინავების ექსპლუატაციის, ავიასადისპეჩერო სამსახურისა და საეროდრომო ერთიანი წესების ჩამოყალიბება, ასევე სამგზავრო ფასების დარეგულირება.

საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანის მნიშვნელოვან სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ვარშავის 1925 წლის კონვენცია – საჰაერო გადაზიდვების შესახებ. ამ კონვენციის თანახმად, ავიასატრანსპორტო დოკუმენტს წარმოადგენს ავია ბედნადები, რომელიც ივსება სამ ორიგინალურ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი პირი ეძლევა გადამზიდველს, მეორე განკუთვნილია ტვირთის მიმღებისათვის და მესამე თან ახლავს ტვირთს.

საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვები შეიძლება იყოს რეგულარული, ანუ გამოქვეყნებული განრიგის საფუძველზე განხორციელებული რეისები და არარეგულარული[1], განრიგია, რომელიც ხორციელდება ერთჯერადი ფრენის განხორციელებით. ის შეიძლება იყოს დამატებითი, სპეციალური და ჩარტერული.

მნიშვნელოვანია ასევე ჰააგის 1970 წლის კონვენცია – საჰაერო ხომალდების გადაცემის შესახებ, მონრეალის 1971 წლის კონვენცია – საჰაერო ხომალდზე არაკანონერ აქტებთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც ეხება სამოქალაქო ავიაციის გატაცებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. საქართველო ამ კონვენციებს შეუერთდა 1994 წელს.

საჰაერო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანის საკითხები რეგულირდება აგრეთვე 1952 წლის რომის კონვენციით – მესამე პირისათვის უცხოური საჰაერო ხომალდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და 1963 წლის ტოკიოს კონვენციით – საჰაერო ხომალდის ბორტზე განხორციელებული სამართალდარღვევათა და ზოგიერთი სხვა ქმედების შესახებ.

სახმელეთო გადაზიდვებში ფართოდ გამოიყენება რკინიგზისა და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები.

საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვა-გადაყვანა რეგულირდება 1980 წლის ბერნის კონვენციით – საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ (COTF), რომლის საფუძველზე მიღებულია 1961 წელს ერთიანი წესები სარკინიგზო საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (CIM).

სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვები ხორციელდება სარკინიგზო სატვირთო ბედნადებით, რომლის გამოყენების პირობები და მოთხოვნები ანალოგიურია ავია ბედნადებისა.

საავტომობილო გადაზიდვები რეგულირდება ჟენევის 1956 წლის კონვენციით – ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ, რომელშიც ცვლილებებია შეტანილი 1975 წლის ჟენევის კონვენციის ოქმით[2].

ევროპის ქვეყნებში საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლებში საბაჟო პროცედურის გამარტივების მიზნით, 1959 წელს მიღებული კონვენცია თIღ წიგნაკის საფუძველზე ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ, რომლის ახალი რედაქცია მიღებულია 1975 წლის 14 ნოემბერს. თIღ წიგნაკი გაიცემა საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირში და საბაჟო ხელისუფლებით უფლებამოსილი გარანტიის გამცემი ასოციაციის მიერ.

---

[2]არარეგულარული საჰაერო გადაზიდვები მოწესრიგებულია 1961 წლის გვალადაჰარის კონვენციით

[1]საქართველო შეუერთდა 1999 წელს

სატრანსპორტო საშუალებები ილუქება გამგზავნის საბაჟოში და სატრანზიტო ქვეყნის საბაჟოებში მისი შემოწმება აღარ წარმოებს. თIღ წიგნაკს ადგენენ ყოველი სატრანსპორტო საშუალებისათვის ან კონტეინერისათვის. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ერთი გადაზიდვისათვის. თIღ წიგნაკი შედგება ერთი მწვანე და 6, 14 (ორზე მეტი საზღვრის გადაკვეთისას) ან 20 (6-ზე მეტი საზღვრის გადაკვეთისას) წყვილი (აქვთ კენტი და ლუწი ნომრები) თეთრი მოსახევი ფურცლებისაგან. პირველი ნაწილი ტვირთის მანიფესტია, რომელშიც აღწერილია გადასაზიდი საქონელი, მეორე – მოწმობა-სერთიფიკატი, რომელშიც მითითებულია გადაზიდვის პირობები და მარშრუტი, დადებული ღუქები ან ამოსაცნობი ნიშნები.

ავტოსატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს ზედნადებით, რომელიც გაიცემა სამ ეგზემპლარად. პირველს აბარებენ გამგზავნს, მეორე თან ახლავს საქონელს და მესამე რჩება გადამზიდავს. სხვადასხვა სახის საქონლის გადაზიდვისას ან მისი პარტიებად დაყოფითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისას გამყიდველს ან გადამზიდავს უფლება აქვს მოითხოვოს ტვირთის ყოველ სახეზე, პარტიაზე ან ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე ცალკე გამოწერილი ზედნადები. საავტომობილო ზედნადები არ ითვლება საბრუნავ ან საქონელგანმკარგულებელ დოკუმენტად.

საერთაშორისო გადაზიდვებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები, (ინკოტერმსი), რომელთა საფუძველზე განისაზღვრება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები საქონელბრუნვის სხვადასხვა ეტაპზე (მიმწოდებლის საწყობიდან მიმღების საწყობამდე), აგრეთვე გამყიდველსა და მყიდველს შორის სატრანსპორტო და სხვა თანამდევი ხარჯების განაწილების წესი, რისკის გადაცემის მომენტი და პასუხისმგებლობა გადაზიდვის დროს საქონლის განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში.[2]

გადაზიდვა-გადაყვანის მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზას გარდა ჩამოთვლილი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმების წარმოადგენს საქართველოს მიერ დადებული აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, როგორც საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო ასევე საავტომობილო სფეროში, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში წარმატებით განხორციელდა ბაქო-სუფსის და ბაქო-ჯეიჰანის მილსადენებით გადაზიდვები, რომლებიც რეგულირდება სამთავრობო ხელშეკრულებებით.

მსოფლიოს ქვეყნებში ადრეული დროიდან დიდ ყურადღებას უთმობდნენ გადაზიდვების სამართლებრივ მოწესრიგებას, რომლის სფეროს განეკუთვნება ტვირთების გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა, გადაზიდვის ხელშეკრულებასთან წარმოშობილი სხვა ურთიერთობების ანგარიშსწორების საკითხები, ხელშეკრულებით დადგენილი ურთიერთობების, დარღვევისათვის სანქციების გატარება და ა.შ. გადაზიდვა-გადაყვანასთან წარმოშობილი მრავალფეროვანი ურთიერთობები სატრანსპორტო საშუალების სახეების გათვალისწინებით რეგულირდება, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, აგრეთვე ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით გადაზიდვების საერთო დებულებები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-798 მუხლებში. გადაზიდვის ცნება განმარტებულია 668-ე მუხლში, რომლის თანახმად გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე.

გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანაზე გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება ზედნადების კონოსამენტის (ან სხვა დოკუმენტის) სახით სამ ცალად გადამზიდველისა და გამგზავნის ხელმოწერით. ზედნადების პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამე პირს კი იტოვებს გადამზიდველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 674-ე მუხლით დადგენილია ზედნადების რეკვიზიტები, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ზედნადების გაცემის დღესა და ადგილს;
- გამგზავნის სახელსა და მისამართს;
- გადამზიდველის სახელსა და მისამართს;
- ტვირთის გადაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირთის მიტანის ადგილს;
- მიმღების სახელსა და მისამართს;
- ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს. საფრთხე შემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას;
- გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშნებსა და ნორმებს;
- ტვირთის წონას და სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას;

[2] ზ. ამილახვარი (თანაავტორებთან ერთად) ბიზნესის სამართლის საფუძვლები. თბილისი 2003წ., გვ. 201.

- გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, (გადაზიდვის ფასი, დამატებითი ხარჯები, საბაჟო გადასახადები და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის მოტანამდე);
- საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშნვებს;
- აღნიშვნას იმისა , რომ გადაზიდვა, მიხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის ამ ნორმებს.

გადაზიდვის ურთიერთობების გათვალისწინებითა და საჭიროების შემთხვევაში ზედნადები შეიძლება შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:

- სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას;
- ხარჯებს, რომლებიც გამგზავნი თავის თავზე იღებს;
- ტვირთვის გაგზავნის დროს გადასახდელი დანამატის ოდენობას;
- ტვირთის ღირებულებისა და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას;
- გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირთის გადაზიდვის შესახებ;
- შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა;
- გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს.

მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში შეიტანონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

სამოქალაქო კოდექსით დადგენილია გამგზავნისა და მიმღების უფლებები, ვალდებულებები და პასუხიმგებლობის საკითხები მიყენებული ზიანისათვის. გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე მიტანის ვადის გადაცილებისათვის. ამასთან ერთად გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ან/და ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს. აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.

საქართველოში გადაზიდვები, გარდა საერთო ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებისა რეგულირდება ასევე, სპეციალური ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორიცაა 1997 წლის 15 მაისის საქართველოს საზღვაო კოდექსი, 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს საჰაერო კოდექსი, 2002 წლის 28 დეკემბრის საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, 1995 წლის 4 აპრილის საქართველოს კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საზღვაო კოდექსი პირველი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი არეგულირებს საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელიც გულისხმობს გემების გამოყენებას მგზავრთა გადასაყვანათ, ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდად, თევზისა და სხვა საზღვაო რესურსის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის. საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემი წარმოადგენს საქართველოს კუთვნილებას და მასზე მიუხედავად მისი აღგილსამყოფელისა ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

საზღვაო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულება ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ არის წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტვირთის გადამზიდავი ან განმფრახტველი ვალდებულებას იღებს გადაზიდოს ტვირთი და ჩააბაროს ის მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობს გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი). სამართლებრივი ურთიერთობა ტვირთის გადამზიდავსა და მიმღებს შორის განისაზღვრება კონოსამენტით ან საზღვაო ზედნადებით, რომელიც არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი.

კონოსამენტში აღინიშნება ტვირთის საერთო მახასიათებლები, მისი იდენტიფიკაციისათვის, აუცილებელი ძირითადი მარკები, ტვირთის სახიფათო მითითება, ადგილებისა ან საგნების და ტვირთის წონა და რაოდენობა. ეს მონაცემები მიეთითება გამგზავნის მიერ შემდეგი სახით:

- ტვირთის გარეგნული სახე;
- ტვირთის გადამზიდავის დასახელება და მისი საწარმოს მისამართი;
- ტვირთის გამგზავნის დასახელება;
- ტვირთის მიმღების დასახელება (სახელობითი კონოსამენტი), ტვირთის გაცემა დასახელებული პირის ბრძანებით (საორდერო კონოსამენტი) ან ტვირთის გაცემა კონოსამენტის წარდგენაზე (კონოსამენტი წარმდგენზე);
- დატვირთვის ნავსადგურში ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად და გადამზიდავის მიერ ტვირთის გემზე მიღების თარიღი;
- გადმოტვირთვის ნავსადგური ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად;

- კონოსამენტის დედნების რაოდენობა თუ ის ერთზე მეტია;
- მითითება იმის შესახებ, რომ გადაზიდვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად;
- ფრახტის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს ტვირთის მიმღებმა ან მის მიერ ფრახტის გადასახადთან დაკავშირებით სხვა მითითება;
- კონოსამენტის გაცემის ადგილი და თარიღი;
- ტვირთის გადამზიდავის ან მისი სახელით მოქმედი პირის ხელმოწერა.

საზღვაო კოდექსით ასევე რეგულირდება მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვა. მგზავრის საზღვაო გადაყვანის ხელშეკრულების მიხედვით გადამყვანი ვალდებულია უსაფრთხოდ გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ნავსადგურში. მგზავრის მიერ ბარგის ჩაბარების შემთხვევაში გადამყვანი ვალდებულია გადაზიდოს ბარგი დანიშნულების ნავსადგურში და ჩააბაროს ბარგის მიღების უფლების მქონე პირს. მგზავრი კი ვალდებულია გადაიხადოს მგზავრობის, ხოლო ბარგის ჩაბარების შემთხვევაში მისი გადაზიდვის საფასური.

საზღვაო გადაზიდვების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება დაზღვევა, რომელიც ფორმდება სადაზღვევო ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, რომლის თანახმად მზღვეველი სათანადო საზღაურის (სადაზღვევო პრემია) მიღებით კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულებაში აღნიშნული საშიშროების ან შემთხვევის დროს (სადაზღვევო შემთხვევა) აუნაზღაუროს ზიანი დამზღვევს ან სხვა პირს, ვის სასარგებლოდაც არის გაფორმებული ხელშეკრულება.

საზღვაო კოდექსი ითვალისწინებს გემთმფლობელის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის, რაზედაც დაინტერესებული მხარის მიერ წაყენებული უნდა იყოს პრეტენზია ან სარჩელი.

საქართველოს საჰაერო კოდექსი მე-3 მუხლის თანახმად ეს კოდექსი ვრცელდება:

- საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ყველა საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებზე (საჰაერო ხომალდები) მიუხედავად საკუთრების ფორმის, უწყებრივი დაქვემდებარებისა და ეროვნულობისა;
- საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო საქმიანობით დაკავებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე;
- საქართველოს საჰაერო ხომალდებზე, მათი უცხო სახელმწიფოში ყოფნის დროს, თუ ამ სახელმწიფოს კანონები სხვა ნორმებს არ ითვალისწინებს;
- ყველა იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს საჰაერო ხომალდის ფრენაზე.

საჰაერო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით გადამყვანი ვალდებულებას კისრულობს, მიიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილამდე, ხოლო თუ მგზავრი ჩააბარებს ბარგს, მიიტანოს ის დანიშნულების ადგილამდე და გადასცეს იგი საამისოდ უფლებამოსილ პირს. მგზავრი კი ვალდებულებას კისრულობს გადაიხადოს მგზავრობისათვის დაწესებული საზღვარი, ხოლო ბარგის ჩაბარების შემთხვევაში მისი გადატანის საფასური. მგზავრის გადაყვანის, ბარგის, ტვირთისა და საფოსტო გზავნილების გადაზიდვის ხელშეკრულება დასტურდება შესაბამისი ბილეთით, საბარგო, სატვირთო ან საფოსტო ზედნადებით.

საქართველოს საჰაერო კოდექსით დადგენილია გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, რომელზედაც უნდა წარედგინოს პრეტენზია ან სარჩელი 6 თვის ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით.

სარკინიგზო გადაზიდვები დამოუკიდებელ საქართველოში რეგულირდებოდა 1994 წლის 12 მაისის კანონით სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ, რომელიც გაუქმდა 2002 წლის 18 დეკემბერს მიღებული საქართველოს სარკინიგზო კოდექსით.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის თანახმად კოდექსის მოქმედება ვრცელდება საერთო სარგებლობის სარკინიგზო ლიანდაგებით მგზავრთა გადაყვანაზე, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვაზე. გარკვეული მოთხოვნების შესრულებისას რკინიგზა ვალდებულია განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვა. სარკინიგზო გადაზიდვების ხელშეკრულებას წარმოადგენს ზედნადები, რომლის საფუძველზე რკინიგზა ვალდებულებას იღებს ტვირთგამგზავნის მიერ მისთვის გადაცემული ტვირთი, გადაზიდვის პირობების დაცვით, მიიტანოს დანიშნულების რკინიგზის სადგურამდე და გადასცეს ტვირთამღებს, ხოლო ტვირთგამგზავნი ვალდებულია გადაიხადოს ტვირთის გადაზიდვისა და სხვა მომსახურების გაწევის (სამუშაოს შესრულების) დადგენილი საფასური.

სარკინიგზო კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე რკინიგზა ვალდებულია უზრუნველყოს მზავრების გადაყვანა, დანიშნულების ადგილზე ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის დროულად მიტანა, რკინიგზის ვაგზალსა და სამგზავრო მატარებელში მგზავრის უსაფრთხოება და ხარისხიანი მომსახურეობა, მგზავრობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ბარგისა და ტვირთ-ბარგის დაცვა. ამას-

თან ერთად კოდექსით დადგენილია, რომ მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებით (ბილეთით) რკინიგზა ვალდებულია, უზრუნველყოს მგზავრი სამგზავრო მატარებელში შესაბამისი ადგილით, მიიყვანოს იგი დანიშნულების ადგილამდე და გადაზიდოს მისი ბარგი. მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს მგზავრობისა და ბარგის გადაზიდვის საფასური, ტვირთგამგზავნი კი – ტვირთ-ბარგის გადაზიდვის საფასური.

სარკინიგზო კოდექსით გათვალისწინებულია მხარეთა პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და დადგენილი ვადების დაზღვევისათვის, რაც დგინდება შესაბამისი აქტებით, პრეტენზიებითა და სარჩელებით.

საავტომობილო გადაზიდვები საქართველოში რეგულირდება 1995 წლის 4 აპრილის კანონით – საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ და 1994 წლის 11 ნოემბრის კანონით – საავტომობილო გზების შესახებ.

საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი, ეკონომიკური ორგანიზაციული საქმიანობის საფუძვლები. ამ სახის ტრანსპორტის ამოცანებია:

- გადაიყვანოს მგზავრები და გადაზიდოს ტვირთი;
- გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატრანსპორტო-საექსპედიციო და სხვა სახეობის მომსახურება;
- უზრუნველყოს გადაზიდვის პროცესში ტვირთის დაცვა.

კანონით დადგენილია სპეციალური ნებართვების საფუძველზე საავტომობილო გადაზიდვის შემდეგი სახეები:

- ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა;
- საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი კვოტის ფარგლებში), რომელიც ხორციელდება უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ.

საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საერთაშორისო გადაზიდვების დროს გამოიყენება მილსადენები და ელექტროგადამცემი ხაზები, როგორც ტრანსპორტის სპეციალიზირებული (არაუნივერსალური) სახეობაა. მათი მეშვეობით ხდება ისეთი სასაქონლო პროდუქციის გადაზიდვა, როგორიცაა: ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, სასმელი და სარწყავი წყალი, ელექტროენერგია და სხვა. მილსადენებით ნავთობპროდუქტების გადაზიდვა ეკონომიურად მომგებიანია, ის 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება ვიდრე სარკინიგზო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. ამასთან კაპიტალდაბანდებები უფრო ნაკლებია ორჯერ, ვიდრე სარკინიგზო ტრანსპორტში. გადაზიდვის სიჩქარე დამოკიდებულია მოლსადენის დიამეტრზე და დღე-ღამეში შეადგენს საშუალოდ 70-80 კილომეტრს. მილსადენის ტრანსპორტზე ასევე მაღლა შრომის ნაყოფიერება და ერთ მომსახურე პერსონალზე ის აღემატება 12 მილიონ ტონა კილომეტრს.

საკონტროლო კითხვები

1. გადაზიდვების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.
2. გადაზიდვების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა

10.2. გადაზიდვების ტენდენციები და პერსპექტივები.

საერთაშორისო და ქვეყნის შიდა გადაზიდვები ხორციელდება სხვადასხვა გადამზიდველთა მიერ 1 როგორც ცალკეული სახელმწიფოს ისე კერძო კომპანიების კუთვნილებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების, შესაბამის ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების გამოყენებით.

სატრანსპორტო გადაზიდვის სუბიექტები არიან:

- გადამზიდველები – სახელმწიფო ან კერძო კომპანიები, (რკინიგზა, საზღვაო და სამდინარო სანაოსნოები, საჰაერო და ავტოსატრანსპორტო საწარმოები);
- ტრანსპორტის სხვა აღმინისტრაციული სამეურნეო ქვედანაყოფები (სადგურები, პორტები, აეროპორტები, ნავსაყუდელები და ა.შ.);
- ტრანსპორტის სფეროს მართვის ორგანოები (სამინისტრო, დეპარტამენტი, მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი სატრანსპორტო კომპანიები);
- კლიენტურა (მგზავრები, ტვირთის, ხელბარგის, ბარგისა და ფოსტის გაგზავნები და მიმღებები).

გადაზიდვები ითვლება საერთაშორისოდ თუ ტვირთის გადაადგილება ხორციელდება გამყიდველი და მყიდველი ქვეყნებისათვის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ მყიდველი და გამყიდველი არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები და შესყიდული საქონლის გადაადგილება ხორციელდება სხვა ქვეყანაში. საერთაშორისო გადაზიდვები ხორციელდება მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემისა და მიმოსვლის გზების გამოყენებით. ერთი სახის ტრანსპორტით განხორციელებული საერთაშორისო გადაზიდვა პირდაპირ საერთაშორისო გადაზიდვას წარმოადგენს, ხოლო ორი ან მეტი სახის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, ადგილი აქვს შერეულ ანუ კომბინირებულ გადაზიდვებს.

საერთაშორისო გადაზიდვები კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნით:

- სატრანსპორტო საშუალების სახე (საზღვაო, სამდინარო, სარკინიგზო, საავტომობილო, მოლსადენები და ელექტრო გადამცემი ხაზები);
- სატრანსპორტო ოპერაციის საგანი (ტვირთი, მგზავრი, ფოსტა);
- გადაზიდვის პერიოდულობის მიხედვით (სახაზო, ტრამპული, ნაოსნობა, რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, ჩარტერული გადაზიდვები);
- მიმოსვლის სახე (პირდაპირი, თანმიმდევრული, შერეული ანუ კომბინირებული).

მსოფლიო ტვირთბრუნვაში ძირითადი ადგილი უკავია საზღვაო ტრანსპორტს, რომელსაც განვითარების დიდი ისტორია გააჩნია. ბოლო პერიოდის მონაცემებით საზღვაო ტრანსპორტზე მოდის მთლიანი გადაზიდვების 60%. მსოფლიოში გადაზიდვების მასშტაბებით მეორე ადგილზეა სარკინიგზო ტრანსპორტი, მაგრამ ბოლო წლებში მისი მოცულობითი წილი მცირდება საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებითა და კონკურენციით, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მთელი გადაზიდვების 15% მოდის სარკინიგზო გადაზიდვებზე და 40% კი საავტომობილო ტრანსპორტზე, ხოლო დანარჩენი 35% სხვა სატრანსპორტო სახეობებზე. დსთ-ს ქვეყნებში გადაზიდვები ძირითადად ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტით, რომლის ხვედრითი წილი დაახლოებით 60% შეადგენს, უმნიშვნელოა საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების წილი და ის შეადგენს მხოლოდ 9%-ს. ლათინურ ამერიკაში საავტომობილო ტრანსპორტის წილი მთლიან ტვირთბრუნვაში საკმაოდ მაღლია და შეადგენს 65%-ს. აზიის ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი უდრის 35%-ს.

მსოფლიოში საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 19 მილიონ კილომეტრს აღემატება. მათ შორის 60% ანუ 11,5 მილიონი კილომეტრი მკვრივსაფარიანი ავტომაგისტრალებია. ბოლო მონაცემებით ავტომობილების მსოფლიო პარკი შეადგენს დაახლოებით 470 მილიონ მსუბუქ და 150 მილიონ სატვირთო ავტომობილს. მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 4%-ით. მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების ხვედრითი წილი მთლიან ტვირთბრუნვაში ჩამორჩება საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს, მას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი:

- საქონლის გადაზიდვა გამგზავნის „კარიდან“ მიმღების „კარამდე“;
- სწრაფი მიწოდება დანიშნულების დროს, და ადგილზე;
- ტვირთის უდანაკარგოთ შენახვა და ჩაბარება მიმღებისათვის.

საერთაშორისო გადაზიდვების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია და მიმართულებაა კონტეინერული სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც დიდი ეკონომიკური ეფექტი აქვს. შერეულ გადაზიდვებში, როდესაც ტვირთი მოძრაობს ჯერ სახმელეთო, შემდეგ საზღვაო და ბოლოს ისევ სახმელეთო ტრანსპორტით, იქნება ეს სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრანსპორტი, კონტეინერების გამოყენება დიდ ეფექტს იძლევა.

დღეისათვის კონტეინერებით გადაიზიდება საერთაშორისო ტვირთბრუნვის დაახლოებით 40%, კონტეინერების ბრუნვა კი დაახლოებით 70 მილიონ ერთეულს შეადგენს წელიწადში. მსოფლიოში შექმნილია ტრანსკონტინენტური კონტეინერული ხიდები, რომელიც გულისხმობს, როგორც საავტომობილო, საზღვაო და ჩქაროსნული სარკინიგზო გადაზიდვებს, მათ შორის აღსანიშნავია ტრანსციმბირული, იაპონია-დასავლეთ ევროპა, ტრანსამერიკული, დასავლეთ ევროპა ახლო და შუა აღმოსავლეთის კონტეინერული ხიდები.

1972 წელს მიღებული იქნა კონტეინერებთან დაკავშირებით საბაჟო კონვენცია[1], რომლითაც რეგულირდება კონტეინერების ტრანზიტული გადაადგილების, საბაჟო მოსაკრებლისა და გადასახადის, დროებითი შემოზიდვისა და გადაზიდვის ვადები და კონტეინერებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საერთაშორისო ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საჰაერო ტრანსპორტს, რომლის 90% მოდის ეკონომიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე. ექსპერტების შეფასებით უახლოეს პერიოდში საჰაერო გადაზიდვები კონკურენციას გაუწევენ საზღვაო და სარკინიგზო

[1] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წელს.

გადაზიდვებს, როგორც ყველაზე სწრაფი სატრანსპორტო საშუალება. მოსალოდნელია ცვლილებები საჰაერო გადაზიდვების გეოგრაფიაში. უახლოეს მომავალში ავია გადაზიდვების ძირითადი რეგიონი გახდება აზია, რომელზედაც მოვა საჰაერო მიმოსვლის ნახევარზე მეტი. დღეისათვის ჩინეთიდან საჰაერო გადაზიდვების ზრდის ტემპი ორჯერ აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. მსოფლიო ავია გადაზიდვები ძირითად გადანაწილდება სამ ისეთ ძირითად ალიანსზე, როგორიცა ტარ ლიანცე, ჭორლს და ელტა.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გადაზიდვებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ნავთოპროდუქტების და გაზის გადაზიდვას მილსადენი ტრანსპორტით. მნიშვნელოვანია ასევე ელექტროენერგიით ვაჭრობის მასშტაბების გაზრდასთან ერთად, საერთაშორისო ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენება.

მილსადენების საერთო სიგრძე ეკონომიურად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში შეადგენს 450 ათას კილომეტრს. მათ შორის 330 ათასი კილომეტრი მაგისტრალური მილსადენია. ამ ქსელის დაახლოებით 70% ამერიკის შეერთებულ შტატებშია, 9% ლათინურ ამერიკაში, 7% კანადაში, 5% შუა და ახლო აღმოსავლეთში.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა საერთაშორისო ტვირთბრუნვის მკვეთრი ზრდა. გადაზიდვების გასაუმჯობესებლად მე-20 საუკუნის ბოლოს საფუძველი ჩაეყარა სატრანსპორტო დერეფნების შექმნას. დაგეგმილია ევროპაში 9 სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბება, აქედან ორი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ასრულებს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის როლს. საქართველო – ევროპა – აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრანსეკას პროექტი) მონაწილე ქვეყანაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან პროექტს განეკუთვნება.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა უძველესი დროიდან გამოყენებულია სატრანზიტო სავაჭრო ურთიერთობებში. ამას ხელს უწყობს ასევე კლიმატური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში იქნეს გამოყენებული სატრანსპორტო მაგისტრალები. რეგულარული საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები კასპიის, შავი ზღვისპირა და ხელეთშუაზღვისპირა პორტებით უზრუნველყოფს საქართველოს მონაწილეობას ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სისტემაში, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობებით აკავშირებს მას ევროპისა და აზიის ქვეყნებთან.

ყოველივე ეს განაპირობებს ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას. შესატყვისი ჰარმონიზირებული სატარიფო სისტემისა და სამართლებრივი ბაზის შექმნას. „ტრასეკას“ პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სატრანზიტო სისტემის განვითარებას და მისი ინფრასტრუქტურის სრულყოფას. გერმანელი სპეციალისტების მიერ დამუშავდა „ტრანსეკას“ რეგიონალური პროექტი „საქართველო აზერბაიჯანის სარკინიგზო ინფრასტრუქტურული სრულყოფა“. აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საკონტეინერო გადაზიდვის ახლი ტექნოლოგია „ლოგისტიკური ექსპრესი ფოთი-ბაქო ფოთი და ფოთი-ერევანი ფოთი“, რომელიც დღეისათვის ექსპლუატაციაშია.

საქართველოს საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების გაფართოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის ქვეყნების საბორნე გადაზიდვებს. დღეისათვის ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში აშენებულია და წარმატებით ფუნქციონირებს სარკინიგზო საბორნე გადასასვლელები ფოთი-ილიჩევსკის და ბათუმი-ილიჩევსკის სარკინიგზო ბორანი. ამასთან ერთად ფოთის პორტის მახლობლად მდინარე რიონის სანაპიროზე, ყულევში შენდება ნავთობის ტერმინალი, რომელიც უზრუნველყოფს აზიისა და ევროპის ნავთობის დამატებითი მოცულობების გატარებას.

აღნიშნულთან ერთად საქართველოში ხორციელდება საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვების სისტემის სრულყოფა. უცხოური ინვესტიციებით ხორციელდება ახალი აეროპორტების, ავტობანების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ძველი ტრანსპორტი იცვლება თანამედროვე მაღალი სიჩქარის, კომფორტული და საიმედო სატრანსპორტო საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტურობას.

საკონტროლო კითხვები:

1. გადაზიდვების დახასიათება საექსპორტო სახეების მიხედვით.
2. საკონტეინერო გადაზიდვების მნიშვნელობა და ეფექტურობა.

თავი 11
მიწის საკუთრებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება

„ტყუილად კი არ ეძახიან მიწას დედას, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირი და ლხინიც ის არის.“
Iილია ჭავჭავაძე

წინამდებარე თავში განხილულია მიწის სამართლის არსი და ცნება, მიწის საკუთრებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ის ძირითადი, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც უკანასკნელ წლებში მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ და აწესრიგებს მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

11.1. მიწის სამართლის არსი და ცნება, მიწის საკუთრებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება[1]

მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. მიწის რესურსების განსაზღვრულობა, შეუნაცვლადობა, მოსახლეობის ყოველწლიური მატება, მატერიალური წარმოების განუწყვეტელი ზრდა განსაზღვრავს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია, საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც მყარ სამართლებრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს და წარმოიშობა მიწის გამოყენებისა და დაცვის, მისი განაწილება-გადანაწილების ახალ პირობებში.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა სამართლებრივმა რეფორმამ მიწის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ რადიკალურად შეცვალა საადგილმამულო ურთიერთობა. საქართველოს მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცათ როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ახლებურად წარმოჩნდა მიწების მართვის, რეგისტრაციის, იჯარით გაცემის, ყიდვა-გაყიდვის და ა.შ. საკითხები, რამაც წინა პლანზე წამოსწია სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა.

ფუნქციები, რომელსაც მიწა ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში ასრულებს, განაპირობებს მიწასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებას, ამასთან ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მიწის სამართალს, როგორც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის მრავალმხრივ და რთულ მოვლენას, გააჩნია ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც დამოუკიდებელი ადგილი უკავია სამართლის საერთო სისტემაში. მის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საადგილმამულო ურთიერთობათა სუბიექტების ქცევის ნორმებია.

სამართლებრივი ნორმები ერთგვაროვნების მიხედვით ჯგუფდება გარკვეულ რგოლში და ქმნის სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც არეგულირებს არა ცალკეულ მოქმედებას, არამედ მთელი საადგილმამულო ურთიერთობების

[1] გ. დოღონაძე. ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილისი 2003, გვ 203-212

ერთგვაროვან საქმიანობას. მაგალითად, საიჯარო ურთიერთობათა სამართლებრივი ინსტიტუტი არეგულირებს მიწის იჯარით გაცემის წესს, იჯარის პირობებს, მეიჯარისა და მოიჯარის უფლება-მოვალეობებს.

მიწის სამართლის ზოგადი ნაწილი შედგება საერთო და სპეციალური ნაწილებისაგან. საერთო ნაწილის შემადგენელი სამართლებრივი ინსტიტუტებია: მიწათსაკუთრების, მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, მიწის მართვის და მიწების გამოყოფის უფლება. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორიცაა მიწათმოწყობა, მიწების კონტროლი, მიწის სამართლებრივი დაცვა, რეკულტივაცია, მიწების ნაყოფიერების ამაღლება.

სპეციალური ნაწილის სამართლებრივი ინსტიტუტებია: მიწის ფონდის ცალკეული კატეგორიების დადგენა, მიწების გამოყენების ფორმა (მეურნეობა, კოოპერატივი, ფირმა, გლეხური მეურნეობა და ა.შ.). ასევე ამ ნაწილში შედის მიწის მესაკუთრის, მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელისა და მიწის იჯარის სამართლებრივი ინსტიტუტები და ის ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწების სხვადასხვა კატეგორიის გამოყენებისა და დაცვის უფლებრივ რეჟიმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის სამართლის ზოგიერთი პრინციპის ფორმულირება ასე შეიძლება:

• სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრიორიტეტი სხვა მიწათმოსარგებლეთა კატეგორიებთან შედარებით, რაც განპირობებულია მიწის სავარგულების მნიშვნელობით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საქმეში. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო, სადაც ერთ სულ მოსახლეზე 0,15 ჰექტარი სახნავი მოდის, ხოლო მიწის სავარგულების სტრუქტურაში სახნავს მხოლოდ 10,4 პროცენტი, მრავალწლიან ნარგავებს კი – 3,5 პროცენტი უკავია. აღიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით კი ინტენსიური სავარგულების (სახნავი, მრავალწლიანია ნარგავები) შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა;

- ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც მიწების გამოყენების მეთოდების და წესების შერჩევის საფუძველი;
- მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება. მიწები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რა დანიშნულებითაც გამოეყო ის სუბიექტს;
- ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა ორგანიზაციებზე გაწეული შეღავათები, როდესაც სახელმწიფო უარს აცხადებს გარკვეული ორგანიზაციებიდან მიწის გადასახადის ამოღებაზე;
- საქართველოში მიწის მესაკუთრედ გვევლინებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ყველა კონკრეტულ მიწის ნაკვეთს ერთი მესაკუთრე ჰყავდეს.

სახელმწიფო, როგორც მიწის უზენაესი მესაკუთრე, კონტროლს ახორციელებს მიწების გამოყენებასა და დაცვაზე, არეგულირებს მიწასთან დაკავშირებულ დავებს. ამასთან ერთად, სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს მიწების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას, კერძოდ:

- მიწების აღრიცხვას, მონიტორინგს, კარტოგრაფირებას, მიწათმოწყობისა და ტყეთმოწყობის სამუშაოებს;
- სახელმწიფო მიწის კადასტრის შედგენას;
- მიწების მართვას, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სამსახურების მიერ;
- კონტროლს მიწების გამოყენებაზე;
- საადგილმამულო დავების მართლმსაჯულების უზრუნველყოფას.

როგორც აღვნიშნეთ, მიწის სამართლის საგანია საადგილმამულო ურთიერთობები, რომლებიც წარმოდგენილია ქონებრივი და მმართველობითი ურთიერთობების კომპლექსით. მიწის სამართლის საგნის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ერთი მხრივ მიწა ქონებაა და რეგულირდება სამოქალაქო და საადგილმამულო კანონმდებლობით, მეორე მხრივ კი მიწა როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილების ობიექტი, საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირებისათვის იყენებს ადმინისტრაციული სამართლის მეთოდს. მაგალითად, მიწების ყიდვა-გაყიდვა დაშვებულია სამოქალაქო სამართლის ნორმით, მაგრამ არსებობს მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომელსაც სამოქალაქო სამართალი არ ითვალისწინებს. აკრძალულია ბუნებადაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური ნაკვეთების, სპეცდანიშნულების მიწების და ა.შ. გაყიდვა. სხვა ქონებისაგან განსხვავებით მიწის ნაკვეთის მემკვიდრეებზე მიკუთვნებისას მიწის ნაკვეთის დაქუცმაცების თავიდან აცილების მიზნით მეურნეობის ხელმძღვანელობა ეკისრება ერთ-ერთ მემკვიდრეს, თანამემკვიდრეების ნებართვით. შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. სახელმწიფო სასაზღვრო ბოლსა და შავი ზღვის სამკილომეტრიან სანაპირო

ზოლში, სპეციალური სამთავრობო დადგენილების გარეშე აკრძალულია მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა. ხშირად საადგილმამულო ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით, მაგალითად, დავა საზღვარზე ორ მეზობელს შორის, ღობის გავლებაზე და ა.შ.

საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების დროს ადმინისტრაციულ სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთობათა მონაწილეთა მიერ ჩადენილია სამართალდარღვევები (მაგალითად, მიწის დატაცება და ა.შ).

ამდენად, საადგილმამულო ურთიერთობა რთული ურთიერთობაა, რომელიც შეიძლება დარეგულირდეს, როგოც მიწის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით.

მიწების გამოყენების მრავალფეროვნება და მიწისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, წარმოიქმნება საადგილმამულო ურთიერთობების ნაირგვაროვნება. ერთი სახის ურთიერთობა ყალიბდება სოფლის მეურნეობაში, მეორე – დასახლებულ პუნქტებში, მესამე – სატყეო მეურნეობაში, მეოთხე – მრეწველობაში და ა.შ. ეს კი განაპირობებს საადგილმამულო ურთიერთობათა კლასიფიკაციის აუცილებლობას მიწის ძირითადი სამეურნეო და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით.

სახელმწიფო ვალდებულია მიწების მართვის პროცესში დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მესაკუთრის ინტერესები, ხელი შეუწყოს მიწების ინტენსიურ გამოყენებას და მისი ნაყოფიერების ამაღლებას.

ქვეყნის მიწის მართვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა დაიწყო 1992 წლის 18 იანვარს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის № 48 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ და იმავე წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილებით.

შემდეგ მიღებულ იქნა საადგილმამულო ურთიერთობების რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონი „სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
- საქართველოს 1996 წლის 28 ივლისის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“;
- საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“;
- საქართველოს 1997 წლის 2 ოქტომბრის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“
- 1998 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებად გამოცხადების შესახებ“;[1]
- 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“.[2]
- 2005 წლის 8 ივლისის კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზების შესახებ“:
- 2007 წლის 11 ივნისის კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.“

მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ასევე არეგულირებს სამოქალაქო სამართლის, საგადასახადო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმები.

ავტონომიური რესპუბლიკის მიწის სამართლის საფუძველია არა მარტო საქართველოს მიწის სამართალი, არამედ მათ მიერ გამოცემული კანონები, რომლებიც საქართველოს კანონების საფუძველზე იქმნება. ავტონომიური რესპუბლიკის მიწის სამართალი და მისი სამართლებრივი ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს მიწის კანონმდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბათილად იქნება ცნობილი. ავტონომიური რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან მიწის კანონმდებლობის შედგენისას გაითვალისწინონ ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი, ეროვნული მეურნეობის დარგების სპეციალიზაცია და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

---

[1] ძალადაკარგულია საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონით.

[2] ძალადაკარგულია საქართველოს 2007 წლის 22 ივნისის კანონით

1. მიწის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგში.
2. მიწის სამართლის სისტემა და პრინციპები;
3. მიწის მართვის თავისებურებანი;
4. მიწის სამართლის ძირითადი წყაროები.

11.2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული სამეურნეო დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება:

- კომლის (ოჯახის) საკუთრების წილი სოფლის, თემის, იურიდიული პირის საძოვრების, სათიბების, ტყეების ტერიტორიაზე;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, კომლს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

მიწის რეფორმის დაწყებამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ორი ძირითადი ფორმა ფუნქციონირებდა – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დაფუძნებული სახელმწიფო საკუთრებაზე. ხოლო რაც შეეხება საკარმიდამო მიწებს, იგი გადაცემული ჰქონდათ კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს მუდმივ სარგებლობაში და ისიც სახელმწიფო საკუთრებაში იყო. 1992 წლიდან დაწყებულმა მიწის რეფორმამ ძირეულად შეცვალა აგრარული სექტორის ორგანიზაციულ-სამეურნეო სტრუქტურა. მიწაზე დაფუძნდა საკუთრების ორი ფორმა – სახელმწიფო და კერძო.

სასოფლო-სამეურნეო მიწების სამართლებრივი რეჟიმი ძირითადად არეგულირებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას. მის თავისებურებებს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივად გამოყენებისა და დაცვის გარანტიები. ესენია:

- მიწაზე ამ კატეგორიის ყველა სუბიექტის მთავარი ვალდებულებაა მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფაზე მკაცრი კონტროლის დაწესება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრიორიტეტულობა მიწათმოსარგებლეთა სხვა კატეგორიებთან შედარებით;
- მიწების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის წახალისება, მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის საკმაოდ მკაცრი იურიდიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

მიწის რეფორმის მიმდინარეობის შედეგად სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან კერძო საკუთრებაში გაიცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგი ზღვრული ოდენობით:

- სოფლად მცხოვრებთათვის ბარისა და ვეგნის რაიონებში – 1,25 ჰექტარამდე;
- მთის რაიონებში – 5 ჰექტარამდე, მათ შორის დამუშავებაში მყოფი მიწები 1 ჰექტარამდე;
- ქალაქად მცხოვრებთათვის – საგარეუბნო ზონაში – 0,15 ჰექტარამდე, ბარისა და ვეგნის რაიონებში – 0,25 ჰექტარამდე, მთის რაიონებში 1 ჰექტარამდე, მათ შორის, დამუშავებაში მყოფი მიწები 0,25 ჰექტარამდე.

აღნიშნული ნორმებით განაწილებული და კერძო საკუთრებაში გაცემული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტების მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის მეურნეობების საფუძველს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება დაშვებულია ცივილური წესით, მაგრამ არსებობს გარკვეული ზოგადი შეზღუდვებიც, კერძოდ:

- მემკვიდრეობა სასოფლო მეურნეობაში იხსნება კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალებისას. თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მესაკუთრეს შეუძლია მეურნეობა ანდერძით გადასცეს სხვა პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრისათვის გათვალისწინებულ პირობებს;
- თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მისი გარდაცვალებისას მემკვიდრეობა გადადის სამემკვიდროს დამტოვებლ;ის შვილზე. თუ საკომლო მეურნეობის მემკვიდრეობით მიღების სურვილს განაცხადებს რამოდენიმე მესაკუთრე, უპირატესობა მიენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც;

– უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სამემკვიდროს დამტოვებელთან ერთად უძღვებოდა მეურნეობას ან განაგრძობს ამ საქმიანობას სამემკვიდროს გახსნის მომენტისათვის;
– სამემკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში არ უძღვებოდა მეურენობას, მაგრამ აქვს გამოცდილება და უნარი გაუძღვეს მეურნეობას;
– სამემკვიდროს დამტოვებლის მეუღლეს, სამემკვიდროს დამტოვებლის მშობლებს, თუ სამემკვიდროს დამტოვებელმა მეურნეობა მიიღო მშობლებისაგან ან მათი სახსრებით შეიძინა;
– სამემკვიდროს დამტოვებლის და-ძმას და მათ შვილებს იმ რიგის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი რიგის მემკვიდრეობისათვის:

- თუ სამკვიდროს იღებს უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, მან მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი უნდა გაასხვისოს კანონით დადგენილი წესით;
- თუ სამემკვიდროს გახსნის მომენტისათვის მეურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი იჯარითაა გაცემული, მაშინ მემკვიდრეს, რომელსაც შესწევს უნარი თვითონ გაუძღვეს მეურნეობას, შეუძლია ერთი წლით ადრე გააფრთხილოს მოიჯარე და მისი თანხმობის შემთხვევაში მოშალოს იჯარის ხელშეკრულება;
- იმ პირებს, რომლებმაც მემკვიდრეობით ვერ მიიღეს მეურნეობა ან მიწის ნაკვეთი, აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, კომპენსაციის სახესა და ოდენობას ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ მემკვიდრეები;
- აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- იმ მესაკუთრის მიმართ, რომლებიც ბედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებდა მიწას, არ იხდიდა მიწათსარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაშიც იჯარით არ გასცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფის შეზღუდვის მიზნით კანონით გათვალისწინებულია:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას აუნაზღაურდეს სანაცვლო მიწის ათვისების ხარჯები და ნაკვეთის ჩამორთმევით ან დროებითი დაკავებით გამოწვეული ზიანი, რომელსაც ანაზღაურებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისაც მიწა გამოუყვეს;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ან დროებით დაკავებისას უნდა ანაზღაურდეს: შენობა-ნაგებობათა ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანის ხარჯები, მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება, მიწის ნაყოფიერების აღსადგენი ხარჯები, დაუმთავრებელი წარმოების (ხვნა, თესვა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები) ღირებულება, მოსავლის ღირებულება, დაკარგული მოგება, აგრეთვე მიწის მფლობელისათვის მიყენებული სხვა ზიანი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან ან დროებით დაკავებასთან. აღნიშნულ თანხებს ადგენს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამსახურები ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ერთად;
- ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის ასათვისებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოების საშუალო შეწონილი ღირებულება (საბაზისო ნორმატივები) განისაზღვრა 144286 ლარის ოდენობით, ასევე განისაზღვრა სახნავის პროდუქტიულობის შეფარდებით შესაფასებელი საკადასტრო მაჩვენებელი;
- არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ასათვისებლად მიწის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი იხდის დაწესებული კოეფიციენტების ჯამისა და საწყისი ნორმატივის ღირებულების ნამრავლით მიღებულ თანხას.

საკონტროლო კითხვები:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან კერძო საკუთრებაში გაცემული მიწის ზღვრული ნორმები;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებაში არსებული შეზღუდვები;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ზარალის განსაზღვრის მექანიზმი.

11.3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეგულირება

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით არ გამოიყენება. მის სამართლებრივ რეჟიმში შედის მი-

წათსარგებლობის, ყიდვა-გაყიდვის, რეგისტრაციის, კონსერვაციის, მიწათმოწყობის, კადასტრისა და ქალაქმშენებლობის ნორმატიული აქტები. ასევე სამართლებრივ რეჟიმს განეკუთვნება ნებისმიერი კერძო სამართლებრივი შეთანხმება, რომელიც ეხება მიწის ფლობას, სარგებლობას და განკარგვას.

გადაწყვეტილებას მიწის გაცემაზე იღებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო, კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. სახელმწიფო ნებართვა საჭირო არ არის საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც კანონით არ ექვემდებარება პრივატიზაციას.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საკუთრების მიწა სარგებლობაში ეძლევათ პირდაპირ განკარგვის წესით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება ეძლევათ: პრივატიზებულ საწარმოთა სარგებლობაში არსებულ მიწებზე, ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში დადგენილი წესით გამოყოფილ მიწებზე.

კერძო საკუთრების მინიჭება არ ხდება – საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, მაგისტრალურ მილსადენებზე, დროებით სარგებლობაში გამოყოფილ მიწებზე და ა.შ.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ გამოცხადებულა, უსასყიდლოდ გადადის მათ საკუთრებაში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზეც ის არის განლაგებული.

დასახლებული პუნქტების მიწების სამართლებრივი რეგულირება. დასახლებული პუნქტების მიწებს განეკუთვნება ქალაქების, დაბების, სოფლის პუნქტების ტერიტორიები, მათი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში. მათი ძირითადი მიზნობრივი დანიშნულებაა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა საწარმოო, სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის საჭიროების დაკმაყოფილება.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მიწის გაცემა ხდება შედგენილი გენგეგმების, განაშენიანების პროექტებისა და ქალაქმშენებლობის სხვა დოკუმენტების მიხედვით, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული დასახლებული პუნქტები დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად: ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბებად და სოფლის დასახლებულ პუნქტებად.

ქალაქის, დაბის, სოფლის მიწების განაშენიანება მოიცავს ტერიტორიას, რომელზედც აშენებულია ან ექვემდებარება აშენებას. ამ მიწებზე მკვეთრადაა გამოხატული მისი მიზნობრივი დანიშნულება. მიწები გადაცემული აქვთ წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკეულ მოქალაქეებს, სამრეწველო, საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობების აშენება-ექსპლუატაციისათვის, ნაკვეთები გაიცემა როგორც კერძო საკუთრებაში, ისე სარგებლობის უფლებით.

კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ მიწის ნაკვეთები მიწაზე ნებისმიერი სახის გარიგებით. ნაკვეთის ზომა განისაზღვრება პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტის სიდიდით. მიწის ნაკვეთების გასხვისების წესი განსაზღვრულია კანონმდებლობით აუქციონის, კონკურსის ან პირდაპირი განკარგვის წესით. როდესაც ქონება (შენობა-ნაგებობა) გადადის ერთი მესაკუთრიდან მეორე მესაკუთრეზე, მაშინ მიწის საკუთრების უფლებაც გადადის ახალ მესაკუთრეზე.

ქალაქების, დაბებისა და სოფლების საერთო სარგებლობის მიწები გამოიყენება მიმოსვლისათვის (გზები, ქუჩები, მოედნები) და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად (ბაღები, პარკები, წყალსაცავები, დასასვენებელი ადგილები და სხვ.), რომლებიც კონკრეტულ მოსარგებლეს არ ეძლევა და რჩება თავისუფალ სარგებლობაში. საერთო სარგებლობის მიწების ნაწილი ადგილობრივი მმართველობის მიერ გაცემულია იჯარით სხვადასხვა სახის სავაჭრო ობიექტების, სახელოსნოების, ატრაქციონებისა და სხვათა მოსაწყობად. ამ მიწების გამოყენების რეჟიმი განსაზღვრულია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე განთავსებულია აგრეთვე ბუნების დაცვითი, გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული, საეკლესიო და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები და აგრეთვე ტყეები. ეს მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულად დაცულ მიწებს და მათი გამოყოფა და პრივატიზაცია ხდება მხოლოდ სპეციალური დადგენილებით.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე განთავსებულია მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიწები, რომლებსაც გააჩნია თავისი სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

დასახლებული პუნქტების მიწების, როგორც საერთო, ასევე ოპერატიული მართვა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვისა და სხვა დანიშნულების მიწების სამართლებრივი ნორმები. ამ მიწათმოსარგებლეთა კატეგორიას განეკუთვნება მიწები, რომლებიც გამოყოფილი აქვთ შესაბამის წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. ამასთან, მიწის ეს ნაკვეთები სარგებლობაში ან საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქალაქეებს, ისე იურიდიულ პირებს.

მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, მილსადენების ელექტროგადამცემი ხაზების, თავდაცვის მიწების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საქართველოს მიწის კანონმდებლობით. აღნიშნული ობიექტებისათვის მიწის გამოყოფა ხდება როგორც სახელმწიფო საკუთრების, ისე კერძო საკუთრების მიწებიდან უფასო და ფასიანი გარიგებებით.

კერძო საკუთრების მიწის ფართობზე საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია საჭირო არ არის.

აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, სანამ არ დადასტურდება, რომ ამ ფართობზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო.

ნავთობისა და გაზის საბადოების სუბიექტია საჯარო და კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები. საქართველო ტერიტორიის წიაღში არსებული ნავთობისა და გაზის რესურსები არის სახელმწიფო საკუთრება. საბადოს მოპოვების ადგილი ინვესტორს სარგებლობაში ეძლევა ხელშეკრულებით, ლიცენზიით გარკვეული ვადითა და პირობებით. ფართობი გაიცემა ტენდერის ან აუქციონის წესით. იმ შემთხვევაში, თუ გასაცემ ფართობზე არსებობს კერძო მესაკუთრის ფართობი, ინვესტორმა მასაც უნდა აუნაზღაუროს საფასური. გაცემული ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი.

ინვესტორს უფლება აქვს ფართობი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით. სახელმწიფო უზრუნველყოფს ინვესტორის უფლებების დაცვას. ამ კანონით დადგენილია, რომ თუ 25 წლის განმავლობაში საქართველოს კანონი შეიცვალა, რომელიც გააუარესებს საინვესტიციო პირობებს, არ შეეხება არსებულ ხელშეკრულებას.

ტყის ფონდის სამართლებრივი ნორმები. ძირითადი ნორმატიული აქტები, რომლითაც რეგულირდება ტყის ფონდისა და მისი მიწების გამოყენება, არის საქართველოს ტყის კოდექსი.

საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირი.

ტყითსარგებლობის სახეების მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის განსახორციელებლად აუცილებელია:

- სასოფლო-სამეურნეო მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის იმ მიწებით სარგებლობისათვის, რომლებიც არ განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიას – ხელშეკრულება ან ბილეთი;
- სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობისათვის ნებართვის გაცემა ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებისა და იჯარის კანონების შესაბამისად;
- აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობის გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა;
- თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულია არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების პრივატიზაცია, მათთვის კატეგორიის შეცვლა და მათი იჯარით გაცემა;
- თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა და ხისჭრა სამასალე მერქნის მისაღებად.

კანონმდებლობის მიხედვით ყველა ტყე ექვემდებარება ხანძრისაგან, უკანონო ჭრისაგან, ტყეთსარგებლობის წესების დარღვევისაგან და ავადმყოფობისა და მავნებლობისაგან დაცვას.

სატყეო მეურნეობის სფეროში კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილია იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება უკანონო ჭრების, უკანონოდ ჩატარებული ყიდვა-გაყიდვით, დაგირავების, განზრახ ხანძრის გაჩენისა და სხვა დარღვევებისათვის; დისციპლინარული პასუხისმგებლობა ვრცელდება თანამდებობის პირებზე, როდესაც ირღვევა შრომითი კანონმდებლობა; მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილია სატყეო-სამეურნეო მოთხოვნათა დარღვევის დროს; კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია ტყის ფონდის ნაკვეთის იძულებითი ჩამორთმევა.

წყლის ფონდის მიწების სამართლებრივი ნორმები. საქართველოს წყლის ფონდის მიწას განეკუთვნება: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, არხები, წყალსაცავები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, მყინვარები, ჭაობები, საქართველოს ტერიტორიული წყლები.

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, ამასთან, მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამდინარე ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას. საქართველოში წყალსარგებლობა ფასიანია, გარდა საერთო წყალსარგებლობისა.

წყალმოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. წყალმოსარგებლეს უფლება აქვს გამოყოფილ მიწაზე, ლიცენზიით განსაზღვრული მიზნით, აწარმოოს მეურნეობა. მიწის მესაკუთრეს და მოსარგებლეს უფლება აქვს მის ფართობზე არსებული წყლის ობიექტი გამოიყენოს ლიცენზიის გარეშე მხოლოდ საერთო წყალმოხმარების ფორმით.

წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, სისხლის, მატერიალური და დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ბუნებადაცვითი, ნაკრძალების, გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეჟიმი. ამ მიწების გამოყენების საერთო წესია მკაცრი ეკოლოგიური ნორმების გატარება და სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობების შეზღუდვა. ბუნების დაცვითი მნიშვნელობის მიწების სამართლებრივი რეჟიმი არეგულირებს ისეთი მიწების გამოყენებას, რომელზეც განთავსებულია ბუნებრივი ობიექტები, განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული ფასეულობები. ამ მიწებით სარგებლობა დაშვებულია მხოლოდ სპეციალური გადაწყვეტილებების შემთხვევაში. მიწის ამ სახეობებს გააჩნია თავისი სამართლებრივი სტატუსი და გამოყენების საკუთარი რეჟიმი.

ბუნებრივი ნაკრძალების მიწის ფონდს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები ბუნებრივი კომპლექსებითა და ობიექტებით, რომლებსაც გააჩნია განსაკუთრებული ეკოლოგიური, სამეცნიერო, ესთეტიკური, კულტურული და რეკრეაციული მნიშვნელობა. ამ მიწების მნიშვნელოვან ნაწილზე მთლიანად აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო მოღვაწეობა. სხვა მიწებზე დაშვებულია შეზღუდული სამეურნეო და რეკრეაციული საქმიანობა დადგენილი რეჟიმის შესაბამისად. ამ მიწებზე აკრძალულია:

- ბუნებრივი წიაღისეულის ძიება-დამუშავება და სხვა სახით მიწის საფარის დარღვევა;
- ტყის მთავარი ჭრა, მერქნის, სამკურნალო მცენარეების ტექნიკური ნედლეულისა და სხვათა დამზადება;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება, მეფუტკრეობა, ნაყოფის შეგროვება;
- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, გზების, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა სახის კომუნიკაციების მშენებლობა, რომლებიც დაკავშირებული არ არის ნაკრძალით სარგებლობასთან;
- ქიმიური და სხვა სახის სასუქების გამოყენება;
- ნადირობა, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, პირუტყვის გადარეკვა;
- თვითმფრინავის ფრენა 2000მ სიმაღლეზე დაბლა.

დასაშვებია მხოლოდ მომსახურე პერსონალისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამხმარე მეურნეობის წარმოება.

გამაჯანსაღებელი მნიშვნელობის მიწები მოიცავს სააგარაკო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტერიტორიებს. ამ მიწების სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი ელემენტია სანიტარული დაცვა. ამ მიზნით აღნიშნული მიწების კატეგორიაზე მიკუთვნებული მიწები დაცულია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმით.

საქართველოს საკურორტო ადგილებისა და საკურორტო ობიექტების გასხვისება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მიწების აუქციონით კონკურსის წესით სარგებლობაში გადაცემისას სავალდებულოა ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა.

რეკრეაციული დანიშნულების მიწების ტერიტორია მოიცავს ტურიზმისა და მასობრივი დასვენების ფართობებს. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ასევე საგარეუბნო მწვანე ზონა. ამ ზონის ფარგლებში მაცხოვრებლებისათვის დადგენილია ბუნების გამოყენების შეზღუდული რეჟიმით სარგებლობა. აკრძალულია სამეურნეო მოღვაწეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიაზე და სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციების შესრულებაზე. მწვანე ზონის ტყეებში აკრძალულია მთავარი ჭრები. მშენებლობა ამ მიწებზე შეიძლება მხოლოდ შესაბამისი ორგანოების დადგენილებით, მიწების გამოყოფა დაშვებულია მხოლოდ გემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით.

საკონტროლო კითხვები:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრების უფლება;
2. დასახლებულ პუნქტებში მიწის შეძენის წესი;
3. მრეწველობის მიწებისა და ნავთობისა და გაზის საბადოების სამართლებრივი ნორმები;
4. ტყითსარგებლობის სამართლებრივი რეგულირება;
5. წყალმოსარგებლეთა კატეგორიები;
6. ბუნებათდაცვით მიწებზე სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის პირობები;

თავი 12

ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და განვითარების თანამედროვე ტენდენციები

„ბიზნესი – ეს არის მომხმარებლის შექმნა“
პ.დრიუკერი
„ღმერთსა დაუბერტყავს უხვი კალთა ამ ქვეყნისათვის“
არტურ ლაისტი

ამ თავში განხილულია ტურიზმის მნიშვნელობა, მისი მარეგულირებელი საქართველოს სამართლებრივი სისტემა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციები და საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

12.1 ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და სამართლებრივი რეგულირება[1]

ტურიზმი რეკრეაციული მეურნეობის განუყოფელი ნაწილია და იგი ინტენსიურად ვითარდება ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ადგილებში, დიდ ქალაქებში, კლიმატურად ხელსაყრელ რაიონებში. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში, რომ ხშირად ძნელია ტურისტებსა და დამსვენებლებს შორის მკვრის გავლება.

ტურისტული მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის განვითარების საწინდარია ქვეყნის მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თვითმყოფადი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული თავისებურებანი და სხვა.

საქართველოს უმდიდრესი პირობების შესახებ აღტაცებას გამოხატავდა მსოფლიოს ბევრი ცნობილი ადამიანი. „ღმერთს დაუბერტყავს უხვი კალთა ამ ქვეყნისათვის“; „აქ დაირწა მსოფლიო კულტურის აკვანი“, „სამყაროს შექმნის დროს ღმერთმა შეაგროვა ყველაზე მშვენიერი: თვალის მომჭრელი ცის ფერი, კრისტალივით სუფთა ჰაერი, ციცაბოდ დაშვებული მთის კალთები, ზღვის უძირო ყურეები და მარადმწვანე მცენარეები. ეს განძი გულზე მიიკრა და თვის სამფლობელოსკენ გაეშურა. გზად იგი კავკასიონის მთებზე წამობორძიკდა და მთელი სიმდიდრე დაებნა, ამ ადგილს წარმოიშვა საქართველო“. ასეთი მოსაზრებები და შეფასებები სასიამოვნოა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და გასათვალისწინებელია ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისა და ათვისების პერსპექტივა ტურისტული ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით.

90-იან წლებამდე საქართველოში მოქმედებდა შიდა ტურიზმისათვის განკუთვნილი 65 ტურისტული დაწესებულება 20 ათასი საწოლის ტევადობით, რომლებიც განლაგებული იყო 21 ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე და ყოველწლიურად 800 ათასზე მეტ ტურისტს ემსახურებოდა. სულ არაორგანიზებულ ტურისტებთან ერთად საქართველოში ჩამოსულთა საერთო რაოდენობა წელიწადში 4 მლნ-ს აჭარბებდა. საერთაშორისო ტურიზმის ხაზით კი „ინტურისტის“ 21 დაწესებულება (სასტუმროები, კემპინგები, მოტელები) 300 ათას უცხოელ სტუმარს მასპინძლობდა. საქართველოზე გადიოდა 87 ტურისტული მარშრუტი (მათ შორის 61 საკავშირო მნიშვნელობის).

90-ანი წლების დასაწყისიდან, ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში მთლიანად მოიშალა. როგორც ცნობილია, მეურნეობის საბჭოური მოდელი მატერიალური და შრომითი რესურსების ტოტალური დეფიციტურობით ხასიათდებოდა. ამის მიზეზად ითვლებოდა ის, რომ გეგმიან ეკონომიკაში მთავარი აქცენტი მიმართული იყო მიწოდებაზე

და არა მოთხოვნისადმი. იგნორირებული იყო კონკურენცია, საბაზრო ფასწარმოქმნა, შეზღუდული რესურსების საბაზრო განაწილება. საუკეთესო ეკონომიკურ სტრატეგიად ითვლებოდა „მეტი რა-

[1] გ. ბაბუნაშვილი, ჯ. ძაძუა, ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილისის 2003, გვ. 213-216

ოდენობის საქონლისა და მომსახურების მიწოდება“. საბჭოურმა სისტემამ წარმოშვა დეფიციტის ეკონომიკა.

ასეთ პირობებში ნებისმიერი დარგი, მათ შორის ტურიზმი, დეფორმირებულად და არაკონკურენტუნარიანად ჩამოყალიბდა, რომლის ობიექტური უარყოფითი შედეგები გამოჩნდა საბჭოთა სისტემის დაშლისთანავე. შედეგად, ტურისტულ პროდუქტზე შემცირდა როგორც მოთხოვნა ისე მიწოდება.

ბოლო პერიოდში, მიუხედავად რთული სიტუაციისა, მნიშვნელოვნად იმატა ტურისტთა ნაკადმა საქართველოში. 2000 წელს, 1995 წელთან შედარებით, საქართველოში შემოსულ არარეზიდენტთა რიცხვი 4,5-ჯერ გაიზარდა. 2000 წელს ქვეყანაში სულ შემოვიდა 387,3 ათასი უცხოელი ტურისტი და ვიზიტიორი, მათ შორის დამოუკიდებელი თანამეგობრობის წევრი ქვეყნებიდან – 220,4 ათასი, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან 166,9 ათასი.

„ჯერ კიდევ 1998 წელს საქართველოს მთავრობამ განიხილა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში 1 მილიონი ტურისტის მიღებას. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მაჩვენებელმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა 2005 წელს. იმ წელს საქართველოს 560021 უცხოელი ესტუმრა. 2006 წელს მათი რიცხვი 76%-ით გაიზარდა და 983114-ს მიაღწია, მილიონიან ზღვარს კი 2007 წელს გადააბიჯა. 2008 წელს, აგვისტოს მოვლენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. ომის უარყოფით შედეგებს დაემატა ასევე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ტურისტული ნაკადის შემცირება გამოიწვია.

საქართველოში ტურიზმის განვითარება შეფერხებულია და ამას ბევრი მიზეზი აქვს:

- განუწყვეტელი სამარი რიტორიკა ქვეყანაში;
- ავიაბილეთებისა და სასტუმროების მაღალი ფასი, რომლებიც დამსვენებლებისათვის შეთავაზებულ პირობებს არ შეესაბამება;
- რაღა თქმა უნდა, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და მისი შედეგები, რომელიც საქართველოში უკვე მთელი სიცხადით იგრძნობა.

ტურიზმი მსოფლიოში და საქართველოშიც ერთ-ერთი სტრატეგიული დარგია, რომელსაც ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ექსპერტების გათვლებით, მსოფლიო ეკონომიკის წლის განმავლობაში 4%-ით გაზრდა ტურიზმის სფეროს 6.5%-იან ზრდას იწვევს და პირიქით - ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება ანალოგიურ ჯჭვურ რეაქციას იწვევს ტურიზმის სეგმენტისთვისაც. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, ტურიზმისა და მოგზაურობის სეგმენტი გლობალური GPD -ის 9.9%-ს, მსოფლიო ექსპორტის - 10.9%-ს და მსოფლიო ინვესტიციების 9.4%-ს შეადგენს.

საერთაშორისო ტურიზმის შემოსავალი 2008 წელს 1.9%-ით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობა კი 1.9%-ით (922 მილიონი). UNWTO -ს (United Nations World Tourism Organization) მონაცემებით 2008 წელს საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლებმა 944 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. 2007 წელს ეს მაჩვენებელი 857 მილიარდი დოლარი იყო. ყველაზე მეტი საერთაშორისო ტურისტი (79 მილიონი) ყოველწლიურად საფრანგეთს სტუმრობს. ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების მხრივ საფრანგეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა აშშ, რომელიც მეორეა ტურისტთა რაოდენობის მხრივ. მას მოსდევს ესპანეთი, რომელიც ტურიზმის სფეროდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოსავლების მქონე ქვეყანაა. ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოში მეორე ადგილზე აშშ-ს მერე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე, ხოლო მეხუთეზე ტურიზმიდან შემოსავლების მიღების მხრივ. იტალია პირიქით - მეოთხე ადგილზეა შემოსავლებით, ხოლო მეხუთეზე ტურისტების რაოდენობით.“[1]

საკურორტო-ტურისტული რესურსები არათანაბრადაა განაწილებული მსოფლიოში. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მაღალი კომფორტაბელურობით გამოირჩევიან სუბტროპიკული და ტროპიკული (ნაწილობრივ ზომიერი) სარტყლების ზღვისპირა და ოკეანისპირა ქვეყნები (გამონაკლისია ტროპიკულ სანაპირო უდაბნოთა ოლქები), განსაკუთრებით კი ხმელთაშუა, შავი და კარიბის ზღვების აუზები. საერთაშორისო ტურისტთა 2/3-ს მასპინძლობენ ევროპის ქვეყნები, რომლებიც მდიდარია კულტურისა და ისტორიული ძეგლებით. ევროპის შემდეგ ტურისტების ყველაზე მეტ ნაკადს იღებს ამერიკის შეერთებული შტატები. საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე სწრაფი ტემპით მატულობს აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის (განსაკუთრებით აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ) ხვედრითი წილი, სადაც ტურისტებს იზიდავს ბუნებრივი ლანდშაფტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ტრადიციების ეგზოტიკურობა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორია, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდ ეკონომიკურ სიძნელე-

[1] მ. ღანიაშვილი, გაუგებრობები ტურიზმში, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, № 10(145) 2009 წელი

ებს განიცდიან, რადგან ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, შემოაქვს უცხოური ვალუტა, ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონულ განვითარებას, ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

საერთაშორისო ტურიზმს, როგორც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ ფორმას, დიდი ადგილი უკავია მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმის შემოსავალი მთლიანად მსოფლიოში ერთ ტრილიონ დოლარს უახლოვდება და აღემატება ისეთი ინდუსტრიების შემოსავალს, როგორიცაა ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ტელეკომუნიკაციების აღჭურვილობის ექსპორტი, საფეიქრო პროდუქტების ექსპორტი. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანი რესურსია საქართველოს უარყოფითი საგადამხდელო ბალანსის შესამცირებლად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინა წლებში საქართველო ტურისტების დიდ რაოდენობას იღებდა, თავისი უნიკალური ბუნების წყალობით, შესაძლებელია მსოფლიო სტანდარტების დონეზე ტურიზმის ორგანიზების შემთხვევაში, საქართველო გადაიქცეს ტურიზმის ქვეყნად.

ჩვენი ქვეყნის დიდ პერსპექტივაზე მეტყველებს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზი, რომლის გათვლებითაც საერთაშორისო მგზავრობა მსოფლიოში 2010 წელს მილიარდ ადამიანს მიაღწევს, შემოსავალი კი საერთაშორისო ტურიზმიდან 2010 წელს 1,550 მილიარდი დოლარი გახდება.

ისრაელის ექსპერტთა მიერ დამუშავდა საქართველოში ტურიზმის განვითარების პროგნოზული მაჩვენებლები 2005 წლისათვის. მათი აზრით, საქართველოს აღნიშნული პერიოდისათვის შეუძლია მიიღოს 1 მილიონი ტურისტი, რომელიც ქვეყანას მოუტანს 1 მილიარდ აშშ დოლარის შემოსავალს. ამისათვის საჭიროა 200-მდე თანამედროვე ტიპის სასტუმრო 300 ათასი მოქმედი ოთახით, რაც საჭიროებს 100 მლნ დოლარის ინვესტიციას ტურიზმის ინფრასტრუქტურაში. მათ მიერ დამუშავებული მოდელით ტურიზმში დასაქმდება 100 000 კაცი, მათ შორის სასტუმროში – 30 000 კაცი, ხოლო ტურიზმის სხვადასხვა სფეროში – 70 000 კაცი.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს მსოფლიო ტურიზმის პოლიტიკაში და არის ტურიზმის ნოუ-ჰაუს პრაქტიკული წყარო, მისი ძირითადი მიზნებიც მიმართულია ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ამასთან, ახორციელებს სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ეკონომიკურ ანალიზს, ბაზრის შესწავლას და ჯეროვან ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებაში დადებით როლს ასრულებს მოსახერხებელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, იგი ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობითაა დაკავშირებული დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან, შავ ზღვაზე გასასვლელი კი მას საშუალებას აძლევს კავშირი დაამყაროს ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან, რომლებიც მსოფლიოში გამოირჩევიან როგორც უმნიშვნელოვანესი საკურორტო-ტურისტული ცენტრები.

საქართველოში დიდი პერსპექტივებია ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარებისათვის. ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება შეუძლია სპელეოტურიზმს, სადაც მიწისქვეშა მღვიმეთა ობიექტების საერთო ფართობი 5000 კმ^2 მოიცავს. მათი მოწყობა და გამოყენება საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის სპელეოტურიზმის ცენტრად აქცევს.

საქართველო საინტერესოა სამეცნიერო-შემეცნებითი და სამონადირეო ტურიზმის განვითარების მხრივაც. უნიკალური ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალობა ბიომრავალფეროვნების აღქმისა და შესწავლის კარგი საშუალებაა. მსოფლიოში სამონადირეო ტურიზმი მაღალშემოსავლიანია, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისათვის. სანაკრძალო მეურნეობისა და დაცული ტერიტორიების ახალ სისტემაში, რომელიც ფეხს იკიდებს საქართველოში, შესაძლებელია სამონადირეო ტურიზმის განვითარება.

ნებისმიერი ბიზნესი, როგორც წესი, სამომხმარებლო ბაზრის შესწავლით იწყება და მის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული ბიზნესის წარმატება. ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა მომსახურებისა და საქონლის ბაზრის ნაწილია. ტურისტული ბაზრის ძირითადი მახასიათებლები გვეხმარება გავაანალიზოთ სტრუქტურა და დავსახოთ მისი შემდგომი განვითარების ეტაპები.

სახელმწიფოს ეკონომიკის ნებისმიერი დარგის (მათ შორის ტურისტული და საკურორტო მეურნეობის) შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა შემუშავდეს ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის განვითარების გეგმა და განისაზღვროს სახელმწიფო და კერძო სექტორების როლი შედგენილი გეგმის შესრულებაში. ამ საკითხის გადაწყვეტაში კი დიდი როლი აკისრიათ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, გადაწყვეტილებებით და კანონებით ხელს უწყობენ ტურიზმის პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. 1997 წლის 6 მარტს საქართველოს პარლამენტის

მიერ მიღებულია კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ[1], რომლის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს. სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

საქართველოს პარლამენტი:

- განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ტურიზმისა და კურორტების დარგში და ახორციელებს მის საკანონმდებლო რეგულირებას;
- ამყარებს საპარლამენტთაშორისო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ტურიზმისა და კურორტების დარგში.

საქართველოს პრეზიდენტი:

- უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ტურიზმისა და კურორტების დარგში;
- დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოსა და შესაბამისი სამსახურების წარდგინებით ამტკიცებს სანიტარული დაცვის ზონებს:
- ითვალისწინებს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ინტერესებს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებისას, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს კურორტების ნუსხას და სტატუსს.

2009 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/2707 ბრძანებით დამტკიცებული იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულება, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, მისი ძირითადი ამოცანებია:

- ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში იმ აზრის დამკვიდრებაზე ზრუნვა, რომ ტურიზმი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანეს საშუალებას;
- ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება, განხორციელება;
- ტურიზმისა და კურორტების სფეროს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია;
- საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის შექმნა;
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარდგენა საერთაშორისო პროფესიონალურ და სამომხმარებლო ბირჟებზე, გამოფენებსა და ბაზრობებზე;
- კერძო სექტორისათვის დახმარების გაწევა საგარეო იმიჯის პოპულარიზაციაში;
- ტურიზმის სფეროს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა;
- უცხოეთის ქვეყნებთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარების მიზნით საერთაშორისო სამთავრობათაშორისო შეთანხმებების მომზადებასა და რეალიზაციაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს და უცხოეთის სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ტურიზმის განვითარების სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შემუშავება, განხორციელება და განხორციელების ხელშეწყობა;
- ტურიზმისა და კურორტების სფეროში, მსოფლიოში აპრობირებული, ინსენტიური (წამახალისებელი და არა აკრძალვითი) მეთოდით სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შემუშავება და მათი პრაქტიკაში დანერგვა;
- საქართველოს ტურისტული, საკურორტო და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების მეშვეობით;
- მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული და საკურორტო ობიექტებით შექმნის პროექტების შეთანხმებაში მონაწილეობა;
- ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

[1] ამ კანონის მიღებამდე საქართველოში მოქმედებდა 1995 წლის 1 ივნისს მიღებული კანონი ტურიზმის შესახებ.

- არსებული და პერსპექტიული კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტატული დაცვის ზონების პროექტების დამუშავება;
- კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხისა და სტატუსის შემუშავება;
- ტურიზმისა და მომსახურების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა ამ სფეროში, რომლითაც აშენდა მრავალი სასტუმრო და შეიქმნა სხვა ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო ყოველმხრივ ხელს უწყობს ამ დარგის ბიზნესის განვითარებას, გასცემს შეღავათიან კრედიტებს, აღდგენილი იქნა ბევრი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შექმნილია ლიბერალური საგადასახადო გარემო და ტარდება სხვა კომლექსური მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით.

საკონტროლო კითხვები:

1. ტურისტული ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები;
2. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში;
3. საერთაშორისო ტურიზმის როლი საგადასახადო ბალანსში;
4. ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები.

12. 2. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები და ტურიზმის განვითრების პოტენციალი საქართველოში

საქართველოს 1997 წლის 6 მარტის კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ განმარტავს, რომ ტურიზმი არის ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისის საცხოვრებელი ადგილის დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და ან სხვა მიზნით.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ტურიზმი მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდა, როგორც ეკონომიკის სწრაფად განვითრებადი ძირითადი დარგი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოტანას, სამუშაო ადგილების შექმნასა და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითრებას.

სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, ტურიზმს განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნია. მისი განვითრება სტიმულს აძლევს მსხვილი ინვესტიციების შემოტანას ქვეყანაში, მათ მოზღვავაებას ინფრასტრუქტურაში, რომელთა დიდი ნაწილიც ხმარდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ტურისტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლებს, გადასახადების სახით.

ტურიზმი ხელს უწყობს სამუშაო ადგილებისა და საწარმოების გაფართოებას, რაც ეკონომიკური შესაძლებლობების ბრდის დაბალანსების საშუალებას იძლევა. კულტურული კავშირები და პირადი მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან ტურისტული გაცვლების შედეგად, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებაში და ხელს უწყობენ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას მთელს მსოფლიოში.

ტურიზმი ადამიანის დროებითი გადაადგილებაა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ქვეყანაში ან თავისი ქვეყნის ფარგლებში სიამოვნებისა და დასვენების, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი, სასტუმრო, რელიგიური ან პროფესიულ-საქმიანი მიზნებით, ადგილობრივი საფინანსო წყაროებიდან ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე.

სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნულ კანონებსა და ნორმატიულ აქტებში, რომლებიც ტურიზმს და მის მომიჯნავე დარგების საქმიანობას არეგულირებენ, ტურიზმისა და ტურისტის განმარტებების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამ განმარტებებზე და კატეგორიების განსაზღვრაზე კი დიდ გავლენას ახდენს პირველ რიგში პოლიტიკა და შემდგომ უკვე ეკონომიკა.

ტურიზმის დარგში პირველ საპარლამენტთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1989 წლის აპრილში გაიმართა ჰააგაში, აღინიშნა, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ხალხთა და ცალკეულ პირთა ურთიერთგაგების გაღრმავებას, წარმოადგენს მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. თანამედროვე პირობებში ტურიზმი გახდა მსოფლიო ეკონომიკური განვითრების მძლავრი საშუალება. ტურიზმმა, ოგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთმა მძლავრმა ფორმამ, მიიღო უდიდესი მასშტაბები; იგი ახდენს ძირეულ გავლენას სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე. იგი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში.

ტურიზმში გამოყოფენ შემდეგ ძირითად სახეებს:

- რეკრეაციული;

- ბიზნეს ტურიზმი;
- შემეცნებითი და სხვა.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ტურისტული კავშირები და საერთაშორისო მოგზაურობები იღებენ სამართლებრივ რეგულირებას. ტურისტულ ურთიერთობებს განსაზღვრავენ სამართლებრივი ნორმები და პრინციპები. ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი-საერთაშორისო ტურისტული სამართალი.

საერთაშორისო ტურისტული სამართალი იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმისა და საერთაშორისო მოგზაურობების დარგში სახელმწიფოთა ურთიერთობებს ადამიანთა კულტურული და სულიერი მოთხოვნულებების დაკმაყოფილების მიზნით. საერთაშორისო ტურისტული სამართლის სუბიექტები არიან სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ტურიზმის დარგში საერთაშორისო ხელშეკრულებაში, გაეროს საპროგრამო დოკუმენტებში, აკაპულკოს დოკუმენტში (1982 წლის აგვისტო) ტურიზმის ქარტიაში (1985 წლის სექტემბერი, ტურისტის კოდექსში (1985 წლის სექტემბერი), და სხვა დოკუმენტებში განსაზღვრულია ტურისტული სამართლის ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები. იგი ემყარება საერთაშორისო სამართლის ძირითად დებულებებს.

საერთაშორისო ტურისტული სამართლის ძირითადი პრინციპებია:

- მთელს მსოფლიოში აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება დასვენების, თასვისუფალი დროის გამოყენებისა და სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვის აგრეთვე უფლება თვისუფალი, შეუზღუდავი გადაადგილებისა;
- თავისუფალი გადაადგილების უფლება და დისკრიმინაციის გამორიცხვა. შემეცნებითი, სამეცნიერო, კულტურული და სპორტული მიზნით ტურისტული მოგზაურობების წახალისება;
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის ხელისშეწყობა, აგრეთვე სამეცნიერო ტურისტული საქმიანობის სხვადასხვა მხარის კოორდინაცია;
- ტურისტები თავიანთი ქცევით უნდა განამტკიცებდნენ ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მეგობრულ ურთიერთობებს როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე,რითაც ხელს შეუწყობენ მშვიდობის შენარჩუნებას;
- ტურისტებმა ხელი უნდა შეუწყონ ტურისტული შეგნების ამაღლებას და დამთვალიერებელთა კონტაქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთგაგების გაღრმავებისა და მნეობრივი ურთიერთგამდიდრების მიზნით;
- ტურისტებმა არ უნდა დაუშვან სხვა პირთა ექსპლოატაცია პროსტიტუციის მიზნით. თავი შეიკავონ ნარკოტიკული თუ სხვა აკრძალული პრეპარატების ვაჭრობისაგან, მათი გადატანისა და გამოყენებისაგან;

ტურისტული ორგანიზაციები კვალიფიცირდება შემდეგი ნიშნებით:

- ეროვნულ-ტერიტორიული: საერთაშორისო, რეგიონული, ეროვნული ხასიათით;
- საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი: სამთავრობო, საზოგადოებრივი, კერძო;
- საქმიანობის სახეების მიხედვით: მარეგულირებელი, მიმწოდებელი, საბაზრო აგენტები, კონსულტანტები, სავაჭრო და სამომხმარებლო ორგანიზაციები;
- საქმიანობის სფეროს მიხედვით: სატრანსპორტო, ტურისტული აგენტები, ტუროპერატორები, პროფკავშირები.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია დღეისათვის ყველაზე ცნობილი და აღიარებულია ტურისტულ სამყაროში. იგი დაფუძნდა 1975 წლის 2 იანვარს ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო არასამთავრობათშორისო გაერთიანების მსოფლიო ტურისტულ სამთავრობათშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის გზით. საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებდა გაეროს პატრონაჟით. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წესდება მიღებულია 1975 წის 27 სექტემბერს. ეს თარიღი 1980 წლიდან აღინიშნება, როგორც ტურიზმის მსოფლიო დღე.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მანილის საერთაშორისო კონფერენცია ტურიზმის შესახებ. იგი გაიმართა 1980 წლის 27 სექტემბერი - 10 ოქტომბერს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია- ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს პარლამენტმა, გაითვალისწინა რა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოში ტურიზმის განვითარების

დაჩქარებისათვის 1994 წლის 27 იანვარს მიიღო დადგენილება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიისა და ტურისტული კოდექსის აღიარების თაობაზე.

საქართველოში ტურიზმის განვითარება მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტობრივად, იგი მასშტაბურ ხასიათს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალსა და სხვა ქალაქებში დაიწყო კურორტების აღმშენებლობის პროცესი ბორჯომ-ბაკურიანში, გაგრაში, ქობულეთში, ბათუმში, წყალტუბოში აბასთუმანში, გუდაურში და სხვა მიმზიდველია ტურიზმისათვის.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ფრანჩესკო ფრანჯიალიმ 1998 წელს, როდესაც პირველრად ნახა საქართველო, აღფრთოვანებულმა აღნიშნა: „მე ვნახე საქართველო და დავრწემუნდი, რომ ეს საოცარი პატარა ქვეყანა განწირულია დიდი ტურიზმისათვის.” ამ სიტყვებით ბატონმა ფრანჯიალიმ აღიარა რომ ტურიზმი საქართველოს მომავალია.

საქართველო ევროპისა და აზის შესაყარზე მდებარეობს, სიახლოვის გამო საქართველოში მოგზაურობა მოსახერხებელია, როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნების მაცხოვრებელთათვის. ქვეყანა დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ბუნებით , თბილი კლიმატით, რბილი ჰავით, 756 ტბით და 26 000-ზე მეტი მდინარით, ჩანჩქერებითა და უნიკალური პირველქმნილი ლანდშაფტებით. საქართველოში წარმოადგენილია დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა კლიმატი ტროპიკულის გარდა.

საქარათველოში 300-მდე კურორტი და საკურორტო ადგილია. 1500 ისტორიულ - კულტურული ძეგლია. ქვეყანა განსაკუთრებით მდიდარია მინერალური და თერმული სამკურნალო წყლებით, საქართველოში ასეთი 2400 წყაროა. სამკურნალო ტალახები, კარსტული მღვიერები, შავი ზღვის სანაპირო, დიდ და მცირე კავკასიონის მწვერვალები, კლიმატის მრავალფეროვნება და სხვა.

საქართველო სპეციალისტების მიერ აღაირებულია ღვინის სამშობლოდ. ქვეყნის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებულია ვაზის სასხლავი იარაღი, რომელიც დამზადებულია ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულში. მსგავსი სიძველე მსოფლიოში არსად არ არის აღმოჩენილი.

საქართველო ამჟამად მსოფლიოში აღიქმება, როგორც ახალი ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა მოგზაურთათვის თუ იურისტთათვის. ქვეყნის მონახულების სურვილს უფრო აძლიერებს 1999 წელს განხორციელებული მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისთან ახლოს, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჰომო-ერექტუსის ჩონჩხის ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდება 1 მილიონ შვიდასი ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოდ იქცა.

საქართველოს გააჩნია უნიკალური მთათა სისტემა, კავკასიონი. იგი გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთები უაღრესად ხელსაყრელია სამთო სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. ტურისტებსა და სამთო სათხილამურო სპორტის მოყვარულებს შორის ძალზე პოპულარულია ცენტრები ბაკურიანსა და გუდაურში.

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით. საქართველოში ამჟამად 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთან რაიონებში.

პირველქმნილი ბუნების მსოფლიო ფონდის ექსპერტის დოქტორ მიხაილ ზუკოვის სიტყვებით: „ევროპის არცერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა, როგორც საქართველოს. ევროპის ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მცირე ტერიტორიაზე რელიეფის ისეთ მრავალფეროვნებას, როგორც საქართველოში. ამასთანავე, ევროპაში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ისინი ბუნებრივი ლანდშაფტების პირველქმნილი სახით იქნება შემონახული.” საქართველოში განზრახულია 7 ეროვნული პარკის შექმნა. ამათგან უკვე შექმნილია ბორჯომ-ხარაგაულის და ლაგოდეხის პარკები.

საქართველოში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ ნახონ არა მხოლოდ ულამაზესი ბუნება არამედ 12 ათასი ისტორიული ძეგლი, რომელთაგან ხუთი ათასს იცავს სახელმწიფო. 1994 წლიდან 4 მათგანი შესულია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაში.

საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი მუზეუმი, გელათის სამონასტრო კომპლექსი; ბაგრატის ტაძარი, უშგულის არქიტექტურული ანსამბლი. ტურისტულ პროგრამებში შესულია ანტიკური ხანის ნაქალაქები: არმაზი, ციხე-გოჯი, უფლის ციხე, და სხვა.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არცერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა ისე არ დაზარალებულა, როგორც ეს მოხდა საქართველოში. რეგიონული კონფლიქტების შედეგად ქვეყანამ მიიღო 300 ათასზე მეტი იძულებით

გადაადგილებული პირი, რომლებიც სახელმწიფომ მოათავსა სასტუმროებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ა. შ. რამაც გამოიწვია ტურისტული ბიზნესის სრული პარალიზება.

დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ტურიზმისა და კურორტების სექტორში განხორციელდა ტოტალური პრივატიზაცია, რომლის დროსაც არ იქნა გათვალისწინებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები. ამ პერიოდში ინვესტორების ოდენობა შედარებით მცირე იყო და მოხმარდა სახელმწიფოსაგან ტურისტული და საკურორტო ობიექტების გამოსყიდვას.

ზოგადად, ტურიზმის ინფრასტრუქტურა რთული მექანიზმია და ის თავისთავში გულისხმობს არამარტო სასტუმროებს, არამედ სანატორიუმებს, ტურისტთა დასასვენებელ სახლებსა და სხვა საშუალებებს. როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის ინფრასტრუქტურაზე, აქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს საკურორტო-რეკრეაციულ პოტენციალს, რომლის მოვლაც სახელმწიფოს ფუნქციაა.

აღნიშნული ბუნებრივი რესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლითაც უნდა გამოირიცხოს შიდა ეთნიკური კონფლიქტები და სხვადასხვა დაპირისპირებები, ნებისმიერი საომარი მოქმედებები შესაძლებლობას მოგვცემს მაღალ და ეფექტურ დონეზე განვითარდეს ტურისტული ბიზნესი, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

საკონტროლო კითხვები:

1. ტურიზმის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციები;
2. საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითრების პერსპექტივები.

თავი 13

ბიზნესის განვითარება და ბუნებრივი გარემოს დაცვა

„რადგან ადამიანი მოკვდავია, მისთვის უკვდავების ერთ-ერთი საშუალება ისაა,რომ რამე დატოვოს ისეთი, მუდამ რომ იცოცხლებს“

ფოლკნერი

13.1. გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები[1]

მოცემულ თავში განხილულია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობა, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი, გარემოს დაცვა და ზოგიერთი ტექნოლოგია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი რეგულირება.. აგრეთვე, გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები, მოქმედი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები ბუნების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ძირითადი და განუყოფელი მიმართულებაა გარემოსდაცვითი პოლიტიკა. სამართლებრივი იდეა, ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ, უძველეს ხანაში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა. საქართველოში ბუნების დაცვის ელემენტები ოდითგანვე არსებობდა. სხვადასხვა წყაროში გვხვდება „მონადირენი“, „ტყის მცველნი“. ცნობილია, რომ თამარ მეფის კარზე იყო თანამდებობა „ტყეთუხუცესი“, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული და სამონადირეო ტყის დაცვას. ბუნების სამართლებრივი დაცვა აღწერილია ასევე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“, „ჰსჯულთა კრებულში“. დემოკრატიულ საქართველოში მიღებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტი. მაგალითად, 1918 წლის 26 დეკემბერს გამოიცა პირველი დეკრეტი მიწის, ტყისა და წყლის შესახებ, ხოლო 1919 წლის 28 იანვარს – კანონი მიწის საკუთრების შესახებ.

გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, დაწყებული 1970-იანი წლებიდან. 1990-1995 წლებში სოციალური პრობლემების გამწვავებამ, სამოქალაქო ომმა და შიდა სახელმწიფოებრივმა კონფრონტაციებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან ერთად, დიდი დაღი დაასვა გარემოსდაცვით პოლიტიკას. მოიშალა მართვის სისტემები და ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, კრიზისმა გარემოსდაცვითი პოლიტიკაც მოიცვა. საქართველოს ბუნებრივ რესურსებს დიდი ზიანი მიაყენა ასევე 2008 წლის აგვისტოს ომმა, რომლის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა ბორჯომის რეკრეაციული ზონის ტყის მასივის დიდი ნაწილი.

ეროვნულ დონეზე, ეკონომიკის მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები აისახა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში. მდგრადი განვითარების პრინციპებს ეფუძნება ასევე 1996 წლის10 დეკემბერს მიღებული კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ქმნის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთიანი სისტემის ფორმირების სამართლებრივ საფუძველს. თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული არაა გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, გარემოს დაცვის მოქმედებათა რეგიონული, ადგილობრივი დაუწყებრივი პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედგენის წესი და პერიოდულობა. გარდა მითითებული სამართლებრივი ნორმებისა, გარემოს დაცვის საკითხებზე

[1] გ. ბაბუნაშვილი, ჯ. ძაძუა, ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილითი 2003, გვ.217-228

მიღებულია შემდეგი საკანონმდებლო აქტები :1994 წლის 28 მაისს კანონი მიწის რეგისტრაციის და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ;

- 1996 წლის 20 მარტს მიღებულია კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- 1996 წლის 15 ოქტომბერს მიღებული იქნა კანონი გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ;
- 1997 წლის 17 ოქტომბერს წყლის შესახებ;
- 1998 წლის 25 ივნისს კანონი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ;
- 1999 წლის 22 ივნისს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

საინტერესოა მოქმედი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსი ბუნების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ეკოლოგიური მიდგომების ასახვა ახალ კონსტიტუციაში, მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა; მეტეოროლოგიური სამსახური; მიწის, წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა“.

ბუნების დაცვის სფეროში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ჩაისახა ამ საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

- ცალკეული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და მოქმედების კოორდინაცია;
- ორი ან რამოდენიმე ქვეყნის თანამშრომლობა ცალკეული ობიექტის დაცვის ერთობლივი მოქმედების მიზნით (მაგ., შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა მისი გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად).
- მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობა გარემოს გლობალური ამოცანების გადასაწყვეტად.

ცალკეულ ქვეყანაში მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცივილიზებული ქვეყნების ურთიერთობების დასარეგულირებლად. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკვე 85 ქვეყანაზე მეტმა ხელი მოაწერა კონვენციას „გარეული ფაუნისა და ფლორის გადაშენებადი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ამან ხელი შეუწყო მრავალი იშვიათი მცენარისა და ცხოველის გადარჩენას.

საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ურთიერთობები მოიცავს გლობალურ, რეგიონალურ და ორმხრივ კონვენციებს.

ნებისმიერ კონვენციასთან მიერთება გულისხმობს ამ კონვენციის დებულებათა იურიდიულ აღიარებას სახელმწიფოს მიერ. საქართველო მიერთებულია შემდეგ კონვენციებთან:

I. გლობალური ხელშეკრულებები:

- ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია. მიღებულია 1992 წელს გაეროს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო სამიტზე. საქართველო შეუერთდა 1994 წელს.
- კლიმატის ცვლილებები ჩარჩო-კონვენცია, მიღებულია 1992 წელს, საქართველო შეუერთდა 1996 წელს. მიმდინარეობს კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის შემუშავება გაეროს განვითარების პროგრამის გრანტით
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ და მონრეალის ოქმი.
- ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1996 წელს. წყალჭაობიანი ტერიტორიების დაცვის კონვენცია (ე.წ. რამსის კონვენცია), საქართველო შეუერთდა 1996 წელს.

II. რეგიონული ხელშეკრულებები:

- შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია (ე.წ. ბუქარესტის კონვენცია, 1992წ.).

III. ორმხრივი ხელშეკრულებები: 1997 წელს დაიდო ორმხრივი სამთავრობო ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და საბერძნეთთან.

1981 წლის ოქტომბერში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის მორიგ სხდომაზე, ხმების დიდი უმრავლესობით მიიღი რეზოლუცია სახელმწიფოთა ისტორიული პასუხისმგებლობის შესახებ თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის დედამიწის ჯანსაღი ბუნების შესანარჩუნებლად.

გარემოს დაცვა სხვადასხვა სირთულისა და მასშტაბების პრობლემების კომპლექსს მოიცავს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბუნების დაცვის ორგანიზაციის მრავალწახნაგოვან სტრუქტურას, რომელშიც გამოიკვეთება ორი ძირითადი ფორმა:

- ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ორმხრივი და მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები გარემოს

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე;[1] ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული ორგანიზაცია „ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი“ (რომლის შტაბბინა შვეიცარიაშია), შეიქმნა 1948 წელს. მას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაეროს მთავარ ორგანოებთან (იუნესკოსთან,ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან, ფაოსთან). იგი 116 ქვეყანას აერთიანებს (მათ შორის საქართველო), მასში შედის 500-ზე მეტი სამთავრობო, სამედიცინო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, 24 საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი გამოსცემს საერთ შორისო წითელ წიგნს, სადაც შეტანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) გადაშენების პირას მდგარი მცენარეებისა და ცხოველების დასახელება.[2]

1970 წელს, სამეცნიერო კავშირების სამეცნიერო საბჭომ XIII გენერალურ ასამბლეაზე დააარსა ახალი საერთაშორისო ორგანო - გარემოს შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი, რომლის სამოქმედო პროგრამა მოიცავს 7 საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით პროექტს გარემოს დაცვის სფეროში. იმავე წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის XVI სესიაზე მიიღეს იუნესკოს ახალი საერთაშორისო, მთავრობათაშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“, რომლის ეროვნული კომიტეტი საქართველოში შეიქმნა 1978 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მეცნიერებისა და ტექნიკის იმდროინდელი უწყებების ერთობლივი დადგენილებით.

1973 წლიდან ამოქმედდა ახალი სპეციალიზირებული უწყება - „გარემოს დაცვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიოსფეროს მდგომარეობისა და შეცვლაზე მეთვალყურეობა (მონიტორინგი) და დასაკვირვებელი სადგურების საერთაშორისო სისტემის შექმნა.[3]

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება შავი ზღვის ქვეყნების გააქტიურება შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების მიმართ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1993 წელს - შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების დეკლარაცია. მასში მოცემულია „შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული მოქმედების გეგმა“. 1997 წლის 26-28 აგვისტოს თურქეთში ჩატარდა პირველი შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქვეყნების ინტეგრირებული მართვის ეროვნულ პოლიტიკას და სტრატეგიულ საკითხებს.

ეროვნულ დონეზე გარემოსდაცვითი ძირითადი პრინციპები ასახულია საქართველოს ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს. კონსტიტუციის 37-ე მუხლში „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ მითითებულია შემდეგი: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაურთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. „ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების გათვალსწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას“.

საქართველოს კონსტიტუციამ დააფიქსირა ეკოლოგიური პრიორიტეტები სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში, რომელიც დამუშავებული იყო საქართველოს „მწვანეების“ მიერ და უცვლელად აისახა კონსტიტუციაში.

1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ წარმოადგენს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთიანი სისტემის ფორმირების სამართლებრივ საფუძველს. კანონის თანახმად, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის ნაწილი. გარემოსდაცვით მოქმედებათა ეროვნული გეგმის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

კანონმა „გარემოს დაცვის შესახებ“ შექმნა სამართლებრივი საფუძვლები გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და ამ სფეროში ინსტიტუციური მოწყობისათვის. მასში ჩამოყალიბებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფოებრივი დაცვის მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები. კანონი განსაზღვრავს: მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს; სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას; ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციების გამიჯვნის კრიტერიუმებს გარემოს დაცვის სფეროში. კანონი მოითხოვს, რომ საქმიანობის სუბიექტმა თავად აწარმოოს გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლი და მონიტორინგი. კანონის თანახმად, პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვით ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომლებიც ყოფილ მესაკუთრეს ჰქონდა დაკისრებული. კანონის მიხედვით, დაბინძურების, დაზიანებისა და დეგრადაციისაგან დაცულია განსაკუთრებულად მგრძნობიარე და გა-

1 ვ. გულისაშვილი, თ. ურუშაძე - ბუნების დაცვის საფუძვლები, თბ.1983

2 მა. არდია, გ. მარგველანი - მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები (გამოყენება და ბუნების დაცვა), თბ. 1998

3 ვ. გულისაშვილი, თ. ურუშაძე - ბუნების დაცვის საფუძვლები, თბ. 1983

მორჩეული ფუნქციის მქონე ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები (შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ჭაობები, წყაროსთავები, მდინარეთა სათავეები, სუბალპური და ჭალის ტყეები, ძვირფასი ტყის მასივები და სხვ.). მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სანაპირო ზოლში ზღვის მყარი დანალექების ბუნებრივი მოძრაობა, რათა ზღვის ნაპირზე მიმდინარე საპორტო და სხვა სახის მშენებლობებმა არ დააბრკოლოს მათი მიმოქცევა და ამით არ დაარღვიოს სანაპიროს გეოლოგიური წონასწორობა.

კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მოითხოვს, რომ ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს საქმიანობის სუბიექტებმა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

- **რისკის შემცირების პრინციპი**: საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;
- **პრიორიტეტულობის პრინციპი**: ქმედება, რომელმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, უნდა შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. ამ უკანასკნელს პრიორიტეტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების ხარჯებს;
- **ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი**: საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;
- **ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი**: საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას;
- **რესტიტუციის პრინციპი**: საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო უნდა აღდგეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით, საქართველოში მოქმედებს:

- **ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი**: საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორის, ფაუნის, წიაღისა და წიაღისეული რესურსებით სარგებლობა ფასიანია;
- **პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“**: საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონები დადგენილია სამართლის ზოგადი ნორმების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, უმეტეს შემთხვევაში, მიღებული არ არის დეტალიზებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობა, რომლებიც პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ კანონის მოთხოვნათა შესრულების სახელმწიფო კონტროლზე, ხელს უშლის მიღებული კანონების აღსრულებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომლებიც მოაწესრიგებენ:

- ნარჩენების (სახიფათო ნარჩენების ჩათვლით) მართვას;
- საწარმოებში გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარებას;
- გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საკითხებს.

საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მიღებულ უნდა იქნეს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ზოგ შემთხვევაში საჭირო იქნება შუალედური სტანდარტების შემოღება და, გარკვეულ პერიოდში, მათი მიახლოება საერთაშორისო ნორმებთან.

ეკოლოგიური სამართლის არსი და მისი ადგილი სამართლის ერთიან სისტემაში. ეკოლოგიური სამართლის წყარო არის რესურსებრივი და ბუნებადაცვითი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. ამ აქტებით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, დაცვის წესებისა და პირობების განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმები იყოფა სამ ჯგუფად:

- სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შედიან კანონში ბუნების დაცვის შესახებ, მიწის, წყლის, წიაღისა და ტყის კოდექსებში, კანონებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ;
- სამეურნეო კანონმდებლობის ეკოლოგიური მოთხოვნების გამომხატველოი სამართლებრივი ნორმები, რომელთა საფუძველზე ხდება ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება, გარემოზე მავნე ზეგავლენის გამომწვევი სამრეწველო და სხვა ობიექტების დაგეგმარება, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაცია;

- ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის ეკოლოგიზირებული ნორმები, რომლებიც ასრულებენ ეკოლოგიურ -სამართლებრივი ნორმების დაცვის მატერიალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის ფუნქციას. მაგალითად, ბუნებადაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის გამოიყენება სანქციები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლით - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის დამტკიცებული ნორმების გადამეტება ან გაფრქვევა, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლოატაციის წესების დარღვევა ჯარიმდება 500-დან 1000 ლარამდე. ხოლო 81-ე მუხლით - მოქალაქეთა მიერ ისეთი ავტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლოატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება- გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

58-ე მუხლით - წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვადასხვა ნივთიერებების ჩაყრა ისჯება ჯარიმით 200-დან 300 ლარამდე, ხოლო სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება - ისჯება ჯარიმით 400-დან 600 ლარამდე.

64-ე მიხლით - სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება, რამაც შესაძლოა მათი ბრდის შეწყვეტა გამოიწვიოს - ისჯება 200-დან 400 ლარამდე ჯარიმით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ - ჯარიმდება 500-დან 600 ლარამდე.

52- მუხლით მიწის გაუარესება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, მისი ჩამდინარე წყლით დაბინძურება ან/და მიწის ნაკვეთის რამიზნობრივი გამოყენება - ჯარომდება 500-დან 1000 ლარამდე.

56-ე მუხლით - წიაღით სარგებლობის ობიექტი განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანისნულების მიწისქვეშა ნაგებობების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის, მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესებისა და ნორმების დარღვევა - ისჯება ჯარიმით 500-დან 800 ლარამდე.

ეკოლოგიური სამართალი მოიცავს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მეთოდებს, რომლის მთავარი ელემენტებია:

- მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს ეკოლოგიური სისტემის იმ ელემენტების განმტკიცება, რომლებიც ეკონომიკური და ეკოლოგიური ნიშნადია და რომელთა გამოყენება ან მათზე ზემოქმედება საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. მაგალითად, ნიადაგის ნაყოფიერება და მისი დაცვა (საქართველოს მიწის კოდექსის 29-ე მუხლი);
- მოქმედი კანონმდებლობით იმ ორგანოთა სტრუქტურების განმტკიცეა, რომლებიც განახორციელებენ ბუნებრივი ობიექტების გამოყენებასა და დაცის კონკრეტულ მმართველობას და აკონტროლებენ ქვეყნის ეკოლოგიური სამართლის დაცვას. საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებულია ეკოსისტემის დაცვის მაკონტროლებელი ორგანიზაციები;
- ბუნებით სარგებლობის წესების მკაფიოდ განსაზღვრა, რომელიც განპირობებულია ბუნებით სარგებლობის ობიექტების სპეციფიკურობით და ბუნებით მოსარგებლეთა სტატუსით;
- იურიდიული პასუხისმგებლობის დადგენა ბუნებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის. მაგალითად, საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის (50-ე და 55-ე მუხლები), წიაღის სარგებლობის წესების დარღვევისათვის (56-ე და 58-ე მიხლები), წყლით სარგებლობის წესების დარღვევისათვის (59-ე და 63-ე მუხლები), ტყით სარგებლობის წესების დარღვეისათვის (64-ე და 68-ე მუხლები), ტყეების განზრახ და გაუფრთხილებლობით განადგურებისათვის და დაზიანებისათვის (100-ე და 101-ე მუხლები), თევზის უკანონო რეწვისათვის (155-ე მუხლი), უკანონო ნადრობისათვის და ტყის გაჩეხვისათვის (177-178-ე მუხლები).

ეკოლოგიურ-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების უფლება-მოსილებათა განსაზღვრისადმი იმპერატიული მიდგომა გამოიხატება მათთვის სავალდებულო მიწერილობათა, მითითებათა და აკრძალვათა დადგენაში და გამოიხატება სამი ძირითადი ფორმით:

- რეკომენდაციების მიცემით;
- სანქციონირებით;

- ნებართვის მიცემით.

ეკოლოგიურ სამართალს გააჩნია თავისი პრინციპები, რომლებიც იყოფა საერთო სამართლისა და დარგობრივ ანუმხოლოდ ეკოლოგიური სამართლის დამახასიათებელ პრინციპებად. ეკოლოგიური სამართლისათვის დამახასიათებელია შემდეგი საერთო სამართლებრივი პრინციპები:

- დემოკრატიულობის;
- ჰუმანურობის
- კანონიერების;
- ეკოლოგიურ ურთიერთობათა სუბიექტების უფლებებისა და მავალეობების;
- დარწმუნებისა და იძულების შეხამების;
- ბუნებითმოსარგებლეთა მიერ თავიანთი მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის სტიმულირების წახალისების პრინციპები.

ეკოლოგიური სამართლის დარგობრივი პრინციპებია:

- გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სახელმწიფოებრივი მმართველობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში არსებული ბუნებრივი ობიექტების სარგებლობაში გადაცემას, ამოღებას, მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების, აღრიცხვას, დავების გადაწყვეტას და ა.შ
- ბუნების ობიექტების მკაცრად მიზნობრივად გამოყენების პრინციპი - არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში შეწყდება ბუნების ობიექტით სარგებლობის უფლება (საქართველოს მიწის კოდექსის 36-ე მუხლი, ტყის კოდექსის 31-ე მუხლი და წყლის კოდექსის 42-ე მუხლი);
- ბუნების ობიექტების რაციონარულად და ეფექტურად გამოყენების პრინციპი - მინიმალური დანახარჯებით სამეურნეო ექსპლოატაციიდან დიდ სარგებლობის მიღება;
- ბუნებრივ სიმდიდრეთა სამართლებრივი დაცვის პრინციპი - ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება, რომელიც გამოიხატება ეკოლოგიური სამართლის ნორმებში და სამართლის სხვა დარგებში: სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის.[1]

საკონტროლო კითხვები:

1. ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები;
2. ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება;
3. სამეურნეო საქმიანობაში ეკოლოგიური მოთხოვნების რეალიზაციის აუცილებელი პირობები.

13.2. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი

გეოეკოლოგიური პრობლემები, ძირითადად, წარმოიქმნება გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენების შედეგად. ლოკალური დაბინძურების წყაროებიდან გამოსული მავნე ნივთიერებები სწრაფად ვრცელდება გარემოში და მოიცავს გარკვეულ არეალებს.

დაბინძურება შეიძლება იყოს ბუნებრივი და ანთროპოგენური. ბუნებრივი დაბინძურების მიზეზია ბუნებრივი კატასტროფები, ანტროპოგენულის კი – ადამიანის საქმიანობის შედეგები. ანთროპოგენული დაბინძურების ტიპებია: ბიოლოგიური და ქიმიური, ფიზიკური და მექანიკური. ბიოლოგიური დაბინძურება ნიშნავს გარემოში მიკროორგანიზმების წარმოქმნასა და გამრავლებას მასში, ქიმიური კი – ქიმიური ტოქსიკური აგენტების გავრცელებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტში. რაც შეეხება ფიზიკურ დაბინძურებას, იგი შეიძლება გამოვლინდეს რადიაქტიული, ხმაურის, სითბური, ელექტრომაგნიტური დაბინძურების სახით.

საქართველოში გეოეკოლოგიური პრობლემები წარმოგვიდგება როგორც აბიოტურ (ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო, ნიადაგები), ასევე ბიოტურ (ადამიანი, მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები) გარემოში.

ატმოსფეროს დაბინძურება: ატმოსფეროს ძირითადი დამაბინძურებელი წყაროებია ტრანსპორტი და სამრეწველო საწარმოები. სატრანსპორტო საშუალებების ბრდასათან ერთად, კომუნიკაციების მზარდი ქსელი და სამრეწველო საწარმოები, ძირითადად, ქალაქებშია განლაგებული, ამიტომ ატმოსფეროს დაბინძურებაც თავისი სიმწვავით ქალაქებში წარმოჩნდება.

ატმოსფეროს დამაბინძურებელია აეროზოლები და გაზოვანი ნივთიერებები. მათგან გაცილებით საშიშია გაზოვანი ნივთიერებები. აეროზოლები წარმოიქმნება სამშენებლო მასალათა, კერძოდ – ცემენტის, გაჯის, სილიკატურ-საკეღლე მასალათა, აზბესტის, აგრეთვე ქვანახშირისა და სხვადასხვა მადნეულის ღია წესით მოპოვებით, შავი და ფერადი მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის საწარმოებში. ზოგადად, ატმოსფეროს დაბინძურების უდიდესი ნაწილი მოდის გაზოვან ნივთიერებებსა და

[1] ი. მიქაძე, ეკოლოგია, თბ.2005, გვ. 248-249

მათ ქიმიურ შენაერთებზე. მათგან ძირითადია: ნახშირორჟანგი, გოგირდოვანი ანჰიდრიდი და აზოტოვანი შენაერთები.

საქართველოში მრეწველობის დარგებიდან ატმოსფეროს ძირითადი დამაბინძურებლებია: სათბობ-ენერგეტიკული, შავი მეტალურგიული, საშენ მასალათა, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. სამწუხაროდ, მათ შესახებ აღრიცხვა ჯეროვნად არ მიმდინარეობს, რაც ანალიზის საშუალებას ვერ იძლევა.

დაბინძურების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ საწარმოთა ირგვლივ, რომლებსაც არ გააჩნიათ სანიტარული დაცვის ზონები.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 200000- ზე მეტი ავტომობილი. მათგან საშუალოდ მხოლოდ 15% გადის სავალდებულო ყოველწლიურ ტექნიკურ დათვალიერებას.

საქართველოში საწვავის იმპორტი, ძირითადად, წარმოებს რუმინეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში ტყვიის შემცველი საწვავის იმპორტის წილი 26%-დან 2,5%-მდე შემცირდა, რაც მსოფლიო ბაზარზე ტყვიის შემცველი საწვავის მიწოდების შემცირებითაც უნდა იყოს განპირობებული.

ავტოტრანსპორტით ატმოსფეროს დაბინძურება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უდიდესი ნაწილი მოძველებულია, გამონაბოლქვების დონე მრავალჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს, ავტომობილთა უმეტესობას არ გააჩნია კატალიზური გარდამქმნელები, რაც იწვევს მავნე ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაციით ემისიას; გზების დაბალი ხარისხი და სატრანსპორტო საცობები ხელს უწყობს მავნე გამონაბოლქვების ბრდას; საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და სახმელეთო ტრანზიტი ქალაქების ცენტრალურ თუ განაშენიანებულ ტერიტორიებზე გადის, რაც კიდევ უფრო აუარესებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხს; სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვების კონტროლის სისტემა ცუდად არის განვითარებული და სუსტია სახელმწიფო კონტროლი.

წყლის დაბინძურება. წყლის დაბინძურება სამი სახისაა: ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური. საქართველოში წყლის ქიმიური და ბიოლოგიური დაბინძურების პრობლემაა. ეს გულისხმობს წყალში ქიმიური ნივთიერებების, მისი შენაერთებისა და ბიოლოგიური მიკროორგანიზმების კონცენტრაციის იმ რაოდენობას, რომელიც უარყოფით ეკოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ცოცხალ ორგანიზმებში. განსაკუთრებით მავნეა ტყვიით, თუთიით, სპილენძით, ქრომით, ვერცხლისწყლით, დარიშხანით, ფენოლით, მანგანუმით წყლის დაბინძურება. ბიოლოგიური დაბინძურება გამოწვეულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სამედიცინო დაწესებულებების წყლებით, ქიმიური დაბინძურება კი – სამთო მოპოვებითი, ქიმიური, მანქანათმშენებელი მრეწველობის ფუნქციონირებით.

ამჟამად საქართველოში ბედაპირული წყლების დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენს კომუნალური საკანალიზაციო სისტემები, სამედიცინო დაწესებულებები და სამრეწველო ობიექტები. საწარმოო ჩამდინარე წყლების მოცულობის დაახლოებით 10% და კომუნალური საკანალიზაციო წყლების მოცულობის მხოლოდ 13% იწმინდება ნორმატივების შესაბამისად გამწმენდ ნაგებობებში.

ცენტრალიზებული კომუნალური საკანალიზაციო სისტემა, რომელიც 45 ქალაქში არსებობს, მთლიანად ამორტიზებულია. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობები 33 ქალაქშია და მათი საშუალებით დღეში მხოლოდ 1.64 მლნ $მ^3$ ჩამდინარე წყლის გაწმენდაა შესაძლებელი.

კომუნალური საკანალიზაციო წყლებით ყველაზე მეტად დაბინძურებული მდინარეებია: მტკვარი – გორის, ბორჯომის, თბილისისა და რუსთავის მონაკვეთებზე, ვერე – თბილისში, ალაზანი – თელავის მონაკვეთზე, სურამულა – ხაშურის მონაკვეთზე, მაშავერა – კაზრეთულასა და მაშავერას შესართავთან, ალგეთი – მარნეულის მონაკვეთზე, რიონი – ქუთაისისა და ფოთის მონაკვეთებზე.

ასევე მნიშვნელოვნადაა დაბინძურებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიმდებარე აკვატორია ფოთისა და ბათუმის მიდამოებში.

მძიმე მრეწველობის საწარმოები იწვევს წყლის ნახშირწყალბადებით, ფენოლითა და მძიმე მეტალებით დაბინძურებას. 1990 წელს ჩატარდა შავი და კასპიის ზღვების აუზების ჰიდროქიმიური ტესტირება 40-50 პუნქტში. წყლის ყველაზე მაღალი დონის დაბინძურება აღინიშნა ჭიათურის, ტყიბულის, ზესტაფონის მახლობლად დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი, მტკვარი – სოღანლუღისა და რუსთავის მიდამოებში.

დაბინძურებისაგან სათანადოდ არ არის დაცული სასმელი წყლის სათავე ნაგებობების სანიტარული ზონები, ხოლო ქლორის დეფიციტის გამო ხშირად ვერ ხერხდება წყლის დეზინფექცია.

საკმაოდ დიდია გრუნტის წყლების მარაგი, განსაკუთრებით კავკასიონის სამხრეთ ფერდობებსა და ახალქალაქისა და მარნეულის პლატოებზე. ამ წყაროების საერთო დებიტი 340 $მ^3$/წმ-ს აღწევს. მთლიანად წყალმომარაგების სისტემები უზრუნველყოფს წელიწადში 600 მლნ $მ^3$ სასმელი

წყლის მიწოდებას, აქედან 90% გრუნტის წყლებზე მოდის და დაქლორვის გარდა სხვა განსაკუთრებულ დამუშავებას არ განიცდის.

სოფლებსა და სასოფლო დასახლებებში არსებული წყალმომარაგების სისტემების უდიდესი ნაწილი დღეს არ ფუნქციონირებს. ხშირად მოსახლეობას საცხოვრებელი ადგილიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული წყაროებიდან უხდება სასმელი წყლის აღება. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მცირეა, ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაა. სოფლების წყალმომარაგების სისტემებში როგორც წესი, დეზინფექცია არ ხდება, ხოლო სათავე ნაგებობების სანიტარულ დაცვას თითქმის არ ექცევა ყურადღება, რის შედეგადაც სასმელი წყლის ხარისხი ხშირად სტანდარტებს არ შეესაბამება.

ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა შავი ზღვის ეკოსისტემის დაბინძურების აღკვეთა. შავ ზღვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესურსული პოტენციალის, რეკრეაციული, საგარეო კავშირის თვალსაზრისით.

შავი ზღვის ეკოსისტემის დაბინძურებაზე გავლენას ახდენს არა მარტო შავიზღვისპირა ქვეყნების – თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო – საწარმოო და საყოფაცხოვრებო ფუნქციონირების შედეგები, არამედ იმ ქვეყნებისაც, სადაც შავი ზღვის აუზის მდინარეები მიედინებიან და ზღვაში ჩაიტანენ საწარმოო და საყოფაცხოვრებო გაუწმენდავ ჩამდინარე წყლებს. ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ აზოტის 58% და ფოსფორის 66% ზღვაში ხვდება მდ. დუნაის აუზიდან. შავი ზღვის რეგიონი მოიცავს 17 სახელმწიფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს და თითქმის 160 მლნ მცხოვრებს. ცხადია, ზღვის წყალშემკრებ აუზში ხვდება მრეწველობის, კომუნალური, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ზემოქმედებით გამოწვეული მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ცირკულაციის შედეგად შავი ზღვის სისტემაში ვრცელდება.

ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ შავი ზღვა დაბინძურდა რადიაქტიული ნივთიერებებით. 10 წლის შემდეგ, 1996 წელს ვენის საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს აღნიშნული კატასტროფის შედეგებით გამოწვეული რადიონუკლიტით ცეზიუმ 137-ით დაბინძურების არეალები, მათ შორისაა ამიერკავკასია.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემაა ნავთობით დაბინძურება, რომლის აქტუალობა უკავშირდება სუფსის ტერმინალის მოქმედებას. ნავთობი ძლიერ ტოქსიკურად ზემოქმედებს როგორც თევზებზე, ასევე მარიკულტურაზე.

შავი ზღვის ერთ-ერთი პრობლემაა აგრეთვე გოგირდწყლოვანი ფენის მაღალი კონცენტრაცია ფსკერისპირა ფენებში, რომლის დონემ უკანასკნელ წლებში აიწია.

მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემას შავიზღვისპირეთში წარმოადგენს, აგრეთვე, ზღვის აბრაზიული ზემოქმედება, რომელიც მთლიანად ანთროპოგენული ფაქტორითაა განპირობებული. სანაპირო ზოლის ნგრევა იმ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გადაჭრაც პრაქტიკულად რთულად განსახორციელებელია.

შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთის შელფური ზონის ფსკერზე უხვად მზარდი წყალმცენარეები უწინ საკვებითა და ჟანგბადით უზრუნველყოფდა ძვირფას სარეწაო თევზებს, დღეს იგი უსიცოცხლო უდაბნოდ გადაიქცა.

ნიადაგის ეროზია და ტყეების გაჩეხვა. სასოფლო-სამეურნეო მიწების (3 მლნ ჰა) დაახლოებით 35% დეგრადირებულია გარკვეულ დონემდე, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, ეკოლოგიური თვალსაზრისით არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, სხვა ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესების გამო.

ეროზიის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მთიან რაიონებში, რასაც ბუნებრივ პროცესებთან ერთად ხელს უწყობს დამრეც ფერდობებზე ტერასების გარეშე ხვნა-თესვა და ჭარბი ძოვება, ტყის უკონტროლო და უსისტემო ჭრა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნიადაგის ეროზიას იწვევს მდინარეთა კალაპოტიდან გადმოსვლა.

აღმოსავლეთ საქართველოში ხდება გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება ჭარბი ძოვებისა და კლიმატური პირობების – ნალექიანობის შემცირების გამო. გაუდაბნოებულია დაახლოებით 3 000 ჰა, რომელიც მოიცავს შირაქის, ელდარის, იორის, ტარიბანის, ნატბეურის, ნაომარის, ოლეს, ჯაირან-ჩოლის ველებს, მათ გამყოფ ქედებს, ბეგნებსა და კახეთის ქედის სამხრეთ ფერდობის უმეტეს ნაწილს.

ქვეყანა არც თუ მდიდარია მიწისა და ნიადაგური რესურსების რაოდენობით. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სწორი მიმართულებით გაძღოლა, რომელიც გულისხმობს არა მაქსიმალური პროდუქტის მიღებას, არაორგანული სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებით, არამედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას.

საქართველოში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობა უნდა სარგებლობდეს საერთაშორისო კონვენციებით გარემოს დაცვის სფეროში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით; მან უნდა გაითვალისწინოს სა-

ზოგადოების უშუალო მონაწილეობა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეალური მოქმედება. ცხადია, საფუძველი უნდა ვეძიოთ ეკოლოგიური მონიტორინგის, ექსპერტიზის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სრულყოფაში.

გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი სატრანზიტო სტატუსი შეიძინა, რამაც ძირეულად შეცვალა საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა. საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოების შესაძლებლობების მკვეთრი ზრდა უზრუნველყოფს საინვესტიციო რესურსებით მდიდარი და, ამავე დროს, ტევადი სამომხმარებლო ბაზრის მქონე დასავლეთის ქვეყნებსა და ბუნებრივი რესურსებით უაღრესად მდიდარ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის ნაწილი, იმთავითვე მოიაზრებოდა ბუნებრივ ხიდად, ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოებს შორის, ახალი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

ქვეყანას გააჩნია სატრანსპორტო სისტემა, რომელიც საჭიროებს სერიოზულ მოდერნიზაციას. ამასთანავე, პირველ ეტაპზე სამართლებრივი ბაზის შექმნის პარალელურად, იძლევა მარტივი და მცირე მოცულობითი ტვირთების ტრანზიტული გადაზიდვების საშუალებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთხაზიანი ლიანდაგების მაღალი ხვედრითი წილი და ავტომატური სიგნალიზაციით უზრუნველყოფის დაბალი დონე გადაზიდვების ინტენსივობის ზრდასთან ერთად, უსაფრთხოების ხარისხს ამცირებს, ხოლო საავტომობილო მაგისტრალების გასწვრივ არსებული მომსახურების ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც სატრანზიტო გადაზიდვებისათვის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. საგულისხმოა სატრანზიტო დერეფნის სახმელეთო ინფრასტრუქტურის ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების საშუალებით საზღვაო ტრანსპორტთან შერწყმა.

საქართველოს დასავლეთის მიმართულების მოქმედი სატრანზიტო მილსადენი ტრანსპორტი წარმოდგენილია ბაქო-სუფსის საექსპორტო ნავთობსადენით, რომელიც ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა. ეს არის თანამედროვე სამშენებლო კომპლექსი უნიკალური ნაგებობებითა და დანადგარმოწყობილობებით.

სატელეკომუნიკაციო სისტემები. დასრულების ფაზაშია ტრანს-აზია-ევროპის ბოჭკოვან-ოპტიკური საკაბელო სისტემის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობა. მაგისტრალის ძირითადი მონაკვეთების მშენებლობა უკვე დამთავრებულია. ესენია: თბილისი-აზერბაიჯანის საზღვარი, თბილისი-სომხეთის საზღვარი, თბილისი-ხაშური, ქუთაისი-ზესტაფონი. მაგისტრალის ჯამური სიგრძე 678 კმ იქნება. ასევე რეალიზაციის ფაზაშია ფოთი-რიზეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყალქვეშა საკაბელო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ჩადება რკინიგზის გასწვრივ ფოთიდან აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრამდე, რასაც ევროკავშირი აფინანსებს.

საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან აკავშირებს 220, 330 და 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემა ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდის, მომავალში ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდასთან ერთად, არსებული გადამცემი ინფრასტრუქტურით შესაძლებელი იქნება ენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში. განსაკუთრებით დიდია საექსპორტო პოტენციალი თურქეთის მიმართულებით, სადაც ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება სტაბილურად იზრდება. რუსეთი უკვე იჩენს თურქეთის ბაზრით დაინტერესებას და ამ მიზნით საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებას აპირებს. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის ტრანზიტის გეოგრაფია ადგილობრივი, რეგიონული მასშტაბისაა და ტრანსპორტის სხვა სახეობებით გადაზიდვებისგან განსხვავებით, კავკასიით და მისი უშუალოდ მოსაზღვრე არეალით შემოიფარგლება.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მართვის ერთიანი სისტემა არ გააჩნია. ტრადიციული ტრანსპორტისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მართვას ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ახორციელებს, მილსადენი ინფრასტრუქტურის მართვას – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, ხოლო ელექტროენერგიის ტრანზიტი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პრეროგატივაა. მართვის პროცესის ამგვარი უწყებრივი დაქსაქსულობა ართულებს ერთიანი სატრანზიტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას და საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე მართვას საჭიროებს.

სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტუნარიანი უპირატესობაა, რომელმაც გლობალიზაციის ეპოქაში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებსა და სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარება. პერსპექტივაში, მილსადენი ტრანსპორტით ნავთობის სატრანსპორტო შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტში საშუალოდ 100 მლნ ლარს შემოიტანს. ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების შემოტანით სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტი დამატებით შემოსავალს მიიღებს; ასევე მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენით გაზის ექსპორტის

ტრანზიტი, „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არამარტო სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა, არამედ რეგიონის უსაფრთხოება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით სტანდარტებს.

საქართველოს რთული რელიეფური პირობების, საავტომობილო გზების დაბალი გამტარუნარიანობისა და ცუდი ტექნიკური მდგომარეობის გამო, იზრდება გარემოს დაბინძურების საფრთხე. ამას ემატება სატრანსპორტო საშუალებათა გაუმართაობა და უხარისხო საწვავი, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. ხშირად, ნორმატიული ბაზის დაუხვეწაობა ან უგულვებელყოფა ხდება გარემოს დაბინძურების მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის, ისე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების პროექტის მიხედვით, საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აგრეთვე პრინციპი – „დამბინძურებელი იხდის“. რაც მთავარია, მილსადენების მშენებლობას წინ უძღოდა დამტკიცებული დოკუმენტი„გარემოზე ზემოქმედების შეფასება“, რომელიც წინასწარ საჯაროდ იქნა განხილული. მილსადენების მშენებლობის შემდეგ, აუცილებელია პროექტის ინვესტორებმა მიწის საფარი მოიყვანა პირვანდელ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ სატრანზიტო დერეფანში სახმელეთო გადაზიდვების მოცულობის ზრდასთან ერთად, გარემოს დაბინძურების საფრთხე მეტია, ვიდრე მილსადენი ტრანსპორტით. ნავთობისა და გაზის ტრანზიტთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ამ თვალსაზრისით ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვა. სატრანზიტო საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების ფაქტების აღნუსხვა და შეფასება, სამწუხაროდ, არ წარმოებს. ჩამოყალიბებული არ არის ტრანსპორტის ფუნქციონირების ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები. ამგვარი მონიტორინგის გარეშე რთულია გარემოზე ზემოქმედების დონის განსაზღვრა.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება დაკავშირებულია როგორც ქვეყნის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან, ისე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან. ეს უკანასკნელი რეგიონის ქვეყნების მიერ ერთიანი დახვეწილი სატრანზიტო პოლიტიკის განხორციელებაზეა დამოკიდებული. იმავდროულად, სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაციის ამოცანა მდგრადი განვითარების პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც, პირველ რიგში, გარემოსდაცვითი სტანდარტების აუცილებელ დაცვას გულისხმობს.

საკონტროლო კითხვები:

1. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი;
2. გარემოს დამაბინძურებელი ძირითადი წყაროები;
3. ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, საქართველოში მიღებული ნორმატიული აქტები.
4. საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი სისტემა და გაუმჯობესების გზები.

13.3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი რეგულირება

საკვები პროდუქტების ხარისხი **თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.**

საკვები შეიძლება იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა დიდი რაოდენობის წყარო და მატარებელი. ადამიანის ორგანიზმში ქიმიურ ნივთიერებათა 70% ხვდება საკვების მეშვეობით და მხოლოდ 30% – წყლისა და ჰაერის საშუალებით. პროდუქტებში მათი მოხვედრის გზები სხვადასხვაა: ბიოლოგიური ჯაჭვის დროს მათი დაგროვება წარმოების პროცესის, ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის დროს.

ღღესდღეობით, განუწყვეტლივ ფართოვდება საკვები პროდუქტების ასორტიმენტი, ჩნდება საკვები პროდუქტების წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიური პროცესები, სულ უფრო იზრდება გამოყენებული სხვადასხვა ქიმიური ნაერთების რაოდენობა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია ადამიანისათვის მავნე თხევადი და გაზისებრი ტექნიკური ნარჩენების გარემოში გამოტყორცნის ზრდა. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის ასობით სხვადასხვა პესტიციდი, რომლებიც ხვდებიან სასურსათო ნედლეულსა და კვების პროდუქტებში. აშშ-ის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებით ფუნგიციდების 90%-ს, ჰერბიციდების 60%-სა და ინსექტიციდების 30%-ს შეუძლია კიბოს დაავადების პროვოცირება. იმ 400 პესტიციდიდან, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, 262 არის მუტაგენური. ჩვენს ქვეყანაში გამოკვლევე-

ბის შედეგები მოწმობს, რომ საკვები პროდუქტები ძალიან დაბინძურებულია ტოქსიკურ-ქიმიური შენაერთებით, ბიოლოგიური აგენტებითა და მიკროორგანიზმებით.

საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის დროს, პირველ რიგში, აუცილებელია დაისვას საკითხი მათი ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოების შესახებ. ძირეულად უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სერტიფიკაციისადმი მიდგომა. ეს გლობალური ამოცანაა და მისი გადაჭრა მოითხოვს არა მარტო განსაზღვრულ დროს, არამედ მნიშვნელოვან თანხებსაც.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საკვები პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის დაბინძურება, ძირითადად, ხდება შემდეგი მიზეზების გამო:

- მემცენარეობასა და მეცხოველეობაში სასუქების, სარწყავი წყლის, პესტიციდების, ანტიბიოტიკების, საკვები დანამატების, სტიმულატორებისა და სხვა გამოყენების წესების დარღვევა;
- სასურსათო ნედლეულსა და პროდუქტებში ტოქსიკური ნივთიერებების მოხვედრა გარემო ბუნებიდან, ატმოსფეროდან, ნიადაგიდან, წყალსატევებიდან და სხვ.
- წარმოების ტექნოლოგიებისა და საკვები პროდუქტების შენახვის სანიტარული მოთხოვნების დაუცველობა, რასაც მივყავართ ბაქტერიული ტოქსინების წარმოქმნამდე;
- საკვები პროდუქტების წარმოების ახალი არატრადიციული, ხშირად შეუმოწმებელი ტექნოლოგიებისა და აკრძალული საკვები დანამატების (საღებავების, კონსერვანტების, ანტიმჟანგველების და სხვ.) გამოყენება;
- ტოქსიკური ნივთიერებების საკვები მოწყობილობებიდან, ჭურჭლიდან, ინვენტარიდან, ტარიდან, საფუთავებიდან საკვებ პროდუქტებში გადატანა, აკრძალული პოლიმერული, რეზინისა და ლითონის მასალის გამოყენების გამო;
- საკვებ პროდუქტებში ტოქსიკური ნაერთების წარმოქმნა სითბური ზემოქმედების, დულილის, შეწვის, დასხივებისა და სხვა ტექნოლოგიური დამუშავების საშუალებების გამოყენების პროცესში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პროცესში (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული და სხვ.) საჭიროა ნოყიერი ნივთიერებების განსაზღვრული რაოდენობა. ამაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის აზოტის შემცველ ნაერთებს, რადგან ნიადაგში მათ მიერ შეყვანილი აზოტი, მცენარეების საშუალებით, ტრანსფორმაციას განიცდის ცილოვან ნაერთში და ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას.

დღეისათვის ნიტრატები, ნიტრიტები და სხვა აზოტშემცველი ნაერთები სპეციალისტებსა და მოსახლეობაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. როგორც წესი, მცენარეებში, ჩვეულებრივ, ნიტრიტების შემცველობა 3-4–ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნიტრატებისა, ხოლო ხილი და კენკროვნები მათ, პრაქტიკულად, არ შეიცავს. ბოსტნეულში ნიტრიტების ზღვრული დონე არ აღემატება 1-2 მგ/კგ-ს. სისხლში მოხვედრისას, ნიტრიტები ურთიერთქმედებაში შედის ჰემოგლობინთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტჰემოგლობინი, რომელსაც არ შეუძლია განახორციელოს ჟანგბადის შექცევადობის პროცესი. ჯანმრთელი ადამიანის სისხლში მეტჰემოგლობინის დაგროვებისას ჩნდება მწვავე ინტოქსიკაციის (ქოშინი, სისუსტე, თავის ტკივილი) სიმპტომები, ხოლო 50%-მდე დაგროვება კი სიცოცხლისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნიტრატების კანცეროგენული მოქმედების შესწავლას. არსებობს მეცნიერული მონაცემები კულტურების მიერ ნიტრატების სელექციური დაგროვების სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ. გამოვლენილია მცენარეების სხვადასხვა ორგანოში დაგროვილი ნიტრატების გრადაცია: მათ ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს ყლორტები, ყუნწები, ფოთლების ძარღვები და კომბოსტოსმაგვარი ბოსტნეულის მურკები (ხიკვები).

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიღებულია, რომ ნიტრატ-იონის მაქსიმალური შემცველობა უნდა იყოს შემდეგი (მგ/კგ-ში): კარტოფილში – 80, თეთრთავიან კომბოსტოში – 300, სტაფილოში – 300, ტომატში – 60, კიტრში – 150, ჭარხალში – 1400, თავიან ხახვში – 60, ხახვში – 400, ნესვში – 45, საზამთროში – 45.

ბოლო დროს საკვებ პროდუქტებში შემჩნეულ იქნა ზოგიერთი ანტიბიოტიკის არსებობა, რაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობაში მათი არასწორი მოხმარებით ცხოველების მკურნალობისა და ზრდის სტიმულაციის მიზნით. ანტიბიოტიკების (ტეტრაციკლინი, პენიცილინი, სტრეპტომიცინი) მავნე მოქმედება გამოიხატება ორგანიზმების ალერგიულ რეაქციებსა და გაცვლითი რეაქციების შეცვლაში.

მრავალ ქიმიურ ნივთიერებას შორის, რომელთა ზემოქმედებასაც განიცდის ადამიანის ორგანიზმი, არსებობს ნაერთთა ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება როგორც დაბინძურებები გარემო ბუნებიდან. დღეისათვის ადამიანის ჯანმრთელობისათვის ისინი დიდ პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, ქიმიურად მდგრადებია და საკვებ პროდუქტებში დაგროვების უნარი გააჩნია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვების კოდექსის შემსწავლელი გაერთიანებული კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით, რვა ქიმიური ნივთიერება შეტანილია იმ კომპონენტების რიცხვში, რომელთა შემცველობა კონტროლირდება საკვები პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას – ეს არის ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, დარიშხანი, სპილენძი, სტრონციუმი, თუთია, რკინა. ამ ელემენტების სია კვლავ იზრდება.

საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულში ქიმიური ელემენტების შემცველობის დაშვებული ნორმები (მგ/კგ-ში)

პროდუქტები	ტოქსიკური ელემენტები					
	ტყვია	კადმიუმი	დარიშხანი	ვერცხლის წყალი	სპილენძი	თუთია
ახალი ხორცი და ფრინველი	0,5	0,05	0,1	0,03	5,0	70,0
კვერცხი	0,3	0,01	0,1	0,02	3,0	50,0
რძე	0,1	0,03	0,05	0,005	1,0	5,0
ახალი თევზი	1,0	0,2	1,0	0,3	10,0	40,0
პური	0,3	0,05	0,1	0,01	5,0	25,0
შაქარი	1,0	0,05	0,5	0,01	1,0	3,0
ახალი ბოსტნეული და ხილი	0,5	0,03	0,2	0,02	5,0	10,0
სოკო	0,5	0,1	0,5	0,05	10,0	20,0
ხილ-ბოსტნეულის კონსერვი	1,0	0,05	0,2	0,02	5,0	10,0
კანფეტები	1,0	0,1	0,5	0,01	15,0	30,0
მინერალური წყლები	0,1	0,01	0,1	0,005	1,0	5,0
ლუდი, ღვინო, არაყი	0,3	0,03	0,2	0,005	5,0	10,0
სუფრის მარილი	2,0	0,1	1,0	0,01	3,0	10,0
ხორცის კონსერვები ბავშვთა კვებისათვის	0,3	0,03	0,1	0,02	–	–

გარემო ბუნების დაბინძურების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სახეა რადიაქტიური დაბინძურება. ეს დაბინძურება შეიძლება მოხდეს ბირთვული იარაღის გამოცდის შედეგად, აგრეთვე ურანის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების, ბირთვული რეაქტორების მუშაობის, სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის რადიონუკლიდების მოპოვების მიზნით, რადიოაქტიური ნარჩენების შენახვისა და ჩამარხვის, ატომური ელექტროსადგურების ავარიის შედეგად.

მაღალი რადიაციის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა კვების რაციონთან ერთად იღებს მომატებულ რადიონუკლიდებს. ჩერნობილის აეს-ზე მომხდარმა ავარიამ გვიჩვენა ცეზიუმისა და სტრონციუმის რადიონუკლიდების ადამიანის ორგანიზმში ინტენსიური ბიოგენური მიგრაცია. ავარიული გამონატყორცნებით დაბინძურებულ ტერიტორიაზე მომუშავე ან მცხოვრები ადამიანების ორგანიზმებში რადიონუკლიდების დაგროვების აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია განსაზღვრული საკვები პროდუქტების მოხმარება.

კვების პროდუქტების უსაფრთხოებაზე ლაპარაკის დროს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკვებ დანამატებს.

ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა, რომელიც ეხება კვების პროდუქტებს, სავალდებულო წესით მოითხოვს პროდუქციის ეტიკეტზე იმ საკვები დანამატების სახეებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნას, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ პროდუქციის დამზადებისას.

საკვებ ინფექციას იწვევს პროდუქტში მიკროორგანიზმის არსებობა. საკვები ტოქსიკოინფექციის გამომწვევებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სალმონელას. ადამიანებში სალმონელური ტოქსიკოინფექციების 85% წარმოიშობა ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარების შედეგად. დაავადების წყარო ასევე შეიძლება იყოს თევზი და თევზის პროდუქტები.

მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით მოწამვლათა შორის ყველაზე უფრო ხშირად შეინიშნება ინდივიდუალურად მოკრეფილი სოკოებით მოწამვლა, რომელიც 50%-ზე მეტ შემთხვევაში სიკვდილით მთავრდება.

მცენარეული პროდუქტებით მოწამვლის მხრივ მეორე ადგილს იკავებს შხამიანი მცენარეებით მოწამვლა. ცნობილია ველური და კულტურული მცენარეების 100-ზე მეტი სახეობა, რომელებსაც შეუძლია გამოიწვიოს მოწამვლა. მათ შორის მეტ-ნაკლებად გავრცელებულია: შავი ლენცოფა, ლემა, ბელადონა და სხვ.

ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით მოწამვლა საკმაოდ იშვიათად გვხვდება. იგი დაკავშირებულია ზოგიერთი სახის თევზის ქვირითისა და ხვაშის გამოყენებით საკვებში.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ფუტკრის თაფლით მოწამვლის შესაძლებლობა. თაფლი იძენს ტოქსიკურ თვისებებს იმ წლებში, როდესაც გაზაფხული გვიან დგება, მაშინ ფუტკრები იძულებული ხდებიან, ნექტარი შეაგროვონ შხამინი მცენარეების ყვავილებისგან.

ზოგიერთი მცენარე შეიცავს უცილო აზოტის ნივთიერებებს – ალკალოიდებს, რომელთაც გააჩნია სამკურნალო ან ტოქსიკური თვისებები. ალკალოიდების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მედიცინაში – გულის, სისხლძარღვების, ნერვული და სხვა დაავადებების მკურნალობისას.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ძირითადი გარანტიაა – მათი სერტიფიკაცია და სტანდარტიზაცია მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად („მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ", „სერტიფიკაციის შესახებ", „სტანდარტიზაციის შესახებ" და სხვ.) თუმცა, რამდენადაც საქართველოში ჯერჯერობით არ შექმნილა ამ კანონების რეალიზაციის მექანიზები და არ არსებობს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისი ბაზა, ხარისხისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უბრალოდ კეთილგანზრახვად რჩება. თუმცა, 2003 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი შემოსული კვების პროდუქტების ქართულ ენაზე მარკირების შესახებ.

სერიოზული პრობლემა წარმოიშობა სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების იმპორტის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით. სურსათის იმპორტს ხშირად თან ახლავს უხარისხო და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტების შესყიდვა; ეს იწვევს საკვებში მრავალი ამოუცნობი ნივთიერების მოხვედრას, რომლებიც, როგორც წესი, ორგანიზმისათვის მავნეა. ამგვარად, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება, ძირითადად, განისაზღვრება ნორმატიული დოკუმენტაციის დონით, სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემებით. დღესდღეობით, კვების მრეწველობის ბევრ დარგში, ძირითადად, სერტიფიცირდება მხოლოდ საბოლოო პროდუქტი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს:

- საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო, და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი;
- პროდუქციის უსაფრთხოება;
- სათანადო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე; არასათანადო ხარისხის მქონე და ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრელობისათვის, აგრეთვე მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოსა და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ;
- მომხმარებელთა კავშირებში და საზოგადობებში გაერთიანება.

დღეს, ისე, როგორც არასდროს, აუცილებელია საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც განსაზღვრავს საკვები პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზირების, ამოღებისა და გადამუშავების წესს, იმ პროდუქტების უტილიზაციას, რომელთაც არ გააჩნია მოსახლეობისათვის უსაფრთხოების დამადასტურებელი თანმხლები დოკუმენტაცია. აუცილებელია სრულვყოთ საბაჟო კონტროლი და რეგლამენტირება გავუკეთოთ პროდუქციის ამოღებას, რადგან ერთ ადგილზე დაწუნებული კვების პროდუქტები უტილიზაციას კი არ ექვემდებარება, არამედ გადაიტანება ქვეყნის სხვა რაიონებში, სადაც იყიდება კიდეც.

საკონტროლო კითხვები:

1. საკვებ პროდუქტებში ტოქსიკური ნივთიერებების წარმოქმნა;
2. საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულში ქიმიური ელემენტების შემცველობის დაშვებული ნორმები;
3. საკანონმდებლო აქტები საკვები პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ.

თავი 14

ფასიანი ქაღალდები ბაზრის სამართლებრივი რეგულირება

„ფული - ეს ვაჭრობის უნივერსალური ინსტიტუტია“

ა.სმიტი

აღნიშნულ თავში განხილულია კორპორაციული მართვის არსი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინდუსტრია, ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები და მათი ზედამხედველობა, ბაზრის რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ინსტიტუციონალური მოწყობა, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისათვის განსაზღვრული ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმები.

14.1 საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი რეგულირება

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველო მთლიანად იყო ჩამოშორებული საფინანსო-საკრედიტო საქმიანობას. ფულად--საკრედიტო ურთიერთობები ხორციელდებოდა მხოლოდ ცენტრის მიერ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სუვერენულმა საქართ--ველომ განახორციელა ეროვნული ფულად-საკრედიტო რეფორმა, შემუშავებული და მიღებული იქნა ამ საქმიანობის მარეგულირებელი კანონები, აგრეთვე მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. გარკვეული ყურადღებადაეთმო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორ--მირებასა და განვითარებას, ასევე სამართლებრივი უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საკითხებს.

ქვეყანაში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიღებული იქნა 2 სპეციალური კანონი და მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ეს საქმიანობა მოწესრიგებულია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლები 911-929) და სხვა სამართლებრივი ნორმებით. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების ძირითად მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენს.

1. საქართველოში ფასიანი ქარალდების საფონდო ბაზრის გან--ვითარებას საფუძველი ჩაუყარა 1992 წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულმა კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა - საფინანსო ორგანოებში აქციებისა და ობლიგაციების რეგისტრაციის კონტროლის წესის შესახებ დებულებამ, რომლითაც მოწესრიგდა და დადგინდა შემდეგი სახის ფასიანი ქაღალდები:

- სახელმწიფო საწარმოების, კოოპერატივების, საიჯარო საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების აქტივები და ობლიგაციები, ასევე სააქციო საზოგადოებათა აქციები და ობლიგაციები.

- 1992 წელს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დროებითი დებულება – ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლითაც დადგინდა შემდეგი სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება:
- აქციები;
- ობლიგაციები;
- სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები;
- შემნახველი სერტიფიკატები;
- თამასუქები.

2. 1993 წელს მიღებული იქნა მთავრობის დადგენილება სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესში ფასიანი ქაღალდების ბაზ--რის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ, იმავე წელს ქვეყნის მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისიის დებულება და პერსონალური შემადგენლობა.

3. 1994 წელს მიღებული იქნა ფასიან ქაღალდებთან წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელი 2 ძირითადი ნორმატიული აქტი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირების წესი; მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და ორგანიზაციის შესახებ".

4. 1995 წელს მიღებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმები:
მიღებული იქნა საქართველოს კანონი-ჩეკების შესახებ, რომლის თანახმად, ჩეკი წარმოადგენს დადგენილი ფორმის ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა. მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დროებითი დებულება ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის და საფონდო ბირჟების შესახებ. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირების წესი.

- ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველო გარდაიქმნა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – ფასიანი ქარალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექციად.

5. 1998 წელს შემუშავდა და მიღებული იქნა ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმები.

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა დროებითი დებულება აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ, პრეზიდენტის ბრძანებულებით ასევე დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრაციის სიების საქმიანობის ლიცენზირების დროებითი წესი. ამავე წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 5 თებერვალს. ამ კანონის მიღებამდე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების სფეროში რეგულირების, ლიცენზირებისა და რეგისტრაციის განმხორციელებელი ორგანო იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 1999 წლის 1 ოქტომბრიდან ამ ფუნქციებს ასრულებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. ამ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2009 წლის 1 დეკემბრიდან კი საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. კანონის მიზანს შეადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტიციათა უფლებების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქარალდების საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

კანონი აღგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საფონდო ბირჟის ცნებებს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის საფინანსო ბაზრის შემადგენელი ნაწილი, რომლის ძირითადი და განმასხვავებელი ფაქტორია – ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

საფონდო ბირჟა. საფონდო ბირჟა არის ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, უზრუნველყოფს ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციას.

კანონით დადგენილია ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების ობიექტები, რომელთაც განეკუთვნება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების და მიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ასევე განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტის, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, ბორკერების საქმიანობის წესები და დამატებითი მოთხოვნები იმ საწარმოთა სამინისტროების წესისა და პასუხისმგებლობის მიმართ, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება და გაყიდვაც ხორციელდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს მითითებული კანონის თანახმად განეკუთვნება საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტი, თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, ფასიანი ქარალდების რეგისტრატორი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (საბროკერო კომპანიები, ბროკერები), რომელთა საქმიანობისათვის საჭიროა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ლიცენზიის მიღება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორია მხოლოდ საფონდო ბირჟა. გამონაკლისები განისაზღვრებაკომისიის წესებით (სატენდერო შეთავაზება, ჩუქება, მემკვიდრეობა, აქციათა მსხვილი პაკეტების გაყიდვა და სხვა) ბაზრის გამჭვირვალობის, ლიკვიდურობისა და კონკურენტულობის უზრუნველყოფის, მიწოდებისა და მოთხოვნის ფასების ზუსტად ასახვის, გარიგებათა უსაფრთხო და ზუსტი ანგარიშსწორების შეთანხმებული პირობების შესაბამისად. საქართველოში ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟა დაფუძნდა 1999 წელს. კანონის თანახმად საფონდო ბირჟაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს:

- საქართველოსა და უცხოელი ემიტენტების ფასიანი ქაღალდები, რომელთა მიმოქცევაც დაშვებულია საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად;
- ფასიანი ქაღალდები, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ვალს ან/და გამოშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის, სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, თუ მათი ყიდვა-გაყიდვა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ამ ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის შესახებ.
- ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყიდებოდეს ერთი სახის ერთზე მეტი საფონდომ ბირჟაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების უსაფრთხო, სამართლიანი და გამჭვირვალე ვაჭრობა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საფონდო ბირჟის მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- სააქციო საზოგადოება საქართველოს საფონდო ბირჯის წესდება;
- დებულება საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ;
- დებულება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემისა და ლისტინგში დაშვების შესახებ;
- საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსი;
- საქართველოს საფონდო ბირჟის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსი;
- საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებით საფონდო ბირჟაზე დაფიქსირების წესი;
- საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბროკერის ატესტაცია.

საბროკერო კომპანიები. მესაკუთრე-წევრების საფონდო ბირჟისა შეიძლება იყვნენ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები. კანონის 22-26-ე მუხლებით დადგენილია საბროკერო კომპანიებისათვის ლიცენზიის გაცემის პირობები და საქმიანობის სფერო. ლიცენზია გაიცემა ერთი ან რამდენიმე შემდეგი საქმიანობისათვის:

- პირდაპირი კონსულტაციები გაუწიოს დაინტერესებულ პირებს. ინვესტიციებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ფასის, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისა და მათთან დაკავშირებულ უცხოური ვალუტის გარიგებებში;

- კონსულტაცია გაუწიოს ემიტენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე;
- მიიღოს და გადასცეს კლიენტის დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, განახორციელოს კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება მათივე ინტერესებისათვის;
- მართოს კლიენტების საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრები;
- აწარმოოს კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება;
- განახორციელოს საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის;
- მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე;
- ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მიიღოს მონაწილეობა სააგენტოს წესებით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში".

ერთი პირი შეიძლება იყოს მესაკუთრე (აქციონერი) ან თანამშრომელი მხოლოდ ერთი საბროკერო კომპანიისა და ეს შეზღუდვა მესაკუთრეობაზე არ ეხება იმ საბროკერო კომპანიას, რომელიც არის ან ხდება ანგარიშვალდებული საბროკერო კომპანია. თუ პირი ხდება რამდენიმე არაანგარიშვალდებული საბროკერო კომპანიის პარტნიორი ამა თუ იმ სახის რეორგანიზაციულ ქმედებათა შედეგად ან სხვა მიზეზით, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს კომისიას ამის შესახებ და მიიღოს ზომები ვითარების გამოსასწორებლად. შანამ აღნიშნული ვითარება არ გამოსწორდება, პირმა არ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ერთზე მეტი საბროკერო კომპანიის მართვასა და საქმიანობაში.

კანონი უშვებს ბანკების ბანკების მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მხოლოდ მათი შვილობილი საწარმოების (საბროკერო კომპანიების) მეშვეობით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად.

ცენტრალური დეპოზიტარი. ჩენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მისაღებად კანდიდატი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებია:

- გახსნას, ამოქმედოს და დახუროს მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშები მისი წესების შესაბამისად;
- მოამზადოს და დანერგოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს დეპოზიტარის წესებით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის სისტემის მთლიანობასა და უსაფრთხოებას;
- შეამოწმოს, იცავენ თუ არა მონაწილენი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის ინსტრუქციებსა და წესებს;
- უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით;
- მისცეს მონაწილეს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ მისი წესების შესაბამისად;
- ხელი შეუწყოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა ანგარიშსწორებას ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების ფიზიკური მიწოდების გარეშე, რისთვისაც უზრუნველყოფს ტექნიკურ საშუალებებს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა ანგარიშსწორების პირობებთან დაკავშირებულ მონაცემთა შედარებისათვის;

კომისიის მიერ დამტკიცებული ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ან დახუროს იმ მონაწილის ანგარიში:

- რომლის საქმიანობაც შეჩერებულია ამა თუ იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიერ;
- რომელსაც არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება ფასიანი ქაღალდების ან ფინანსური სახსრების მიწოდების შესახებ;
- რომელიც განიცდის ისეთი ფინანსურ ან საოპერაციო სიძნელეებს, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი იღებს გადაწყვეტილებას და აცნობებს კომისიას, რომ

ანგარიშების ასეთი შეჩერება და დახურვა აუცილებელია დეპოზიტარის, მისი მონაწილეების, კრედიტორების ან ინვესტორების დასაცავად.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს ან ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდის რეგისტრატორს შორის. ღეგისტრატორის ძირითად ფუნქციას კანონიდან გამომდინარე შეადგენს ემიტენტის რეესტრის წარმოება, რომელშიც შეიტანება ყველა ის ცვლილება, რაც დაკავშირებულია საფონდო ბირჟაზე დაშვებული სააქციო საზოგადოების აქციების ზუსტ აღრიცხვასთან (მფლობელის მონაცემები, აქციების რაოდენობა, კლასი და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია) დამ ის ყიდვა-გაყიდვასთან. რეგისტრატორი ეწევა აგრეთვე დამხმარე საქმიანობას – აღგენს აქციონერთა სიებს, ეხმარება ემიტენტს დადგენილი წესით აქციონერთა კრების მოწვევაში, გასაცემი თანხის დადგენაში, დივიდენდების მიღებაში და სხვა საკითხების მოგვარებაში.

თვითრეგულირებადი ორგანიზაცია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ლიცენზირებული საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი აღიარებულნი არიან თვითრეგულირებად ორგანიზაციად, რომლის მიზანია წესების მომზადება თავისი წევრებისათვის და ამ წესების დაცვაზე და შესრულებაზე შესაბამისი კონტროლის დაწესება, აგრეთვე ამ წესების დარღვევისათვის სანქციების გამოყენება თავისი წევრების მიმართ.

მითითებული კანონით აკრძალულია ფასიანი ქაღალდების გარიგებებში ყოველგვარი გაყალბებები და მანიპულაციები, კერძოდ ფასიანი ქაღალდებით ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც არ იწვევენ ცვლილებებს ბენეფიციარულ მესაკუთრეობაში, აგრეთვე ისეთი ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გაყიდვის შესახებ ბრძანების გაცემა, როდესაც მონაწილისათვის ცნობილია, რომ შესაბამისი საწინააღმდეგო ბრძანება გაცემულია ან გაიცემა მის ან სხვა მონაწილეთა მიერ. კანონით ასევე აკრძალულია ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული მანიპულირება ან მოტყუებითი ქმედება, მიმართული კომისიის წესების მოთხოვნათა წინააღმდეგ, რომელიც იცავს ინვესტორთა ინტერესებს. კანონი კრძალავს აგრეთვე ანსაიდერული ინფორმაციის გამოყენებას.[1]

გარდა აღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებები რეგულირდება აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-929 მუხლებით. ამ კოდექსის 911-ე მუხლის თანახმად, თუ ვინმე გასცემს დოცუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას ჰპირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ემიტენტის (ფასიანი ქაღალდების გამომშვები) უფლებები და მოვალეობები, ფასიანი ქაღალდის გადაფორმების, უვარგისი ფასიანი ქაღალდის გამოცვლის, ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი საწარმდგენლო დოკუმენტის გაცემის და სავალო დოკუმენტის – საორდერო ფასიანი ქაღალდის გაცემის წესები. კოდექსის 928-ე მუხლით დადგენილია პირადი ფასიანი ქაღალდის ცნება, რომლის თანახმად განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტაციის ჩაბარების სანაცვლოდ.

ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული არაკანონიერი ქმედებებისათვის დაწესებულია სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩეკის ბორორტად გამოყენებისათვის, რამაც გამნაღდებელი მნიშვნელოვნად დააზიანა. კოდექსის 212-ე მუხლი ითვალისწინებს სისიხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდის დამზადების, შეძენასა და შენახვაზე. გასაღების მიზნით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდის დასამზადებებლი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მატრიცის, ქაღალდის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის ან გასაღების მიზნით გადაბიდვისათვის, ან გასაღებისათვის. ამ მუხლის დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებად დადგენილია დანაშაულის ჩადენა ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, ორგანიზება პირთა ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით.[2] კოდექსის 213-ე მუხლით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდისბაზრის ისეთი წესის დარღვევისათვის როგორიცაა:

- განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;
- ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორც ავღნიშნეთ, გარდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებეული უკანონო ქმედებისათვის ადმიონისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაწესებული აგრეთვე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კერძოდ ადმინისტრაციულ

[1]სამართალდარღვევათა კოდექსის165^4-165^9 მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შემდეგ ადმინისტრაციულ გადაცდომებზე;

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ისეთი დარღვევებისათვის, როგორიცაა:

- პირის მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამტკიცებაც შეჩერებული ან გაუქმებულია კომისიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად;
- ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მოვლენის გამოტოვება;
- ემიტენტების, ფასიანი ქაღალდების მფლობელების, საბროკერო კომპანიების მმართველობისა და ბროკერების მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე პროსპექტის დამტკიცებამდე ინფორმაციის გახმაურება;
- ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან სხვა სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუდგენლობა;
- ემიტენტის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების დროს ემიტენტის მიერ არსებითი მოვლენის შესახებ ინფორმაციის, ჩანაწერის ან დოკუმენტის დამალვა ან ფალსიფიცირება.

2. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებების ისეთი დარღვევები, როგორიცაა:

- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული საჯარო ფასიანი ქარალდების დადგენილი წესით დემატერიალიზაციის განუხორციელებლობა;
- ემიტენტის მიერ მისი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესახებ ჩანაწერების საწარმოებლად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შეურჩევლობა;
- ემიტენტის მიერ მისი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესახებ ჩანაწერების საწარმოებლად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შეურჩევლობა;
- ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე შეუტყობინებლობა;
- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ საჭირო ანგარიშების მოუმზადებლობა ან წარუდგენლობა;
- პირების მიერ ანგარიშის წარუდგენლობა ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების ისეთი შეძენის თაობაზე, რომლის შესახებაც მათ დადგენილი წესით ევალებოდათ ანგარიშის წარდგენა;

3. ლიცენზირების წესების ისეთი დარღვევები, როგორიცაა:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ლიცენზია, ლიცენზიის მიღების ოპერაციების განხორციელება, ან ლიცენზირებულად თავის მოჩვენება, ან საქმიანობის გაგრძელება, როდესაც ლიცენზია შეჩერებული ან გამოთხოვილია;
- დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შეტანა ან არსებითი ინფორმაციის გამოტოვება;

4. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევები საბროკერო კომპანიის მიერ, როგორიცაა:

- დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან თანამშრომლის მიერ „მოკლე" გაყიდვის, სესხის აღებისა და სამარჟო ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევა;
- ჟურნალებში, ჩანაწერებში და საანგარიშგებო მოთხოვნებში დარღვევები;
- ბროკერებების მიერ ქცევის შესახებ კომისიის წესების დარღვევა.

5. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ საანგარიშგებო, კონფიდენციალურობის მოთხოვნებისა და წესების შემუშავების პროცედურის ისეთი დარღვევები, როგორიცაა:

- საანგარიშგებო მოთხოვნების დარღვევა;
- წესების შემუშავების დადგენილი წესების დარღვევა;
- კონფიდენციალურობის მოთხოვნების დარღვევა.

---

[1] ინსაიდერული ინფორმაცია ნიშნავს არასაჭირო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან.

[2] დიდ ოდენობად ითვლება ფასიანი ქაღალდი, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება ათი ათას ლარს.

6. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სხვა ისეთი წესების დარღვევა, როგორიცაა:

- პირის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე;
- პირის მიერ კანონის დარღვევით საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა იმ საფონდო ბირჟის გარეთ, რომლებზეც ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;
- პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება (ინსაიდერული ვაჭრობა);
- პირის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა და მანიპულაციაში პირის მონაწილეობა;

ადმინისტარციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას ენიჭება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება.

საკონტროლო კითხვები:

1. ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.
2. საფონდო ბირჟების, საბროკერო კომპანიების, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ცნება, ფუნქციები.
3. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ უკანონო ქმედებებზე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

14.2 ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟის ცნება. ფასიანი ქაღალდებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლები

ფასიანი ქაღალდების ცნება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული. უმრავლესი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდი (securities) არის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საკუთრების უფლება ან სასესხო ურთიერთობა მის მფლობელსა და ემიტენტს (ანუ ფასიანი ქაღალდის გამომშვებს) შორის. ოლო წლებში ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარებამ (ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვამ) იმოქმედა ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და უცხო სახელმწიფოთა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ანგარიშსწორების გამარტივებასა და ოპერატიულობაზე. ფასიანი ქაღალდი ყოველთვის წარმოადგენს ფულად კაპიტალს ან სხვა მატერიალური ფასეულობის განზომილებას (სიმბოლოს), რის შედეგად ის იურიდიულ და ეკონომიკურ თეორიაში საფონდო და საინვესტიციო ფასეულობის სახელწოდებით არის ცნობილი.

საერთაშორისო საანგარიშსწორებო და საინვესტიციო ურთიერთობებში ფასიანი ქაღალდების გამოყენება რამოდენიმე პერიოდად არის დაყოფილი.[1] პირველი პერიოდი (1860-1914 წლები) ხასიათდებოდა ეროვნული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო მრეწველობის განვითარებით, რომელიც მოითხოვდა გრძელვადიანი კრედიტების დაბანდებას.

ამ პერიოდიდან გამოიყენება ფასიანი ქაღალდები საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, საფონდო ბირჟებზე გააქტიურდა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, რამაც კონკურენცია გაუწია საბანკო სსექტორს და სტიმული მისცა საბირჟო საქმიანობის განვითარებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მეორე პერიოდზე (1920-1945 წლები) დიდი გავლენა მოახდინა პირველი მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიოში გამოწვეულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა და არასტაბილურმა მდგომარეობამ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მისი სამართლებრივი მოწესრიგება ძირითადად ხორციელდებოდა ნაციონალური კანონმდებლობის საფუძველზე. პირველი კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ მიღებული იქნა ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამაც საფუძველი შეუქმნა სხვა ქვეყნების მიერ ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი უზრუნველყოფის განვითარებას.

მესამე პერიოდი (1945-1972 წლები) განპირობებული იყო ევროპაში მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული დამანგრეველი შედეგებით, რამაც გავლენა მოახდინა 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების მიღებაზე, რომლის საფუძველზე ეროვნული სავალუტო სისტემა ვითარდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დოლართან ფიქსირებული კურსის გამოყენებით[2], რომელიც განსაზღვრული იყო დოლარებში ოქროს ფასით. ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების შესრულებას უზრუნველყოფდა

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი).[1]

გასული საუკუნის 50-იან წლებში განვითარდა ევროსავალუტო ბაზარი, რამაც საფუძველი შეუქმნა ევროობლიგაციის გამოშვებას. ევროობლიგაციის მფლობელს ეძლეოდა სპეციალური სერთიფიკატი (მოწმობა), რომლითაც დასტურდებოდა მფლობელის მიერ გარკვეული ღირებულების ფასიანი ქაღალდის არსებობა.

მეოთხე პერიოდი (1973 წლიდან დღემდე) დაკავშირებულია საერთაშორისო სავალუტო სისტემის მცურავ სავალუტო კურსის გადასვლასთან. შაბანკო და სავალუტო ბაზრის განვითარებამ განაპირობა, როგორც უცხოური ვალუტის გამოყენება საგარეო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ასევე ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება. საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბირჟის კონკურენციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საფონდო ბირჟების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თანამედროვე ორგანიზაციული მეთოდების დანერგვა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ლონდონის საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე პირველად დაინერგა ელექტრონული სავაჭრო სისტემა SEAQ -1, რომლის გამოყენებით საგრძნობლად გააქტიურდა და გაიზარდა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. შაფინანსო ბაზრის განვითარების შედეგად ეროვნული ფასიანი ქაღალდების ბაზარმა განიცადა ინტეგრაცია ჯერ საერთაშორისო ბაზარში, შემდეგ კი გლობალურ საერთაშორისო ბაზარში. 1988 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა ახალი საერთაშორისო კონვენცია – საერთაშორისო გადარიცხვადი თამასუქების და უბრალო თამასუქების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით სრულყოფილად არ არის რეგლამენტირებული ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორებისა და ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება. ეს საკითხები ძირითდად რეგულირდება რეგიონალ დონეზე ან სახელმწიფოების ორმხრივი შეთანხმებით. საერთაშორისო ჰააგის №36 კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ მიმართ უფლებებზე და გამოყენებულ განსაზღვრულ წესებზე, რომელიც იმყოფება შუამავლის მფლობელობაში (ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილენი) ჯერ კიდევ არ არის მიღებული და შემუშავების პროცესშია. ეს არის პირველი მცდელობა ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი რეგულირებისა საერთაშორისო დონეზე.

ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მიერ შემუშავებულია 30-ზე მეტი პრინციპი, სარეკომენდაციო დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია ფასიან ქაღალდებთან წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირებასთან.

ევპორის სივრცეში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებულია მთელი რიგი კონვენციები და დირექტივებიფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით. მათ შორისაა 1970 წლის წლის ევროპის კონვენცია – საერთაშორისო ბრუნვიდან წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდის გამოყენების აკრძალვის შესახებ, 1989 წლის ევროპის კონვენცია ინსაიდერის[1] საქმიანობასთან დაკავშირებით. ევროპის 1966 წლის კონვენცია კომპანიების დაარსებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში დღემდე არ არის შესული. მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებული დირექტივები (European Union Dirqtuis), რომლებიც შეიცავს ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგებების სრულფასოვანი შესრულებისათვის რეკომენდაციებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი რეგულირების საკითხები პერიოდულად რეგიონალურ დონეზე განხილულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობების მიერ. 1993 წელს მინსკში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება – ფასიანი ქაღალდების სახელმწიფოთაშორისი ბაზრის რეგულირების შესახებ, 1998 წელს მოსკოვში მიღებული იქნა კონვენცია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დსთ-ს ქვეყნების კოორდინირებული საქმიანობის შესახებ. 2001 წელს დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მიერ მიღებული იქნა მოდელური კანონი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. ამ ჩამოთვლილი სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საქმიანობა რეგიონალურ დონეზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში.

ფასაიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და რეგულირების მიზნით შექმნილია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა:

---

[1] В. Попондопуло, Международное коммерческое право. Москва, 2004, стр. 394-426.

2 პირველად 1821 წელს „ოქროს სტანდარტი" დააღგინა მსოფლიო უძველესმა ცენტრალურმა ინგლისის ბანკმა, რომელიც შემოიღო მის მიერ გამოშვებული ბანკნოტების დახურდავება ოქროთი. მის შემდეგ ბევრმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ უარი თქვა ვერცხლის მიმოქცევაზე და ფართოდ დაამკვიდრა „ ოქროს სტანდარტი", რომლის თანახმად ფული უზრუნველყოფილი იყო ოქროთი (ტროიცკის უნციალ 31,1 გრამი წმინდა ოქრო).

– ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო კომისია (IOSCO) რომელიც დაფუძნდა 1974 წელს, ამჟამად ფუნქციონირებს მადრიდში;

– ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ორგანო, ევროპის კომიტეტი დაფუძნდა ევროკომისიის მიერ 2001 წელს, ფუნქციონირებს პარიზში;

– საფონდო ბირჟების საერთაშორისო ფედერაცია არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 56 საფონდო ბირჟას, რომლებიც ახორციელებენ ფასიანი ქაღალდებით მსოფლიო ვაჭრობის 97%-ზე მეტს, ფედერაციის წევრები შეიძლება იყვნენ საბროკერო ფირმები და სხვა პროფესიული მონაწილენი. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟების ფედერაცია შეიმუშავებს საფონდო ბირჟების სტანდარტებსა და წესებს, რომლებსაც ისინი უნდა იცავდნენ.

–ევროპის საფონდო ბირჟების ფედერაცია, აგრეთვე არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროპის ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟებს, ფუნქციონირებს ბრიუსელში.

ანალოგიური საფონდო ბირჟების ფედერაციები შექმნილია სხვა რეგიონალური პრინციპით. საფონდო ბირჟის ფედერაცია აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანის, ევრო-აზიური საფონდო ბირჟის ფედერაცია, ლათინური ამერიკის საფონდო ბირჟის ფედერაცია, სამხრეთ აზიის საფონდო ბირჟის ფედერაცია და სხვა.

საფინანსო ბირჟების განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დასაწყისიდან. თავდაპირველად ვაჭრობა ხორციელდებოდა გეოგრაფიულად მოსახერხებელ ადგილებში, სადაც განვითარებული იყო სასაწყობო მეურნეობები, საპორტო ნაგებობები, საბაზრო ფართობები, ფულის სახლები, სავაჭრო სასამართლოები. ბაზრობები წარმოადგენდა პროდუქციის მწარმოებლების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის შეხვედრის სპეციალურად მოწტობილ ადგილს, სადაც ვაჭრობა მიმდინარეობდა საქონლის ნიმუშებით. შემდეგ კი მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ, რამაც საფუძველი ჩაუყარა საგარეო ვაჭრობის აღმავლობას, საჭირო გახადა რეგულარულად მოქმედი ბაზრის ჩამოყალიბება განსაზღვრული საქონლის მიხედვით. ასე შეიქმნა სასაქონლო საფონდო და სავალუტო ბირჟები.

პირველი საერთაშორისო ბირჟა დაფუძნდა ანტვერპენში 531 წელს, რომელსაც გააჩნდა საკუთარი მუდმივი შენობა წარწერით: „ყველა ხალხისა და ენის ვაჭარიადამიანებისათვის". 1602 წელს ჩამოყალიბდა ამსტერდამის ბირჟა, რომელსაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის როლი მიენიჭა, სადაც ვაჭრობა ხდებოდა, როგორც საქონლით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით. მე-18 საუკუნეში საფონდო ბირჟები ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, აშშ-ში, შვეიცარიაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. საფონდო ბირჟების დაფუძნება განაპირობა მრეწველობის განვითარებამ და სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებამ, სადაც მოხდა კაპიტალის გაერთიანება, რომელიც დაიყო აქციებად ანუ ფასიან ქაღალდებად.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ანუ, როგორც მას უწოდებენ საფონდო ბაზარი იყოფა პირველად და მეორად, საბირჟო და არასაბირჟო ბაზრებად. პირველადი საფონდო ბაზარი ემსახურება ფასიანი ქაღალდების ემისიას და მათ პირველად განთავსებას. მეორად საფონდო ბაზარზე კი ხდება ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა. მეორადი საფონდო ბაზარი იყოფა საბირჟო და არასაბირჟო ბაზრებად. საბირჟო ბაზრები მოქმედებენ სისტემატურად, სადაც ხორციელდება ოპერაციები იმ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, რომლებიც არიან დაშვებულნი ოფიციალური ვაჭრობისათვის, ანუ გაიარეს ე.წ. ლისტინგ. ის ფასიანი ქაღალდები, რომელთაც არ გაუვლიათ ლისტინგ მიმოიქცევიან არასაბირჟო ბაზარზე, რომელიც საქმიანობს ელექტროკავშირის საშუალებით, ტელეფონის, ტელექსის და კომპიუტერული ქსელის მეშვეობით.

საკონტროლო კითხვები:

1. ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ცნება;
2. საერთაშორისო ურთიერთობებში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლები;
3. საერთაშორისო ორგანიზაციები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.

14.3 ფასიანი ქაღალდების სახეები და მათთან დაკავშირებული ოპერაციები საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საფონდო ბირჟებზე ხორციელდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია უფლების წარმოქმნასთან და ადასტურებს საკუთრების უფლებას. ეს უფლება ასეთი დოკუმენტის გარეშე არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს საფონდო ფასეულობების

სხვადასხვა სახეები, რომლებიც დაშვებულია საერთაშორისო ბირჟაზე. შაგარეო-ეკონომიკურ[1] ურთიერთობებში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, ჩეკები და კონოსამენტები.

აქციები. აქცია (ლათინურად Actio - განკარგულება) არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის წილს სააქციო საზოგადოებაში. მსოფლიო პრაქტიკაში სააქციო საზოგადოება არის ყველაზე გავრცელებული კორპორაციული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. აქციების საშუალებით ხდება კაპიტალის გაერთიანება, რომლის შედეგად შექმნილია დღევანდელი ტრანსნაციონალური გიგანტიც კომპანიები და სხვა გაერთიანებები კონცესიების და კონსორციუმების სახით. სხვადასხვა ქვეყნებში სააქციო საზოგადოების დაარსებისათვის დადგენილია სააქციო კაპიტალის მინიმალური სიდიდე. გერმანიაში ის შეადგენს 100 000 ევროს, რომელიც უნდა დაიყოს აქციებად 50 ერვოს მინიმალური ღირებულებით, დიდ ბრიტანეთში აქციებს აქვს 1 ფუნტ სტერლინგის მინიმალური ღირებულება, იაპონიაში 1 აქციის ღირებულება 50 იენს შეადგენს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მერყეობს 1-დან 12,5 დოლარამდე. საქართველოში „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე თხუთმეტ ათას ლარს. (მუხლი 51).

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებას გააჩნია აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც გააჩნია ნომინალური ღირებულება, ანუ ის ღირებულება, რომლითაც გაიცა აქცია და გატარდა რეგისტრაციაში საზოგადოების წიგნში. აქცია ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში.

აქცია არის ორი სახის – ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, რომელსაც გასცემს საზოგადოება სახელობითი ფორმით. ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშვას პრივილეგირებული აქციები, რომელიც უზრუნველყოფს დივიდენდების მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით. ამ მიზნით სააქციო საზოგადოებაში შეიძლება შეიქმნას სათანადო ემისიის პროსპექტი. ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში ნაწილდება პრივილეგირებულ აქციათა მფლობელებზე, მათი წილის შესაბამისად.

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომელიც თავისი ქონებით პასუხს აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე. აქციონერებს საზოგადოების კრედიტორების წინაშე არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. სააქციო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს საწესდებო კაპიტალი.

საერთაშორისო პრაქტიკამ დაადასტურა სამეწარმეო საქმიანობაში სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის უპირატესობა სხვა ფორმებთან შედარებით, ვინაიდან ის დამყარებულია კორპორაციული მმართველობის პრინციპებზე, რაც ნიშნავს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე აქციონერების მიერ სათანადო კონტროლის დაწესებას.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამართლებრივი ნორმების თანახმად კორპორაციული მმართველობა უზრუნველყოფს:

- აქციონერთა უფლებების დაცვას;
- ყველა აქციონერისადმი ერთნაირ მიდგომას;
- დაინტერესებული პირების უფლებების აღიარებას კორპორაციის მართვაში;
- კორპორაციის შესახებ ინფორმაციის გახსნილობასა და გამჭვირვალობას;
- მმართველი ორგანოს მიერ კორპორაციული სტრატეგიულ მართვასა დამ ის ანგარიშვალდებულებას კორპორაციისა და აქციონერების წინაშე.[1]

აქციის მფლობელს ანუ აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს დივიდენდი (მოგების წილი);
- საწარმოს შესახებ დაუბრკოლებლად, დროულად და რეგულარულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია;
- მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებებში და კენჭისყრაში;
- არჩეული იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად;

[1] ინფორმაცია ფასიან ქაღალდებთან და ანგარიშვალდებულ საწარმოებთან დაკავშირებით.

- მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების წესდებისა და სხვა დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე დამატებითი აქციების გამოშვებისა და სხვა მნიშვნელოვანი გარიგებების წარმართვაში;
- გაასხვისოს ან გადასცეს სხვა პირს თავისი აქციები;
- სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების დარჩენილი ქონების განაწილებაში.

საკორპორაციო საქმიანობაში სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები იქმნება ნაციონალური (კოლიზიური) სამართლებრივი ნორმებით, რის შედეგად ამ საზოგადოების დაარსება, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მართვის, აქციის ნომინალური ღირებულების დადგენა და სააქციო საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხები განსხვავებულად არის დადგენილი მიუხედავად ამ განსხვავებისა, სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები ერთგვაროვნად არის ჩამოყალიბებული. მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილია აქციათა შემდეგი სახეები:

- ჩვეულებრივი აქცია – რომლის დივიდენდი წინასწარ არ არის გარანტირებული – დივიდენდი დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების მოგებაზე. ჩვეულებრივი აქციის მფლობელს ეძლევა ხმის უფლება და ის მონაწილეობს სააქციო საზოგადოების მართვაში. როგორც წესი, ასეთ აქციებს ძირითადად სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები ფლობენ. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები გაიცემა მხოლოდ პრივილეგიურ აქციებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- პრივილეგიური აქცია – გარანტირებული (წინასწარ დათქმული) დივიდენდის მიღების უფლებით. პრივილეგიური აქციის მფლობელს არა აქვს ხმის, ანუ საზოგადოების მართვის უფლება;
- ხმიანი აქცია – რომლის მფლობელს ეძლევა ხმის, ანუ სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება;
- სახელობითი აქცია – გაფორმებული კონკრეტულ პირზე, მისი სხვისათვის გადასაცემად ან გასაყიდად საჭიროა სააქციო საზოგადოების თანხმობა. როგორც წესი სახელობითი აქცია ფორმდება მსხვილ თანხაზე;
- უხმო აქცია – რომლის მფლობელს არა აქვს ხმა სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მისაღებად;
- აქცია წარმომდგენზე – ის არ ფორმდება გარკვეულ პირზე, ამიტომ თავისუფლად გადაეცემა ან გაიყიდება საბაზრო ფასებში. ასეთი აქცია მოსახერხებელია აქციონერისათვის, ამიტომ არახელსაყრელია სააქციო საზოგადოებისათვის, ვინაიდან შესაძლებელია არასასურველი პირის მიერ აქციათა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდება.[1]

ობლიგაცია. (ლათინურად obligatia – ვალდებულება) კორპორაცია (სააქციო საზოგადოება) ობლიგაციას უშვებს სესხის სახით, რომელიც არის ფასიანი ქაღალდი და დამადასტურებელი იმისა, რომ მფლობელს უფლება აქვს მიიღოს ობლიგაციაზე მითითებული ნომინალური ღირებულება წინასწარ დადგენილ ვადაში და სარგებელი განსაზღვრული პერიოდულობით.[2] ობლიგაციებზე პროცენტები (სარგებელი) გაიცემა კუპონების (ამოსაჭრელი ტალონის) მეშვეობით, სადაც მითითებულია საკუპონო თანხა, როგორც აქციონერები, ისე ობლიგაციის მფლობელებიც იღებენ ობლიგაციის ფლობის დამადასტურებელ დოცუმენტს – ობლიგაციის სერტიფიკატს ან ამონაწერს რეესტრიდან. აქციებისაგან განსხვავებით ობლიგაცია არის სასესხო კაპიტალი, რის გამო ობლიგაციის მფლობელთა და აქციონერთა უფლებები მკვეთრად არის განსხვავებული. ობლიგაციონერებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში და მიიღონ წმინდა მოგება (დივიდენდი) სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით. ობლიგაციის მფლობელი გარდა მისი ნომინალური ღირებულებისა იღებს ფიქსირებულ საპროცენტო თანხას (ანუიტეტს), როცა აქციების მფლობელი ასეთი უფლებებით არ სარგებლობს.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ძირითადად ობლიგაციების შემდეგი კატეგორიები:

1.ემიტენტის მიხედვით:

- სახელმწიფო ობლიგაციები: ეს უშუალოდ სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ობლიგაციებია;
- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების – ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის და სხვათა მიერ გამოშვებული ობლიგაციები;

- ბანკების ობლიგაციები;[1]
- კორპორაციების (სამრეწველო) ობლიგაციები. ისინი, ჩვეულებრივ, გამოირჩევიან მაღალი კუპონით. სასურველია მათზე გარანტიის არსებობა.[2]

2. კუპონის ტიპის მიხედვით:
- ობლიგაციები ფიქსირებული განაკვეთით;
- ობლიგაციები „მცოცავი" განაკვეთით;
- ობლიგაციები ნულოვანი განაკვეთით (Zero coupon)

3. გადახდის სიხშირის მიხედვით:
- ობლიგაციებზე ფიქსირებული განაკვეთით – პროცენტს წელიწადში ერთხელ გაიცემა;
- ობლიგაციებზე ნულოვანი კუპონით – პროცენტი არ გადაიხდება;
- ობლიგაციებზე „მცოცავი" განაკვეთით – პროცენტი 1, 3, 6 თვეში ერთხელ გაიცემა.

4. გამოშვების პირობების მიხედვით:
- ჩვეულებრივი ე.წ. „ქუდით" (cap) – ობლიგაცია „ქუდით" ნიშნავს პროცენტის ზრდის ზედა ზღვარის დაწესებას, ანუ პროცენტის ზემოდან შეზღუდვას. მაგ., არა უმეტეს 9 პროცენტისა.
- ჩვეულებრივი ე.წ. „იატაკით" (floor) – ობლიგაცია „იატაკით" ნიშნავს შემოსავლის ფიქსაციას ქვემოდან, ანუ პროცენტის ქვედა ზღვარს. მაგ., არანაკლებ 4%-ისა.
- ჩვეულებრივი ე.წ. „საყელოთი" (collar) – ობლიგაცია „საყელოთი" ნიშნავს შემოსავლის ფიქსაციას როგორც ზემოდან, ასევე ქვემოდანაც, ანუ პროცენტის ცვლილების ქვედა და ზედა საზღვრებს. მაგალითად არანაკლებ 4%-ისა და არაუმეტეს 9%-ისა.

5. გამოშვების დამატებითი პირობების მიხედვით:
- ობლიგაცია დამატებითი პირობით (call) - უფლებას აძლევს ემიტენტს სესხის ვადის გასვლამდე გამოისყიდოს სესხი. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ სესხი ძვირადღირებულია და არ არის საშუალება მისი თავიდან გამოშვებისა. როგორც წესი, მფლობელები იღებენ ახალ ქაღალდებს, მათ კი ვისაც ეს არ სურს, უფარავენ ძველ სესხს. ჩვეულებრივ, ამის შესახებ მფლობელებს 30-40 დღით ადრე ატყობინებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეტ შემთხვევაში ობლიგაციის საბაზრო ფასი ნომინალურს უახლოვდება;
- ობლიგაცია დამატებითი პირობით put– უფლებას აძლევს ობლიგაციის მფლობელს სესხის ვადის გასვლამდე მოითხოვოს სესხის დაფარვა და ემიტენტიც ვალდებულია ეს განახორციელოს. აღნიშნული ობლიგაცია უაღრესად პოპულარულია უცხოეთის ქვეყნებში;
- კონვერტირებადი ობლიგაცია. იგი შეიძლება გაცვალოს ამ კომპანიის აქციებზე მოცემული მომენტისათვის ფიქსირებული ფასით. ასეთი ობლიგაციის პროცენტი, როგორც წესი, მეტად დაბალია;
- არაკონვერტირებადი ობლიგაცია. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია, თუ ვის მიერ არის გარანტირებული ფასიანი ქაღალდი. თუ ეს მსხვილი ბანკია, მაშინ ობლიგაცია სანდოა და მყარი.

კორპორაციების (სამრეწველო) ობლიგაციების მსგავსია საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ე.წ. კონვერსიული ვალდებულებები და ოპციონური სესხები,[1] რომლებიც წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს და გააჩნიათ მყარი ფიქსირებული პროცენტი სარგებლის სახით. ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელს უპირატესი უფლება ეძლევათ შეცვალოს ეს ფასიანი ქაღალდები გარკვეული პროპორციით ან შეიძინონ ახალი აქციები.

თამასუქები. (გერმანულად wechsel ვექსილი). განსაკუთრებულ ფასიან ქაღალდს წარმოადგენს თამასუქი, რომლითაც დასტურდება მისი გამცემის ფულადი ვალდებულება გადაუხადოს თამასუქის მფლობელს (თამასუქის წარმომდგენს) დათქმულ ვადაში გარკვეული თანხა.

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად თამასუქი წარმოადგენს უნივერსალურ საკრედიტო-საანგარიშსწორებო დოკუმენტს, რომელიც ასრულებს ფულის გადახდის ფუნქციას და ამავე დროს თამასუქი თვითონ არის ფასიანი ქაღალდი და სხვადასხვა გარიგების ობიექტი.

თამასუქების საერთაშორისო ბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის მიღების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1910 და 1912 წელს განხორციელდა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც შეიმუშავა თამასუქების

---

[1] გ. ამილახვარი (თანაავტორებთან ერთად) ბიზნესის სამართლის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბილისი, 2003, გვ. 229-253.

[2] ლ. ღუდუშაური, კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბილისი 2002, გვ.89-102

[2] ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, 1998, გვ.516-601.

შესახებ კონვენციის პროექტი, მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და სხვა მიზეზებით მისი მიღება ვერ მოხერხდა.

1930 წელს მიღებული იქნა საერთაშორისო კონვენცია – გადარიცხვადი და უბრალო თამასუქების შესახებ და 1988 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა კონვენცია – უბრალო თამასუქების შესახებ.

ჩეკი. ასიანი ქაღალდის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ჩეკი, რომელიც არის წერილობითი განკარგულება და უფლებას აძლევს მის მფლობელს მასში მითითებული თანხის უპირობო განაღდებაზე.

ჩეკს ფაქტიურად აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ვექსილს. 1930-1931 წლებში მიღებული იქნა ჟენევის საერთაშორისო კონვენცია – თამასუქებისა და ჩეკების შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ჩეკის შემდეგი სახეები:

- წარმომდგენის ჩეკი. ასეთი ჩეკის ნებისმიერი წარმდგენი „ითვლება მის კანონიერ მფლობელად. მას უკეთდება წარწერა „წარმდგენზე";
- ორდერული ჩეკი. ასეთი სახის ჩეკი იწერება მხოლოდ განსაზღვრულ პირზე და უკეთდება წარწერა „ვბრძანებ". მისი სხვა პირზე გადაცემა დაიშვება ინკოსამენტის მეშვეობით;
- სახელობითი ჩეკი. სახელობითად ითვლება ჩეკი, თუ ის გამოწერილია განსაზღვრულ პირზე და შეიცავს აღნიშვნას „ არ ვბრძანებ". ამგვარი ჩეკი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს დათმობის (ცესიის) გზით. განაღდება ხორციელდება მხოლოდ ჩეკში აღნიშნული პირის მოთხოვნით.

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ განაპირობა უნაღდო საანგარიშსწორებო ბრუნვის გაფართოება. დასავლეთ ევროპაში შემუშავდა და ფართოდ დაინერგა „განსაკუთრებული ჩეკური ბარათის" სისტემა, რომლის თანახმად ბანკი ვალდებულებას იღებს გაანაღდოს ჩეკი დადგენილი თანხის ფარგლებში. 1975 წლიდან განვითარდა ე.წ. „ ევროჩეკების" სისტემა, რომელიც თანახმად ბანკების მიერ გამოშვებულ ჩეკებზე და ჩეკურ ბარათებს დამატებით გაუკეთდა წარწერა „ eurocheque(ee)'' და შესაძლებელი გახდა კონკრეტულ პირზე მისი გამოწერა უცხოური ვალუტით. ასეთი ჩეკებით შესაძლებელია, როგორც შეძენილი საქონლის ანგარიშსწორება, ასევე ნაღდი ფულის მიღება.

კონოსამენტი. საერთაშორისო საზღვაო სამართლის თანახმად, კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას, მასში აღნიშნულია ყველა რეკვიზიტი (საზრვაო ზედნადები). კონოსამენტის წარდგენისას გადამზიდველი ვალდებულია გასცეს ტვირთი. აღნიშნულიდან გამომდინარე კონოსამენტითგანისაზღვრება სამართლებრივი ურთიერთობა ტვირთის გადამზიდავსა და მიმღებს შორის.

კონოსამენტი არის შემდეგი სახის:

- სახელობითი, რომელშიც მითითებულია კონკრეტულად ტვირთის რაოდენობრივი მახასიათებელი და მიმღები პირი;
- საორდერო, რომელშიც მიმღები არ არის მითითებული, მაგრამ მითითებულია პირი, რომლის ბრძანებითაც გაიცემა ტვირთი;
- წარმდგენზე, რომლის დროსაც ტვირთი გაიცემა კონოსამენტის წარმდეგნ პირზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 677-ე მუხლის თანახმად, კონოსამენტი არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია მისი შინაარსი.

1924 წელს მიღებული იქნა ბრიუსელის კონვენცია კონოსამენტის უნიფიკაციის ცალკეული წესების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა კკონოსამენტის შევსებისა და გაცემის წესი, დადგინდა კონოსამენტის რეკვიზიტები მისი მტკიცებულებითი ძალა გადამზიდველის მიერ დოკუმენტებში მითითებული ტვირთის მიღებაზე. 1968 წელს მითითებულ კონვენციაში შეტანილი იქნა ცვლილება სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ. 1978 წელს გაერთიანებული ერების კონვენციით – ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ (საერთაშორისოსამართალში ცნობილია, როგორც ჰამბურგის წესები) ასევე რეგულირდება კონოსამენტის ტივრთბრუნვისა და შესყიდული გადასაზიდი საქონლის მფლობელის უფლებებზე.

1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა კონვენცია – საერთაშორისო შერეული გადაზიდვების თაობაზე, რომლითაც დადგინდა ქაღალდის კონოსამენტის შეცვლა ელექტრონული კონოსამენტით. 1990 წელს საერთაშორისო საზღვაო კომიტეტის მიერ მიღებული იქნა ელექტრონული კონოსამენტების წესები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარეთა შეთანხმებით საგარეო ვაჭრობაში. ელექტრონული კონოსამენტის შემოღებამ განაპირობა ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ბაზის მიღება. საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ინიციატივით ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის საქონელგამკარგავი დოკუმენტების გადაცემის

მიზნით შეიქმნა საერთაშორისო სისტემა BOLERO , რომელიც უზრუნველყოფს[1] ცენტრალიზებულად ელექტრონული დოკუმენტების გადაცემის ყველა ოპერაციების განხორციელებას და ინფორმაციის შეუცვლელად შენახვას.

საკონტროლო კითხვები:

1. ფასიანი ქაღალდების ცნება და სახეები, მათი დახასიათება.
2. კონოსამენტის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

[1] ე. როდე, ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. 1993, გვ. 325-368

თავი 15

ინტელექტუალური საკუთრება საერთაშორისო ბიზნესში და მისი სამართლებრივი რეგულირება

„განათლება – ეს არის უკეთილშობილეს სულთა უკვდავება“
ნიცშე

თავი ეხება ინტელექტუალური საკუთრების ცნებას, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს, საკუთრების ადგილს ბიზნესში დამ ის სამართ-ლებრივ რეგული-რებას ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

საკუთრების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველო ისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციის, ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციისა და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის. სუვერენული სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და მიღებულია ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელი მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ამ საკითხის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია და ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. ქვეყნის უმაღლესი კანონის ამ დებულებიდან გამომდინარე, ყოველი მოქალაქე თავისუფალია თავისი ნიჭითა და შრომით შექმნის ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, არქიტექტურის ნაწარმოებები, მეცნიერული შრომები, სამრეწველო ნიმუშები და სხვა ინტელექტუალური ქონება და უზრუნველყოფილი იქნეს ამ საკუთრების უფლების ჯეროვანი დაცვა.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირების საკითხები დადგენილი იყო 1997 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსის 1017-1105 მუხლებით, რომლებიც მოქმედებდა ახალი კანონის მიღებამდე. 1999 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა – საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანს შეადგენს საავტორო ქონებრივი და პირად არაქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

როგორც ვხედავთ, მითითებული ნორმით დაცულია საავტორო ქონებრივი და აგრეთვე არაქონებრივი უფლებები, როგორც ნაწარმოებების შექმნის, ასევე მისი გამოყენების დროს. ამასთანავე დაცულია ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია შემსრულებლებთან,[1] ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან[2] და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან.[3]

---

[1] შემსრულებლად მიჩნეულია თეატრის კინოსა და ხელოვნების სხვა დარგის მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს. მღერის, უკრავსმუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს, მათ შორის საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.

[2] დამამზადებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის.

15.1 საქართველოში ინტელექტუალური

[3] მაუწყებლობის ორგანიზაციას მიეკუთვნება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების გადაცემა უმავთულო კავშირგაბმულობით, მათ შორის თანამგზავრის მეშვეობით.

მე-3 მუხლის თანახმად ეს კანონი ვრცელდება:

- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირი;
- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოცემულად, თუ საზღვარგარეთ პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ისინი გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;
- შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე და რომლის დაცვაც ხდება წინა აბზაცის მოთხოვნათა შესაბამისად; ასევე შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში და რომლის დაცვაც ხდება მომდევნო აბზაცის მოთხოვნათა შესაბამისად;
- იმ მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადაცემების მეშვეობით;
- არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;
- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

კანონით დადგენილია და ამომწურავად არის ჩამოთვლილი საავტორო უფლების ობიექტები, რომელიც ვრცელდება:

- საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა;
- საავტორო უფლება ამავე დროს, ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე. კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხულია ნაწარმოებში.

კანონით დაკონკრეტებულია მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ნაწარმოებების სახეები, რომელშიც შედის:

- ლიტერატურული ნაწარმოებები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);
- დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიისა ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;
- მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ.
- აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო, ტელე, ვიდეოფილმი და სხვა);
- სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები.
- დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;
- თეატრალური-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;
- არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;
- ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. (აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად).
- რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვანება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს.

- გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, აღაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;
- შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევის და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;
- სხვა ნაწარმოებები.
- ამასთანავე გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანახმად. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

დადგენილია კანონით ნაწარმოების ავტორის არაქონებრივი უფლებები, რომლის თანახმად ავტორის უფლებას შეადგენს:

- აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება).
- მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარპზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);
- პირველად გამოაქვეყნოს ნაწარმოები;
- ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);
- დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);
- ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);
- მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია სჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

ამასთანავე ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გავრცელების მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ეგზემპლარები.

პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

კანონით დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. ამ კანონის მე-18 მუხლით კონკრეტულად არის დადგენილი ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები, რომელებსაც განეკუთვნება: ავტორის, ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის განსაკუთრებული უფლება, რომლის საფუძველზე მათ შეუძლიათ განახორციელონ, ნება დართონ ან აკრძალონ:

- ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება)
- ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);
- ნაწარმოების ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება)
- ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი
- ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

- ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);
- ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);
- ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);

ამავე დროს ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება).

თუ მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ეგზემპლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით აღნიშნულ ნაწარმოებთან ორიგინალის ან ასლების გაქირავებით გავრცელების განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებზე საკუთრების უფლების მიუხედავად.

არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლეებს ადა ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებით.

ნაწარმოების ავტორის ზოგად ქონებრივ უფლებებთან ერთად კანონით დადგენილია კომპიუტერულ პროგრამებზე და მონაცემთა ბაზებზე განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები, რომლის თანახმად: კომპიუტერული პროგრამის ავტორი განსაზღვრულ ზოგად ქონებრივ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

- კომპიუტერული პროგრამის რეპროდუქცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ ასეთი რეპროდუცირება ესაჭიროება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვას, ჩვენებას, მუშაობას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, მაშინ აუცილებელია ავტორის თანხმობა;
- კომპიუტერული პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება იმ პირის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;
- კომპიუტერული პროგრამის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით, გაქირავების ჩათვლით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა – გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შემდგომი გაქირავება.

მონაცემთა ბაზის ავტორი განსაზღვრულ ზოგადქონებრივ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

- მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;
- მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;
- მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ბაზის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გაყიდვის კონტროლის უფლება;
- ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

კანონით ასევე განსაზღვრულია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება, რომლის თანახმადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 თავით დადგენილია საავტორო უფლებების მოქმედების ვადა.

- სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება) ამასთან მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

- სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის სამხატვრო სალონის სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასაყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით. გამყიდველები ვალდებულნი არიან აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მოთხოვნით მიაწოდონ ინფორმაცია გაყიდვების შესახებ.
- ამასთან, დაუშვებელია გათვალისწინებული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში იგი კანონით ან ანდერძით გადადის მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

კანონი არეგულირებს საავტორო უფლებების გადაცემის წესს ანდერძით ან მემკვიდრეობით.

საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომელიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა. ამ შემთხვევებში ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ფსევდონომით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან. თუ ამ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

საავტორო უფლება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული თანაავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. თუ ნაწარმოები ქვეყნდება ტომებად, ნაწილებად, გამოშვებებად ან ეპიზოდებად, ხოლო საავტორო უფლების დაცვის ვადა აითვლება მართლზომიერ გამოქვეყნების თარიღიდან, ეს ვადა გამოითვლება თითოეული ასეთი ნაწარმოებისათვის.

საავტორო უფლება შეღგენილ და გადამუშავებულ ნაწარმოებებზე მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მათი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო თუ ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა – მისი შექმნის თარიღიდან.

საავტორო უფლება აუდიოვიზუალური ნაწარმოებზე (დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგის ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებებისათვის) მოქმედებს ავტორთაგან (თანაავტორთაგან) უკანასკნელის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

იმ პირის ქონებრივი საავტორო უფლება, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა აღრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები (საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ) მოქმედებს 25 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან.

ამასთან ერთად, ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ჟანრის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

დაუშვებელია ნაწარმოების გამოქვეყნება ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრე გამოქვეყნებული სხვა ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების, ხელშეუხებლობის და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები. ეს წესი ვრცელდება იმ ნაწარმოებზედაც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა ავტორთა პროფესიულ ფონდებს და ორგანიზაციებს, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს. ანარიცხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების 3 პროცენტს.

მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება. თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ამ ავტორის უფლებებს, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია თავისი ქონებრივი უფლებები გადასცეს უფლებამონაცვლეს. უფლებამონაცვლეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება. განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების ნებართვა გაიცემა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (განსაკუთრებული ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები განსაზღვრული სახით და ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, გადასცემს მხოლოდ ლიცენზიატს და მასვე აძლევს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის ავტორის) მიერ. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას.

ჩვეულებრივ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (ჩვეულებრივი ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ნებას რთავს ლიცენზიატს, გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ჩაითვლება ჩვეულებრივ უფლებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონის 45-ე 57-ე მუხლებით რეგულირდება საავტორო და მომიჯნავე უფლებები და ამ უფლებათა მოქმედების ვადები. ზემოთ ავღნიშნეთ, რომ მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთ უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამასთან მომიჯნავე უფლებების დაცვა არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას, ანუ კანონით დადგენილი საავტორო უფლებები გარანტირებულია. შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს შემდეგი პირადი და ქონებრივი უფლება:

- სახელის უფლება;
- უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);
- უფლება, გამოიყენოს შესრულება ნებისმიერი ფორმით, შესრულების ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.
- შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:
- იმ შესრულების ჩაწერა, რომელიც ადრე არ იყო ჩაწერილი;
- შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ჩაწერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;
- შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ანდა შესრულების სხვაგვარი საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა;
- შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით;
- იმ გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავება, რომელზედაც ჩაწერილია შესრულება შემსრულებლის მონაწილეობით, ნებართვა გაიცემა შემსრულებლის მიერ, ხოლო შემსრულებელთა კოლექტივის შესრულებაზე ნებართვა – ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, მოსარგებლესთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

კანონით განსაზღვრავს ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებულ უფლებებს. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ფონოგრამა ნებისმიერი ფორმით, ფონოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით. ფონოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ფონოგრამის რეპროდუცირება;
- ფონოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;
- ფონოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;
- ფონოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით
- ფონოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობით. ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

ვიდეოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ვიდეოგრამა ნებისმიერი ფორმით, ვიდეოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

ვიდეოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ვიდეოგრამის რეპროდუცირება;
- ვიდეოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;
- ვიდეოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;
- ვიდეოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით
- ვიდეოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობით. ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მაუწყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს თავისი გადაცემა ნებისმიერი ფორმით, გადაცემის ყოველი ფორმით გამოყენებიმათვის ანაზღაურების მიღების უფლების ჩათვლით. გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

- გადაცემის ჩაწერა;
- გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესკაც გადაცემა ჩაწერილია მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;
- გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით შესაბამისად საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;
- გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;
- გადაცემის საჯარო გადაცემა აღგილებში, სადაც შესვლა ფასიანია.
- გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

კანონით განსაზღვრული შემსრულებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შესრულებიდან. თუ ამ ვადაში შესრულების ჩანაწერი მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიცა ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გადაცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაცულია უვადოდ. ეს უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. თუ ამ ვადაში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიცა, ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

საეთერო (საკაბელო) მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ასეთი ორგანიზაციის მიერ ეთერში (კაბელით) პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 15 წლის განმავლობაში მონაცემთა

ბაზის დამზადებიდან. თუ ამ ვადაში მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, თხუთმეტი წელი აითვლება გამოქვეყნებიდან. მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული ცვლილება, კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, გამომდინარე გაუქმებიდან ან შესწორებიდან, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდაბანდება, შესაძლებლობას იძლევა ასეთი დაბანდების შედეგად შეცვლილ მონაცემთა ბაზას მიეცეს დაცვის საკუთარი ვადა.

ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველია. აღნიშნული უფლებები იმ ვადების დარჩენილი დროის ფარგლებში, გადადის შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის მემკვიდრეებზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მის უფლებამონაცვლეებზე.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით დადგენილია ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. სხვისი საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგო კომერციული მიზნით გამოყენება მის თანაავტორობაზე იძულება – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

მითითებული მუხლის მესაამე ნაწილით დადგენილია ჩამოთვლილი ქმედებების დამამძიმებელი გარემოებები, რომელსაც განეკუთვნება არაერთგზისობა და მნიშვნელოვანის ზიანის მიყენება, რაზედაც გათვალისწინებულია თავისუფლების შეზღუდვა ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა იმავე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157^1 მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება – დაჯარიმება და რეპროდუცირებული ქონების ეგზემპლარების კონფისკაცია ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების უკანონო რეპროდუცირება გაყიდვის, გაქირავების ან გამოყენების მიზნით.[1] ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იგივე სანქციით, როგორც განხილულ მუხლით არის დადგენილი, ასევე დაწესებულია კოდექსის 157^2 მუხლით ნაწარმოების, ფონოგრამის, ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბების, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ყალბი ინფორმაციის მითითებისათვის, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157^3 მუხლით კი დაწესებულია ადმინისტრაციული სახდელის დაწესება ნაწარმოების, ფონოგრამის ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის ან მის მიერ დასმულ დაცვის ნიშნის შეცვლის ან განადგურებისათვის. პირველ შემთხვევაში განსაზღვრულია ჯარიმა ათასიდან სამი ათას ლარამდე, განმეორებით ჩადენისას კი სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე ამ საგნების კონფისკაცია. [1]

სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვს მოითხოვონ დამრღვევისაგან:

- უფლების აღიარება
- უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;
- ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;
- ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;
- ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო;

---

[1] ჯარიმა გათვალისწინებულია ხუთასიდან ათას ლარამდე, რეპროდუქცირებული ქონების კონფისკაციით და პირს, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეფარდებული ჰქონდა სასჯელი ასეთი ქმედებისათვის (განმეორებითი ჩადენა) ჯარიმდება ათასიდან სამი ათას ლარამდე იგივე კონფისკაციით.

[1] ჩამოთვლილი სამივე მუხლით დადგენილია რომ კონფისკებული ეგზემპლარები – ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

• მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების განხორციელებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორიცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრეთვე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გავრცელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია.

საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შესახებ საქმაო მონაცემების არსებობისას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი ან სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაადოს:

- ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ეგზემპლარები, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ეგზემპლარებია;
- მასალები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის.
- დოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

.გარდა აღნიშნულისა, 1992 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი – საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, რომლითაც რეგულირდება საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის და გაოგრაფიულ აღნიშვნასთან, რეგისტრაციასთან დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

ამ კანონის თანახმად, ადგილაწმროშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მისანიშნად, რომლიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან, ან რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გზებით ან ადამიანის ფაქტორით, ასევე რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

გეოგრაფიული აღნიშვნა, არის სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია ამ საქბონლის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან, რომმლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან, ან ან რაიმეს წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. ადგილწარმოშობისა დასახელებისა და გეოგრაფიული აღნვშინვის დაცვაც ხდება „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. 1999 წლის 5 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს საპატენტო კანონი, რომელიც აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების – გამოგონებების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშის შექმნასთან, მათ გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ წარმოქმნილ ქონებივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. კანონი ადგენს, რომ გამოგონებაზე სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე „საქპატენტის“[1] მიერ გაიცემა პატენტი, რომელიც ადასტურებს და ავტორობას ანიჭებს

[1] საჯარო სამართლის იურიდიული პირისი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ შექმნილია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი დებულება დამტკიცებულია საქართველოს

პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე.

ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტებად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური და შემოქმედებით შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში. პატენტის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს. რამდენიმე პირის შრომის შედეგად შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მიღების უფლება აქვს, როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ასევე ცალკეულ მათგანს სხვა დანარჩენს ავტორების მიერ პატენტის მიღებაზე უარის თქმით შემთხვევაში.

პატენტის მფლობელს ან მათ უფლებამონაცვლეს (ლიცენზიორი) უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე (ლიცენზიატი) ლიცენზია, რომელიც შეიძლება იყოს მარტივი, ლიცენზიორს უტოვებს პატენტიდან გამომდინარე ყველა უფლებას), ან განსაკუთრებული (ლიცენზიორს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიების გაცემის უფლებას).

გამოგონების პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 20 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღიდან. უცხო ქვეყანაში მიღებული პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ამ ქვეყანაში პატენტის მოქმედების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 20 წლისა „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღიდან.

სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაბამისად 8 და 15 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღიდან.

დაპატენტებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე დამზადება, გამოყენება, ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობა, მათი არსის განზრახ გამჟღავნება, ავტორობის მითვისება – იწვევს პასუხისმგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესით. უფლებების დარღვევის თაობაზე სარჩელი შეიძლება აღიძრას „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში ან სასამართლოში.

1998 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი – ინტელექტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც დადგენილია საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფიქციული[2] პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას (იმპორტისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესი.

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საავტორო უფლება და გააჩნია საკმარისი საფუძველი, რომ ივარაუდოს მისი უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან კონტრაფაქციული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესახებ, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შეჩერება. შემდეგ კი სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანისას შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტს გამოაქვს გადაწყვეტილება მოცემული საქონლის განადგურების ან განკარგვის შესახებ. [1]

ინტელექტუალურ საკუთრებას არეგულირებს აგრეთვე საქართველოს 1999 წლის კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ. 1992 წლის ასევე დასახელების დებულება და ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია.,რომელთა თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთვაგროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის.

დასახელებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვა ან სიტყვები („არგო“, „თოლია“, „კოდაკ“) ადამიანის სახელი, გვარი („ალუდა“ „ ორდ“ „ჩჰრისტიან იორ“) ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა, ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის, ან ფერთა კომპბინაციის გამოყენებით.

პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით და რომლის ძირითადი ამოცანებია ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების, საბაზო ურთიერთობათა მოწესრიგების და ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანზე, გეოგრაფიულ აღნიშვნაზე, უფლებების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფას ანუ საქართველოს სახელმწიფოს სახელით ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტებზე დამცავი დოკუმენტაციის „პატენტის“ გაცემა.

[2] კონტრაფიქციული პროდუქცია არის ნაწარმოების, ფონოგრამის, ან ვიდეოგრამის დამზადება ან გავრცელება, რომელიც იწვევს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევას.

[1] მითითებული წესი არ ვრცელდება „დე-მინიმის“ იმპორტზე, ანუ არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტია სასელექციო მიღწევა. 1996 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“ რომელიც იცავს სელექციონერთა უფლებებს მცენარეთა, ცხველთა და სასარგებლო მწერთა (ფუტკარი) ახალი ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით. სელექციონერის მიერ ახალი ჯიშის გამოყვანა დასტურდება რეგისტრაციითა და მოწმობის გაცემით. რაც მას ანიჭებს 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებულ უფლებას, ხოლო ვაზის, მერქანის, ხეხილოვანი, დეკორატიული, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ტყის ჯიშებისათვის, მათ შორის საძირეებისათვის 35 წლის განმავლობაში.

ინტელექტუაური საკუთრების დაცვის სპეციალურ ობიექტს წარმოადგენს ასევე ინტეგრალური მიკროსქემები, რომელიც ბოლო წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგს წარმოადგენს. ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის კანონმდებლობა პირველად შემუშავებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ, გასული საუკუნის 80-იან წლებში იაპონიაში და ევროპის გაერთიანების ქვეყნებში, ინდოეთში და ა.შ. საქართველოში ინტეგრალური სქემების დაცვის მიზნით 1999 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა სპეციალური კანონი ინტეგრალური მიკროსქემების შესახებ, რომელიც არეგულირებს ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. კანონის განმარტებით ინტეგრალური მიკროსქემა არის ელექტრონული ფუნქციის შემსრულებელი ნაკეთობა დასრულებული ან შუალედური ფორმით, რომლის ელემენტები, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგშიერთი ან ყველა ურთიერთშეერთება განუყოფლადაა ფორმირებული ნაკეთობის მასალის მოცულობაში ან/და ზედაპირზე. ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია არის ინტეგრალური მიკროსქემის ელემენტით, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთების რაიმე სახით გამოსახული სამგანზომილებიანი განლაგება ან ინტეგრალური მიკროსქემის წარმოებისათვის მომზადებული სამგანზომილებიანი განლაგება.

ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციით რომლის მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს. რეგისტრაციას ექვემდებარება მხოლოდ ორიგინალური ტოპოლოგია, რომელიც შექმნილია ინტელექტუალური შრომის შედეგად და არ იყო საყოველთაოდ ცნობილი შექმნის თარიღისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე.
2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.
3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქართველოს ნორმატიული აქტები.

15.2. ინტელექტუალური საკუთრების ცნება და მისი დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

ტერმინი – ინტელექტუალური საკუთრება საერთაშორისო კერძო სამართალში დამკვიდრდა 1967 წლის 14 ივლისს სტოკჰოლმში მიღებული კონვენციით, რომლითაც დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO).[1]

თავისი არსით ცნება ინტელექტუალური (ინტელექტი, ლათინურად Intellectus– გაგება, შემეცნება, გონება პიროვნების თვისებაა, რაც აზროვნების უნარის შესაძლებლობების, პიროვნების აზროვნების განვითარების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

ინტელექტუალური საკუთრება არის იურიდიული ცნება, რომლებიც წარმოიშობიან შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების და საზოგადოებრივი წარმოების სფეროში. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები, ხელოვანის შემსრულებლობითი საქმიანობა, მაგნიტოფონური და გრამაფონური ჩანაწერი, რადიო და ტელეგადაცემა, მეცნიერული ნაშრომი და აღმოჩენა, სასაქონლო ნიშანი, საფირმო დასახელება და ა.შ.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვას უძველესი დროიდან ეთმობოდა გარკვეული ყურადღება. ძველ რომსა და საბერძნეთში, შემდეგ კი მოგვიანებით ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთის იმპერიაში და სხვა სახელმწიფოებში მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა, ხელოვნების სხვა დარგის პროფესიონალ ავტორთა უფლებების შელახვა უპატიოსნო და უკანონო ქმედებად ითვლებოდა.

[1] ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია WIPO წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებულ ავტონომიურ ორგანიზაციას.

სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების პლაგიატის, კოპირების, მეკობრეობისა და ქვეყნიდან კონტრაბანდის გზით გატანის აღკვეთის მიზნით ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოებმა მიიღეს ამ უკანონო ქმედებების მომწესრიგებელი მრავალი, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც დადგინდა საავტორო უფლებები, საავტორო უფლებათა სუბიექტები, საავტორო სამართლის ობიექტები და ამ უფლებების დაცვის საშუალებანი და შეღეგები.

ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად მიღებულია და დღეისათვის მოქმედებაშია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, როგორიცაა:

- ბერნის 1886 წლის – ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის კონვენცია[2] (დღეისათვის მოქმედებაშია 1971 წლის ბოლო შესწორებებით);
- პარიზის 1883 წლის – სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენცია (1967 წლის ბოლო შესწორებით);
- ჟენევის 1952 წლის საავტორო სამართლის კონვენცია;
- რომის 1961 წლის – არტისტ-შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის კონვენცია;
- ვაშინგტონის 1989 წლის – ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეკრულება.
- სტოკჰოლმის 1967 წლის – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენცია;
- ვაშინგტონის 1970 წლის – საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება;
- ვენის 1973 წლის – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ხელშეკრულება;
- ნიცის 1957 წლის – ნიშნების რეგისტრაციას განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ შეთანხმება;
- მადრიდის 1973 წლის კონვენცია – საფაბრიკო და სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ 1994 წელს მიღებული იქნა შეთანხმება – ვაჭრობის ასპექტებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლი ორგანიზაციის (WIPO) ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განუხრელად შესრულების, მათში ცვლილებების შეტანისა და ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავებისა და მიღების მიზნით. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია და მიღებულია: 1996 წლის ხელშეკრულება – საავტორო უფლებების შესახებ; 1996 წელს ხელშეკრულება – შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ; 1996 წელს ხელშეკრულება – კანონი სასაქონლის ნიშნის შესახებ; 2000 წელს –ხელშეკრულება – საპატენტო სამართლის შესახებ.

გარდა ჩამოთვლილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა, მიღებულია ასევე მთელი რიგი რეგიონალური სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ინტელექტუალური საკუთრების საკითხებს, მათ შორის მიუნხენის 1973 წლის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი –„ევროპის პატენტის“ შექმნას და რეგისტრაციას. ევროკავშირის მიერ მიღებულა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი ნორმები: 1991 წლის – კომპიუტერის პროგრამების სამართლებრივი დაცვის დირექტივა; 1992 წლის დირექტივა – შემოქმედებით ნაწარმოებების არენდით (გაქირავებით) გადაცემის და უსასყიდლო გამოყენების უფლება და სხვა მომიჯნავე უფლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში; 1993 წლის დირექტივა ცალკეული სპუტნიკური მაუწყებლობისა და კაბელური გადაცემისას – საავტორო და მომიჯნავე უფლებების ნორმების კოორდინაციის თაობაზე; 1993 წლის დირექტივა – საავტორო და ცალკეული მომიჯნავე უფლებების ვადის დაცვის ჰარმონიზაციის შესახებ; 1996 წლის დირექტივა – მონაცემთა ბაზის სამართლებრივი დაცვის თაობაზე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით 1993 წელს ხელმოწერილია და მიღებულია შეთანხმება – გამოგონების სამართლებრივი დაცვის სფეროში სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების უზრუნველყოფის შესახებ, 1993 წელს მიღებულია ასევე მეორე შეთანხმება – სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოთაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ.

ჩამოთვლილი ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური სამართლებრივი აქტები სხვა სპეციალურ და ზოგად სამართლებრივ ნორმებთან ერთად არეგულირებენ ინტელექტუალური

[2] საქართველო მიუერთდა და ძალაშია, 1995 წლის 16 მაისიდან.

საკუთრების ზოგად ქონებრივ და არაქონებრივ (მორალურ) უფლებების დაცვის საკითხებს, კერძოდ კი, საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, საპატენტო, სასაქონლო და მომსახურების ნიშნის, სხვა კომერციული აღნიშვნის, სასელექციო მიღწევის, ნოუ-ჰაუს დაცვის რთულ და ამავე დროს მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს.

თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის პირობებში წარმოუდგენელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა ურთიერთმომგებიანი და ხელსაყრელი კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობის გარეშე. სხვა ქვეყნების მსგავსად სუვერენული საქართველო დიდი რუდუნებით ცდილობს დაეუფლოს სხვა ერების კულტურულ მემკვიდრეობას და მსოფლიოს წარუდგინოს და გააცნობს ჩვენი უძველესი და წარმატებული კულტურული ეროვნული განძი. ამ მიზნით ითარგმნება და გამოიცემა უცხოელი ავტორების ლიტერატურის, ხელოვნების და სხვა ჟანრის ნაწარმოებები, იდგმება უცხოელი დრამატურგების თეატრალური სპექტაკლები, სრულდება საზღვარგარეთის ქვეყნებში შექმნილი მუსიკალური შედევრები, წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა კინო, რადიო, ტელევიზიისა და კულტურის სხვა სფეროებში. ეს კულტურის მრავალფეროვანი თანამშრომლობა ვითარდება სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის, კანონებისა და ეროვნული ტრადიციების და ჩვეულებების ღრმა პატივისცემით.

ქვეყნებს შორის საერთაშორისო კულტურულ და ეკონომიკურ თანამშრომლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საავტორო, მომიჯნავე და სამრეწველო საკუთრების დაცვის მნიშვნელოვან საკითხებს. საერთაშორისო სამართლის, კერძოდ კი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამათრლებრივი ნორმებით ამ სახის დარღვევები განიხილება, როგორც ქონებრივი და არაქონებრივი (ავტორის ან შემსრულებლის მორალური უფლებები) უფლებათა დარღვევები.

ბოლო წლებში საერთაშორისო კერძო სამართალში საავტორო სამართლის ობიექტები და საპატანტო სამართალი გაერთიანდა ერთ საერთო ჯგუფში, რომელიც იწოდება „ინტელექტუალური საკუთრებად“ ზემოთ მითითებული სტოკჰოლმის 1967 წლის კონვენციის (რომლითაც შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) თანახმად ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ეხება ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო დანიშნულების ნაწარმოებებს, მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩაწერას, რადიო და სატელევიზიო გადაცემებს, გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და სამეცნიერო აღმოჩენებს, სამრეწველო ნიმუშებს; სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, ასევე ყველა სხვა უფლებებს, რომლებიც ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია სამრეწველო, სამეცნიერო ლიტერატურულ და მხატვრულ სფეროებში.[1]

საავტორო სამართალი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ინტელექტუალური სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან – საავტორო სამართლისა და სამრეწველო სამართლისაგან. ბერნის – ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის კონვენციის 21-ე მუხლში განსაზღვრულია ამ ნაწარმოებების ობიექტები და მითითებულია, რომ ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები“ მოიცავს ლიტერატურის მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოებებს, მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდითა და ფორმით არ უნდა იყოს გადმოცემული.კონკრეტულად საავტორო სამართლის ობიექტებია:

- წიგნი, ბროშურა და სხვა ამგვარი ნაწარმოები; [1]
- დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები;
- ქორეოგრაფიული და პანტომიმის ნაწარმოებები;
- მუსიკალური კომპოზიციები ტექსტით ან უტექსტოდ;
- კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომელთანაც გათანაბრებულია ანალოგიური პროცესით შექმნილი კინომატოგრაფიის ნაწარმოებები;
- ნახატები, ფერწერის ნაწარმოებები, არქიტექტურის სკულპტურის და ლითონოგრაფიის ნაწარმოებები;
- ფოტოგრაფიული და მასთან გათანაბრებული ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაწარმოებები;
- გამოყენებით ხელოვნების ნაწარმოებები;
- ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები, სამგანზომილებიანი ნაწარმოებები, რომლებიც გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას ან მეცნიერებას განეკუთვნება.

---

[1] Богуславский Международное частное право. Москва 1998 стр.259

[1] ტერმინ „სხვა ამგვარ ნაწარმოებებში“ იგულისხმება ლექცია, სტატია, საჯარო გამოსვლა, კომპიუტერული პროგრამა და სხვა.

საავტორო სამართლის ობიექტების ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მიუთითებს მასზედ, რომ კონვენციით დაცულია მხოლოდ ნაწარმოებები და არა თვითონ იდეა. ინტელექტუალური საკუთრების ქონებრივ უფლებას კონვენციის თანახმად ასევე განეკუთვნება თარგმანი (მუხლი 8), გახმოვანების უფლება (მუხლი 11), ნაწარმოების საჯარო ჩვენებისა და შესრულების უფლება (მუხლი 11), საჯაროდ წაკითხვის უფლება (მუხლი 11), გადაკეთების, არანჟირებისა და სხვა ცვლილებების უფლება.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, გადამამუშავებელი, შედგენილი და სხვა სახის ნაწარმოების პირად არაქონებრივ უფლებად დადგენილია ავტორის უფლებამოსილება მოითხოვოს ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გავრცელების შეცვლა და სხვა ხელყოფისაგან თავის შეკავება მისი თანხმობის გარეშე. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ავტორს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, აგრეთვე შელახული ღირსებისა და რეპუტაციის აღდგენა.

საავტორო სამართლის მომიჯნავე უფლებები. როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1961 წელს მიღებული იქნა რომის კონვენცია – არტისტ-შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლებისა და სამაუწყებლო ინტერესების დაცვის შესახებ.

აღნიშნული კონვენციითა და სხვა სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულია საავტორო სამართლის მომიჯნავე უფლებები, რომელიც დაკავშირებულია შემსრულებლებთან ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სამართლებრივი ნორმებით დადგენილია მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები, რომელთაც მიეკუთვნება:

- შემსრულებლები – მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და დირიჟორი;
- ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი დამამზადებლები (ფიზიკური და იურიდიული პირები).;
- მაუწყებლობის ორგანიზაცია (საეთერო ან საკაბელო ორგანიზაცია).

სამრეწველო სამართალი და საპატენტო სამართალი. კაცობრიობა თავის განვითარებასთან ერთად ყოველთვის ცდილობდა შეექმნა რაიმე სიახლე. უძველესი დროიდან ამ სიახლის გამომგონებელს ენიჭებოდა გარკვეული ვადით მისი დამზადების უფლება. დღეისათვის მსოფლიოში განვითარებულმა საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკურმა თანამშრომლობამ მოითხოვა გამომგონებელთა უფლებების სამართლებრივი დაცვის სისტემის სრულყოფა. გამოგონების დაცვა ხორციელდება საპატენტო სამართლის ნორმებით. ნებისმიერი სიახლის შექმნა გამოგონებად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სახელმწიფო ორგანოს (საპატენტო სამსახური) მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. კონკრეტულ პირებზე კი გამომგონებლის უფლების მინიჭება ხორციელდება მასზე შესაბამისი დოკუმენტის (პატენტის) გაცემით, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ამ პატენტის გამცემი ქვეყნის ტერიტორიაზე.[1]

პარიზის 1983 წლის (ბოლო 1967 წლის შესწორებებით) კონვენციაში – სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, საერთაშორისო სამართალში პირველად შემოიღო და დაამკვიდრა ტერმინი „სამრეწველო სამართალი“. ამ კონვენციის ხელმომწერ ყველა ქვეყნებში (კონვენციის წევრ ქვეყნებში) გამომგონებლის უფლების დაცვა ხორციელდება შესაბამისი დამცავი დოკუმენტის – პატენტის გაცემით.[2]

საპატენტო სამართლის შესაბამისად პატენტი გაიცემა:

- გამოგონებაზე;
- სასარგებლო მოდელზე;
- სამრეწველო ნიმუშზე;

გარდა მითითებული პარიზის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობისა, 1993 წელს დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოების მთავრობების მეთაურების მიერ მიღებული იქნა შეთანხმება სამრეწველო საკუთრების დაცვით ღონისძიებათა შესახებ და შეიქმნა სამრეწველო საკუთრების დაცვის სახელმწიფოთაშორისი საბჭო, რომლის ამოცანას შეადგენს სახელმწიფოთაშორისი ერთიანი კოორდინირებული სისტემის შემუშავება, სამრეწველო საკუთრების დაცვის სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია.

კომერციული აღნიშვნის სამართალი და სასაქონლო ნიშანი. კაცობირობა უძველესი დროიდან აყენებდა საკუთარ ნიშანს პირადი ქონების და საქონლის სხვისი ქონებისაგან

---

[1] სხვა ქვეყანაში გამომგონებლის უფლებების დასაცავად საჭიროა ამ ქვეყანაში პატენტის მიღება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად უცხო ქვეყანაში გაცემული პატენტის საფუძველზე, თუ ის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, შეიძლება გაიცეს საქართველოს პატენტი.

[2] ანალოგიურად წყდება ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ საპატენტო კანონით, რომელიც განხილული იქნება დეტალურად შემდეგ პარაგრაფში.

განსხვავების მიზნით. ბოლო პერიოდში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების შედეგად სასაქონლო და მომსახურების ნიშნის გამოყენება უფრო აქტუალური გახდა. დღევანდელ მსოფლიოში სასაქონლო და მომსახურების ნიშანი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორს – შედეგად კი მისი კონკურენტუნარიანობისა და ბაზარზე დამკვიდრების ძირითად პირობას.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ტერმინი „სასაქონლო ნიშანი“ განიმარტება, როგორც – ნებისმიერი აღნიშვნისაგან შემდგარი (ხილვადი) გრაფიკულად გამოსახვადი აღნიშვნა, რომელიც იძლევა ერთი საქონლის მეორე საქონლისაგან თავისუფლად გარჩევის საშუალებას. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სასაქონლო ნიშნის შემდეგი სახეები:

- ჩვეულებრივი ან მოგონილი სიტყვა ან სიტყვები;
- ადამიანის სახელი, გვარი;
- ასოები, ციფრები, ბგერები;
- გამოსახულება;
- სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა (სავაჭრო კაზმულობა);
- საფირმო სახელწოდება;
- გეოგრაფიული დასახელება;
- გარეგნული ფერი ან ფერთა კომბინაცია.

სამართლებრივი ნორმებით დაცულია კონკრეტული მესაკუთრის სასაქონლო ნიშნის უფლებები, რომელიც მოიპოვება ერთ შემთხვევაში მეწარმის მიერ თავისუფლად, ანუ მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. მეწარმე თავისუფლად ქმნის და ირჩევს მისთვის სასურველ ნიშანს და იყენებს მას თავისი საქონლის მოსანიშნად. მეორე შემთხვევაში კი, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების მოსაპოვებლად აუცილებელია მაისი რეგისტრაცია ადმინისტრაციულ ორგანოში.

ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები. სასელექციო მიღწევა. ინტელექტუალური სამართლის დაცვის ობიექტია ასევე სასელექციო მიღწევა, რომელიც მოიცავს მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანას. 1961 წელს პარიზში მიღებული იქნა კონვენცია – მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ, რომელშიც შესწორებები იქნა შეტანილი 1987 და 1991 წლებში, რაც შეეხება ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვას უმეტესწილად ის რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. საქართველოში 1996 წელს მიღებული იქნა კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ.

ნოუ-ჰაუ. საწარმოო-კომერციული საიდუმლოება ანუ ნოუ-ჰაუ აგრეთვე არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტი, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმებით.

ინტელექტაულარი საკუთრების დაცვის სხვა ობიექტებში შედის აგრეთვე ინტეგრალური მიკროსქემები და დომენი ანუ „ბინის მისამართის სახელი“ ინტერნეტით სარგებლობისას.[1]

საკონტროლო კითხვები:

1. ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.
2. საავტორო სამართლის, საავტორო და მომიჯნავე სამართლის, კომერციული აღნიშვნის სამართლის, სასაქონლო ნიშნის სასელექციო მიღწევის და ნოუ-ჰაუს ცნება.

[1] ინტელექტუალური საკითხების მარეგულირებელ ძირითად საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები შედარებით მოკლედ განხილულია ამ პარაგრაფში. მომდევნო პარაგრაფში უფრო ვრცლად იქნება განხილული ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი საქართველოს ნორმატიული აქტები.

თავი 16

აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი.

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“
ილია ჭავჭავაძე
„ის ვინც ეძებს მილიონს ფრიად იშვიათად პოულობს მას, მაგრამ სამაგიეროდ ის ვინც არ ეძებს, იგი ვერასდროს ვერ პოულობს“
ბალზაკი

ამ თავში ზოგადად განხილულია საქართველოში აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, აუდიტორული შემოწმების არსი, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენცია, ლიცენზიის მიღების, გამოცდების ჩატარების მოთხოვნები, აუდიტორული შემოწმების ხელშეკრულების საგანი, აუდიტორის უფლებები და მოვალეობები, ასევე შესამოწმებელი საწარმოს ვალდებულებები და უფლებები.

16.1. საქართველოში აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

მსოფლიოს დღევანდელ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამოუკიდებელი საფინანსო კონტროლის უზრუნველყოფის სისტემას. უმრავლესი მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად საფინანსო კონტროლის ეს სისტემა მოიცავს განხორციელებული საფინანსო ოპერაციების სისწორის დადგენას ანუ მის შესაბამისობას მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან, საწარმოთა წლიური საფინანსო ანგარიშის (ბალანსის) მონაცემების შემოწმებასა და საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევას, აღრიცხვის, ფინანსებისა და სხვა სფეროში. აუდიტორულ ამ შემოწმებას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორიული ფირმები და დამოუკიდებელი ინდივიდუალური აუდიტორები.

საქართველოს კანონის “აუდიტორული საქმიანობის შესახებ” მე-2 მუხლის შესაბამისად აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები საწარმოთა სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აუდიტორული მომსახურება მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიზას და საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო, დაბეგვრის და სამეურნეო კანონმდებლიბის სხვა სფეროებში.

აუდიტორი ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართებრივი ფორმით შექმნილ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობითა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რომელშიც მოცემულია აუდიტორული შემოწმების ჩატარების ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პროცედურები, რომლებიც თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს შემოწმების პროცესში.

აუდიტორული შემოწმება (აუდიტი) ტარდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (სავალდებულო აუდიტი), აგრეთვე საწარმოს ინიციატივით (საინიციატივო აუდიტი) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიონ აუდი -

ტორი (აუდიტური ფირმა) საწარმოს აუდიტორული შემოწმებისათვის. აუდიტორის შრომა ანაზღაურდება დადებული ხელშეკრულების შესაბამისად დამკვეთის ხარჯზე.

კანონით დადგენილია აუდიტორული შემოწმების სუბიექტები, რომლებსაც მიეკუთვნებიან აუდიტორული ფირმა ანუ საწარმო და ფიზიკური პირები ანუ ინდივიდუალური აუდიტორები, აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად ლიცენზიის საფუძველზე და\ან აუდიტური ფირმის მეშვეობით.

აუდიტურ ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მასში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს. აუდიტური ფირმა არის საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის რეგულირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის №778–110 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და დამტკიცებულია მისი დებულება, რომლის თანახმად აუდიტორული საბჭოს კომპეტენცია და ფუნქციები განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას.

აუდიტორული საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება;
- აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება;
- აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის დებულების შემუშავება და დამტკიცება; აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) სისტემის შექმნა, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება;
- აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- აუდიტორულ საქმიანობაზე სხვა სახელმწიფოთა მიერ გაცემული დოკუმენტების ლეგალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე;
- აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

დაკისრებული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით აუდიტორული საბჭო;

- შეიმუშავებს აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს, შეიმუშავებს და ამტკიცებს საქმიანობის სტანდარტებს, დებულებებს, მეთოდიკურ რეკომენდაციებს;
- აღგენს აუდიტორთა საატესტაციო მოთხოვნებს, აუდიტორული საქმიანობის განხორციელების ლიცენზირების წესებს;
- ორგანიზაციას უწევს აუდიტორთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას (კვალიფიკაციის ამაღლებას);
- აწყობს აუდიტორთა ატესტირებას, გასცემს აუდიტორთა სერთიფიკატებს და სააუდიტორო საქმიანობის ლიცენზიებს;
- საჭიროების შემთხვევაში აჩერებს მის მიერ გაცემული ლიცენზიების მოქმედებას ან შესაბამის სუბიექტებს ჩამოართმევს სერტიფიკატებს და ლიცენზიებს;
- მეთვალყურეობს აუდიტორული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- შესაბამისი ორგანოების წინაშე აღძრავს იმ სუბიექტების საქმიანობის შეჩერების საკითხს, რომლებიც აუდიტორული საქმიანობისას არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას;
- მჭიდროდ თანამშრომლობს აუდიტორთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ სამსახურებთან, ქვეყნისა და უცხოეთის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან.

აუდიტორთა ატესტაციის მიზნით აუდიტორული საბჭო აყალიბებს შემდეგ მუდმივმოქმედ საატესტაციო კომისიებს:

- საბანკო აუდიტისა;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტისა;
- საბირჟო, არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტისა;
- ზოგადი (სხვა ეკონომიკრი სუბიექტების) აუდიტისა.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო ლიცენზიებს აძლევს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებმაც გაიარეს ატესტაცია, მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი და აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილ იმ აუდიტორულ ორგანიზაციას (ფირმას), რომელშიც სულ ცოტა ერთი ლიცენზირებული აუდიტორი მაინც მუშაობს.

ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს სერტიფიკატები და ლიცენზიები ეძლევა შესაბამის საფასურად, რომლის ოდენობას განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის საბჭო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

აუდიტორული საბჭოს მართვის უმაღლესი ორგანოა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგია. კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგენით. კოლეგიის თავმჯდომარე იმავდროულად არის აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარე.

აუდიტორული საბჭოს საქმიანობას ოპერატიულად მართავს აუდიტორიული საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე.

"აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აუდიტორთა ატესტაციას /კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა/ ახდენს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ატესტაციაზე დაიშვებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ეკონომიკური ან იურიდიული განათლების მქონე ფიზიკური პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, აუდიტური ფირმის სპეციალისტად, ბუღალტრად, ეკონომისტად, რევიზორად, იურისტად, საწარმოს ხელმძღვანელად, ეკონომიკური პროფილის მეცნიერ მუშაკად ან პედაგოგად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი.

აუდიტორს ან აუდიტურ ფირმას შეუძლია მიიღოს ერთ ან რამდენიმე სფეროში აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია. აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების კონკრეტული პირობები განისაზღვრება სპეციალური დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის 2002 წლის 9 ოქტომბრის №1 დადგენილებით, რომლის თანახმად აუდიტური ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ მასში სულ ცოტა ერთი სერტიფიცირებული აუდიტორი მაინც მუშაობს.

აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის მიღების მსურველი შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული აუდიტორული საქმიანობა, რომელიც მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას, ექსპერტიზას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას, ახორციელებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის, საჯარო საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრის და სამეურნეო საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენას.

სხვა სახელმწიფოების აუდიტორ ფირმებზე ლიცენზია გაიცემა აუდიტორული საქმიანობის საბჭოში, მათი წერილობითი მიმართვის და წარმოდგენილი დოკუმენტების ლეგალიზაციის საფუძველზე.

ლიცენზიით ნებადართული აუდიტორული საქმიანობის ქვემოთ ჩამოთვლილ სახეებზე ლიცენზიებს გასცემს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ცალცალკე:

- საბანკო აუდიტი;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი;
- საბირჟო, სახელმწიფო სპეციალური ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი;
- ზოგადი აუდიტი (სხვა ეკონომიკური სუბიექტების აუდიტი).

ლიცენზიის გამცემი ორგანო საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო უფლებამოსილია:

- გასცეს ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე და აწარმოოს უწყებრივი რეესტრი;
- კანონით დადგენილი წესით შეაჩეროს ან გააუქმოს ლიცენზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად;
- აუნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის შემადგენელ ორგანოს ლიცენზიის გაცემის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ;
- გამოაქვეყნოს ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". კანონმდებლობით დადგენილია, რომ ლიცენზია გაიცემა 5 წლამდე ვადით. ამასთან ლიცენზიის გადაცემა სხვა პირისათვის აკრძალულია.

ლიცენზიის მიღების საფუძველია ლიცენზიის მაძიებლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ფიზიკური პირის სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს, სერტიფიკატის ნომერს, საქმიანობის სფეროს, აუდიტორული ორგანიზაციის საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს). წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს, სერტიფიცირებული აუდიტორის მონაცემებს.

ლიცენზიის მფლობელის, მისი საფირმო სახელწოდების (გვარი, სახელი), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის გამცემ ორგანოს წერილობით აცნობოს ამის შესახებ და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო ვალდებულია ლიცენზიის მაძიებლის ამ დებულებით გათვალისწინებული წესით წარმოდგენილი საბუთი განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება წარდგენის 30 დღის განმავლობაში, რომლის შედეგების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას:

- ლიცენზიის გაცემის შესახებ
- ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ

ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და განსაზღვრავდეს ლიცენზიაზე უარის თქმის საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მაძიებელს არ გაეგზავნება შეტყობინება ლიცენზიის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ 30 დღის განმავლობაში, ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს შეუდგეს ლიცენზიის მისაღებ განცხადებაში აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას ამ ვადის გასვლისთანავე.

ლიცენზიის გამცემ ორგანოს–აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შეუძლია ლიცენზიის გაცემაზე უარი თქვას, თუ:

- წარმოდგენილი საბუთი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს;
- ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას იმ საქმიანობაზე, რომელზეც მას გაუუქმდა ლიცენზია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- ლიცენზიის მაძიებელს შეჩერებული აქვს ლიცენზია და არა აქვს აღმოფხვრილი ლიცენზიის შეჩერების საფუძველი.

დაუშვებელია ლიცენზიაზე უარის თქმა ლიცენზირების გაცემის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით. ლიცენზიის გამცემი აუდიტორული საქმიანობის საბჭო ლიცენზიის დუბლიკატს გასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიმართავს სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს რეესტრში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ.

ლიცენზიის გაცემის თაობაზე სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილება ლიცენზიის ასლის გაცემის შესახებ, ლიცენზიის მოწმობის ასლს გააჩნია ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ლიცენზიის დედანს. ლიცენზიის გაცემისას, ისევე როგორც ლიცენზიის დუბლიკატის გაცემისას, ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მის მფლობელს ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების მოტივისა და საფუძვლის მითითებით, აღინიშნება სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდება ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება ნიშნავს ლიცენზიის ნებადართული აუდიტორული საქმიანობის განხორციელების აკრძალვას ლიცენზიის განახლებამდე.

ლიცენზიის მოქმედების განახლების შესახებ გადაწყვეტილება შეიტანება როგორც უწყებრივ, ისე სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და ქვეყნდება ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილებით აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) შეიძლება ჩამოერთვას აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

- აუდიტის დაბალ დონეზე ჩატარების რამდენიმე ფაქტის დადგენისას;
- აუდიტის ჩატარებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორული ეთიკის მოთხოვნების, დებულებებისა და სხვა ნორმატული აქტების განზრახ დარღვევის დროს;
- თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა მის მასალებში აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ უსწორი მონაცემების წარდგენის ფაქტი;

ლიცენზიის გამცემი ვალდებულია, ადმინისტრაციული პირის განცხადების საფუძველზე, განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ 3 დღის ვადაში. სალიცენზიო მოწმობა ლიცენზიის მფლობელს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში.

გარდა აღნიშნულისა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის 2002 წლის 9 ოქტომბრის №2 დადგენილებით დამტკიცებულია აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლების მოსაპოვებელი საკვალიფიკაციო გამოცდების (სერტიფიცირე-

ბის) ჩატარების დებულება, რომლის თანახმად ატესტაცია (სერტიფიცირება) ნიშნავს, რომ განსაზღვრული მომენტისათვის აუდიტორული საქმიანობის წარმოებით დაინტერესებული პირი (შემდგომში – პრეტენდენტი) შეესაბამება იმ სასერტიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია მათი საქმიანობისათვის. პრეტენდენტის ატესტაცია (სერტიფიცირება) ხდება აუდიტორული საქმიანობის სფეროში მათი კომპენტენტურობის დადასტურების მიზნით.

დებულებით დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს საბანკო, სადაზღვევო ორგანიზაციათა, საბირჟო, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების და ზოგადი (სხვა სამეურნეო სუბიექტთა)აუდიტის საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარების უფლების მოპოვებას. ატესტაციაზე დაიშვება უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ეკონომიკური ან იურიდიული განათლების მქონე ფიზიკური პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, აუდიტური ფირმის სპეციალისტად, ბუღალტრად, ეკონომისტად, რევიზორად, იურისტად, საწარმოს ხელმძღვანელად, ეკონომიური პროფილის მეცნიერ-მუშაკად ან პედაგოგად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი.

საატესტაციო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პირი იღებს საკვალიფიკაციო სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება სამი წლით. საკვალიფიკაციო საგამოცდო დისციპლინებია:

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- აუდიტი;
- საგადასახადო კანონმდებლობა;
- კერძო სამართალი.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზაციის, ჩატარების და შედეგების დამტკიცებისათვის ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას (შემდეგში-კომისია) და ამტკიცებს კომისიის პერსონალურ შემადგენლობას. კომისიას ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც საბჭოს 10 დღით ადრე წარუდგენს კომისიის შემადგენლობას. კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს კომპეტენტური იმისათვის, რომ შემოწმდეს პრეტენდენტის ცოდნა დისციპლინის მიხედვით. კომისიის უფლებამოსილება წყდება გამოცდების შესახებ ანგარიშგების ჩაბარების შემდეგ. დებულებით აგრეთვე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების წესი.

საკონტროლო კითხვები:

1. აუდიტორული საქმიანობისა და აუდიტორული შემოწმების ცნება;
2. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენცია;
3. აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების წესი;
4. საატესტაციო გამოცდების ჩატარების ზოგადი მოთხოვნები.

16.2. აუდიტორული შემოწმების ჩატარების ზოგადი წესი

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორისა (აუდიტორული ფირმისა) და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულებით. ამასთან ერთად, კანონი აღგენს, რომ აუდიტორსა (აუდიტორულ ფირმას) და დამკვეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორის საგანი და შესრულების ვადები. აუდიტორული მომსახურების მოცულობა, ანაზღაურების ოდენობა და პირობები. მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვა საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს აუდიტორული შემოწმების სრულად და ობიექტურად ჩატარებას, და ამავე დროს დაცული იქნება ამ აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლებები.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის შემოწმება, მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ასევე მატერიალური და ფულადი საშუალებების დაცულობის ხარისხის შეფასება. ხელშეკრულების ამ საგნის შესასრულებლად აუდიტორი ვალდებულია შეისწავლოს და გაარკვიოს საწარმოს წესდებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოში ორგანიზაციულ ურთიერთობებს, მისი საფინანსო საქმიანობის ნაწილში. დეტალურად შესწავლისა და ანალიზის საგანია აგრეთვე:

- საწესდებო კაპიტალის საბალანსო მონაცემების რეალობა, მისი ფორმირება და სისწორე;
- ბუღალტრული რეესტრების, ბრუნვათა ბალანსის, ფულადი სახსრებისა და დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ანგარიშგების ბლანკების, საბანკო ანგარიშსწორების მდგომარეობა, საკრედიტო რესურსების არსებობა და გამოყენება;

- მასალების, ქონების ინვენტარიზაცია, მათ შორის მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები, ასევე ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რემონტზე გაწეული კაპიტალური დაბანდები და დანახარჯები.
- შიდა კონტროლის ორგანიზაცია, წინა პერიოდის საგადასახადო ინსპექციის, სხვა მაკონტროლებელი ორგანოების აქტები და აუდიტორული დასკვნები.

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია აგრეთვე ხელშეკრულების საგნის გაფართოება და დაკონკრეტება შესრულების ვადების დადგენით. ამავე დროს ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს დამკვეთის ვალდებულებას ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაცია და უზრუნველყოს საბოლოო შედეგების გამოყვანა, წარმოადგინოს სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი დოკუმენტაცია და საწარმოს ანგარიშგება და ასევე თანამდებობის პირებისა და სხვა თანამშრომლების ახსნა-განმარტებები და ცნობები.

ხელშეკრულებაში აგრეთვე უნდა განისაზღვროს ჩასატარებელ სამუშაოთა ღირებულება, ანგარიშსწორების წესი, შესრულებული სამუშაოს მიღებისა და ჩაბარების მექანიზმი. მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო დონეზე შესრულების შემთხვევაში, ასევე აუდიტორულ დასკვნაში არასწორი მონაცემების შეტანისათვის და სამუშაოს დაგვიანებით შესრულებისათვის. ამავე დროს ხელშეკრულებით უნდა დადგინდეს, რომ ყველა დავა და უთანხმოება, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, მიუღწეველობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან ერთად კანონით დადგენილია, რომ ხელშეკრულების საგანი და პირობები კონფიდენციალური ინფორმაციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულება საიდუმლოდ შეინახონ ხელშეკრულების არსებობა და შინაარსი, არ გაუმხილონ ინფორმაცია მესამე მხარეს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საყოველთაოდ მისაწვდომი საჯარო ინფორმაციის გამოკლებით.

ხელშეკრულებაში აგრეთვე ითვალისწინებენ სამუშაოების შეჩერების საკითხს ფორს-მაჟორული მდგომარეობების (საზოგადოებრივი უწესრიგობა, საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, სტიქიური და სხვა ექსტრემალური პირობები) დადგომისას, რომლებმაც შესაძლოა ხელი შუშალონ მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებაში. ამის შესახებ ეცნობება მხარეებს მათი ერთობლივი გადაწყვეტილებებით. შესაძლოა სამუშაოების შესრულების დროებით შეჩერება და გადადება ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე.

ამასთან ერთად კანონი ითვალისწინებს, რომ კონსულტაციების სახით აუდიტორული მომსახურების გაწევა შეიძლება ხელშეკრულების, დამკვეთის მიერ აუდიტორისადმი (აუდიტორული ფირმისადმი) წერილობითი ან ზეპირი მიმართვის საფუძველზე. ამ სახის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, ხელშეკრულებით ან წერილით, ასევე ზეპირი შეთანხმებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულებები, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს იმის მიხედვით, თუ რა მიზანს სახავს აუდიტორულ შემოწმებები, საწარმოს რომელი მიმართულება ექვემდებარება ექსპერტიზას, რა ფორმით და მოცულობით იქნება წარმოდგენილი საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, საწარმოს სხვა დოკუმენტაცია, რომელთა უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობას. ურთიერთშეთანხმებით დგინდება სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები, ასევე შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ანაზღაურების საკითხები.

გარდა ფინანსური ანგარიშგებისა, აუდიტის საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს საწარმოს მთლიანი ასპექტების აუდიტორული შემოწმება, ან ცალკეული ისეთი მიმართულებებისა, როგორიცაა პერსონალის მუშაობის მეთოდი, საწარმოში არსებული ნაკლოვანებების გაანალიზება, ეკონომიკური დისციპლინის დარღვევის გამოვლენა და სხვა პროცესები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ საწარმოს საბოლოო შედეგებზე. ამ სახის აუდიტორული შემოწმებების მთავარი მიზანია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული მიმართულებების ჩამოყალიბება.

დღეისათვის ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოთა ნებაყოფლობით და სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას. ამასთან, სამეურნეო სუბიექტს უფლება აქვს ამოირჩიოს აუდიტორი (აუდიტორული ფირმა), რომელიც დამოუკიდებელნი არიან თავიანთი დამკვეთისაგან, აგრეთვე მხარისაგან, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე იმ აუდიტორული ფირმის მესაკუთრეებისა და ხელმძღვანელებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი. ამ კანონის მე-19 მუხლის თანახმად აუდიტორებს (აუდიტორულ ფირმებს) უფლება აქვთ:

- მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტების, ნორმების, დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვრონ აუდიტის ფორმები და მეთოდები;
- მიიღონ დამკვეთის ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება აუდიტის საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებულნი არიან წარუდგონონ ისინი აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) დამკვეთის მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად;
- მიიღონ აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით დამკვეთის ხელმძღვანელებისა და მუშაკებისაგან;
- შეამოწმონ სრული მოცულობით სამეურნეო სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტაცია, არსებული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ფასეულობანი, მოითხოვონ სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისაგან საკონტროლო გაზომვის, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის და სხვა სამუშაოების მოწყობა;
- მიიწვიონ ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად.

კანონით ასევე დადგენილია აუდიტორების (აუდიტორული ფირმების) მოვალეობები, ისინი ვალდებულნი არიან:

- აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დებულებები და ნორმატიული აქტები;
- კვალიფიციურად მოაწყონ აუდიტორული მომსახურება, შეამოწმონ დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივებთან;
- აცნობონ დამკვეთს, აგრეთვე სათანადო მიმართვის შემთხვევაში მესაკუთრეებს, მათ რწმუნებულებს აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;
- საიდუმლოდ შეინახონ აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაურონ კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გამოიყენონ ისინი თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;
- არ დაუშვან თავისი და მესამე პირების საქმიანი თვისებების რეკლამირება.

ამავე დროს კანონმდებლობით დადგენილია, რომ აუდიტორული შემოწმების ჩატარება ეკრძალებათ:

- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს რომელიმე ხელმძღვანელის ახლო ნათესავები არიან;
- აუდიტორებს, რომლებსაც შესამოწმებელ საწარმოსთან აკავშირებთ პირადი ქონებრივი ინტერესები;
- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს მუშაკები, მესაკუთრეები, დამფუძნებლები ან ხელმძღვანელობის წევრები არიან;
- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს შვილობილი საზოგადოების, ფილიალების ან წარმომადგენლობის მუშაკები ან თანამესაკუთრენი არიან.

ამასთან ერთად კანონი ადგენს შესამოწმებელი საწარმოს ხელმძღვანელების მოვალეობებს, ისინი ვალდებულნი არიან:

- აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) გადასცენ აუდიტის ჩასატარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია, აუდიტის მოთხოვნისთანავე მისცენ ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით აუდიტის საგანთან დაკავშირებით, შეუქმნან აუდიტორს აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები;
- ოპერატიულად აღმოფხვრან აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები;

კანონმდებლობით დადგენილია, რომ საწარმოები, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო აუდიტორულ შემოქმებას, ვალდებულნი არიან საანგარიშო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინონ საგადასახადო ინსპექციას აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების დადების შესახებ. აუდიტორული დასკვნა საგადასახადო ინსპექციას ჩაბარდება წლიურ ანგარიშთან ერთად. სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სხვა სუბიექტების აუდიტორული დასკვნები უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

კანონით აგრეთვე დადგენილია აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) პასუხისმგებლობის საკითხი. აუდიტორს (აუდიტურ ფირმას), რომელიც სათანადოდ არ შეასრულებს თავის მოვალეობებს,

ქონებრივი და სხვა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მისი მიზეზით დამკვეთისადმი ფაქტობრივად მიყენებული ზარალის ოდენობას.

კანონში ასევე მითითებულია, რომ აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება ფორმდება აუდიტორული დასკვნის მიღებ-ჩაბარების აქტით. ამასთან აუდიტორული დასკვნა დგება შესაბამისი ფორმით და მოწმდება აუდიტორის ხელმოწერით.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე უნდა მოიცავდეს ნათლად და მკაფიოდ გამოხატულ მოსაზრებას, არგუმენტებსა და ანალიზს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ამასთან აუდიტორული დასკვნა დგება შემდეგი თანმიმდევრობით:

- შესავალი, სადაც აღინიშნება აუდიტორის დასახელება, ლიცენზიის ნომრები, შესამოწმებელი საწარმოს დასახელება, ხელშეკრულების თარიღი და ნომრები;
- აუდიტის სახე და საგანი;
- აღწერილობითი ნაწილი მოიცავს წარმოდგენელი დოკუმენტებისა და სხვა გარემოებების შეფასებას, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოვლენილი ნაკლოვანებების მტკიცებულებებით დასაბუთებას;
- სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება საწარმოში არსებული მდგომარეობა და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები.

საკონტროლო კითხვები:

1.აუდიტორული შემოწმების ხელშეკრულების არსი;
2.აუდიტორების უფლებები და მოვალეობები;
3.შესამოწმებელი საწარმოს ვალდებულებები.

თავი 17

საწარმოთა გადახდისუნარობისა და იძულებითი აღსრულების სამართლებრივი რეგულირება

„ფული უნდა მართო და არ უნდა ემსახურო მას“
სენეკა
„მოკლე საბნის ქვეშ ვინც ფართოდ წვება იმას ფეხები შიშველი რჩება“
გოეთე

წინამდებარე თავში განხილულია საწარმოთა გადახდისუნარობის ცნება, გაკოტრების საქმის წარმოების წესი, რეაბილი-ტაციის დანიშვნის საფუძვლები, საზ-ღვარგარეთ წარ-მოებული გადახ-დისუნარობის საქ-მეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღს-რულების საკითხები, აგრეთვე იძულებით აღსრულებასთან და-კავშირებული სა-მართლებრივი რე-გულირების საფუძ-ვლები.

17.1 საწარმოთა გადახდისუნარობის ცნება და გაკოტრების საქმის წარმოება

ყველა საწარმოს ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რომლის მიღწევა შესაძლებელია მისი შემდგომი განვითარებით, რაც მოიცავს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებასა და მომსახურების გაწევას. ბიზნესის წარმატება და საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობა დაკავშირებულია მთელ რიგ შიდა და გარე ფაქტორებთან, მათ შორის არსებულ ბიზნეს გარემოსთან, მენეჯმენტის ხარისხთან, ფინანსურ უზრუნველყოფასთან, დაქირავებულების პროფესიულ დონესა და მოტივაციასთან და სხვა თანმდევ პროცესებთან. წარმატებასთან ერთად ბიზნესის სფეროში ხშირად წარმოიშობა სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც შეიძლება გახდეს კრიზისის საფუძველი, რაც იწვევს კრედიტორების წინაშე ფინანსურ სიძნელეებს და საბოლოოდ საწარმო შეიძლება გახდეს გადახდისუნარო ანუ მას არა აქვს შესაძლებლობა (უუნარობა) დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა.

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევის გზებსა და კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას.

2007 წლის 28 მარტს მიღებული იქნა კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანს წარმოადგენს მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. კანონით რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუძნებული სუბიექტების - ინდივიდუალური მეწარმის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, კოოპერატივისა და აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირებისა და ამხანაგობის გადახდისუნარობის საკითხი. ამავე დროს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ბანკებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვეო კომპანიებზე, რომელთა გადახდისუნარობის საკითხი წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით.

აღნიშნულთან ერთად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს ლიკვიდაციას. თუ საწარმოს სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მისი დაკმაყოფილება მოხდება დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. საქმის სასამართლოში განხილვისას გამოიყენება მითითებული კანონით დადგენილი ნორმები. იმ შემთხვევაში თუ კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. ამასთან, კანონის ანალოგის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მიზნებს.

კანონით დადგენილია, რომ გადახდისუუნარობის საქმეებისათვის დგინდება სპეციალური განსჯადობა. მითითებულ საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია - დასავლეთა საქართველოს.

საქმე გადახდისუუნარობაზე განიხილება მოქალაქის იურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო არარეგისტრირებული კავშირებისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საქმეს - მოვალის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება აქვს:

- გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს;
- საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს, თუ ვალის ოდენობა არანაკლებ 50 000 ლარია და გადასახადის გადახდის ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 60 კალენდარული დღისა;
- კრედიტორს, თუ იგი მოვალის მიმართ წარადგენს კანონიერ ძალაში შესულ სხვა კრედიტორთა სასარგებლოდ გამოტანილ არანაკლებ 2 სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც მიქცეულია იძულების წესით აღსასრულებლად და საერთო თანხა აღემატება
- 50 000 ლარს;
- კრედიტორს (კრედიტორებს), რომლის (რომელთა) მოთხოვნაც ბოლო ფინანსური ანგარიშგების მიხედვით აღემატება მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 30%-ს და მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა;
- 2 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს;
- არანაკლებ 3 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აღნიშნულ პირებს აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ვადაგადაცილებული მოთხოვნის (მოთხოვნების) შესახებ მოვალე წერილობით იყო ინფორმირებული კრედიტორის (კრედიტორების) მიერ განცხადების შეტანამდე არა უგვიანეს 30 დღისა. შეტყობინებაში იმავდროულად უნდა აღინიშნოს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის თაობაზე.

კანონით დადგენილი გადახდისუუნარობის საქმეებზე განცხადების ფორმა, რომელშიც უნდა იყოს აღნიშნული:

- სასამართლოს დასახელება, სადაც შეაქვთ განცხადება;
- განმცხადებლის (განმცხადებლების) გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ განცხადება შეაქვს განმცხადებლის წარმომადგენელს;

- მოვალის სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განცხადების შეტანის საფუძველი;
- განცხადებისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს მასში მითითებული ყველა გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო თუ განმცხადებელმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლო მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, სასამართლოს შეუძლია განმცხადებლის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.

მოვალეს უფლება აქვს გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოში შეიტანოს განცხადება, რომელშიც გარდა ზემოთ მითითებულისა, დამატებით ნაჩვენები უნდა იყოს:

- მოვალისათვის ცნობილი ქონების ნუსხას, აგრეთვე მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ოდენობას, ამ ანგარიშების რეკვიზიტებისა და ბანკების მისამართების მითითებით;
- უზრუნველყოფილ კრედიტორთა ნუსხას არსებული ვალდებულებების, უზრუნველყოფის საგნებისა და კრედიტორთა სახელების (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომრების) მითითებით;
- მოვალისათვის ცნობილი დანარჩენი კრედიტორების ნუსხას არსებული ვალდებულებებისა და კრედიტორთა სახელების (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომრების) მითითებით;
- მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მოვალე გადახდისუუნაროა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე იმყოფება, და რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს გადახდისუუნარობის/მოსალოდნელი გადახდისუუნარობის არსებული მდგომარეობა.

მოვალეს აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოება. თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება დადგენილი წესით. მომრიგებელი საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოვალე უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

გარდა მოვალისა გადახდისუუნარობის შეტანის უფლება აქვს ასევე კრედიტორს (კრედიტორებს). კრედიტორის (კრედიტორების) მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების გარდა უნდა შეიცავდეს:

- კრედიტორის (კრედიტორების შემთხვევაში – თითოეული კრედიტორის) მიერ მოვალისაგან მოთხოვნილი თანხის ოდენობას;
- ვალის წარმოშობის საფუძველს, თარიღს (თარიღებს) და მითითებას, უზრუნველყოფილია თუ არა ეს ვალი;
- ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვალი ვადამოსულია და ექვემდებარება გადახდასა და დადასტურებას, აგრეთვე რომ მოვალე 30 დღით ადრე წერილობით იყო ინფორმირებული ვადაგადაცილებული მოთხოვნის თაობაზე;
- მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მოვალე გადახდისუუნაროა;
- მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ მოვალე ინფორმირებულია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის თაობაზე.

პირი, რომელიც უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით შეიტანს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას მოვალის წინააღმდეგ, პასუხს აგებს მოვალისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება და მისი განხილვა. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს სასამართლო წყვეტს განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში. თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, გადახდისუუნარობის საქმე გახსნილად ითვლება განცხადების შეტანის დღიდან.

თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს გამოსასწორებლად აძლევს 5 სამუშაო დღის ვადას. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში გამოასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების

შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მას განმცხადებელს დაუბრუნებს. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ იმავე სუბიექტის მიმართ იმავე საფუძვლით დაუშვებელია. შეზღუდვა არ ვრცელდება საქმეზე ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით:

- ინიშნება მეურვე;
- განისაზღვრება კრედიტორთა კრების დღე (განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა კრების დღემდე შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 30 დღისა).

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან:

- მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;
- ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;
- ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება;
- იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადო/საბაჟო) დარიცხვა/გადახდა;
- საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესში მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების მიღების თაობაზე განჩინების გამოტანის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოვალესა და კრედიტორს (კრედიტორებს) და გაეგზავნოს განცხადება თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განჩინების დამატებით სხვა ბეჭდვით ორგანოში, მათ შორის, საერთო სახელმწიფოებრივ ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

მეურვე უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი პირი, ნომინირებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი აუდიტორი ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი საერთო ან სამოქალაქო სპეციალიზაციით.

მეურვის უფლება-მოვალეობებია:

- განახორციელოს კონტროლი საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში;
- განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები;
- მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ და წარუდგინოს იგი სასამართლოს და მომრიგებელ საბჭოს;
- მოამზადოს და ორგანიზაციულად უზრუნველყოს კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტის სხდომა თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში;
- მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს ინფორმაცია სასამართლოს და მომრიგებელ საბჭოს გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცედურების შესახებ;
- შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან;
- განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან; ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლო ნებართვას გასცემს განჩინების ფორმით;

- დააღგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

მეურვის გასამრჯელოს განსაზღვრავს სასამართლო და იგი გადაიხდება სამეურვეო ქონებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მეურვის გასამრჯელოს იხდის გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის ინიციატორი. კრედიტორს ან მოვალეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს მოტივირებული და არგუმენტირებული შუამდგომლობით მეურვის აცილების შესახებ. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს კრედიტორის ან მოვალის მიერ მეურვის აცილების შესახებ განცხადების შეტანიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

კრედიტორთა კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით. კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვთ მეურვეს, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, მოვალეს.

რიგგარეშე კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ შეტყობინება სასამართლომ უნდა დააგზავნოს კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის თაობაზე მოთხოვნის მიღებისთანავე. რიგგარეშე კრება უნდა გაიმართოს სასამართლოში მოთხოვნის წარდგენიდან მე-5 დღეს. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%, მიუხედავად იმისა, ჩაბარდათ თუ არა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება დანარჩენ კრედიტორებს, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთანავე, შეტყობინება კრების მოწვევის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. კრედიტორთა კრება დადგენილი წესით განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას:

- მომრიგებელი საბჭოს წევრის დანიშვნის შესახებ;
- გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ;
- კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი შემადგენლობის, უფლებამოსილების ფარგლებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ;
- მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვა საკითხების შესახებ.

კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მასზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარის მოთხოვნა – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისაკენ). თუ კრედიტორთა კრება არ შედგა ან გადაწყვეტილებაუუნაროა ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, 7 დღის ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილ ხმათა რაოდენობის მიუხედავად. თუ მეორე კრება არ შედგა ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ კრების ჩატარების თარიღის შესახებ გადაწყვეტილებას გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, იღებს სასამართლო. კრების მოწვევა აუცილებელი არ არის, როცა ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. კრედიტორთა კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა. ხმათა სულ მცირე 51%-ზე მეტის მქონე კრედიტორების არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება. კრედიტორთა პირველი კრება უნდა გაიმართოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს წერილობითი ფორმით წარუდგენს თავის მოთხოვნას მოვალის მიმართ, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას. კრებაზე დასწრების უფლება აქვს მოვალესაც. კრედიტორთა პირველ კრებაზე მეურვე უნდა წარდგეს მოხსენებით მოვალის ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების, ასევე უზრუნველყოფილი კრედიტორების შესახებ. კრედიტორთა კრებაზე დამსწრე კრედიტორებსა და მოვალეს უნდა მიეცეთ მეურვის მოხსენებაზე შენიშვნების გამოთქმისა და შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.

მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი. კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს

შეუძლია ამ ვადის გაგრძელება. კრედიტორთა პირველ კრებაზე მოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო.

კრედიტორთა კომიტეტი არის ფაკულტატური ორგანო. კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი წევრების არჩევის, გათავისუფლების და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესს, წევრთა რაოდენობასა და უფლებამოსილების ფარგლებს კრედიტორთა კრება განსაზღვრავს ხმათა უბრალო უმრავლესობით. მომრიგებელი საბჭო არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც იქმნება პარიტეტულ საწყისებზე და არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს. მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში მომრიგებელი საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას. მომრიგებელი საბჭო იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების დასრულებისთანავე. მომრიგებელი საბჭო შედგება სამი წევრისაგან. მომრიგებელი საბჭოს ერთ წევრს ნიშნავს მოვალე, ხოლო მეორე წევრს ირჩევს კრედიტორთა კრება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ კრედიტორთა კრება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მომრიგებელი საბჭოს მეორე წევრის არჩევის თაობაზე, მაშინ მომრიგებელი საბჭოს მეორე წევრს დანიშნავს მოსამართლე კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებისთანავე. მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრი შეირჩევა მოვალისა და კრედიტორების (ან მოსამართლის) მიერ გამწესებულ მომრიგებელთა შეთანხმებით. თუ მომრიგებლები ვერ შეთანხმდებიან მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრის დანიშვნის თაობაზე, მაშინ მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრს დანიშნავს მოსამართლე კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებისთანავე.

მოვალემ და კრედიტორებმა მომრიგებლად შეიძლება შესაბამისად დანიშნონ და აირჩიონ ნებისმიერი ქმედუნარიანი, მხარეებისაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და შესაბამისი უმაღლესი განათლებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი. მომრიგებლად დასახელებამდე აუცილებელია პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა. მომრიგებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. მომრიგებლებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან. მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილება წყდება გაკოტრების თაობაზე ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში – რეაბილიტაციის გეგმის განხილვისა და მოწონებისთანავე.

მომრიგებელი საბჭო მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს სწავლობს შექმნიდან 30 დღის განმავლობაში. მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს და ახსნა-განმარტებები ჩამოართვას მოვალეს, კრედიტორებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პირს. მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- გაკოტრების შესახებ;
- რეაბილიტაციის შესახებ;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

თუ მომრიგებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ იმავე სუბიექტის მიმართ იმავე საფუძვლით დაუშვებელია. განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება საქმეზე ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში. მომრიგებელი საბჭოს ყველა გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სამივე მომრიგებელი. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება გაკოტრების შესახებ, რეაბილიტაციის შესახებ ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ქვეყნდება დადგენილი წესით.

მომრიგებელი საბჭო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძველი ან ეს საფუძველი აღმოიფხვრა განცხადების შეტანის შემდეგ ან მოვალეს შეუძლია ვადაგადაცილებული ვალი დაფაროს სხვა კრედიტორებისათვის ზიანის მიუყენებლად. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა ჩაბარდეს მოვალესა და კრედიტორებს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ განჩინების ფორმით მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო განჩინება.

კერძო საჩივრის სასამართლოში შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემიდან 5 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

ზემდგომი სასამართლო კერძო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას გამოიტანს 14 დღის ვადაში. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებს უფლება აქვთ, იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ აისახება კრედიტორთა ნუსხაში, მიმართონ სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად. მოსარჩელე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. სარჩელი კრედიტორთა პირველი კრების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში შეიტანება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

სააპელაციო სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. საკასაციო სასამართლო ვალდებულია 3 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა.

საკონტროლო კითხვები:

1. საწარმოთა გადახდისუუნარობის ცნება;
2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება სასამართლოში;
3. კრედიტორთა კრების უფლებამოსილება.

17.2. გაკოტრების რეაბილიტაცია და საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება

გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან. სასამართლოს განჩინება გაკოტრების შესახებ ქვეყნდება „საკანონმდებლო მაცნეში“ დადგენილი წესით. გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას დადგენილი წესით.

გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი. გაკოტრების მმართველი აღჭურვილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული ყველა უფლება-მოსილებით. გაკოტრების პროცესში საწარმოს დირექტორს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უჩერდება. კრედიტორებმა გაკოტრების მმართველის კანდიდატურები და მათ შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, სასამართლოს უნდა წარუდგინონ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა, მაშინ გაკოტრების მმართველს დანიშნავს სასამართლო კრედიტორთა მიერ წარდგენილი კანდიდატურებისგან. თუ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს არ წარადგენს არც ერთი კრედიტორი, ეს ჩაითვლება კრედიტორთა მიერ მოთხოვნაზე უარის თქმად და წარმოადგენს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტისა და საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების საფუძველს.

გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. გაკოტრების მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს

საქმიანობას, როგორსაც მოვალე. გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

სამეურვეო ქონება იყიდება მხოლოდ აუქციონის გზით. აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას კეთილსინდისიერებისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით ახორციელებს გაკოტრების მმართველი. აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში. ინფორმაციის გავრცელებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა საშუალებებიც. გაკოტრების მმართველმა აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუქციონის ჩატარებისა და მისი თარიღის თაობაზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი. აუქციონის ჩატარებამდე 14 დღით ადრე გაკოტრების მმართველმა მეორედ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს:

- აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;
- მოვალის სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- სამეურვეო ქონების ადგილმდებარეობა და მისი მაქსიმალურად შესაძლებელი აღწერილობა;
- სამეურვეო ქონების საწყისი ფასი;
- აუქციონის პირობები.

დაუშვებელია აუქციონში მონაწილე პირთა წრის შეზღუდვა ან სხვა შეზღუდვების დაწესება, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით. აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა გაკოტრების მმართველს უნდა წარუდგინოს განაცხადი აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის არჩევიდან (დანიშვნიდან) 30-ე დღეს, მთლიანად სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვის მიზნით. დაუშვებელია პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება ამ ქონების საბაზრო ღირებულებით, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, განმეორებითი აუქციონის ჩატარებამდე პირს შეუძლია შეიძინოს ეს ქონება პირველ აუქციონზე გამოცხადებულ საწყის ფასად. თუ პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა, მაშინ პირველი აუქციონის ჩატარებიდან 30-ე დღეს ტარდება მეორე აუქციონი. მეორე აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი, და მიეთითება, რომ აუქციონი ტარდება მეორედ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთიანი კომპლექსის სახით, ისე ნაწილ-ნაწილ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმაზე გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღება შეუძლიათ კრედიტორებს პირველი აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში კრედიტორები თავად განსაზღვრავენ სამეურვეო ქონების თითოეული ლოტის საწყის ფასს. თუ კრედიტორები დათქმულ ვადაში ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ საკითხზე, მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება გაიყიდება ერთიანი კომპლექსის სახით. ამ შემთხვევაში სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასის ნახევარს.

მეორე აუქციონზე კრედიტორთა გადაწყვეტილებით გასაყიდად გამოიტანება მთლიანად სამეურვეო ქონება ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით გაყიდვის მიზნით. მისი საწყისი ფასი განსაზღვრული პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის კრედიტორთა მოთხოვნების ჯამის ტოლი უნდა იყოს. თუ მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა, უზრუნველყოფილ და ახალ კრედიტორთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება მათთვის უზრუნველყოფის საგნების საკუთრებაში გადაცემით. ამ შემთხვევაში საპროცესო ხარჯების გადახდა ეკისრებათ უზრუნველყოფილ კრედიტორებს. თუ მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა, კრედიტორები უფლებამოსილი არიან, ქონება ნატურით მიიღონ საკუთრებაში ან გაკოტრების მმართველს განუსაზღვრონ ქონების გაყიდვის წესი.

სამეურვეო ქონება უნდა გაიყიდოს მეორე აუქციონის ჩატარებიდან 60 დღის ვადაში. თუ მეორე აუქციონის ჩატარებიდან 60 დღის ვადაში სამეურვეო ქონება არ გადავიდა კრედიტორების საკუთრებაში ნატურით ან არ განხორციელდა ქონების განსაზღვრული წესით რეალიზაცია, გაკოტრების მმართველი სთავაზობს კრედიტორებს ქონების ნატურით მიღებას. ქონების ნატურით მიღებაზე უარი ჩაითვლება მოთხოვნაზე უარის თქმად და ქონება ნატურით განაწილდება შესაბამის

რიგში დარჩენილ კრედიტორებს შორის. ყველა რიგის კრედიტორების მიერ ქონების ნატურით მიღებაზე უარი წარმოადგენს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტისა და საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების საფუძველს. ასეთ შემთხვევებში კრედიტორებს შორის ქონების ნატურით განაწილება ხდება მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით, იმ რიგითობით, როგორც განაწილდებოდა ამ ქონების გაყიდვით მიღებული თანხა.

ერთიანი კომპლექსის სახით არსებული ქონება კრედიტორებს გადაეცემათ საერთო წილობრივ საკუთრებაში. საპროცესო ხარჯების გადახდა ეკისრებათ ქონების ნატურით მიმღებ კრედიტორებს. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) სურვილისამებრ შესაძლოა დარეგისტრირდეს ამ საწარმოს ერთადერთ პარტნიორად. საკუთრების უფლების გადასვლის შედეგად საწარმო ახალ შემძენზე დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი გადადის. თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ აუქციონზე გაყიდული სამეურვეო ქონების პირველად მესაკუთრე იურიდიული პირის საკუთრებაში აღმოჩნდა რაიმე ქონება, ეს ქონებაც საკუთრების უფლებით ახალ შემძენს ეკუთვნის.

თუ აუქციონზე გამოტანილი სამეურვეო ქონება რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში, მაშინ გაკოტრების მმართველი აუქციონის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში ახდენს საჯარო რეესტრში მის რეგისტრაციას დაუზუსტებელი მახასიათებლებით. საჯარო რეესტრის ჩანაწერის შემდგომი დაზუსტება საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან ევალება ახალ მესაკუთრეს. ჩანაწერის დაზუსტებისას ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში რისკი აწევს ახალ მესაკუთრეს. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს და შეუძლებელია საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა ან აუქციონის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარება გამოიწვევს გასაყიდი ქონების ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას, აუქციონის ჩატარების ვადის გონივრული შემცირება და სამეურვეო ქონების დაჩქარებული წესით გაყიდვა შესაძლებელია სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, პოტენციური მყიდველების ინფორმირებისა და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის პირობით. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს აუქციონის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს გაკოტრების მმართველი. აუქციონის შედეგების შესახებ ცნობა ქვეყნდება დაუყოვნებლივ იმავე ბეჭდვით ორგანოში, რომელშიც გამოქვეყნდა ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ.

კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების შემდეგ მოვალის მიერ ახალი ვალების წარმოშობის შესახებ გადაწყვეტილებას ერთხმად იღებენ უზრუნველყოფილი კრედიტორები. უზრუნველყოფილი კრედიტორები სარგებლობენ კრედიტორთა მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერების უფლებით:

- გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ;
- რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრის შესახებ.

უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ამ უფლების გამოყენებისას გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება და საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო. უზრუნველყოფილ კრედიტორთა არარსებობის შემთხვევაში მათ უფლებამოსილებებს ახორციელებს კრედიტორთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

რეაბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორები რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ რეაბილიტაციის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში. კრედიტორთა გადაწყვეტილებას განჩინებით ამტკიცებს სასამართლო. რეაბილიტაციის მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. რეაბილიტაციის მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება. რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე თავისი უფლება-მოვალეობების შესრულების უფლება

დროებით მიანიჭოს სხვა პირს იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იქნება რეაბილიტაციის გეგმაში.

რეაბილიტაციის პროცესში საწარმოს კაპიტალში ახალი შენატანის განხორციელება კაპიტალის გაზრდის მიზნით დასაშვებია ამ საწარმოს შესაბამისი დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით, თუ ამაზე არსებობს რეაბილიტაციის მმართველისა და ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის წინასწარი წერილობითი თანხმობა. დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას მედამხედველობს კრედიტორთა კრება. მედამხედველობის უზრუნველსაყოფად ნებისმიერ კრედიტორს აქვს უფლება, მიიღოს ან/და გაეცნოს მოვალის წლიურ ანგარიშს, აგრეთვე რეაბილიტაციის გეგმის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადასა და პირობებს.

რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია უზრუნველყოფილ კრედიტორებს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობის შესახებ. რეაბილიტაციის პროცესი დასრულდება რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისთანავე. რეაბილიტაციის პროცესი შეწყდება, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შეწყვეტის შესახებ, იმ მიზეზით, რომ რეაბილიტაციის გეგმა არ ხორციელდება. კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული განცხადებით რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რეაბილიტაციის გეგმის იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც დარღვეულია განცხადების წარდგენის მომენტისათვის. სასამართლო კრედიტორის (კრედიტორების) განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 14 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტის ან შეწყვეტაზე უარის შესახებ. რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტა იწვევს მოვალის გაკოტრებას. საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმე ცნობილი უნდა იქნეს საქართველოში არსებულ უძრავ ქონებასა და კრედიტორებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- სასამართლო, რომელმაც გადახდისუუნარობის საქმე განიხილა, არ არის უფლებამოსილი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;
- საზღვარგარეთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის არსებით პრინციპებს, კერძოდ, პირთა ძირითად უფლებებს.

საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესი განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკონტროლო კითხვები:

1. გაკოტრების საქმის წარმოება;
2. რეაბილიტაციის პროცესის წარმართვა;
3. აუქციონის ჩატარების წესი.

17.3. იძულებითი აღსრულების სამართლებრივი რეგულირება

ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებულ და საერთოდ სამოქალაქო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც კრედიტორები, სამუშაოს შემსრულებლები, მომსახურების გამწევი და სხვა საქმიანობაში მონაწილე მხარეები ნებაყოფლობით ვერ უზრუნველყოფენ აღებული ვალდებულებების შესრულებას და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სამართალდამრღვევი პირები არ ახორციელებენ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაკისრებული ჯარიმების გადახდას.

მხარე, რომლის უფლებებია დარღვეული საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე უფლებამოსილია მიმართოს, როგორც საერთო სასამართლოებს, ასევე არბიტრაჟს და ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ექვემდებარება აღსრულებას. იმ შემთხვევაში, თუ არ განხორციელდება ამ დადგენილი მოთხოვნების ნებაყოფლობითი აღსრულება „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს 1999 წლის კანონის[1] საფუძველზე ხორციელდება იძულებითი აღსრულება.

ამ კანონის საფუძველზე იძულებითი აღსრულებაას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო და მისი ტერიტორიული ორგანოები - სააღსრულებლო ბიუროები,

[1] აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 2008 წლის 15 ივლისის კანონით

ასევე აღსულების პოლიცია და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ლიცენზირებული კერძო აღმასრულებლები.

ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, ის აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს, აგრეთვე განსაზღვრავს ამ აქტების აღსრულებისას გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული აღსრულების საფასურის განაკვეთებს, გადახდის წესსა და პირობებს.

კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, სანოტარო აქტი, გირავნობის მოწმობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ და შემდეგი სასამართლო აქტები (შემდგომში – გადაწყვეტილება):

- კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;
- სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;
- სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის ან/და ქონების ჩამორთმევის დაკისრების შესახებ;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;
- გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;
- არბიტრაჟის გადაწყვეტილება;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება; (გადაწყვეტილებები ალიმენტის მიკუთვნებაზე, დასახიჩრებით, ჯანმრთელობის დაზიანებით, მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, არა უმეტეს სამი თვით მუშაკზე ხელფასის მიკუთვნება, უკანონოდ დათხოვნილ ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, ასევე ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილებების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება).
- არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით;
- სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსათვის;
- სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ;
- რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის გადაწყვეტილებები;
- საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმებისა და დაპატიმრების შესახებ.

კრედიტორებსა და მოვალეს უფლება აქვთ:

- დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას;
- მორიგდნენ;

- იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე;
- აღმასრულებელთან წარადგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირები;
- სასამართლოში გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში

კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში უგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ, აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს.

პირს, რომელიც მონაწილეობს აღსრულების პროცესში, უფლება აქვს გაეცნოს აღსრულების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური დოკუმენტებისა და მათი ასლებისა.

სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან, უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 (გირაოში ჩადებული ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გირავნობის რეგისტრაცია შსს მომსახურების სააგენტოში) მუხლით განსაზღვრული გირავნობის მოწმობის აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეებისა. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას. სასამართლო გადაწყვეტილებით აღსრულების შეჩერება, შეწყვეტა ან განახლება არ დაიშვება შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის (დედანი) გარეშე.

აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებული სააღსრულებო ფურცელში და სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე. თუ გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, სასამართლო სააღსრულებო ფურცელს გზავნის სააღსრულებო ბიუროში მოვალის ადგილსამყოფლის მიხედვით. სააღსრულებო ფურცელი უნდა წარედგინოს სააღსრულებო ბიუროს მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ან კერძო აღმასრულებელს. სააღსრულებო ფურცელს უნდა დაერთოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას ან/და გადაცემისას სააღსრულებო ფურცელთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ ექსპერტის (აუდიტის) დასკვნა. აღმასრულებლის მიერ აღსრულების დაწყების შესახებ მხარეთა ინფორმირება ხდება დადგენილი წესითა და საშუალებებით.

აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტის) საფუძველზე.

აღმასრულებელი სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა მოვალეს უგზავნის წინადადებას სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მოთხოვნის 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. თანხის გადახდევინებისას ან ქონების გადაცემისას წინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ წინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას დადგენილი წესით. თუ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, მოვალეს ეგზავნება წინადადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. წინადადება მოვალეს ჩაჰბარდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღმასრულებელი მოვალისათვის წინადადების ჩაბარებისას აფრთხილებს მას ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლისთანავე იძულებითი აღსრულების დაწყების და საფასურის დაკისრების შესახებ. ამ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მოვალეს ეკისრება მხოლოდ საფასურის კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი ნაწილი – 2%, რაც დადგენილ უფლებებთან ერთად ასევე განემარტება მოვალეს. წინადადების ჩაბარებისას აღმასრულებელი ასევე აფრთხილებს მოვალეს მისი რეესტრში რეგისტრაციის შედეგების შესახებ.

აღმასრულებელი წინადადებაში აფრთხილებს მოვალეს მის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულებისათვის შესაძლო გასატარებელი ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების, აგრეთვე აღსრულების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების წესისა და საშუალებების თაობაზე. მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროისა და ადგილის შესახებ დამატებით არ ეცნობება.

აღმასრულებელი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე კრედიტორის განცხადების მიღებისთანავე მოვალე სახელმწიფო ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის წინადადებას ბიუჯეტის სახსრებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

აღმასრულებელმა ყოველი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ უნდა შეადგინოს ოქმი. რომელიც უნდა შეიცავდეს:

- შედგენის ადგილსა და დროს;
- აღმასრულებლის ვინაობას, რომელმაც შეადგინა ოქმი, აგრეთვე იმ პირების ვინაობას, რომლებიც ესწრებოდნენ სააღსრულებო მოქმედების შესრულებას;
- სააღსრულებო საბუთის დასახელებას, რომლის მიხედვითაც ხდება აღსრულება;
- კრედიტორისა და მოვალის დასახელებას;
- სააღსრულებო მოქმედების შესრულების საგანს.

ოქმს ხელს აწერენ აღმასრულებელი, კრედიტორი, მოვალე და პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ოქმის შედგენას. ხელის მოწერაზე უარის თქმა უნდა აღინიშნოს ოქმში. მოვალეს უნდა გადაეცეს ოქმის ასლი.

სასამართლო და სხვა უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტების აღსრულებისას გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. საფასურიდან მიღებული შემოსავალი (დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით) სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების სადეპოზიტო ანგარიშებზე საბანკო დაწესებულებების მიერ პროცენტების სახით დარიცხული თანხები, ასევე სხვა შემოსავლები სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. თანხის გადახდევინებისას საფასურის ოდენობა შეადგენს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა. კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში შეტანისას იხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა (ფიზიკური პირი, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, – არა უმეტეს 5 ათასი ლარისა), რომელიც უბრუნდება მას ძირითად მოთხოვნასთან ერთად. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შესაბამის სააღსრულებო ბიუროს, რაც იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია. მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველ რიგში იფარება საფასური ამოღებული თანხის პროპორციულად, ხოლო შემდეგ – აღსასრულებელი მოთხოვნა.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას ან/და გადაცემისას საფასურის ოდენობაა ნივთის საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა (ფიზიკური პირისათვის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, – არა უმეტეს 5 ათასი ლარისა). ამ კატეგორიის საქმეებზე კრედიტორი საფასურს წინასწარ იხდის მის მიერ სააღსრულებო დოკუმენტთან ერთად წარდგენილი ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ ექსპერტის (აუდიტის) დასკვნის შესაბამისად. კრედიტორს შეუძლია მის მიერ გადახდილი საფასური და შეფასების ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მოვალისგან სასამართლო წესით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებისათვის რეგისტრაციას დაქვემდებარებულ თითოეულ ნივთზე და სხვა კატეგორიის საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენისას კრედიტორი იხდის საფასურს 100 ლარის ოდენობით. აგრეთვე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესებით დაკისრებული ჯარიმების აღსრულებისათვის საფასური წინასწარ არ გადაიხდევინება. ამ გადაწყვეტილებების აღსრულების საფასურია აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 2 პროცენტი, რომელიც ეკისრება მოვალეს. საფასურის წინასწარ გადახდისაგან თავისუფლდება:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება შესაბამისი მოწმობით;
- კრედიტორი სასამართლოს გადაწყვეტილებით (სასამართლოს შეუძლია კრედიტორი, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გაათავისუფლოს საფასურის წინასწარ გადახდისაგან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით).

საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა.

ამ პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების კრედიტორები თავისუფლდებიან საფასურის გადახდისაგან.

საკონტროლო კითხვები:

1. იძულებითი აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები;
2. იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები;
3. იძულებითი აღსრულების საქმის წარმოება.

17.4. იძულებითი აღსრულება მოძრავ და უძრავ ნივთებზე

იძულებითი წესით მოთხოვნის აღსრულების მიზნით, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება მოძრავ და უძრავ ნივთზე ყადაღის დადება. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების, – აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერის აქტში. მოგირავნის მიერ ყადაღადადებული გირავნობის საგნის რეალიზაცია იწვევს ყადაღის გაუქმებას. ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასიან ნივთებს იღებს აღმასრულებელი და ინახავს სპეციალურ საკანში. ეს ეხება სხვა ყადაღადადებულ ნივთებსაც, თუ არსებობს ყადაღადადებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ყადაღადადებული მოძრავი ნივთები რჩება მოვალესთან ან შესანახად ბარდება სხვა პირს, მაშინ ყადაღის დადება ხდება დალუქვით. ყადაღადადებული ქონების მოვალის ან მინდობილი პირის – შემნახველის მიერ ყოველგვარი განკარგვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ნაყოფს, რომელიც ჯერ არ არის მოცილებული მიწას, შეიძლება დაედოს ყადაღა მანამ, სანამ არ მომხდარა უძრავ ქონებაზე აღსრულება. ყადაღის დადება არ შეიძლება მოხდეს მოსავლის მოწევამდე ერთი თვით ადრე. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას მესამე პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავიანთ უფლებებს, იგი მაინც შედის აღწერის აქტში და კეთდება აღნიშვნა. აღმასრულებელი იმავდროულად განუმარტავს პირს მის უფლებას – მიმართოს სასამართლოს სარჩელით ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებაზე. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას ან ყადაღის დადების შემდეგ მოგირავნე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და აღმასრულებელს წარუდგენს გირავნობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, აღმასრულებელი ათავისუფლებს ამ ქონებას ყადაღისაგან.

ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, რომელიც ყადაღას არ ექვემდებარება (იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის). კრედიტორის მოთხოვნით აღმასრულებელს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დალუქოს აღწერილი საგნები და აღნიშნოს ამის შესახებ აღწერის აქტში. ყადაღას არ ექვემდებარება:

- პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;
- მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;
- წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით–ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;
- პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;
- პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება იმ საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომელიც აუცილებელია პირის ყოფითი საჭიროებისათვის. ყადაღისაგან

გათავისუფლება ზემოაღნიშნული საფუძვლით ეხება საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს. დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით.

ყადაღადადებულ ნივთებს შეაფასებს აღმასრულებელი ჩვეულებრივი საბაზრო ფასებით. აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი ან აუდიტი შეფასების მიზნით. აღმასრულებლის მიერ შეფასებისას თითოეულ ყადაღადადებულ ნივთზე საბაზრო ფასი უნდა მიეთითოს ქონების აღწერის აქტში. თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, აღწერილი ქონების შეფასება განხორციელდება ყადაღის დადებიდან ერთი თვის ვადაში. აღმასრულებელი ატარებს აუქციონს ყადაღადადებული ქონების შეფასებიდან ერთი თვის ვადაში. აუქციონზე ყადაღადადებული მოძრავი ქონების რეალიზაცია ხორციელდება აუქციონზე უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ ამ კანონით დადგენილი წესით. უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი.

აღსრულებას ახორციელებს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც იმყოფება უძრავი ქონება. თუ უძრავი ქონება იმყოფება სხვადასხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს უფლება აქვს, გადაწყვეტილების აღსრულება დაავალოს ერთ-ერთი სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს. სარეალიზაციო უძრავი ქონების სხვადასხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში საუქციონო მომსახურებას კერძო აღმასრულებელს გაუწევს ის სააღსრულებო ბიურო, რომელსაც კერძო აღმასრულებელმა, მიმართა აუქციონის ჩატარების განაცხადით.

უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვით). კრედიტორმა ამ აღსრულების ღონისძიებებიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე ღონისძიება. კრედიტორს მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე უფლება აქვს მოითხოვოს იძულებითი აღსრულების ერთი სახის მეორით შეცვლა. განცხადება სააღსრულებო საბუთის საფუძველზე იძულებითი აუქციონის შესახებ აღმასრულებელთან შეიძლება შეიტანოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე კრედიტორმა. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს უძრავი ქონება, მესაკუთრე, მოთხოვნა და სააღსრულებო საბუთი. თუ სააღსრულებო ფურცელში აღსრულების საშუალება და წესი განსაზღვრულია იძულებითი აუქციონის (ქონების რეალიზაციის) სახით, აუქციონის დასანიშნად კრედიტორის განცხადება არ არის სავალდებულო.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა (მათ შორის, კრედიტორმა და მოვალემ) აუქციონის დაწყებამდე შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე უნდა შეიტანოს სარეალიზაციო ქონების გამოცხადებული საწყისი ფასის ერთი მეათედი კონკრეტული აუქციონის მითითებით ან უნდა წარმოადგინოს ამავე ოდენობის საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის მიმღებია შესაბამისი სააღსრულებო ბიურო. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა უნდა შეადგენდეს 14 საბანკო დღეს აუქციონის ჩატარების დღიდან. საჯარო აუქციონის მონაწილეებს (გარდა ქონების შემძენისა) აუქციონის დასრულებისთანავე უბრუნდებათ გარანტიის სახით სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შეტანილი საგარანტიო თანხა ან მათ მიერ აუქციონზე წარმოდგენილი საბანკო გარანტია. აუქციონს ატარებს აღმასრულებელი, რომელიც:

- აუქციონის დაწყებამდე ადგენს, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებებიდან რომელი სარგებლობს უპირატესი უფლებით იმ კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება აღსრულება (გარდამავალი უფლება);
- აუქციონის შესახებ აცნობებს გარდამავალი უფლებებისა და აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნების მფლობელ პირებს;
- აუქციონს გახსნილად აცხადებს და სთავაზობს საწყის ფასს.

აღმასრულებელი ადგენს აუქციონის ჩატარების ოქმს. აუქციონზე აღმასრულებელი აცხადებს:

- რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უპირატესი უფლებები იმ კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, რომლისთვისაც ხორციელდება აღსრულება, ძალაში რჩება და გადახდით არ დაკმაყოფილდება;
- თუ რა ღირებულება აქვს გარდამავალ უფლებებს (კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით უპირატეს უფლებებს, ან უფლებებს, რომლებიც გადაჰყვება ნივთს აუქციონის წესით მისი რეალიზაციის შემდეგ);

აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლებამოსილ პირს გადაეცემა აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შემძენი, შემოთავაზებული ფასი და აუქციონის პირობები. განკარგულების გამოცხადება ხდება აუქციონის დასრულებისთანავე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. განკარგულება ძალაშია მისი

გამოცხადებისთანავე. აუქციონზე ქონების შემძენს შეუძლია მიიღოს განკარგულება და ამ ქონების მიმართ გამოიყენოს თავისი კანონიერი უფლება მხოლოდ ფასის სრულად გადახდის შემდეგ. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება, ხოლო თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა ის იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლებიც ნივთზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგისტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება.

აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია, მაშინ აღმასრულებელი პირველი აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში ატარებს განმეორებით აუქციონს განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი, და მიეთითება, რომ აუქციონი ტარდება განმეორებით. განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი შეადგენს პირველ აუქციონზე საწყისი ფასის ნახევარს. თუ კრედიტორის (კრედიტორების) მოთხოვნა და საფასური ამ ოდენობაზე ნაკლებია, მაშინ განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი განისაზღვრება მოთხოვნისა და საფასურის ჯამური ოდენობით. განმეორებით აუქციონზე შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის დადგენილ საწყის ფასზე ნაკლები.

იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითი აუქციონი ტარდება რამდენიმე კრედიტორის სასარგებლოდ, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც იპოთეკარია, აუქციონზე შემოთავაზებული ყველაზე დაბალი ფასი, სულ მცირე, უნდა ფარავდეს საფასურს და იპოთეკარის (რამდენიმე იპოთეკარის შემთხვევაში – წინა რიგის იპოთეკარის) მოთხოვნას. თუ განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდა ნივთის რეალიზაცია, მაშინ აუქციონი აღარ გაიმართება და კრედიტორს ეძლევა წინადადება ნივთის ნატურით მიღების შესახებ. ნივთის ნატურით მიღების თაობაზე კრედიტორის განცხადების წარმოდგენამდე ნივთის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს დადგენილ საწყის ფასად, განსაზღვრული წესით. თუ ნივთის რეალიზაცია განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდება, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთის ნატურით გადაცემა განმეორებითი აუქციონის ჩატარებიდან 15 დღის ვადაში, რის თაობაზედაც შესაბამისი განცხადებით მიმართავს სააღსრულებო ბიუროს. თუ დადგენილ ვადაში კრედიტორი არ მოითხოვს ნივთის ნატურით გადაცემას ან მოითხოვს, მაგრამ მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში ვერ ასრულებს დადგენილ შესაბამის პირობებს, მაშინ:

- ნივთი თავისუფლდება ყადაღისაგან და უბრუნდება მოვალეს. აღნიშნულ ნივთზე იმავე კრედიტორისათვის იმავე მოთხოვნაზე აღსრულება არ დაიშვება;
- კრედიტორის მიერ მინიჭებული უფლებების გამოყენება ჩაითვლება ამ ნივთის ნატურით მიღებაზე უარის თქმად;
- ამ ნივთზე აღსრულებას აგრძელებს ის აღმასრულებელი, რომლის ყადაღაც მომდევნო რიგშია რეგისტრირებული.

აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების საფუძველზე, კრედიტორის მიერ დადგენილი შესაბამისი პირობის შესრულების შემდეგ გასცემს განკარგულებას ნივთის ნატურით გადაცემის შესახებ. განკარგულება ნივთის ნატურით გადაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს:

- ნატურით გადასაცემი ნივთის მესაკუთრის (მოვალის) მონაცემებს;
- ნატურით გადაცემული ნივთის დასახელებას (მდებარეობას) და მოკლე დახასიათებას;
- ნივთის მიმღები კრედიტორის მონაცემებს;
- ნივთის ნატურით გადაცემის მიზეზსა და კრედიტორის მოთხოვნას;
- ნივთის ღირებულებას და კრედიტორის მიერ გადახდილ საფასურს.

ნატურით გადაცემისას ნივთის ღირებულება განისაზღვრება დადგენილი საწყისი ფასით. ნივთის ნატურით გადაცემისას:

- თუ მოთხოვნა აღემატება ან უტოლდება ნივთის ღირებულებას, კრედიტორი ფარავს საფასურის დანარჩენ ნაწილს ნივთის ღირებულების პროპორციულად (ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით);
- ერთზე მეტი არაუზრუნველყოფილი კრედიტორისათვის ნივთის ნატურით გადაცემისას ამ ნივთზე წარმოიშობა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრებაში თითოეული კრედიტორის წილი განისაზღვრება მათი მოთხოვნების პროპორციულად. ასეთ შემთხვევაში საფასურის დანარჩენ ნაწილს ფარავს თითოეული კრედიტორი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად. თუ ერთზე მეტი არაუზრუნველყოფილი კრედიტორიდან ნივთის

ნატურით მიღების სურვილი გამოთქვა ერთ-ერთმა (რამდენიმემ), ნივთის მიმღები კრედიტორი ფარავს საფასურის დარჩენილ ნაწილს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, აგრეთვე ნივთის ღირებულებასა და ნივთის მიმღები კრედიტორის მოთხოვნასა და გადახდილი საფასურის ჯამს შორის სხვაობას (ასეთის არსებობისას), რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით მიემართება აღსრულების განმახორციელებელი სხვა კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

- ერთდროულად ერთზე მეტი იპოთეკარის მიერ უძრავ ნივთზე იძულებითი აღსრულების განხორციელების შემთხვევაში ამ ნივთის ნატურით გადაცემის მოთხოვნის უპირატესი უფლება აქვს აღსრულების განმახორციელებელ იპოთეკართაგან (იპოთეკარებისაგან, რომელთა სასარგებლოდაც ჩატარდა აუქციონი) წინა რიგის იპოთეკარს. ნივთის მიმღები იპოთეკარი ფარავს საფასურის დარჩენილ ნაწილს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, აგრეთვე ნივთის ღირებულებასა და ნივთის მიმღები იპოთეკარის მოთხოვნასა და გადახდილი საფასურის ჯამს შორის სხვაობას (ასეთის არსებობისას), რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით მიემართება აღსრულების განმახორციელებელი სხვა კრედიტორების (მათ შორის, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- არაუზრუნველყოფილი კრედიტორისათვის ნივთის ნატურით გადაცემისას ამ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება.

იპოთეკარისათვის ნივთის ნატურით გადაცემისას ამ კრედიტორის იპოთეკის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყველა სხვა იპოთეკა და სანივთო უფლებები უქმდება, ხოლო ნივთზე ადრე რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების მიცემიდან ერთი თვის შემდეგ, გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებებისა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების მიცემიდან სამი თვის შემდეგ.

საკონტროლო კითხვები:

1. მოძრავ და უძრავ ნივთზე ყადაღის დადების წესი;
2. ყადაღადადებულ ქონებაზე აღსრულების მიქცევა;
3. ქონების ნატურით გადაცემის წესი და პირობები.

თავი 18

შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი

„შრომამ შექმნა ადამიანი“
ენგელსი

„თავისუფლება არის არჩევანი შრომასა და შიმშილს შორის“
ჯონსონი

„ვისაც მუშაობა უნდა პოულობს შესაძლებლობებს, ვისაც გაკეთება არ უნდა ეძებს მიზეზებს“
ველერი

წინამდებარე თავში განხილულია შრომის ხელშეკრულების არსი და სახეები, კოლექტიური ხელშეკრულებისა და კოლექტიური შეთანხმების არსი და მნიშვნელობა. ეს თავი ავრეთვე ეხება მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძვლებს და შრომის ხელშეკრულების მოშლის პირობებს, როგორც მუშაკის, ასევე ადმინისტრაციის ინიციატივით. განხილულია ასევე სამუშაო და დასვენების დროის ცნებები, შრომის ანაზღაურების არსი და სახეები, შრომის დისციპლინის, შრომის დაცვისა და მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები.

18. 1. შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ცნება. შრომის ხელშეკრულების არსი, სამუშაოზე მიღებისა და გაფორმების წესი

ცივილიზებულ სამყაროში შრომა წარმოადგენს სოციალური პროგრესის მნიშვნელოვან პირობას. შრომითი ურთერთობების ჰუმანური და დემოკრატიული სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგება, მყარი საფუძველია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმწიფოში თანასწორუფლებიანობის პრინციპების გასატარებლად.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია შრომის თავისუფლების, პროფესიის არჩევისა და იძულებითი შრომის აკრძალვის პრინციპი. კონსტიტუციის 38-ე მუხლით აღიარებული და დამტკიცებულია ქვეყანაში მოქალაქეთა თანასწორობა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპი, ასევე დადგენილია შრომის კოდექსის მე-2 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზ ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

საქართველოში შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო აქტია 2006 წლის 25 მაისს მიღებული შრომის კოდექსი, რომელმაც ქვეყანაში განხორციელებული თვისებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. შრომის კოდექსით რეგულირდება მოქალაქეების შრომის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა. ამავე დროს შრომის კოდექსთან ერთად საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შრომის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, ყველა ადამიანს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი საქმიანობის სფერო, პროფესია, განაგოს თავისი შრომის უნარი და გამოიყენოს იგი ბიზნესის სფეროში ან იმუშაოს როგორც სახელმწიფო, კერძო, ასევე საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად გამოდიან დამქირავებელი, დასაქმებული, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება, როგორც მოქალაქეები (მუშებისა და

მოსამსახურეების სახით), ანუ ფიზიკური პირები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, ანუ იურიდიული პირები, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ამ ურთიერთობების სუბიექტებია ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიები და რელიგიური დაწესებულებები.

ჩამოთვლილი სუბიექტების შრომითი ურთიერთობების აღიარების დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელიც შრომის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, იდება წერილობითი ან გეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მოქალაქე ანუ ფიზიკური პირი. კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილია მოქალაქის ასაკი (16 წელი), რომლის შესრულების შემდეგ მას უფლება ეძლევა დადოს შრომის ხელ შეკ-რულება. ამავე დროს შრომის კოდექსის მე-4 მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემ-თხვევებს, როდესაც სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნეს 16 წელს მიუღწეველი პირი. ამ შემთხვევაში კოდექსის შესაბამისად, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, მიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

შრომის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულება არის სამი სახის. **განსაზღვრული ვადით**, **განუსაზღვრელი ვადით** დადებული შრომის ხელშეკრულება და **გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით** დადებული შრომის ხელშეკრულება.

მუშად ან მოსამსახურედ სამუშაოზე მიღება გაფორმებული უნდა იყოს შრომის ხელშეკრულებით ან იდება გეპირი ფორმით. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, თუ შრომის ხელშეკრულების პირობით სხვა რამ არ არის მითითებული. სამუშაოზე მიღება, როგორც წესი, ხორციელდება საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, ამავე დროს ზოგიერთი კატეგორიის მუშაკი შეიძლება მიღებულ იქნეს ზემდგომი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

იშვიათად, შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როდესაც იგი ბრძანებით არ არის გაფორმებული, მაგრამ მუშაკი ფაქტობრივად ასრულებს სამუშაოს.

შრომის ხელშეკრულებას უთანაბრდება თანამდებობაზე მუშაკის დანიშვნა ან არჩევა. როგორც წესი ინიშნებან ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, რიგითი მოსამსახურეები კი შრომის ხელშეკრულებით მიიღებიან სამუშაოზე. შრომის ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაცია ვალდებულია, მუშაკს მოსთხოვოს საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ მას აქვს გარკვეული პროფესია ან სპეციალობა (მაგალითად ექიმებს, მძღოლებს და სხვ.). ასევე, დადგენილ შემთხვევებში, შრომის ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაცია ვალდებულია მოსთხოვოს მუშაკს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუ ამას ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკა (მაგალითად კვების საწარმოში მუშაობისათვის).

შრომის ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შეთანხმებით შესასრულებელ სამუშაოსადმი პირის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შრომის კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე შეიძლება დაწესებული იყოს **საგამოცდო ვადა**. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად. დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება. თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, შრომის კოდექსი თაგანსაზღვრულია კოლექტიური შეთან-ხმების არსი. კოდექსის 41-მუხლის თანახმად, კოლექტიური ხელშეკრულება იდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს – დასაქმებულთა გაერთიანებას შორის. კოლექტიური ხელშეკრულება ეფუძნება იმავე პრინციპებს, რომლებსაც ინდივიდუალური ხელშეკრულება. კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან პირობების შეცვლის დროს დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა. ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია.

კოლექტიური ხელშეკრულების დადების, პირობების შეცვლის, მოშლის ან დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით დასაქმებულთა გაერთიანება მოქმედებს წარმომადგენლების მეშვეობით.

წარმომადგენლობის დადასტურება ხდება წერილობითი მინდობილობით, რომელსაც ხელს აწერენ დაინტერესებული დასაქმებულები და პირი, რომელსაც ენიჭება წარმომადგენლობის უფლება.

წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. წარმომადგენელი მოქმედებს მხოლოდ იმ დასაქმებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებმაც მას მიანიჭეს წარმომადგენლობის უფლება.

კოლექტიური ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. შესაძლებელია დასაქმებულმა დამსაქმებელთან დადოს ინდივიდუალური ან/და რამდენიმე კოლექტიური ხელშეკრულება. ხელშეკრულებები, რომლებიც იდება თავდაპირველი ხელშეკრულების შემდეგ, ითვლება ამ ხელშეკრულების ნაწილებად და განიხილება, როგორც ერთი ხელშეკრულება. თუ ერთერთი მხარის ინიციატივით გაუქმდება ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი, ეს გამოიწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ამ კოდექსით დადგენილი წესით. კოლექტიური ხელშეკრულების არსებობა არ ბღუდავს დამსაქმებლის ან დასაქმებულის უფლებას, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, რაც არ იწვევს ამავე ხელშეკრულების მონაწილე სხვა დასაქმებულებისათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

საკონტროლო კითხვები:

1.შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) არსი;
2. შრომის ხელშეკრულების სახეები;
3. საგამოცდო ვადის ცნება;
4. კოლექტიური ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა.

18.2. შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა

შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

- გაფიცვა;
- ლოკაუტი;

- აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება;
- საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;
- სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;
- შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;
- დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 50 კალენდარულ დღეს;
- კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;
- ანაზღაურების გარეშე შვებულება;
- ანაზღაურებადი შვებულება.

დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
- შრომითი ხელშეკრულების მოშლა;
- მხარეთა შეთანხმება;
- სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს კოდექსით განსაზღვრული შვებულება;
- დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;
- დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში. შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, კოდექსით დადგენილი წესით. თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებზე. არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა, მნიშვნელოვან ინტერესებს. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა გავიდა, მაგრამ, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, დასაქმებული ვალდებულია გააგრძელოს მუშაობა, სანამ ასეთი ვითარება არ დასრულდება, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას შრომის ანაზღაურება.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით დასაშვებია შრომის არსებითი პირობების შეცვლა იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებისას. შრომის არსებითი პირობების – შრომის ანაზღაურების სისტემებისა და ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, არასრული სამუშაო დროის დაწესების ან გაუქმების, პროფესიების შეთავსების, თანრიგისა და თანამდებობათა დასახელების შეცვლისა და სხვა პირობების შესახებ ცვლილება დასაქმებულთან უნდა შეთანხმდეს.

ამგვარი გადაყვანა დასაშვებია სტიქიური უბედურების დროს, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების ლიკვიდაციის, უბედური შემთხვევისას, საწარმოს მოცდენის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს უფრო მსუბუქ სამუშაოზე დასაქმებას, გადაიყვანოს მისივე თანხმობით დროებით ან ვადის შეუზღუდავად სამედიცინო დასკვნის შესაბამისად.

მოცდენის ან სამუშაოზე არმყოფი დასაქმებულის დროებითი შეცვლისას დაუშვებელია კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე. რაც შეეხება გადაყვანის ისეთ სახეს, როგორიცაა უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე ან უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაკის გადაყვანას, იგი დასაქმებულის წახალისების საქმეს ემსახურება და საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

საკონტროლო კითხვები:

1. შრომითი ურთერთობის შეჩერების საფუძვლები;
2. მუშაკის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები;
3. არასრულწლოვანის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებები.

18. 3. სამუშაო დრო და დასვენების დრო. შრომის ანაზღაურება

სამუშაო დროისა და დასვენების დროის საკითხი მოწესრიგებულია შრომის კანონთა კოდექსით. სამართლებრივად სამუშაო დრო დროის ის ხანგრძლივობაა, რომლის განმავლობაში მუშაკმა უნდა შეასრულოს თავისი შრომითი მოვალეობები. არსებობს ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დრო, შემოკლებული და არასრული სამუშაო დრო.

შრომის კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

შრომის კოდექსის მე-17 მუხლით დადგენილია ზეგანაკვეთური მუშაობის შემთხვევები:

დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

- სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;
- საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაო დროს. თუ შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 41 საათს ან შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ 41 საათის ფარგლებში განსაზღვრულ სამუშაო დროს. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე. დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება ღღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.დასვენების ღღეს ცალკეული მუშისა და მოსამსახურის სამუშაოდ გამოწვევა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

- საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის აცილების, თუ ლიკვიდაციის დროს ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

- უბედური შემთხვევების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილების დროს;
- ისეთი გადაუდებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების დროს, რომელთა სწრაფად შესრულებაზე დამოკიდებულია მთლიანად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან მათი ცალკეული ქვეგანაყოფის ნორმალური მუშაობა შემდგომში. დასვენების დღეს მუშაობა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ანაზღაურდეს სამაგიერო დასვენების დროის მიცემით ან ფულადი სახით ორმაგად.

დრო, რომლის განმავლობაში მუშაკი თავისუფალია შრომის მოვალეობის შესრულებისაგან და შეუძლია თავისი შეხედულებით გამოიყენოს იგი, დასვენების დროდ ითვლება. შრომის კანონმდებლობით მუშაკებს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევათ შესვენება, რომელიც არ შედის სამუშაო დროში. შესვენების დაწყების და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით. ყველა მუშაკისათვის დაწესებულია ერთი ან ორი დასვენების დღე კვირაში. საერთო დასვენების დღეა კვირა. უწყვეტი წარმოების მუშაკებს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით კვირის სხვადასხვა დღეებში. ამავე დროს კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილია უქმე დღეები. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

- 1 და 2 იანვარს – ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში;
- 7 იანვარს – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;
- 19 იანვარს – ნათლისღებას – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღეს;
- 3 მარტს – დედის დღეს;
- 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს;
- 9 აპრილს – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღეს, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშოლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- სააღდგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღი გარდამავალია);
- 9 მაისს – ფაშიზმზე გამარჯვების დღეს;
- 12 მაისს - საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის დამაარსებლის - წმინდა ანდრეა მოციქულის ხსოვნის დღე;
- 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს;
- 28 აგვისტოს – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);
- 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;
- 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია წარმოების პირობების გამო. ასევე მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. უქმე დღეებში მუშაკს ორმაგად უნაზღაურდება მუშაობა.

დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღით. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით

ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე. შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობისშემდგომ პერიოდებზე. დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო – ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ. დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მისთვის აქვს გადასახდელი.შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საკონტროლო კითხვები:

1.სამუშაო დრო და მისი არსი;
2. დასვენების დრო და მისი არსი;
3. შრომის ანაზღაურების ცნება და სახეები.

18. 4. შრომის პირობების დაცვა, მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა

შრომის დაცვა არის საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის პროცეს-ში ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

შრომის კანონმდებლობის გათვალისწინებით, კერძოდ კი შრომის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, მათ შორის, დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. კანონმდებლობით დამატებით გათვალისწინებულია **ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის საკითხები**. კერძოდ, შრომის კოდექსის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე. დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე. დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს. არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა, მნიშვნელოვან ინტერესებს.

შრომის კოდექსით დადგენილია ვალდებულება დასაქმებულმა იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებები, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გაატარონ პროდუქციის ხარისხი, დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ საკუთრება და სხვა. შრომის დისციპლინა არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს მუშაკისა და ადმინისტრაციის მოვალეობებს, შრომის პროცესში მოვალეობათა შესრულების რეჟიმს, კეთილსინდისიერი შრომისათვის წახალისების ზომებს და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას.

შრომის დისციპლინა მოიცავს მუშა-მოსამსახურეთა ერთობლივი შრომის პროცესში დადგენილი წესების დაცვას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებებია:

- ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შექმნა;
- შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება;
- დაწინაურების, აღზრდისა და წახალისების მეთოდების გამოყენება.

დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების პირობების არაარსებით შესაცვლად მიიჩნევა:

- დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი

ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

- სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;
- ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით და შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, ამასთანავე, არ ცვლის მის ძირითად არსს.

გარემოებებიდან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

საწარმო დაწესებულებაში შრომის დისციპლინა განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით. დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს შრომის შინაგანაწესი. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

- სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;
- დასვენების ხანგრძლივობა;
- შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი;
- ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- შრომის პირობების დაცვის წესები;
- წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში. დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ. შრომით ურთიერთობაში დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე შრომითი ხელშეკრულების ან/და შრომის პირობების დარღვევა. დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას. ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. კოლექტიური ხელშეკრულების მონაწილე დასაქმებული არ იბღუდება, მოცემული დავის შემთხვევაში ინდივიდუალურად დაიცვას თავისი უფლებები სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით. შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები. მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. წარმომადგენლები ან მხარეები იღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც ხდება არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს. დავის დროს დაუშვებელია დავის განხილვის პროცესში მხარეთა მიერ მოთხოვნის გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა.

გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს.

ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

მხარეები გაფიცვის ან ლოკაუტის უფლების გამოყენებამდე ვალდებული არიან მოაწყონ გამაფრთხილებელი გაფიცვა ან გამაფრთხილებელი ლოკაუტი. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის დაწყებამდე მხარეებმა არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ დავის საგნის და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე გაფიცვის ან ლოკაუტის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან წესით კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში. გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება წარმოიშობა

მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. გაფიცვის ან ლოკაუტის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები. გაფიცვა ან ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს. გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით. დაუშვებელია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება. თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება. უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე. თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ ჩაითვლება.

სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ. დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა. თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები. დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით. დამსაქმებელს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა გამაფრთხილებელ გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებთან.

შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე და ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან. წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაიდოს სრულწლოვან დასაქმებულთან, რომელიც ახორციელებს მისთვის გადაცემული ფასეულობების შენახვას, დამუშავებას, გაყიდვას (გადაცემას), გადაზიდვას ან წარმოების პროცესში გამოყენებას.

დასაქმებული და დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარის უფლებათა შეზღუდვაზე. ასეთი შეზღუდვა პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს მხარის ინტერესებიდან, უნდა იყოს გონივრული და ამ ინტერესების პროპორციული. დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მას წერილობითი ფორმით განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, მაგრამ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან არა უმეტეს 3 წლის განმავლობაში. შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწყებით ან/და საბაზო საფეხურზე მოთხოვნების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკონტროლო კითხვები:

1.შრომის პრობების დაცვის ცნება;
2. მატერიალური პასუხისმგებლობის ცნება და არსი.
3. დასაქმებულთა გარანტიები
4. დავის განხილვა და გადაწყვეტა

თავი 19

ბიზნესთან დაკავშირებული სამართალდარღვევათა ზოგადი დებულებანი

„არ არსებობს დაფარული რომ არ გაცხადდეს და არც რა დამალული რომ არ გამჟღავნდეს“
მათეს სახარება

„სახელმწიფომ სამართლიანობის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა ყაჩაღთა ბანდა“
ავგუსტინე

„ისწავლეთ სხვის შეცდომებზე“
ბისმარკი

ამ თავში გადმოცემულია ბიზნესის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგადი საწყისები, რომლებიც ქვეყანაში ბიზნეს–საქმიანობის სამართლებრივი გარანტიებია. განხილულია სისხლის სამართლის კანონის არსი, კანონის ნორმის აგებულება, მოქმედების ფარგლები, კანონის განმარტება და მნიშვნელობა კანონგამოყენებით საქმიანობაში. დანაშაულის ცნება, მისი ნიშნები და შემადგენლობის დახასიათება. მოკლედ გადმოცემულია ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დაცვის უზრუნველმყოფ იმ დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ და სამოხელეო საქმიანობასთან. განხილულია ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა არსი და ბიზნესის სფეროში ჩადენილ საგადასახადო - საბაჟო ადმინისტრაციულ გადაცდომათა პასუხისმგებლობის საკითხები.

19.1. სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კანონის ცნება და მნიშვნელობა. სისხლის სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა[1]

კანონი არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შედგება სამართლებრივი ნორმებისაგან. სისხლის სამართლის კანონი სხვა კანონებისაგან განსხვავდება სამართლის ნორმათა სპეციფიკური შინაარსით. იგი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პრინციპებს, განსაზღვრავს – რომელი მართლსაწინააღმდეგო ქნედებებია დანაშაული და როგორი სასჯელები შეიძლება დაინიშნოს მათი ჩადენისათვის. სისხლის სამართალი, ასევე აწესრიგებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.

საქართველოში ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ) მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის ივლისიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტს და, მთლიანობაში, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, შეიცავს რა სახელმწიფოში (ქვეყანაში) მოქმედ სისხლის სამართლებრივ ყველა ნორმას. სისხლის სამართლის ყველა კანონი, რომელსაც მიიღებს საქართველოს პარლამენტი, აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. იგი გამოხატავს ხალხის ნებას. ამის გამოვლინებაა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სისხლის სამართლის კანონის განხილვისა და მიღების წესი (კონსტიტუციის 66-ე, 68-ე მუხლები). ასევე მისი შინაარსი, რომელშიც ასახულია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, მორალურ-ზნეობრივი, ჰუმანური, პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, აგრეთვე მის სოციალურ დანიშნულებაში – იყოს პიროვნების დაცვის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, ბუნებრივი სივრცის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების, მშვიდობის

[1] ა. ბაქრაძე. ბიზნესის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2003, გვ. 267-283

უზრუნველყოფის, კაცობრიობის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საშუალება.

რა თქმა უნდა, დამნაშავეობასთან ბრძოლა არ დაიყვანება მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ზომების გამოყენებამდე, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს სისხლის სამართლის როლს. უზრუნველყოფს რა ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის კრიტერიუმებს და ფარგლებს, განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის საფუძვლებსა და პრინციპებს, სისხლის სამართალი ქმნის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ იურიდიულ ბაზას.

სისხლის სამართლის კანონი – ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. ეკონომიკის, პოლიტიკის და იდეოლოგიის, დამნაშავეობის მდგომარეობის, მისი ფორმების და სახეობის ცვლილებების კვალდაკვალ მიმდინარეობს კანონმდებლობის სრულყოფის უწყვეტი პროცესი.

სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს სისხლის სამართლის ძირითად წყაროს, მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დამნაშავეობას და ქმედების დასჯადობას. სისხლის სამართლის კანონი გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტული ქმედების ჩადენის შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში აღნიშნულია: "სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგად დებულებათა გათვალისწინებით..." საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად "ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით". კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად "არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის". მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს სასჯელის დანიშვნის ან სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი[1].

სახელმწიფო ორგანოების არავითარი სხვა აქტი არ შეიძლება შეიცავდეს სისხლის სამართლებრივი ხასიათის ნორმებს. სისხლის სამართლის წყაროს არ წარმოადგენს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციები, დებულებები და სხვა აქტები. ადათები, ტრადიციები, მორალისა და მნეობის ნორმები, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენები, განჩინებები და დადგენილებები, ასევე არ შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის წყაროს. სასამართლო პრეცედენტი არ ქმნის ახალ ნორმას, იგი ასახავს უკვე არსებული სისხლის სამართლებრივი ნორმის გამოყენების ფაქტს, ან განმარტავს მას ნორმის ჭეშმარიტი აზრის გახსნის თვალსაზრისით. სისხლის სამართლის კანონის სისხლის სამართლის ერთადერთ წყაროდ ცნობა წარმოადგენს ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის უმნიშვნელოვანეს გარანტიას და პრინციპს.

სისხლის სამართლის კანონი მოწოდებულია არა მარტო დაიცვას საზოგადოებრივი ურთიერთობები, არამედ მოაწესრიგოს კიდეც. ერთი მხრივ, იგი დასჯის შიშით უკრძალავს დანაშაულის ჩადენას, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ავალდებულებს სათანადო ორგანოების მეშვეობით დაადგინოს ჩადენილ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე და დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი, ხოლო კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, გაათავისუფლოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან.

სისხლის სამართლის კანონი ასრულებს გამაფრთხილებელ და აღმზრდელობით ფუნქციას. გამაფრთხილებელი ფუნქცია მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში, რომლითაც დადგენილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას. სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულია სასჯელის მიზანი. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი ფუნქცია მარტო აკრძალვითი ნორმებით არ შემოიფარგლება. არის ნორმები, რომლებიც პირს შეაგულიანებს: ა) აქტიურად აღუდგეს დანაშაულს და დამნაშავეს (აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა და ა.შ.); ბ) უარი თქვას დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ან ნებაყოფლობით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი; (ნებაყოფლობითი ხელის აღება დანაშაულზე სსკ-ის მუხლები 21-ე, 28-ე, 29-ე).

აღნიშნული მოქმედებების შესასრულებლად მოქალაქეთა წახალისებით, სისხლის სამართლის კანონი, ერთი მხრივ, ახდენს მოქალაქეთა სამართალდაცვითი აქტიურობის სტიმულირებას, მეორე მხრივ – აყალიბებს დამატებით შემაკავებელ მოტივებს იმ პირთა შორის, რომელთაც აქვთ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XI და XIV თავები.

სსკ-ის 39-ე მუხლის მითითება რესოციალიზაციაზე, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანზე, გაშლილია ამავე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის შეაბამისადაც სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულისა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ამდენად, სსკ-ის 39-ე მუხლში გახსნილია სისხლის სამართლის კანონის აღმზრდელობითი ფუნქცია, რომელიც ხორციელდება სწორედ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას. დანაშაულის ჩადენა იწვევს ნეგატიურ მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას არა მარტო სახელმწიფოს მხრივ, არამედ საზოგადოების წევრთა მხრიდანაც.

სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამასწორებელ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს არა მარტო დამნაშავეებზე, არამედ მერყევ პიროვნებებზეც.

ამდენად, სისხლის სამართლის კანონი:

- წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ სამართლებრივ აქტს;
- არის სისხლის სამართლებრივი ნორმების გამოხატვის ფორმა და სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა;
- განამტკიცებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს და საფუძვლებს, სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს;
- განსაზღვრავს საზოგადოებრივად საშიში რომელი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და ითვალისწინებს სასჯელის სახეს და ზომებს ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ;
- უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვას;
- სოციალურად განპირობებულია და შეესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს, მის მოთხოვნებსა და მიზნებს;
- ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა;
- წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლის ქმედით იარაღს;
- ხელს უწყობს დანაშაულთა აცილებას და მოკვეთას, მოქალაქეთა აღზრდას კანონისადმი მორჩილებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის ივლისიდან. ეს არის კოდიფიცირებული აქტი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ნორმების სისტემას, მათი არსის, შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით თანმიმდევრობით განლაგებულს. ისევე, როგორც ყველა სისტემა, კოდექსიც გამოირჩევა მისი შემადგენელი ელემენტების შინაგანი ერთიანობითა და ურთიერთკავშირით. ეს სისტემა არ არის უცვლელი, იგი იცვლება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული მოთხოვნების ცვლილებათა შესაბამისად.

კოდექსი აგებულია პანდექტული პრინციპით. პანდექტები, ან მეორენაირად დიგესტები არის რომაული და ბერძნული სიტყვებით აღნიშნული ყოვლისმომცველობა. ამ სახელწოდებით 533 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს დროს გამოიცა რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული, რომელიც შეიცავდა რომაელი იურისტების მრავალრიცხოვანი შრომებიდან ამოკრეფილ ადგილებს და ჰქონდა კანონის ძალა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ორი ქვესისტემისაგან, ანუ სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან (ნაწილისაგან) – ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა კარებად და თავებად, თავები კი მუხლებად, რომლებიც შეიცავს სისხლის სამართლებრივ ნორმებს. კოდექსის ზოგადი ნაწილი შედგება 6 კარისაგან, რომლებიც დაყოფილია 18 თავად. კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემულია: საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზნები; სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები; სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და დანაშაულის კატეგორიები; სასჯელის მიზნები და სახეები; სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება; არასრულწლოვანების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელთა სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი შედგება 9 კარისაგან, რომლებიც დაყოფილია 30 თავად. კოდექსის კერძო ნაწილი შეიცავს ცალკეულ დანაშაულთა აღწერას და იმ სასჯელებს, რომლებიც გათვალისწინებულია აღწერილ დანაშაულთა ჩადენისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი ან მეტი ნაწილისაგან. თუ არ ხდება დანაშაულის დიფერენცირება საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით, მაშინ ეს მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. თუ კანონმდებელი შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებს გამოყოფს, როგორც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციულ ნიშანს, მაშინ ისინი სხვადასხვა ნაწილში განთავსდება. როგორც წესი, მუხლის ნაწილების განლაგება ხდება საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშიდან მეტად საშიშისაკენ. ამასთან დაკავშირებით გამო-

იყოფა კვალიფიციური და განსაკუთრებით კვალიფიციური დანაშაულის სახეები. წარმოადგენენ რა ერთიანი სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილები ურთიერთკავშირში და განუყოფელ ერთიანობაში არიან. კოდექსის კერძო ნაწილის ნორმის გამოყენებისას აუცილებლად მივმართავთ ზოგადი ნაწილის ნორმებს და პირიქით, ზოგადი ნაწილის დებულებები, გამონაკლისის გარეშე, შეეხება კერძო ნაწილის ყველა ნორმას.

ზოგადი და კერძო ნაწილების სტრუქტურები განსხვავებულია. ზოგადი ნაწილის ნორმებში არ გამოიყოფა მისი ელემენტები: ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია. ზოგადი ნაწილის ნორმები, მათი შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით იყოფა: ნორმა – განსაზღვრება, ნორმა – პრინციპი, ნორმა – დეკლარაცია, ნორმა – წესები, ასევე ვალდებულებითი და უფლებამოსილებითი ნორმები.

სპეციფიკურობით ხასიათდება კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილი ნორმები, ისინი შედგება ორი სტრუქტურული ელემენტისაგან: **დისპოზიცია** – არის სისხლის სამართლებრივი ნორმის სტრუქტურული ელემენტი, რომელშიც მოცემულია დანაშაულის ნიშნები; **სანქცია** – ნორმის სტრუქტურული ელემენტია, რომელშიც აღნიშნულია სასჯელის სახეობა, ვადა და ზომა.

კერძო ნაწილის ნორმები უშუალოდ არ შეიცავს ჰიპოთეზას, ანუ იმ პირობებს, რომლებშიც მოქმედებს მოცემული ნორმები. ჰიპოთეზა საერთოა განსაკუთრებული ნაწილისათვის და იგი გამომდინარეობს ზოგადი ნაწილის დებულებებიდან (სსკ-ის მე-7 მუხლი).

დისპოზიციები არის მარტივი (წოდებითი), აღწერილობითი, ბლანკეტური და მითითებითი.

მარტივი დისპოზიცია ისე ასახელებს მოქმედებას, რომ არ ხსნის მის ნიშნებს. მაგალითად, სსკ-ის 339-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ქრთამის მიცემისათვის ამ დანაშაულის მახასიათებელი ნიშნების აღწერის გარეშე, დისპოზიციის ასეთი სახე საკანონმდებლო ტექნიკაში იშვიათად გამოიყენება, კერძოდ, მაშინ, როცა ხელყოფის მნიშვნელობა გასაგებია კანონში სპეციალური ახსნის გარეშე.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს დანაშაულის ყველაზე უფრო არსებითი ნიშნების მეტნაკლებად ფართო განსაზღვრას. მაგალითად, სსკ-ის 239-ე მუხლში ნათქვამია: "ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით". აღწერილობითი დისპოზიცია უმჯობესია სხვა სახის დისპოზიციებთან შედარებით, რადგან შეიცავს დანაშაულის ელემენტებსაც.

ბლანკეტური დისპოზიციის შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სამართლის სხვა დარგის ნორმის წაკითხვისას. ასეთი დისპოზიცია, უმეტესწილად, გამოყენებულია სატრანსპორტო დანაშაულის შესახებ ჩამოყალიბებულ მუხლებში (თავი XXXIV 275-ე, 276-ე, 280-ე, 281-ე, 283-ე მუხლები). მაგალითად, სსკ-ის 275-ე მუხლში წერია: „რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც სპეციალურად ევალება ამ წესის დაცვა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება – ისჯება.....“ დისპოზიციაში მითითებული არ არის, რაში გამოიხატება წესების დარღვევა. ამის გასარკვევად აუცილებელია მივმართოთ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აწესრიგებს სატრანსპორტო საშუალებების ფუნქციონირებას და გავარკვიოთ კონკრეტულად, რომელი წესებია დარღვეული. ბლანკეტური დისპოზიცია, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ქმედების გამოვლენა მრავალრიცხოვანია, ისინი მოცემულია სხვა ნორმატიულ აქტებში და ყველა ამ დარღვევის ჩაწერა სისხლის სამართლის კანონში შეუძლებელია.

მითითებითი დისპოზიცია დანაშაულის ნიშნების განსაზღვრისათვის მიუთითებს ამავე კოდექსის სხვა მუხლზე ან მუხლის ნაწილზე. მაგალითად, სსკ-ის 118-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაწერილია "ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის საშიში და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან – ისჯება . . .“

ამავე მუხლის მეორე ნაწილში ჩაწერილი: "იგივე ქმედება, ჩადენილი ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას, ანდა იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ან ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, – ისჯება –".

ამდენად, სსკ-ის 118-ე მუხლის დისპოზიციის შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამავე კოდექსის 117-ე, 118-ე და 109-ე მუხლების დისპოზიციის შინაარსის გაცნობით.

მითითებული დისპოზიცია იძლევა განმეორებების თავიდან აცილების საშუალებას და კომპაქტურს ხდის კანონს. დასაშვებია მუხლების ფორმულირება დისპოზიციის სხვადასხვა სახის კომბინაციის გზით.

სანქციები შეიძლება იყოს: შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული სასჯელებით, მითითებითი და კუმულაციური (შეჯამებითი). **შედარებით განსაზღვრული** სანქცია განსაზღვრავს სასჯე-

ლის მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს. ასეთი სანქციები ორი სახისაა: როდესაც სანქციაში გათვალისწინებულია როგორც სასჯელის მინიმუმი, ასევე სასჯელის მაქსიმუმი და მეორე – როდესაც მხოლოდ სასჯელის მაქსიმუმი არის განსაზღვრული. ამ შემთხვევაში სასჯელის მინიმუმი, რომელიც შეიძლება დაეკისროს დამნაშავეს, არის ამ სახის სასჯელის ზომისათვის სსკ-ის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული მინიმუმი. კერძოდ, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ათი დღიური ანაზღაურება (სსკ-ის 42-ე მუხლი); გამასწორებელი სამუშაოების მინიმალური ვადა არის ერთი თვე, ხელფასიდან სახელმწიფო შემოსავალში დაქვითვის მინიმუმი – 5%; სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის მინიმალური ვადა - სამი თვე; თავისუფლების შეზღუდვის მინიმალური ვადა – ერთი წელი; ტუსაღობის მინიმალური ვადა – ერთი თვე; სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსების მინიმალური ვადა – სამი თვე; ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა – ექვსი თვე. ასეთი სანქციები გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, რადგან ასეთი სანქციების გათვალისწინება უფრო მეტად პასუხობს სამართალგამოყენებითი მოთხოვნილების პრაქტიკას.

ალტერნატიული სასჯელის სახეების მითითებით სანქციები ძირითადი სასჯელის ორ ან მეტ სახეს შეიცავს, მაგალითად, სსკ-ის 118-ე, 124-ე, 125-ე, 126-ე და ბევრი სხვა მუხლის სანქციით გათვალისწინებულია 2 ან 3 სხვადასხვა სახის სასჯელის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს მუხლში მითითებული ერთ-ერთი სასჯელი, ამასთან, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

მითითებითი სანქცია თვითონ არ აღგენს კონკრეტული სასჯელის სახეს და მიუთითებს სსკ-ის სხვა მუხლებზე. ასეთ სანქციებს არსებითად არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რამდენადაც დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნის დროს გამოიყენება იმ მუხლის სანქცია, რომელზედაც არის მითითება.

კუმულაციური (შეჯამებითი) სანქცია ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ დამნაშავეს გარდა ძირითადი სასჯელისა, დაენიშნოს დამატებითი სასჯელიც. დამატებითი სასჯელის დანიშვნა ან სავალდებულოა ან შეიძლება დაინიშნოს სასამართლოს შეხედულებისამებრ, მაგალითად, დამატებითი სასჯელების სავალდებულო დანიშვნა გათვალისწინებული სსკ-ის 130-ე (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება), 134-ე (ადამიანის ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება), 142-ე ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა და სხვა მუხლებით, რომლებითაც გათვალისწინებულია სასჯელი ისეთი დანაშაულისათვის, რაც დაკავებულ თანამდებობასთან ან გარკვეულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამავე კატეგორიის ზოგიერთი დანაშაულისათვის დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სავალდებულოდ არ არის მიჩნეული და იგი შეიძლება დაინიშნოს ან არ დაინიშნოს სასამართლოს შეხედულებისამებრ. მაგალითად, სსკ-ის 154-ე, 155-ე, 156-ე, 157-ე და სხვა მუხლები.

კუმულაციური (შეჯამებითი) სანქციების რიცხვი, მათი გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის გამო, განუწყვეტლივ მატულობს.

სისხლის სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტი შედარებით ურთიერთდამოკიდებულია, რადგან ასრულებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებული არიან. პირველ ყოვლისა, ასეთი მჭიდრო კავშირი არსებობს ნორმის დისპოზიციასა და სანქციას შორის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ამ კონსტიტუციური დებულებიდან გამომდინარე, საქმეების განხილვის დროს სასამართლოებმა უნდა შეაფასონ იმ კანონის ან სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტის შინაარსი, რომლებიც აწესრიგებს განსახილველ სამართალურთიერთობას იმ თვალსაზრისით – შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციას კანონი ან სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტი. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კანონი ან სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას, აჩერებს სისხლის სამართალწარმოებას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს მათი კონსტიტუციურობის გადასაწყვეტად (საქ. სსსკ-ის[2] 29-ე მუხლის "ე"პუნქტი და 390-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საკონტროლო კითხვები:

1. სისხლის სამართლის კანონის სტრუქტურა;
2. დისპოზიციის სახეები;
3. სანქციის სახეები;
4. დანაშაულის მატერიალური და ფორმალური ფორმები.

19.2. დანაშაულის ცნება, მისი ნიშნები და სოციალური ბუნება

დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართველოს საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებას, აგრეთვე მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. სსკ მე-7 მუხლით დანაშაულის არსი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. ასეთ განსაზღვრებაში დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები არის ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

დანაშაულის ცნების ამ საკანონმდებლო განსაზღვრებაში ხაზგასმულია მისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი: ადამიანის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც უცილობლად საზოგადოებრივი საშიშროებაა, ბრალეულობა და დასჯადობა.

პირველი ნიშანი, რომელიც ახასიათებს დანაშაულს, **მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა** (მოქმედება ან უმოქმედობა), როგორც ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული, ნებელობითი ქცევა. ადამიანის როგორც მართლზომიერი, ისე მართლსაწინააღმდეგო ქცევა აზრობრივი პროცესია, ის თავისთავად არ არის ყოველთვის დანაშაულებრივი, მას თუ არ ერთვის ადამიანის განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ზრახვანი და მიზნები. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება განსაზღვრული ქმედების ჩადენისათვის და არა აზრებისათვის. კანონმდებელი დანაშაულის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად ქმედებას მიიჩნევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებელობითი ქცევის აქტად ვერ ჩაითვლება (და ამდენად დანაშაულად) ადამიანის სხეულის ნებისმიერი მოძრაობა, თუ გამორიცხულია თავის ტვინის მაკონტროლებელი ფუნქცია. გამორიცხულია ქმედების მართლსაწინააღმდეგობა დაუძლეველი ძალისა და ფიზიკური ძალადობის დროს. რაც შეეხება ფსიქიკურ მუქარას, იგი არ გამორიცხავს ადამიანის ნებელობით მოქმედებას. ასეთი ძალადობის ვითარებაში ჩადენილი მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ იგი აკმაყოფილებს უკიდურესი აუცილებლობის პირობებს.

უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ვითარებაში, ანუ აფექტში ჩადენილი მოქმედება მომეტებული სირთულის საკითხია. ფიზიოლოგიური აფექტი მთლიანად არ გამორიცხავს ადამაინის შეგნებულ კონტროლს თავისი მოქმედებისადმი, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას. ამიტომაც დგება პასუხისმგებლობა ამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის, თუმცა აფექტი ითვლება ბრალის შემამსუბუქებელ ერთ-ერთ გარემოებად (სსკ-ის მუხ. 22-ე, 111-ე). სხვაგვარად წყდება საკითხი პათოლოგიურ აფექტში ჩადენილ მოქმედებისას. პათოლოგიური აფექტი ცნობიერების ისეთ სრულ დაბნელებას იწვევს, რაც სავსებით გამორიცხავს აზროვნებას და მოქმედების შეგნებული კონტროლის უნარს. ამ შემთხვევაში ნებელობითი მოქმედება სავსებით გამორიცხულია, ამიტომ გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

უმოქმედობა, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ მაშინ წარმოქმნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ პირს მოქმედების ვალდებულების გვერდით, ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობაც გააჩნდა. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი წესით პასუხს არ აგებს ღამის დარაჯი, რომელსაც ბოროტმოქმედებმა ხელ-ფეხი შეუკრეს და ამით მოუსპეს მას მოქმედების შესაძლებლობა, რასაც ამბარის გატეხვა მოჰყვა.

დანაშაულის ძირითად თვისებრივ ნიშანს მისი საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. დანაშაულად ითვლება არა ყოველგვარი მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა და ე.ი. საშიშია საზოგადოებისათვის. ეს ნიშანი ხსნის დანაშაულის სოციალურ არსს და პასუხს იძლევა კითხვაზე, რატომ ცხადდება ესა თუ ის ქმედება დანაშაულად. საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა იმის მომასწავებელია, რომ ქმედება ხელყოფს საზოგადოებაში არსებულ მორალურ და მატერიალურ ურთიერთობებს, ვნებას აყენებს მას.

სიტყვა „ხელყოფის" ქვეშ იგულისხმება სამართლით დაცული სიკეთის არა მხოლოდ დაზიანება, არამედ ასეთი დაზიანების რეალური საფრთხის შექმნა. ამიტომაცაა, რომ დანაშაულად ითვლება არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელმაც ვნება მიაყენა სამართლით დაცულ სიკეთეს, არამედ ისეთიც, რომელმაც ვნების მიყენების ნამდვილი საფრთხე შექმნა.

საზოგადოებრივი საშიშროების, ანუ ქმედების კანონსაწინააღმდეგობის არსი იხსნება იმ ობიექტებზე მითითებით, რომელთა ხელყოფაც დანაშაულს წარმოადგენს. ეს ობიექტებია: საქართვე-

ლოს კონსტიტუციური წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლება, რომლებიც მოცემულია კონსტიტუციის მე-2 თავში.

საზოგადოებრივი საშიშროება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დანაშაული. საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს არა მხოლოდ დანაშაულს, არამედ სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვ.).

სსკ-ის მე-7 მუხლის II ნაწილი, სადაც კანონმდებელი ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნების განსაზღვრებას იძლევა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის უფრო სრულად გახსნას. ამ ნორმის არსი იმაშია, რომ დანაშაულად მხოლოდ ისეთი მოქმედება შეიძლება იქნეს ცნობილი, რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი გააჩნია. ამიტომ ჩადენილი ქმედების ნიშნების ფორმალური დამთხვევა კანონში აღწერილი დანაშაულის ნიშნებთან საკმარისი არ არის ამ ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის, თუკი იგი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ქმედება შეიძლება ცნობილი იქნეს ასეთად მიყენებული ვნების უმნიშვნელო ხასიათის დროს (იაფფასიანი ნივთის ქურდობა, დაზიანება, რომლის აღსადგენად საჭირო არ არის დიდი ძალისხმევა და მნიშვნელოვანი დანახარჯი). მართლსაწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედება ითვლება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. ამასთან, კანონმდებელი, როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულად აღიარებს მხოლოდ იმ ქმედებას, რომელსაც საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრული ხასიათი და ხარისხი აქვს.

მართლწინააღმდეგობა იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩამდენმა დაარღვია აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმაშია მოცემული. ამდენად, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის ნორმით, თუნდაც კანონის ხარვეზის შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება დანაშაულად. მხოლოდ კანონმდებელს აქვს უფლება დანაშაულის რანგში აიყვანოს ესა თუ ის ქმედება. დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (სსკ-ის მე-7 მუხლი). დანაშაულის ასეთი საკანონმდებლო განსაზღვრებით საყოველთაოდ აღიარებულია პრინციპი – დანაშაული არ არის კანონის გარეშე (ნულლუმ ცრიმე სინე ლეგე).

შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც ამა თუ იმ მოქმედებას ან უმოქმედობას ადამიანთა მართლშეგნება საზოგადოებისათვის საშიშად მიიჩნევს, მაგრამ თუ ასეთი ქმედება აკრძალული არ არის სისხლის სამართლის კანონით, არავის არა აქვს უფლება ებრძოლოს მას სასჯელის მეშვეობით. არ არის სასჯელი კანონის გარეშე (ნულლა პოენა სინე ლეგე).

ქმედების მართლსაწინააღმდეგობის ნიშნის გარდა, დანაშაულის ნიშნებია ქმედების ბრალეულობა და დასჯადობა.

ბრალი არის დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, ქმედება შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიშიც, მართლსაწინააღმდეგოც, მაგრამ თუ ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ პირს არა აქვს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც იკიცხება საზოგადოების მიერ ბნეობრივი თვალსაზრისით - ასეთი ქმედება არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, ე.ი. ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული. ამ მომენტზე სპეციალურად მიუთითებს სსკ-ის მე-7 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება". მოცემული დებულება გამორიცხავს ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას, ანუ ბრალის გარეშე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი და მართლწესრიგისადმი, ბრალის ცნებისაგან განსხვავებით, ქმედების ობიექტურ წინააღმდეგობას გამოხატავს, ხოლო ბრალი გამოხატავს დამნაშავის შინაგან, ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი ნიშნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი.

დასჯადობის, როგორც დანაშაულის ნიშნის ქვეშ, იგულისხმება ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ყოველი დანაშაული დასჯადი ქმედებაა. რეალურად შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩადენილი დანაშაული სხვადასხვა გარემოების გამო სასჯელს არ იმსახურებდეს. მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულს თან არ ახლავს სასჯელი, მაგალითად, პირობითი მსჯავრის დროს მოსამართლე არ იყენებს სასჯელს.

დანაშაულის ცნების დასჯადობის ნიშანი ისეთნაირად უნდა იქნეს გაგებული, რომ დანაშაულის ჩადენის თითოეულ ფაქტს თან სდევს სასჯელის მუქარა. მხოლოდ ისეთი ქმედებაა დანაშაული, რომლისთვისაც კანონმდებელი საჭიროდ თვლის სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნას. ამრიგად, დანაშაული არ არსებობს სასჯელის გარეშე, ისევე როგორც არც სასჯელი არსებობს დანაშაულის გარეშე. ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით სასჯელი შეიძლება არც იქნეს გამოყენებული, სრულიადაც არ ცვლის ამ დებულებას, ყოველი დანაშაული პრინციპულად დასჯადია.

ყოველი დანაშაული არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, არამედ იმავდროულად ამორალური ქმედებაც არის, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ ნიშნის სპეციალურად შეტანა დანაშაულის ცნების არსში, ქმედების მართლწინააღმდეგობა თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ქმედება ამორალურიც არის.

დანაშაულის კატეგორიზაცია. სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლითაა გათვალისწინებული. ამ დანაშაულთა მიკუთვნება სხვადასხვა კატეგორიისადმი ანუ დანაშაულთა კლასიფიკაციას მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ასეთ დაყოფასთან განსხვავებული სამართლებრივი შედეგებია დაკავშირებული.

დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლში, რომელშიც დანაშაულთა კატეგორიები სასჯელის სიმძიმის მიხედვით იყოფა:

- ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- მძიმე დანაშაული;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახვით, ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც სსკ-ს მუხლით, ან მუხლის ნაწილით დადგენილი სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას; მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის ზომა არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც თავისუფლების აღკვეთა 5 წელს აღემატება; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ცნობილია ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასამართლომ შეიძლება განსაზღვროს 10 წელზე მეტი ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სიმძიმის მიხედვით. დანაშაულთა დაყოფა (კლასიფიცირება) არსებითად ხდება დანაშაულის სამართლებრივი შედეგების მიხედვით. ადრე მოქმედი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა დანაშაულთა სამართლებრივი შედეგებით დაყოფას არ იცნობდა. ეს ახალი პოსტულატი საქართველოს სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში გადმოღებულია, ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობიდან. ამ მიმდინარეობას გაჰყვა რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული სხვა სახელმწიფოები.

დანაშაულის სოციალური ბუნება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მარქსი წერდა, რომ „სასჯელი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების თვითდაცვის საშუალება მისი არსებობის პირობების დარღვევის წინააღმდეგ, როგორიც არ უნდა იყოს ეს პირობები".

ეს გამოთქმა შეიცავს დანაშაულს, როგორც საზოგადოების არსებობის პირობების ხელყოფის ზუსტ დახასიათებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს პირობები. კომუნისტურმა სამართლებრივმა იდეოლოგიამ შეგნებულად მიჩქმალა მოტანილი ციტატის ბოლო სიტყვები და დანაშაულს განიხილავდა, როგორც ანტაგონისტური კლასების ბრძოლის გამოვლინების პროდუქტს და ფორმას, ხოლო სასჯელში ხედავდა სამართლებრივ კალაპოტში შეყვანილ „დაჩაგრული" კლასის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალებას.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარვყოთ დანაშაულის კლასობრივი ხასიათი, როგორც მისი წარმოშობის, ასევე ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში მისი სოციალური შინაარსის გათვალისწინებით. დანაშაული, როგორც იურიდიული ცნება, ნამდვილად აღმოცენდა მხოლოდ საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად (მონებად და მონათმფლობელებად) დაყოფისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ. იმ პერიოდში სახელმწიფო, უმთავრესად, მონათმფლობელთა კლასის ხელში წარმოადგენდა მონებზე მათი ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების იარაღს, დანაშაულად კი მიიჩნეოდა მონათმფლობელური წყობისათვის საშიში ქმედებები. მაგალითად, მონის მოკვლა დანაშაულად არ ითვლებოდა, მაშინ, როცა მონის მიერ თავისი ბატონის მოკვლა, განიხილებოდა როგორც უმძიმესი დანაშაული და იწვევდა მკვლელის სიკვდილით დასჯას. მაგრამ იმ დროსაც დანაშაულის კლასობრივი ხასიათი აბსოლუტური არ იყო, რადგან პიროვნების ხელყოფის ბევრი ფორმა, ქონებრივი ან სხვა ინტერესების დარღვევა თავისივე კლასის წარმომადგენლის მიერ ასევე დანაშაულად ითვლებოდა, თუმცა ამას არ ჰქონდა გამოხატული კლასობრივი ელფერი.

დემოკრატიის განვითარებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების კვალდაკვალ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და სხვა სახელმწიფოებში, ძირეულად შეიცვალა დანაშაულის სოციალური შინაარსი. ააშენეს რა განვითარებადი დემოკრატია და შეუდგნენ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ საკანონმდებლო წესით ფაქტობრივად განამტკიცა ბოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრიორიტეტი და ეს ფასეულობები დააყენა კლასობრივ და კორპორაციულ ინტერესებზე მაღლა. პიროვნება, მისი უფლებები, თავისუფლება და ინტერესები გამოცხადდა უმაღლეს სოციალურ ფასეულობებად, მათზე გავრცელდა გაძლიერებული სამართლებრივი, მათ შორის სისხლის სამარ-

თლებრივი დაცვა. მე-20 საუკუნის 80-იან წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო დაადგნენ სოციალური ურთიერთობებისა და სამართლებრივი სისტემების დემოკრატიზაციის გზას.

საქართველოს კონსტიტუციის მიღებით, 1995 წელს, ოფიციალურად პირველად აღიარდა სახელმწიფოს ინტერესებთან შედარებით ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრიორიტეტი. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და ხელისუფლება შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებასა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან. კოდექსი, პირველ რიგში, აყენებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას და მხოლოდ ამის შემდეგ ითვალისწინებს საკუთრების ყველა ფორმის, საქართველოს კონსტიტუციური წყობის, გარემოს დაცვას და სხვა სახის ხელყოფისათვის პასუხისმგებლობას. ამდენად, დანაშაულის სოციალური ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მიმართულია პიროვნების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, საქართველოს კონსტიტუციური წყობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ.

საკონტროლო კითხვები:

1. დანაშაულის ნიშნები, არსი;
2. ქმედების მართლსაწინააღმდეგოობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსი და მათი თანაფარდობა;
3. მცირე მნიშვნელობის ქმედების ცნება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
4. დანაშაულის კატეგორიზაციის კრიტერიუმები.

19.3. დანაშაულის შემადგენლობა

დანაშაულის შემადგენლობა არის კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ქმედებას როგორც მართლსაწინააღმდეგოს, ბრალეულს და დასჯადს. დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული მუხლის დისპოზიციაში. დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილია კანონსაწინააღმდეგო ანუ საშიში ქმედება, მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა და ა.შ. ამ აღწერას (დისპოზიციას) კანონმდებელი უკავშირებს სისხლისსამართლებრივ შედეგს (სანქციას) და ამრიგად, ქმედება ცხადდება კანონსაწინააღმდეგოდ და დასჯადად.

დისპოზიციაში აღწერილი ქმედებისათვის სასჯელის გამოცხადებით, კანონმდებელი ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ – დანაშაულად აღიარებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ქმედება აკრძალული სამართლის რომელიმე სხვა დარგით, ან უარყოფითად ფასდებოდა თუ არა იგი მნეობის ნორმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი იმავდროულად ამ მოქმედების მართლსაწინააღმდეგოა, ესე იგი დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობის საფუძველი. ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმის აღიარებით, რომ მასში სამი ნიშანი უნდა იყოს: მართლსაწინააღმდეგობა, ბრალეულობა და დასჯადობა. ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების (მკვლელობის, ქურდობის და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს აღარ სჭირდება ამ ქმედების საზოგადოებისათვის საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცება, იგი უკვე თავისთავად იგულისხმება. მაგალითად, თუ სასამართლომ დაამტკიცა, რომ დამნაშავემ ფარულად გაიტაცა სხვისი მოძრავი ნივთი მითვისების მიზნით, ე.ი. ჩაიდინა ქურდობა, საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, რომ ეს მოქმედება არის საშიში და ამდენად მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, ხოლო გამონაკლისი კი ის არის, რომ ქმედება შეიძლება ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ არ იყოს მართლსაწინააღმდეგო ისეთი გარემოებების არსებობს გამო, რამაც მას დაუკარგა საშიში ხასიათი. ასეთ გარემოებებს სისხლის სამართლის კანონი მიაკუთვნებს სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებას – „დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც

თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“.

კანონში აღნიშნულია აგრეთვე, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აწერილი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობს მართლწინააღმდეგობისა და საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები – იგი დანაშაულად არ ჩაითლება და გამოცხადებულია მართლზომიერ ქმედებად.

სისხლის სამართლის კანონში დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების აღწერით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს და სასჯელს იმსახურებს.

შემადგენლობაში აბსტრაქტული, განზოგადებული ფორმით აღწერილია ის ტიპური ნიშნები, რომელთა ერთობლიობა სისხლისსამართლებრივ უმართლობას ქმნის და კონკრეტულ დანაშაულს ახასიათებს, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევითი ნიშნები შემადგენლობის გარეთ არის გატანილი. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით ქურდობა განსაზღვრულია, როგორც სხვისი მოძრავი ქონების ფარული გატაცება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამდენად, კანონი ქურდობის ცნების შემდეგ ნიშნებს ასახელებს:

- მოძრავი ნივთი, როგორც საკუთრება;
- ფარული დაუფლება;
- კანონსაწინააღმდეგო მიზანი.

აქ იგულისხმება, რომ ამ ნიშნების ერთობლიობა საშიშია საზოგადოებისათვის და ამდენად მართლსაწინააღმდეგოა.

ქმედება, რომელიც არ ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ელემენტებს, არ წარმოადგენს დანაშაულს და დასჯადს. ეს კი ცნობილი პრინციპის – არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე – (ნულლუმ ცრიმენ ნულლა პოენა სინე ლეგე) – განუხრელად განხორციელების გარანტიას იძლევა და გამორიცხავს დანაშაულის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც სსრ კავშირის პირველი 1924 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები და მის საფუძველზე მიღებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებდა.

სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის აღწერა. ეს ნიშნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად.

აღწერილობითი ეწოდება ისეთ ნიშანს, რომელიც დანაშაულის ფაქტობრივ მხარეს შეეხება, დროსა და სივრცეში არსებობს და შესაძლებელია მისი აღქმა გრძნობის ორგანოების მეშვეობით. ასეთი ნიშნებია ქონების დაზიანება, მისი გატაცება, ადამიანის სიკვდილი და ა.შ. ეს ნიშნები, როგორც წესი, მიზეზობრივად დაკავშირებულია ადამიანის მოქმედებასთან. გარდა ამისა, არსებობს შემადგენლობის ისეთი ნიშნები, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ უკავშირდება მოქმედებას, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს მიეკუთვნება. მაგალითად, ნივთი ქონების გატაცებისას, ორსულობა, ორსული ქალის მკვლელობისას.

აღწერილობითი ნიშნების დროს უნდა დადგინდეს ამ ნიშანთა არსებობა ქმედების კვალიფიცირებისას. მაგალითად, ნამდვილად მოკლულია თუ არა ადამიანი, გატაცებულია თუ არა ქონება და ა.შ.

შეფასებითი ნიშანი, არ აღიქმება გრძნობის ორგანოების საშუალებით, არ არის განლაგებული დროსა და სივრცეში და მისი არსის დადგენისათვის აუცილებელია კანონის შემფარდებლის გონების თვალით შეფასება, ანალიტიკური აზროვნებით. ასეთი ნიშანია, მაგალითად, "გარყვნილი" მოქმედება, "სხვისი" მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება და ა.შ. ამრიგად, შემადგენლობის შეფასებით ნიშნებს, სიზუსტისა და გარკვეულობის დეფიციტი ახლავს. მათი დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა მომენტის მოშველიებით (სამართლის სხვა დარგიდან, ზნეობრივი ნორმებიდან და ა.შ.). ამის გამო, კანონგამოყენებისას ამ შეხედულებას ფართო გასაქანი აქვს. ამდენად, კანონმდებელი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს არ მიმართოს შეფასებით ნიშნებს, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ამა თუ იმ ქმედების საკანონმდებლო დახასიათება მხოლოდ აღწერილობითი ნიშნების მოშველიებით შეუძლებელია. ამასთან, ასეთი ნიშნების დადგენა არ გულისხმობს ნორმის შემფარდებლის სრულ თვითნებობას. შეფასებითი მსჯელობა შესაძლებელია კანონმდებლის ზოგადი პრინციპებისა და მთლიანად სამართლისა და ზნეობის ნორმების მეშვეობით. ზოგჯერ ზღვარი შემადგენლობის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის იშლება. მაგალითად, სსკ-ის 341-ე მუხლი ითვალისწინებს დოკუმენტის გაყალბებას. აქ დოკუმენტს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა ქაღალდი, შტამპი, ბეჭედი, ხელმოწერა, ე.ი. ისეთი ნიშნები, რაც აღიქმება ჩვენი გრძნობის ორგანოების მეშვეობით, ანუ აღწერილობითი ნიშნები, მაგრამ დოკუმენტის თვისება, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გან-

საზღვრული იურიდიული ფაქტების ან ხდომილების დამადასტურებლად, მის შეფასებით ნიშნებს განეკუთვნება.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განეკუთვნება დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს.

დანაშაულის ობიექტი არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც იცავს სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ან ასეთი ხელყოფის საფრთხისაგან. დანაშაულის ობიექტზე მითითება ზოგჯერ პირდაპირ არის მოცემული სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად სსკ-ის 108-ე მუხლი განზრახ მკვლელობა), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის ობიექტის დადგენა კანონის განმარტების მეშვეობით ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებისათვის ცნობილია ორობიექტიანი დანაშაული (მაგალითად, სსკ-ის 179-ე მუხლი, რომელიც ყაჩაღობის შემადგენლობას ითვალისწინებს, ასეთად მიიჩნევს პიროვნებას და საკუთრებას). როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, უნდა განვასხვაოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაული ალტერნატიულად ხელყოფს რამდენიმე ობიექტს. ამის მაგალითად იგივე ყაჩაღური თავდასხმის შემადგენლობა გამოდგება, სადაც ერთ-ერთი ობიექტის ხელყოფა უკვე დანაშაულის დამამძიმებელ შემადგენლობას ქმნის.

დანაშაულის შემადგენლობაში ასევე აღწერილია დანაშაულის **ობიექტური მხარე**, რომელშიც იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს განეკუთვნება აგრეთვე დანაშაულებრივი მოქმედების საშუალება, ხერხი, დრო, ადგილი და ვითარება. დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას, კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ობიექტური მხარის ისეთ შემადგენელ ნაწილს უთმობს, როგორიც მოქმედებაა.

მოქმედების ჩადენის განსაკუთრებული ხერხი აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობისათვის (მაგალითად, სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სპეციალურად მიუთითებს ამ დანაშაულის ჩადენის ხერხზე, კერძოდ თვითმკვლელობამდე იმ პირის მიყვანა, რაც ჩადენილია მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ ან დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით).

ასეთივე სავალდებულო მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის საშუალებას. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის როგორც საშუალება, ისე დრო, ადგილი და ვითარება შემადგენლობის აუცილებელი ნიშნის სახით არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ამძიმებს დანაშაულს. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის "ვ" პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით ჩადენილი განზრახი მკვლელობა ითვლება დამამძიმებელ გარემოებად.

ზოგად დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია კანონმდებლის მიერ დანაშაულის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, საზოგადოებრივი უბედურების გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით და ა.შ.

იგივე ითქმის დანაშაულის ჩადენის პირობების შესახებაც. დანაშაულის შემადგენლობა, იმისდა მიხედვით, არის თუ არა მასში განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგი, იყოფა შედეგიან და შედეგგარეშე შემადგენლობებად. მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობისათვის.

დანაშაულის სუბიექტის ნიშნებზე მითითება მოცემულია სსკ-ის ზოგად ნაწილში (მუხ. 33-34-ე) და, როგორც წესი, განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში მასზე არაფერია ნათქვამი, გარდა იმ ზოგიერთი გამონაკლისისა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული ნიშან-თვისებით აღჭურვილი სუბიექტის მიერ. ასეთია, მაგალითად, დანაშაული, რომლის სუბიექტიც მხოლოდ სამხედრო პირია.

დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა დანაშაულებრივი ქმედების მიზანი და მოტივი. მაგალითად, ტერორისტული აქტის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება (მუხ. 323), ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ კი მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას (მუხ. 326-ე) და ა.შ. მიზანმა ასევე შეიძლება დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების როლი ითამაშოს, მაგალითად 109-ე მუხლის "ლ" პუნქტის თანახმად, მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ითვლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ ე.ი. მაკვალიფიცირებელ გარემოებად. ზოგიერთი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს დანაშაულის ჩადენის მოტივი წარმოადგენს, მაგალითად, სსკ-ის 341-ე მუხლში ლაპარაკია დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, განსაკუთრებული ბლანკის, ანგარიშების მოსპობაზე, დაზიანებასა და დამალვაზე, რაც ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. მოტივი, ისევე როგორც მიზანი, შეიძლება იყოს მხოლოდ მაკვალიფიცირებელი გარემოება, მაგალითად სსკ-ის 109-ე მუხლის "ი" პუნქტით მკვლელობა, ჩადენილი ანგარე-

ბითი მოტივით განიხილება როგორც ამ დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებათაგანი. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად მოგვევლინოს, თუ ასეთ გარემოებას ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობა.

დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს მასში გადმოცემული ერთი და იმავე ქმედების საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამ ნიშნით კლასიფიკაციისას განარჩევენ დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად კვალიფიციურ და პრივილეგირებულ შემადგენლობას. დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად შემადგენლობაში გადმოცემული არ არის ამ დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები. ამის მაგალითია მკვლელობა ჩადენილი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. კვალიფიციურ შემადგენლობაში გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს), ხოლო **პრივილეგიური** შემადგენლობა აღწერს იმ ნიშანს, რომელიც ამსუბუქებს შესაბამის დანაშაულს (მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობა; სსკ-ის 113-ე მუხლი ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობას).

ზოგჯერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა, მისი დიდი მნიშვნელობის გამო, აღარ ექვემდებარება ზემოაღნიშნულ სამწევროვან დაყოფას და დამოუკიდებლობის დიდ ხარისხს იძენს. ასეთი შემთხვევა სისხლის სამართლის ლიტერატურაში "სპეციალობის პრინციპის" სახელწოდებითაა ცნობილი. ეს პრინციპი იმის ამსახველია, რომ სისხლის სამართლებრივი ორი ნორმა ერთმანეთთან ზოგადი და სპეციალური ნორმების დამოკიდებულებაშია, სადაც სპეციალურ ნორმას ზოგადთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ამ შემთხვევაში სპეციალური ნორმა ითვალისწინებს ქმედების სპეციფიკურ თავისებურებას, მაგალითად, დანაშაულის დაფარვა (სსკ-ის 375-ე მუხლი) და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (სსკ-ის 370-ე მუხლი). შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთი საშუალებაა და ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 370-ე მუხლით, არამედ დაფარვის სპეციალური სახის ამსახველი 375-ე მუხლით.

დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაცია შეიძლება მისი სტრუქტურის მიხედვითაც. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განასხვავებენ მარტივ და რთულ შემადგენლობებს. მარტივ შემადგენლობაში ცალკეული საშიში ქმედება პირველად არის აღიარებული დანაშაულად. რთული შემადგენლობის სახესხვაობაა დენადი დანაშაული, როდესაც მასში შემავალი რამდენიმე დანაშაული დამოუკიდებელია, მაგრამ დანაშაულში ისინი ისე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ დამოუკიდებელი დანაშაული წარმოქმნეს. ასეთი დანაშაულის მაგალითს წარმოადგენს ყაჩაღობა, სადაც ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებია გაერთიანებული: ა) პიროვნების და ბ) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა.

რთული დანაშაულის სახეს განეკუთვნება აგრეთვე ალტერნატიული შემადგენლობა. ალტერნატიული შემადგენლობის დროს შემადგენლობით გათვალისწინებული რამდენიმე ნიშანთაგან ერთ-ერთის არსებობა საკმარისია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.

რთული შემადგენლობის ნაირსახეობაა კუმულაციური შემადგენლობა. მართალია, აქაც ალტერნატიულის მსგავსად ორ მოქმედებაზე, ობიექტსა და ბრალის ორ ფორმაზეა ლაპარაკი, მაგრამ განსხვავებით ალტერნატიული შემადგენლობისაგან, შეიძლება აქ ასახული შემადგენლობის ცალკეული ელემენტისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი ერთდროულად არსებობდეს. მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობისათვის დამახასიათებელია ორი ობიექტი – ქონება და პიროვნება და ადგილი აქვს ბრალის ორ ფორმას – განზრახვას და გაუფრთხილებლობას – განზრახვას სხეულის დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობას – სიკვდილისადმი.

საინტერესოა, თუ რა დამოკიდებულებაშია დანაშაულის ცნება დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. მათ შორის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედებას, როგორც რეალურ, ცხოვრებისეულ მოვლენას, რეალურ პროცესს (დე-ფაქტო), ხოლო შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერს იმას, რაც რეალურად ცხოვრებაში ხდება (დე-იურე).

ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებია: დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი, ანუ სისხლის სამართლის კანონით დაცული სიკეთე; ობიექტური მხარე – დანაშაულებრივი ქმედება ანუ მოქმედობა ან უმოქმედობა; სუბიექტური მხარე – შემსრულებლის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი; სუბიექტი – ფიზიკური პირი 14 წლის, ცალკეულ დანაშაულზე კი 12 წლის ასაკიდან, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული შერაცხად მდგომარეობაში. ასეთი ქმედების სამართლებრივი შეფასება (დაკვალიფიცირება) დამნაშავეობასთან ბრძოლაში განმსაზღვრელია, ძირითადი და აუცილებელია კანონგამოყენებით საქმიანობასი და გარანტიაა კანონიერი პრინციპის უზრუნველყოფისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. დანაშაულის შემადგენლობა და მისი მნიშვნელობა;
2. დანაშაულის შემადგენლობის სახეები;
3. დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურა;
4. დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის თანაფარდობა.

19.4. ეკონომიკური დანაშაული

საქართველოში ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და კერძო საკუთრების სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფის აუცილებლობამ განაპირობა სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხობის სამართლებრივი დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. სისხლის სამართლის კოდექსის XX თავში დაწვრილებითაა გადმოცემული კანონის არსის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ. ამ პარაგრაფში გადმოიცემა ქვეყნის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის VIII კარის XXVI –XXIX თავებში მოცემულ ნორმათა არსი, რომლებიც ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფში შედის და საგამოძიებო-სასამართლო საქმიანობაში ფართოდ არის გავრცელებული. ამ პარაგრაფში აგრეთვე გადმოცემული იქნება სამოხელეო დანაშაულის არსი და მისი ცალკეული სახეები, რომლებიც სსკ XI კარის XXXIX თავშია მოცემული. სსკ 26-ე თავი ეძღვნება იმ დანაშაულთა შემადგენლობებს, რომელთა ხელყოფის ობიექტი. სამეწარმეო და ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული სამართლებრივი ურთიერთობებია. ცალკეულ შემადგენლობაში დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტებია თითოეულ დისპოზიციაში აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, სსკ 190-ე მუხლი „კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა“ არის დანაშაულის შემადგენლობა, რომლის სუბიექტური მხარე გამოიხატება სპეციალური სუბიექტის პირდაპირ განზრახვაში. ხელყოფის ობიექტია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო ობიექტური მხარე კანონიერ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეშლაში მდგომარეობს და ძირითადად ორი ფორმა აქვს: მეწარმის აღრიცხვაზე აყვანის (რეგისტრაციის) ან ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის დაბრკოლება, შეზღუდვა, გაჭიანურება და ა.შ. ამ ქმედებებს სჩადის სპეციალური სუბიექტი – სახელმწიფო მოხელე, რომელიც სამსახურებრივადაა ვალდებული მეწარმეთა აღრიცხვა აწარმოოს და გასცეს სათანადო ლიცენზია. დანაშაულის ეს შემადგენლობა მატერიალური ფორმისაა, რადგან სპეციალური სუბიექტი პირდაპირი განზრახვით დაუსაბუთებლად ეუბნება უარს საქმიანობაზე და ასეთ მოქმედებას შედეგად მოჰყვება მეწარმისათვის მნიშვნელოვანი ზიანი.

სსკ 192-ე მუხლით დასჯადად გამოცხადებულია უკანონო სამეწარმეო საქმიანობა. ამ დანაშაულის დისპოზიციაში აღნიშნულია „სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება” - ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე”. ეს დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ითვლება, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად, არაერთგზის, ან დანაშაული ჩაიდინა ასეთი დანაშაულისათვის წინათ მსჯავრდებულმა პირმა. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობა გამკაცრებულია და კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობის მომწესრიგებელი ურთიერთობები, სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, რადგან სახელმწიფო ვერ იღებს რეგისტრაციისათვის ან ლიცენზიის გაცემისათვის ბაჟის გადასახადს და ა.შ. ობიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენა წარმოებს ქმედებით და ხასიათდება მძიმე შედეგით, რაც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებისას. პრაქტიკაში ზიანისა და შემოსავლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. დანაშაულის ამ შემადგენლობის სუბიექტია 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი. სუბიექტური მხრივ, განზრახი დანაშაულია ანგარებითი მოტივი.

სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფის სისხლისსამართლებრივი გარანტიები მოცემულია აგრეთვე სსკ 193-207-ე მუხლებში, კერძოდ აღნიშნული მუხლები ეხება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ ისეთ დანაშაულობებს, როგორიცაა: ცრუ მეწარმეობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვა, სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება, ფალსიფიკაცია - უხარისხო, საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია, აქციზური მარკების დამზადება ან საქონლის მარკირების გარეშე ბრუნვაში გამოშვება, ყალბი რეკლამა და ა.შ.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (სსკ მუხლი 194-ე). ესე იგი, ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა; აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე. მაგრამ თუ ეს დანაშაული ჩადენილ იქნა პირთა ჯგუფის მიერ, მრავალჯერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც

თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, არის დამამძიმებელი გარემოება, მკაცრდება პასუხისმგებლობა და სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდეა დაწესებული, რასაც აუცილებლად ერთვის ჯარიმა, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს[1]. დანაშაულის უშუალო ობიექტი ფულად-საკრედიტო მიმოქცევის მომწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ამ შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დანაშაულის საგანი - ფულადი სახსრები ნებისმიერ ვალუტაში, ან სხვა რაიმე ქონება. ობიექტური მხრივ, ჩრდილოვანი შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა, ან სხვა ქონების ლეგალიზაცია. სუბიექტური მხრივ, დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, სუბიექტი სსკ 133-ე მუხლით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირია, რომელიც შეუცდომლად აცნობიერებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და სურს დადგეს მიზანდასახული შედეგი. მოტივი ანგარებითია.

სსკ 195-ე მუხლით დანაშაულადაა გამოცხადებული **მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შებღუდვა**. ასეთი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული დასჯადი ქმედებისათვის დადგენილია სასჯელის სახეები: ჯარიმა, სამ თვემდე ტუსაღობა ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულის უშუალო ობიექტია მეწარმეობის თავისუფლება და მომხმარებელთა მატერიალური და მნეობრივი ინტერესები. ობიექტური მხრივ დანაშაულის შემადგენლობა მაშინ არის, როცა სსკ 134-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი მაღალ ფასებს აწესებს და ყველა საშუალებით ინარჩუნებს მას და ამით აქტიურად ბღუდავს კონკურენციას. სუბიექტური მხარე ამ შემადგენლობისა პირდაპირი განზრახვაა. სუბიექტის მიზანია, რომ მიაღწიოს და შეინარჩუნოს მხოლოდ თავისი წარმატებული ბიზნესი და მოტივი მხოლოდ ანგარებითია.

აღნიშნული კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულადაა გამოცხადებული **ფალსიფიკაცია**, რაც ნიშნავს მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ანგარებით, მომხმარებლის მოტყუების მიზნით, გასაყიდი ნივთის ან საკვების თვისებრიობის შეცვლას. ასეთი ქმედება არაერთგზის ჩადენილი და თუ მან შექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროება, ანდა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვია, პასუხისმგებლობა მკაცრდება და დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების სამი წლით ჩამორთმევით. ფალსიფიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლას მცდარით - ყალბით, რაიმეს გაყალბებას, ჭეშმარიტი ხარისხის გაუარესებას. ამ შემადგენლობის ობიექტია არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის ურთიერთობები, არამედ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, ანუ დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტთა რთული სინთეზია. ასეთ ობიექტზე ხელყოფა ობიექტური მხრივ ხორციელდება მოტყუებით, ნივთის თვისებრიობის შეცვლით. შეცვლა კი გულისხმობს ხარისხის დაქვეითებას, გარეგნული სახის მაცდურად შეცვლას, ტექნოლოგიური მაჩვენებლების გაყალბებას და სხვ. სუბიექტური მხრივ დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, მოტივი ანგარებითია და შემადგენლობის სუბიექტი კი სსკ 33-34-ე მუხლებით გათვალისწინებული ის ფიზიკური პირია, რომელიც ფალსიფიცირებულ საქონელს აწარმოებს ან ასაღებს. დანაშაულთა ამ ჯგუფს (გვარეობითი ობიექტის მიხედვით) მიეკუთვნება ყალბი რეკლამა, ბიზნესში საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება, სპორტული შეჯიბრის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, უკანონო ქმედება გაკოტრებისას და ა.შ. თითოეული მათგანის შემადგენლობა სქემატურად ისევე განიხილება, როგორც ზემოთ აღწერილი შემადგენლობები.

სისხლის სამართლის კოდექსის ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფში შედის აგრეთვე თავი XXVII - დანაშაული ფულად საკრედიტო სისტემაში, თავი XXVIII - დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში და თავი XXIX - დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავში მოცემულია სამოხელეო დანაშაულთა შემადგენლობები. კერძოდ: 332-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, 333-ე მუხლი უფლებამოსილების გადამეტება, 337-ე მუხლი სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, 338-ე მუხლი ქრთამის აღება, 339-ე მუხლი ქრთამის მიცემა, 340-ე მუხლი კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, 341-ე მუხლი სამსახურებრივი სიყალბე, 342-ე მუხლი სამსახურებრივი გულგრილობა. თითოეული შემადგენლობის სუბიექტი ცალკეულ კონკრეტულ გარემოებაში შეიძლება იყოს კოდექსის 29-ე თავში მოცემული დანაშაულთა შემადგენლობაშიც. აქ განიხილება ზოგიერთი მათგანი, რათა ნაჩვენები იქნეს კავშირი და განსხვავება 220-ე და 332-ე მუხლებს შორის, 221-ე და 338-ე მუხლებს შორის და ა.შ.

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თავისთვის ან სხვისთვის რაი-

[1] სსკ-ის 194-ე მუხლით დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ათი ათასი ლარის ზევით.

მე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია არის სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობა და იგი გათვალისწინებულია სსკ 332-ე მუხლში. ამ შემადგენლობაში ბრალის დამამძიმებელი გარემოებაა, როცა ასეთ დანაშაულს სჩადის სახელმწიფო-პოლიტიკური პირი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უფრო მკაცრდება, თუ დანაშაული მრავალჯერ იქნა ჩადენილი, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. სასჯელი თავისუფლების აღკვეთა სამიდან რვა წლამდეა, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების სამ წლამდე ჩამორთმევით. ამ შემადგენლობის ობიექტი არის სახელმწიფო აპარატის ნორმალური საქმიანობა, ქვეყნის კონსტიტუციით დადგენილი კონსტიტუციური წყობა სახელმწიფოებრივ პირამიდაში.

სსკ 338-ე მუხლით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ **ქრთამის აღება** ფულის ან სხვა ნებისმიერი ფასეული სიკეთის სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რაც ასეთ სუბიექტს უნდა შეესრულებინა, ან შეეძლო შეესრულებინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან თუ მის სამსახურებრივ ავტორიტეტს შეეძლო ხელი შეეწყო ამგვარი მოქმედებისათვის, აგრეთვე მის მიერ სამსახურებრივი მფარველობის გაწევა არის დანაშაული და მას ქრთამის აღება ეწოდება. ქრთამის აღება კომერციული მოსყიდვისაგან (სსკ 221-ე მუხ.) დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტის საქმიანობის სივრცით განსხვავდება. ორივე შემთხვევაში ქრთამის ამღებიც და მისივე ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი არის შემადგენლობის სპეციალური სუბიექტი. ორივე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება ქრთამის მიმცემისა და მეწარმის მომსყიდველისათვის. არსებითი განსხვავებაა შემადგენლობის სუბიექტში, მექრთამეობის სუბიექტი სახელმწიფო მოხელეა, ხოლო კომერციული მოსყიდვის სუბიექტი მეწარმეა და შეხება არა აქვს საჯარო მოხელის შესახებ კანონის მოთხოვნებთან.

სსკ 221-ე და 339-ე მუხლებს აქვს შენიშვნა მეწარმის მოსყიდვისა თუ სახელმწიფო მოხელეზე ქრთამის გადაცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, უმთავრესი პირობაა ნებაყოფლობითი განცხადება, თუ მისაგან გამოძალვას ჰქონდა ადგილი. განსხვავება იმაშია, რომ ქრთამის მიმცემმა თავისი ნებით უნდა განაცხადოს აღნიშნული ქმედების შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში, ხოლო კომერციულმა მომსყიდველმა კი ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოში. საქართველოს კონსტიტუციით (მუხ. 191-ე) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილნი არიან პროკურორი, მოკვლევის ორგანო, მომკვლევი და გამომძიებელი მოსამართლე მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეებს აღძრავს. შესაბამისად, მექრთამეობა არის რა საზოგადოებრივი საშიშროების მომეტებული ხარისხის დანაშაულებრივი შემადგენლობა და სსკ მე-12 მუხლის შესაბამისად მძიმე კატეგორიის დანაშაული, კანონმდებელმა ქრთამის მიმცემს კონკრეტულად განუსაზღვრა – განცხადება ნებით გააკეთოს სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში. კომერციული მოსყიდვის შემადგენლობისას მომსყიდველი ასე შეზღუდული არაა, დანაშაულის ეს შემადგენლობა ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა.

საკონტროლო კითხვები

1. ეკონომიკური დანაშაულის გვარეობითი ობიექტი;
2. ეკონომიკური დანაშაულის ობიექტური მხარე და დანაშაულის საგანი;
3. ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების ანალიზი;
4. სსკ XXVI თავში დანაშაულთა შემადგენლობის ობიექტის დახასიათება;
5. სამეწარმეო და სხვა კომერციულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტების განსხვავება სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტებისაგან;

19.5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ზოგადი წესი

ადმინისტრაციული სამართალი თავისი ნორმებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან, ანუ ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებასთან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, *ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და გა-*

ნუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა (ქმედება) წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციული გადაცდომა საზოგადოებრივი წესრიგის შედარებით უმნიშვნელო დარღვევაა. ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ანუ გადაცდომად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა თავისი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დარღვევას შორის განსხვავება მათ საზოგადოებრივ საშიშროებაში მდგომარეობს.

ადმინისტრაციული გადაცდომა ნაკლები ზიანის მომტანია დანაშაულთან შედარებით. იშვიათ შემთხვევაში ადმინისტრაციული გადაცდომის განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, ან მისი ანალოგის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება – ჩადენილი ასეთი ქმედებისათავის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 273-ე). ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დღისათვის შეუსრულდათ 16 წელი.

თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ მაშინ, თუ ამა თუ იმ სფეროში დადგენილი წესების შესრულების უზრუნველყოფა მათ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა (მაგალითად, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესების შეუსრულებლობა).

გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული გადაცდომის დროს ყოველთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დგება. სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითებსა და ოფიცრებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის დისციპლინურ წესდებათა საფუძველზე, ხოლო საგზაო მოძრაობის, ნადირობის, თევზჭერის, საბაჟო წესების დარღვევის და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში კი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთო საფუძველზე, მაგრამ არ შეიძლება შეეფარდოთ ჯარიმა, გამოსასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, გარდა დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე უცხოელებისა.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეები განიხილება ორი თვის ვადაში, სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან. თუ ეს საქმე ამ ვადაში არ იქნა განხილული, ან დაკისრებული სახდელი სისრულეში არ იქნა მოყვანილი 6 თვეში, პირის ადმინისტრაციული წესით დასჯა აღარ შეიძლება.

ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმეებს ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კოდექსის 208-229[3]-ე მუხლების შესაბამისად განიხილავენ რაიონისა და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ყველა სახის ინსპექცია, მოსამართლეები და სხვა უწყებები.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ავტომატურად მოიხსნება, თუ პირმა ამ ხნის განმავლობაში სხვა ადმინისტრაციული გადაცდომა არ ჩაიდინა.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდარღვევის ხასიათი, მისი შედეგი, პიროვნება და მისი ბრალი. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს დამრღვევის მატერიალურ მდგომარეობას და პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელ, ასევე დამამძიმებელ გარემოებებს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად უნდა მივიჩნიოთ:

- სამართალდამრღვევის გულწრფელი მონანიება;
- მის მიერ მავნე შედეგის თავიდან აცილება;
- ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

- სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ან მძიმე პირადი თუ ოჯახური გარემოებების დამთხვევის გამო;
- მისი ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;
- ორსული ან იმ ქალის მიერ, რომელსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს;
- სამართალდარღვევის ჩადენა მუქარით ან იძულებით, ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო.

იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ის გარემოებაც, რაც ჩამონათვალში არ არის.

დამამძიმებელ გარემოებათა ჩამოთვლა ამომწურავია. ესენია:

- მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაგრძელება უფლებამოსილი პირის მოთხოვნის მიუხედავად;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ;
- ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცებულის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
- სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით;
- სტიქიური უბედურების პირობებში, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სახდელები:

- გაფრთხილება
- ჯარიმა;
- იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ან კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა;
- მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა;
- გამასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა;
- საქართველოდან შეიძლება გაძევებულნი იქნენ ის უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

ზოგიერთ ამ სახდელს მორალური ხასიათი აქვს, ზოგიერთს – მატერიალური, ან პირადი შეზღუდვითი.

გაფრთხილება გამოაქვთ წერილობითი ფორმით. იგი ადმინისტრაციული ზემოქმედების ყველაზე მსუბუქი ღონისძიებაა და გამოიყენება წვრილმანი სამართალდარღვევისათვის.

ჯარიმა არის ერთჯერადი ფულადი გადასახდელი. იგი ყველაზე უფრო გავრცელებული სახდელია. ჯარიმას საფუძვლად უდევს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა, თუმცა ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული თანხა. პირს ჯარიმა დაეკისრება ადმინისტრაციული გადაცდომის საშიშროებისა და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჯარიმა გადახდილ უნდა იქნეს 15 დღეში. თუ პირი ჯარიმას ნებით არ იხდის, მას ხელფასიდან დაექვითება, ხოლო თუ იგი არ მუშაობს, გადახდევინება მოხდება მისი ქონებიდან. ჯარიმის დაკისრება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ან მემდგომ ორგანოში.

იმ საგნის **სასყიდლით ჩამორთმევა**, რომელიც ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო, მდგომარეობს მის იძულებით ჩამორთმევასა და შემდგომ რეალიზაციაში, ხოლო მესაკუთრეს გადაეცემა დარჩენილი თანხა რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

კონფისკაცია ეწოდება იმ საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან ობიექტს წარმოადგენდა. ამ დროს ქონება იძულებითი წესით გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

გამასწორებელი სამუშაოები გამოიყენება 6 თვემდე ვადით, რასაც პირი მოიხდის სამუშაო ადგილზე სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან 20 პროცენტამდე დაქვითვით.

სპეციალური უფლების ჩამორთმევა ადმინისტრაციული წესით შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში: ტრანსპორტის მართვისა და ნადირობის წესების დარღვევისათვის. უფლების ჩამორთმევა ხდება 3 წლამდე ვადით, მაგრამ არანაკლებ 15 დღისა. მართვის უფლება არ ჩამოერთმევა ინვალიდებს (გარდა ნასვამ მდგომარეობაში მართვისა).

ადმინისტრაციული პატიმრობა პირს დაეკისრება მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისათვის. იგი გულისხმობს პირის იძულებით მოთავსებას სპეციალურ ადგილას არაკვალიფიციური სამუშაოს შესასრულებლად. ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებს მოსამართლე ერთ თვემდე ვადით. ამ პირებს იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე.

ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება დაეკისროთ არასრულწლოვანებს 18 წლამდე, ორსულ ქალებს, დედებს, რომელთაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ამასთან, ადმინისტრაციული სახდელი არ იწვევს ნასამართლობას.

1999 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ამ კოდექსის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ "ადმინისტრაციული აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს". ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით (გადაუდებელ შემთხვევაში ზეპირად) და უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს (მოთხოვნებს).

ადმინისტრაციულ ორგანოებში იგულისხმება მმართველობის ყველა ორგანო უმაღლესიდან დაწყებული, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ჩათვლით (სამინისტრო, დეპარტამენტი, მერია, გამგეობა და სხვ.), აგრეთვე, კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკი და სხვ. სქვეუწყებო დაწესებულებები.

ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ. მაგალითად, მოქალაქემ შეიძლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც მას არ დაუნიშნეს პენსია, არ მისცეს დახმარება, მერიამ დააკანონა უკანონო მშენებლობა და ა.შ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი და განხილული უნდა იყოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოსცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული საჩივარი შესაბამის ორგანოში შეტანილ უნდა იქნეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. იგი განხილულ უნდა იქნეს 1 თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად დადგენილ ვადაზე მეტი დრო, იგი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 1 თვით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლი ადგენს საჩივრის შინაარს. საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც იგი შეაქვთ, აგრეთვე საჩივრის წარმომდგენის ვინაობა, მისამართი, იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის აქტიც საჩივრდება, საჩივრის მოთხოვნა, პირობები, რომელთაც ეს მოთხოვნა ეფუძნება, ასევე დართული საბუთების ნუსხა.

ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს უფლებას შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი. ბათილად გამოცხადება ნიშნავს აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს საჩივარზე, მაგრამ თუ მოსალოდნელია ამას მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი, მაშინ ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ შეაჩერებს მის განხილვას.

ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1.ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება;
2.ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები;
3.ადმინისტრაციული სახდელის სახეები;

4. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ზოგადი წესი.

19. 6. ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე - 144-ე მუხლებით და ასევე საქართველოს საბაჟო კოდექსის 237-ე - 253- მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომები

ბიზნესის სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შეიძლება პირობითად მიეკუთვნოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6, მე-12 და მე-14 თავებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომები.

ქვემოთ ზოგადად განხილულია სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირითადი მუხლები და ასევე საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

მუხლი 50[1]. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულით მიყენებული ქონების ანაზღაურებისაგან თავის არიდებისათვის. ამ ადმინისტრაციული გადაცდომის დროს პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება ან განჩინება იმ პირზე, რომელიც მოვალეა აანაზღაუროს ასეთი ზარალი. მითითებული მუხლის სანქციით გათვალისწინებულია გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ექვს თვემდე, ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით.

მუხლი 153[1]. საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია, რომ ქვეყანაში ერთადერთ საგადმხდელო ფულის ერთეულად განსაზღვრული ეროვნული ვალუტა – ლარი, რომლის გადაცვლა უცხოურ ვალუტაზე ხორციელდება დადგენილი წესით. ამავე დროს, კანონმდებლობით აკრძალულია ეროვნული ვალუტის გატანა სხვა ქვეყანაში, გარდა თითო ცალი ყოველი კუპიურისა საკოლექციოდ. დადგენილი წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ასეთი საქმიანობიდან მიღებული მთელი ამონაგების კონფისკაციით.

მუხლი 155[1]. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით, აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (დადგენილი წესით მიღებული ინსტრუქციებითა და დებულებებით) რეგულირდება ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები. ამ სამართლებრივი ნორმებით დადგენილი წესების დარღვევისათვის ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებით ვაჭრობა არასტაციონალური სავაჭრო ობიექტებიდან, ასევე მათი რეალიზაციის ტრანსპორტირებისა და შენახვის სხვა წესების დარღვევა (მიწოდება, ტრანსპორტირება ჰალოგენურმარკიანი ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი სპეციალური საგადასახადო ფაქტურის გარეშე, სპეციალური საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის გარეშე, ნავთობპროდუქტების მოთავსება საბაჟო საწყობის რეჟიმში და სხვ.) იწვევს დაჯარიმებას 500 ლარით. ამავე დროს, მითითებული მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ითვალისწინებს გაზრდილ პასუხისმგებლობას იმავე ქმედების დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენისათვის იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. ამ ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება ისჯება ჯარიმით 5000-დან 30000 ლარამდე. ამასთან, კოდექსით დიდ ოდენობად დადგენილია ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რაოდენობა 300 ლიტრზე მეტი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – 2000 ლიტრზე მეტი.

მუხლი 155[2]. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა. საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობით აქციზური საქონლის ზოგიერთ სახეობაზე შემოღებულია აქციზური მარკებით ნიშანდება, როგორც იმპორტირებულ, აგრეთვე ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციაზე. ზემოთ მითითებული მუხლით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რალიზაცია ან გადაზიდვა, (თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 200 ლარს) იწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე. მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ერთი წლის განმავლობაში პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენისათვის და თუ მას შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი, პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით 10000 ლარამდე, ამასთან, საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 200 ლარს. საქონლის ამ თანხის ღირებულების ზევით კი დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 157[1], 157[2], 177[3]. ამ მუხლებით დადგენილია პასუხისმგებლობა ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების უკანონო რეპროდუქცირებისათვის, გაქირავების ან გამოყენების მიზნით, აგრეთვე ნაწარმოების ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბებისათვის, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ყალბი ინფორმაციის მითითებისათვის, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, ასევე ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლისა და განადგურებისათვის. ამ ქმედებებისათვის დაწესებულია სანქცია 3000-დან 5000 ლარამდე. იგივე ქმედებები თუ ჩადენილია პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმდება 3000-დან 5000 ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით. ამასთან კონფისკებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

კოდექსის 158-ე, 158[1], და 158[2] შესაბამისად დადგენილია ადმინისტრაციული სახდელის ზომები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სხვისი სასაქონლო ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების ან სასაქონლო მარკირების უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვისათვის, ეკომარკის უკანონოდ სარგებლობის წესების დარღვევისათვის. მოცემული მუხლების სანქციით გათვალისწინებულია დაჯარიმება, შესაბამისად შრომის ანაზღაურების 10-დან 100 მინიმალურ ოდენობამდე ან დაჯარიმება 1000-დან 3000 ლარამდე.

ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე და 159[11]-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადებას რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესის დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისა და გავრცელებისათვის, რომელთა ჩადენისათვის დაწესებულია ფიზიკურ პირთა დაჯარიმება 500 ლარიდან 5000 ლარამდე, საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების – 500-დან 5000 ლარამდე და განთავსებული რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით იურიდიული პირებისა და დაწესებულების განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.

კოდექსის 159-ე და 159[3]-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ზომების გატარებას ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობაზე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობის შეწყვეტის თაობაზე, ასევე ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობაზე, რაზედაც დაწესებულია დაჯარიმება ფიზიკური პირებისა 300-დან 600 ლარამდე, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირებისას 1000-დან 3000 ლარამდე.

159[5], 159[6], 159[7], 159[8], 159[9] მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების ან მეთოდის არასწორად შერჩევისათვის ტენდერისა და ფასთა კოტირების არასწორად შერჩევის მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა კანონით დადგენილი შესყიდვის ფულადი ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, ასევე სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებისას ტენდერის შესახებ განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენისათვის, ან განცხადების გამოქვეყნების წესების დარღვევისათვის. დადეგნილია აგრეთვე პასუხისმგებლობა სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასწორად (ტენდენციურად) შევსებისათვის, სახელმწიფო შეზღუდვების შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევისათვის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის აღმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდებისათვის. ჩამოთვლილი დარღვევებისათვის კოდექსით გათვალისწინებულია დაჯარიმება სხვადასხვა ოდენობით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და სხვა პასუხისმგებელი პირებისა, სატენდერო კომიტეტის წევრებისა და თავმჯდომარისა.

კოდექსის 164, 164[4], 165, 165[1], 165[2] და 165[3] მუხლებით გათვალისწინებულია დაჯარიმება სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევისათვის, სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე განხორციელებისათვის. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილი დარღვევების აღმოუხვრაზე.

მითითებული მუხლებით დადგენილია აგრეთვე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინებისა და გადამხდელთათვის ზარალის მიყენებისათვის. წიაღით

სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდებისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან გამოყოფილი, ან/და ცენტრალური ბიუჯეტის ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრების გადარიცხვისა და გაცემის დაგვიანებისათვის.

ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კოდექსის 163[4], 163[5], 163[6], 163[7], 163[8] და 163[9] მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა და ემისიის ხელმომწერი პირების, მმართველი ორგანოს წევრებისა და სხვა პირების დაჯარიმება 400-დან 10000 ლარამდე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევისათვის, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესების დარღვევისათვის, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევისათვის საბროკერო კომპანიის ხელმძღვანელების მიერ, საფონდო ბირჟის ცენტრალური დეპოზიტის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებისას, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ, საანგარიშგებო, კონფიდენციალობის მოთხოვნებისა და წესების შემუშავების პროცედურების წესების დარღვევისათვის და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევით სხვა წესების დარღვევისათვის.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129 მუხლის თანახმად, თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, პირი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საურავი, რომელის შეადგენს საგადასახადო დავალიანების 0.07 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ.

საგადასახადო კოდექსის 130-ე - 144-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევაზე, საგადსახადო დეკლარაციის გაანგარიშების ვადის დარღვევაზე, საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებებში გადასახადების შემცირებაზე, სათამაშო ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევაზე, გადახდის წყაროსთან გადასახადის თანხის დაუკავებლობაზე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის წინააღმდეგობის გაწევაზე, ყადაღადადებული ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და განკარგვის წესის დარღვევაზე, საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობაზე, გადასახადის უკანონო ჩათვლაზე, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესის დარღვევაზე, ღღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე, გადასახადის გადარიცხვის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებისა და გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალების შესრულების ვადის დარღვევაზე, ბანკების მიერ გადახადის გადამხდელისათვის ანგარიშის წესის დარრვევაზე და გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის ნებადართული ნორმის გადამეტებაზე, ფასიანი ქარალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაზე, დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებაზე და აღურიცხველობაზე. კოდექსის 144-ე მუხლით დადგენილია სხვა ჯარიმები გათვალისწინებული ვალდებულებები შეუსრულებლობაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა.

საგადსახადო კოდექსით დაწესებული აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის დადგენილია სანქციები ჯარიმის სახით 100 ლარიდან 15000 ლარამდე, ან გადასახდელი თანხის ან მინიჭებული შეღავათის 10-დან 200%-მდე ოდენობით.

თუ გადაუხდელი გადასახადის თანხა აღემატება 25000 ლარს ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 237-ე - 253-ე მუხლები ითვალისწინებს ადინისტრაციულ პასუხისმგებლობას საბაჟო სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის. კერძოდ, საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობაზე, დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობაზე, საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება ან/და განადგურებაზე, საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირებაზე, არასატარიფო ღონისძიებების დაცვისათვის თავის არიდებაზე, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონო გადატანა ან გადმოტანაზე, საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გახსნა, ხელმეორედ შეფუთვა, გადატვირთვა ან გადმოტვირთვაზე, თავისუფალი ზონისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევაზე, საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო

კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევაზე, საქონლის დაკარგვა, განადგურება ან უკანონო განკარგვაზე, დოკუმენტების შენახვის ვადის დარღვევაზე, საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემების შეტანაზე, სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის შეუტყობინებ-ლობაზე, საბაჟო საწყობის, თავისუფალი საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობაზე და საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანაზე.

ამასთან ერთად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობაზე.

მითითებული სამართალდარღვევების ჩადენაზე დაწესებულია ჯარიმები 100 ლარიდან 10000 ლარამდე, საბაჟო გადასახდელების თანხის 100-დან 200%-მდე ან ამ დარღვევაზე გათვალისწინებულია საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევას.

იმ შემთხვევაში თუ საბაჟო გადასახდელების გადაუხდელი თანხა აჭარბებს საქონლის საბაჟო ღირებულებების 15 000 ლარის, განიხილება დიდ ოდენობად და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით.

საკონტროლო კითხვები:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა არსი;
2. ამ დარღვევებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელები.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საგადასახადო სფეროში
4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საბაჟო სფეროში

თავი 20.

კერძო ხასიათის ქონებრივი დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ საქართველოში, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში „ბიზნესი – ესაა მომავლის ხელოვნება ძალადობის გარეშე სხვისი ჯიბიდან ფულის ამოღების შესახებ“ ამსტერდამი

ამ თავში განხილულია კერძო ხასიათის დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ საქართველოში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის, გასაჩივრების, მისი გაუქმების პროცესუალური საკითხები. საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა და დავების განხილვის თავისებურებანი, ასევე დავების გადაწყვეტის პროცედურული საკითხები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

20.1. კერძო ხასიათის დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ საქართველოში.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციამ 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გამორიცხა სპეციალიზირებული სასამართლოები და დაადგინა, რომ „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.“ კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი „დაუშვებელია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა. ამდენად დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ხელისუფლების ალტერნატიული სასამართლოები, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული სასამართლოებისა, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სასამართლო სისტემას სახელმწიფოში.

საქართველოში ადრე სასამართლო ხელისუფლებაში არსებული საარბიტრაჟო სასამართლოები გააუქმა „საერთო სასამართლოების შესახებ" 1997 წლის 13 ივნისის კანონმა. მანამდე კი 1997 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ", რომელიც განიხილავდა დავებს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო საკითხებზე მათივე შეთანხმებით. 2009 წლის 16 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი, რიგით მეორე კანონი „არბიტრაჟის შესახებ", რომელიც ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან.

„არბიტრაჟის შესახებ" კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

ამ კანონის თანახმად, საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა. ამასთან მხარეებს უფლება აქვთ, მათთვის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირს. სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრის შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებითსხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. დაუშვებელია „არბიტრაჟის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

საარბიტრაჟო შეთანხმება: საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა. საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას. ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად. თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია ამ საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია. საარბიტრაჟო წარმოების მხარე ვალდებულია, შეატყობინოს სასამართლოს იმ დავის არსებით საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია. სარჩელის წარდგენიდან სასამართლოში განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

არბიტრაჟის შემადგენლობა: არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან. არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით. არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას:

- სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;
- ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის:

- ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი;
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;

- მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა.

მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშვნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან არბიტრაჟის შესახებ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ შემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს, გამოაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდეც. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე, და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

მხარეს არა აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს თავის მიერ დანიშნული არბიტრი. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არბიტრი დაინიშნება იმ წესების დაცვით, რომლებიც გამოყენებულ იქნა წინა არბიტრის დანიშვნისას.

არბიტრის უფლებამოსილება: არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს. თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება

გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს:

- საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;
- ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;
- ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
- მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;
- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;
- არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. არბიტრაჟს უფლება აქვს მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება. არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.სასამართლო უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა

და აღსრულებაზე, უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, მიმართავს სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:
- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარი ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ გარემოებებს;
- არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული;
- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- სასამართლო მიიჩნევს, რომ:
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის;
- „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები გამოიყენება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.

ნებისმიერი საფუძვლით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე. სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

საარბიტრაჟო განხილვა: საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები კანონის მოთხოვნათა დაცვით. თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით, „არბიტრაჟის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვით. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს არბიტრაჟი საქმის გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოსახერხებელია ეს ადგილი მხარეებისათვის. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს ჩაჰბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას. მხარეს უფლება აქვს, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელემ წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი, რომელშიც მიუთითებს მხარეთა სახელებსა (სახელწოდებებსა) და მისამართებს (ადგილსამყოფლებს),

მოთხოვნას, იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას, და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა. საარბიტრაჟო მოპასუხე წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება. თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარესა და არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე ჯერ არ არის არჩეული – ყველა არბიტრს. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად. თუ „არბიტრაჟის შესახებ" კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან / და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.

მხარეებს წინასწარ, გონივრულ ვადაში უნდა ჩაჰბარდეთ უწყება არბიტრაჟის ყოველი სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ. ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია, რომელსაც წარუდგენს არბიტრაჟს ერთ-ერთი მხარე, დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს. მხარეებს უნდა წარედგინოთ ექსპერტის ყველა დასკვნა ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც არბიტრაჟმა შეიძლება საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას. თუ „არბიტრაჟის შესახებ" კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში. არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟს უფლება აქვს:

- დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით;
- მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალიერებისათვის ან მისცენ შესაძლებლობა, დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპერტის მიერ ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით სადავო საკითხებზე ჩვენებების მიცემის მიზნით მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე ჩვენებების მისაცემად. ექსპერტის აცილება და თვითაცილება განხორციელდება არბიტრის აცილებისათვის ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით. არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია:

- საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;
- გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს;
- საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.

არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის განხილვის შეწყვეტა: არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად.

მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება. რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ, თუ მას შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული ექნება მხარეების ან ყველა არბიტრის მიერ.

თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი შეწყვეტს განხილვას. არბიტრაჟი, მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას შეთანხმებული პირობებით. არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში. მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. საარბიტრაჟო

გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა მორიგებით საარბიტრაჟოგადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ. ამავე დროს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და

არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

- თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;
- თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში:

- მოსთხოვოს არბიტრაჟს, გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;
- მხარეთა შეთანხმების არსებობისას მოსთხოვოს არბიტრაჟს, მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით. არბიტრაჟმა, თუ იგი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება. ასეთი განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია. არბიტრაჟი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში თავისი ინიციატივით შეიტანოს ცვლილება მასში და გაასწოროს.

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში. არბიტრაჟმა, თუ იგი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 60 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. არბიტრაჟს, უცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია არა უმეტეს 30 დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განმავლობაში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება: სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

- საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ქმედუუნარო იყო;
- იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;
- მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;
- არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – არბიტრაჟის შესახებ კანონის მოთხოვნებს;

- სასამართლო დაადგენს, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში. გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა. სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით, უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა თავის მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, რათა არბიტრაჟს მიეცეს საშუალება განხილვის განახლებისა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული საფუძვლით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და გაუქმება: იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი (საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებებისთვის) ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

მხარეს, რომელსაც დაეკისრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

- მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:
- საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ქმედუუნარო იყო;
- იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;
- მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;
- არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი;
- სასამართლო დაადგენს, რომ:
- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

სასამართლოში შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების შესახებ, სასამართლოს, რომელსაც მიმართეს შუამდგომლობით ცნობისა და აღსრულების შესახებ, უფლება აქვს არა უმეტეს 30 დღით გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა და იმ მხარის მოთხოვნით, რომელიც ითხოვს ცნობას ან აღსრულებას, დაავალოს მეორე მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა.

აღნიშნული კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონებში.

„არბიტრაჟის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად არბიტრაჟები იქმნებიან, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, ისინი ვალდებულნი არიან შეიმუშაონ თავიანთი დებულებები, წესები და ინსტრუქციები, რომლებითაც სამართლებრივად მოწესრიგდება კანონმდებლობიდან გამომდინარე ცალკეული საკითხები. მთლიანობაში კი ამ სამართლებრივი ბაზით წესრიგდება არბიტრაჟის შექმნის წესი, დავების განხილვის, გადაწყვეტილების გამოტანის, გასაჩივრების და აღსრულების პროცედურები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში შექმნილი და მოქმედი კერძო არბიტრაჟები ჯერ კიდევ სრულად ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მათ მიმართ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა ნდობის ფაქტორი დაბალია, ძირითადად, ისინი განიხილავენ მარტივ და უმნიშვნელო ქონებრივ დავებს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების სავალდებულობაში, საზოგადოებრივი აზრი, სასამართლოების თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული არ არის, ვინაიდან მოსახლეობა სათანადო დონეზე არ იცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უფრო მეტიც ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არც კი იცის ასეთი ორგანოს არსებობის შესახებ. შედეგად კი საერთო სასამართლოები გადატვირთულია სხვადასხვა სარჩელებით, სადაც წლობით იხილება სამოქალაქო საქმეები.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შექმნილია საარბიტრაჟო სასამართლოები, რომლებიც შედიან საერთო სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, შექმნილია საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოები, რომელთა მნიშვნელობა და კომპეტენცია განხილულია შემდეგ პარაგრაფში.

საკონტროლო კითხვები;

1. საქართველოში არბიტრაჟის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები;
2. დავების განხილვა არბიტრაჟის მიერ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა, მისი ცნობა და გაუქმება.

20.2 საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა და დავების განხილვის თავისებურებანი.

მე-20 საუკუნის ბოლოს საგარეო-ეკონომიკური ცხოვრების შემდგომმა ინტერნაციონალიზაციამ და ლიბერალიზაცია მყარი საფუძველი შექმნა, როგორც სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უშუალოდ დაემყარებინათ ერთმანეთთან ურთიერთმომგებიანი სავაჭრო ურთიერთობები. თავისუფალი, ანუ ლიბერალური გახსნილი ეკონომიკის პირობებში ურთიერთხელსაყრელი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები, თავისარსში შეიცავენ კონკურენციის ელემენტებს, რაც დადებით მომენტებთან ერთად ინტერესთა გარკვეული დაპირისპირების საფუძველს წარმოადგენს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში წარმოიშობა დაპირისპირებები ძირითადად წყდება მოლაპარაკებების შედეგად კომპრომისების მოძებნისა და შეჯერების გზით, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ეს დაპირისპირებები შეურიგებელ, უკომპრომისო ხასიათს იღებს, ვინაიდან დაპირისპიურების საფუძველი უმეტეს შემთხვევაში დიდ მატერიალურ სიკეთესთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში ხდება მოდავე მხარეებს შორის „მტყუან-მართლის“ პრობლემის გარკვევა, რომელიც თავისთავად წარმოშობს კომპეტენტური და ნეიტრალური მხარის საქმეში ჩართვის აუცილებლობას, რომელიც ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე, ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებისა და გარემოებების შესწავლით გამოიტანს სამართლიან გადაწყვეტილებას და აღადგენს მხარის დარღვეულ მატერიალურ და მორალურ უფლებებს.

უძველესი დროიდან კაცობრიობა თავისი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით მიმართავდა სასამართლოებს, რომლებიც ისტორიულ-ეკონომიკური ფორმაციის, პოლიტიკური წყობილების და მოქმედი სამართლებრივი ნორმების იურიდიული ბუნების გათვალისწინებით განიცდიდა ცვლილებას, რომლის განვითარების შედეგად არსებობენ და ფუნქციონირებენ დღეისათვის მსოფლიოში მოქმედი, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო სისტემები, რომლებიც დადებით მხარეებთან ერთად ხასიათდებიან მთელი რიგი სამართლებრივი ბაზის დაუხვეწელობით) უარყოფითი მომენტებით.

ნებისმიერი საქონლით ვაჭრობის დროს ხშირად ირღვევა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რის საფუძველზე წარმოიშობა აუცილებლობა სადაო საკითხის

სამართლებრივი გზით გადაწყვეტისა. საგარეო-სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილენი ითვალისწინებენ რა ვაჭრობაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, ცდილობენ საქონლის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა საგარეო საკითხები გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების, მეგობრული გზით. ნებისმიერ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია წამოჭრილი სადაო საკითხების გადაწყვეტის გზები. მეგობრული მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თუ რომელმა სასამართლომ კონკრეტულად უნდა განიხილოს და რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობა იქნეს გამოყენებული მის გადასაჭრელად.

დღეისათვის კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები საგარეო ვაჭრობაში წამოჭრილი დავების განხილვას ოპერატიულობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში ამჯობინებენ მიმართონ სამართლიან საერთაშორისო სავაჭრო და კომერციულ არბიტრაჟებს, რომლებიც სასამართლოების მსგავსად განიხილავენ სადაო საკითხებს და იღებენ სამართლიან, ობიექტურ გადაწყვეტილებებს დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სამართალი მუდმივად განიცდის უნიფიკაციას და ჰარმონიზაციის ინტენსიურ პროცესს. მისი განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან. 1889 წელს მიღებულ იქნა მონტევიდეოს შეთანხმება, 1885 წელს საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცედურული წესები, 1889 წელს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მოდელური წესები.

საერთაშორისო კომერციული და საარბიტრაჟო სასამართლოების სამართლებრივი სრულყოფის პროექტებზე აქტიური მუშაობა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. საარბიტრაჟო დათქმის შესახებ 1923 წელს ჟენევაში მიღებულ იქნა პროტოკოლი, 1927 წელს ჟენევაში მიღებულ იქნა კონვენცია – უცხოეთის საარბიტრაჟო გადაყვეტილებათა აღსრულების შესახებ, რომლებიც ითვლება ამ სფეროს მომწესრიგებელ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებად.

1925 წლის ოქტომბერში ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციამ მიიღო რეზოლუცია – უცხო სახელმწიფოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბჭომ თხოვნით მიმართა ერთა ლიგას აღნიშნული საკითხის შესწავლის თაობაზე, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა გენერალურ ასამბლეას წარუდგინა კონვენციის პროექტი, რომელიც მიღებული იქნა 1927 წლის 26 სექტემბერს ჟენევის კონვენციის – უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ – სახელწოდებით.

მითითებულ ჟენევის პროტოკოლთა და კონვენციით საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სავაჭრო და კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს ჩამოყალიბების საკითხს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საერთაშორისო სამართებლივი ნორმები ეხებოდა ამ სფეროს ვიწრო საკითხებს, მათი რატიფიკაცია და აღიარება სახელმწიფოების მიერ შეზღუდული იყო და ამავე დროს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს სფაროში შიდა სახელმწიფოებრივი კოლიზიური სამართლებრივი ნორმები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და ამ საერთაშორისო პროტოკოლისა და კონვენციის ცხოვრებაში რეალური აღსრულება ფაქტიურად არ შემდგარა.

აღრეული დროიდან ბევრ სახელმწიფოში ჩამოყალიბებულ იქნა საარბიტრაჟო სასამართლო. დიდ ბრიტანეთში არბიტრაჟის შესახებ პირველი კანონი მიღებული იქნა 1889 წელს, შემდეგ 1950 წელს, რომელებიც შესწორებული იქნა 1979 წელს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1947 წლიდან მოქმედებს ფედერაციული კანონი არბიტრაჟის შესახებ, 1992 წლიდან კი მოქმედებს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლო. ჩინეთში შექმნილია საგარეო-ეკონომიკური და სავაჭრო საარბიტრაჟო კომისია და აგრეთვე საზღვაო საარბიტრაჟო კომისია. იაპონიაში 1953 წელს შეიქმნა საარბიტრაჟო ასოციაცია.[1]

1953 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატა გამოვიდა ახალი კონვენციის შემუშავების ინიციატივით, რომელიც შეავსებდა ამ სფეროში წარმოშობილ ხარვეზებს და საერთაშორისო მასშტაბით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების საფუძველი გახდებოდა რომელიც დაევალა სპეციალურად შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, რომელმაც შეიმუშავა და წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მრავალმხრივი კონვენციის პროექტი.

---

[1] ი. შაფაქიძე. საერთაშორისო ეკონომიკური დავების საარბიტრაჟო განხილვისა და გადაწყვეტილების ძირითადი საწყისები, 1999, გვ.9

1958 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა კონვენცია საზღვარგარეთის ქვეყნების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ – ნიუ-იორკის კონვენციად წოდებული.[2]

კონვენციამ განმარტა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნება, რომლის თანახმად საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გულისხმობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც გამოტანილია, როგორც კონკრეტული საქმისათვის შექმნილი დროებითი, ისე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ.

პრეამბულის თანახმად აღნიშნული კონვენცია გამოიყენება ისეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებასთან დაკავშირებით, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ფიზიკური და იურიდიული პირების დავაზე მიიღებოდა ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი აღსრულება უნდა განხორციელდეს სხვა ქვეყანაში.

კონვენცია ავალდებულებს ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მოიყვანოს ის აღსრულებაში ეროვნული პროცესუალური ნორმების შესაბამისად. პირმა, რომელიც ითხოვს სხვა სახელმწიფოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას მეორე ქვეყანაში, უნდა წარმოადგინოს გადაწყვეტილების გადამოწმებული ორიგინალი და დადგენილი წესით დამოწმებული ორიგინალის ასლი და უნდა უზრუნველყოს მისი თარგმნა გადაწყვეტილების აღმსრულებელ სახელმწიფოს ენაზე.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილი იქნას მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნით, თუ ეს მხარე იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება წარუდგენს შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება დავის საარბიტრაჟო სასამართლოში განხილვის თაობაზე უკანონოა, ან ის ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების გამომტანი საარბიტრაჟო სასამართლოს ქვეყნის კანონმდებლობას;

მხარეს, რომლის წინააღმდეგ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება არ ეცნობა არბიტრის დანიშვნის შესახებ, ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ;

გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეესაბამება მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებას, გასცდა მის ფარგლებს და არბიტრაჟის კომპეტენციის გარეთ იმყოფება;

არბიტრაჟის შემადგენლობა არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმების ან გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც ის იქნა გამოტანილი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი შეიცვალა ან შეჩერდა იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომლის სამართლებრივ ნორმას ემყარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება უარყოფილი იქნეს იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება შემდეგ შემთხვევებში:

დავის ობიექტი არ შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო განხილვის საგანი გადაწყვეტილების აღმსრულებელი ქვეყნის კანონმდებლობით;

გადაწყვეტილების აღსრულება ეწინააღმდეგება აღმსრულებელი ქვეყნის საჯარო წესრიგს.

ეს დებულებები არ ეხება საარბიტრაჟო სასამართლოების მარეგულირებელ სახელმწიფოთაშორის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით დადგენილ განსხვავებულ დებულებებს, რომელთა საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება შეიძლება განხორციელდეს სხვაგვარად.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს წყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლო მეპირი მოსმენის გარეშე. მხარეები მიერ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღსრულება ხდება – სააღსრულებო წარმოების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის თანახმად სააღმსრულებლო ფურცელი (წარწერა) აღსასრულებლად უნდა წარედგინოს სააღმსრულებლო ბიუროსმოვალის, ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

1961 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE) მიერ, ევროპის სივრცეში საერთაშორისო საარბიტრაჟო სფეროს დარეგულირების მიზნით, მიღებულ იქნა კონვენცია – საგარეო სავაჭრო არბიტრაჟზე, რომელიც იწოდება ჟენევის კონვენციად. ამ მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოწესრიგდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის

[2] საქართველო მიუერთდა 1994 წელს

სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოშობილი დავების საარბიტრაჟო გადაწყვეტისა და მიღებული ამ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.[1]

საგარეო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ ევროპის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად კონვენცია ვრცელდება:

ამ ფიზიკური და იურიდიული პირების საარბიტრაჟო შეთანხმებებზე, რომელმაც ამ შეთანხმების დადების დროს მუდმივი საცხოვრებელი ან ადგილსამყოფელი გააჩნიათ სხვადასხვა მონაწილე ქვეყნებში და საარბიტრაჟო განხილვის საგანს წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დროს წარმოშობილი დავები;

კონვენცია ასევე ვრცელდება საარბიტრაჟო პროცესებსა და გადაწყვეტილებებზე ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვით, ანუ მოდავე მხარეები უნდა იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მაცხოვრებლები და მის დავას აუცილებლად უნდა ეხებოდეს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს.

მე-3 მუხლით დაშვებულია, რომ კონვენციით გათვალისწინებული დავების განსახილველად შეიძლება მოწვეული იყვნენ უცხო ქვეყნების მოქალაქეები.

საარბიტრაჟო პროცესის განხორციელება ითვალისწინებს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თავიანთი შეხედულებით შემდეგი პირობების გათვალისწინებას:

- მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (ანუ ინსტიტუციონალური არბიტრაჟი) დადგენას დავების განსახილველად;
- დავის გადაცემასთან ერთჯერად (ანუ სხვაგვარად დროებით) არბიტრაჟისათვის (ად ჰოც), რომელიც შექმნილია კონკრეტულად ამ საქმის განსახილველად;

არბიტრების დანიშვნისა და არბიტრის არჩევის საკითხზე დავის წამოჭრის შემთხვევაში მისი გადაჭრის მეთოდებს;

საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილსამყოფელის დადგენას;

პროცედურული წესების დადგენას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა.

თუ მხარეებმა გაითვალისწინეს დავის გადაცემა ამ საქმის განსახილველად შექმნილ დროებით არბიტრაჟში (ad hoc) მოდავე მხარეები ვალდებულნი არიან 30 დღეში დანიშნონ თავიანთი არბიტრები. თუ რომელიმე მხარე ამ ვადაში არ წარადგენს თავისი არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურას, მეორე მოდავე მხარის მოთხოვნით არბიტრი ინიშნება იმ ქვეყნის საარბიტრაჟო პალატის თავმჯდომარის მიერ, სადაც ცხოვრობს ან ადგილსამყოფელია იმ მხარისა, რომელმაც არ დანიშნა არბიტრი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავე მხარეებმა შეთანხმების თანახმად საქმე გადასცეს დროებით (ad hoc) არბიტრაჟს და საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული საარბიტრაჟო პროცესის განხილვის წესები და დეტალები, გადაწყვეტილებას იღებენ არბიტრები. თუ ეს უკანაკნელნი ვერ შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე მოსარჩელე ვალდებულია მიმართოს დავის განმხილველ საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით ან მოპასუხე მხარის საცხოვრებელი ან ადგილსამყოფელი ქვეყნის სავაჭრო პალატას, მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლებების გამოუყენებლობის შემთხვევაში, მას განა-ხორციელებს მოპასუხე მხარე ან არბიტრაჟი.

ასეთი მიმართვის მიღების შემთხვევაში სავაჭრო პალატა უფლებამოსილია:

დანიშნოს ერთპიროვნული არბიტრი, არბიტრი-თავმჯდომარე, სუპერარბიტრი ან მესამე არბიტრი თუ ამაზე შეთანხმდნენ მხარეები;

დაადგინოს საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილსამყოფელი, ამასთან არბიტრები უფლებამოსილნი არიან საქმე განიხილონ სხვა ადგილზე;

დაადგინოს საარბიტრაჟო განხილვის პროცედურული წესები, თუ ეს დადგენილი არ არის მხარეთა საარბიტრაჟო ხელშეკრულებით ან ამ პროცედურულ წესებზე ვერ შეთანხმდნენ არბირები.

როდესაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით დაადგინეს, რომ სადაო საქმე განიხილოს დროებითმა შექმნილმა არბიტრაჟმა (ad hoc) და კონკრეტულად არ დაადგინეს რომელმა დროებითმა არბიტრაჟმა. ამ შემთხვევაში მოსარჩელის თხოვნით საკითხი წყდება ზემოთ დადგენილი იგივე წესით. ასეთივე პროცედურების დაცვით ხორციელდება არბიტრის დანიშვნა თუ მხარეები თვითონ ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე.

არბიტრაჟის მიერ დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად პირველ რიგში გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მითითებულია მხარეების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებაში. თუ არ არსებობს მხარეთა მითითება გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, არბიტრები გამოიყენებენ კანონს კოლოზიური ნორმების შესაბამისად, რომელსაც არბიტრები აღნიშნულ საგანზე ჩათვლიან მიზანშეწონილად. ყველა შემთხვევაში არბიტრებმა უნდა იხელმძღვანელონ ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობებისა და სავაჭრო ჩვეულებების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისას

---

1. 1961 წელს ევროპის ქვეყნებმა შეიმუშავეს და მიიღეს შეთანხმება – საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ კონვენციის გამოყენების თაობაზე, რომელმაც შეავსო და ნაწილობრივ შეცვალა კონვენციის ცალკეული დებულებები.

არბიტრაჟი ხელმძღვანელობს „მეგობრული შუამავლის“ პრინციპით, თუ ამის თაობაზე მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება და ამას არ კრძალავს კანონმდებლობა. როგორც წესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, თუ მხარეებს დადებული ორმხრივი შეთანხმებით არა აქვთ გადაწყვეტილი, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება იყოს დაუსაბუთებელი, ან არჩეული აქვთ ისეთ საარბიტრაჟო პროცედურა, რომლის თანახმად არაა საჭირო გადაწყვეტილების დასაბუთება.

კონვენცია ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემდეგ შემთხვევებს:

საარბიტრაჟო შეთანხმებისას მხარეები მათ მიმართ გამოყენებული სამართლის ნორმასთან გარკვეული პირობებით იყვნენ ქმედუუნარონი ან გადაწყვეტილება ბათილი გახდა იმ სამართლის ნორმით, რომელსაც მხარეებმა დაუქვემდებარეს შეთანხმება, ან იმ ქვეყნის სამართლის ნორმით, სადაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება;

გადაწყვეტილება მიღებულია დავაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები;

საარბიტრაჟო კოლეგიის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცედურა არ შეესაბამება კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.

1965 წელს ხელმოსაწერად ვაშინგტონში გაიხსნა საერთაშორისო კონვენცია – სახემლწიფოებსა და მესამე სახემლწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა მსოფლიოს 140-ზე მეტი ქვეყნის მიერ და ძალაში შევიდა 1966 წლის 14 ნოემბერს[1]. ამ კონვენციის თანახმად მოდავე მხარეები საინვესტიციო სახის დავებს გადასცემენ შეთანხმების საფუძველზე სპეციალურ ორგანოს – საინვესტიციო დავების სპეციალიზირებულ ცენტრს (ICSIP), რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბანკის სპეციალიზირებულ ორგანოს და აწარმოებს მხოლოდ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის კერძო ინვესტორებს შორის წარმოშობილი დავების საარბიტრაჟო და სამედიატრო განხილვას. ამ კონვენციით დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის საბჭოს მიერ 1978 წელს შეიქმნა სპეციალური დამატებითი ორგანო, რომლის ფუნქციაში შედის დახმარება გაუწიოს ცენტრს ისეთი საქმეების განხილვაში, რომელშიც კონვენციის ხელშემკვრელი მხარე არის მხოლოდ ერთი.

საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების მარეგულირებელ არანორმატიულ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის – საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის (unistrali)-ს მიერ 1978 წელს მიღებული არბიტრაჟის რეგლამენტი, 1980 წლის შემრიგებელი წესები, 1985 წლის ტიპიური კანონი – საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ და 1986 წლის კომენტარები საარბიტრაჟო განხილვის ორგანოების შესახებ.

ნისტრალი-ს საარბიტრაჟო რეგლამენტის პირველი მუხლის თანახმად, თუ მხარეები წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავა განხილული იქნეს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ის ექვემდებარება განხილვას საარბიტრაჟო რეგლამენტით დადგენილი წესით. ფიზიკური პირისათვის გაგზავნილი ყველა შეტყობინება, წინადადება და სხვა დოკუმენტი ჩაითვლება ჩაბარებულად, როდესაც ის გადაეცემა ადრესატს ან მიტანილი იქნება მის საცხოვრებელ ადგილას. იურიდიულ პირს მითითებული გზავნილი უნდა ჩაბარდეს ფაქტიური ადგილმდებარეობის ან ცნობილი ბოლო ადგილმდებარეობის მიხედვით. გზავნილი ჩაბარებულად ითვლება გადაცემის მომენტიდან.

ჰააგის 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენცია – ჩაბარების შესახებ[1], მოსარჩელის სასამართლოში მიწვევას ითვალისწინებს საკონსულო დაწესებულების მეშვეობით, სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყების საფუძველზე. ამ კონვენციის თანახმად ყველა მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომლის მიზანს წარმოიადგენს სასამართლო მომსახურეობაზე შეკვეთების მიღება და მისი შემდგომი შესრულება.

რეგლამენტის თანახმად მხარე, რომელმაც აღძრა საქმე იწოდება მოსარჩელედ, რომელიც უგზავნის მეორე მხარეს ანუ მოპასუხეს საქმის აღძვრის შესახებ შეტყობინებას.

საარბიტრაჟო დავის განხილვა ითვლება დაწყებულად მოპასუხისათვის უწყების ჩაბარების მომენტიდან, რომელიც მოიცავს:

- მოთხოვნას დავის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის გადასაცემად;
- დასახელებასა და მხარეების მისამართს;
- მითითებას შეთანხმებაზე დავის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე;
- მითითებას ხელშეკრულებაზე, რომლის საფუძველზე წარმოიშვა დავა;
- დავის საგანსა და თანხის ოდენობას;

[1] საქართველომ ამ კონვენციის რატიფიცირება განახორციელა 1992 წლის 7 აგვისტოს. ამავე წელს საქართველოში მიღებული იქნა პირველი საინვესტიციო საქმიანობის მომწესრიგებელი კანონი, რომელიც მოქმედებდა 1995 წლამდე. ღღეისათვის ძალაშია 1996 წლის საქართველოს კანონი, რომლითაც

[1] ძალაშია 1969 წლის 10 თებერვლიდან

- სასარჩელო მოთხოვნას;
- წინადადებას არბიტრების რაოდენობაზე (დადგენილია 1 ან 3 არბიტრი).

თუ მხარეებმა წინასწარ არ განსაზღვრეს არბიტრების რაოდენობა, მაშინ უწყების ჩაბარებიდან 15 დღის განმავლობაში ინიშნება სამი არბიტრი. ერთი არბიტრის დანიშვნისას მხარეებს აქვთ აცილების უფლება და მათ შეუძლიათ შესთავაზონ ერთი კანდიდატი. თუ 30 დღის ვადაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ ერთპიროვნული არბიტრის დანიშვნაზე, მაშინ არბიტრს ნიშნავს მხარეების მიერ კომპეტენტური ორგანო, რომელმაც თუ 60 დღის განმავლობაში თხოვნის მიღებიდან არ დაინიშნა არბიტრი, მაშინ მხარეს უფლება აქვს მიმართოს ჰააგის სასამართლოს გენერალურ მდივანს თხოვნით დანიშნოს კომპეტენტური ორგანო.

სამი არბიტრის დანიშვნის შემთხვევაში ყოველი მხარე ნიშნავს თითო არბიტრს, რომლებიც ირჩევენ მესამე არბიტრს და ის ითვლება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ, თუ ორი არბიტრი ამის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ, მაშინ თავმჯდომარე ინიშნება კომპეტენტური ორგანოს მიერ.

ნებისმიერი არბიტრი მხარის მიერ შეიძლება იყოს აცილებული, თუ არსებობს საფუძველი, ეჭვი მისი მიუკერძოებლობის შესახებ. მოთხოვნა არბიტრის აცილებაზე უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, აცილების არგუმენტირებული საფუძვლის მითითებით.

მოსარჩელე ვალდებულია შეადგინოს წერილობითი ფორმით სასარჩელო განცხადება და გაუგზავნოს ის მოპასუხესა და საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე სხვა პირებს, რომელსაც უნდა ერთვოდეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ასლი და საარბიტრაჟო შეთანხმება თუ ის კონტრაქტით არ არის დადგენილი.

სასარჩელო განცხადება უნდა შეიცავდეს:

- მხარეების დასახელებასა და მისამართს;
- მტკიცებულებებს, რომლებიც ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნებს;
- დავის საგანს;
- სასარჩელო განცხადების მოთხოვნებს.

მოსარჩელეს შეუძლია სასარჩელო განცხადებას თან დაურთოს ყველა მამტკიცებელი დოკუმენტი, ან განცხადებაში გააკეთოს დათქმა იმის შესახებ, რომ ასეთი მტკიცებულებები წარმოდგენილი იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს პროტესტზე.

მოპასუხე დადგენილ ვადაში შესაგებელს უგზავნის მოსარჩელეს და არბიტრს. მოპასუხეს შეუძლია შესაგებელს თან დაურთოს მასალები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მის სიმართლეს. მოპასუხეს ასევე შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი, გამომდინარე ამავე ხელშეკრულებიდან.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავენ მხარეები, თუ ისინი ამის თაობაზე არ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე ნებისმიერ ადგილას, სადაც ისინი ჩათვლიან მიზანშეწონილად.

საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას, სადაც ადვილია მტკიცებულებების შეგროვება და შემოწმება (მაგალითად, ქონების დათვალიერება, საქონლის შემოწმება და ა.შ.), რაზეც მხარეებს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე. საარბიტრაჟო სასამართლოს ენას წყვეტს სასამართლო მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე. აუცილებლობის შემთხვევაში მონაწილეობას იღებს თარჯიმანი.

საარბიტრაჟო სასამართლო მხარეებს უწყებით აფრთხილებს განხილვის დროსა და ადგილის შესახებ, მხარე ვალდებულია დაამტკიცოს თავისი მოთხოვნა. მხარეები არაუგვიანეს საარბიტრაჟო სასამართლოს დაწყების 15 დღისა აცნობებენ სასამართლოს პროცესზე გამოსაძახებელი მოწმეების შესახებ. საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ წერილობით მოხსენებას, რომელიც წარედგინება, როგორც საარბიტრაჟო სასამართლოს, ასევე მხარეებს. ექსპერტები მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მოწვეულნი იქნენ საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე, სადაც ისინი პასუხობენ მხარეთა შეკითხვებზე და წარმოდგენილ განსხვავებულ არგუმენტებთან დაკავშირებით იძლევიან განმარტებებს.

მტკიცებულებათა განხილვის საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც სამი არბიტრის შემთხვევაში მიიღება ხმათა უმრავლესობით. თუ უმრავლესობა ვერ შეთანხმდა, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თავად საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოიტანოს ნაწილობრივი, წინასწარი ან დროებითი გადაწყვეტილება. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, რომელიც არის საბოლოო და მხარეებისათვის სავალდებულო, რომელიც უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მითითება იმ გარემოებებზე, რომელმაც ის ეფუძნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მოტივირებული. ის შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოს ორივე მხარის მოთხოვნით.

რეგლამენტით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარეებმა კონსესუსის გზით მიაღწიეს მორიგებას საარბიტრაჟო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომების შესწორების შეტანა და მიიღონ გადაწყვეტილებაზე განმარტება.

საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება სასამართლო ხარჯების შესახებ, რომელიც მოიცავს:

- არბიტრების ჰონორარის, რომელიც გამოითვლება დახარჯული დროისა, დავის სირთულის, საგნის ღირებულებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
- სამგზავრო და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწიეს არბიტრებმა;
- ექსპერტებისა და სხვა დამხმარე პერსონალის ანაზღაურებას;
- მოწმეების სამგზავრო და სხვა სახის ხარჯებს;

იურიდიული მომსახურების ხარჯებს, რომლებიც გასწია მომრიგებელმა მხარემ, მხოლოდ ამ თანხის ოდენობით, რომელსაც სასამართლო ჩათვლის აუცილებლად;

კომპეტენტური ორგანოსა და გენერალური მდივნის ხარჯებს.

ამ ჩამოთვლილ საარბიტრაჟო სასამართლო ხარჯებს იხდის წაგებული მხარე, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია ხარჯების ანაზღაურება გადაანაწილოს მხარეებს შორის. საქმის მორიგებით დამთავრებისას ანაზღაურდება მხოლოდ ის ხარჯები, რომელიც გაწეული იყო ამ მორიგებამდე. საარბიტრაჟო სასამართლოს ეკრძალება გადაწყვეტილების განმარტებისათვის მოითხოვოს დამატებითი ჰონორარი. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ხარჯების ავანსის გადახდა. მხარის მიერ თუ მოთხოვნილი ავანსი არ იქნება გადახდილი 30 დღის განმავლობაში საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმის წარმოება.

გარდა მუდმივმოქმედი ანუ, როგორც მას უწოდებენ ინსტიტუციური არბიტრაჟისა და კონკრეტული საქმის განმხილველი დროებითი („ერთჯერადი“, ან კიდევ ის სახელდება „იზოლირებული“) არბიტრაჟისა (ad hoc) საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში წარმოშობილი დავები შესაძლებელია ასევე გადაწყდეს შუამავლის (mediatior, tomedrate) მეშვეობით, რისთვისაც საჭიროა მოდავე მხარეთა შეთანხმება. საშუამავლო ანუ სამედიატორო შეთანხმებას გააჩნია ნახევრად სამართლებრივი დატვირთვა, რადგან მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება მხარეთათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში წამოჭრილი დავების შეუამავლის მეშვეობით გადაწყვეტა იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ალტერნატიული მეთოდით დავის მოგვარება (alternative disputes resolution).

საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში წამოჭრილი დავების შუამავლის მეშვეობით გადაწყვეტაში მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი მონაწილეობენ მხარეების მიერ არჩეული დამოუკიდებელი იურისტები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან საერთაშორისო სავაჭრო სამართალში.

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო დავების მოგვარება შუამავლის მეშვეობით არ საჭიროებს საპეციალურ სამართლებრივ რეგლამენტირებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის კომისიის (unistrali)-ს მიერ 1960 წელს შემუშავებული იქნა შემთანხმებელი რეგლამენტი, როგორც სარეკომენდაციო წესები შუამავლის მეშვეობით დავების გადაწყვეტისას. მოგვიანებით შემთანხმებელი რეგლამენტის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით მიღებული აქვს ტიპიური კანონი – საერთაშორისო კომერციული შემთანხმებელი პროცედურების შესახებ. 2002 წლის 17-18 ივნისს ნიუ-იორკში მიმდინარე (unistrali)-ს 35-ე სესიაზე მხარდაჭერილი და აღიარებული იქნა ამ ტიპიური კანონის გამოყენება საშუამავლო საქმიანობაში სავაჭრო დავების გადაწყვეტის დროს. ამასთანავე გასათვალისწინებულია, რომ ეს ტიპიური კანონი არ არის სამართლებრივი ხასიათის, ვინაიდან შუამავალს სადაო საქმის გადაწყვეტისას შეუძლია ის გამოიყენოს ამ მისი დებულებებით არ იხელმძღვანელოს.

შუამავალი ღებულობს ყველა ზომას, რომ დავა გადაწყდეს სამართლიანად, მხარეებმა მიაღწიონ მორიგებას მშვიდობიანი გზით ვაჭრობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჩვეულებებისა და საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული პრინციპების დაცვით.

ამავე დროს შუამავლობა არის კონფედენციალური. შუამავალსა და მხარეებს არა აქვთ უფლება გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის გახდა ცნობილი. დავის მოგვარება უნდა

განხორციელდეს ობიექტურად მხარეთა გულახდილობისა და გულწრფელობის საფუძველზე, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე.

გარდა აღნიშნულისა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები რეგულირდება ამ სფეროს მარეგულირებელი მთელი რიგი მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით, რომელითაც დაწესებულია სხვადასხვა დავის საგანზე განხილვის პროცესუალური პირობები და გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი. ამასთან ერთად საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა დავების გადასაწყვეტად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სპეციალური ორგანოსა და საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებთან ერთად ახორციელებენ სპეციალურად შექმნილი ისეთი დანაყოფები, როგორიცაა საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან დაარსებული ტექნიკური ექსპერტიზის საერთაშორისო ცენტრი და დავათა რეგულირების მუდმივმოქმედი კომიტეტი. საერთაშორისო საზღვაო კომიტეტისა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო არბიტრაჟი საზღვაო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს შემუშავებული სპეციალური საარბიტრაჟო რეგლამენტით.

საკონტროლო კითხვები:

1. საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა;
2. დავათა განხილვა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში.

20.3 .დავების გადაწყვეტა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

უძველესი დროიდან სხვადასხვა ქვეყნებს შორის წარმატებით ვითარდებოდა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობები. ბოლო საუკუნეების სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების შედეგად საგრძნობლად ამაღლდა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, რამაც განაპირობა სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და მისი მასშტაბების მკვეთრი ზრდის საფუძველი გახდა.

მსოფლიო ქვეყნები, საგარეო სავაჭრო ურთიერთოებების მასშტაბების გაფართოებასთან ერთად, ცდილობდნენ საქმიანობის ამ სფეროს მისცემოდა ცივილიზებული და, ამავე დროს, მომგებიანი ხასიათი და მიმართულებები, მოლაპარაკების საფუძველზე იდებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მიღებული იქნა უნივერსალური კონვენციები, ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მიღებულმა გენერალურმა შეთანხმებამ ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომელიც მოგვიანებით, 1994 წელს გადაიზარდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

საერთაშორისო ვაჭრობის დარგის მასშტაბების გაფართოებამ თავისთავად წარმოშვა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებით (კონტრაქტებით) გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, როგორიცაა: ვადების დარღვევა, არასტანდარტული – უხარისხო პროდუქციის მიწოდება, რაოდენობის შემცირება, საანგარიშსწორებო ურთიერთობებისა და სხვა დადგენილი პირობების დარღვევა, რამაც ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მიაყენა საქონლის ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების გაწევის ურთიერთობაში მონაწილე მხარეებს.[1] საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში წამოჭრილი დავები, ამ სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკაში დამკვიდრებული ჩვეულებების თანახმად, როგორც წესი, ხორციელდება ურთიერთშორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმართვის გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავების განხილვა ექვემდებარება, როგორც საერთო სასამართლოებს, ასევე საერთო საარბიტრაჟო სასამართლოებს და 1995 წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შემდეგ წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი დავის განხილვა, ასევე შესაძლებელია ამ ორგანიზაციის დავის განმხილველ ორგანოებში.[2]

ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის – მარაკეშის ხელშეკრულებების დანართისა, დავების რეგულირებისა და გადაწყვეიტის წესებისა და წესებისა და პროცესების შესახებ შეთანხმებების თანახმად. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მიიღონ ცალმხრივი ზომები ვაჭრობის წესების იმ შესაძლო დარღვევების წინააღმდეგ, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათ შორის. ყოველი წევრი ვალდებულია გადაწყვიტოს სადავო საკითხები თავად სავაჭრო ორგანიზაციის შიგნით მიღებული

---

[1] Даниленко, Разрешение международных торговых споров в ВТО, Будапешт, 2000, стр. 4-24

[2] მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავის განმხილველი ორგანოს შექმნამდე პრაქტიკაში გაძნელებული იყო იმის დადგენა, რომელ ქვეყანაში უნდა განხილულიყო დავა და რომელი სამართლებრივი ნორმებით ეხელმძღვანელათ, როდესაც ეს საკითხები დათქმული არ იყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით (კონტრაქტებით).

წესების შესაბამისად. დავების წარმოშობის შემთხვევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მოლაპარაკების წარმართვას მის წევრებს შორის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავების განხილვის ორგანოს წარმოადგენს გენერალური საბჭო, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრით. დავების გადაწყვეტის ორგანოს უფლება აქვს შექმნას ე.წ. „მესამე ჯგუფი," რომელიც უფლებამოსილია განიხილოს დავები პირველი ინსტანციით. იქმნება აგრეთვე მუდმივი სააპელაციო ორგანო, სადაც შესაძლებელია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

დავათა გადაწყვეტის ორგანო სხდომებს ატარებს საჭიროების მიხედვით. ის ამტკიცებს პირველი ინსტანციის სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და თავლყურს ადევნებს ამ გადაწყვეტილებების შესრულებას. დავათა განხილვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შეღგება გარკვეული საფეხურებისაგან. პირველ ეტაპს ყოველთვის წარმოადგენს კონსულტაციები. იმ შემთხვევაში, თუ კონსულტაციამ არ გამოიღო შესაბამისი შედეგი, მხარეს შეუძლია 60 დღის ვადაში მიმართოს დავათა გადაწყვეტის ორგანოს თხოვნით, რომ ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბოს პირველი ინსტანციის ორგანო.[3]

დავის განხილვამდე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნო სთავაზობს მხარეებს, ამოირჩიონ სამი პოტენციური არბიტრი, რომელთა არჩევაც ხდება შესაბამის პირთა სიიდან, რომლებიც ფლობენ აუცილებელ კვალიფიკაციას. იმ შემთხვევაში, თუ წაემოიშვა რაიმე გართულება არბიტრთა არჩევისას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შეუძლია ისინი დამოუკიდებლად დანიშნოს. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ორივე მხარეს აქვს უფლება და საშუალება შეიტანოს აპელაცია სააპელაციო ორგანოში. სააპელაციო ორგანოს შემადგენლობაში შედის 7 ექსპერტი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება სავაჭრო სამართლის სფეროში. ექსპერტები დამოუკიდებელნი არიან და ინიშნებიან ოთხი წლის ვადით, ამასთანავე შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს ფართო წარმომადგენლობას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრისაგან.

სააპელაციო ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება 3 ექსპერტის შემადგენლობით. ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს პირველი ინსტანციის დადგენილება, შეცვალოს ან გააუქმოს იგი. პირველი ინსტანციის ან სააპელაციო ორგანოს მიერ ანგარიშის მიღების შემდეგ, ანგარიში უნდა წარედგინოს დავათა განხილვის ორგანოს. ანგარიშის მიღების შემდეგ დავათა განხილვის ორგანო თვალყურს ადევნებს მის შესრულებას. მხარეებს ეძლევათ ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა შეასრულონ გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნები შესრულებული არ იქნება მხარეს დაედება განსაზღვრული სანქციები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება დავების შესახებ, ადგენს გარკვეული დროით ბარიერს დავათა განხილვის თითოეულ საკითხებზე. ვადები დგინდება კონსულტაციების ჩატარებისათვის, პირველი ინსტანციის ორგანოს შექმნისათვის, ამ ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის ასევე ვადები საქმის გადახედვისათვის სააპელაციო ინსტანციაში, ვადები დავების განხილვის ორგანოში ანგარიშის მიღებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საერთო ვადა პირველი ინსტანციის ორგანოს შემადგენლობის განსაზღვრიდან, საბოლოოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ უნდა არემატებოდეს 12 თვეს. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების ვადას, იგი არ უნდა აღემატებოდეს 15 თვეს. დავათა დარეგულირების პროცესი სქემატურად ასეთი თანამიმდევრობითაა:

[3] А.Тинел, Я Фоунк, В. Хвалей, Курс международного торгового право. Минск, 2000, стр. 62-91

დავათა განხილვის პროცესი	ვადა (დღეებში)
კონსულტაციები, შეთანხმებითი პროცედურები, ან მ ს ო- ის გენერალური დირექტორის შუამდგომლობა	60
↓	
სპეციალური ჯგუფის ჩამოყალიბება	30
↓	
დადგენილების წარდგენა სპეციალური ჯგუფებისათვის	180-270
↓	
სპეციალური ჯგუფის დადგენილების მიღება	30
↓	
სააპელაციო სტადია აპელაცია ↓ აპელაციის განხილვა ↓ სააპელაციო პროცედურების შესახებ დადგენილების მიღება	
↓	
დადგენილებაში მიღებული რეკომენდაციების რეალიზაცია	
↓	
თუ რეკომენდაციები არ სრულდება: • მოთხოვნა რეტორსიების განსახორციელებლად • ნებართვის წარდგენა რეტორსიებისათვის • დასკვნითი საარბიტრაჟო სტადია	
პროცესის საერთო მინიმალური ვადა	420
პროცესის საერთო მაქსიმალური ვადა	670

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება დავათა გადაწყვეტის წესებისა და პროცედურების შესახებ გამოიყენება ყველა სახის დავის შემთხვევაში, რომლებიც წარმოიქმნებიან მარაკეშის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. დავათა გადაწყვეტის მექანიზმი და ვადები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სქემით:

დავათა დარეგულირების პროცესი



პირველი სტრადია პროცესისა ხორციელდება სახელმწიფოთა შორის – ესაა კონსულტაციები. კონსულტაციები იწყება იქამდე, სანამ წარმოიშობა დავა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რამაც გავლენა იქონია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეორე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე და ამასთან ერთად შესაძლებელია მოხდეს მრავალმხივი სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა.

დავათა გადაწყვეტის მიზანია არა მხოლოდ თვალყურის დევნება და ხელშეკრულების პირობების დაცვა, არამედ იგი ყურადღებას აქცევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, რომლებიც თავისი მოქმედებით ბღუდავენ სხვა წევრ სახელმწიფოებს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო უფლებამოსილია მიმართოს მეორე სახელმწიფოს, რომელმაც გაატარა ასეთი ღონისძიებები და მოითხოვოს ინფორმაციის წარდგენა აღნიშნულთან დაკავშირებით.

პროცესის მეორე სტადია ხორციელდება სპეციალური ჯგუფის მიერ. სპეციალური ჯგუფი განიხილავს საქმეს ორ ასპექტში: - ფაქტის არსიდან გამომდინარე და სამართლის არსიდან გამომდინარე. რაც შეეხება ფაქტიურ მხარეს, დავათა გადაწყვეტის ორგანო შეისწავლის ფაქტებს, რომელიც ეხება ამ საქმეს და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.

პროცესის მესამე სტადია მიმდინარეობს სააპელაციო ორგანოში. ამ შემთხვევაში, პროცესის მესამე სტადიის სახელწოდება – სააპელაციო ორგანო შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, რადგან თავად აპელაცია ითვალისწინებს შეცვალოს ან გადასინჯოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში სააპელაციო ორგანო უფლებამისილია დაადასტუროს იურიდიული ფაქტები და დასკვნები, რომლებიც წარმოდგენილია სპეციალური ჯგუფის მიერ, შეაფასოს ისინი და გამოიკვლიოს.

სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება არ გამოაქვს. ის წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც შეიცავს საქმის გარემოებებს, რეკომენდაციებს და აუცილებელ შემთხვევებში – წინადადებებსაც. სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული მოხსენების წარდგენა ხდება დავათა გადაწყვეტის ორგანოში იმ მიზნით, რომ მან დაამტკიცოს აღნიშნული მოხსენება. ამ სახით ხდება აღნიშნული ორგანოს როლის ორგანიზება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არამარტო თვალყური ადევნოს დავათა გადაწყვეტის მექანიზმის ფუნქციონირებას, არამედ ასევე კონტროლო გაუწიოს სააპელაციო ორგანოს მიერ შემოთავაზებულ მოხსენებაში გადაწყვეტილებათა მიზანდასახულებას და კანონიერებას.

სააპელაციო ორგანოს მოხსენებას ამტკიცებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭო, რომელიც მოქმედებს, როგორც დავათა გადაწყვეტის ორგანო.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავათა განხილვისა და გადაწყვეტის გართულებული და ხანგრძლივი სტადიები და პროცედურები ნაკლებად მიმზიდველსა და დამაკმაყოფილებელს ხდის მოდავე მხარეთა მიერ შეტანილ სარჩელებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შეღეგებს, რის საფუძველზეც, განსაკუთრებით კი კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები, უმეტეს შემთხვევაში მიმართავენ ინსტიტუციური და დროებით შექმნილ საარბიტრაჟო სასამართლოებს.

მიუხედავად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავის განმხილველ ორგანოში მხარეთა შორის წამოჭრილ დავათა განხილვის ხანგრძლივი და რთული სტადიების და პროცედურებისა, ამ ორგანოს მიერ განხილულია სახელმწიფოთაშორის წარმოშობილი საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი დავები. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების სარჩელი იაპონიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად იაპონიამ დაარღვია „ეროვნულობის“ პრინციპი, ანუ იმპორტირებულ სპირტიან სასმელებზე დააწესა გაცილებით უფრო მაღალი გადასახადები, ვიდრე ადგილობრივი წარმოშობის სპირტიან სასმელებზე.

დავათა განმხილველმა პირველი ინსტანციის ორგანომ და სააპელაციო ორგანომ დაადგინეს, რომ იაპონიამ დაარღვია ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების GATT-ის მოთხოვნები და რეკომენდაცია მისცეს იაპონიას შესაბამისობაში მოიყვანოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლებრივ ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობა ადგილობრივი წარმოების სპირტიანი სასმელების გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავის განმხილველ პირველი ინსტანციასა და სააპელაციო ორგანოებში განხილული იქნა ასევე გახმაურებული საქმეები ევროპის თანამეგობრობის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით. მოდავე მხარემ – ევროპის თანამეგობრობამ, საჩივრით მიმართა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავის განმხილველ ორგანოს და მოითხოვა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცის პროდუქტების (რომელიც დამზადებული იყო სწრაფად გაზრდის მიზნით ბუნებრივი ჰორმონის „ oestradiol 173“-ის გამოყენებით) იმპორტზე აკრძალვის მოხსნას.

დავის განმხილველ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო ორგანოში განხილული იქნა აგრეთვე დავა ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, მალაიზიის, პაკისტანისა და ტაილანდის

მონაწილეობით, რომელიც ეხებოდა ზღვის პროდუქტების მოპოვებას ისეთი შეთანხმებული საშუალებებით, რომლითაც დაცული იქნებოდა ზღვის კუ.

ორივე შემთხვევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების განმხილველ პირველი და მეორე ინსტანციის ორგანოს მიერ მიღებული იქნა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებები. ყოველივე აღნიშნულისა და დავის განხილვის ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში წარმოშობილი დავების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, ხშირ შემთხვევაში სარჩელით მიმართავენ საერთაშორისო საარბირტრაჟო სასამართლოებს, რომელთა გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც ნებაყოფლობით, აგრეთვე იძულებითი წესით, უზრუნველყოფილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და ეროვნული კოლიზიური კანონმდებლობით.[1]

საკონტროლო კითხვები:

1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავათა განხილვის ორგანოები;
2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავათა განხილვის პროცედურები.

[1] საქართველოში საერთაშორისო სააღსრულებო სასამართლოების გადაწყვეტილების აღსრულება რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, აგრეთვე ორგანული კანონით. – საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელთა თანახმად, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებითა ცნობას და აღსრულების საკითხს წყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

დანართი №1

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები[1]

ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები

ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
ბასს 2 – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
ბასს 4 – ცვეთის ბუღალტრული აღრიცხვა;
ბასს 7 – ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;
ბასს 8 – საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი; არსებითი შეცდომები და ცვლილებები საღრიცხვო პოლიტიკაში;
ბასს 9 – სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები;
ბასს 10 – გაუთვალისწინებელი და ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები;
ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები;
ბასს 12 – შემოსავლებიდან გადასახადები;
ბასს 14 – ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით;
ბასს 15 – ფასების ცვლილებით გამოწვეული შედეგების ამსახველი ინფორმაცია;
ბასს 16 – ძირითადი საშუალებები;
ბასს 17 – იჯარის ბუღალტრული აღრიცხვა;
ბასს 18 – ამონაგები;
ბასს 19 – დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები;
ბასს 20 – სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების ასახვა ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით დანართებში;
ბასს 21 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;
ბასს 22 – საწარმოთა გაერთიანება;
ბასს 23 – სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები;
ბასს 24 – დაკავშირებულ მხარეთა ახსნა-განმარტებები;
ბასს 25 – ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა;
ბასს 26 – საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება;
ბასს27–კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და შვილობილ საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა;
ბასს 28 – მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა;
ბასს 29 – ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში;
ბანკებისა და ანალოგიური საფინანსო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები;
ბასს 31 – ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის ფინანსური ანგარიშგება;
ბასს 32 – ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტება და წარდგენა;
ბასს 33 – შემოსავალი ერთ აქციაზე;
ბასს 34 – შუალედური ფინანსური ანგარიშგება;
ბასს 35 – შეწყვეტადი ოპერაციები;
ბასს 36 – აქტივების გაუფასურება;
ბასს 37 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;
ბასს 38 – არამატერიალური აქტივები;
ბას 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება;

[1] ე.ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი, 2002, გვ. 258-265

დანართი №2

ანგარიშთა გეგმა

აქტივები	
1000	**მიმდინარე აქტივები**
1100	ნაღდი ფული
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1200	**ფული საბანკო ანგარიშზე**
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში
1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე
1300	**მოკლევადიანი ინვესტიციები**
1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოს ფასიან ქაღალდებში
1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1400	**მოკლევადიანი მოთხოვნები**
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
1415	საეჭვო ვალების რეზერვი
1420	მოთხოვნები მოკავშირე საწარმოების მიმართ
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების მიმართ
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებით
1460	კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი დავალიანებების მიმდინარე ნაწილი
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1500	**მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები**
1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი
1600	**სასაქონლო მატერიალური აქტივები**
1610	საქონელი
1620	ნედლეული და მასალები
1630	დაუმთავრებელი წარმოება
1640	მზა პროდუქცია
1690	სხვა საწარმოო მარაგი
1700	**წინასწარ გაწეული ხარჯები**
1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
1790	სხვა წინასწარ გადახდილი თანხები
1800	**დარიცხული მოთხოვნები**
1810	მისაღები დივიდენდები
1820	მისაღები პროცენტები
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები
1900	**სხვა მიმდინარე აქტივები**
1910	სხვა მიმდინარე აქტივები
2000	**გრძელვადიანი აქტივები**
2100	ძირითადი საშუალებები
2110	მიწის ნაკვეთები

2120	დაუმთავრებელი მშენებლობები
2130	შენობები
2140	ნაგებობები
2150	მანქანა-დანადგარები
2160	ოფისის აღჭურვილობა
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
2180	სატრანსპორტო საშუალებები
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
2200	ძირითადი საშუალებების ცვეთა
2230	შენობების ცვეთა
2240	ნაგებობების ცვეთა
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა
2300	**გრძელვადიანი მოთხოვნები**
2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
2340	გადავადებული საგადასახადო აქტივები
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები
2400	**გრძელვადიანი ინვესტიციები**
2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
2430	მონაწილეობა სხვადასხვა საზოგადოებაში
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები
2500	**არამატერიალური აქტივები**
2510	ლიცენზიები
2520	კონცესიები
2530	პატენტები
2540	გუდვილი
2590	სხვა არამატერიალური აქტივები
2600	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
2610	ლიცენზიების ამორტიზაცია
2620	კონცესიების ამორტიზაცია
2630	პატენტების ამორტიზაცია
2640	გუდვილის ამორტიზაცია
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
ვალდებულებები	
3000	მიმდინარე აქტივები
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები
3110	მოწოდებიდან და ვალდებულებებიდან
3120	მიღებული ავანსები
3130	გადასახდელი ხელფასი
3140	როიალტი
3150	საკომისიო გადასახდელები
3160	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170	ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
3200	**მოკლევადიანი სესხები**
3210	მოკლევადიანი სესხები
3220	სესხები პარტნიორებისაგან
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
3300	**საგადასახდო ვალდებულებები**
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი

33210	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330	გადასახდელი დ.ღ.გ.
3340	გადახდილი დ.ღ.გ.
3350	გადასახდელი აქციზი
3360	გადახდილი აქციზი
3370	სოციალური გადასახადი
3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები
3400	**დარიცხული ვალდებულებები**
3410	გადასახდელი პროცენტები
3420	გადასახდელი დივიდენდები
3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები
4000	**გრძელვადიანი ვალდებულებები**
4100	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4110	გასანაღდებელი ობლიგაციები
4120	გასანაღდებელი თამასუქები
4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
4140	გრძელვადიანი სესხები
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4200	გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4210	გადავადებული მოგების გადასახადი
4220	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4300	ანარიცხები
4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები
4320	სხვა ანარიცხები
4400	**გადავადებული შემოსავლები**
4410	გადავადებული შემოსავალი
5000	**საკუთარი კაპიტალი**
5100	საწესდებო კაპიტალი
5110	ჩვეულებრივი აქციები
5120	პრივილეგირებული აქციები
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
5140	საემისიო კაპიტალი
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში
5200	**პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონე საზოგადოებებში)**
5210	პარტნიორთა კაპიტალი
5300	**მოგება-ზარალი**
5310	გაუნაწილებელი მოგება
5320	დაუფარავი ზარალი
5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი
5400	**რეზერვები და დაფინანსება**
5410	სარეზერვო კაპიტალი
5420	ძირითადი საშუალებების დაფინანსების რეზერვი
5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება
6000	**საოპერაციო შემოსავლები**
6100	საოპერაციო შემოსავლები
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა
6130	შემოსავალი საეჭვო მოთხოვნებიდან
6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები
7000	საოპერაციო ხარჯები
7100	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციის

	მწარმოებელი და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის)
7110	ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა
7120	პირდაპირი ხელფასი
7130	სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა
7150	არაპირდაპირი ხელფასი
7160	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე
7170	ცვეთა და ამორტიზაცია
7180	რემონტის დანახარჯები
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები
7200	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებისათვის)
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი
7220	შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა
7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება
7300	მიწოდების ხარჯები
7310	რეკლამის ხარჯი
7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხი
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები
7390	სხვა მიწოდების ხარჯები
7400	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**
7410	შრომის ანაზღაურება
7415	სოციალური დანარიცხები
7420	საიჯარო ქირა
7425	საოფისე ინვენტარი
7430	კომუნიკაციის ხარჯები
7435	დაზღვევა
7440	რემონტი
7445	კომპიუტერის ხარჯები
7450	საკონსულტაციო ხარჯები
7455	ცვეთა და ამორტიზაცია
7460	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
7470	სხვა საგადასახადო ხარჯები
7480	საგარანტიო ხარჯები
7490	სხვა საერთო ხარჯები
8000	**არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები**
8100	არასაოპერაციო შემოსავლები
8110	საპროცენტო შემოსავლები
8120	დივიდენდები
8130	არასაოპერაციო მოგება
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები
8200	**არასაოპერაციო ხარჯები**
8210	საპროცენტო ხარჯები
8220	არასაოპერაციო ზარალი
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები
9000	**განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები**
9100	განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები
9110	განსაკუთრებული შემოსავლები
9120	განსაკუთრებული ხარჯები
9200	**სხვა ხარჯები**
9210	მოგების გადასახადი

დანართი №3

ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოების, გასაღების და საბაზრო ორიენტაციის მიხედვით

1. **ორიენტაცია წარმოების მიხედვით**



2. **ორიენტაცია გასაღების მიხედვით**



3. **საბაზრო ორიენტაცია**



დანართი 4

ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების ორი სტადია

I. ვარიანტი

დანართი 5

II ვარიანტი



დანართი №5

ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა

1. სატიტულო ფურცელი
ა) ფირმის დასახელება და მისამართი
ბ) დამფუძნებლების დასახელება და მისამართები
გ) შემოთავაზებული პროექტის არსი
დ) პროექტის ღირებულება

2. შესავალი ნაწილი: წარმოდგენილი პროექტის ძირითადი ღირებულება (3-4 გვერდი).

3. დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი:
ა) მიმდინარე სიტუაცია და მისი განვითარების ტენდენცია
ბ) პოტენციური კონკურენტები
გ) პოტენციური მომხმარებლები

4. წარმოდგენილი პროექტის არსი:
ა) პროდუქცია
ბ) მომსახურება
გ) ფართი ოფისისათვის, მისი მოწყობილობა
დ) ადმინისტრაციული და საწარმო პერსონალი
ე) ცნობები თვით მეწარმისა და მისი პარტნიორების შესახებ

5. საწარმოო გეგმა:
ა) საწარმოო პროცესების აღწერა
ბ) საწარმოო ფართი
გ) დაზგები და მოწყობილობანი
დ) ნედლეულის მიმწოდებლები

6. მარკეტინგის გეგმა
ა) ფასები
ბ) გასაღების არხები
გ) რეკლამა
დ) ახალი პროდუქციის პროგნოზი
ე) მიზნობრივი მაჩვენებლები

7. ორგანიზაციული გეგმა:
ა) საკუთრების ფორმა
ბ) ცნობები პარტნიორების და ძირითადი მეპაიეების შესახებ
გ) პარტნიორთა პასუხისმგებლობა
დ) ცნობები ხელმძღვანელთა შემადგენლობის შესახებ
ე) ორგანიზაციული სტრუქტურა, მოვალეობის განაწილება

8. რისკის შეფასება
ა) რაში გამოიხატება საწარმოს სუსტი მხარეები
ბ) ახალი ტექნოლოგიების პერსპექტივა
გ) ალტერნატიული სტრატეგია

9. საფინანსო გეგმა
ა) შემოსავალ-გასავლის გეგმა
ბ) ფულადი შემოსატანებისა და გასაცემლების გეგმა
გ) საბალანსო გეგმა
დ) თვითგამოსყიდვის წერტილი
ე) საშუალებების წყაროები და გამოყენება

10. დანართები
ა) წერილები
ბ) კონტრაქტის ასლი
გ) დაკუმენტების ასლები, რომელთაგანაც ამოღებული იყო ამოსავალი მონაცემები
დ) მომწოდებელთა პრეისკურანტები

დანართი

მიმდინარე სიტუაციის ანალიზი
– ისტორიული ექსკურსი
– შესაძლებლობები, რისკი
– ძლიერი და სუსტი მხარეები
– მიზანი და ამოცანები
– მარკეტინგის სტრსტეგია და პროგრამები
– ფინანსური უზრუნველყოფა
– კონტროლი შესრულებაზე და მიზნობრივი მაჩვენებლები

დანართი №6

შეთანხმება განზრახულობათა შესახებ[1]

ქ. თბილისი „-------“ „----------“ 201 წ.

შეთანხმების მონაწილეთა (წარმომადგენლების) სახელი, გვარი, თანამდებობა,

უფლებამოსილებათა ფარგლები – უფლებამოსილების საფუძველი

შევათანხმეთ შემდეგი განზრახულობები:

1. შეთანხმების მონაწილე ---------- ახორციელებს ----------
წარმომადგენელი კონკრეტულად

უნდა მიეთითოს სამუშაოს, მომსახურების სახე, ღირებულება ან გასაყიდი საქონლის რაოდენობა,

ხარისხი, ფასი და სხვა კონკრეტული პირობები

2. შეთანხმების მონაწილე ---------- თანახმაა ----------
წარმომადგენელი განსახორციელებელი

საქმიანობის აღწერა, მოცულობა, პირობები, ღირებულება და ა.შ.

3. ჩამოთვლილ საქმიანობაზე მხარეები შეაგროვებენ და გაცვლიან აუცილებელ ინფორმაციას. მხარეების წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს და განიხილავენ ურთიერთსაინტერესო საკითხებს არაუგვიანეს „------“ „----------“ 201 წ.
4. მხარეები ნიშნავენ წარმომადგენლებს საქმიანი კონტრაქტისათვის:

_____

წარმომადგენლის სახელი, გვარი, თანამდებობა, მისამართი, ტელ./ფაქსი

5. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს წინასწარ შეთანხმებას და არ აკისრებს მხარეებს რაიმე ფინანსურ, მატერიალურ და სამართლებრივ ვალდებულებებს.

შეთანხმება ხელმოწერილია მხარეთა წარმომადგენლები

---------- ----------

---------- ----------

[1] T. iaSvili `rogor gavaformoT xelSekruleba”, Tbilisi, 2000w

დანართი №7

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
(კონტრაქტი)[1]

ქ. თბილისი „------“ „----------“ 201 წ.

გამყიდველი ---------- სახით ერთის მხრივ

მყიდველი: ---------- სახით მეორეს მხრივ

ვმოქმედებთ რა ჩვენი წესდებით მონიჭებული უფლებამოსილებების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში,
შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს საქონელის და გადაიხადოს მისი ღირებულება წინმდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული წესით.
1.2. საქონლის დასახელება ----------
ტიპი, მარკა, სტანდარტი, არტიკული

1.3. საქონლის დამამზადებელი ----------
სრული დასახელება და რეკვიზიტები

1.4. საქონლის ადგილმდებარეობა ----------
სრული დასახელება და რეკვიზიტები

1.5. დოკუმენტები, რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს გადამზიდველს:
1. ---------- ეგზ.
2. ---------- ეგზ.
3. ---------- ეგზ.

1.6. დოკუმენტები, რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს

1. ---------- ეგზ.
2. ---------- ეგზ.
3. ---------- ეგზ.

2. რაოდენობა

2.1. საქონლის განზომილების ერთეული ----------
2.2. საქონლის საერთო რაოდენობა ----------

3. ასორტიმენტი

3.1. საქონლის ჯგუფები და ასორტიმენტი
1. ---------- რაოდენობა ----------
2. ---------- რაოდენობა ----------

3.2. საქონლის სრული ასორტიმენტი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართში.

[1] T. iaSvili `rogor gavaformoT xelSekruleba”, Tbilisi, 2000w

4. ხარისხი

4.1. გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ----------
---------- მოთხოვნებს

სტანდარტი, ტექნიკური პირობები, სერტიფიკატი, სასაქონლო ნიმუში

4.2. გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს ----------
---------- ----------ორიგინალობით

ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სრული დასახელება

4.3. საქონლის შენახვის, ექსპლუატაციის, გამოყენების საგარანტიო ვადა ----------
----

დამზადების, გადატვირთვის, მიღების, ექსპლუატაციის დაწყების მომენტიდან

4.4. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების ან საქონლის შეცვლის ვადა -----
----

ხარვეზების გამოვლენის შესახებ გამყიდველისათვის შეტყობინების მომენტიდან

5. კომპლექტურობა

5.1. გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის კომპლექტურობა განისაზღვრება ----------
----

სტანდარტი, ტენიკური პირობები, სხვა ნორმატიული დოკუმენტი

5.2. ნაკეთობები, რომლებიც არ შედის სტანდარტულ კომპლექტში, მაგრამ მიწოდებული უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად:

----

6. მიწოდების ვადები და წესი

6.1. საქონელი სრულად უნდა მიეწოდოს მყიდველს ---------- განმავლობაში ----------
---------- თანდართული გრაფიკით

ხელშეკრულების ხელმომწერს, სრული ანგარიშსწორების მომენტიდან

6.2. გამყიდველს ---------- ვადამდე

უფლება აქვს, არა აქვს უფლება, მყიდველთან შეთანხმებით

მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რის შესახებაც მყიდველს ატყობინებს საქონლის ---------- ღეში.

გადატვირთვამდე, გადატვირთვის მომენტიდან

7. ფასები და კონტრაქტის საერთო ღირებულება

7.1. საქონლის ერთეულის ღირებულება ----------
7.2. ფასები მითითებულია საბაჟო და სხვა გადასახადების ----------

ჩათვლით, ჩაუთვლელად

7.3. სულ საქონლის საერთო ღირებულებაა ----------
7.4. ფასები ითვალისწინებს საქონლის ღირებულების -----%-იან ფასდათმობას ----- ღეში ანაზღაურების პორობებში.

8. ანგარიშსწორების წესი

8.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების ------%-ს მყიდველი წინასწარ უხდის გამყიდველს უნაღდო ანგარიშსწორებით, გამყიდველის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ------ ღის განმავლობაში.
8.2. სახელშეკრულებო თანხის სრული გადახდის საბოლოო ვადაა ----------
----

ხელშეკრულების ხელმოწერის, საქონლის გადატვირთვის, საქონლის მიღების მომენტიდან

8.3. ანგარიშსწორების წესი ----------

ფოსტით, ტელეფონით, სხვა საშუალებით

8.4. ანგარიშსწორების სახე ----------
ნაღდი, უნაღდო, შერეული

8.5. ანგარიშსწორების ფორმა ----------
საგადასახადო დავალება, ჩეკი, აკრედიტივი

8.6. მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ ---------- ვადაში საგადასახადო
საათის, დღის

დავალების წარდგენის ----------მომენტიდან ----------
იმავე წესით, როგორც ძირითადი

მოწოდებისათვის, თანხა გადაერიცხება უშუალოდ მომწოდებელს. მიეთითოს მომწოდებლის რეკვიზიტები.

9. მოწოდების პირობები

9.1. მიწოდება ხორციელდება ---------- პირობებში
ფრანკო საწყობი, სიფ, ფობ

9.2. საქონელზე საკუთრების გადაცემა ხდება ----------
9.3. საქონელზე რისკის გადაცემა ხდება ----------
9.4. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ----------

10. ტარა და შეფუთვა

10.2. საქონელი უნდა იქნეს შეფუთული[1] ----------
სტანდარტის, ტექნიკური პირობების,სასაქონლო ნიმუშის მიხედვით

10.3. დამატებითი მოთხოვნები შეფუთვაზე და ტარაზე ----------
10.4. ტარის დაბრუნების ვადები და წესი ----------
10.5. ანგარიშსწორების პირობები დაბრუნებული ტარისათვის ----------

11. საქონლის მარკირება

11.1. საქონელი და ტარა მარკირებული უნდა იქნეს ----------
სტანდარტი, ტექნიკური პირობეი, სასაქონლო ნიმუში, დამატებითი პირობები

12. გადატვირთვა და ტრანსპორტირება

12.1. ხელშეკრულება გაადმზიდავთან ----------

გაადმზიდველის სრული დასახელება, ძირითადი რეკვიზიტები, გადაზიდვის ხელშეკრულების რეკვიზიტები

12.2. გაგზავნის პუნქტი ----------
12.3. გადატვირთვის ვადები ---------- ტვირთის გადაზიდვისათვის ჩაბარების მომენტიდან
12.4. მინიმალური სატრანსპორტო ნორმა ----------
12.5. ტრანსპორტის სახე ----------
12.6. გადატვირთვის განსაკუთრებული პირობები ----------
მალფუჭებადი, ცეცხლსაშიში, სუნიანი, ნაყარი და სხვა.

12.7. გამყიდველი ვალდებულია საქონლის გადაზიდვისათვის ჩაბარებიდან ---------- ფაქსით, ტელეფონით, დეპეშით შეატყობინოს მყიდველს: გადატვირთვის თარიღი, ტრანსპორტის სახე, დასახელება, ვაგონის ნომერი, ავტომანქანის ნომერი, თვითმფრინავის რეისი, ხელშეკრულების თარიღი და ნომერი, საქონლის დასახელება და რაოდენობა, სატრანსპორტო დოკუმენტების ნორმები.

[1] საქონელი ისეთი წესით უნდა იქნეს შეფუთული გამყიდველის მიერ, რომ შეფუთვა გამორიცხავდეს საქონლის გაფუჭებას, დაზიანებას ან განადგურებას მიწოდების (ტრანსპორტირების, შენახვის, დასაწყობების) პერიოდში საქონლის მიღებამდე მყიდველის მიერ.

12.8. გამყიდველი პასუხისმგებელია გადამზიდველისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტის სწორად და სრულად გაფორმებული საკმარისი ეგზემპლარების გადაცემაზე და სრულად აგებს პასუხს ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგებზე.

13. საქონლის გადაცემა

13.1. საქონლის გადაცემა (მიღება-ჩაბარება) ხდება დანიშნულების პუნქტში.
13.2. საქონლის მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
13.3. მყიდველი ვალდებულია საქონლის მიღების შესახებ შეატყობინოს გამყიდველს საქონლის

მიღებიდან ----------

14. პრეტენზიების (რეკლამაციების) წესებისა და დავების განხილვის წესი. საჯარიმო სანქციების გამოყენება.

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ -------- თვის ვადაში პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.
14.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტემპელის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.
14.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.
14.4. მხარეები შეთანხმდნენ არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ------ ლარს.
14.5. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.
14.6. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
14.7. ხელშემკვრელები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი მათ შორის სავარაუდო მოგება – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
14.8. მყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს:
14.8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით გამყიდველს ვადაგადაცილებული თანხის ------ % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;
14.8.2. ხელსეკრულების 13.3. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგვიანებისათვის გადაუხადოს გამყიდველს ჯარიმის სახით ---------
14.8.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში (თუ ეს არ არის გამოწვეული გამყიდველის მიზეზით – უხარისხობა, არაკომპლექტურობა, მიწოდების ვადების დარღვევა, შეთანხმების დარღვევა ფასების შესახებ) გადაუხედოს გამყიდველს:
ა) მიუღებელი თანხის --------- %
ბ) ჯარიმა ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევისათვის ----------
დ) საკუთარი სახსრებით დაუბრუნოს გამყიდველს საქონლის ის ნაწილი,
14.9. გამყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს:
14.9.1. გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მყიდველს დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების ------% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
14.9.2. გადაუხადოს მყიდველს ჯარიმის სახით მიწოდებული უხარისხო, უკომპლექტო, დანაკლისით და ხელშეკრულებით გათვალისწინებელი საქონლის ღირებულების ------ %
14.9.3. გამყიდველის მიერ მიწოდებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში იგი ჯარიმის სახით უხდის მყიდველს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების -%
14.9.4. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.9.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ბრალეული მხარე კისრულობა ასევე შემდეგ პასუხისმგებლობას ----------

15. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობები

15.1. გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულეებზე და პასუხეისმგებლბაზე, თუ
15.1.1. ----------
15.1.2. ----------
15.2. მყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესრულებაზე, თუ
15.2.1. ----------
15.2.2. ----------

16. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფა

16.1. ამ თავში უნდა იქნეს მითითებული როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის მოთხოვნები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად – თავდებობა, საბანკო გარანტია, გირავნობა, სხვა შესაბამისი დოკუმენტების დასახელება, დოკუმენტის ხელმომწერი მხარეები, ნომერი, თარიღი.

17. დაუძლეველი ძალის გარემოებები – ფორსმაჟორი

17.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძარით, საომარი მოქმედებებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმწერის შემდეგ.
17.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.
17.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.
17.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო პალატისა, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.
17.5. შეტყობინება ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლად.
17.6. თუ გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის გამყიდველის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თვეზე მეტს გაგრძელდება, მყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე – ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, აგრეთვე გამყიდველისათვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურების გარეშე.

18. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი შეცვლა და გაუქმების პირობები. მხარეთა ხელმოწერები

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალშია მისი პირობების სრულ შესრულებამდე.
18.2. ხლშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით.
18.3. მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.
18.4. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარეებს სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან გამყიდველის ----------
გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელ./ფაქსი

მყიდველის ----------
18.5. მყიდველი: ----------

საფოსტო მისამართი ----------
ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ----------
ანგარიშგების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ----------
სატრანსპორტო რეკვიზიტები: ----------
სავაგონო გადატვირთვისათვის ----------
საკონტეინერო გადატვირთვისათვის ----------
საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ----------
საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ----------
18.6. გამყიდველი: ----------
18.7. ხელშეკრულების დანართები
დანართი №1
დანართი №2

მყიდველი ---------- გამყიდველი ----------

„--------“ „----------“ 201 წ. „--------“ „----------“ 201 წ.

დანართი №8

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
(კონტრაქტი)

ქ. თბილისი „------“„----------“ 201 წ

– გამყიდველი: ფირმა „ SAMSUNG ”-ის სახით ერთის მხრივ
– მყიდველი: ფირმა „ TV ”-ის სახით მეორეს მხრივ
ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში,
შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში მყიდველის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

საქონლის დასახელება – ტელევიზორი (SAMSUNG) 54 დიაგონალური.
საქონლის დამამზადებელი – ფირმა „ SAMSUNG ”-ი.

2. რაოდენობა

2.1. საქონლის განზომილების ერთეული – ცალი
2.2. საქონლის საერთო რაოდენობა – 4000

3. ხარისხი

3.1. გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური პირობების მოთხოვნებს;
3.2. საქონლის გარანტიის ვადა: მიღებიდან 2 წლის განმავლობაში;

3.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების ან საქონლის შეცვლის ვადა: 10 დღე ხარვეზების გამოვლენის შესახებ გამყიდველისათვის შეტყობინების მომენტიდან.

4. მიწოდების ვადები და წესი

4.1. საქონელი სრულად უნდა მიეწოდოს მყიდველს 1 თვის განმავლობაში ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან;
4.2. გამყიდველს უფლება აქვს მყიდველთან შეთანხმებით ვადამდე მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რის შესახებაც მყიდველს ატყობინებს საქონლის გადატვირთვამდე 2 დღით ადრე.

5. ფასები

5.1. საქონლის ერთეულის ღირებულება– 300§;
5.2. ფასები მითითებულია საბაჟო და სხვა გადასახადების ჩათვლით;
5.3. სულ საქონელს საერთო ღირებულებაა 1 200 000§.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 55%-ს მყიდველი წინასწარ უხდის გამყიდველს უნაღდო ანგარიშსწორებით, გამყიდველის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 5 დღის განმავლობაში;
6.2. სახელშეკრულებო თანხის სრული გადახდის საბოლოო ვადაა 1 თვე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან;
6.3. ანგარისწორების სახე: შერეული
6.4. მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ 3 სთ-ის განმავლობაში საგადასახადო დავალების წარდგენის მომენტიდან ფოსტით ან ფაქსით.

7. მიწოდების პირობები

მიწოდება ხორციელდება სიფ (CIF) პირობებში;
7.1. საქონელზე საკუთრების გადაცემა ხდება დანიშნულების პორტში;
7.2. საქონელზე რისკის გადაცემა ხდება დანიშნულების პორტში;
7.3. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ფოთის პორტი.

8. საქონლის გადაცემა

8.1. საქონლის გადაცემა (მიღება-ჩაბარება) ხდება დანიშნულების პუნქტში;
8.2. საქონლის მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.3. მყიდველი ვალდებულია საქონლის მიღების შესახებ შეატყობინოს გამყიდველს საქონლის მიღებიდან 3 სთ-ის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშემკვრელები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი მათ შორის სავარაუდო მოგება – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11. ფორსმაჟორი

11.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

11.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

12.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

მყიდველი: ფირმა „ TV” ქ. თბილისი

საფოსტო მისამართი:
ტელ., ფაქსი, ელ.ფოსტა:
ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები:
13.2. გამყიდველი: ფირმა „ SAMSUNG ”

მყიდველი
ფირმა" TV "
17.XI.2004წ

გამყიდველი
ფირმა " SAMSUNG "
17.XI.2004წ

დანართი №9

შეთანხმება

ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. თბილისი ,,---------“ ,,----------“ 201 წ.

ხელშეკრულების დასახელება, ნომერი, თარიღი, მიღების ადგილი

დამკვეთი: ---------- სახით ერთის მხრივ

შემსრულებელი: ----------სახით მეორეს მხრივ ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში,
შევთანხმდით:

1. ---------- დაკავშირებით
ხელშეკრულების შეცვლის მოტივები

დამკვეთი და შემსრულებელი მივედით დასკვნამდე შევიტანოთ ცვლილებები და დამატებები ,,--------“ ,,----------“ 201 წ. № -------- ხელშეკრულებაში.

2. შეიცვალოს ხელშეკრულების ქვემოთ მოტანილი პირობები და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

2.1. ----------

2.2. ----------

3. დაემატოს ხელშეკრულებას შემდეგი პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

3.1 ——————————————————————————————————————

3.2. ——————————————————————————————————————

4. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი ყოველი მხარისათვის.

6. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

დამკვეთი შემსრულებელი

_____ _____

დანართი № 10

შეთანხმება
ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი „-------“ „----------“ 201 წ.

ხელშეკრულების სრული დასახელება, ნომერი, თარიღი, ხელმოწერის ადგილი

დამკვეთი ---------- სახით ერთის მხრივ

შემსრულებელი ---------- სახით მეორის მხრივ, ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

შევთანხმდით:

1. ---------- დაკავშირებით

სრულად აღინიშნოს ხელშეკრულების შეწყვეტის მოტივები

ვწყვეტთ „-------“ „----------“ 201 წლის № ------ ხელშეკრულებას ----------

---

ხელშეკრულების დასახელება

2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა უფლებებისა და მოვალეობებისაგან.

3. შეწყვეტილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელთა შესრულება უკვე დაწყებულია, უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

დამკვეთი ----------

სრულად მიეთითოს დამკვეთის ვალდებულებები

შემსრულებელი ----------

სრულად მიეთითოს შემსრულებლის ვალდებულებები

4. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი ყოველი მხარისათვის.

5. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

დამკვეთი შემსრულებელი

--- ---

დანართი № 11

„ინკოტერმს-1990”-ით, (ანუ სავაჭრო პირობების ინტერპრეტაციის საერთაშორისო წესები) დადგენილი პროდუქციის მიწოდების პირობები

სატრანსპორტო საშუალებების სახეობა	„ინკოტერმს-90”-ის ტერმინები და აბრევიატურები	საქონლის მიწოდებისა და საბაჟო გადასახდელების გადახდის პირობები
1	2	3
საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი	FAS (FREE ALONGSIDE SHIP)	ფრანკო გემის ბორტთან (გამყიდველს საქონელი ჩააქვს ჩატვირთვის მითითებულ პორტში და ათავსებს მას გემის ბორტთან, გემის გასწვრივ სანაპიროზე) ეს პირობა ნიშნავს, რომ საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, თუ გამყიდველი მიიტანს მას გემის გასწვრივ მითითებულ პორტში. მყიდველი ამ მომენტიდან იღებს საქონლის დაკარგვისა და დაზიანების ყოველგვარ რისკსა და ხარჯებს. FAS პირობა ავალდებულებს გამყიდველს, მოამზადოს ყოველგვარი საექსპერტო დოკუმენტაცია.
	FOB (FREE ON BOARD)	ფრანკო გემის ბორტთან (გამყიდველის მიერ საქონელი მიეწოდება გემის ბორტზე ჩატვირთვის მითითებულ პორტში). ამ პირობით გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა საქონელი გადაკვეთს გეგმის ბორტს მითითებულ პორტში. ამ მომენტიდან მყიდველი იღებს საქონლის დაკარგვისა თუ დაზიანების ყოველგვარ რისკსა და ხარჯებს. FOB პირობა გამყიდველისაგან მოითხოვს ყოველ-გვარი საექსპერტო დოკუმენტაციის მოგვარებას.
	CFR (COST AND FREIGHT)	ღირებულება და ფრახტი (გამყიდველს დანიშნულების მითითებულ პორტში ჩააქვს საქონელი და იხდის ფრახტის (ტრანსპორტირების) ღირებულებას). ამ პირობის თანახმად, გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა საქონელი გადაკვეთს გემის ბორტს მითითებულ პორტში. გამყიდ-ველმა უნდა გადაიხადოს დასახელებულ დანიშნულების პორტში საქონლის მისატანად აუცილებელი ღირებულება და ფრახტი, მაგრამ საქონლის დაკარგვის თუ დაზიანების ყოველგვარ რისკს გადასცემს მყიდველს. CFR პირობა გამყიდველისაგან მოითხოვს ყოველ-გვარი საექსპორტო დიკუმენტაციის მოგვარებას.
	CIF (COST, INSURANCE FREIGHT)	ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი (გამყიდველს დანიშნულების მითითებულ პორტში ჩააქვს საქონელი და იხდის

	DES (DELIVERED EX SHIP)	როგორც ფრახტის, ასევე საზღვაო დაზღვევის ღირებულებას). ეს პირობა ნიშნავს, რომ გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა საქონელი გადაკვეთს გემის ბორტს მითითებულ დანიშნულების პორტში. გამყიდველმა უნდა გადაიხადოს დასახელებულ დანიშნულების პორტში საქონლის მისატანად აუცილებელი ღირებულება და ფრახტი, მაგრამ საქონლის დაკარგვის თუ დაზიანების ყოველგვარ რისკს და ყოველგვარ შესაძლო დამატებით ხარჯებს გადასცემს მყიდველს. თუმცა, CIF პირობით გამყიდველს უხდება გადაზიდვისას საქონლის დანაკარგებისა და დაზიანების გამო მყიდველის რისკისათვის საზღვაო დაზღვევის ორგანიზება.
	DEQ (DELIVERED QUAY)	მიწოდება გემიდან (გამყიდველი საქონელს გადასცემს მყიდველს დანიშნულების პორტში პირდაპირ გემის ბორტიდან). ამ პირობის თანახმად გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება მაშინ, როცა საქონელი მყიდველის განკარგულებაშია გემბანზე, მითითებულ დანიშნულების პორტში, მაგრამ არ ახლავს მითითებული დანიშნულების პორტი-სათვის საიმპორტო დოკუმენტაცია. გამყიდველს ეკისრება საქონლის მითითებულ დანიშნულების პორტში მიტანისათვის ყოველგვარი რისკი და ხარჯი საქონლის გადმოტვირთვამდე. მიწოდება ნავმისადგომიდან (საბაჟო გადასახდელების გადახდით დანიშნულების მითითებულ პორტში. გამყიდელი საქონელს გადასცემს მყიდველს დანიშნულების პორტის სანაპიროზე (ნავსადგომიდან) იმპორტის საბაჟო გადასახდელების გადახდით). ამ პირობის შესაბამისად გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება მაშინ, როცა საქონელი მყიდველის განკარგულებაშია ნავსაყუდელზე, მითითებულ დანიშნულების პორტში, საიმპორტო დოკუმენტაციის გარეშე. გამყიდველს ეკისრება საქონლის მითითებულ დანიშნულების პორტში მიტანისა და ნავსაყუდელზე გადმოტვრთვის ყოველგვარი რისკი და ხარჯი. DEQ პირობების თანახმად მყიდველი ვალდებულია მოაგვაროს საიმპორტო დოკუმენტაცია და გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები

		და გაიღოს იმპორტთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.
სარკინიგზო ტრანსპორტი	FCA (FREE CARRIER)	ფრანკო გადამზიდველი (მითითებულ ადგილზე გამყიდველი გადასცემს საქონელს გადამზიდველს). ამ პირობების თანახმად გამყიდველი მითითებულ ადგილზე, დასახელებულ სატრანსპორტო საშუალებასთან აწოდებს საქონელს მყიდველს ყოველგვარი საექსპორტო დოკუმენ-ტაციით. თუ მიწოდება ხდება გამყიდველის შენობა-ნაგებობებიდან, გამყიდველი პასუხისმგებელია დატვირ-თვაზე. თუ მიწოდება ხდება სხვა ადგილიდან, გამყიდველი პასუხს არ აგებს საქონლის ამ ადგილიდან გადმოტვირთვაზე.
საჰაერო ტრანსპორტი	FCA (FREE CARRIER)	ფრანკო გადამზიდველი (მითითებულ ადგილზე გამყიდველი გადასცემს საქონელს გადამზიდველს). ამ პირობების თანახმად გამყიდველი მითითებულ ადგილზე, დასახელებულ სატრანსპორტო საშუალებასთან აწოდებს საქონელს მყიდველს ყოველ-გვარი საექსპორტო დოკუმენტაციით. თუ მიწოდება ხდება გამყიდველის შენობა-ნაგებობებიდან, გამყიდველი პასუხისმგებელია დატვირ-თვაზე. თუ მიწოდება ხდება სხვა ადგილიდან, გამყიდველი პასუხს არ აგებს საქონლის ამ ადგილიდან გადმოტვირთვაზე.
ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა მულტიმოდალური, (შერეული) გადაზიდვების ჩათვლით	**EXW (EX WORKS)**	**ფრანკო ქარხანა (მიწოდება საწარმოდან ან საწყობიდან). ამ პირობით გამყიდველი აწოდებს საქონელს მყიდველს საკუთარი შენობა-ნაგებობიდან. ამავე დროს, იგი არ ამზადებს რაიმე საექსპორტო დოკუმენტაციას და არ ტვირთავს საქონელს რაიმე ტიპის ტრანსპორტზე. მყიდველი ვალდებულია გაიღოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის გამყიდველის ტერიტორიიდან წასა-ღებად.** ფრანკო გადამზიდველი (გამყიდველი გადასცემს საქონელს გადამზიდველს მითითებულ ადგილზე). ამ პირობების თანახმად გამყიდველი მითითებულ ადგილზე, დასახელებულ სატრანსპორტო საშუალებასთან აწო-დებს საქონელს მყიდველს ყოველგვარი საექსპორტო დოკუმენტაციით. თუ

		მიწოდება ხდება გამყიდველის შენობა-ნაგებობებიდან, გამყიდველი პასუხის-მგებელია დატვირთვაზე. თუ მიწოდება ხდება სხვა ადგილიდან, გამყიდველი პასუხს არ აგებს საქონლის ამ ადგილიდან გადმოტვირთვაზე.
	FCA (FREE CARRIER)	ფრახტი გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე გადახ-დილია სატრანსპორტო ხარჯები). ამ პირობით გამყიდველი აწვდის საქონელს თავის მიერ დასახელებულ ექსპე-დიტორს, მაგრამ დამატებით იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს. მყიდველი იღებს საქონლის დანაკარ-გების და დაზიანების რისკს მას შემდეგ, რაც ასეთი წესით მიეწოდება საქონელი. ამ პირობის თანახმად გამყიდველი აგვარებს ყოველგვარ საექსპერტო დოკუმენტაციას.
	CPT (CARRIAGE PAID TO)	ფრახტი ანუ სატრანსპორტო ხარჯი და დაზღვევა გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე) ამ პირობით გამყიდველი აწვდის საქონელს თავის მიერ დასახელებულ ექსპედიტორს, მაგრამ დამატებით იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს. ამავე დროს გამყიდველმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოს გადაზიდვისას საქონლის დანაკარგებისა და დაზიანების გამო მყიდველის რისკებისათვის დაზღვევის ორგანიზება. ამ პირობის თანახმად გამყიდველი აგვარებს ყოველგვარ საექსპერტო დოკუმენტაციას.
	CIP (CARRIAGE AND INSURANCE PAID TO)	მიწოდება საზღვარზე (გამყიდველს საქონელი ჩააქვს საზღვრამდე, დანიშნულების ადგილზე) ამ პირობის საფუძველზე გამყიდველის მიერ საქონელი მიწოდებულად ითვლება მაშინ, როცა საქონელი მყიდველის განკარგულებაშია ტრანსპორტიდან გადმოუტვირთავად, მოგვარებულია ყოველგვარი საექსპორტო დოკუმენ-ტაცია, მაგრამ არ არის მოგვარებული საიმპორტო დოკუმენტაცია საზღვრის დასახელებულ ადგილსა თუ წერტილში. ეს პირობა გამოიყენება, ძირითადად, სახმელეთო გადაზიდვების დროს.
	DAF (DELIVERED AT FRONTIER)	მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად (გამყიდველს საქონელი ჩააქვს თავისი ხარჯით მითითებულ

	DDU (DELIVERED DUTY UNPAID)	დანიშნულების ადგილზე). ამ პირობით გამყიდველი აწვდის საქონელს მყიდველს საიმპორტო დოკუმენტაციის მოგვა-რების გარეშე, მითითებულ დანიშ-ნულების ადგილზე და ტრანსპორტიდან გადმოუტვირთავად. გამყიდველი იღებს საქონლის მისატანად საჭირო რისკს და ხარჯებს, და არა რაიმე საბაჟო გადასახდელს დანიშნულების ქვეყანაში იმპორტირებისათვის. ასეთი საბაჟო გა-დასახდელის გადახდა უხდება მყიდველს.
	DDP (DELIVERED DUTY PAID)	მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით (გამყიდველს საქონელი ჩააქვს თავისი ხარჯით მითითებულ დანიშნულების ადგილზე და იხდის საბაჟო გადასახდელებს. არ იხდის მხოლოდ დაზღვევის ხარჯებს). ამ პირობის საფუძველზე გამყიდველი აწვდის საქონელს მყიდველს მოგვა-რებული საიმპორტო დოკუმენტაციით მითითებულ დანიშნულების ადგილზე. გამყიდველი იღებს საქონლის მისატანად საჭირო რისკს და ხარჯებს, დანიშნულების ქვეყანაში იმპორტი-რებისათვის გადასახდელი საბაჟო გადასახდელის ჩათვლით, ეს პირობა მაქსიმალურ ვალდებულებებს აკისრებს გამყიდველს.

ინკოტერმსის პირობები დაყოფილია ოთხ ძირითად კატეგორიად:
პირობები, სადაც გამყიდველი საკუთარი შენობა-ნაგებობების ფარგლებში მყიდველისათვის მხოლოდ ხელმისაწვდომს ხდის საქონელს (E პირობები – EXW);
პირობები, სადაც გამყიდველი მოვალეა საქონელი მიაწოდოს მყიდველისაგან დასახელებულ ექსპედიტორს (F პირობები – FCA, FAS, FOB);
პირობები, როცა გამყიდველი თვითონ ამყარებს გადაზიდვასთან დაკავშირებულ კონტრაქტებს, მაგრამ არ იღებს საქონლის დანაკარგებთან და დაზიანებასთან დაკავშირებულ რისკსა და გადაზიდვისა და გადატვირთვის შემდეგ წარმოქმნილ დამატებით ხარჯებს. (C პირობები – CIP, CPT, CIF, CFR);
პირობები, სადაც გამყიდველი ვალდებულია თავის თავზე აიღოს ყველა ხარჯი და რისკი, რაც აუცილებელია საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად. (D პირობები – DES, DEQ, DAF, DDU, DDP)

დანართი № 12

„X” ბანკის გარანტიით აკრედიტივის

მუშაობის სქემა

1. იმპორტიორი და ექსპორტიორი დებენ ხელშეკრულებას საქონლის მიწოდებაზე;
2. ექსპორტიორისთვის ფულის გადარიცხვის ნაცვლად იმპორტიორი მიმართავს „X” ბანკს აკრედიტივით დაფინანსებისთვის;
3. „X” ბანკი ექსპორტიორის ბანკს აძლევს გადახდის გარანტიას;
4. ექსპორტიორის ბანკი თავის მხრივ გარანტიას აძლევს ექსპორტიორს თანხის გადახდაზე;
5. ექსპორტიორი აგზავნის საქონელს იმპორტიორთან და აწვდის საბუთებს თავის ბანკს;
6. ექსპორტიორის ბანკი აწვდის საბუთებს „X” ბანკს;
7. „X” ბანკი აწვდის საბუთებს იმპორტიორს;
8. ექსპორტიორის ბანკი უხდის ფულს ექსპორტიორს;
9. იმპორიოტიორი იღებს საქონელს და ყიდის მას შიდა ბაზარზე;
10. საქონლის ამონაგებიდან იმპორტიორი უხდის ფულს „X”ბანკს (აკრედიტივის გახსნიდან მაქსიმუმ 180 დღეში).



დანართი № 13

აკრედიტივის მუშაობის სქემა

1. იმპორტიორი და ექსპორტიორი შეთანხმდებიან აკრედიტივის გახსნისათვის აუცილებელ პირობაზე;
2. იმპორტიორს შეაქვს განაცხადი აკრედიტივზე;
3. იმპორტიორის ბანკი ხსნის აკრედიტივს ექსპორტიორის სასარგებლოდ და შესაბამისად ატყობინებს ამის შესახებ ექსპორტიორის ბანკს;
4. ექსპორტიორის ბანკი ექსპორტიორს ატყობინებს აკრედიტივის გახსნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ექსპორტიორის ბანკი ადასტურებს აკრედიტივს;
5. ექსპორტიორი გზავნის ტვირთს;
6. ექსპორტიორი საბუთებს აწვდის მის ბანკს და იღებს მისგან თანხას;
7. ექსპორტიორის ბანკი საბუთებს გადაუგზავნის იმპორტიორის ბანკს, რომელიც ამოწმებს საბუთებს და ტვირთის მიღების შემდეგ ახდენს ანგარიშსწორებას ექსპორტიორის ბანკთან;
8. იმპორტიორის ბანკი გადასცემს საბუთებს იმპორტიორს და ახდენს ანგარიშსწორებას იმპორტიორთან;



აკრედიტივის მუშაობის ამ სქემის თანახმად იმპორტიორი დარწმუნებულია, რომ ანგარიშსწორება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ექსპორტიორი წარმოადგენს საბუთებს აკრედიტივში მითითებული პირობების შესაბამისად. ექსპორტიორი დარწმუნებულია, რომ ანგარიშსწორება მოხდება დროულად და მთლიანი თანხით.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სტრუქტურა, განყოფილებების და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით[2]

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის
ნომენკლატურის სასაქონლო ჯგუფის კლასიფიკაცია

კარი I **ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები**

ჯგუფი 01 ცოცხალი ცხოველები
ჯგუფი 02 ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები
ჯგუფი 03 თევზი და კიბოსნაირები, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები
ჯგუფი 04 რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი
ჯგუფი 05 ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი

კარი II **მცენარეული წარმოშობის პროდუქტები**

ჯგუფი 06 ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი
ჯგუფი 07 ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები
ჯგუფი 08 საკვებად ვარგისი ნაყოფი [ხილი] და კაკალი; ციტრუსები ან ნესვების ქერქი და კანი
ჯგუფი 09 ყავა, ჩაი [პარაგვაის ჩაი] და სანელებლები
ჯგუფი 10 პურეული მარცვლოვანები
ჯგუფი 11 ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანი
ჯგუფი 12 ზეთოვანი მცენარეების თესლი და ნაყოფი; სხვა თესლი, ნაყოფი და მარცვალი; სამკურნალო მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი
ჯგუფი 13 შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; გუმფისები ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები
ჯგუფი 14 მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებლები

კარი III **ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები**

ჯგუფი 15 ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები

კარი IV **კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები**

[2] დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის № 576 ბრძანებით.

ჯგუფი 16მზა პროდუქტები ხორცი, თევზი ან
კიბოსნაირების, მოლუსკების ან ბღვის სხვა
უხერხემლოებისაგან
ჯგუფი 17შაქარი საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან
ჯგუფი 18კაკაო და პროდუქტები მისგან
ჯგუფი 19მზა პროდუქტები პურეული მარცვლოვანების
მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან;
ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 20 ბოსტნეულის, ნაყოფის [ხილის], კაკლის ან
მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების
პროდუქტები
ჯგუფი 21კვების სხვადასხვა პროდუქტები
ჯგუფი 22 ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და
ძმარი
ჯგუფი 23კვების მრეწველობის ნაშთები; მზა
საკვები ცხოველებისათვის
ჯგუფი 24 თამბაქოს და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები

კარი V მინერალური პროდუქტები

ჯგუფი 25მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე
მასალები, კირქვა და ცემენტი
ჯგუფი 26 მადნები, წიდა და ნაცარი
ჯგუფი 27 მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის
პროდუქტები, ბიტუმოვანი ნივთიერებები;
მინერალური ცვილები

კარი VI ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია

ჯგუფი 28 არაორგანული ქიმიის პროდუქტები, ძვირფასი
ლითონების ან იშვიათი ლითონების,
რადიაქტიული ელემენტების ან იზოტოპების
არაორგანული ან ორგანული ნაერთები
ჯგუფი 29 ორგანული ქიმიური ელემენტები
ჯგუფი 30ფარმაცევტული პროდუქცია
ჯგუფი 31სასუქები
ჯგუფი 32სათრიმლავი ან საღებავი ექსტრაქტები; ტანინები
და მათი წარმოებულები; საღებარები, პიგმენტები
და სხვა საღებარი ნივთიერებები; საღებავები და
ლაქები; ფითხები და სხვა მასტიკები; მელნები
[ტიპოგრაფიული საღებავი]
ჯგუფი 33ეთერზეთები და რეზინოიდები; პარფიუმერული,
კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები
ჯგუფი 34საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული
ნივთიერებები, სარეცხი საშუალებები, საპოხი
მასალები, ხელოვნური და მზა ცვილები, საწმენდი
და საპრიალებელი შედგენილობები, სანთლები და
ანალოგიური ნაწარმი, საძერწი პასტები,
პლასტილინი, „კბილსამკურნალოცვილი“ და
შედგენილობები თაბაშირის საფუძველზე
კბილსამკურნალო მიზნებისათვის
ჯგუფი 35ცილოვანი ნივთიერებები; მოდიფიცირებული
სახამებლები; წებოები; ფერმენტები
ჯგუფი 36ფეთქებადი ნივთიერებები; პიროტექნიკური
ნაწარმი; ასანთი; პიროფორული შენადნობები,
ზოგიერთი საწვავი ნივთიერებები
ჯგუფი 37ფოტო და კინოსაქონელი
ჯგუფი 38 სხვა ქიმიური პროდუქტები

კარი VII **პოლიმერული მასალები, პლასტმასები და მათი ნაწარმი, კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი**

ჯგუფი 39 პოლიმერული მასალები, პლასტმასები და მათი ნაწარმი

ჯგუფი 40 კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი

კარი VIII **დაუმუშავებელი ტყავები და ტყავეულის ნედლეული, ტყავი, ნატურალური ბეწვი და მისი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; საგზაო საკუთნოები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (გარდა ნატულარული აბრეშუმის კეტგუტისა)**

ჯგუფი 41 დაუმუშავებელი ტყავები და ტყავეულის ნედლეული, (გარდა ნატურალური ბეწვისა) და ტყავი

ჯგუფი 42 ტყავის ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; საგზაო საკუთნოები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (გარდა კუტგუტისა ნატულარული აბრეშუმისაგან)

ჯგუფი 43 ნატურალური და ხელოვნური ბეწვი; მათი ნაწარმი;

კარი IX **მერქანი და მექნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა დასაწნავი მასალის ნაწარმი, კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი**

ჯგუფი 44 მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი

ჯგუფი 45 კორპი და მისი ნაწარმი

ჯგუფი 46 ჩალის, ალფის ან სხვა დასაწნავი მასალის ნაწარმი, კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი

კარი X **მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზური მასალებისაგან; რეგენერირებული ქაღალდი და მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები) ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი**

ჯგუფი 47 მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზური მასალებისაგან; რეგენერირებული ქაღალდი და მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები)

ჯგუფი 48 ქაღალდი და მუყაო; ნაწარმი მასის, ქაღალდის და მუყაოსაგან

ჯგუფი 49 საბეჭდი წიგნები, გაზეთები, რეპროდუქციები და პოლიგრაფიული მრეწველობის სხვა ნაწარმი; ხელნაწერები, მანქანით ნაბეჭდი ტექსტები და გეგმები

კარი XI **საფეიქრო მასალები და საფეიქრო ნაწარმი**

ჯგუფი 50 აბრეშუმი

ჯგუფი 50 მატყლი, ცხოველების წმინდა და უხეში ბეწვი ნართი ცხენის ძუისაგან და ქსოვილი

ჯგუფი 52 ბამბა

ჯგუფი 53 სხვა მცენარეული საფეიქრო ბოჭკო; ქაღალდის ნართი და ქსოვილები ქაღალდის ნართისაგან

ჯგუფი 54 ქიმიური ძაფები

ჯგუფი 55 ქიმიური ბოჭკოები

ჯგუფი 56 ბამბა, ქეცა და უქსოვადი ქსოვილები; სპეციალური ნართი; ბაწრები, ზონრები, თოკები

და ბაგირები და მათი ნაწარმი
ჯგუფი 57ხალიჩები და იატაკის სხვა საფეიქრო საფარები
ჯგუფი 58სპეციალური ქსოვილები; ქსოვილები ჩაკერებული
საოთი, მაქმანები; გობელენები; გასაწყობი
მასალები; ნაქარგები
ჯგუფი 59საფეიქრო მასალები გაჟღენთილი, დაფარული
დათრიმლული; ტექნიკური დანიშნულების
საფეიქრო ნაწარმი
ჯგუფი 60 ტრიკოტაჟის ტილო მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 61ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმლის
საკუთნოები მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 62 საფეიქრო ტანსაცმელი და ტანსაცმლის
საკუთნოები (გარდა მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟისა)
ჯგუფი 63სხვა მზა საფეიქრო ნაწარმი; ნაკრებები; ნახმარი
ტანსაცმელი და საფეიქრო ნაწარმი; ძინძები

კარი XII ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხი-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დაუმუშავებელი ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან

ჯგუფი 64 ფეხსაცმელი, გეტრები და ანალოგიური ნაწარმი
ჯგუფი 65 თავსაბურავები და მათი ნაწილები
ჯგუფი 66 ქოლგები მზისაგან დასაცავი ქოლგები,
ხელჯოხები და ხელჯოხი-დასაჯდომები, შოლტები,
მათრახები ცხენოსნობისათვის და მათი ნაწილები;
ჯგუფი 67 დაუმუშავებელი ნაკრტენი და ბუმბული და მათი
ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი
ადამიანის თმისაგან

თავი XIII ქვის, თაბაშირის, აზბესტის, ქარსისა ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი, მინა და მისი ნაწარმი

ჯგუფი 68 ქვის, თაბაშირის, აზბესტის, ქარსისა ან
ანალოგიური მასალების ნაწარმი
ჯგუფი 69 კერამიკული ნაწარმი
ჯგუფი 70 მინა და მისი ნაწარმი

კარი XIV მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონი, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია, მონეტები

ჯგუფი 71მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული,
ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი
ლითონი, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი
ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია, მონეტები

კარი XV არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი;

ჯგუფი 72 შავი ლითონები
ჯგუფი 73შავი ლითონის ნაწარმი
ჯგუფი 74 სპილენძი და მისი ნაწარმი
ჯგუფი 75ნიკელი და მისი ნაწარმი
ჯგუფი 76 ალუმინი და მისი ნაწარმი
ჯგუფი 77 ტყვია და მისი ნაწარმი
ჯგუფი 78 თუთია და მისი ნაწარმი

ჯგუფი 79 კალა და მისი ნაწარმი

ჯგუფი 80 სხვა არაძვირფასი ლითონები; ლითონკერამიკა; მათი ნაწარმი

ჯგუფი 81 ინსტრუმენტები, დანის ნაწარმი, კოვზები და ჩანგლები არაძვირფასი ლითონებისაგან; მათი ნაწილები არაძვირფასი ლითონებისაგან

ჯგუფი 82 სხვა ნაწარმი არაძვირფასი ლითონებისაგან

კარი XVI მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთხოები

ჯგუფი 84 ატომური რექტორები, ქვაბი, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, მათი ნაწილები

ჯგუფი 85 ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები

კარი XVII მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და აღჭურვილობა

ჯგუფი 86 რკინიგზის ან ტრამვაის ლოკომოტივები, მოძრავი შემადგენლობა და მათი ნაწილები; საგზაო მოწყობილობები და დანადგარები რკინიგზის ან ტრამვაის ქსელისათვის და მათი ნაწილები; ყველა სახის მექანიკური (ელექტრომექნიკურის ჩათვლით) სასიგნალო მოწყობილობა

ჯგუფი 87 მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობისა, მათი ნაწილები და საკუთნოები

ჯგუფი 88 საფრენი აპარატები, კოსმოსური აპარატები და ნაწილები

ჯგუფი 89 გემები, ნავები და სხვა მოცურავე საშუალებები

კარი XVIII ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატები; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები

ჯგუფი 90 ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატები; მათი ნაწილები და საკუთნოები

ჯგუფი 91 ყველა სახის საათები და მათი ნაწილები

ჯგუფი 92 მუსიკალური ინტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები

კარი XIX იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები

ჯგუფი 93 იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები

და საკუთნოები

კარი XX	**სხვადასხვა სამრეწველო საქონელი**
ჯგუფი 94	ავეჯი; ლოგინის საკუთნოები, ლეიბები, ლეიბის საფუძვლები, დივანის ბალიშები და ავეჯის ანალოგიური ნატენი საკუთნოები; ლამპები და გასანათებელი მოწყობილობები, სხვა ადგილას დაუსახელებელი შუქნიშნები, ტაბლოები და ანალოგიური ნაწარმი; ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციები
ჯგუფი 95	სათამაშოები, თამაშობანი და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 96	სხვადასხვა მზა ნაწარმი

თავი XXI	**ხელოვნების ნაწარმოები, საკოლექციო ან ანტიკვარიატი**
ჯგუფი 97	ხელოვნების ნაწარმოები, საკოლექციო ნივთები ან ანტიკვარიატი

აბრევიატურების ნუსხა

- OON (UN გაერო)- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- UNCITRAL -გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია.
- UNKTAD -გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია- ვაჭრობისა და განვითარების შესახებ.
- ULIS - მოდელური კანონი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ.
- ULF -მოდელური კანონი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ.
- IMF -საერთაშორისო სავალუტო ფონდი.
- IBRD -რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.
- IFC -საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია.
- GATT -გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე.
- WTO -მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.
- GATS -გენერალური შეთანხმება მომსახურეობით ვაჭრობაზე.
- TRIPS -შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ.
- CISG -კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობათა ხელშეკრულების შესახებ.
- MEN - ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
- NATO - ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ხელშეკრულება
- INCOTERMS - სავაჭრო პირობების ინტერპრეტაციის საერთაშორისო წესები.
- MTC - საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმება.
- LLG – შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა
- LTO – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- SA – სააქციო საზოგადოება
- TRAST – მინდობილობითი საკუთრება
- SOR, ECU – სესხი საანგარიშსწორებო ერთეულით, რომელიც ემყარება სავალუტო „კალათას“.
- SWIFT – საერთაშორისო საბანკო გადარიცხვებში გამოყენებული საგადასახადო დავალების გადაცემის და დამუშავების ერთიანი ელექტრონული სისტემა.
- WCO – მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია
- OMD - საბაჟო თანამშრომლობის საბჭო
- WIPO – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
- IOSCO – ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო კომისია
- ICAO – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- COTF – კონვენცია საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ
- CIM – ერთიანი წესები საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ.
- TIR – კონვენცია ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ.
- DSB – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დავების განმხილველი ორგანო
- ECE – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია

- EXW – პირობები, რა დროსაც გამყიდველი საკუთარი შენობა-ნაგებობების ფარგლებში ხელმისაწვდომს ხდის საქონელს მყიდველისათვის.
- FCA, FAS, FOB – პირობები, რა დროსაც გამყიდველი მოვალეა საქონელი მიაწოდოს მყიდველისაგან დასახელებულ ექსპედიტორს
- CIP, CPT, CIF, CFR – პირობები, როდესაც გამყიდველი თვითონ უკეთებს ორგანიზაციას გადაზიდვებს, მაგრამ პასუხისმგებლობას არ იღებს საქონლის დანაკარგებისა და დაზიანების რისკზე და არ იხდის გადაზიდვისა და გადატვირთვის შემდეგ წარმოქმნილ ხარჯებს.
- DES, DEQ, DAF, DDU, DDP – პირობები, როდესაც გამყიდველი ვალდებულია თავის თავზე აიღოს ყველა ხარჯი და რისკი, რაც აუცილებელია საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად.
- შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- სპს – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- კს – კომანდიტური საზოგადოება.
- სს – სააქციო საზოგადოება
- ბასს – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ტექნიკური რედაქტორი: შორენა ხუბუნაია

კორექტორი: თეონა ცენტერაძე

ტირაჟი: 500

ფასი: სახელშეკრულებო

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტის გამომცემლობა

საქართველოს
საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტი

www.ssuu.edu.ge

აცხადებს მიღებას აკრედიტებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე შემდეგი მიმართულებებით:

სამართალმცოდნეობა;
საერთაშორისო ურთიერთობები;
საერთაშორისო ეკონომიკა;
საერთაშორისო გადაზიდვები;
ფინანსები და საბანკო საქმე;
საგადასახადო-საბაჟო საქმე;
აღრიცხვა, აუდიტი და კონტროლი;
ბიზნესის მართვა.

არაქართულ ენოვან სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებს, შეუძლიათ სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა და ჩაირიცხონ ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგაც სწავლა გააგრძელონ მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამაზე.

თბილისი, 0156, რუსთაველის გზატკეცილი 20. .402946,47,48.
www.ssuu.edu.ge

საქართველოს
საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტი

www.ssuu.edu.ge

პროფესიული სწავლების ცენტრი
აცხადებს მიღებას
სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებზე

- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- მედდა;
- ბუღალტერია;
- ოფისის მენეჯერი;
- შეფ-მზარეული;
- საზოგადოებრივი კვების მენეჯერი;
- ოფიციანტი;
- ბარმენი;
- კონდიტერი;
- ტურიზმი(გიდი, ექსკურსიამძღოლი).

სასერთიფიკატო პროგრამებზე

- კომპიუტერული საოფისე პროგრამები;
- ინგლისური ენა;
- გერმანული ენა;
- ზოგადი უნარები;
- საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა და პროცედურები;
- საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამები.

დეტალური ინფორმაციისათვის
მოგვმართეთ ან
იხილეთ ვებ-გვერდი

თბილისი, 0156, რუსთაველის გზატკეცილი 20. .402946,47,48.
www.ssuu.edu.ge